საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ალექსანდრე ბენდიანიშვილი

ქართული ეროვნული სახელმწიფოს განვითარების ეტაპები

თბილისი
2006

უაკ(UDC)947.922
ბ482

ავტორს დიდი ამბიციები როდი აქვს, არ განუზრახავს ქართული სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის დეტალური კვლევა. მის მიზანს შეადგენდა პირველწყაროებისა და არსებული ლიტერატურის კრიტიკული ათვისების საფუძველზე გამოეთქვა თავისი აზრი ქართული მონარქიის ჩასახვა-განვითარების შესახებ. წიგნში შედარებით სრულადაა ასახული ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ათასწლოვანი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა და ბაგრატიონი უფლისწულების ბრძოლა რუსეთის დაპყრობით-კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. შეფასებულია აგრეთვე ქართველი ხალხის ორასწლიანი გამათავისუფლებელი მოძრაობის მნიშვნელობა. განსაზღვრულია საქართველოს პირველი რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) ადგილი ქართული სახელმწიფოს ისტორიაში და მისი სამართალმემკვიდრის - ჩვენს თვალწინ აღორძინებული ეროვნული სახელმწიფოს განვითარების გზების შესახებაცაა ნათქვამი ორიოდე სიტყვა.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **როლანდ თოფჩიშვილი**

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი შალვა ვანიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
მანანა ხომერიკი

წიგნი რეკომენდებულია დასაბეჭდად ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ (ოქმი №8, 23 ივნისი, 2005 წ.)

გამოსაცემად მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობაში „მემატიანე".

მთ. რედაქტორი: თამაზ ჭყონია
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ანა რუაძე,
მარიამ ბუტიკაშვილი

ბ 164
2006

რედაქტორისაგან

ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ბატონ ალექსანდრე ბენდიანიშვილის წიგნს წარდგენა არ სჭირდება. მკვლევარი უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია ქართველი ერის სამსახურშია და ქართულ საზოგადოებას დროდადრო შესანიშნავი წიგნებით ახსენებს თავს. ალექსანდრე ბენდიანიშვილი ახალი ისტორიის აღიარებული სპეციალისტია; იგი XIX ს-ის საქართველოს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ არაერთი მონოგრაფიის ავტორია. არ შეიძლება არ ითქვას ისიც, რომ ის ქართველთა მტკივნეული – ეროვნული საკითხითაც იყო დაინტერესებული, ამ მხრივ მნიშვნელოვანია 1980 წელს, იმ დროს, როდესაც ეროვნულ, პატრიოტულ პრობლემებზე ბევრი კალამს ხელში ვერ იღებდა და სიტყვასაც ვერ სძრავდა, ალექსანდრე ბენდიანიშვილმა შემოგვთავაზა მონოგრაფია „ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წლებში". ამ წიგნმა მაშინვე არა მხოლოდ ისტორიკოს-სპეციალისტთა, არამედ განათლებული ქართული საზოგადოების ყურადღებაც მიიქცია და აღიარებაც მოიპოვა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში, ბატონმა ალექსანდრე ბენდიანიშვილმა ორი საყურადღებო წიგნით გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფია. პირველის სახელწოდებაა „საქართველოს ისტორია 1801-1921 წლებში" (1999), მეორისა – „საქართველოს პირველი რესპუბლიკა: 1918-1921 წწ." (2001). ორივე მონოგრაფია ახალი, თავისუფალი თვალთახედვითაა დაწერილი. ამ თვალსაზრისით კი, საბჭოთა იმპერიის პერიოდში ქართველი ისტორიკოსები ფრიად შეზღუდულები იყვნენ. დასახელებულ წიგნებს გვერდს ვერ აუვლის XIX-XX სს-ის საქართველოს ისტორიაზე მომუშავე ვერც ერთი სპეციალისტი.

წინამდებარე წიგნის სახით ბატონმა ალექსანდრე ბენდიანიშვილმა ქართული ისტორიოგრაფია კვლავ გაამდიდრა. მკითხველის სამსჯავროზეა მონოგრაფიული გამოკვლევა „ქართული ეროვნული სახელმწიფოს განვითარების ეტაპები". მანამ, სანამ ამ წიგნზე ორიოდე სიტყვას ვიტყვით, უნდა აღინიშნოს, რომ დღეს მსოფლიოში 6 ათასამდე ხალხს (ეთნოსს) ითვლიან. კაცობრიობის ისტორიის მანძილზე სულ რამდენი ხალხი (ეთნოსი) მკვიდრობდა ჩვენს პლანეტაზე, მეცნიერებს ჯერ არ გამოუთვლიათ. სახელმწიფოს შექმნის ბედი კი, ღმერთმა ბევრს არ არგუნა. დღეს სახელმწიფოს შემქმნელი მხოლოდ ორასამდე ტიტულოვანი ეთნოსია. ბევრი სახელმწიფო და მისი შემქმნელი ხალ-

ეიც ფიზიკურად აღარ არსებობს. ქართველი ხალხი კი ერთგვარი ქუდბედნიერი ერია, რომლმაც სახელმწიფოებრიობა და შესაბამისად ქართული ცივილიზაცია ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე შექმნა. განსაკუთერბულ გეოგრაფიულ გარემოში მცხოვრები ქართველობა ამ მაღალი პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმას, გარეშე მტერთა გამოისობით, ხან კარგავდა და ხანაც იბრუნებდა. XX ს-ის ბოლოს, ორასწლოვანი, სხვათა მიერ წართმეული სახელმწიფოებრიობა ქართველმა ხალხმა დიდი ტკივილებისა და დანაკარგების ფასად კვლავ დაიბრუნა. აი, ამ თემას – ქართული ეროვნული სახელმწიფოს განვითარების ისტორიას მისი ჩასახვიდან დღემდე, შესაშური სისადავით გადმოგვცემს ბატონი ალექსანდრე ბენდიანიშვილი. მართალია, წიგნის ავტორი საქართველოს ახალი ისტორიის მკვლევარია, მაგრამ ის თანაბარი სიძლიერით აღწერს საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიის ერცელ მონაკვეთს, რომლის ყველაზე დიდი ნაწილი ფეოდალურ (აგრარულ) წყობილებასა და შუასაუკუნეებზე მოდის.

ავტორს ღრმად სწამს, რომ ქართული სახელმწიფო ევროპულ სახელმწიფოთა დარად ვითარდებოდა XIII-XIV სს-მდე და მათ თავისი განვითარებით წინაც უსწრებდა ხოლმე. მაგრამ რიგმა საერთაშორისო ფაქტორებმა ეს წინსვლა შეაფერხეს, შეაჩერეს. ჩვენს ხალხს არა მარტო ქართული სახელმწიფოებრიობის დაცვისა და გადარჩენის პრობლემები ედგა წინ, რომელსაც მეტ-ნაკლები წარმატებით წყვეტდნენ, არამედ ქართული ეთნოსის, კულტურის და ცივილიზაციის გადარჩენის პრობლემაც.

რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობის შემდეგ, ქართული საზოგადოება, მისი მოწინავე ნაწილი მუდმივ ბრძოლას უცხადებდა იმპერიას. ეს იყო პატარა ქვეყნის, მცირერიცხოვანი ხალხის მუდმივი, პერმანენტული ბრძოლა დიდი, ძლევამოსილი ქვეყნის წინააღმდეგ. ერთ აჯანყებას მეორე ცვლიდა; ქართველები ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მუდმივ ფერხულში იყვნენ ჩაბმული. აჯანყებების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მესვეურთ ზოგჯერ კარგად ესმოდათ, რომ მათი გაბრძოლება განწირული იყო, მაგრამ ისინი მაინც იბრძოდნენ იმისათვის, რომ შთამომავლობისათვის მუდმივი დაუმორჩილებლობის მაგალითები მიეცათ, რომ ქვეყანა საბოლოოდ განთავისუფლებულიყო და დაკარგული სახემწიფოებრიობა კვლავ აღდგენილიყო. მათ ამისკენ წინაპართა ისტორიის მახსოვრობაც უბიძგებდა.

ყველაფერი ეს თვალნათლივ, კარგად, შესანიშნავი ენითაა გადმოცემული პროფესიონალი ისტორიკოსის, ისტორიის მეცნი-

ერებათა დოქტორის, პროფესორის ბატონ ალექსანდრე ბენდიანიშვილის წიგნში. წიგნის წაკითხვა მკითხველს ერთ რამეშიც დაარწმუნებს – ის დაწერილია პატრიოტისა და შესანიშნავი მოქალაქის მიერ. მეცნიერ-ისტორიკოსთ სამშობლოს მსახურების ტვირთი ხომ ბედმა არგუნა, რომელსაც შემართებითა და ძალისხმევით ატარებდა და ატარებს ალექსანდრე ბენდიანიშვილი. ამის დასტური კი, წინამდებარე მონოგრაფიაცაა და მთელი მისი მეცნიერული შემოქმედებაც. ავტორის მიზანი, ქართველთა მიერ ისტორიული მეხსიერების არდავიწყებაცაა, რაც ერის ცნობიერების (იდენტობის) ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა.

შესავალი

ადამიანმა, როგორც ცხოველთა სამყაროსაგან გამოყოფილმა არსებამ, დაახლოებით ორი მილიონი წლის წინ აიდგა ფეხი. ძალიან დიდხანს ადამიანები პირველყოფილი ჯოგის სახით დახეტიალობდნენ, მცირე ჯგუფებად გაერთიანებული პოულობდნენ საარსებო საშუალებებს, ბუნებისაგან მზამზარეულად ნაპოვებ პროდუქტებს მოიხმარდნენ. უფრო მოგვიანო ხანაში ადამიანთა გაერთიანებას საფუძვლად დაედო სისხლით ნათესაობა, ჩამოყალიბდა პირველყოფილი გვაროვნული საზოგადოება. კარგახანს არსებობდა დედისეული გვარი (მატრიარქატი). წყვილადი ოჯახის შექმნისა და შემგროვებლობიდან წარმოებაზე (მიწათმოქმედება, მეცხოველეობა) გადასვლის შემდეგ ჩამოყალიბდა მამისეული გვარები (პატრიარქატი). განვითარების ეს პროცესი სხვადასხვა დროს განვლო ადამიანთა საზოგადოებამ დედამიწის ყველა კონტინენტზე.

პირველყოფილი საზოგადოების წევრთა გონებრივი განვითარების დონე ძალიან დაბალი იყო. ისინი არც თავის „მე"-ს იცნობდნენ და არც გარესამყაროს. ადამიანი თავს აღიქვამდა ბუნების განუყოფელ ნაწილად. ჩვენამდე მოაღწია უძველესმა მითებმა, რომელთა მიხედვით ადამიანის სხეული შეიქმნა მიწისაგან, სისხლი-წყლისგან, ძვლები – ქვებისგან, თვალები – მზისგან, სუნთქვა – ქარისგან. მეორე მხრივ, ჩვენი უშორეულესი წინაპრები ბუნებასაც ადამიანურ თვისებებს მიაწერდნენ; სულიერ არსებებად თვლიდნენ მცენარეებს, ქვებს. განსაკუთრებით ახლოს გრძნობდნენ თავს ცხოველებთან და ზოგიერთ მათგანს თაყვანისცემის ობიექტად იხდიდნენ. ძალიან ადრე გაჩნდა მზის, მთვარისა და ვარსკვლავების კულტი. განუზომელი გახდა იმ დროინდელი პოლითეიზმის საზღვრები. თითქმის ყოველ გვარს საკუთარი ღვთაება ყავდა. ტომებისა და ტომთა კავშირების ჩამოყალიბებასთან ერთად ღმერთების რიცხვი თანდათან მცირდებოდა, მაგრამ პოლითეიზმი ძალაში რჩებოდა გვაროვნულ-თემური წყობილებიდან სახელმწიფოებრიობასა და ცივილიზაციაზე გადასვლის პირველ ეტაპზეც.

თანასწორთა საზოგადოება მრავალი ათასი წელი არსებობდა. თვით გვარებში გაერთიანებული ადამიანები, მათგან არჩეული უხუცესები და მეთაურები იყვნენ სუვერენული ხელისუფლების მატარებელნი, მართვის სუბიექტები. გვარების ტომებად გაერთიანების და ტომთა კავშირების შექმნის შემდეგ ჩამოყალიბდა გვაროვნულ-თემური არისტოკრატია, რომელიც მო-

ექცა ე. წ. სამხედრო დემოკრატიის სათავეში.

თანასწორთა საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია მჭიდროდ გადაეწასკვა სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბების პროცესს. სამხედრო არისტოკრატია შეიარაღებულ რაზმებზე დაყრდნობით ახერხებდა თანდათან გაეზარდა როგორც ეკონომიკური შეძლება, ისე პოლიტიკური უფლებამოსილება. მეთემეთაგან არჩეული, მართვის უფლებით აღჭურვილი ტომისა და ტომთა კავშირის ბელადი თანდათან სუვერენი ხდება, ცდილობს თავი დააღწიოს ქვემოდან კონტროლს, მისი ხელისუფლების წარმომავლობა და გაძლიერდება ღმერთს დაუკავშიროს. გაძლიერდა ტომის (ტომების) ბელადის მეფედ გარდასახვის ტენდენცია. ხალხის და უხუცესთა საბჭოსაგან არჩეული ბელადის ღვთისაგან გამორჩეულ მეფედ გადაქცევის პროცესში თანდათან გაიზარდა მეფის (სახელმწიფოს) მოხელეთა რიცხვი, მათი ეკონომიკური წონა და პოლიტიკური გავლენა.

მონარქის კულტი და სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბება-სრულყოფის პროცესი ყველაზე ადრე, დაახლოებით 5 ათასი წლის წინ დაიწყო ეგვიპტის ტერიტორიაზე. იმ დროინდელ ეგვიპტელთა (როგორც ქურუმებისა და ზედაფენის, ისე ხალხის) რწმენა-წარმოდგენებით, მათი ფარაონი (მეფე) ღმერთების დახმარებით აღზევდა,ზეციური ღვთაება ჰორის წარმომადგენელი იყო მათს ქვეყანაში და ამიტომ იწოდებოდა მზის ღვთაება „რას" ძედ. იმდროინდელი სამართლებრივი შეხედულებით, ფარაონი შეუზღუდავი ხელისუფლებით იყო აღჭურვილი. მაგრამ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში იყენებდა თავის ნებისადმი დაქვემდებარებულ მოხელეებს. საკმაოდ დიდ როლს ასრულებდნენ ფარაონის ვეზირები და ადმინისტრაციული ერთეულების – ნომების მმართველები. ფარაონების დიდებაზე ლაღადებს ხეოფსის, ხეფრენის და მიკერინის მიერ აგებული გრანდიოზული პირამიდები. ნეკროპოლები და სხვა ძეგლები. იყო წლები, საუკუნეები, როცა ეგვიპტე სუსტდებოდა, იშლებოდა, ზოგჯერ უცხოელთა ბატონობის ქვეშ ექცეოდა. მაგრამ 2 ათასი წლის განმავლობაში მაინც ეგვიპტის ფარაონი ძველაღმოსავლური დესპოტიის ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო. ეგვიპტელებს სწამდათ, რომ მათი ფარაონი დიდებასა და წარმატებას ღვთაებათა დახმარებით აღწევდა. ფარაონი იყო ლეგიტიმური მმართველი. მის წინააღმდეგ ხელის აღმართვა კანონის დარღვევად და მკრეხელობად აღიქმებოდა.

ძველ ეგვიპტურ დოკუმენტებში გამორჩეული ქება-დიდება ეძღვნება იმ ფარაონებს, რომელნიც მათი ტრადიციული

ღმერთების – ამონის, ჰორისა და რას წინასწარდასახულებათა შესაბამისად მოქმედებდნენ და მათგან განსაზღვრულ ბედისწერას ემორჩილებოდნენ. არც იმათ აკლებდნენ ხოტბას, რომელნიც წინამორბედი გამოჩენილი ფარაონების ღირსეული მემკვიდრეები აღმოჩნდებოდნენ. ასეთი პროვიდენციალური, რელიგიურ-იდეოლოგიური დოგმატი ედო საფუძვლად მთლიანად ძველ ეგვიპტურ ისტორიულ და აპოლოგეტურ ლიტერატურას.

სხვა ღმერთების წყალობით შეუზღუდავი უფლებამოსილება მოიპოვეს შუამდინარეთის მეფეებმაც. ძვ. წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის დამდეგს შეიქმნა შუმერის ტომთა კავშირი. მისი სამხედრო მეთაური - „ლუგალი" სახალხო ლაშქარს მეთაურობდა, ქურუმები კი ტაძრებს და სატაძრო მეურნეობებს განაგებდნენ. შუმერთა ამ თეოკრატიულ მთლიანობაში დისონანსი შეიტანა ლუგალ ენატუმმა, რომელიც ერთმმართველი გახდა და ძვ. წ. 2400 წელს შექმნა შუმერთა პირველი სახელმწიფო. შუმერებს თავისებური წარმოდგენები ჰქონდა სამყაროს წარმოშობის, ღმერთების, ადამიანთა ბედ-იღბლის შესახებ. ეს ჩანს მათ მიერვე გამოგონილი ლურსმული დამწერლობით შესრულებულ დოკუმენტურ და ნარატიულ ძეგლებში. შუმერულ თქმულებათა ნაწილი აღმოსავლურ რელიგიებში შეიდა. ზოგი რამ ებრაელებმა აითვისეს და მოგვიანებით ბიბლიაში დააფიქსირეს.

შუმერებმა ვერ შეძლეს შუამდინარეთის (მესოპოტამიის) გაერთიანება. ეს მოახერხეს აქადელმა ტომებმა. მათმა მეთაურმა სარგონმა თავი აქადელების და შუმერების მეფედ გამოაცხადა. სარგონმა კონტროლი დაამყარა სატაძრო მეურნეობებზე, შექმნა მოხელეთა საკმაოდ დიდი აპარატი. სარგონისა და მის მემკვიდრეთა დინასტია განსაკუთრებით დიდ ძლიერებას ძვ. წ. 2300-2200 წლებში ინარჩუნებდა. სარგონის შვილიშვილმა ხალხი დაარწმუნა, რომ ხელისუფლება ღმერთმა უბოძა და ქვეყანას ღვთისა და თავის ნების შესაბამისად მართავდა. 2200 წელს შუმერ-აქადის სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა. აქ შემოიჭრნენ ელამიტები და ამორები. XX ს-ში ჩამოყალიბდა შუამდინარეთის ახალი სახელმწიფო ბაბილონი.

ქალაქის სახელწოდება „ბაბილუ" – ღმერთის ჭიშკარი, თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ იგი დიდი რელიგიური ცენტრი გახდა. ბაბილონის უზენაეს ღმერთს – მარდუკს მრავალი ტომი სცემდა თაყვანს და ბაბილონელი ქურუმები მდიდრული შემონირულობებს ღებულობდნენ. ბაბილონის სახელმწიფომ ძლიერების ზენიტს მიაღწია მეფე ჰამურაბის დროს (ძვ. წ. 1792-1750 წწ.). მისი ზეობის წლებში შეიქმნა ბაბილონის კანონთა კრებუ-

ლი, რომელიც აღიარებულია მსოფლიოში პირველ კონსტიტუციად. ჰამურაბმა საჯაროდ გამოაცხადა, რომ ეს კანონები შექმნილია ღმერთის ნებითა და კარნახით. ბაბილონის მეფე ამ კანონების შემსრულებელი და სამართლიანობის დამცველია.

თითქმის ანალოგიური რწმენისა და მსოფლმხედველობის შემცველია ინდური ცივილიზაციის ამსახველი ნაწარმოები „ვედები". იქ დაფიქსირებულია დებულება, რომ მეფე არის უფლის წარმომადგენელი, ღმერთის მოადგილე ამ ქვეყნად. ღვთიურ დასახულებათა მთავარი შემსრულებელი მეფეა, მაგრამ მისი ქვეშევრდომებიც უნდა ცდილობდნენ ღვთიურ ნიშანთა გარკვეული ნანილის ათვისებას, ღმერთისა და ქვეყნის წინაშე თავის მოვალეობის შესრულებას. ინდოელი და ჩინელი თეოლოგები თითქმის იგივეობრივ აზრებს გამოთქვამდნენ ღვთის ამქვეყნიური მოადგილე მეფის ფუნქციების შესახებ. მათი აზრით ხელმწიფოს მთავარი მოვალეობა იყო ქვეყნის საშინაო ცხოვრებისა და საგარეო ურთიერთობათა მოწესრიგება ზეციური ღვთაების მოთხოვნათა შესაბამისად. ჩინელი სწავლულის ლაო ძის მოძღვრების დაოიზმის მიხედვით, უზენაეს დაოსთან შერწყმა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ეს უნარი კი განსაკუთრებით აუცილებელია მეფის, ქვეყნის მმართველისათვის. უწმინდესი სულის მფლობელი სამართლიანობას ფლობს. მხოლოდ სამართლიანობის მფლობელს შეუძლია ხელმწიფება. კეთილი ხელმწიფე სამყაროს შემქმნელი დაოსავით დიადია. მაგრამ დაო იმით გამოირჩევა, რომ ის არავის და არაფერს მორჩილებს გარდა თავის თავისა.

ქართველთა წინაპრების ქვეყანა თითქმის მეზობელი იყო მესოპოტამიისა, სადაც ბაბილონის მზის ჩასვენების შემდეგ ჰეგემონობა გადავიდა ასურეთის სახელმწიფოს ხელში. ბევრის მთქმელია ის ფაქტი, რომ ამ სახელმწიფომ და მისმა დედაქალაქმა სახელწოდება მიიღო ღვთაება ასურისაგან. ასურეთის და ურარტუს მეფეთა ლურსმული წარწერები ცხადყოფს, რომ ძვ. წ. XII-VIII საუკუნეებში უკვე მიმდინარეობდა დაიენის (დიაოხის) და კოლხას (კოლხეთის) სახელმწიფოებრივ გაერთიანებულათა ჩამოყალიბების პროცესი. ტიგლათფილესერ I-ის წარწერაში (1112 წ.) ნათქვამია: ღვთაება ასურის, ჩემი მეუფის დიადი ძალით... გავილაშქრე შორეული ქვეყნებისაკენ". თავდაპირველად დავამარცხეთ ნაირის ქვეყნის 23 მეფე. შემდეგ კი მისი მოკავშირე ქვეყნის 60 მეფე. დაიენის მეფე სიენი, რომელიც არ ემორჩილებოდა ღვთაება ასურს, დატყვევებული ჩემს ქალაქში წავიყვანე და დიად ღვთაებათა მორჩილი გავუშვი. ასურეთის იგივე მეფე მეორე ნარნერაში აღნიშნავს, რომ მან დაიპყრო კოლხას ქვეყანა თემე-

დან ვიდრე დიდ ზღვამდე. პილესერ პირველი იმასაც იკვეხნის, რომ მან დაამარცხა მუშქების 5 მეფის 20 ათასიანი ლაშქარი. ქართველ მკვლევართა აზრით, ამ წარწერებში, ნახსენები „მეფეები" ფაქტობრივად ტომთა ბელადები იყვნენ. სუვერენ ხელმწიფეებად გამოიყურებიან მხოლოდ პერსონალურად დასახელებული ხიენი, უტურფუსი და ასია.

ასურულ-ურურტული წარწერები თითქმის არ ახსენებენ მუშქების, დიაოხისა და კოლხას ღვთაებებს, მაგრამ სხვა წყაროებით ვიცით, რომ ქართველურ ტომებს საკუთარი ღვთაებები პყავდათ და სწამდათ, რომ მათი მეფეები და ბელადები ღვთაებათა შემწეობით იგერიებდნენ დიდი სამხრეთელი მეზობლების შემოსევებს, ინარჩუნებდნენ თავის საცხოვრის ტერიტორიებს.

კონკრეტული მასალა და მათი ახლებური გააზრება ცხადყოფს, რომ აღმოსავლეთის ცივილიზაციებში მეფის ხელისუფლება სულაც არ იყო ისეთი აბსოლუტური და შეუზღუდავი, როგორც ეს გამომდინარეობს დესპოტიის დამკვიდრებული განსაზღვრიდან. აღმოსავლეთის სახელმწიფოებში ცენტრიდანული ძალებიც მოქმედებდნენ. ზოგი ღვთივ დადგენილ მეფესაც ეცილებოდა ხელისუფლებას. იყო პერიოდები, როცა ცენტრალიზებული სახელმწიფოები იშლებოდნენ, ადგილებზე დამოუკიდებელი მმართველები ჩნდებოდნენ. ასეთი სიტუაცია არა ერთხელ შეიქმნა ეგვიპტეში. ზოგი ნომის მეთაური ანგარიშს არ უწევდა ფარაონის ნებას და ქმნიდა დესპოტიას მინიატურაში. მაგრამ ცენტრალიზაცია კვლავ ძალას იკრებდა. ეგვიპტური დესპოტია განსაკუთრებით ძლიერი იყო ძვ. წ. XVI-XII საუკუნეებში. იმ დროს დიდებულის, მსხვილი მოხელის „საკუთარი სახლი" და „მამული" წარმოუდგენელი რამ იყო. სრული ცენტრალიზაციის პერიოდები არც ჩინეთში, ინდოეთში და მესოპოტამიაში იყო ხანგრძლივი. ამ ქვეყნებში მეფის ხელისუფლებას რამდენადმე ზღუდავდნენ ქურუმები და დიდებულები. ერთი სიტყვით, აღმოსავლეთის დესპოტიაში ხელისუფლებისათვის იბრძოდნენ, მმართველობაში ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობას ცდილობდნენ მოსახლეობის პრივილეგიური ფენები. მაგრამ ბერძნულ-რომაული ცივილიზაციებისაგან განსხვავებით იქ არ შექმნილა სპეციალური პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი ორგანოები, რომელთა საშუალებითაც საზოგადოებას შეეძლო მეფის ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოხდენა. თვითმმართველობები არსებობდა მხოლოდ თემის დონეზე, რომელთა მთავარი ფუნქცია იყო საირიგაციო სისტემების მოვლა-პატრონობა და გადასახადების აკრეფა. ინდოეთში არსებული უხუცესთა საბჭოები და ბაბილონში მოქ-

მედი თემთა საბჭოები ამ სახელმწიფოთა პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ როლს ვერ ასრულებდნენ. ფაქტია, რომ აღმოსავლეთის თითქმის ყველა ქვეყანაში თანდათან ღრმავდებოდა მოსახლეობის ქონებრივ-სოციალური დიფერენციაცია, იზრდებოდა კონტრასტი მაღალ და დაბალ ფენებს შორის, ამ უკანასკნელთა აჯანყებებიც ხდებოდა, მაგრამ ცხადი გახდა, რომ სახელმწიფოს გარეშე ცივილიზებულ საზოგადოებას არსებობა არ შეეძლო.

აღმოსავლურისაგან არსებითად განსხვავდებოდა ბერძნული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესი. საბერძნეთის დიდ ნაწილში გვაროვნულ-თემარი წყობილება დემოკრატიულ სახელმწიფოში გადაიზარდა.

საბერძნეთში, მართალია, მიმდინარეობდა თანასწორთა საზოგადოების სოციალ-პოლიტიკური დიფერენციაცია, თანდათან ფართოვდებოდა ბელადების უფლება-კომპეტენცია, მაგრამ საკმაოდ დიდხანს მიწა თემების – სოფლურ და ქალაქურ დასახლებათა საერთო მფლობელობაში რჩებოდა. აღმოსავლეთისაგან განსხვავებით საბერძნეთში თანდათან ყალიბდებოდა მიწაზე საოჯახო საკუთრება. მოსახლეობის მცირე ნაწილი საკუთრებას ზრდიდა, უმრავლესობა მიწას კარგავდა. უმიწოდ დარჩენილნი წარმოების ამ ძირითად საშუალებას მიწათმფლობელებისაგან იღებდნენ იჯარით. მოსახლეობა არსებითად გაითიშა ორ კლასად – მიწათმფლობელ არისტოკრატიად და უმიწაწყლო დემოსად. პოლისებში ყალიბდებოდა ვაჭარ-ხელოსანთა ფენაც. თანდათან იზრდებოდა მონათა რიცხვი. მათი კონტინგენტი ივსებოდა როგორც ტყვედ ჩავარდნილი სხვატომელებისაგან, ისე გაღატაკებული და დავალიანებული ბერძნებისაგან. მაგრამ თანდათან გაფართოვდა ბერძნული დემოსის ბრძოლა თავისუფლების, პოლიტიკური თანასწორობისათვის. ამის საბოლოო შედეგი ის იყო, რომ ათენის ქალაქ-სახელმწიფოებში და სხვა პოლისებში აიკრძალა ე. წ. სავალო მონობა. რამდენადმე განსხვავებული სოციალ-პოლიტკიური მოდელი შეიქმნა სპარტაში.

ამდენად, ძველ საბერძნეთში სახელმწიფო თემზე კი არ გაბატონებულა, როგორც ეს მოხდა აღმოსავლეთის ქვეყნებში, არამედ თემთა კავშირიდან ამოიზარდა: პირველყოფილი გვაროვნულ-თემური დემოკრატიის სახელმწიფოებრივ დემოკრატიად გარდასახვის შედეგს წარმოადგენდა. ათენში სახალხო კრება გადაიქცა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ. იგი იღებდა კანონებს, აცხადებდა ომს, დებდა ხელშეკრულებებს, ირჩევდა თანამდებობის პირებს და ისმენდა მათ ანგარიშებს.

თითქმის ანალოგიური ფორმითა და შინაარსით მიმდინარეობდა პოლიტიკური განვითარების პროცესი რომში. ჩვენს ერამდე 753-509 წლებში რომს განაგებდნენ არჩეული მეფეები (ბელადები). მოქმედებდა სახალხო კრება, უხუცესთა საბჭო და სენატი. 509 წელს სენატის ლიდერებმა მეფე ტარკვინიუსი გადააყენეს და რომი რესპუბლიკად გამოაცხადეს. ზედაფენებიდან (პატრიციები) ირჩევდნენ კონსულებს, სენატორებს. რომის რესპუბლიკა 5 საუკუნე არსებობდა. იგი ქალაქ-სახელმწიფოდან უდიდეს იმპერიად გადაიქცა. პოლიბიოსის აზრით, რომის სახელმწიფო იყო მმართველობის ყველაზე საუკეთესო ფორმა, რომელიც ეყრდნობოდა როგორც დემოკრატიულ (სახალხო კრება), ისე მონარქიულ (კონსულები) და არისტოკრატიულ პრინციპებს. არსებული ინსტიტუტები ქმნიდნენ ჰარმონიულ მთლიანობას.

რელიგიას ძალიან დიდხანს პრაგმატისტული დანიშნულება ჰქონდა. ადამიანი მისი მეშვეობით ცდილობდა გაეადვილებინა არსებობა და საქმიანობა. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობდნენ ქურუმები და მეფეები. პოლითეიზმის ეპოქაში ადამიანები თვითონ ქმნიდნენ ღმერთებს „ხატად და მსგავსად თვისად". ქსენოფონტე კოლიფონელმა შეამჩნია, რომ ყოველი ტომი თავის ღმერთს საკუთარ გარეგნობას აძლევდა: ეთიოპელთა ღმერთი შავკანიანი და ბრტყელცხვირიანია, თრაკიულ ღმერთებს კი ქერა თმები და ლურჯი თვალები აქვთო. იგივე ითქმის ბერძნული პანთეონის ღმერთებზე, რომლებიც იქვე ახლოს ოლიმპოს მთაზე ბინადრობდნენ და ახლო ურთიერთობაც ჰქონდათ საზოგადოებასთან. ბერძნული მითების მიხედვით, ღმერთებს სექსუალური კავშირიც კი ჰქონდათ ადამიანებთან, რის შედეგადაც იბადებოდნენ მეფეები და გმირები. ერთ-ერთი ბერძნული მითის მიხედვით კოლხეთის მეფე აიეტი მზის ღმერთ ჰელიოსის შვილი იყო და ამდენად, სხვაზე მეტი უფლება ჰქონდა კოლხეთის სამეფო ტახტის მიმართ.

მაგრამ უკვე ოთხი-სამი ათასი წლის წინ შეიმჩნევა პოლითეიზმიდან მონოთეიზმზე, სამყაროს შემოქმედ ღმერთის რწმენაზე გადასვლის ტენდენცია. მემფისის (ეგვიპტე) ცნობილ წარწერაში მოხსენიებულია პტხი (უზენაესი), რომელიც არა მარტო ადამიანის, არამედ ღმერთების შემქმნელიცაა. მან გაანაწილა მცირე ღმერთები სხვადასხვა ადგილებში, დაარსა ტაძრები, მეფეები აღიჭურვა სუვერენული ხელისუფლებით. ფარაონთა ერთმმართველობა და მათი ღვთიური წარმომავლობის რწმენა ეგვიპტელ სწავლულებს ლოგიკურად კარნახობდა მონოთეისტურ პროვიდენციალიზმს. ამას ნათელყოფს, ეხნატონის (ძვ. წ. 1372-

1352) ეპოქის მოლვაწის ეიეს მიერ შექმნილი ჰიმნი: „ო რა! (მზის ღმერთი) მრავალი რამის შემქმნელი და მრავალი საიდუმლოს მატარებელი ხარ შენ, ერთად ერთო ღმერთო, რომლის გარეშე არაფერი არსებობს. შენ მარტომ შექმენი დედამიწა, ადამიანები, ცხოველები. ... შენ განსაზღვრავ ყოველი ადამიანის ადგილს. ყოველ მათგანს აძლევ საზრდოს და სიცოცხლის ვადას... შენ შორეული ზეცა იმისათვის შექმენი, რომ იქ ასულიყავი და თვალი გედევნებინა შენს მიერ შექმნილი სამყაროსათვის. შენ ერთი ხარ, მაგრამ მილიონობით ფორმაში გვევლინები" (6).

ეგვიპტის ფარაონმა ამენხოტეპ მესამემ (ძვ. წ. XIV ს.) ააშენა ამონრას ტაძარი. მისი შვილი ამენხოტეპ IV თითქმის აღარ ახსენებდა სხვა ღვთაებებს. მხოლოდ „ცხოველმყოფელ მზე ატონს" ეთაყვანებოდა. „ატონის დიდ ჰიმნში" იგი თავს აცხადებს ამ ღმერთის ერთად ერთ რჩეულად დედამიწაზე-ეხნატონად. ატონის სალოცავი ეხნატომნა აღმართა ამონის დიდი ტაძრის გვერდით. ამ კულტის დამკვიდრებაში აქტიურად მონაწილეობდა ფარაონის მეუღლე დედოფალი ნეფერტიტი. მეფე-დედოფალმა დაარსეს ახალი ქალაქი ახეტატონი, შექმნეს ახალი რელიგიური ცენტრი. ქურუმებმა არ მიიღეს ეს ახალი კულტი და ეხნატონის გარდაცვალების შემდეგ ძველ ღმერთებს დაუბრუნდნენ. ცდილობდნენ შთამომავლობისათვის დაევიწყებინათ ფარაონ ეხნატონის სახელი.

მაგრამ წარმართული ეპოქის თეოლოგთა შორისაც იყვნენ განათლებული ადამიანები, რომლებმაც მიზნად დაისახეს სამყაროს შესახებ უფრო სრული წარმოდგენის შექმნა. ისინი უკვე აღარ თვლიდნენ თავს გარემომცველი ბუნების ნაწილად, საკუთარი „მე" აღიქვეს პიროვნებად და სცადეს ბუნების კანონების შეცნობა. შექმნეს იდეალური საზოგადოების სურათი, რომელიც საგრძნობლად განსხვავდებოდა რეალურისაგან. ახლა უკვე სიკვდილი აღარ აღიქმებოდა როგორც მიწიერი ცხოვრების ახლებური გაგრძელება. გაჩნდა სულის უკვდავების რწმენა. ადამიანის ცოდვილ მიწიერ მისწრაფებას დაუპირისპირდა წმინდა ზეციური ცხოვრება. საფუძველი ეყრებოდა „ხსნის რელიგიას", რომლის მიხედვით ღმერთი განასახიერებდა არა ბუნების საიდუმლო ძალებს, არამედ სიწმინდეს, სამართლიანობის და სიკეთის უმაღლეს იდეალს. თუ გსურდა მისი კეთილი განწყობილება დაგეშსახურებინა, მაგიისათვის როდი უნდა მიგემართა, მიზნად უნდა დაგესახა საკუთარი თავისა და გარემომცველი გარემოს სრულყოფა.

ინდოეთში ხსნის რელიგიას საფუძველს უყრიდა ბუდიზმი,

ჩინეთში დაოიზმი და კონფუციანელობა, პალესტინაში – იუდაიზმი, იგივე იახვეს კულტი, რომლის მცნებები მოგვიანებით აისახა ბიბლიაში. იუდაიზმში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მესიის (მაშიახის), ღვთის მიერ გამოგზავნილი მხსნელის იდეამ. ებრაელებმა ირწმუნეს, რომ ღვთისგან შთაგონებული წინასწარმეტყველი გამოცხადდებოდა ამ ქვეყნად, რასაც მოჰყვებოდა სამართლიანობისა და კეთილდღეობის დამყარება არა მარტო ისრაელსა და იუდეაში, არამედ მთელ დედამიწაზე. ხსნის რელიგიებმა თითქოს გააახალგაზრდავეს ძველი ცივილიზაციები.

აქემენიდთა ირანი (ძვ. წ. VI ს.) მსოფლიოში პირველი იმპერია იყო მთელი ახლო აღმოსავლეთი რომ მოიცვა და შემწყნარებლური დამოკიდებულება გამოამჟღავნა ათობითი ხალხის ტრადიციების მიმართ. შედარებით მჭიდრო ეკონომიკურმა კონტაქტებმა ფაქტობრივად განაპირობა ახალი, უფრო ფართო შინაარსის კულტურის ჩასახვა-განვითარება, რაშიც თავის წელილი შეიტანა ამ იმპერიის გავლენის ქვეშ მოქცეულმა ყველა ქვეყანამ (მესოპოტამია, სირია, პალესტინა, მცირე აზია, სამხრეთ კავკასია).

მეცნიერთა მიერ დადგენილია, რომ ადამიანური მოდგმისა და საზოგადოებრივი ცივილიზაციის გავრცელების ძირითადი მიმართულება იყო მოძრაობა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ეს თეზისი საკმაოდ დამაჯერებლად არის დასაბუთებული, მაგალითად, თამაზ გამყრელიძის და ვიაჩესლავ ივანოვის წიგნში (5). ლინგვისტური, ისტორიულ-კულტურული და სხვა მონაცემების საფუძველზე მათ დაამტკიცეს, რომ ინდოევროპული ენობრივი ერთობის ხალხთა წინაპრები ცხოვრობდნენ არა ევროპაში, არამედ წინააზიაში. ინდოევროპული ენები დიდ მსგავსება-ნათესაობას ამჟღავნებს სემიტურ, შუმერულ, ხეთურ, ქართველურ, ელამურ, ხურიტულ, ურარტულ და სხვა აღმოსავლურ წინარე ენებთან, რაც თავისთავად გამორიცხავს ინდოევროპელთა მოსვლას ამ რიგიონში ევროპიდან (ამასვე ადასტურებს ამ ბოლო დროს არქეოლოგიური გათხრების შედეგად დმანისში აღმოჩენილი უძველესი ადამიანის თავის ქალები). ამ მეცნიერულმა დუეტმა ისიც დაამტკიცა, რომ წინაინდოევროპული ცივილიზაცია ტიპოლოგიურად ძველაღმოსავლური ცივილიზაციის წრეს ეკთვნის, რომ ინდოევროპელთა წინარე სამშობლო მახლობელი აღმოსავლეთი, წინააზია იყო.

ახალი ცივილიზაციის სათავეებთან უფრო მყარად ბერძნები დადგნენ. თალესმა სცადა სამყაროსა და „მეს" შორის სხვაგვარი მიმართების აღმოჩენა. მან გადააბიჯა მითოსურ აზროვნე-

ბას, რომლის მიხედვითაც „მე" არის სამყაროს შემადგენელი ნაწილი, მასთან ერთად შესამეცნებელი ობიექტი. მითი არ აღიქმებოდა, როგორც ვინმეს მიერ შექმნილი ამბავი, იგი გაიაზრებოდა რეალობის ასახვად კოლექტიური შემოქმედების დონეზე და მის ჭეშმარიტებაში ეჭვი არავის ეპარებოდა. თალესმა სამყარო აღიქვა როგორც „მე"-ს ობიექტი. ელინური აზროვნება დაინტერესდა კითხვით - „რა არის ყოველივეს საწყისი?" როგორც ტრადიციული რიელიგიის, ისე ფილოსოფიის დონეზე ელინები, ფაქტობრივად მივიდნენ ერთი ყოვლის მომცველი ღმერთის... ერთი ღვთაებრივი არსის აღიარებამდე" (5[ა]). ის მიიჩნიეს მთელი სამყაროს შემოქმედად. მაგრამ ბერძენ ფილოსოფოსებს ადამიანი არ გაუაზრებიათ ღმერთის წყალობის მომლოდინე პასიურ არსებად. ყურადღება გაამახვილეს მისი აქტიური საქმიანობის შედეგად შექმნილ საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების არსისა და მათი მნიშვნელობის შეცნობაზე.

დემოკრიტეს (460-370) მიაჩნდა, რომ თავდაპირველად ადამიანები ბუნების სტიქიურ მოვლენებთან ბრძოლის, საარსებო საშუალებათა მოპოვების საჭიროებამ გააერთიანა. შემდეგ ადამიანებმა გონების კარნახით შექმნეს არა მარტო საზოგადოებრივი დაწესებულებები, არამედ სახელმწიფოც. ამ უკანასკნელის მთავარი ფუნქციაა დაიცვას მოქალაქეთა ინტერესები, რასაც შესძლებს მხოლოდ სამართლიანი კანონების საშუალებით. ისტორია ცხადხყოფსო, რომ ამ მისიის შესრულება ყველაზე უკეთ შეუძლია დემოკრატიულ სახელმწიფოს. ტირანია და დესპოტიზმი კი დასაგმობია.

პლატონის აზრით, სახელმწიფოს შექმნა ისევე აუცილებელი იყო, როგორც საზოგადოების ჩამოყალიბება. ადამიანი თავის ძირითად მოთხოვნებს სახელმწიფოს გარეშე ვერ დაიკმაყოფილებს. ფილოსოფოსებმა კი უნდა შექმნან სახელმწიფოს ისეთი მოდელი, რომელიც რეალურად არსებულმა სახელმწიფოებმა, მათმა ლიდერებმა მართვა-გამგეობის სრულყოფისათვის უნდა გამოიყენონ. პლატონი სახელმწიფოს მხოლოდ ორ ფორმას – არისტოკრატიულ რესპუბლიკასა და მონარქიას – აღიარებდა. დემოკრატიას, ტირანიას და ოლიგარქიას არასრულყოფილ და დროებით ფორმებად მიიჩნევდა. სახელმწიფოს ძლიერებისა და წარმატების საფუძველი, პლატონის აზრით, კანონის უზენაესობის დამკვიდრება იყო. ეს დიდი ფილოსოფოსი სახელმწიფოს საზოგადოების ერთი ნაწილის მეორეზე ბატონობის იარაღად როდი თვლიდა. სახელმწიფოს ძირითად დანიშნულებად წოდებათა თანამშრომლობისა და მთელი საზოგადოების კეთილდღეობის

დამკვიდრებას აცხადებდა.

მაგრამ პლატონი მალე დარწმუნდა, რომ ფილოსოფოსებს თითქმის არავინ უსმენდა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ იდეალური მხოლოდ ღმერთების სახელმწიფო შეიძლება ყოფილიყო და არა ადამიანებისა. ამქვეყნიური სახელმწიფოს საფუძველი წარმოებას უნდა შეექმნა, იდეური კი – რელიგიას (10, 379).

არისტოტელეს აზრით, ადამიანი ერთად ერთი გონიერი, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოველია. იგი თავის სურვილების და მიზნების შესასრულებლად ქმნის სხვადასხვა ინსტიტუტებს და მათ შორის სახელმწიფოს, რომელიც თანდათან ჩამოყალიბდა თემების გაერთიანების გზით. მოქალაქეთა დაყოფა მდიდრებად, საშუალო ქონების პატრონებად და ღარიბებად ბუნებრივი მოვლენაა, მაგრამ სიმდიდრისა და სიღარიბის პოლარიზაცია დაუშვებელია. სახელმწიფო და მთელი საზოგადოება უნდა ცდილობდეს საშუალო ფენის რაოდენობის გაზრდას, რადგან ეს არის საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა შესუსტება-აღმოფხვრის ერთად ერთი გზა. ამის გარეშე დაირღვევა საზოგადოებრივი წესრიგი და მოქალაქეთა-მშვიდობიანი თანაცხოვრება. ამ მიზნის მიღწევა სახელმწიფოს სამივე ფორმის (მონარქია, არისტოკრატია, პოლიტეია) პირობებში შეიძლება. მაგრამ არაა გამორიცხული, რომ სახელმწიფოს სამივე ფორმა გადაგვარდეს: მონარქია გადაიქცეს ტირანიად, არისტოკრატია ოლიგარქიად, ხოლო პოლიტეია დემოკრატიად. ამის თავიდან აცილების წინაპირობაა, ის რომ სახელმწიფოს მართავდნენ არა პიროვნებები, არამედ კანონები. კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა კი შეუძლებელია, თუ მისი აღმასრულებელი ხელისუფალი არ არის აღზრდილი ინტელექტუალურად და ზნეობრივად. არისტოტელეს აზრით, იდეალთან ახლოსაა ის სახელმწიფო, სადაც დემოკრატია და ოლიგარქია ერთმანეთთან შეთანხმებულ-შერწყმულია. პირველად არისტოტელემ ჩამოაყალიბა სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორია, რომლის მიხედვით ცალცალკე, მაგრამ ჰარმონიულად ფუნქციონირებენ მმართველობის საკანონმდებლო, აღმასრულებელი და მართლმსაჯულების ორგანოები.

ჩვენს ერამდე 338 წელს მაკედონიის მეფე ფილიპემ ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები დაამარცხა, დაიმორჩილა და შექმნა პოლისების საერთო ბერძნული კავშირი. დემოკრატიული, მაგრამ დაქსაქსული საბერძნეთი მონარქიულმა მაკედონიამ გააერთიანა. ფილიპეს ძემ ალექსანდრემ კი გაილაშქრა აღმოსავლეთში, დაიპყრო სპარსეთი, მისი მომიჯნავე ქვეყნები და შექმნა

უდიდესი იმპერია (336-323 წწ.).

ალექსანდრე მაკედონელის მომენტალური იმპერიის შემადგენლობაში მოექცნენ ერთმანეთისაგან განსხვავებული ქვეყნები, სხვადასხვა კულტურისა და რელიგიის მატარებელი ხალხები. ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ იმპერია გაინაწილეს მისი არმიის სარდლებმა. შეიქმნა რამდენიმე ახალი თავისებური სახელმწიფო, რომელნიც წარმოადგენდნენ აღმოსავლური დესპოტიისა და ბერძნული პოლისური სისტემის ერთგვარ ნაერთს. მათ სათავეში ედგა მეფე – მონარქი, რომელსაც გააჩნდა თავისი დომენი (საკუთარი მიწა-წყალი), ჰყავდა მუდმივი არმია და ცენტრალიზებული ადმინისტრაციული აპარატი. მაგრამ ბევრი ქალაქი და მათზე მიწერილი სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები ინარჩუნებდნენ თვითმმართველობას. ბერძნული კულტურა შეერწყა ახლო აღმოსავლურს, ჩამოყალიბდა ელინისტური ცივილიზაცია.

გაერთიანებული მაკედონია – საბერძნეთსა და სხვა ელინისტურ სახელმწიფოებში სტაბილურობა როდი იყო. ხშირად ხდებოდა შინა დინასტიური ომები. იყო კონფლიქტები სამეფო ადმინისტრაციასა და თვითმმართველ ქალაქებს შორის. მალე ამას დაემატა რომის აგრესია. ჩვენს ერამდე 196 წელს რომის სახელმწიფომ დაიპყრო მაკედონია – საბერძნეთი და ბერძნულ პოლისებს დაუბრუნა „თავისუფლება", მოახდინა მონარქიული წყობილების ლიკვიდაცია, რითაც დაიმსახურა ბერძნული საზოგადოების გარკვეული ნაწილის სიმპატია. მაგრამ დემოკრატიის ნაცვლად გაბატონდა ოლიგარქია. მალე რომმა წინა აზია და ეგვიპტეც დაიპყრო. შეიქმნა პირობები აღმოსავლური, ბერძნული და რომაული ცივილიზაციების ურთიერთ გავლენისა და შერწყმისათვის.

გამარჯვებით მიმდინარე ომებმა, კონტრიბუციებმა და დაპყრობილი ხალხების ძარცვამ რომის სახელმწიფო გაამდიდრა. ქვეყანა მონებით აივსო. რომის თავისუფალმა მოქალაქეებმა, ქვედა და საშუალო ფენებმაც კი შეწყვიტეს შრომა. ნვრილი გლეხობა გაღატაკდა, ბევრი ქალაქს მიაწყდა, ლუმპენ პროლეტარიატის სახით ჩამოყალიბდა, რომელიც ცხოვრობდა სახელმწიფოსა და მდიდარი მოქალაქეების ხარჯზე. კუნძული დელოსი გადაიქცა მონათმოვაჭრეების ცენტრად, სადაც ყოველდღიურად დაახლოებით 10 ათასი მონა იყიდებოდა. ქალაქებში ბევრი იყო კვალიფიციური მონა, სწავლული და მეცნიერი (ძირითადად ბერძენი), რომლებთან შედარებით რომაელები ბარბაროსებად გამოიყურებოდნენ. სწორედ ისინი ინიშნებოდნენ არისტოკრატ-

თა შვილების აღმზრდელებად. ძლიერდებოდა რომაული კულტურის ელინიზაცია. რომის იმპერიაში განვითარების მაღალ დონეს მიაღწია იურისპუდენციამ, კანონმდებლობამ.

რომში გაჩაღებულმა შინა ომებმა და მონათა აჯანყებებმა გამოიწვია რესპუბლიკური წყობილების კრიზისი. ჩვენს ერამდე პირველ საუკუნის შუახანებიდან გაძლიერდა ცენტრალისტური ტენდენციები. პირველი ფაქტიური დიქტატორი გახდა სულა, მეორე – იულიუს კეისარი. მათ დროს ჩაეყარა საფუძველი იმპერიულ (მონარქიულ) წყობას. ცეზარის ნათესავმა ოქტავიანემ ჩვენს ერამდე 27 წელს რომის სენატისაგან მიიღო იმპერატორის წოდება, აგრეთვე ავგუსტუსის ანუ „ღმერთისაგან განდიდებულის" და „ღმერთის შვილის" ტიტულები, როგორც ეს ხდებოდა აღმოსავლეთის დესპოტიებში. მალე რომის მოქალაქეებმა ირწმუნეს, რომ იმპერიულ-მონარქიული წყობა და მისი მართვის ფორმები იდეალური იყო.

რომაულმა ცივილიზაციამ და იმპერიამ დეგრადაცია განიცადა ეკონომიკურ-სოციალურ და ზნეობრივ სფეროში. გადამწყვეტი დარტყმა მას მიაყენეს ბარბაროსობის სტადიაზე მდგარმა ტომებმა. რომაულმა ცივილიზაციამ კარგა ხნით შეწყვიტა არსებობა. დასავლეთ ევროპამ ბერძნულ-რომაული ცივილიზაცია აითვისა და არსებითად გააცოცხლა აღორძინების ეპოქაში.

ამგვარად, პირველყოფილი გვაროვნულ-თემური საზოგადოების დაშლისა და სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბების ერთიანი კანონზომიერი პროცესი არ დასტურდება. აღმავალ განვითარებას არც თუ იშვიათად რეგრესი ცვლიდა და პირუკუ. ერთმანეთს ენაცვლებოდა სახელმწიფოს ფორმები, მაგრამ სჭარბობდა მონარქიული ფორმის სახელმწიფოთა ჩამოყალიბების ტენდენცია, რაც კიდევ უფრო გაძლიერდა ძველი და ახალი საუკუნეების მიჯნაზე. კონკრეტული მასალები იმაზეც მიგვანიშნებენ, რომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში თანდათან იზრდებოდა რელიგიისა და სარწმუნოებასთან დაკავშირებული დაწესებულებათა მნიშვნელობა. მონოთეისტური მსოფლიო რელიგიების (ქრისტიანობა, მაჰმადიანობა) წარმოშობის შემდეგ ეკლესიის როლი კიდევ უფრო ამაღლდა.

რომში რწმენის, აღმსარებლობის თავისუფლება არსებობდა. ღია იყო ახალი ღმერთებისათვის. რომაულ პანთეონში ადგილს პოულობდნენ ბერძნული და დაპყრობილი ახლო აღმოსავლეთის ხალხთა ღმერთებიც. მაგრამ ქრისტიანობა ყველა მათგან არსებითად განსხვავდებოდა და რომის იმპერიის ხელისუფლება ქრისტიანობის პირველ მქადაგებლებს დევნა-შევიწროვებით

შეხედა.

ქრისტიანობამ მოიტანა ახალი იდეალები, ქცევის განსხვავებული ნორმები. ქრისტიანულმა მოძღვრებამ მკვეთრი ზღვარი გაავლო ციურ სამყაროსა და მიწიერ ცხოვრებას შორის. შემოქმედმა ღმერთმა სამყარო ადამიანისათვის შექმნა, მაგრამ ამ ქვეყნად მოვლენილი ადამიანის მიზანი ხდება ღმერთის შეცნობა, მის მცნებათა შესაბამისად ცხოვრება-საქმიანობა. ამას მოჰყვებოდა სულის ხსნა და გარდაცვალების შემდეგ იმქვეყნიურ სამოთხეში დამკვიდრება.

მამა ღმერთისაგან ქვეყნად კაცად მოვლინებულ ქრისტეს ჯვარზე გაკვრისა და წამების შემდეგ გავიდა სამი საუკუნე და რომის იმპერატორმა კონსტანტინემ იწამა ქრისტიანული მოძღვრების ჭეშმარიტება და იგი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. პოლითეისტური პროვიდენციალიზმი მონოთეისტური (ქრისტიანული) პროვიდენციალიზმით შეიცვალა. მონარქიას და ქრისტიანულ ეკლესიას შორის თითქმის ჰარმონიული, ფუნქციების მიზანმიმართულად განაწილებული ურთიერთობა დამყარდა.

თეოლოგიის მიხედვით ღმერთი წარმოადგენს აბსოლუტურ არსს, რომელიც არაფრისგან არ წარმოშობილა, არაფერს ეყრდნობა. იგი თვითვეა თავისი თავის მიზეზი. თვით განსაზღვრავს თავის ყოფიერების კანონებს. ღმერთი აბსოლუტურ ნებისყოფას ფლობს და უსასრულო, მუდმივი ძალაა. იგი სრულქმნილი გონება და ყოვლისშემძლეა. აბსოლუტურად ერთიანი აბსოლუტური ღვთაება სამპიროვანია. ღმერთი არის ყოფიერების სისრულე და როგორც აბსოლუტურად სრულყოფილი არ ექვემდებარება ცვალებადობას. ერთარსობა სამპიროვანი ღმერთი ყველა მიმართულებით აფრქვევს სიყვარულს.

პანთეიზმი აიგივებს ღმერთის ცნებას ბუნების, სამყაროს ცნებასთან. ამ თეორიის მიხედვით, ბუნება არ უპირისპირდება ღმერთს, როგორც მის შემოქმედს, არამედ მასთად ერთად განუყოფელ მთლიანობაში იყმოფება. ასე რომ ღმერთი ბუნებისათვის გარეგანი კი არ არის, არამედ მისდამი იმანენტური და იგივეობირივია. ღმერთი მოიცავს სამყაროს, სამყარო ღმერთშია.

რელიგიურ-ფილოსოფიური თეორია დეიზმი უარყოფს პიროვნული ღმერთის იდეას და მის ყოველდღიურ ჩარევას ბუნებისა და საზოგადოების განვითარებაში; ღმერთი არსებობს როგორც პირველმიზეზი, შემოქმედი სამყაროსი და მისი კანონზომიერებისა. მაგრამ შემოქმედებითი აქტის შემდეგ ღმერთი აღარ ერევა სამყაროს საქმეებში.

თეიზმი, როგორც რელიგიასთან ახლოს მდგომი თეორია,

მიზნად ისახავს განწმინდოს პანთეიზმი და დეიზმი იმ ელემენტებისაგან, რაც მათ აშორებს ტრადიციული, დოგმატური ღვთისმეტყველებისაგან. იმავდროულად ცდილობს გააერთიანოს პანთეიზმისა და დეიზმში არსებული ის ელემენტები, რომლებიც აახლოვებს მათ ჭეშმარიდ რელიგიურ მსოფლმხედველობასთან. თეიზმი აღიარებს ერთიან უმაღლეს საწყის, როგორც საგანთა არსებობის აუცილებელ საფუძველს, მის შემომქმედ თვისებას. მართალია, ღმერთი სამყაროზე მაღლა დგას, მაგრამ იგი სამყაროსგან მოწყვეტილი და განდგომილი როდია. ღმერთი სამყაროსთან შერწყმული არაა, მაგრამ თავის თავს ავლენს სამყაროში. თეოლოგთა აზრით, ღვთაებრივი განგების იდეა თეიზმს აძლევს სრულ უპირატესობას სხვა თეორიებთან მიმართებაში; ღმერთი სამყაროს გენეტიკური მზეზი კი არ არის, არამედ მარად მოქმედი მიზეზია. შემოქმედებითი აქტის შემდეგ, იგი უპატრონოდ როდი ტოვებს სამყაროს, მარადიულად ზრუნავს მასზე, ზეციდან განაგებს მას.

ღმერთისაგან განსხვავებით სამყარო საზღვარდადებული და არასრულყოფილია. ამის მაჩვენებელია მისი ცვალებადობა დროსა და სივრცეში. სამყაროში ბუნებრივ არასრულყოფილების გარდა ჩვენ ვხვდებით მრავალ სხვა ნაკლოვანებასაც, ირღვევა ზეციდან ნაბოძები კანონზომიერება. ირღვევა წესრიგი, რაც სულიერი (ზნეობრივი) სამყაროს სფეროში ვლინდება ბოროტების სახით, ხოლო ფიზიკურ სფეროში გადატრიალებებით და სხვა უბედურებათა სახით. ამიტომ ყოვლად სრულყოფილი არსება ღმერთი მარადიულად და ქმედითად ისწრაფვის სრულყოს ის, რაც არასრულყოფილია, დააყენოს სწორ გზაზე ის, რაც გზიდან აცდენილია. ეს გარემოებაც თავის თავად მიგვითითებს ღვთაებრივი განგების აუცილებლობაზე; ღმერთს არასრულყოფილს სრულყოფა რომ არ შეეძლოს, იგი არც იქნებოდა ღმერთი.

თეოლოგიის ფუძემდებლები გვაფრთხილებენ: „დეე ნურავინ ირწმუნებს მაცთურთა სისინს, რომელნიც ამბობენ, თითქოს ქრისტიანისათვის სულერთია სამოქალაქო ცხოვრებაში როგორი წესწყობილებაა... ჩვენ ქრისტიანები ამ სოფლად ვცხოვრობთ და ამ ქვეყნიდან არ გავალთ უფრო ადრე, ვინემ შემომქედმა დაგვიწესა. ამდენად სულ ერთი სულაც არაა რა ხდება ჩვენს სამოქალაქო ყოფა-ცხოვრებაში, რადგანაც ცხოვრების ესა თუ ის წესი, ესა თუ ის წყობა ან ხელს უწყობს ჩვენს ცხოვრებას, ანდა, პირიქით, დაბრკოლებას უქმნის, ... რამდენადაც, უეჭველია, ზეცა უკეთესია მიწაზე და ზეციური მიწიურზე, უსათუოდ ამდენადვე დედამიწაზე ყველაზე უმჯობესი ის უნდა იყოს, რაც ზეცი-

ური ხატების მიხედვითაა მოწყობილი... თავის ზეციური ერთმმართველობის დარად მოანყო ღმერთმა მიწაზე მეფობა, თავის ყოვლისმპყრობელობის მიხედვით – მეფური თვითმპყრობელობა, თავისი წარუვალი სასუფეველისადარად, საუკუნიდან საუკუნემდე რომ ჰგიეს – მეფობა მემკვიდრეობითი. ნეტარება ხალხსა და სახელმწიფოს, რომელშიც... ყოვლის მომცველ ცენტრად ქცეულა მეფე... და რომელიც სიბრძნით, სულგრძელობით, სიყვარულით ხალხისადმი, საყოველთაო სიკეთის სურვილით, კეთილის რჩევისათვის ყურის მიპყრობით, თავის წინამორბედთა და საკუთარი კანონების პატივისცემით ზღუდავს თავის შეუზღუდველ თვითმპყრობელობას ნებითა ზეციური მეუფისათა" (10ᵃ, 5-6).

ქრისტიანი სასულიერო მოღვაწეები უკვე ადრე ფეოდალურ ხანაში ქადაგებდნენ რომ მონარქის ერთმმართველობა, მისი კავშირი ეკლესიასთან აუცილებელია. ხალხს პატივისცემა-მორჩილების მოვალეობა აწევს არა მარტო ღმერთის, არამედ მეფის წინაშეც. მართლმადიდებელი ეკლესია, თავის წმინდანების მეშვეობით პირველ მრევლს ასწავლიდა: „ქრისტიანი მეფის სახე და წოდება დედამინაზე ცოცხალი ხატია და მსგავსება ქრისტე მეუფისა, რომელ არს ცათა შინა. რამდენადაც ადამიანი სულით თვისით ხატი და მსგავსია ღვთისა, ესრეთ ცხებული ღვთისა თავის სამეფო წოდებით ხატი და მსგავსია უფალ ქრისტესი". თეოლოგები იმასაც ნატრულობდნენ, რომ ხალხს მთლიანობაში აღექვა მეუფის ზეციური და მეფის მიწიერი სუვერენობა. ადამიანები მეფის სიყვარულით, მის კანონ-განკარგულებათა მორჩილებით და ერთსულოვნებით უნდა განშორებოდნენ იმას, რასაც ანალოგი არ ჰქონდა ზეცაში – დიდების მოყვარეობას, თვითნებობას, ანგრაებას, ბოროტ აზრებს და ბოროტმოქმედებას. მაშინ ყველა მიწიერი სამეფო იქნებოდა ღირსეული წინაკარი ზეციური სასუფეველისა, მიწიერი სამეფო შეიმოსებოდა ზეციური პირველხატის მადლით.

რომის იმპერატორ კონსტანტინეს გაქრისტიანებას დიდი სიხარულით შეხვდნენ მსოფლიო საეკლესიო კრების მამები. კრების დადგენილებაში ჩაიწერა: „მღვდელმთავარი საიმპერატორო ძალაუფლების კურთხევა და განმტკიცებაა, ხოლო საიმპერატორო ძალაუფლება სამღვდელოების ძალა და მხარდაჭერაა. სამღვდელოება იცავს ზეციურს და ზრუნავს მასზე, ხოლო იმპერატორის ძალაუფლება სამართლიანი კანონების გზით განაგებს მიწიერს. ზღუდე დაირღვა, სასუველი კავშირი დამყარდა". ამ აქტით კანონიკური ბეჭედი დაესვა სწავლებას ორი ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, რომელსაც ეკ-

ლესია ქადაგებდა და რომლითაც განიმსჭვალნენ როგორც ეკ-
ლესიის მამები, ისე ქრისტიანი ხელმწიფენი.

ეკლესიის მამების აზრით, ადამიანის ცხოვრება და მეფეთა მოღვაწეობა უნდა გააზრებულიყო მხოლოდ იესო ქრისტეს ღმერთ-კაცობრივ ცხოვრებასთან ზიარებით. ქრისტე დედამიწაზე კაცი იყო, ხოლო ზეცაში ღმერთად ამაღლდა. ქრისტეში ღვთიური და ადამიანური საწყისის შერთებამ საუკუნოდ განსაზღვრა ქრისტიანი მეფისა და ქრისტიანული ეკლესიის ურთიერთობა. მართლმადიდებლური აზრი საუკუნეების განმავლობაში აკითარებდა სიმფონის იდეას – მღვდელმთავრობისა და მეფობის ჰარმონიულ ერთობას, რომელიც მნიშვნელოვანნილად ღვთის განკაცების დოგმატიდან გამომდინარეობდა. ამავე იდეიდან გამოდიოდა ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე (VI ს.), რომელმაც განაცხადა: ღვთის უდიდესი წყალობაა მღვდელმთავრობა და მეფობა. რომელთაგან პირველი იღწვის ღვთიურ საქმეთათვის, ხოლო მეორე კი ზრუნავს ადამიანურ საქმეებზე. ორივე კი მომდინარეობს რა ერთი და იგივე წყაროსთვალიდან, წარმოადგენს ამქვეყნიური ცხოვრების სამკაულს" (10ª, 11-17).

მაგრამ ქრისტიანულ ეკლესიაში უკვე V საუკუნიდან გაჩნდა გადახრა. ალექსანდრიელი მონოფიზიტები არ სცნობდნენ იესო ქრისტეში ღვთიურთან ერთად ადამიანურ ბუნებას. დიოფიზიტები მათ მართლმადიდებელ მელქიტებად (მონარქისტებად) გამოაცხადეს, ხოლო მონარქიის მომხრე პატრიარქები „მელქიტურ" პატრიარქებად მონათლეს. მსოფლიო საეკლესიო კრებამ მონოფიზიტები გაიცხა. მალე კი ქრისტიანული ეკლესიის მთლიანობა დაირღვა. მხოლოდ მართლმადიდებელმა ეკლესიებმა შეინარჩუნეს მეფის (მონარქის) და პატრიარქის ხელისუფლებათა ჰარმონიზაციის იდეა.

თვითმპყრობელური მონარქიის იდეოლოგები და მათ შორის ხსენებული კათეხიზმოს შემდგენლები, ბუნებრივია, თითქმის არაფერს ამბობენ ხელისუფლების დანაწილების წარმართულ-ანტიკური ეპოქიდან მომდინარე თეორიის შესახებ. არც კი ახსენებენ წოდებათა წარმომადგენლების სათათბიროს, რომელიც შუა საუკუნეების ევროპის თითქმის ყველა მონარქიულ სახელმწიფოში მოქმედებდა და პარლამენტის ერთგვარი წინამორბედის როლს ასრულებდა. არაფერს ამბობენ რენესანსულ მოძრაობასა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციებზე, რომელთა შედეგი იყო კონსტიტუციონალიზმის საფუძველზე მონარქიის მოდერნიზაცია და მართვა-გამგეობის რესპუბლიკური მოდელის შექმნა. ეს მოვლენები უფრო საერო მოღვაწეთა, ის-

ტორიკოსთა და ფილოსოფოსთა განსჯის საგანი გახდა.

ჰეგელს თავისებური შეხედულება ჰქონდა კაცობრიობაზე, მის შემადგენელი ნაწილების შესახებ. ამ დიდი ფილოსოფოსის აზრით, ჩვენი პლანეტის მოსახლეობის ძირითადი რასები (კავკასიელები, მონღოლები, ეთიოპელები) ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ არა მარტო ფიზიკურად, არამედ გონებრივი განვითარების დონითაც. იგი აღნიშნავს, რომ ზანგები პირველყოფილი გულუბრყვილობიდან ჯერ არ გამოსულან, არ გააჩნიათ თავისი ინტერესების შეგნების უნარი. მონღოლებმა, მართალია, დასძლიეს ეს ბავშვური გულუბრყვილობა, დიდი მიდრეკილება გამოიჩინეს მოძრაობისადმი, შეუძლიათ სხვათა საცხოვრისის ნგრევა და მითვისება, მაგრამ შემოქმედებითი, აღმშენებლობითი უნარი მათ თითქმის არ გააჩნიათ. ამის შემდეგ ჰეგელი წერს: „კავკასიურ რასაშილა აღწევს გონი აბსოლუტურ იგივეობას. აქლა შედის გონი სრულყოფილ დაპირისპირებაში ბუნებითობასთან. თავის თავს იმეცნებს აბსოლუტურ დამოუკიდებლობაში, აღწევს თავის თავის განსაზღვრას, თავის თვითობის განვითარებას და მით მსოფლიო ისტორიას წარმოშობს... პროგრესი კავკასიური რასის გზითლა იწყება".

მაგრამ კავკასიურ რასაში ჰეგელი ორ განსხვავებულ ყაიდის ხალხებს ამჩნევდა. გამოყოფდა წინა აზიელებს და ევროპელებს. დღეს მათ მაჰმადიანები და ქრისტიანები განასახიერებენო. „მაჰმადიანებში ღმერთი აღარ განიხილება როგორც უშუალოდ გრძნობათა წესით არსებული, რასაც ადგილი აქვს უკანა აზიელებთან. არამედ იგი გაგებულია როგორც სამყაროს ყოველივე მოვლენაზე ამაღლებული ერთი უსასრულო ძალა. ამიტომაც მაჰმადიანობა ამაღლებულობის რელიგიაა". მაგრამ მისი მიმდევრები, ჰეგელის აზრით, ერთმანეთისაგან ვერ გამოყოფენ ზოგადსა და კონკრეტულს, საზოგადოებრივსა და პიროვნულს. ევროპელები კი ზოგადსა და საზოგადოებრივს ხედავენ, მაგრამ მასში არ იკარგებიან. „ქრისტიანული ღმერთი მხოლოდ განუსხვავებელი ერთი კი არაა, არამედ სამებაა, თავის თავში განსხვავებულობის შემცველი. ამ რელიგიურ წარმოდგენაში ზოგადისა და კერძოს დაპირისპირებას უდიდესი სიმკვეთრე აქვს და ამასთანავე იგი ერთიანობასთანაა უკუმიყვანილი. ამგვარად, აქ კერძო ისე გულმშვიდად როდია დატოვებული, როგორც ამას მაჰმადიანობაში ვხედავთ" (11, 61-64).

ჰეგელი კარგად იცნობდა კონსტიტუციურ-მონარქიული ინგლისის ცოდვასა და მადლს. მის დროს მოხდა აშშ-სა და საფრანგეთის რესპუბლიკების დაბადება. მაგრამ იგი დემოკრატიის

პანეგირიკი არ გამხდარა. არ დაუგმია ხელისუფლების სხვა ფორმები, სავსებით შესაძლებლად მიაჩნდა დემოკრატიული და მონარქიული სახელმწიფოების თანაარსებობა, მაგრამ უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებდა. ჰეგელი აკრიტიკებდა ყველას, ვინც აღმოსავლეთის დესპოტიზმს აიგივებდა ევროპის მონარქიულ სახელმწიფოებთან, სადაც დასაშვებად იყო მიჩნეული მეფის ეგიდით წოდებათა წარმომადგენლების საკრებულოს საქმიანობა. მისი აზრით, წოდებათა საკრებულოებს არ ჰქონდა და არც უნდა ჰქონოდათ საკანონმებლო ხელისუფლება. ჰეგელი განსაკუთრებით კარგად იცნობდა სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებულ გერმანიაში არსებულ „წოდებათა საკრებულოების" პრაქტიკულ საქმიანობას და კონკრეტული ფაქტების საფუძველზე აღნიშნავდა, რომ ეს ორგანოები თითქოს ხელისუფლების ერთ შტოს შეადგენდნენ, მაგრამ სინამდვილეში მათ მიერ გამოტანილ დადგენილებათა მიმართ „მთავრის ხელისუფლებას ის აბსოლუტური ძალა აქვს, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ამ უკანასკნელს ეკუთვნის... წოდებათა კრება კანონმდებელი რომ იყოს, მაშინ სახელმწიფო, როგორც ასეთი, დაიშლებოდა.მაშინ ალარ იქნებოდა მთავრობა, არამედ იარსებებდნენ მხოლოდ პარტიები, მათ მიერ ერთი მეორის დათრგუნვა და ძალადობა" (11, 319).

ჰეგელის აზრით, ხალხის (ერის) „სუბსტანციურ მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოდ ყოფნა და ასეთად თავის შენარჩუნება". უსახელმწიფო ხალხს ისტორია არ აქვს. იქვე დიდი ფილოსოფოსი მსჯელობს ზოგადად სახელმწიფოსა და რელიგიის მიმართების შესახებ; ზნეობრიობა იგივეა, რაც თავის სუბსტანციურ შინაარსზე დაყვანილი სახელმწიფო... ამ მიმართების მიხედვით, სახელმწიფო ემყარება ზნეობრიობის სულისკვეთებას, ხოლო ეს უკანასკნელი რელიგიურს, ვინაიდან რელიგია აბსოლუტური ჭეშმარიტების ცნობიერებაა - ის რაც თავისუფალი ნების სამყაროში ჯერ არს, რომ უფლებად და სამართლიანობად, მოვალეობად და კანონად იყოს... ცნობიერებისათვის რელიგია ზნეობრიობისა და სახელმწიფოს საფუძველია. ჩვენი დროის უზარმაზარი შეცდომა იყო, ეს ორი ურთიერთგანუყოფელი რამ გაყოფილად რომ წარმოიდგინა" (11, 318).

ჰეგელმა, რა თქმა უნდა იცოდა, რომ ევროპაში ფეოდალურ საზოგადოებას ქმნიდა მეფე, აზნაურები, სამღვდელოება და მესამე წოდება – ვაჭარ-ხელოსანთა ფენა. შესაკრებთა შორის წინააღმდეგობა არსებობდა, მაგრამ ისტორიას არ შეუქმნია კლასთა ბრძოლის გაფეტიშების საფუძველი. საადგილმამულო

და წარმოებით ურთიერთობათა დარეგულირება, ეკონომიკისა და ვაჭრობის განვითარება ყველა ფენების ინტერესებს პასუხობდა. ზოგჯერ, რა თქმა უნდა თავს იჩენდა წინააღმდეგობა ღვთისგან წყალობის მოიმედე მეფესა და ხალხის მხარდაჭერაზე დაყრდნობილ წოდებათა წარმომადგენლების სათათბიროს შორის. იყო მომენტები საქართველოშიც (დავით IV აღმაშენებლის დროს), უფრო გვიან საფრანგეთში, ესპანეთში, რუსეთში და ზოგ სხვა სახელმწიფოებში, როცა მონარქი აბსოლუტური ხელმწიფე ხდებოდა, წოდებათა წარმომადგენლობის სათათბირო იჩრდილებოდა, ან მთლიანად წვეტდა საქმიანობას, მაგრამ ეს საერთო კანონზომიერებად არ გადაქცეულა. ხელისუფლება ღვთიურ და ხალხურ საწყისებს ინარჩუნებდა. ხალხის ნება მეტი სიძლიერით ამოქმედდა XVII-XVIII საუკუნეებსა და მომდევნო პერიოდებში. ხალხთა თვითმოქმედების და რევოლუციების შედეგი იყო ეკონომიკურ-სოციალური და პოლიტიკური პროგრესი. დამყარდა თავისებური წონასწორობა. ბევრ ქვეყანაში დამკვიდრდა კონსტიტუციური მონარქია, სხვაგან შეიქმნა რესპუბლიკები. მაგრამ ტრადიცია მთლიანად არ გამქრალა. კონსტიტუციური მეფეცა და ხალხისაგან არჩეული პრეზიდენტიც ფიცს დებს ღვთისა და ერის წინაშე. კონსტიტუციურ-მონარქიული და რესპუბლიკურ სახელმწიფოთა თანაარსებობა-თანამშრომლობა ნორმალური მოვლენა გახდა. ჩვენს თვალწინ ისტორიის ანომალია – საბჭოური, ტოტალიტარული სისტემა გაქრა, აღმოსავლურ დესპოტურ სახელმწიფოთა თავისებური ანალოგი საბჭოური იმპერია დაიშალა. ამ რეჟიმისაგან გათავისუფლებული ხალხები დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე აშენებენ ეროვნულ სახელმწიფოებს. თანამედროვე ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილი ხდებიან.

ჩემს ზოგად წარმოსახვაში ასე გამოიკვეთა მსოფლიო ცივილიზაციის სრულყოფის პროცესი, სახელმწიფოებრიობის განვითარების, მის ფორმათა მონაცვლეობის ეტაპები. ნაშრომის ძირითად ნაწილში ამ საერთო საკაცობრიო მოვლენების ფონზეა გაშუქებული საქართველოს, ქართველი ხალხის პოლიტიკური თავგადასავალი. წიგნის მკითხველისათვის ნათელი გახდება, რომ ქართველური მოდგმის ტომები, ქართველი ხალხი და ერი აქტიური მონაწილე იყო ამ პროცესებისა. მისთვის არც გვაროვნულ-თემური დემოკრატია ყოფილა უცხო ხილი, არც მონარქია და არც რესპუბლიკური წყობილება. ქართველი ერი დღესაც აგრძელებს თავის კულტურული დონის ამაღლებას და მართვა-გამგეობის საუკეთესო მოდელის ძიებას.

ნაწილი პირველი

ქართლისა და ეგრისის მონარქიული სახელმწიფოები ჩამოყალიბებიდან XI საუკუნემდე

ნაშრომის შესავალში მოხსენიებული ქართველ ტომთა სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი წინა აზიისა და კავკასიის მიჯნაზე ყალიბდებოდა. ისინი ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში გაანადგურეს კიმირიელებმა და სკვითებმა. ამის შემდეგ დაიწყო ქართველთა კულტურულ-სახელმწიფოებრივი ცენტრების გადმონაცვლება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. კოლხური სახელმწიფოს ძირითადი ბირთვი გახდა რიონის და ჭოროხის აუზი. იბერიელებმა კი სახელმწიფოებრივი სტრუქტურები შექმნეს მტკვრის, ალაზნისა და იორის ველებზე.

ლეონტი მროველი, რომელმაც ჩამოაყალიბა თავისებური კონცეფცია, კავკასიელ ტომთა საერთო წინაპრად (ეთნარქად) ასახელებს იაფეტის ძის წულს თარგამოსს, რომელსაც ჰყავდა 8 შვილი - ჰაოსი, ქართლოსი, ბარდოსი, მოვაკან, ლეკ, ჰეროსსი, კავკას, ეგროსი. თარგამოსმა ქართლოსს მისცა ქვეყანა, რომელსაც აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა ჰერეთი, დასავლეთით პონტოს ზღვა, სამხრეთით მთები, რომელთაგან გამომავალი მდინარეები უერთდებოდნენ მტკვარს; ჩრდილოეთით-კავკასიონის ქედი. ქართლოსმა რეზიდენციად გაიხადა მტკვრისა და არაგვის შესაყარი ადგილი. მთაზე ააშენა ციხე-სიმაგრე, რომელსაც უწოდა სახელი თავისი – ქართლი. „ვიდრე აღმართებამდე მუნ ზედა კერპი არმაზისა, ერქვა მას ქართლი და მის გამო ეწოდა ყოველსა ქართლი ხუნანითგან ვიდრე ზღვამდე სპერისა" (34, 5-8).

იმავე ლეონტი მროველის გადმოცემით, ქართლოსს შეეძინა 5 შვილი – მცხეთოს, გარდაბოს, კახოს, კუხოს, გაჩიოს. ქართლოსის გარდაცვალების შემდეგ მისმა ცოლმა (ქვრივმა) ქვეყანა გაუყო ხუთ ძმას: გაჩნდა ტომობრივ-ტერიტორიული ერთეულები – გარდაბანი, გაჩიანი, კახეთი, კუხეთი. ქართლოსის უფროს ვაჟს ერგო შიდა ქართლი და მან ააშენა თავის სახელობის ქალაქი – მცხეთა. „მცხეთოსი იყო გამგე და უფალი მათ ოთხთავე ძმათა ზედა" (34, 9).

ლეონტი მროველი, ალბათ ეყრდნობოდა ძველ გადმოცემას, რომელშიც შერწყმული იყო მითისა და სინამდვილის ელემენტები. იგი ასახავს იმ პერიოდს, როცა გვაროვნული თემები ტომებად ერთიანდებოდნენ, ყალიბდებოდა შედარებით მსხვილი ტერიტორიული გაერთიანებანი. ამ ჰიპოთეზას მეტ დამაჯერებ-

ლობას ანიჭებს ლეონტის თხზულების მომდევნო მონაკვეთი, სადაც ვკითხულობთ: „ხოლო ვითარცა მოკვდა მცხეთოს, ძე ქართლოსისა, შთავარდა შური შვილთა ქართლოსისათა; იწყეს ბრძოლად და ხდომად ურთიერთას. რამეთუ უფლოსს, ძესა მცხეთოსისასა არა ერჩდეს, არცა ხადოდეს უფლად... და გაგრძელდა მათ შორის ბრძოლა... და არავინ იყო მათ შორის უწარჩინებულეს და უსახელოვნეს, არამედ ადგილითი – ადგილად თავადნი იჩინიან. ხოლო ვინცა იყვის მცხეთას, რეცა თავადი იყვის ყოველთა მათ სხვათა ზედა. და არცა სახელდებოდა მეფედ, არცა ერისთავად, აარმედ მამასახლისი ეწოდებოდათ. და იგი იყვის მაზავებულ და ბჭე სხვათა ქართლოსიანთა" (34, 10-11) ლეონტის მიაჩნია, რომ სწორედ ამ დაშლილობის ხანაში ქართლოსიანებმა დაივიწყეს ღმერთი დამბადებელი მათი და იქმნეს მსახურ მზისა და მთვარისა და ვარსკვლავთა ხუთთა და უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისა.

გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ლეონტი მროველის მიერ აღწერილი ქართლის მამასახლისობის ხანა ქრონოლოგიურად დიაოხისა და კოლხას არსებობის პერიოდს ემთხვევა. ამის შემდეგ ლეონტი ლაპარაკობს ხაზართა (კიმირიელთა და სკვითთა – ა. ბ.) შემოსევაზე. მომდევნო გვერდებზე ეხება სპარსელთა აღზევებას, მათ გაბატონებას „თარგამოსიანთა ზედა". ლეონტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ განდიდდა სპარსეთის მეფე ბარამი, დაიპყრო ბაბილონი და ასურეთი „და მაშინ ქართველნი მოხარკე იყვნეს მისადვე". ლეონტის ვერსიით, რომელიც უახლოვდება რეალობას, ქართველური ტომები და მათი გაერთიანებანი სპარსეთის სახელმწიფოს გავლენის ქვეშ რჩებოდნენ ალექსანდრე მაკედონელის ახლო აღმოსავლეთში შემოჭრამდე.

მაკედონია-საბერძნეთის მბრძანებელმა ალექსანდრემ წარმატებით ილაშქრა, დაიპყრო აზიის ტერიტორიები ხმელთაშუა ზღვიდან ინდოეთამდე. იგი უშუალოდ არ შემოსულა საქართველოში, მაგრამ „მოქცევაი ქართლისაის" ავტორი გვაუწყებს, რომ ქართლში შემოიჭრა ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთი ქვეშევრდომი სარდალი – არიან ქართლის მეფის ძე აზო. მან დაიკავა მცხეთა. იქვე დააფუძნა არიან ქართლიდან მოყვანილი წარჩინებულთა 8 სახლი და მამამძუძეთა 10 სახლი. მცხეთის ქვეყანაში აზომ დაანესა წარმართულ ღვთაებათა გაცისა და გას კულტი. ქრონიკის ავტორის გადმოცემით აზო იყო „პირველი მეფე მცხეთასა შინა" (36, 81-82).

აზოს, როგორც ისტორიული პიროვნების არსებობას, ლეონტი მროველიც ადასტურებს, მაგრამ მისი აზრით, აზონი იყო

არა არიან ქართლის მეფის ძე, არამედ უცხო სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომელიც დამპყრობელი ძალის ხელისუფლებას განასახიერებდა. აზოსა და მისი ჯარის წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა მცხეთის მამასახლისის სამარას ძმისწული ფარნავაზი. მან საკუთარი სასხსრებით (განძი) და გაერთიანებულ თემების მამასახლისთა დახმარებით შეკრიბა მრავალრიცხოვანი ლაშქარი. ფარნავაზმა კავშირი დაამყარა ეგრისის ერისთავ ქუჯისთან, გამოიყენა აგრეთვე ლეკთა, ოსთა, დურძუკთა შეიარაღებული რაზმები, დაამარცხა აზონის ჯარი და თავი ქართლის მეფედ გამოაცხადა. ასე რომ, მცხეთის მამასახლისის ძმისწული სახალხო კრებას და უხუცესთა საბჭოს კი არ აურჩევია მეთაურად, არამედ ფარნავაზი სუვერენული მეფე გახდა ძირითადად საკუთარ ძალებზე დაყრდნობით, სწორი საშინაო და საგარეო პოლიტიკის მეშვეობით და რაც მთავარია ქართლის ღვთაებათა დახმარებით. ამიტომ ფარნავაზმა მთვარის ღვთაებას თორ-აბჯრით შემოსილი მრისხანე მეომრის სახე მისცა და არმაზის კერპი მცხეთის მოპირდაპირე მთაზე აღმართა, დაამკვიდრა წარმართული დღესასწაული არმაზობა. ხალხმა (რომლის ქონებრივ-სოციალური დიფერენციაცია უკვე დაწყებული იყო) ირწმუნა, რომ ფარნავაზი სუვერენულ, ლეგიტიმურ მონარქად იქცა ღვთაებათა ნებითა და დახმარებით.

ამ დროს (ჩვენს ერამდე IV საუკუნე) ქართლის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდნენ თავისუფალი მეთემენი (ერი), რომელთაც მეთაურობდნენ რეგიონებისა და სოფლის მამასახლისები, უხუცესთა საბჭოები. ფუნქციონირებდნენ აგრეთვე ათასის და ასის თავები. ახალმა მეფემ რეგიონთა მამასახლისები ერისთავებად გადანათლა და საჯარო ხელისუფლებით აღჭურვა. გარკველი მოვალეობები დაეკისრა სოფლის მამასახლისებს, ათასის და ასის თავებს.

ფარნავაზი ქვეყნის უზენაესი მმართველი, შეუზღუდავი მონარქი ბრძანდებოდა. ომის დროს თვით მეფე მთავარსარდლობდა, მაგრამ მისი თანაშემწე სპასპეტი იყო, რომელიც შიდა ქართლსაც განაგებდა. დანარჩენი სამეფო ფარნავაზმა 7 ადმინისტრაციულ ერთეულად – საერისთაოდ დაყო: 1) კახეთი, 2) გარდაბანი, 3) ტაშირი და აბოცი, 4) ჯავახეთი, კოლა, არტაანი, 5) სამცხე და აჭარა, 6) კლარჯეთი, 7) არტანუჯი. ცალკე საერისთაოდ გამოცხადდა აქამდე დამოუკიდებლად არსებული ქუჯის სამფლობელო ეგრისიც. სპასპეტის დავალება-ბრძანებით კრებდნენ ერისთავები ლაშქარს, აგროვებდნენ სახელმწიფო გადასახადებს. დიდი ყურადღება ექცეოდა ციხე-სიმაგრეების მშენებლო-

ბას, გზების გაყვანა-შეკეთებას. ფარნავაზისა და მისი უახლოესი მემკვიდრეების დროს შეიქმნა დიდი მცხეთის თავდაცვითი სისტემა, რომელიც აკონტროლებდა შიგა და სასაზღვრო კომუნიკაციებს.

იბერიის (ქართლი) სამეფოს უკვე ფარნავაზის დროს გაუჩნდა სახელმწიფოებრიობის ყველა ნიშანი: მეფის ხელისუფლება მემკვიდრეობითი გახდა. ქვეყანა დაიყო ადმინისტრაციულ ერთეულებად. ჩამოყალიბდა საჯარო ხელისუფლება, გაჩნდა მოხელეთა ფენა. დაიწყო სახელმწიფო გადასახადების აკრეფა. მეფისა და მისი ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია იყო შინაგანი მშვიდობის დამყარება და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლა. მაგრამ ფარნავაზმა და მისმა მემკვიდრეებმა ერთი ხელის დაკვრით როდი მოსპეს გვაროვნულ-თემური ორგანიზაციის ყველა ელემენტი. სახალხო კრება, უხუცესთა საბჭო და სხვა დაწესებულებანი თანდათან ერწყმოდნენ სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს. თავისუფალი მეთემეები სოფლის მმართველობისა და მართლმსაჯულების სფეროში გარკვეულ თვითმმართველობას ინარჩუნებდნენ.

ღვთაება მეფის ხელისუფლების სიმტკიცის, მისი ლეგიტიმურობის საფუძველი გახდა. ფარნავაზის მემკვიდრეებმა გააგრძელეს ტრადიცია. მეფე საურმაგი არ დასჯერდა არმაზის ღვთაებას (კერპს), აღმართა აგრეთვე კერპი „აინინა", ხოლო მირვანმა დანერგა „დანინას" კულტი. მის შემდეგ ქართლის სამეფო ტახტზე იჯდა ფარნაჯომი და მან „აღმართა კერპი ზადენ მთასა ზედა" და იქვე აღაშენა ციხე. ქართული წარმართული პანთეონის მრავალსახეობა (პოლითეიზმი) საშიშროებას როდი უქმნიდა ლეგიტიმური მეფის ხელისუფლების სიმტკიცეს. ამაზე თავისთავად ღაღადებს ის ფაქტი, რომ ქართლში წარმართნი, კერპთაყვანისმცემელნი ფარნავაზიანთა დინასტიის წარმომადგენლები რამდენიმე საუკუნე მეფობდნენ და უმეტესი მათგანი ღირსეულად ემსახურებოდა ქვეყანასა და ხალხს. ქართველებმა გაითავისეს ეს საგვარეულო, მისი მეთაურობით ებრძოდნენ გარეშე მტრებს და შინაგამცემლებს, როცა ისინი ხელს აღმართავდნენ მეფის წინააღმდეგ.

ფარნავაზის გარდაცვალების შემდეგ ქართლის ტახტზე დაჯდა ძე მისი საურმაგ. ლეონტი მროველი გვაუწყებს, რომ ერისთავებმა არა ხელსაყრელად მიიჩნიეს მისი მეფედ აღიარება და დაადგინეს - „მოვკლათ ჩვენ საურმაგ და ვიყვნეთ ჩვენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვენით პირველ... რამეთუ ესრეთ ყოფითა უფრო განვისვენებთ" (34, 26).

ეს გვაროვნულ-თემური ოპოზიცია იყო, თუ ახლად ჩასახულ დიდებულთა ფენის ბრძოლა მეფის ხელისუფლების შეზღუდვისათვის, ძნელი გასარკვევია.

მაგრამ საურმაგმა თავი გაარიდა საშიშროებას. მას უერთგულეს აზნაურებმა (ეკონომიკურ-სოციალურად დაწინაურებულმა ფენამ). საურმაგმა დახმარება სთხოვა აგრეთვე ოვსთა მეფეს, თავის მამის დისწულს. მოკავშირედ გაიხადა დურძუკებიც. განდგომილი ერისთავები დამარცხდნენ. საურმაგმა მეფობა დაიბრუნა, მოღალატე ერისთავები დაამდაბლა, დააწინაურა აზნაურები.

საურმაგს ძე არ ყავდა. ამიტომ „მოიყვანა სპარსეთით შვილი ნებროთისა, ნათესავთაგან ცოლისა მისისა... და დაიჭირა იგი შვილად, რომელსა ერქვა სახელი მირვან და მისცა ასული თჳსი ცოლად". საურმაგის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა მისი ნაშვილები მირვანი. მაგრამ დინასტია არ შეცვლილა. რაკი ახალ მეფეს ფარნავაზიანთა ასული ჰყავდა ცოლად, ჩამომავლობა მისი ხაზით გაგრძელდა.

ქართლის მეოთხე ფარნავაზიანმა მეფემ ფარნაჯომმა რატომღაც უარი თქვა მამა-პაპათა სარწმუნოებაზე და შეიყვარა სჯული სპარსთა (არაა გამორიცხული პართიის მბრძანებლის ზეწოლა) და თავის ქვეყანაში მოიყვანა ცეცხლმსახური მოგვები. „ამისთჳს მოიძულეს იგი მკვიდრთა ქართლისათა, რამეთუ დიდი სასოება აქჳნდათ კერპთა მიმართ". ერისთავებმა დახმარება სთხოვეს სომეხთა მეფეს. აღარ გვინდა ჩვენი სჯულის მოღალატე.. მოგვეც ძე შენი არშაკ, რომელსა უზის ცოლად ნათესავი ფარნავაზიანთა, მეფეთა ჩუენთა... იყოს მეფედ ჩვენდა ძე შენი არშაკ და დედოფლად ჩვენდა ცოლი მისი, შვილი მეფეთა ჩჳენთა". დიდ ბრძოლაში მამა-პაპათა სჯულის დამგმობი ფარნაჯომი დამარცხდა, არშაკმა ქართლის სამეფო ტახტი დაიკავა. ფარნაჯომის ერთი წლის ვაჟი მირვანი მამამძუძემ სპარსეთს გადახვეწა (34, 29-30).

ლეონტი მროველის ვერსიით, ქართლში არშაკუნიანები ორი-სამი ათეული წელი მეფობდნენ ამასობაში სპარსეთს გადახვეწილი მირვანი დავაუკაცდა, მრავალგზის გამოიჩინა საზრიანობა და გმირობა. მირვანმა მოიწადინა მამის მემკვიდრეობის მიღება და დიდი ჯარით შემოიჭრა ქართლში. მან მოციქულების პირით ერისთავებს განუცხადა, რომ მამა-პაპათა სჯულის დატოვებისათვის მამაჩემი სამართლიანად მოიკლა. ამიტომ ჩემი მხრიდან შურისძიების არ უნდა გეშინოდეთ. „მე ვარ შვილი მეფეთა თქვენთა ფარნავაზიანთა. დაღაცათუ აღზრდილი სპარსთა

მიერ, არამედ ვარ მე სჯულსა ზედა მამათა თქვენთასა და ვესავ მე ღმერთთა მპყრობელთა ქართლისათა და სასოებითა მათითა წარმართებულ ვარ ძიებად მამულისა ჩემისა, აწ ითუალეთ ჩემგან დიდება და კეთილი" (34, 31). ერისთავებმა არ ინებეს მირვანის მორჩილება, მხარში ამოუდგნენ არშაკუნიან ბარტამს, რომლის ძარღვებში ფარნავაზიანთა ასულის სისხლი სჩქეფდა. მხოლოდ აზნაურნი და არა წარჩინებულნი გადავიდნენ მირვანის მხარეს. პართიის ჯარის დახმარებით მირვანმა გაიმარჯვა. მისი მოცილე ბარტამი ბრძოლაში დაიღუპა. მირვანმა უსაფრთხოების დაპირებითა და ფიცით ერისთავები შეირიგა. ალბათ წინააღმდეგობების აღმოფხვრის მიზნით, მირვანმა ცოლად შეირთო ბარტამის ქვრივი და კარგახანს მართავდა ქართლს (34, 32-33).

მირვანის გარდაცვალების შემდეგ ქართლში გამეფდა მისი ძე არშაკი (მეორე) „ხოლო ესე არშაკი იყო დედით არშაკუნიანი, მამით ნებროთიანი და ფარნავაზიანი". ბარტამის ძე ადერკმა გადაწყვიტა რევანშის აღება, სომხეთიდან ჯარით შემოიჭრა ქართლში. ორდღიან ბრძოლაში ადერკმა გაიმარჯვა, მოკლა არშაკი. მაგრამ ბარტამის ძემ თავის ჯარს მოუწოდა აღარ გაეგრძელებინათ ბრძოლა ქართველების წინააღმდეგ. მანვე ასე მიმართა ერისთავებს: „მე ვარ შვილი მეფეთა თქვენთა და სუესა ჩემსა მოუცია მეფობა ჩემდა". ერისთავებმა მას მიუგეს: „შენ გამოსჩნდი უმჯობესი ყოველთა შორის ნათესავთა ფარნავაზიანთა. რადგან მოკვდა მეფე ესე ჩვენი, აწ შენ ხარ მეფე ჩვენი" (34, 33-35).

ლეონტი მროველი მონარქიული ლეგიტიმიზმის თაყვანისმცემელი იყო, მაგრამ მისი მონათხრობი ფარნავაზიან მეფეთა მონაცვლეობის შესახებ მარტო მის დროს დამკვიდრებულ პრინციპებს როდი ასახავს. როგორც ჩანს, ფარნავაზის გამეფებიდან ძალიან მალე ქართლში ჩამოყალიბდა დაუწერელი კანონი, ტრადიცია, რომლის მიხედვით დინასტიის წარმომადგენელთა უფლებამოსილებას სამეფო ტახტის მიმართ, განსაზღვრავდა საერთოდ სისხლით ნათესაობა, არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას სამეფო ტახტის პრეტენდენტი მამის თუ დედის მხრიდან იყო ფარნავაზიანი.

ფარნავაზიანთა მეფობის ორი-სამი საუკუნის განმავლობაში წინ წავიდა საქართველოს ეკონომიკა, განვითარდა მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა, გაფართოვდა საშინაო და საგარეო ვაჭრობა. შესაბამისად დაჩქარდა მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციის პროცესი.

ბერძენ გეოგრაფოს სტრაბონის თხზულების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართლის მოსახლეობის გვაროვნუ-

ლი ნიშნით ჩამოყალიბებულ ფენებს პირველ საუკუნეებში უკვე ჰქონდათ მიღებული სოციალ-პოლიტიკური შინაარსი. ქვეყანაში ცხოვრობდა ოთხი გვარის (ფენის) ხალხი და ყოველ მათგანს გააჩნდა გარკვეული ფუნქცია. პირველ გვარში შედიოდნენ მეფე და სეფეწულები. ქართლი (იბერია) წარმოადგენდა მონარქიულ სახელმწიფოს და მის სათავეში იდგა მეფის საგვარეულო, რომელსაც სეფე გვარი ეწოდებოდა. გვარის უფროსი ტახტზე იჯდა, „დიდი მეფის" ტიტულს ატარებდა. მეფე განაგებდა სახელმწიფოებრივი საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს. მას ემორჩილებოდნენ სამხედრო და სამოქალაქო დიდი მოხელენი. მეფის შემდეგ მეორე ხელისუფალი იყო უმაღლესი გვარიდან სპასპეტი, რომელიც მთავარსარდლისა და უზენაესი მსაჯულის მოვალეობას ასრულებდა. სეფეწულები ინიშნებოდნენ აგრეთვე მეფისნაცვლებად დიდ რეგიონებში. სამეფო საგვარეულო უშუალოდ ფლობდა დიდ ტერიტორიას და გარკვეულ შემოსავალს იღებდა მასზე მცხოვრები მოსახლეობისაგან, რომელიც ტყვეებისა და სახელმწიფოს მიერ ადმინისტრაციული გზით დაქვემდებარებული მეთემეებისაგან შედგებოდა.

მეორე გვარში (სოციალურ ფენაში) შედიოდნენ წარმართული სარწმუნოების ქურუმები, რომელთა განკარგულებაში იყო სატაძრო მამულები და შესაწირავების გზით დაგროვილი განძი. ისინი განაგებდნენ რელიგიურ საქმეებს და იმავდროულად ზრუნავდნენ მეზობლებთან სადაო საკითხების ამა თუ იმ ფორმით გადაწვეტისათვის.

სტრაბონისეულ მესამე გვარს ავსებდნენ თავისუფალი მეთემეები, რომლებსაც მიწათმოქმედთა და მეომართა ფუნქციები ჰქონდათ დაკისრებული. ამ ყველაზე მრავალრიცხოვან ფენაზე იყო ძირითადად დამოკიდებული სახელმწიფოს მატერიალური კეთილდღეობა და თავდაცვისუნარიანობა. გვაროვნული წყობიდან გადმოსული ინსტიტუტების სახით არსებობდნენ ასის და ათასის თავები, რომელნიც ერისთავებს ემორჩილებოდნენ და მათი მეშვეობით მეფის ნებას ასრულებდნენ.

მეოთხე გვარის (ფენის) ხალხს უკვე დაკარგული ჰქონდა თავისუფლება. სტრაბონი მათ „ლაოებს" – სამეფო მონებს უწოდებს. ისინი სამეფო საგვარეულოს, მასში შემავალ ოჯახებს ემსახურებოდნენ. ძირითადად დასაქმებული იყვნენ ციხე-სიმაგრეების, სასახლეების, გზებისა და არხების მშენებლობაზე. მუშაობდნენ აგრეთვე მაღაროებსა და სახელოსნოებში. ნავებზე მენიჩბის მოვალეობას ასრულებდნენ, სასახლეში ხელზე მოსამსახურისას. მაგრამ ჩანს, რომ მონურ შრომას არ მიუღია ფართო ხასი-

ათი და ამდენად წარმოების მონათმფლობელური წესი ჩანასახოვანი მოვლენა იყო. ძველი და ახალი საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში არსებობდა ადრეკლასობრივი საზოგადოება, რომელიც ითავსებდა გვაროვნულ-თემური წყობილებისათვის დამახასიათებელ ინსტიტუტებს. აღსანიშნავია, რომ წარმოების ძირითადი საშუალება მიწა საგვარეულო-სათემო მფლობელობაში იმყოფებოდა, ერთპიროვნული საკუთრება არც ზედა ფენას გააჩნდა და არც ქვედა ფენას.

ლეონტი მროველის ვერსიით ქართლის მეათე მეფე იყო ადერკი. „ხოლო პირსელსავე წელს მეფობისა მისისა იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ბეთლემს ურიასტანინსასა". ლეონტის თხზულების ერთ-ერთ ჩანართში კი აღნიშნულია, რომ როცა ქრისტეს ჯვარზე აკრავდნენ, კვერის (ჩაქუჩის) ხმამ მცხეთამდე მიაღწია. ჯვარზე გაკრული უფლის კვართი კი წილად ხვდა მცხეთელ ურიას (ებრაელს) ელიოზს და მის თანამგზავრს. მათ იესო ქრისტეს კვართი მცხეთაში ჩამოიტანეს. ელიოზს პირველი შეხვდა მისი და, რომელმაც ეს რელიკვია გოდება-ტირილით გულში ჩაიკრა და მყისვე სული განუტევა. ელიოზმა თავის და გულში ჩაკრულ კვართთან ერთად მიაბარა მიწას „ხოლო წმიდა იგი კუართი წმიდავე უკუ დაშთა და წმიდავე გიეს, ვითარცა წერილს არს ესე განცხადებულად მოქცევასა ქართლისასა" (34, 37).

მეფეთა ცხოვრების ავტორი კი გადმოგვცემს: „და შემდგომად ამაღლებისა უფლისა, რა ჟამს წილ იგდეს მოციქულთა, მაშინ ყოვლად წმიდასა ღრმთის მშობელსა წილად ხვდა მოქცევად ქვეყანა საქართველოსა. და ჩუენებით, ეჩუენა მას ძე მისი, უფალი ჩვენი და რქუა: ჰოი დედაო ჩემო, არა უგულვებელყო ერი იგი საზეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის. ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხუედრებულისა და თანა წარატანე ხატი შენი ვითარცა პირსა შენსა დადებითა გამოისახოს. და შენ წილ ხატი იგი შენი მკვიდრობდეს მეტყუელად მათ და უკუნისამდე ჟამსა". ლეონტი იმასაც გვაუწყებს, რომ ანდრია მოციქული და სვიმონ კანანელი კიდეც მოვიდნენ „აფხაზეთსა და ეგრისს". და მუნ აღესრულა წმიდა სვიმონ კანანელი ქალაქსა ნიკოფსიისასა, ხოლო ანდრიამ მოაქცივნა მეგრელნი და წარვიდა გზასა კლარჯეთისასა" (34, 37-38).

ფაქტია, რომ ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეშივე დაიწყო საქართველოში ქარისტიანობის გავრცელება, მაგრამ კარგა ხანს მოსახლეობის გაცილებით დიდი ნაწილი ისევ წარმართულ ღმერთებს სცემდა თაყვანს. მეტ-ნაკლები პატივიცე-

მით სარგებლობდნენ არმაზი, გაცი, გაიმ და სხვა კერპები. ბერძნულ-რომაული წყაროები ეგრისთან დაკავშირებით იხსენიებენ ღვთაება ფაზისს, რომლის ქანდაკება იდგა ქალაქ ფასისის შესასვლელში და იყო უხვწყლიანობის სიმბოლო. აღმერთებდნენ აგრეთვე მზეს, იგივე ქალღმერთს, რომელსაც ქართულ წარმართულ პანთეონში მთვარის ღვთაების შემდეგ მეორე ადგილი ეკავა. მაგრამ ქართულ ენაში დარჩა კვალი მზის – დედა ღვთაების უპირატესობისა (დედამიწა, დედექალაქი, დედაბოძი და სხვ.).

სულიერ კულტურასთან ერთად მაღლდებოდა მატერიალურ-სამეურნეო კულტურა. ანტიკური პერიოდის დასაწყისში საბოლოოდ დამკვიდრდა რკინის ხანა. განვითარდა მეტალურგია და მისი შესატყვისი ხელოსნობის დარგები. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და მათ შორის მთის რეგიონებში აღმოჩენილი რკინის იარაღები ამართლებენ ბიბლიურ გადმოცემას იმის შესახებ, რომ „თობელი (აგრეთვე ხალიბი – ა. ბ.) იყო კვერით ხურო მჭედელი რვალისა და რკინისა". ქართველი ხელოსნები დასპეციალდნენ აგრეთვე ოქრო-ვერცხლის ნივთებისა და სამკაულთა დამზადების ხელოვნებაში. ამაზე თავად მეტყველებენ საქართველოს მუზეუმებში გამოფენილი ექსპონატები.

მაღალ დონეზე დადგა ხუროთმოძღვრება, არქიტექტურა. სტრაბონის გადმოცემით იბერიის ქალაქებსა და დაბებში ბევრი იყო ციხე-სიმაგრეები, საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები, კრამიტსახურავიანი საცხოვრებელი სახლები. ქართველთა მაღალ საამშენებლო კულტურაზე ღაღადებდა გზები, ქუჩები, ქვაფენილები, ხიდები. სახმელეთო გზებთან ერთად გამოიყენებოდა საზღვაო და სამდინარეო გზებიც, ნავებით დადიოდნენ რიონსა და ყვირილაზე, მტკვარსა და ალაზანზე.

სამეურნეო კულტურის განვითარება ხელს უწყობდა ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური ძლიერების ამაღლებას, შეიარაღებული ძალის სრულყოფას. ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე საქართველოში, მართალია, ადრეკლასობრივი საზოგადოება არსებობდა, მაგრამ მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ თავისუფალი მეთემენი, რომელთაც „ქართლის ცხოვრების" ავტორები „ერის" სახელწოდებით იხსენიებენ. ერის თითქმის ყველა სრულასაკოვანი მამაკაცი სამხედრო ვალდებული, მეომარი იყო. ქართველ მეფეებს არ უჭირდათ 60-70 ათასიანი ლაშქრის შეკრება და გარეშე მტრების წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლა.

გარკვეული საფუძველი არსებობს ვივარაუდოთ, რომ ფარნავაზის დროს და მის შემდეგ დაახლოებით ორი საუკუნის

განმავლობაში ქართლის სამეფო ეგრისსაც მოიცავდა. მაგრამ ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნეში ძველ კოლხასა და კოლხეთის ტერიტორიაზე აღორძინდა ახალი კოლხური სახელმწიფო, რომელსაც ბერძნები ლაზიკას ეძახდნენ. მალე ეს ქვეყანა მოექცა პონტოს სამეფოს გავლენის სფეროში. 83 წელს ლაზები აჯანყდნენ პონტოს წინააღმდეგ, მაგრამ მითრიდატე VI-ემ გაიმარჯვა და ლაზეთის მმართველად თავის ვაჟი გამოაგზავნა. პონტომ თავის გავლენის ქვეშ მოაქცია შავი ზღვის პირეთში მცხოვრები კერკეტები და ჰენიოხები, რომლებსაც ბაზილევსები (ბელადები) განაგებდნენ. კავკასიონის ვრცელ მთიანეთსა და მთის ძირებში განსახლებული სვანები დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ. სტრაბონის გადმოცემით სვანებს ჰყავდათ ბასილევსი, მაგრამ დიდი უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი მათ მიერ არჩეული სამასკაციანი საბჭო.

მალე ამის შემდეგ საქართველოს მეზობლად გამოჩნდნენ რომის ლეგიონები. პონტოს მეფე მითრიდატე მეექვსემ რომაელებს საკმაოდ მრავალრიცხოვანი კოალიციური ლაშქარი (მასში შედიოდნენ იბერიელთა, ალბანელთა და სომეხთა რაზმებიც) დაუპირისპირა, მაგრამ მარცხი განიცადა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 65 წელს პომპეუსი ქართლში შემოიჭრა, არმაზის ციხეს მოადგა. ქართლის მეფე არტაგს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაშქარი ჰყავდა მობილიზებული, მაგრამ მაინც არ ჰქონდა ნახევარი მსოფლიოს დამპყრობელ რომაელებზე გამარჯვების იმედი. მან ზავი და მეგობრობა შესთავაზა რომაელთა სარდალს. პომპეუსი არ ენდო ქართლის მეფის დანაპირებს, დასწრება ამჯობინა, სწრაფი იერიშით შესძლო არმაზის აღება, რის შემდეგ საომარი მოქმედება თვით მცხეთაში და არაგვის ხეობაში გააგრძელა. არტაგის ლაშქარი თავგანწირვით იბრძოდა, მაგრამ გამარჯვება რომაელებმა მოიპოვეს. მიუხედავად ამისა, ქართლმა დამოუკიდებლობა შეინარჩუნა. რომაელებმა ქართლის მეფე თავის მოკავშირედ გამოაცხადეს, პართიის წინააღმდეგ ბრძოლაში თანადგომა და კავკასიის უღელტეხილების დაცვა დააკისრეს.

ამის შემდეგ პომპეუსის ლეგიონები დასავლეთისაკენ შებრუნდნენ, ლიხის მთა გადალახეს და ბრძოლით გაიარეს გზა ქ. ფაზისამდე, დაამარცხეს და დაიმორჩილეს კოლხეთის მეფემთავრები. პომპეუსმა ლაზიკის სამეფო გააუქმა, ქვეყნის მმართველად ვინმე არისტარქე დანიშნა.

რომის იმპერიისა და იბერიის კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდა ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში. ქართლის მეფეებმა შესძლეს ორი საუკუნის წინ სომხეთისაგან მითვისებული ტერი-

ტორიების კვლავ შემოერთება. გააჩაღეს ბრძოლა აგრეთვე პართიის ზეწოლის აღსაკვეთად, ამიერკავკასიაში ჰეგემონობის მოსაპოვებლად. ფარსმან პირველი დიდი ჯარით შეიჭრა სომხეთში, დაიკავა მისი დედაქალაქი არტაქსატი. პართიის მეფე სომეხთა დასახმარებლად ამხედრდა. იბერიისა და მისი მოკავშირის ალბანეთის ცხენოსანი ჯარი კონტრშეტევაზე გადავიდა, არევდარევა შეიტანა მტრის ბანაკში, რომლის განადგურება ქვეითებმა დაამთავრეს. ამ დიდი გამარჯვების შემდეგ სომხეთში იბერიის გავლენა დამყარდა. კარგახანს სომხეთის ტახტზე ქართველი მეფე იჯდა.

მეორე საუკუნის პირველ ნახევარში იბერიის სახელმწიფომ თითქმის ძლიერების მწვერვალს მიაღწია. ქართლის მეფე ფარსმან II ბრძოლას იწყებს თვით რომის წინააღმდეგ, ცდილობს მისი ლეგიონების განდევნას ლაზიკიდან. იმპერატორმა ადრიანემ (117-138 წწ.). ვერ შესძლო ქართლის მეფის, „მოთვინიერება". ფარსმან მეორეს, რომელსაც ერმა ქველი უწოდა, თავი დამოუკიდებლად ეჭირა, მსოფლიო იმპერიის წინაშე დათმობაზე არ მიდიოდა. მომდევნო იმპერატორის ანტონიუს პიუსის ზეობის დროს (138-161) რომისა და იბერიის ურთიერთობა გაუმჯობესდა. ფარსმან მეორე დიდი ამალით ჩავიდა ქ. რომში. იმპერატორმა სცნო იბერიის შორს წაწეული საზღვრები. ანტონიუს პიუსი დაესწრო ფარსმანის, მისი ძმის და იბერიელ დიდებულთა სამხედრო ვარჯიშს. იმპერატორის ბრძანებით რომში აღმართეს ცხენზე ამხედრებული ფარსმანის ქანდაკება.

ახ. წ. I-II საუკუნეებში რომაელთა ბატონობა კოლხეთშიც შესუსტდა. ადგილობრივმა დინასტიამ ხელისუფლება დაიბრუნა. ლაზიკის მეფემ დაიმორჩილა – აბაზგიის, სვანეთისა და სხვა სამთავროები. რომის გარნიზონები ვეღარ აკონტროლებდნენ სიტუაციას ამ ქვეყანაში. ლაზიკის სამეფო წარმატებით ებრძოდა კავკასიის ქედის სამხრეთით გადმოსულ გუთებს, რომლებმაც რომაელთა უშუალო ბატონობის ქვეშ მყოფი ქალაქი ტრაპიზონი დაარბიეს. ლაზიკის ქალაქის ფაზისის აღება კი ვერ შეძლეს. ლაზიკამ სუვერენიტეტი აღიდგინა, იმპერატორმა მის მეფეს რომის მოკავშირის სტატუსი მიანიჭა.

ახ. წ. I-III საუკუნეებში იბერიის (ქართლის) მოსახლეობის ეკონომიკურ-სოციალური განვითარება წავიდა კლასობრივი დიფერენციაციის გაღრმავების გზით. მესამე გვარის ხალხს (ერი) გამოეყოფოდა ერთი მხრივ სამოხელეო არისტოკრატია, ხოლო მეორე მხრივ მიმდინარეობდა „ერის" ფართო ფენებისა და სტრაბონისეული ლაოის ნიველირება. გვარი სასოფლო თემის იერსა-

ხეს ღებულობდა. თემის წევრები თითქმის ისეთსავე დამოკიდებულებაში ექცეოდნენ მეფისა და მოხელეების მიმართ, როგორც ადრე მხოლოდ მეოთხე გვარის (სამეფო მონები) წარმომადგენლები იყვნენ. ლაშქარში გამოსვლასთან ერთად მათ სხვა სახელმწიფო-სამოხელეო ვალდებულებებიც ეკისრებოდათ. მზადდებოდა ფეოდალური წყობილების ჩამოყალიბებისა და დომინირების პირობები.

საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ევოლუციის შესაბამისად იცვლებოდა შეიარაღებული ძალების ორგანიზაცია. თუ ადრე თავისუფალ მიწათმოქმედთ მეომრის ფუნქცია ჰქონდათ დაკისრებული, მათგან იკრიბებოდა ლაშქარი, ჯარში და ბრძოლაში თავის ცხენით, იარაღითა და საგზლით გამოდიოდნენ, ახლა მდგომარეობა იცვლებოდა. მესამე გვარის ხალხი თანასწორთა საზოგადოების იერს თანდათანობით კარგავდა, ღრმავდებოდა მისი კლასობრივი დიფერენციაცია. შეცვლილ პირობებში უფრო შეძლებულნი მეთაურთა შემადგენლობასა და ცხენოსანი ჯარის რიგებს ავსებდნენ. სხვები ქვეით ლაშქარში გამოდიოდნენ. გაღატაკებული მიწათმოქმედნი ვერც ამას ახერხებდნენ. ისინი კარგავდნენ მეომრის საპატიო წოდებას (ფუნქციას) და დამოკიდებულ ადამიანთა კატეგორიაში გადადიოდნენ. ამიტომ იყო, რომ საქართველოს ბარის მოსახლეობა სამეფო ჯარს თანდათან ნაკლებ კონტინგენტს აწოდებდა. იბერიის მეფეები ამ დანაკლისს მთიელ „ეროვანთა" ლაშქარში თანდათან მზარდი განვევით ავსებდნენ.

კოლხეთის (ეგრისის) სოციალ-პოლიტიკური სტრუქტურის და სამხედრო ორგანიზაციის შესახებ ნაკლები მასალა გაგვაჩნია, მაგრამ გამოვლენილი ფრაგმენტული ცნობები ცხადყოფს, რომ იქაც იბერიის (ქართლის) ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა. იქმნებოდა გვაროვნულ-თემური ერთობისაგან განსხვავებული ქართული სოციალური და სახელმწიფოებრივი სტრუქტურები.

ეს პროცესები ყოველთვის მშვიდობიანად როდი მიმდინარეობდა. უკვე III საუკუნეში წინააღმდეგობა აღმოცენდა მეფესა და დიდებულებს შორის. ლეონტი მროველი გადმოგვცემს, რომ მეფე ამაზასპს „შეექმნა სილაღე და იწყო მესისხლეობად, და მოსწყვიტნა მრავალი წარჩინებულნი. ამისათვის მოიძულეს იგი ერმან ქართლისამან... მაშინ განდგეს ერისთავნი დასავლეთისანი ხუთნი, ოთხნი ერისთავნი ეგრისისანი, ერთი ოძრხისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა". ერისთავებმა დაიხმარეს სომეხთა მეფე, ბრძოლაში დაამარცხეს და მოკლეს ამაზასპი. ქართ-

ლის ტახტზე მისი დისწული რევი დასვეს (34, 57).

მეფე რევმა მოიყვანა ბერძენი ასული სეველია. რომელმაც თან მოიტანა კერპი სახელით აფროდიტოს და „ალმართა თავსა ზედა მცხეთისასა". რევი, მართალია, წარმართი იყო, მაგრამ ლეონტი მროველის გადმოცემით ეხმარებოდა ყველა გაჭირვებულს, „რამეთუ სმენილ იყო მისდა მცირედ რამე სახარება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი". ამ რევმა გააუქმა კერპებისათვის ყრმათა შეწირვა, დაანესა ცხვრისა და ძროხის შეწირვა. „ამისთვის ეწოდა მას რევ მართალი" (34, 58).

ლეონტი მროველს მიაჩნდა, რომ მეფე ასფაგურის გარდაცვალებით (III ს-ის 90-იანი წლები) შეწყდა ფარნავაზიანთა დინასტიის ზეობა. ქართველმა დიდებულებმა ქართლის ტახტზე დასვეს ირანის შაჰის ქასრე ანუშირვანის ვაჟი მიჰრანი (მირიანი) და დააქორწინეს იგი ასფაგურის ასულზე. სხვა ქართული და სომხური წყაროები იმას ღაღადებს რომ მირიანი ფარნავაზიანი იყო. „ქართლის მოქცევის მატიანეში" მირიანის მამად დასახელებულია ქართლის მეფე რევი. მირიანი ქართლის ტახტზე დაჯდა დაახლოებით 293 წელს. რომსა და ირანს შორის 298 წელს დაიდო ნიზიბინის საზაო ხელშეკრულება, რომლის თანახმად ქართლის სახელმწიფოზე აღდგა რომის გავლენა და მირიანი რომის იმპერატორის მოკავშირედ გადაიქცა. 40 წლის განმავლობაში დიდი იმპერიისა და პატარა ქართლის სახელმწიფოს კავშირი არ დარღვეულა. ქართლი არსებითად ინარჩუნებდა სუვერენიტეტს და ამიტომ ქართველი პოლიტიკოსები რომის გავლენის სფეროში ყოფნას ამჯობინებდნენ ირანის შაჰის გადამეტებული პრეტენზიების მიღებას. 325 წელს რომის იმპერიაში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. ალბათ ამანაც შეუწყო ხელი მირიანის წარმართობიდან ქრისტიანობაზე გადასვლას.

ქართლის მეფე-დედოფლისა და ხალხის გაქრისტიანების ამბავი საკმაოდ დეტალურად არის აღწერილი „ქართლის მოქცევის მატიანეში" და „წმინდა ნინოს ცხოვრებაში". ჩანს, რომ ნინო იყო სახელგანთქმული რომაელი სარდლის, ქრისტიანობის გამავრცელებლის ზაბილონის ასული. იგი მშობლებთან ერთად კაპადოკიაში ცხოვრობდა. მას შემდეგ, რაც ზაბილონი ბერად აღიკვეცა, მისი მეუღლე სუსანა და ასული ნინო ჩავიდნენ იერუსალიმში, სადაც საპატრიარქო ტახტზე სუსანას ძმა იჯდა. 12 წლის ნინო აღსაზრდელად მიაბარეს ერთ-ერთი ტაძრის მეთვალყურეს, რომლისგანაც არა მარტო ქრისტეს მოძღვრება შეისწავლა, არამედ ისიც გაიგო, რომ ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ მისი

სამოსელი (კვართი) წილად ხვდა მცხეთელ მოქალაქეებს, რომლებმაც ქრისტეს კვართი საქართველოში წაიღეს, მცხეთაში წმინდა რელიქვიად შერაცხეს.

ხიფათიანი მგზავრობისა და თავგადასავლების შემდეგ ნინო საქართველოში აღმოჩნდა, მცხეთაში დაფუძნდა. აქ ეწეოდა ავადმყოფების მკურნალობას და ქრისტეს სჯულის ქადაგებას, განკურნა და გააქრისტიანა ნანა დედოფალიც. მეფე მირიანი კი კარგა ხანს მტრულად უყურებდა ნინოს საქმიანობას. მაგრამ ერთ დღეს ნადირობისას მეფეს ჩამოუბნელდა, გზა-კვალი ველარ იპოვა და ყოველშემთხვევისათვის ნინოს ღმერთს სთხოვა დახმარება. მყისვე მზემ გამოანათა, მირიანი განსაცდელს გადაურჩა. ამის შემდეგ ქართლის მეფემ იწამა ქრისტეს ძალა, მისი მოძღვრების ჭეშმარიტება და გადაწყვიტა თავის ხალხის გაქრისტიანება. მეფე მირიანის და წმინდა ნინოს თხოვნის თანახმად, რომის იმპერატორმა კონსტანტინემ საქართველოში ეპისკოპოსად გამოგზავნა იოანე და მასთან ერთად რამდენიმე მღვდელ-დიაკონი. მეფე თავის ოჯახითა და მოხელეებითურთ ქრისტიანული წესით მოინათლა. მალე ნაკურთხ მდინარე მტკვარში მცხეთის მოსახლეობაც მონათლეს. დაიწყო ქრისტიანობის მასობრივი გავრცელება მთელ საქართველოში. ქრისტიანობა საქართველოს სახელმწიფო რელიგიად გადაიქცა IV საუკუნის 20-30-იან წლებში.

მრავალღმერთიანობის უარყოფა ერთღმერთიანობაზე, მონოთეიზმზე გადასვლა კაცობრიობის გონებრივი და სულიერი წინსვლის, ცივილიზაციის უფრო მაღალ დონეზე ასვლის მაუწყებელი მოვლენა იყო. ქრისტიანობა ემსახურებოდა პროგრესს, საზოგადოების ზნეობრივი სრულყოფის იდეას. ქრისტიანობამ აკრძალა წარმართული რიტუალები და ადამიანის მსხვერპლად შეწირვის ბარბაროსული ჩვეულება. ქრისტიანობა საქართველოს მოევლინა როგორც განმანათლებლური, წიგნიერი რელიგია. ქართულმა დამწერლობამ და ლიტერატურამ, რასაც თითქოს ფარნავაზის დროს ჩაეყარა საფუძველი, ქრისტიანობის გავლცელების შემდეგ, უკვე V საუკუნეში მიიღო დახვეწილი, სრულყოფილი სახე.

ს. ჯანაშიას აზრით, ქრისტიანობა საქართველოს მოევლინა როგორც აზნაურთა რელიგია და მონარქიის ოფიციალური კულტი. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ახალი სარწმუნოება ტვირთმძიმეთა და დამაშვრალთა ნუგეშად იქცა. ქრისტიანობამ აღმოფხვრა ადამიანის დამონების პირობები.იგი ფეოდალიზაციის პროცესის გაძლიერების ფაქტორი გახდა. მნიშვნელოვანი იყო

ქრისტიანობის საგარეო პოლიტიკური ასპექტი. ამ მსოფლიო რელიგიამ ხელი შეუწყო საქართველოსა და რომ-ბიზანტიის კავშირის განმტკიცებას.

მთავარი მაინც ისაა, რომ ქრისტიანული რწმენის განმტკიცებამ დააჩქარა ქართველი ხალხის კონსოლიდაცია, წინანდელზე გაცილებით მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს შორის. ქრისტიანობა და ქართველობა თითქმის განუყოფელ, იდენტურ ცნებებად გადაიქცა. მის საფუძველზე ჩამოყალიბდა ქართველი ერის ცნობიერება.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, იგი გახდა მეფის ხელისუფლების ლეგიტიმურობის საფუძველი. აღმოცენდა ახალი ქრისტიანული იდეოლოგია, რომელმაც დაგმო ქართველთა ადრინდელი ჩამორჩენილობა. სიყალბედ და ბოროტებად გამოაცხადა წარმართულ ღვთაებათა თაყვანისცემა. ოდნავ მოგვიანებით, როცა ირანის შაჰი იარაღით და მაზდეანური რწმენით აღჭურვილი ცდილობდა ქართველი ხალხის ასიმილაცია-გადაგვარებას, მას დაუპირისპირდა ერთერთი პირველი ქართველი თეოლოგი, ევსტათი მცხეთელის მარტვილობის ავტორი, როგორც უკვე მტკიცედ ჩამოყალიბებული მონოთეისტი ქრისტიანი. მისი აზრით, არსებობდა მხოლოდ ერთი ღმერთი, მის მიერ შექმნილი სამყარო და საგანთა სიმრავლე, რომელთა გაღმერთება დაუშვებელია. „მზეი და მთვარეი და ვარსკვლავნი არა ღმერთ არიან, არამედ ღმერთმა მზესა განათება ღამის უბრძანა". მზის ღმერთთან ერთად ევსტათი მცხეთელის მარტვილობის ავტორი უარყოფდა აგრეთვე სპარსულ მაზდეანობას (ცეცხლთაყვანისცემას) - „ცეცხლი არა ღმერთ არს, რამეთუ ცეცხლი კაცმან აღაგზნის და კაცმანვე დაშრიტის". უფალი ცეცხლისა თვით კაცია, რომელიც მთელ სამყაროსთან ერთად მაშაზეციერმა შექმნა. მისი აზრით, ქრისტიანობა გაცილებით მაღლა იდგა ყველა სხვა სარწმუნოებაზე. ამიტომ სულაც არ იყო შემთხვევითი, რომ მცხეთაში მცხოვრები სპარსელი ევსტათი არ შეუშინდა იმ დროს ქართლში გაბატონებულ ირანის ხელისუფალთა მუქარას, ქრისტიანობა მიიღო და მისთვის ეწამა (37, 268-269).

საქართველოს გაქრისტიანებამ და მის ხელისუფალთა დასავლურმა ორიენტაციამ ირანის შაჰის გულისწყრომა გამოიწვია. გაძლიერდა მისი მტრული ზეწოლა საქართველოზე. 338 წელს განახლდა ირანისა და რომის ომი. ქართლმა რომის მხარე დაიჭირა და იმპერატორმა მირიანი საჩუქრებით აავსო. ირანის შაჰი თავის მხრივ, როგორც ჩანს, მირიანის შიგამოწინააღმდეგე-

ებს სწყალობდა. 368 წელს ირანის ჯარი ქართლში შემოიჭრა, დამხო მირიანის მემკვიდრე საურმაგი და მის ნაცვლად ქართლის ტახტზე ასფაგური დასვა. რომის ხელისუფლებამ მფარველობის ქვეშ აიყვანა ქართლიდან დევნილი საურმაგი. როცა რომის ჯარი ქართლში შემოიჭრა და მეფედ გამოაცხადა საურმაგი, ასფაგური მას შეეეედრა ქვეყანა შუაზე გავიყოთო. რომის იმპერატორმა ასეთი კომპრომისი მისაღებად ჩათვალა. შეთანხმების თანახმად, საურმაგს სომხეთისა და ლაზეთის მოსაზღვრე მხარე ერგო. ასფაგურს კი ალბანეთისა და ირანის მოსაზღვრე მიწები. 347 წელს, როცა ომი განახლდა, ირანმა აღადგინა თავისი გავლენა ქართლსა და სომხეთზე. ქართლის მეფემ ხარკის გადახდა იკისრა. ირანის შაჰმა თავის პიტიახში ჩააყენა თბილისის ციხეში და შესძლო ქართლის დიდ აზნაურთა გაერთგულება, მათზე დაყრდნობით ქართლის მეფის უფლებამოსილების შეზღუდვა.

IV-V საუკუნეთა მიჯნაზე ირანის დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ თავგამოდებით იბრძოდნენ ქართლის მეფენი – ბაკური, ფარსმანი, მირდატი. ირანის ხელისუფლება ქართველთა დამორჩილებისათვის მარტო იარაღს როდი იყენებდა, ეწეოდა მაზდეანობის – ცეცხლთაყვანისცემის პროპაგანდასაც. ცდილობდა ქართველთა შემეცნებიდან ქრისტიანობის აღმოფხვრას და თავიანთი რელიგიური დოგმების ჩანერგვას. მაგრამ ქართველმა ხალხმა ირანელ მოგვებს არ მოუსმინა. კიდევ მეტი საყოველთაო აჯანყება წამოიწყო. ირანის შაჰი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო, ერთხანს ქართლში აღადგინა სარწმუნოების თავისუფლება, შეამსუბუქა სამხედრო ბეგარა, შეამცირა ხარკ-გადასახადები.

ამის შემდეგ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა მეფე ვახტანგი, რომელმაც მოგვიანებით მიიღო ზედწოდება „გორგასალი". მეფე მირდატის გარდაცვალების მომენტში მისი ვაჟი ვახტანგი 7 წლისა იყო. ამ დროს ირანელთა ძალადობას თან დაერთო ალან-ოსებისა და ჰუნ-თურქების შემოსევები. რთულ მდგომარეობაში აღმოჩენილი ვახტანგის დედა ბარდავს გაემგზავრა და თავის ძმას – ირანის შაჰის დიდმოხელეს ამიერკავკასიის ქვეყნების მარზპანს სთხოვა დახმარება. ვახტანგმა ირანში მიიღო პირველი საბრძოლო ნათლობა. როცა იგი სრულწლოვანი გახდა სწორად შეაფასა შექმნილი სიტუაცია, ირანის ორიენტაცია აიღო და შაჰისაგან გარკვეული დახმარება მიიღო. ვახტანგმა დიდი ლაშქრობა მოაწყო კავკასიონის უღელტეხილების გასამაგრებლად და ქედს გადაღმელი ტომების მოსათვინიერებლად. დარიალში ააშენა მაგარი ციხე-კოშკი, მის მცველებად დააყენა

ქაროველი მთიელები. ამ ძლევამოსილი ლაშქრობის შემდეგ ვახტანგი ჩერქეზეთ-აფხაზეთის გზით დასავლეთ საქართველოში გადავიდა, ეგრისი და სვანეთი თავის გავლენის სფეროში მოაქცია. ქართლის გვირგვინოსანმა მეფემ ბიზანტიასაც შეუტია,ხელიდან გამოგლიჯა მას ადრე დაპყრობილი კლარჯეთი და აქ ააშენა ციხე-ქალაქი არტანუჯი. ვახტანგი აგრძელებდა თავის „მფარველი" ირანის შაჰთან კავშირს, დაეხმარა მას ალბანელთა ჯანყის ჩაქრობაში და შემოიერთა ამ ქვეყნის ნაწილი, შექმნა ჰერეთის საერისთაო და ააგო იქ ხორნაბუჯის ციხე.

ამგვარად, ვახტანგმა წინდახედული პოლიტიკით, მოქნილი დიპლომატიით ერთხანს აღკვეთა ირანიდან მომდინარე საფრთხე, კიდევ მეტი ამ „მფარველ-მოკავშირის" დახმარებით დიდი სარგებლობა მოუტანა-სახელმწიფოს, ქართლის საზღვრები განავრცო კლარჯეთიდან წუქეთამდე. თავის მხრივ, ვახტანგიც ეხმარებოდა ირანის შაჰს, 7 წლის მანძილზე შუააზიაში ებრძოდა თავისი მტრის მტრებს. როცა ვახტანგი სამშობლოში დაბრუნდა. სიტუაცია მკვეთრად შეცვლილი დახვდა. ირანელებს უკვე გაეუქმებინათ სომხეთისა და ალბანეთის სამეფოები. ვახტანგი მიხვდა, რომ შაჰი ქართლსაც ასეთ ბედს უმზადებდა. ირანის აგენტი ვარსქენ პიტიახში არ მოერიდა მეფე ვახტანგს, უარყო ქრისტიანობა, მიიღო მაზდეანობა და რაკი მისმა მეუღლემ შუშანიკმა ამაზე უარი თქვა, წამებით ამოხადა მას ქრისტიანული სული.

ვარსქენის მზგავსი მოღალატე დიდ აზნაურები არც ისე ცოტა იყვნენ ქართლში. ისინი ვერ ეგუებოდნენ ვახტანგის მიერ გამტკიცებულ ცენტრალიზებულ ხელისუფლებას, რომელიც ისტორიკოს ჯუანშერის თქმით, ისე „მეფობდა როგორც ლომი შორის ცხვართა". მოწინააღმდეგენი ვახტანგს ჰყავდა ეკლესიაშიც, რომელთა მეთაური იყო მთავარეპისკოპოსი მიქაელი.

ვახტანგმა ეკლესიით დაიწყო, ულირსი და ურჩი ეპისკოპოსები გადააყენა. საფრთხე მთავარეპისკოპოს მიქაელსაც დაემუქრა. აღშფოთებულმა მღვდელმთავარმა მეფეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. განრისხებულმა ვახტანგმა თავხედი მიქაელი ქართლიდან გააძევა. იმავდროულად მეფემ ბიზანტიის იმპერატორსა და კონსტანტინეპოლის პატრიარქს სთხოვა ქართული ეკლესიის სათავეში ჩაეყენებინათ თვითმწყემსობის (ავტოკეფალიის) უფლებით აღჭურვილი კათალიკოსი. კონსტანტინეპოლმა ეს თხოვნა დააკმაყოფილა. ქართლში გამოაგზავნა ერთ-ერთი სასულიერო მოღვაწე პეტრე, რომლის კათალიკოსად კურთხევა ანტიოქიის პატრიარქის მონაწილეობით მოხდა. დაინიშნა ავრეთვე მცხეთის არქიეპისკოპოსი და შეიქმნა 12 ახალი საეპისკო-

პოსო კათედრა. ქართული ეკლესია მეფის თანამდგომი დ თანამებრძოლი გახდა, ქადაგებდა მონარქიული ლეგიტიმიზმის, ცენტრალური ხელისუფლების ერთგულებისა და მორჩილების იდეას. ქრისტიანული სიმბოლიკა აისახა სახელმწიფო ღერბსა და დროშაში.

სახელმწიფოს შინამთლიანობის ინტერესი მოითხოვდა და მეფე ვახტანგმა დიდაზნაურულ ოპოზიციასაც შეუტია. 482 წელს მან თავის ერთგულებს მოაკვლევინა სამშობლოსა და ქრისტიანობისაგან გამდგარი, ირანის აგენტად გადაქცეული ვარსქენ პიტიახში. შაჰმა ეს აღიქვა როგორც მის წინააღმდეგ დაწყებული აჯანყება, მაგრამ ირანის ჯარის დიდი ნაწილი შუააზიაში იბრძოდა და ვახტანგმა შესძლო ქართლის ციხე-ქალაქებში ჩაყენებული ირანული გარნიზონების განადგურება-განდევნა.

მომდევნო წლებში ირანის შაჰმა არა ერთხელ გამოგზავნა ქართლის დასაპყრობად მრავალრიცხოვანი ჯარი. ბრძოლებში ხან ერთი მხარე იმარჯვებდა და ხან მეორე. მიმდინარეობდა მოლაპარაკებებიც. ვახტანგმა შაჰთან საერთო ენა ვერ გამონახა, კომპრომისული ხელშეკრულება ვერ გააფორმა მასთან. აშკარად დადგა ბიზანტიის იმპერატორის მხარეზე. ამის საპასუხოდ V ს-ის 90-იანი წლების დამდეგს ირანის შაჰმა წინანდელზე მეტი ჯარი გამოგზავნა ვახტანგის დასასჯელად. სამგორის ველზე გამართული ბრძოლის დროს თვით მეფე იდგა ქართული ჯარის ავანგარდში, თავის ხელით განგმირა შაჰის ვაჟი, შიშის ზარი დასცა ირანელთა სარდლებს. მგლის თავით მოხატულ ვახტანგის მუზარადს რომ შეამჩნევდნენ, სპარსელები ყვიროდნენ – მოერიდეთ გორგასალსო (მგლის თავსო) და დამფრთხალი კურდღლებივით გარბოდნენ. მაგრამ ქართველი მეფის გმირული შემართება შინა მტრების მიერ მოსყიდულმა მონაყოფილმა შეაჩერა. მან ჯაჭვის პერანგით დაუფარავ იღლიაში სტყორცნა ისარი ვახტანგს და სასიკვდილოდ დაჭრა. ბრძოლის ველიდან გაყვანილმა გმირმა მეფემ უჯარმაში დალია სული. ქართველმა ერმა ვახტანგ მეფეს ზედსახელი – გორგასალი სამუდამოდ შემოუნახა, ხოლო ეროვნულ, წმინდა ჯვრით შემკულ დროშას, რომელიც ქართველთა ლაშქარს ბრძოლაში მიუძღოდა, „გორგასლიანი" დროშა უწოდა.

ვახტანგ გორასლის დაღუპვის შემდეგ მისი გვირგვინოსანი მემკვიდრენი დაჩი და გურგენი აგრძელებდნენ ირანის წინააღმდეგ ბრძოლას, მაგრამ ამას არსებითი წარმატება არ მოჰყოლია. 506 წელს ბიზანტია – ირანის ომი დროებით შეწყდა, საზაო ხელშეკრულება გაფორმდა. პირველი მეორის მიმართ მთელ რიგ

დათმობებზე წავიდა. ირანის შაჰმა კიდევ უფრო გააძლიერა ზეწოლა ქართლის სამეფოზე. დაჩიმ შეასრულა ვახტანგის ანდერძი, „განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი" და დედაქალაქად მცხეთის ნაცვლად თბილისი გამოაცხადა. მაგრამ თავის რეზიდენციისა და ძირითადი ძალების სამხრეთისაკენ გადმოწევით არსებით წარმატებას ვერ მიაღწია. კიდვ უფრო გართულდა სიტუაცია გურგენის ზეობაში. ბიზანტია თითქოს მხარს უჭერდა მას ქართლის სუვერენიტეტის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში, მაგრამ როცა ირანის დიდი ჯარი ქართლში შემოიჭრა, იუსტინე კეისარმა ქართლის მეფეს მხოლოდ მცირერიცხოვანი რაზმი მიაშველა. გურგენი დამარცხდა და ეგრისში გადაიხვეწა. ირანის შაჰმა ქართლში მეფობა გააუქმა და ქვეყნის მმართველად თავისი მოხელე მარზპანი გამოგზავნა. აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ერთხანს დაემორჩილა ირანელთა ძალადობას, სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევდა შაჰის ანტიქართულ და ანტიქრისტიანულ პოლიტიკას. ირანის მბრძანებელი იმედოვნებდა, რომ მალე ლიხის ქედს გადალახავდა და თავის ბატონობას ეგრისზეც დაამყარებდა.

IV-V საუკუნეების მიჯნაზე ლაზეთის (ეგრისის) სამეფოს ტერიტორია შავი ზღვიდან ლიხის მთამდე ვრცელდებოდა. V ს-ის შუახანებში ეგრისი რამდენადმე დასუსტდა. მას ჩამოშორდა სვანეთის სამთავრო, არგვეთი ქართლის სამეფომ შეიერთა. ეგრისის გავლენის ქვეშ მოქცევისათვის ერთმანეთს დაუპირისპირდა ბიზანტია და ირანი. ეგრისის მეფეები ცდილობდნენ ორი დიდი იმპერიის წინააღმდეგობა თავის ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ გამოეყენებინათ და ამიტომ ხან ერთზე იღებდნენ ორიენტაციას და ხან მეორეზე.

532 წელს ბიზანტია-ირანს შორის ე. წ. „უვადო ზავი" დაიდო. ხელშეკრულების თანახმად ეგრისი მთლიანად ბიზანტიის გავლენის სფეროში მოექცა. სამაგიეროდ კონსტანტინეპოლმა აღიარა ირანის ბატონობა ქართლზე.

„უვადო ზავის" დადების შემდეგ ბიზანტიელებმა თავიანთი გარნიზონები ჩააყენეს ლაზეთში. ააგეს ახალი ციხე-ქალაქი პეტრა (ციხისძირი), რომელიც ბიზანტიელთა ჯარის სარდლის – სტრატეგოსის იოანე ციბეს რეზიდენციად გადაიქცა. მან სავაჭრო მონოპოლია დააწესა, რითაც ეგრისის მეფეს და მის ხალხს დიდი ზარალი მიაყენა, თვითონ კი უზომოდ გამდიდრდა. ამას ემატებოდა ბიზანტიელი მოხელეების თვითნებობა, ბოროტმოქედება, ხალხის სხვადასხვაგვარი შევიწროვება. ბიზანტიელმა სტრატეგოსებმა ძალიან შეკვეცეს ეგრისის მონარქის უფლება-

მოსილება. გუბაზ მეორეს მეფობის თითქმის მხოლოდ გარეგნული ნიშნები დაუტოვეს. განმკარგულებელ-აღმასრულებელი ხელისუფლება თვითონ მიითვისეს. მოკავშირის მანტიით შემოსილთა ასეთმა მოქმედებამ ეგრისის მეფის და თითქმის მთელი მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

ეგრისის მეფემ გადაწყვიტა ბიზანტიელთა განსადევნად ირანელები გამოეყენებინა და თავის ელჩების პირით ირანის შაჰს სამხედრო-პოლიტიკური დახმარება სთხოვა. ირანის მბრძანებელმა ხოსრო პირველმა სიამოვნებით დააკმაყოფილა ეგრისის მეფის სურვილი. 542 წელს იგი პირადად შემოუძღვა თავის ჯარს ეგრისში და ომი განაახლა ბიზანტიის წინააღმდეგ. სამ წელს გაგრძელებული ბრძოლა ირან-ეგრისის ჯარების გამარჯვებით დასრულდა. ეგრისის ციხე-ქალაქებში ბიზანტიური გარნიზონების ნაცვლად ირანის ჯარის ნაწილები ჩადგნენ.

545 წელს ბიზანტია-ირანს შორის ხუთწლიანი ზავი დაიდო. ირანის შაჰმა მოიწადინა ეს შესვენება გამოეყენებინა თავის პოზიციათა განსამტკიცებლად, ეს ქვეყანა ირანის პროვინციად გადაექცია. მან თავის ერთგულ სარდალს დაავალა ეგრისის ლეგიტიმური მონარქის გუბაზის ფარულად მოკვლა. სარდალმა თავის მხრივ ეს რთული საქმე გუბაზის პირად მტერს, ლაზ დიდებულს ფარსანს გადაულოცა. ამ უკანასკნელმა სამშობლო ქვეყნის ინტერესი თავის პიროვნულ ამბიციებზე მაღლა დააყენა, ირანელთა ვერაგული განზრახვა მეფე გუბაზს შეატყობინა. ბუნებრივია, ეგრისის მეფემ ირანს ზურგი შეაქცია, ორიენტაცია კვლავ ბიზანტიაზე აიღო; იმპერატორ იუსტინიანეს ბოდიში მოუხადა წინანდელი არც თუ გონივრული საქციელისათვის და მეგობრული კავშირის განახლება შესთავაზა.

549 წელს ორი დიდი სახელმწიფოს ომი ახალი ძალით გაჩაღდა. გამარჯვების სასწორი ბიზანტიელთა მხარეს გადაიხარა, რადგან ამჯერად მათ მხარდამხარ იბრძოდნენ ეგრისელები. ირანის შაჰმა ეგრისში დამატებით მრავალრიცხოვანი ჯარი გამოგზავნა და ომი გაჭიანურდა. ეგრისის ქალაქები და სოფლები ინგრეოდა, მოსახლეობა დიდი რაოდენობით იღუპებოდა. მეფე გუბაზმა წარუმატებლობაში ბიზანტიელ სარდლებს დასდო ბრალი და მათი უნიათობის ამბავი ბიზანტიის იმპერატორს აუწყა. ამით უკმაყოფილო სტრატეგოსებმა გუბაზი „სათათბიროდ" მიიწვიეს და ვერაგულად მოკლეს (554 წ.).

თავის კანონიერი, გვირგვინოსანი მეფის მკვლელობამ ეგრისის მთელი მოსახლეობა აღაშფოთა. დიდებულებმა გაიხსენეს არცთუ შორეული ტრადიცია, სახალხო კრება მოიწვიეს და ბჭო-

ბა გამართეს საშინაო პრობლემებისა და საგარეო ორიენტაციის შესახებ. გამოითქვა ორი თვალსაზრისი. კენჭი უყარეს ორ წინადადებას. აიეტმა დაგმო ბიზანტიელთა არაადამიანური საქციელი, ეგრისელებს მოუწოდა შურისძიების, სისხლის აღებისაკენ. რაკი საკუთარი ძალით ეს გაგვიჭირდება, ირანელებს ვთხოვოთო სამხედრო-პოლიტიკური დახმარება. ხალხის დიდმა ნაწილმა მხარი დაუჭირა აიეტის წინადადებას. მაგრამ მეორე დიდებულმა ფარტაძმა, რომელიც ბრწყინვალე ორატორიც იყო, სახალხო კრების სულისკვეთება შეცვალა. მან განაცხადა: ქვეყნისათვის ამ რთულ სიტუაციაში სასოწარკვეთილებამ არ უნდა შეგვიპყროს. ემოციებს არ უნდა ავყვეთ. საჭიროა საღად ვიაზროვნოთ. გავიმსჭვალოთ კოლხეთის თავისუფლების იდეით და ისეთი გადაწყვეტილება მივიღოთ, რომელიც ქვეყანას არა მარტო დღეს, არამედ სამომავლოდაც ნაადგება. ფარტაძმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეფე გუბაზის მკვლელობა აქაური სტრატეგოსების მოწყობილია, ბიზანტიის კეისარი ამ დანაშაულის მონაწილე არ არის. შევატყობინოთ იმპერატორს მომხდარი ფაქტი და დაველოდოთ მის საქციელს. დარწმუნებული ვარ კეისარი დაგმობს თავის მოხელეთა ბოროტმოქმედებას. უნდა შევიგნოთ, რომ ბიზანტიელებთან კავშირი უფრო მისაღებია. სპარსელები კი ვერასდროს შეურიგდებიან იმას, რომ ჩვენ სხვა სარწმუნოება და ცხოვრების წესი გვაქვსო (38, 64-71).

საბოლოოდ ეგრისელთა სახალხო კრება და უხუცესთა საბჭო ფარტაძის პოზიციაზე დადგა და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო. იმპერატორ იუსტინიანესთან გაიგზავნა ეგრისელთა დელეგაცია. რომელმაც მეფის მკვლელთა დასჯა და გუბაზის უმცროსი ძმის წათეს ეგრისის მეფედ კურთხევისათვის ხელის შეწყობა მოითხოვა. კეისარმა ეს მოთხოვნები დააკმაყოფილა. წათე მეორეს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს ეგრისში. გუბაზის მკვლელები ჩაქოლეს. ომი გაგრძელდა. 562 წელს იგი ბიზანტიელთა და ეგრისელთა გამარჯვებით დასრულდა. ირანმა ხელი აიღო ეგრისის დაპყრობის განზრახვაზე და ეს საზავო ხელშეკრულებაში დაფიქსირდა.

ფაქტია, რომ გვაროვნულ-თემური წყობილების „გადმონაშთმა" ახალი პირობების შესაბამისად რამდენადმე მოდერნიზებულმა ეგრისელთა სახალხო კრებამ და უხუცესთა საბჭომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, ქვეყნისათვის სასარგებლო საქმე გააკეთა. ეგრისში მეფის ლეგიტიმური ხელისუფლება კარგა ხნით განამტკიცა. ბიზანტიელები ველარ ბედავდნენ მის საშინაო საქმეებში ჩარევას.

ბიზანტიელ ისტორიკოსთა თხზულებებში ქართლში არსებული ხალხური ინსტიტუტის შესახებ არაფერია ნათქვამი. მაგრამ ქართულ ისტორიულ წყაროებში დაცული ფრაგმენტული ცნობები საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მოდერნიზებული სახალხო კრება თუ არა, უხუცესთა საბჭო ქართლშიც მოქმედებდა. ლეგიტიმურ მონარქიულ ხელისუფლებას ერწყმოდა.

ირანელთა მიერ ეგრისში განცდილი მარცხის შემდეგ ანტისპარსული მოძრაობა ქართლშიც გაძლიერდა. მას სათავეში ჩაუდგნენ ერისთავები, სხვა აზნაურები და ქრისტიანული ეკლესიის მამები. სახალხო ლაშქრის მეთაურად აირჩიეს გუარამ ერისთავი. ქართველებმა და იმავდროულად ირანის წინააღმდეგ აჯანყებულმა სომხებმა დახმარება სთხოვეს ბიზანტიის იმპერატორ იუსტინე მეორეს (571 წ.). მცირერიცხოვანი დამხმარე ჯარი, როგორც ჩანს, ბიზანტიიდან მართლაც გამოიგზავნა. ქართველებმა დაამარცხეს ირანის ძირითადი ჯარის სარდალი გოლონ მიჰრანი, სომხებმა კი ირანელი მარზპანი სურენი. ბუნებრივია, ირანის წინააღმდეგ აჯანყებულ ქართველთა წინაშე დაისვა სუვერენული ხელისუფლების აღდგენის საკითხი. „მოქცევაჲ ქართლისაჲს" ავტორი ამის შესახებ მეტისმეტად ლაკონურად წერს: „ნელადრე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ". ჯუანშერი თითქოს აგრძელებს წინამორბედი ავტორის გადმოცემას და წერს: „ესრეთ რა უცალო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქუემონი და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა და ითხოვეს რათა უჩინოს მეფე ნათესავთაგან მეფეთა ქართლისათა, და რათა იყვნეს ერისთავნი იგი თჳის თჳისსა საერისთაოსა შეუცვალებლად" (7, 271).

ანრი ბოგვერაძე დასახელებულ წყაროთა საფუძველზე წერს, რომ ქართლის მოქცევის ავტორი ამას (გუარამის არჩევას) მთელი ქართლის ნებად წარმოგვიდგენს. ჯუანშერი კი ამ „განაჩენში" უმთავრესად კეისრის მონაწილეობას გულისხმობს. იმასაც აღნიშნავს, რომ ქართლის წარჩინებულებს ძველი მეფობის აღდგენა კი არ სურდათ, არამედ ქვეყნის სათავეში მათი ნების აღმასრულებელი მეფე უნდოდათ (7, 271-272).

ე. ი. საქართველოს ისტორიის ნარკვევების II ტომში არაფერია ნათქვამი ქართლის ნების გამომხატველ ძალთა ორგანიზაციის არსის შესახებ. ჩემი აზრით, გუარამის ერისთავთა უფროსად არჩევის დადგენილება მიიღო ფორმითა და შინაარსით მნიშვნელოვნად შეცვლილმა უხუცესთა საბჭომ, სხვადასხვა სოციალურ ფენების წარმომადგენელთა თავყრილობამ. მან ქართ-

ლის სუვერენულ მმართველად, მეფის ადგილზე მჯდომად აირჩია ფარნავაზიანთა ნათესავი. ქართლის წარჩინებულებს ძველი მეფობის აღდგენა თუ სურდათ, როგორც ა. ბოგვერაძე წერს, მაშინ ისინი არ მოითხოვდნენ მაინც და მაინც მეფედ ფარნავაზიანთა ლეგიტიმური დინასტიის ნათესავის დანიშვნას. მათთვის უფრო მისაღები უნდა ყოფილიყო ახალი მმართველი, არალეგიტიმური მეფე. მას მეტ დათმობაზე წაიყვანდნენ, უფრო ადვილად დაითანხმებდნენ ერისთაობა მემკვიდრეობით თანამედბობად დაეკანონებინა.

მაგრამ მონარქიული ლეგიტიმიზმი, მეფის როგორც ღვთისაგან კურთხეულის რწმენა რომლის ძალაუფლება მის კანონიერ მემკვიდრეზე გადადიოდა უკვე გამჯდარი იყო მოსახლეობის როგორც ზედა, ისე ქვედა ფენებში. ამიტომ მათ მოითხოვეს ბიზანტიის იმპერატორისაგან (რომელიც, რა თქმა უნდა, მონარქიული ლეგიტიმიზმის მომხრე იყო) ქართლის მეფედ ფარნავაზიანთა ნათესავის დამტკიცება. „კეისარმან აღასრულა თხოვა მათი და მისცა მეფედ დისწული მირდატისი ვახტანგის ძისა ბერძენის ცოლისაგან, რომელსა ერქუა გუარამ, რომელი მთავრობდა კლარჯეთს და ჯავახეთს" (34, 218). ბიზანტიის იმპერატორმა თითქოს დააკმაყოფილა ქართველ მოციქულთა ეს თხოვნა. ქართლის მმართველად დაამტკიცა ქართლის ერისთავთა, აზნაურთა, მღვდელმთავართა და ხევისბერთაგან შერჩეული გუარამი. იგივე ჯუანშერი გადმოგვცემს, რომ ესე გუარამ იყო დედით ხოსროიანი (ფარნავაზიანი – ა. ბ.) და მამით ბაგრატონიანი. „და ესე ბაგრატიონნი (ლაპარაკია X-XI საუკუნეების ბაგრატიონებზე – ა. ბ.) შვილიშვილნი და ნათესავნი არიან ამა გუარამისანი" (34, 218).

ქართლი ირანისაგან დამოუკიდებელი გახდა: ქართული ლეგიტიმური ხელისუფლება აღსდგა, მაგრამ გუარამ ბაგრატიონს მეფის ტიტული არ მიულია. ე. ი. ქართლის დიდებულთა თხოვნის პირველი ნაწილი – ქართლში ფარნავაზიანთა ნათესავის გამეფება – შეუსრულებელი დარჩა. მეორე ნაწილი კი შესრულდა – ერისთავებმა ადმინისტრაციული თანამდებობანი სამემკვიდრეოდ განიმტკიცეს. ბიზანტიის იმპერატორმა ქართლის მთავარ ხელისუფალს უბოძა არა მეფობა არამედ ერისთავთა მთავრის წოდება. კეისარმა გუარამ ბაგრატიონისათვის გაიმეტა ბიზანტიური სამოხელეო ტიტული, „კურაპალატი". ბიზანტიური სახელმწიფო სამართლის მიხედვით კი ეს იმას ნიშნავდა, რომ ირანის ბატონობისაგან განთავისუფლებულ ქართლის ხელისუფლების სათავეში ჩადგა არა სუვერენი მეფე, არამედ კურაპა-

ლატის ტიტულის მატარებელი ბიზანტიის კეისრის ვასალი. ქართლის ერისთავები, ნებით თუ უნებლიეთ დასთანხმდნენ იმპერატორის ნებასურვილს, გუარამ ბაგრატიონი მიიჩნიეს თანასწორთა შორის პირველ ხელისუფლად, ერისთავთა მთავრად.

მიუხედავად ამისა ჯუანშერი გუარამს ხშირად მეფედ იხსენიებს. წერს, რომ გუარამ კურაპალატი „მეფობდა კეთილად და უშფოთველად. არამედ ერისთავნი ქართლისანი ვერ სცვალნა საერისთაოთაგან მათდა, რამეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს სიგელი მკვიდრობისანი საერისთაოთა მათთა. არამედ იყვნეს მორჩილებას გუარამ კურაპალატისასა" (34, 221).

39-ე მეფის გუარამის კეთილად მეფობის ამბავი რომ ჩაათავა, ჯუანშერმა თავის თხზულების მომდევნო პარაგრაფი ასე დაასათაურა - „მეორმოცე ერისთავთა მთავარი ქართლისა სტეფანოზ, ძე გუარამ კურაპალატისა ბაგრატიონი" და იგი ასე დაიწყო: „დაჯდა ძე მისი სტეფანოზ. მეფობისა სახელი ვერ იკადრა სპარსთა და ბერძენთა შიშისაგან, არამედ ერისთავთა მთავრად ხადოდეს" (34, 221).

ერისთავთა მთავრის უფლებამოსილების სფეროში ცვლილება არც არაბთა გაბატონების შემდეგ მომხდარა. ქართლის ერისმთავარი არაბთა ხალიფატს ექვემდებარებოდა, მას ამ თანამდებობაზე ხალიფა ამტკიცებდა, ამ ტიტულს ხან ფარნავაზიანებს წყალობდა, ხანაც ბაგრატიონებს.

არაბების სამშობლო არაბეთის ნახევარკუნძული იყო. VII ს-ის პირველ ნახევარში იქ უკვე დაწყებული იყო გვაროვნულ-თემური წყობილების რღვევის პროცესი. ამ დროს გამოდის სამოღვაწეო ასპარეზზე მუჰამედი (მაჰმადი) და იწყებს ახალი სარწმუნოების – ისლამის დოგმათა ქადაგებას, რომელსაც მოგვიანებით მაჰმადიანობაც უწოდეს. ეს სარწმუნოება იუდაიზმისა და ქრისტიანობის გარკვეულ გავლენას განიცდიდა.

ახალმა სარწმუნოებამ დააჩქარა არაბულ ტომთა კონსოლიდაციის და მათი სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის პროცესი. თავდაპირველად მაჰმადის მიმდევრები მექას ღარიბ-ღატაკნი იყვნენ, მაგრამ სწრაფად გაფართოვდა მაჰმადიანობის სოციალური ბაზა. თანასწორობის იდეის დამცველი მუჰამედი თვითონ გახდა არაბული სახელმწიფოს შემქმნელი და მეთაური. ალახისა და მაჰმადის „მოადგილეების" – ხალიფების ზეობის წლებში, ე. წ. ხალიფატი სწრაფად გაძლიერდა და დაპყრობითი ომების შედეგად გაფართოვდა. ბიზანტიის სახელგანთქმულმა კეისარმა ჰერაკლემ არაბებთან ბრძოლაში არაერთი მარცხი განიცადა. და-

კარგა სირია, პალენტინა, ეგვიპტე, VII საუკუნის 40-იან წლებში არაბებმა დაიპყრეს მთელი ირანი. არაბთა რაზმები გამოჩნდნენ სომხეთსა და ქართლშიც.

654 წელს არაბთა ჯარმა სომხეთის ტერიტორიაზე დაამარცხა ბიზანტიელი სარდალი მავრიანოსი, რომელმაც თავი ქართლში შემოხიზვნით გადაირჩინა. მას კვალდაკვალ შემოპყვა არაბთა სარდალიც. ქართლის ერისმთავარმა სტეფანოზმა ბრძოლის გამართვა უპერსპექტივოდ მიიჩნია, არაბებს ზავი და მშვიდობა შესთავაზა. ჰაბიბ იბნ მასლამა ასეთი მიღებით კმაყოფილი დარჩა და უბრძოლველად დამორჩილებულ ქვეყნის მმართველს და მოსახლეობას „დაცვის სიგელი" უბოძა. ხელშეკრულების თანახმად ქართველებმა იკისრეს არაბთა სასარგებლოდ მცირე ხარკის – ჯიზიას (კომლზე ერთი დინარის) გაღება და არაბთა ხალიფასათვის სამხედრო დახმარების გაწევის ვალდებულება. სამაგიეროდ არაბებმა ქართველებს აღუთქვეს უშიშროება, სარწმუნოებისა და ქონების ხელშეუხებლობა. იმ დროს არაბები ეგრისში არ გადასულან.

697 წელს ეგრისის პატრიკიოზი სერგი ბარნუკის ძე ბიზანტიის კეისრის წინააღმდეგ აჯანყდა და დახმარება არაბთა ხალიფას სთხოვა. VIII ს-ის დამდეგს არაბებმა თითქმის მთელი ეგრისი დაიკავეს. ბიზანტია ხაზარების მოშველიებით ცდილობდა რევანშის აღებას, ეგრისსა და ქართლზე თავის გავლენის აღდგენას, მაგრამ ამაოდ. ხალიფა ჰიშამის (724-743 წწ.) დროს არაბებმა „დაცვის სიგელში" კორექტივი შეიტანეს: ქართველებს ჯიზიასთან ერთად ხარაჯაც (საადგილმამულო გადასახადი) დააკისრეს, რამაც მათი ანტიარაბული აჯანყება გამოიწვია. 732 წელს ხალიფამ მურჩი ქართველების დასასჯელად სარდალი მურვან იბნ მუჰ

̂ბადი გამოგზავნა 120 ათასიანი ჯარით, რომელმაც ააოხრა ქალაქები, დაბა-სოფლები. დიდი რაოდენობით დახოცა ხალხი. ქართველებმა ამ შეუბრალებელ დამპყრობელს მურვან ყრუ უწოდეს. იგი ეგრისშიც გადავიდა, დაანგრია ციხე-ქალაქები. მათ შორის სამგალავნიანი ციხე გოჯიც.

ძნელ-ბედობის ამ ხანაში თითქოს მოხერხდა ქართველ ხელისუფალთა გაერთიანება, სუვერენული ხელისუფლების აღდგენა-შენარჩუნებისათვის ერთობლივი ბრძოლა. როცა მურვან ყრუ ანაკოფიას მიადგა, იქ მას გზა გადაუღობეს ქართლიდან ლტოლვილმა ერისმთავარმა მირმა, მისმა ძმამ არჩილმა და აფხაზთა ერისთავმა ლეონმა. ბიზანტიის იმპერატორს ქრისტიანი ქართველები არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში თავის ბუნებრივ მოკავშირედ მიაჩნდა და თუ აქამდე ქართლის ერისმთავრები-

სათვის მეფის ტიტულს ვერ იმეტებდა, ახლა აღიარა მათი ლეგიტიმური, ღვთისაგან ბოძებული ხელისუფლება, მირსა და არჩილს მეფის გვირგვინები გამოუგზავნა. აფხაზთა ერისთავს ლეონ პირველს კი მათი დახმარება დაავალა. ამ უკანასკნელმა სცნო არჩილის მეფობა და თავი მის ვასალად გამოაცხადა. ქართველ პოლიტიკოსთა ამ სამეულმა გაერთიანებული ძალით ანაკოფიასთან მომხდარ დიდ ბრძოლაში დაამარცხა არაბთა ჯარი. ეგრის-აფხაზეთში არაბებმა ფეხი ვერ მოიკიდეს. ქართლში კი ბატონობა კარგახანს შეინარჩუნეს.

საქართველოს შემდგომი პროგრესული განვითარების, სუვერენული ხელისუფლების აღდგენა-განმტკიცების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა იყო ფეოდალური დაქუცმაცებულობის აღმოფხვრა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი VIII-IX საუკუნეებში გადაიდგა, როცა წარმოიქმნა შედარებით მსხვილი პოლიტიკური ერთეულები – კახეთ-ჰერეთის და ტაო-კლარჯეთის სამთავროები, ეგრის-აფხაზეთის სამეფო.

კახეთის სამთავროს შექმნაში დიდი როლი შეასრულეს ნანარებმა, რომლებიც წინაპრები იყვნენ ქართლ-კახეთის მთიანეთში განსახლებული ხალხისა. ისინი ჯერ კიდევ პატრიარქალურ-თემურ წყობილების საფეხურზე იდგნენ, მაგრამ შესძლეს შეკავშირება და არაბთა წინააღმდეგ გაერთიანებული ბრძოლა. ადგილობრივ პირობებს შეჩვეული თავისუფლებისმოყვარე მთიელები თავდადებით ებრძოდნენ არაბებს. მტრისაგან ბუნების მიერ დაცულ ამ მხარეს თავს აფარებდნენ არაბთაგან შევიწროებული ბარელი ქართველებიც. მთიელებთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარებას ცდილობდნენ ერისთავები და სხვა დიდაზნაურები.

ნანართა ტომების სათავეში იდგა ჰეროვანთაგან არჩეული წინამძღოლი ხევისბერი. იგი თემთა უხუცესების მხარდაჭერით განაგებდა საერო და სასულიერო საქმეებს. მართალია, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც აქ ნაწილობრივ შემორჩა წარმართული რიტუალები, მაგრამ ხევისბერმა ქრისტიანული მღვდელმთავრის ქორეპისკოპოსის სახელი მიიღო. მისი ხელისუფლება თეოკრატიული ხასიათის იყო, ითავსებდა საერო და სასულიერო მმართველობის ელემენტებს. ქორეპისკოპოსის მეთაურობით ჩამოყალიბდა საკმაოდ ვრცელი სამთავრო. მასში მთის რეგიონებთან ერთად, შედიოდნენ კახეთი, კუხეთი და გარდაბანი, რომელთა ერისთავები დაემორჩილნენ არაბთა წინააღმდეგ ასე ნარმატებით მებრძოლ ქორეპისკოპოსს. ამ სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანების პირველი ქორეპისკოპოსი, იგივე

მთავარი იყო გრიგოლი (787-827). გრიგოლის და მის მემკვიდრეთა სამფლობელოს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა კახეთი და ამიტომ ამ პოლიტიკურმა ერთეულმა კახეთის სახელი მიიღო. მისი ცენტრი კარგა ხანს თიანეთი იყო, მოგვიანებით კი მთავრის რეზიდენცია თელავი გახდა.

კახეთის აღმოსავლეთით, ალაზნისა და ივრის ქვემო აუზში აღმოცენდა პერეთის სამთავრო. ადრე იგი საერისთაო იყო, ქართლის სამეფოში შედიოდა. ერისთავმა არჩილმა აქ ააგო ეკლესიები, ციხე-სიმაგრეები. VIII ს-ის 80-იან წლებში ჰერეთი დამოუკიდებელი სამთავრო გახდა და მას სათავეში ჩაუდგნენ ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენლები, რომლებმაც IX ს-ის ბოლოს მეფის ტიტული მიიღეს.

ეგრის-აფხაზეთის სამეფო განსხვავებულ პირობებში ჩამოყალიბდა. არაბთა ბატონობისაგან განთავისუფლებულ ამ მხარეში მოსახლეობა უფრო სწრაფად მრავლდებოდა. აქეთკენ მისწრაფოდნენ არაბთა ძალადობისაგან შეწუხებული ქართლის მკვიდრნიც. გაძლიერდა აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ-კულტურული შერწყმა – ეგრის-აფხაზეთში ფართოდ გავრცელდა ქართული ენა. იგი დამკვიდრდა სახელმწიფო აპარატში და ეკლესიაში.

ბიზანტიის მიერ ეგრისში მეფობის გაუქმების შემდეგ, სამთავრო-საერისთავოებს შორის ყველაზე მეტად დაწინაურდა აბაზგიის (აფხაზეთის) ყოფილი საერისთავო. თავდაპირველად მის გაძლიერება-გაფართოებას ხელს უწყობდა ბიზანტიაც. აფხაზეთის მთავრებმა პატრონყმობის წესის საფუძველზე დაიქვემდებარეს სანიგეთის, აფშილეთის, მისიმიანეთის მფლობელები. მათ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ქართლის ერისმთავრებთან, ითვისებდნენ ქართულ ენას და კულტურას. უარს ამბობდნენ ძალით თავს მოხვეულ ბერძნულ ენაზე.

აფხაზეთის სამთავროს გაძლიერება-გაფართოებაში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ლეონ მეორემ. მან უარი თქვა ბიზანტიის იმპერატორის ვასალობაზე და ხაზართა მბრძანებლის თანადგომით თავის გავლენა განავრცო ნიკოფსიიდან (დღევანდელი ტუაფსე) მდინარე ჭოროხამდე და შავიზღვისპირეთიდან ლიხის მთამდე. აქაური მფლობელ-მმართველები ყმადნაფიცობის პირობით დაიქვემდებარა. იმის გამო, რომ დასავლეთ საქართველოს გაერთიანება ქართველური ეთნოსის აფხაზების და მათი მთავრების მეთაურობით მოხდა, ამ ახალ სახელმწიფოს აფხაზეთის სამეფო ეწოდა. მისი დედაქალაქი ქუთაისი გახდა. ეგრის-აფხაზეთის სამეფოს სახელმწიფო და საეკლესიო ენა ქარ-

თული იყო. ადგილობრივი ეკლესია, რომელიც IX საუკუნემდე კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ემორჩილებოდა, გამოეყო მას და მცხეთის საკათალიკოსოს დაექვემდებარა. ეგრის-აფხაზეთის მეფენი ქართულ პოლიტიკას ატარებდნენ და აქტიურად ჩაერთნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

არაბთა სახალიფოს წინააღმდეგ ბრძოლის პროსეცში ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის სამთავროც. მისი ფუძემდებელი იყო აშოტ ბაგრატიონი, რომელიც ერთხანს ქართლის ერისმთავრის წოდებას ატარებდა და სუვერენობის მოპოვებისათვის არაბებს ებრძოდა. აშოტმა მარცხი განიცადა, შიდა ქართლიდან შავშეთ-კლარჯეთში გაიხიზნა. ამ ტერიტორიის დაუფლებას ცდილობდა ბიზანტიის იმპერატორიც. მან არაბთა წინააღმდეგ შეუდრეკელი მეომარი აშოტ ბაგრატიონი თავის მოკავშირედ გაიაზრა, მფარველობის ქვეშ მიიღო და კურაპალატის ტიტული უბოძა. აშოტმა განაახლა არტანუჯის ციხე და იქვე დაიწყო ქალაქის მშენებლობა. მალე მან თავის უფლებამოსილების სფეროში მოაქცია აჭარა, ტაო, ნიგალი, სპერი, სამცხე, ჯავახეთი, არტაანი. ეს სახელმწიფო ისტორიაში ჩაინერა ტაო-კლარჯეთის სახელწოდებით. აშოტმა საკმაო წარმატებით გააგრძელა არაბთა წინააღმდეგ ბრძოლა. იყო მომენტი, როცა ის ფლობდა შიდა ქართლს და კახეთის დიდ ნაწილსაც. ქართული ისტორიული წყაროები აშოტს იხსენიებენ როგორც სუვერენულ მმართველს. გიორგი მერჩულეს აზრით, აშოტი იყო „ქრისტეს მიერ დამკვიდრებული ხელმწიფე", „მეფე ნებითა ღმრთისათა". სწორედ აშოტის ზეობაში გაჩნდა კონცეფცია ბაგრატიონთა გვარის დავით წინასწარმეტყველიდან წარმომავლობისა და ქრისტეს მიწიერ ოჯახთან ნათესაური კავშირის შესახებ.

დაბადების, ძველ აღთქმის მიხედვით, დავით წინასწარმეტყველი ღმერთის მიერ კურთხეული სუვერენული ხელმწიფე იყო. „ამოირჩია მონა თვისი დავითი და წამოიყვანა ივი თავის ხალხის და ისრაელის – თავის სამკვიდრებლის სამწყესავად". ისრაელის ბიბლიური მეფის დავითისადმი ინტერესი თითქოს უნდა შესუსტებულიყო ქრისტეს წამებისა და ქრისტიანობის მსოფლიო რელიგიად გადაქცევის შემდეგ, მაგრამ მოხდა პირიქით. ყველაზე ადრე თვით მოციქულები ცდილობდნენ იესო ქრისტეს ამქვეყნიური დიდი ისტორიული მისია ისრაელის მეფეთა შორის უდიდესი მეფის – დავითის ჩამომავლად გამოცხადებითაც დაემტკიცებინათ. ქრისტიანი ხალხების საისტორიო მწერლობაში ებრაული და ქრისტიანული სამყაროს დაკავშირება იესო ქრისტეს

დავით წინასწარმეტყველის ჩამომავლად გამოცხადებით მოხდა.

ბაგრატიონთა გვარის ღვთიური წარმომავლობის ლეგენდა საქართველოსა და სომხეთში დაახლოებით ერთდროულად დამკვიდრდა. გიორგი მერჩულეს თავის თხზულებაში დაფიქირებული აქვს გრიგოლ ხანძთელისა და აშოტ კურაპალატის დიალოგი. წმინდა მამა აშოტს ეუბნება - „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო, მეფობაი და სათნოებანიცა მისნი დაგიმკვიდრენ ქრისტემან ღმერთმან, რომლისთვისა ამას მოგახსენებ: არა მოაკლდეს მთავრობაი შვილთა შენთა... ქვეყანათა ამით უკუნისამდე ჟამთა, არამედ იყვნენ უკუნისამდე". თავის მხრივ აშოტ კურაპალატმა სასულიერო წოდების განსაკუთრებული როლი აღიარა და თვით გრიგოლ ხანძთელი ქრისტიანთა სიამაყედ გამოაცხადა. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ დიალოგით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა. ამის მეტი საფუძველი ალბათ აშოტს ჰქონდა. თუ გავითვალისწინებთ გრიგოლ ხანძთელის დიდ ავტორიტეტს მთელ ქვეყანაში, ცხადი გახდება, რომ მის მიერ ბაგრატიონების და მათი ხელისუფლების უზენაესობა ყველა ქართველს ჭეშმარიტებად უნდა მიეჩნია. ამასვე ემსახურებოდა ოპიზის მონასტერში მოთავსებული ბარელიეფი: შუაში ტახტზე მჯდომი ქრისტე, მარჯვნივ ვედრების პოზაში დავით წინასწარმეტყველი, მარცხნივ კი მონასტრის ამშენებელი აშოტ კურაპალატი გუმბათოვანი ეკლესიის მოდელით ხელში.

ამ ფაქტთან დაკავშირებით ელ. მამისთვალოვი მართებულად შენიშნავს: „დიდი ხნის განმავლობაში მოარულმა ლეგენდამ ბაგრატიონთა გვარის წარმოშობისა და მისი განსაკუთრებული დანიშნულების შესახებ, ოფიციალური აღიარება ჰპოვა, რის მიღწევაც მხოლოდ ეკლესიის თანხმობითა და შეწევნით შეიძლებოდა" (14, 32-36).

ამ ლეგენდამ, უდავოა, ხელი შეუწყო ბაგრატიონთა გვარის განდიდებას, მეფის ტიტულით შემოსვას და საქართველოს სამეფო ტახტზე დიდი ხნით განმტკიცებას. მართალია 826 წელს არაბებმა და შინაგამცემლებმა აშოტ ბაგრატიონი მოკლეს, მაგრამ მისი მემკვიდრენი ბრძოლას აგრძელებდნენ და წარმატებასაც მიაღწიეს.

აშოტ კურაპალატის დაღუპვის შემდეგ არაბთა ხალიფას სხვა არავინ დაუნიშნავს ქართლის ერისმთავრად. ამ ქვეყნის გამგებლობა მთლიანად გადააბარა თბილისის ამირას. მაგრამ მას შემდეგ, რაც არაბთა იმპერიის ერთიანობა შეირყა, თბილისის ამირასაც სეპარატისტული მისწრაფება გაუჩნდა. ამირები

საქართველოში აკრეფილ ხარკს ხალიფას სალაროში აღარ გზავნიდნენ, დამოუკიდებელ ხელმწიფობას ცდილობდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ამირა საჰაკმა. ქართველებს, რა თქმა უნდა, აწყობდა ხალიფატის ცენტრალური და პერიფერიული მმართველების წინააღმდეგობა, არაბთა იმპერიის ნგრევა. ამიტომ იყო, რომ ამირა საჰაკს ზურგს უმაგრებდნენ კახელები, რამდენჯერმე დაამარცხებინეს ხალიფასაგან გამოგზავნილი ჯარი. 853 წელს თბილისი ალყაში მოაქცია ბუღა თურქის ვეებერთელა არმიამ. ქალაქი ამ დროს შემოზღუდული იყო ქვითკირის გალავნით, რომელსაც სხვადასხვა ადგილას 5 კარი ჰქონდა დატანებული. თბილისის ციხეებში გამაგრებულმა გარნიზონებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ბუღა თურქის ჯარს. მოალყეებმა ქალაქს ცეცხლმოკიდებული ისრები დაუშინეს, ხანძრები გამოიწვიეს. ამის შემდეგ არაბთა სარდალმა შესძლო თბილისის იერიშით აღება, რომლის დროს 50 ათასი კაცი დაიღუპა. ამირა საჰაკი სიკვდილით დასაჯეს. მიუხედავად ამისა X ს-ის დამდეგიდან თბილისის ამირები მხოლოდ ნომინალურად ემორჩილებოდნენ ხალიფას. დამოუკიდებლობა განიმტკიცეს ქართულმა სამეფო-სამთავროებმა. ისინი თბილისის ამირას სამფლობელო ტერიტორიას თანდათან ავიწროვებდნენ.

ქართულმა სამეფო-სამთავროებმა თითქმის - ჩამოყალიბებისთანავე დაიწყეს ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლა პირველობისა და ქვეყნის თავის სკიპტრის ქვეშ გაერთიანებისათვის. ამ ბრძოლაში გამარჯვება მნიშვნელოვნად დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რომელი მათგანი დაეუფლებოდა შიდა ქართლს, რომელიც ერისმთავრობის გაუქმების შემდეგ უპატრონოდ დარჩა (თბილისის ამირა იქაურ დიდაზნაურებს ვერ აკონტროლებდა).

ქართლისათვის ბრძოლაში თავდაპირველად დიდ წარმატებას მიაღწია კახეთის მთავარმა. ეს არ მოეწონათ ტაო-კლარჯეთის მფლობელებს. როცა აშოტ ბაგრატიონის მემკვიდრენი წამოიზარდნენ, ბიზანტიის იმპერატორმა კურაპალატის ტიტული შუათანა ძმას ბაგრატს მიანიჭა. მან იარაღითა და დიპლომატიით ერთხანს თავის უფლება აღადგინა შიდა ქართლზე. მაგრამ ბრძოლა ამის შემდეგაც გაგრძელდა. IX ს-ის მეორე ნახევარში ხან ერთ გვირგინოსანის ხელთ იყო უპირატესობა, ხან მეორის და მესამისა. 80-იან წლებში გამარჯვების სასწორი ისევ ტაო-კლარჯეთის მხარეს გადაიხარა. ბაგრატის შვილიშვილმა ადარნასემ თავის მოწინააღმდეგენი დაამარცხა. შიდა ქართლს დაეუფლა და 888 წელს თავი ქართველთა მეფედ გამოაცხადა. ეს იყო არა მარტო ერთმეფობაზე პრეტენზია, არამედ ბაგრატიონ-

თა სახლის სუვერენობისა და საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რაც არაბ-ხალიფას და ბიზანტიის იმპერატორის წინააღმდეგ იყო მიმართული.

X ს-ის დამდეგს ქართველთა მეფე ადარნასეს დაუპირისპირდა ეგრის-აფხაზეთის მეფე კონსტანტინე. ბრძოლაში ჩაერთო აგრეთვე სომხეთის მეფე, რომელიც ხან ერთს ეხმარებოდა და ხან მეორეს. 914 წელს ბაღდადის ხალიფამ უკანასკნელად გაიბრძოლა. საქართველოში გამოგზავნა დიდი ჯარი აბულ-კასიმის სარდლობით, რომელმაც მოაოხრა ჩვენი ქვეყნის რამდენიმე რეგიონი, მაგრამ მაინც ვერ უშველა ხალიფას. X ს-ის შუა წლებიდან ბაღდადის ხალიფამ ყოველგვარი უფლება დაკარგა საქართველოზე. აქ დარჩნენ მხოლოდ თბილისის ამირები, რომლებიც ადგილობრივი ფეოდალებისაგან მხოლოდ ეთნიკური წარმოშობით განსხვავდებოდნენ.

აბულ-კასიმის შემოსევამ აფხაზთა მეფე კონსტანტინეს მხოლოდ დროებით დაახევინა უკან. იგი კვლავ შემოიჭრა ქართლში. მისი დიდი ნაწილი მიისაკუთრა. კიდევ უფრო გაძლიერდა ეგრის-აფხაზეთი გიორგის ზეობაში (927-957 წწ.). მან თავისი გავლენა ჩრდილო კავკასიელ ტომებზეც გაავრცელა, ალანები ქრისტიანობაზე მოაქცია. ძლიერი იყო ეგრის-აფხაზეთის სამეფო გიორგის შვილის ლეონის დროსაც. მისი სიკვდილის შემდეგ კი ქვეყანაში შინაბრძოლები გაჩაღდა. ეგრის-აფხაზეთის სამეფომ პირველობა ტაო-კლარჯეთს დაუთმო.

ტაო-კლარჯეთის, ქართველთა სამეფოს სოციალ-პოლიტიკური სტრუქტურა პატრონყმური ურთიერთობის საფუძველზე ჩამოყალიბდა. „ქართველთა მეფეს" იერარქიულად მოსდევდნენ ერისთავ-ერისთავები და ერისთავები. ისინი ძირითადად ბაგრატიონთა სახლის შვილები იყვნენ, თავიანთ სამფლობლოებში თითქმის შეუზღუდავი უფლებამოსილება გააჩნდათ. ტაო-კლარჯეთის მფლობელ ბაგრატიონთა შორის იურიდიულ-ფორმალურად წამყვანი იყო ბაგრატ პირველის შთამომავლობა, რომელმაც დაიმკვიდრა ქართველთა მეფის ტიტული. მაგრამ ზოგჯერ პირველობდა არა ამ ტიტულის მატარებელი, არამედ ის, ვისაც რეალური ძალაუფლება გააჩნდა. ასეთი იყო, მაგალითად, იმიერტაოს მფლობელი დავით III ერისთავთ-ერისთავი და კურაპალატი, რომელმაც მთლიანად დაჩრდილა ქართველთა მეფის ტიტულის მატარებელი ბაგრატ მეორე და მისი ძე გურგენი. დავით მესამემ დიდი სახელი მოიპოვა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ წინააზიაში.

დავით III-ის გავლენა და პატივი განსაკუთრებით მას შემ-

დეგ გაიზარდა, რაც ბიზანტიის იმპერატორის ბასილ მეორეს თავის 12 ათასიანი კავალერია (სარდალი თორნიკე ერისთავი) მიაშველა აჯანყებულ ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში. 978 წელს ბიზანტიელთა და ქართველთა გაერთიანებულმა ჯარმა სასტიკად დაამარცხა ბარდა სკლიაროსის ლაშქარი. ამ ბრძოლის დროს მოპოვებული ალაფის გამოყენებით თორნიკე ერისთავმა (იოანე ბერმა) ააშენა ქართული მონასტერი ათონის მთაზე. დავით კურაპალატს კი იმპერატორმა მადლობის ნიშნად დაუთმო თავისი უდაო სამფლობელოები და აგრეთვე მაჰმადიანთაგან მიტაცებული მიწები – არზრუმისა და ბასიანის მხარე, ვანის ტბის მიდამოები, ციხე-სიმაგრეები და დაბა-სოფლები. მაგრამ 8 წლის შემდეგ დავით მესამე კვლავ ჩართული აღმოჩნდა ბიზანტიელთა შინა-პოლიტიკურ ბრძოლებში. ამჯერად მან დახმარება გაუწია აჯანყებულ ბარდა ფოკას და დაუპირისპირდა იმპერატორს, რომელმაც დამხმარედ კიევის მთავრის ვლადიმირის ჯარი მოიწვია. ბრძოლის წინა დღეებში ბარდა ფოკა მოულოდნელად გარდაიცვალა. ბრძოლაში იმპერატორმა გაიმარჯვა. ბასილ მეორემ „მოღალატე" დავით კურაპალატს ნაბოძები მიწები უკანვე მოსთხოვა. გაიმართა მოლაპარაკება. დავით მესამემ პირობა დადო, რომ აღნიშნულ ტერიტორიებს გარდაცვალებამდე შეინარჩუნებდა და ანდერძით ბიზანტიას დაუტოვებდა. დასავლეთიდან მომდინარე საფრთხე დროებით მოიხსნა. დავით მესამემ აღმოსავლეთის მიმართულებით განაგრძო ბრძოლები. შეუტია სომხეთის ტერიტორიაზე ჩამოსახლებულ თურქებს. აიღო ქალაქი მანასკერტი, დაიკავა ხლათი. 998 წელს დავით მესამე სათავეში ჩაუდგა ქართველ-სომეხთა ლაშქარს და დაამარცხა მაჰმადიან მფლობელთა კოალიციის 100 ათასიანი არმია.

ჩვენი ქვეყნის ერთი რეგიონის მფლობელი დავით მესამე საერთო ქართულ საქმეს ემსახურებოდა. ეწეოდა აღმშენებლობას, ეხმარებოდა ეკლესია მონასტრებს, მისი შეკვეთით იწერებოდა და ითარგმნებოდა წიგნები. ბუნებრივია, რომ საქართველოს გაერთიანებისათვის მოღვაწე პროგრესულმა ძალებმა დავით მესამე აირჩიეს თავის მეთაურად.

საქართველოს გაერთიანების ეკონომიკურ-სოციალური პირობები არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის ბოლო ეტაპზე და მათი ბატონობის დამხობის შემდეგ მომზადდა. განვითარების შედარებით მაღალ დონეზე დადგა სოფლის მეურნეობა და ხელოსნობა, გაფართოვდა ვაჭრობა, წარმოიშვა ახალი ქალაქები, გაიზარდა სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების მნიშვნელობა. მოქალაქეებს გაუჩნდა ფეოდალთა საპირისპირო ინტერესები. ცვლილებე-

ბი მოხდა საადგილმამულო ურთიერთობის სფეროშიც. აზნაურებმა დაიყმევეს თავისუფალ მეთემეთა დიდი ნაწილი, მაგრამ გაძლიერდა წინააღმდეგობა ერისთავ-დიდებულთა და რიგით აზნაურებს შორის. ეს უკანასკნელნი თავის უსაფრთხოების გარანტიას ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებაში ხედავდნენ და ეხმარებოდნენ მეფეს უფლებამოსილების გაფართოებაგანმტკიცებისათვის ბრძოლაში. მათ ინტერესებში შედიოდა ერთმეფობა, საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. მეფისა და აზნაურთა თანადგომა დიდებულთა პარტიკულარისტული ტენდენციების აღმოფხვრის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი ხდებოდა.

ქვეყნის გაერთიანება გარეშე მტრების წინააღმდეგ წარმატებითი ბრძოლის აუცილებელი წინაპირობა იყო. მეზობელი დიდი სახელმწიფოები ველარ გამოიყენებდნენ დაანაწილე და იბატონეს პოლიტიკას. მათ საქართველოს მოსახლეობის ყველა სოციალური ფენა დაუპირისპირდებოდა, ძნელად იპოვნიდნენ შინაგამცემლებს. გაერთიანებული საქართველოში უფრო სწრაფად განვითარდებოდა საწარმოო ძალები, შეიქმნებოდა სოციალურ წინააღმდეგობათა აღმოფხვრის, კლასობრივ ურთიერთობათა დარეგულირების პირობები.

X ს-ის მეორე ნახევარში ქართველ მეფე-მთავართა ბრძოლა ჰეგემონობისა და პირველობისათვის კულმინაციას მიუახლოვდა. ერთხანს, როგორც ითქვა, უპირატესობას აფხაზთა მეფემ მიაღწია. მაგრამ ლეონ მესამის (957-967 წწ.) გარდაცვალების შემდეგ მის ძმებს შორის დაიწყო შინადინასტიური ბრძოლა სამეფო ტახტის დაუფლებისათვის. დემეტრემ დაამარცხა თეოდოსი, შეიპყრო და თვალები ამოწვა. გამარჯვებული, მაგრამ უშვილ-ძირო დემეტრე 975 წელს გარდაიცვალა. უსინათლო თეოდოსის ერთად-ერთი მემკვიდრე კი იყო მისი დისწული, ქართველთა მეფის გურგენის ვაჟი ბაგრატი, რომელიც ნაშვილები ჰყავდა დავით მესამე კურაპალატს.

ამგვარად, უფლისწული ბაგრატი იყო საქართველოს სამი ხელისუფლის კანონიერი მემკვიდრე, მათი ქვეყნების პოტენციური გამაერთიანებელი. ბუნებრივია, იგი მოვლენათა განვითარების ეპიცენტრში მოექცა. ქართლის ერისთავმა იოანე მარუშიძემაც ბაგრატის ლეგიტიმურ პიროვნებას დაუკავშირა თავის შორსმიმავალი გეგმის განხორციელება. იოანე მარუშის ძე, როგორც ჩანს, პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება და დიდი პატრიოტი იყო. მას შიდა ქართლი საქართველოს გულად, გამაერთიანებელ ცენტრად მიაჩნდა. მისი აზრით, ამ საცილოდ გამხ-

დარი ტერიტორიის ბედის და საქართველოს გაერთიანების პრობლემის გადაწყვეტა საქართველოს მეფე-მთავართა შორის ყველაზე ძლიერს დავით მესამე კურაპალატს შეეძლო. იოანე მარუშისძემ წინადადება მისცა დავით მესამეს ან თვითონ აეღო ხელთ ქართლის მართვა-გამგეობის სადავეები, ან იქ თავის შვილობილი ბაგრატი გაემეფებინა.

დავით მესამე კურაპალატი მონარქიული ლეგიტიმიზმის პოზიციაზე იდგა. მიაჩნდა, რომ მეფე ღვთისაგან იყო მირონცხებული. ბაგრატიონთა გვარის ამ ღირსეულმა წარმომადგენელმა უარი თქვა პიროვნულ ამბიციებზე და უპირატესობა „ქართველთა მეფის" ძეს და თავის შვილობილ ბაგრატს მიანიჭა, ქართლში მის გამეფებას დაუჭირა მხარი. იმ მომენტში ქართლის მიერთებას კახეთის მთავარი კვირიკე II ცდილობდა. როგორც კი გაიგო დავით III-ის ჯარის ქართლის საზღვრებში შესვლის ამბავი (975 წ.) უფლისციხეს ალყა მოხსნა და თავის ქვეყანაში გაბრუნდა. ამ ციხე-ქალაქთან დავითს მიეგებნენ იოანე მარუშის ძე და ქართლის სხვა დიდებულები. ტაოს ძლევამოსილმა მბრძანებლებმა ქართლის ფეოდალებს ბაგრატის მორჩილება დაავალა. თავის მცირეწლოვან შვილობილს თანაგამგედ მისი მამა გურგენი დაუნიშნა.

ეგრის-აფხაზეთის დიდებულები და აზნაურები ამ მოვლენების კურსში იყვნენ. მათ სწორედ შეაფასეს სიტუაცია და შინაარეულობით შეწუხებული თავის ქვეყნის მეფედ უსინათლო თეოდოსის დისშვილი ბაგრატი მიიწვიეს (978 წ.). ორიოდე წლის შემდეგ უკვე სრულწლოვანი ბაგრატ მესამე აღარ საჭიროებდა თანაგამგებლებს, ქვეყნის დამოუკიდებლად მართვა დაიწყო. ქართლის დიდებულთა ერთმა ნაწილმა ივარაუდა, რომ განდიდებულ-გაძლიერებულ ბაგრატ მეფე მათ უფლებებს შეზღუდავდა, გამგებლობა-მფლობელობაში მითვისებულ მიწებს ჩამოართმევდა. ამიტომ, როცა მეფემ ქართლში გადმოსვლა და იქ წესრიგის დამყარება მოიწადინა. მას დიდაზნაურებმა გზა გადაუღობეს. ქავთარ ტბელის მეთაურობით ბრძოლა გაუმართეს. ბაგრატმა განდგომილნი დაამარცხა და უფლისციხეში შევიდა. ურჩობას კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში აგრძელებდა. 987 წელს ბაგრატმა ისიც დაამარცხა და ანარქიას ბოლო მოუღო.

1001 წელს გარდაიცვალა ტაოს მთავარი დავით III კურაპალატი. ბიზანტიის იმპერატორი ბასილ მეორე დიდი ჯარით ამ ქვეყნისაკენ დაიძრა. აქეთკენვე გაეშურნენ ბაგრატ III და მისი მამა გურგენი ქართველთა ლაშქრით. იმპერატორმა ადრინდელი ხელშეკრულების თანახმად დავით კურაპალატის თითქმის მთე-

ლი სამფლობელო ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიად გამოაცხადა. მამა-შვილმა ომის დაწყებისაგან თავი შეიკავეს, დათმობა ამჯობინეს. იმპერატორისაგან ნაბოძები ტიტულები – კურაპალატობა და მაგისტროსობა „მადლობით" მიიღეს.

1008 წელს ბაგრატის მამა გურგენ მეფე გარდაიცვალა. შავშეთ-კლარჯეთი, სამცხე და ჯავახეთი ბაგრატ მესამის საბრძანებელს შემოუერთდა. ამის შემდეგ ბაგრატ III იწოდებოდა აფხაზთა და ქართველთა მეფედ, ხოლო 1010 წლიდან, როცა მან ბრძოლით დაიკავა კახეთ-ჰერეთი, ბაგრატ მესამემ მიიღო, „აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა მეფის" ტიტული („მატიანე ქართლისა"-ის ავტორს და თანამედროვე ისტორიკოსებს თითქოს დაავიწყდათ ის ფაქტი, რომ ბაგრატიონებმა თავდაპირველად მიიღეს ქართველთა მეფის ტიტული. ამიტომ უფრო მართებული იქნება ბაგრატიონთა ტიტულების ჩამოთვლა დავიწყოთ სიტყვებით - „მეფე ქართველთა,...").

კახეთ-ჰერეთში ლაშქრობის დროს და მომდევნო წლებში ბაგრატ მესამემ მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელა თავის უფლება-მოსილების გაფართოვებისა და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების მიზნით. მან სათანადო კორექტივები შეიტანა პატრონყმობის ინსტიტუტში: თუ ადრე, ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცებულობის ხანაში, ყმას (ვასალს) შეეძლო უარი ეთქვა პატრონის (სიუზერენის) მორჩილებაზე და სხვისი ყმა გამხდარიყო, ბაგრატმა დაარღვია მისვლა-მოსვლის თავისუფლების წესი და მეფის ყმებისაგან, მთავრებისა და სხვა დიდებულებისაგან უსიტყვო მორჩილება მოითხოვა. უფრო მეტიც, ურჩობით ცნობილ დიდებულებს და ერისთავებს ჩამოერთვა სამფლობელოები და მეფის, სახელმწიფოს ერთგულ პირებს გადასცა. ერისთავობა უბრუნდებოდა თავის ფორმასა და შინაარსს – მოხელეობის ჩარჩოებში ჯდებოდა. ბაგრატ მესამის მიერ დანიშნული ერისთავები იყვნენ გარკვეულ ტერიტორიათა გამგებელი მოხელეები (მოსაკარგავენი) და არა სენიორი-მფლობელები (მთავრები).

ბაგრატ მესამისაგან დამყარებული ახალი წესრიგი ბევრ ქართველ დიდებულს არ მოსწონდა. განსაკუთრებით დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ მის დამკვიდრება-დაკანონებას კახეთ-ჰერეთის დიდაზნაურები. მათ თავისებურ თანადგომა-სოლიდარობას უცხადებდა განძის ამირა ფადლონი, რომელიც ჯარით შეიჭრა კახეთში და იქიდან ბაგრატისაგან დანიშნულ მოხელეთა განდევნას ცდილობდა. ბაგრატ მესამემ დაამარცხა ფადლონი, აიძულა ყმადნაფიცობა და ხარკის გადახდა ეკისრა. ამ გამარჯ-

ვების შემდეგ საქართველო ქართველთა, აფხაზთა, კახთა და რანთა ერთიან სახელმწიფოდ გადაიქცა. მის საზღვრებს მილმა მხოლოდ თბილისის საამირო რჩებოდა. მაგრამ ბაგრატ მესამის გარდაცვალების (1014 წ.) შემდეგ საქართველოს გაერთიანების, ცენტრალიზებული მონარქიის განმტკიცების პროცესი შეფერხდა. ამის ძირითადი მიზეზი ფეოდალური ოპოზიციის, ცენტრიდანული ძალების კვლავ გააქტიურება იყო.

საქართველოს სამეფო ტახტზე 1014 წელს გიორგი I ავიდა. მან არ გააგრძელა მამის მიერ აღებული კურსი. ნაცვლად იმისა, რომ თბილისის ამირასათვის შეეტია და კახეთ-ჰერეთშიც თავის პოზიციები გაემაგრებინა, მთელი თავის ძალები ბიზანტიის წინააღმდეგ წარმართა. დავით III კურაპალატის ყოფილი სამფლობელოები დაიკავა. ამით ისარგებლეს კახეთ-ჰერეთის დიდ აზნაურებმა, ბაგრატ მესამის მიერ დანიშნული ერისთავები შეიპყრეს და გიორგი I აიძულეს დატყვევებული კვირიკესთვის კახეთ-ჰერეთის სამეფო ტახტი დაებრუნებინა.

იმავდროულად გიორგი პირველს ბიზანტიის იმპერატორმა ბასილ მეორემ შემოუტია. გენერალური ბრძოლა 1021 წელს სოფელ შირიმთან მოხდა. ქართველთა ჯარი დამარცხდა. გაფორმებული საზაო ხელშეკრულების თანახმად საქართველოს მეფემ ბიზანტიას დაუბრუნა დავით მესამის სამფლობელოები და ბიზანტიის კეისარს სამი წლის ვადით მძევლად გაუგზავნა თავის მცირეწლოვანი ვაჟი ბაგრატი.

1027 წელს გიორგი I გარდაიცვალა. საქართველოს სამეფო ტახტზე დიდებულებმა დასვეს 7 წლის ბაგრატ IV. მონარქის მცირეწლოვანებით ისარგებლეს საქართველოს შინა და გარე მტრებმა. 1028 წელს საქართველოს საზღვრებში შემოიჭრა ბიზანტიის ჯარი. ტაო-კლარჯეთის ზოგიერმა დიდებულმა მტერს უბრძოლველად გადასცა თავის ციხე-სიმაგრე. პატრიოტები კი თავგანწირვით იბრძოდნენ სამშობლოს დასაცავად. ეპისკოპოსმა საბა მტბევარმა ტბეთში ციხე ააგო, ადგილობრივი მოსახლეობისაგან შეკრიბა ლაშქარი, რომელმაც მტერს დიდი წინააღმდეგობა გაუწია. მის პარალელურად გიორგის ქვრივმა, დედოფალმა მარიამმა და მცხეთის კათალიკოსმა მელქისედეკმა ბიზანტიის ხელისუფლებასთან მშვიდობიანი მოლაპარაკება გამართეს. კომპრომისულ შეთანხმებას მიაღწიეს. კეისარი საქართველოს დაუზავდა. თავის ასული ბაგრატ მეოთხეზე დააქორწინა. მაგრამ მშვიდობის იურიდიული საფუძველი დედოფალი ელენე მალე გარდაიცვალა და ორ ქვეყანას შორის კვლავ მტრული ურთიერთობა განახლდა.

ბაგრატის მცირეწლოვანების დროს საქართველოში კლდეკარის ერისთავი ლიპარიტი და შიდა ქართლის ერისთავი ივანე აბაზას ძე თავკაცობდნენ. მათ, მართალია, დაამარცხეს საქართველოსაგან გამდგარი ყმადნაფიცი განძის ამირა, მაგრამ პირად ინტერესებსაც არ ივიწყებდნენ. ამ ორმა დიდებულმა მიზნად დაისახა თბილისის საამიროს გაუქმება იმ ფარული მოტივით, რომ მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი თავიანთ სამფლობელოდ გადაექციათ. 1032 წელს მათ თბილისის ამირა ჯაფარი დაატყვევეს და 13 წლის მეფეს მოუწოდეს მისი ტერიტორია დაეკავებინა. სხვა დიდაზნაურთა რჩევით ბაგრატმა ჯაფარი გაათავისუფლა და ყმადნაფიცობის პირობით დაიქვემდებარა. არც თბილისის საამიროს გაუქმების მეორე ცდას მოჰყოლია დადებითი შედეგი; ბაგრატმა ორწლიანი ალყით დაუძლურებულ თბილისის მუსლიმან დამცველებთან ომი შეწყვიტა და ლიპარიტის დაუკითხავად ამირას დაუზავდა (1040 წ.). ამის შემდეგ მეფისა და ლიპარიტ ერისთავის დაპირისპირება დიდ შინა ომში გადაიზარდა.

1045 წელს ბიზანტიის იმპერატორმა სომხეთის სამეფო გააუქმა, ქვეყნის სრულ დაპყრობას შეუდგა. ამით შეშფოთებულმა სომეხმა დიდკაცებმა ანისი საქართველოს მეფეს ბაგრატ მეოთხეს გადასცეს იმ მოტივით, რომ მისი დედა, დედოფალი მარიამი სომეხთა მეფის სენექერიმის ასული იყო. 1046 წელს თბილისის ამირა ჯაფარი გარდაიცვალა. მას მემკვიდრე არ დარჩენია და თბილისის ვაჭარ-ხელოსანთა თავკაცებმა ქალაქი ბაგრატ მეოთხეს გადაულოცეს. მოქალაქეებმა თბილისის მისადგომებთან საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს მეფეს. მაგრამ მაჰმადიანთა შეიარაღებულმა რაზმებმა ეს აქტი არ სცნეს და ისნის ციხეში გამაგრდნენ. ბრძოლა და ციხის ალყა გაჭიანურდა. ამ სიტუაციაში მოღალატურად ამოქმედდა ლიპარიტ ერისთავი. მან ვერაგულად დაატყვევა ბაგრატ მეოთხის მიერ ანისის მმართველად დატოვებული ერისთავი, რის შემდეგაც სომეხთა კათალიკოსმა ანისი ბერძნებს გადასცა. ბაგრატმა თბილისის ციხეს ალყა მოხსნა და ლიპარიტის წინააღმდეგ ამხედრდა. კლდეკარის ერისთავი თვითონაც ძლიერი ფეოდალი იყო და ბიზანტიის კეისარიც ენერგიულად ეხმარებოდა, რათა ამ შინაბრძოლით საქართველო დაესუსტებინა. ბაგრატ მეოთხეს გაუჭირდა გარეშე და შინა მტრების გაერთიანებულ ძალთა წინააღმდეგ ბრძოლა. ათწლიანი ომით ღონემიხდილი ბაგრატი 1054 წელს კონსტენტინეპოლში ჩავიდა და ლიპარიტ ერისთავთან დაზავებაში შუამავლობა ბიზანტიის კეისარს სთხოვა. დაზავება მოხდა. მაგრამ ბაგრატ მეოთხეს თითქმის მხოლოდ მეფის ტიტული შერჩა. ლიპარიტ ბაღვაში მთელი

სამხრეთ საქართველოს მთავრად აღიარეს. ლიპარიტმა ისიც გაბედა, რომ ბაგრატის კონსტანტინეპოლში ყოფნის დროს მისი მცირეწლოვანი ვაჟი გიორგი მეფედ აკურთხა და თავი მის მზრუნველად (რეგენტად) გამოაცხადა.

ლიპარიტ ერისთავის ასეთი განდიდება საქართველოს ყველა დიდებულს როდი სიამოვნებდა. განსაკუთრებულ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მონარქიული ლეგიტიმიზმის ერთგული აზნაურები. აზნაურთა ანტილიპარიტისტულ შეთქმულებას სათავეში ჩაუდგა სულა კალმახელი. მესხ აზნაურთა რაზმმა ლიპარიტი და მისი ძე ივანე დაატყვევა და მეფეს გადასცა. ბაგრატ მეოთხემ ლიპარიტი ბერად აღკვეცა და საქართველოდან უცხოეთში არსებულ წმინდა მონასტრებისაკენ ცოდვათა მოსანანიებლად გაისტუმრა. ძალაშემატებული ბაგრატ მეოთხე კახეთ-ჰერეთის შემოსაერთებლად ამხედრდა, მაგრამ მისი გეგმა თურქ-სელჩუკთა შემოსევამ ჩაშალა.

XI ს-ის 60-იანი წლებიდან თურქ მომთაბარეთა ტომების აზვირთებული ტალღა სტიქიურ უბედურებასათვით დაატყდა თავს წინააზიას. სელჩუკთა საგვარეულოს მეთაურობით აყრილი მეჯოგე ტომები, რომლის ყოველი მამაკაცი მეომარი იყო ცეცხლითა და მახვილით იპყრობდნენ ქვეყნებს, ცხვრის ფარების საძოვრებად იყენებდნენ მარცვლეულის ნათესებითა და მრავალწლიანი კულტურებით დაკავებულ ფართობებს. თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს ირანი, მესოპოტამია, სირია, პალესტინა. ისლამური ფანატიზმით გაჟღენთილი თურქები ორმაგი გააფთრებით იბრძოდნენ ქარისტიანი ხალხების წინააღმდეგ. 1071 წელს მათ გაანადგურეს ბიზანტიის ჯარი და იმპერატორი რომანოზ დიოგენი დაატყვევეს. იმპერიის აღმოსავლეთი ტერიტორიები თურქთა ხელში აღმოჩნდა. ამის შემდეგ საქართველო მარტო დარჩა ამ გამანადგურებელი ძალის წინაშე.

თურქ-სელჩუკები სულთან აღაფ-არსლანის მეთაურობით საქართველოში პირველად შემოიჭრნენ 1064 წელს. აოხრეს ჯავახეთი, სამცხე, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო. 1068 წელს ალფ არსლანმა აღმოსავლეთიდან შემოუტია საქართველოს. მას მორჩილებით ეახლნენ კახეთის მეფე აღსართანი, სომეხთა მეფე კვირიკე და თბილისის ამირა. თურქებმა დაიპყრეს ქართლი, გადავიდნენ არგვეთშიც. მაგრამ ბაგრატ IV კაპიტულაციას არ აპირებდა. საქართველოდან თურქთა მთავარი ძალების გასვლისთანავე, მან გაანადგურა ალფ არსლანის ერთგული ყმა განძის ამირა ფადლონი. თბილისის ამირას ციხე-სიმაგრეები ჩამოართვა. იგი ყმადნაფიცობის პირობით დაიქვემდებარა.

ბაგრატ მეოთხემ სულთნის წინაშე ქედი არ მოიხარა. ხარკის გადახდა არ იკისრა, ბრძოლას აგრძელებდა, მაგრამ 1072 წელს გარდაიცვალა. მისი მემკვიდრე გიორგი II (1072-1089) მამის კვალს ვერ გაჰყვა. შინა და გარეშე მტრების წინაშე დათმობაზე წავიდა. მან არა თუ დასაჯა ფეოდალები – ანანია ქვაბულის ძე, ვარდან დადიანი და ივანე ლიპარიტის ძე ბაღვაში, არამედ წყალობით აავსო. ამით სცადა მათი მოთვინიერება. გიორგი მეორემ ერთ-ერთ ბრძოლაში, მართალია, დაამარცხა თურქთა სარდალი. მაგრამ როცა „დიდი თურქობა" დაიწყო (1080 წ.), მორჩილებით ეახლა სულთან მალიქ შაჰს და ყოველწლიური ხარკის გადახდა იკისრა. საქართველოში დიდი რაოდენობით ჩამოსახლდნენ მომთაბარე თურქთა ურდოები, გადაშენება-გადაგვარების საფრთხე შეუქმნეს ქართველთა მაღალ კულტურულ მეურნეობას. თურქთა მბრძანებელმა თითქოს წყალობის თვალით შეხედა მორჩილ გიორგი მეორეს, კახეთ-ჰერეთი „უბოძა", მის დასამორჩილებლად დამხმარე ჯარი გამოუგზავნა. თურქ-ქართველთა ჯარი ვეჯინის ციხეს შემოადგა. მემატიანე გადმოგვცემს, რომ მეფემ ბოლომდე არ მიიყვანა დაწყებული საქმე, ალყა მოხსნა ციხეს და გარეულ ღორებზე სანადიროდ აჯამეთში წავიდა. არაა გამორიცხული, რომ ეს იყო მანევრი, ან პროტესტის თავისებური ფორმა; გიორგი მეორემ მიზანშეუწონლად მიიჩნია ქართველთა სისხლით თურქთა საქმის გაკეთება. მაგრამ შედეგი არანაკლებ საზარელი აღმოჩნდა, უკონტროლოდ დარჩენილმა თურქთა ჯარმა ივრისპირეთი ააოხრა, ხალხი გაძარცვა.

საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ მარცხს სტიქიური უბედურება დაემატა. 1088 წელს მიწისძვრამ ბევრი ციხე-ქალაქი დაანგრია. წყალდიდობამ სოფლები წალეკა. თითქმის ყველასათვის ცხადი გახდა, რომ მძიმე მდგომარეობიდან ქვეყანას გიორგი II ვერ გამოიყვანდა. მომავალზე დაფიქრებულმა პოლიტიკოსებმა სასახლის გადატრიალება (უსისხლო) მოაწყვეს. აიძულეს გიორგი II ტახტიდან გადამდგარიყო და მეფობა თავის 16 წლის ვაჟის დავითისათვის დაეთმო.

საქართველოს ცენტრალიზებული მონარქია

1089 წლის გადატრიალებაში, მართალია, აქტიურად მონაწილეობდნენ მოსაკარგავე დიდებულები და აზნაურები, მაგრამ ამ კრიტიკულ სიტუაციაში წამყვანი როლი ეროვნულ ძალთა შეკრების საქმეში ეკლესიამ შესრულა. სასულიერო–საერო დასს მეთაურობდა გიორგი მონაზონი – მწიგნობართუხუცესი. სწორედ ის იყო ამ იდეის ავტორი და პრაქტიკული ორგანიზატორი. დავით მეოთხემ, რომელიც ჭაბუკობიდანვე ამჟღავნებდა პოლიტიკურ ნიჭსა და მხედართმთავრობის უნარს, პირველი რიგის ამოცანად დაისახა ამბიციურ მსხვილ-ფეოდალთა თვითნებობის აღკვეთა და თურქ დამპყრობთა საქართველოდან განდევნა. მეფემ დიდი საქმე შეიარაღებულ ძალთა რეორგანიზაციით დაიწყო; მონარქიის ძირითად საყრდენ აზნაურთაგან ჩამოაყალიბა მცირერიცხოვანი, მაგრამ კარგად გაწვრთნილი, „მფრინავი" რაზმები, რომლებიც წარმატებით ებრძოდნენ საქართველოში მოთარეშე თურქებს. მომთაბარეთა ურდოები თანდათან სტოვებდნენ დაკავებულ ტერიტორიებს, განდევნილ-გახიზნული ქართველები კი მამა-პაპურ ფუძეს უბრუნდებოდნენ. შეიქმნა სახალხო მეურნეობის აღდგენა-განვითარების შედარებით ნორმალური პირობები.

დავით მეოთხეს კარგად ესმოდა, რომ ქვეყნისა და სახელმწიფოს შემდგომი წინსვლის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა იყო მეფის ხელისუფლების განმტკიცება-გაძლიერება, ცენტრიდანულ მისწრაფებით დაავადებულ ფეოდალთა ალაგმვა. ურჩ დიდგვაროვანთა ლიდერი ამ დროსაც ბაღვაშთა საგვარეულო იყო. დავითმა შეიპყრო ბაგრატ IV-ის დაუძინებელი მტრის შვილიშვილი ლიპარიტ უმცროსი და საქართველოდან გააძევა. დასაჯა აგრეთვე მეამბოხე ძაგან აბულეთის ძე და ზოგ სხვა დიდებულთა ურჩობასაც ბოლო მოუღო. მეფემ თანამდებობიდან გადააყენა მხოლოდ გვარიშვილობით დაწინაურებულ-გაამაყებული დიდებულები და მათს ადგილებზე ქვეყნის სამსახურში თავგამოჩენილი პირები ჩააყენა.

ამასობაში ძალადობა-დაპყრობების გზით შექმნილი თურქ-სელჩუკთა იმპერია დასუსტდა და დაიშალა შედარებით წვრილ სახელმწიფოებრივ ერთეულებად. იმავდროულად დაიწყო დასავლეთ ევროპელთა ჯვაროსნული ომი მაჰმადიანთა ბატონობისაგან წმინდა ადგილების, ქრისტიანთა უძველესი კერების გასათავისუფლებლად. თურქებმა თავის შეიარაღებულ ძალთა უმეტესი ნაწილი ჯვაროსნებს დაუპირისპირეს, მაგრამ მაინც

მარცხი განიცადეს. დასავლეთ ევროპელმა რაინდებმა დაიკავეს სირია, პალესტინა, გაათავისუფლეს იერუსალიმი (1095-1099 წწ.). ამით გამხნევებულმა ბიზანტამაც შეუტია თურქებს. საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაჰმადიანთა გარემოცვაში მარტო აღარ იყო. დავით IV, რა თქმა უნდა, ჯვაროსანთა მხარეს დადგა. იერუსალიმის კარიბჭესთან მდგარ ევროპელთა ჯარს თავის რაზმები მიაშველა. საქართველოს მეფემ თურქ-სელჩუკთა უზენაეს ხელისუფლების ფორმალურ აღიარებაზეც კი უარი თქვა, მათ წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევა დაიწყო.

განმათავისუფლებელი ბრძოლის საბოლოო გამარჯვებამდე მისაყვანად საჭირო იყო შინაგან ძალთა სრული გაერთიანება-კონსოლიდაცია. კახეთ-ჰერეთი კი ისევ განზე იდგა. ამ მხარის ბევრი დიდებული ფეოდალური „შეუვალობის" შენარჩუნებას ისახავდა მიზნად და ცენტრალიზებულ მონარქიაზე გარდამავალ საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შესვლას ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ კახეთ-ჰერეთის აზნაურთა უდიდესი ნაწილი მიემხრო საქართველოს მეფის დავით მეოთხის გამაერთიანებელ პოლიტიკას. 1104 წელს კახელმა აზნაურებმა – ქავთარმა, არიშიანმა და ბარამმა შეიპყრეს თავიანთი გამაჰმადიანებული მეფე აღსართანი და დავით მეფეს გადასცეს. საქართველოს ჯარმა დაიკავა კახეთ-ჰერეთის ტერიტორია. დავითმა მისი დიდი ნაწილი სამეფო დომენად გამოაცხადა, სხვა მიწების გამგებელმოსაკარგავად კი არიშიანი დანიშნა. თურქ-სელჩუკები არ აპირებდნენ ამ მდიდარ მოხარკე ქვეყანაზე ხელის აღებას. მათ საქართველოს მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად მრავალრიცხოვანი ჯარი გამოგზავნეს. 1105 წელს ერწუხთან მომხდარ გენერალურ ბრძოლაში მეფე-სარდალმა დავითმა გაანადგურა თურქთა ჯარი. იმდროინდელი ისტორიკოსი გადმოგვცემს, რომ დავითი პირადად მოუძღოდა თავის ლაშქარს. მას მტრებმა სამი ცხენი მოუკლეს და მეოთხე ცხენზე ამხედრებულმა ბრწყინვალე გამარჯვებით განასრულა საქართველოსათვის ესოდენ მნიშვნელოვანი ომი. კახეთ-ჰერეთის შემოერთებამ საგრძნობლად აამაღლა საქართველოს სახელმწიფოს ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური ძლიერება.

ქართველი ხალხის კონსოლიდაციაში, ქართველი ერის ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებდა ქრისტიანული სარწმუნოება და სამღვდელოება. მაგრამ X-XI საუკუნეებში საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის საჭე ხელთ ეპყრათ დიდაზნაურთა გვარიშვილებს, რომლებიც თანაუგრძნობდნენ განდიდე-

ბის მანიით შეპყრობილ დიდებულებს და გარკვეულ სიძნელეებს უქმნიდნენ მეფის ხელისუფლებას. დავით მეოთხემ საჭიროდ მიიჩნია საეკლესიო რეფორმის ჩატარება და ამ საქმეში დაეყრდნო ცნობილ სასულიერო მოღვაწის გიორგი მთაწმინდელის იდეას და მისი საქმის გამგრძელებლებს, რომლებიც მიზნად ისახავდნენ გვარიშვილობითა და გამოძალვით დანინაურებულთა ბატონობის აღკვეთას, საეკლესიო თანამდებობაზე პირადი ღირსებით შემკული ადამიანების არჩევა-დანიშვნას. 1103 წელს დავითმა მოიწვია საეკლესიო კრება, რომლის სხდომები რუისსა და ურბნისში მიმდინარეობდა. კრებამ მიიღო „ძეგლის-წერა" (დადგენილება), რომლის შესაბამისად ეკლესიიდან გააძევეს უღირსი მღვდელმთავრები და მათ ადგილზე დაინიშნენ „ჭეშმარიტი მწყემსნი". ამ ღონისძიებამ არსებითად შეასუსტა ფეოდალური ოპოზიციის გავლენა, გააძლიერა მეფის ხელისუფლება, ხელი შეუწყო ერის ზნეობრივ განმენდას, ქრისტიანობისა და ქართველობის იდენტურ ცნებებად გადაქცევას.

დავით მეოთხემ მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა სამეფო კარის მოხელეთა უფლება-კომპეტენციაში, მართვა-გამგეობის სტრუქტურაში. უკვე დამკვიდრებული წესის თანახმად, მეფის უახლოესი მრჩეველი და თანაშემწე, მისი სამწიგნობროს (კანცელარიის) გამგებელი იყო მწიგნობართუხუცესი. ამ თანამდებობაზე ინიშნებოდა უბრალო ბერი, რომელიც განსწავლული და სახელმწიფოებრივ საქმეებში კომპეტენტურ პირად ითვლებოდა. დიდგვაროვანთაგან განსხვავებით ამ ბერს სამამულო და სამემკვიდრეო ინტერესები არ გააჩნდა. უაღრესად ერთგული იყო მეფისა და ქვეყნისა. დავითმა ამ უბრალო ბერს დააკისრა სავაზიროს – მეფის კარის მოხელეთა თავმჯდომარეობა. მეფე დავითის წინაშე პასუხისმგებელ მთავრობაში (სავაზიროში) პირველ თავმჯდომარედ დაინიშნა დავითის აღმზრდელი გიორგი მონაზონი, რომელსაც ჭყონდიდის ეპისკოპოსობაც დააკისრეს. ასეთი ფართო უფლება-კომპეტენციით აღჭურვილი უმაღლესი მოხელის მეშვეობით მეფე აკონტროლებდა როგორც საერო, ისე საეკლესიო საქმეთა მიმდინარეობას. მწიგნობართუხუცესი დაინიშნა აგრეთვე სასამართლოს - „სააჯო კარის" მეთაურად და მეფე მისგან სათანადო ინფორმაციას ღებულობდა მართმსაჯულების დონის შესახებაც.

ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების, შინაპოლიტიკური სტაბილურობის განმტკიცების შემდეგ, მეფე დავითმა ახალი ძალით შეუტია თურქებს. 1110 წელს მათ ხელიდან გამოგლიჯა ციხე-ქალაქი სამშვილდე, 1115 წელს – რუსთავი. 1117

წელს საქართველოს მეფემ აიღო ჰერეთის აღმოსავლეთის განაპირა ქალაქი გიში. 1118 წელს კი საქართველოს დაუბრუნა ლორე. უცხო ძალის ხელით რჩებოდა თბილისი, მაგრამ იგი ქართველთა მეფის სამფლობელოებით გარშემორტყმულ კუნძულს დაემსგავსა. არაბთა ბატონობის ამ გადმონაშთის ლიკვიდაცია უკვე დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა.

დგებოდა დრო და იქმნებოდა ისეთი სიტუაცია, რომ გაძლიერებულ საქართველოს დაეკისრებოდა სამხრეთ კავკასიის ხალხების დამპყრობელთა უღლისაგან გათავისუფლების არცთუ იოლად განსახორციელებელი მისია. დავით მეოთხე აღმაშენებელმა საამისო სამზადისიც დაიწყო. შეიარაღებული ძალების რიცხობრივი გაზრდისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლების მიზნით მეფემ გაატარა სამხედრო რეფორმა. დავითს, მართალია, უარი არ უთქვამს დროებითი (მომენტალური) ლაშქრის შეგროვების ძველიდან მომდინარე ტრადიციაზე, იზრუნა მის სრულყოფაზე, მაგრამ პარალელურად შექმნა ე. წ. „მონა სპა" – 5 ათასიანი პირადი გვარია. ამასაც არ დასჯერდა. მიზნად დაისახა მრავალრიცხოვანი მუდმივი დაქირავებული ჯარის შექმნა. ჩრდილო კავკასიიდან ჩამოიყვანა ყივჩაყთა 40 ათასი ოჯახი და დაასახლა სამხრეთის საზღვრისპირა ველებსა და ხეობებში. ხელშეკრულება, რომელიც დავითმა ყივჩაყთა ტომის მეთაურებთან გააფორმა, ემყარებოდა სამხედრო-ლენურ სისტემას. ჩამოსახლებულ ყივჩაყთა ყველა ოჯახმა მიიღო გარკვეული ფარფობი მიწისა, რომლით სარგებლობის საზღაური (რენტა) უნდა დაეფარა, არა პროდუქტებისა და ფულის გაღებით, არამედ სამხედრო სამსახურით. 40 ათასი ოჯახიდან სამხედრო სამსახურში – მუდმივ ჯარში ირიცხებოდა 40 ათასი ბრძოლისუნარიანი მამაკაცი. ოჯახის დანარჩენი წევრები მეურნეობას ეწეოდნენ და ძირითადად თავის ხარჯით ინახავდა მეომრებს. დავითი ყივჩაყთა არმიას მხოლოდ იარაღს აწოდებდა. საქართველოს მეფემ ყივჩაყთაგან დაკომპლექტებული მუდმივი ჯარის სახით თურქ-სელჩუკებს დაუპირისპირა ყოფითა და ლაშქრობის წესით მათი მსგავსი ძალა და ამით შეავსო ხარვეზი ქართული ლაშქრისა, რომელსაც ძალიან უჭირდა ხანგრძლივი ომის წარმოება.

დავითის ისტორიკოსის აზრით, ყივჩაყთა ჯარმა გაამართლა მეფის იმედი. მაგრამ სხვა მოსაზრებაც გამოითქვა. აღინიშნა, რომ სხვატომელების ჩამოსახლება მათგან ჯარის შექმნა დიდი რისკი, სახიფათო ღონისძიება იყო. და მართლაც ფაქტია, რომ ყივჩაყთა მოთვინიერება ძნელი აღმოჩნდა. ისინი ზოგჯერ ჯანყსაც კი აწობდნენ, პრობლემებს უქმნიდნენ მეფე დავითს და მის

მეუღლეს, რომელიც ყივჩაყთა მთავრის ასული იყო. არც ისაა შემთხვევითი, რომ დიდგორის ბრძოლაში მეფე-სარდალმა დავითმა მხოლოდ 15 ათასი ყივჩაყი მეომარი გამიყვანა. გამარჯვების ძირითადი საფუძველი 40-ათასიანი ქართული ჯარის სიმამაცე იყო.

1120 წლისათვის დავით აღმაშენებელმა არსებითად დაამთავრა სამხედრო რეფორმის გატარება, შექმნა შეიარაღებული ძალების მთელი სისტემა, რომლის შემადგენელი ნაწილები იყო: პირადი გვარდია, ქართველი და ყივჩაყი მეომრებისგან დაკომპლექტებული მუდმივი ჯარი; ტრადიციული ლაშქარი. ომის დროს დავითს შეეძლო ბრძოლის ველზე გამოეყვანა 100 ათასიანი მუდმივი ჯარი და ლაშქარი. ამ სისტემის თავისებური დანამატი იყო მსტოვართა ინსტიტუტი (დაზვერვა), რომლის მოხელეები არა მარტო საქართველოს შიგნით აკონტროლებდნენ სიტუაციას, არამედ საზღვრებს მიღმაც საქმიანობდნენ, თითქმის სრული ინფორმაციას აწოდებდნენ მეფეს თურქულ სახელმწიფოთა მოქმედების და მათი ჯარების ლოკალიზაციის შესახებ, რასაც მეფე და მთავარსარდალი დავითი შეტევითი ომების დროს შესანიშნავად იყენებდა.

დავით აღმაშენებელი დიდ ყურადღებას აქცევდა არმიის საბრძოლო მომზადებას. მამაც მეომრებს ქებით წაახალისებდა, ხოლო ჯაბანთ მთელი რაზმის წინაშე არცხვენდა. მთელი სამეფო, შეიძლება ითქვას, სამხედრო ბანაკად გადაიქცა. არა მარტო ჯარს, არამედ ხალხს მოეთხოვებოდა წესრიგი და ბრძოლისათვის მზადება. მეფე-მთავარსარდლის მიერ გატარებულმა რეფორმებმა მკვეთრად აამაღლა საქართველოს ძლიერება. ამის გამოხატულება იყო გამარჯვება ერწუხის ომში, ქვემო ქართლის ციხე-ქალაქების გათავისუფლება, საქართველოს საზღვრების გაწევა აღმოსავლეთისაკენ.

შევიწროვებულმა და შეშინებულმა მაჰმადიანმა მფლობელებმა დიდ სულთანს სთხოვეს სამხედრო დახმარება. ფაქტიურად დაშლილმა სელჩუკთა იმპერიამ კვლავ შესძლო თავის შინაგან ძალთა მობილიზაცია, საქართველოს წინააღმდეგ გამოგზავნა 300 ათასიანი კოალიციური ლაშქარი, რომელიც წალკა-მანგლის-თბილისის მიდამოებში განლაგდა. დავითმა თავის მსტოვრების მეშვეობით დაადგინა მტრის მოძრაობა, მისი მიზანი (შიდა ქართლში გადმოსვლა) და მტერთან გენერალური ბრძოლის ადგილად თვითონ შეარჩია დიდგორი და მისი სანახები, სადაც მტრის ცხენოსანი ჯარი ვერ გაიშლებოდა, თავის რიცხობრივ უპირატესობას ვერ გამოიყენებდა. დიდი ბრძოლა დიდგორთან

1121 წლის 12 აგვისტოს მოხდა. თურქთა 300 ათასიან ლაშქარს შეეგება საქართველოს 56 ათასიანი ქვეითი ჯარი და კავალერია. მეფე-სარდალმა ტაქტიკურ მანევრს მიმართა, თურქთა ბანაკისაკენ 200 კაციანი რაზმი გაგზავნა. მოწინააღმდეგემ ივარაუდა, რომ მეფე დავითის მოღალატენი არიანო და ეს რაზმი თავის განლაგებაში შეუშვა. ორასმა გმირმა ფიცხელი ბრძოლა დაიწყო, არევ-დარევა შეიტანა მტრის რიგებში. დავითმა საერთო შეტევაზე გადაიყვანა თავის ჯარი. სისხლისმღვრელ ბრძოლაში მტერი დამარცხდა. დიდგორი და მისი სანახები თურქთა გვამებით დაიფარა. მუსლიმანთა კოალიციური ლაშქრის სარდალმა, ჯვაროსანთა წინააღმდეგ ბრძოლებში სახელგანთქმულმა ილ-ღაზმა გაქცევით უშველა თავს.

მეფე დავითის ისტორიკოსმა დიდგორის ბრძოლაში ქართველთა ამ გამარჯვებას „ძლევაი საკვირველი" უწოდა. არც შემცდარა. მუსლიმანთა ვეებერთელა ჯარის განადგურების შემდეგ მკვეთრად ამაღლდა საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟი. დავით აღმაშენებლის საბრძანებელი დასავლეთმაც და აღმოსავლეთმაც წინააზიის უძლიერეს სახელმწიფოდ აღიარა. დიდგორის გმირული ეპოპეის ერთი წლის თავზე დავით ძლევამოსილმა ერთი შეტევით აიღო 400 წელს უცხოელთა ბატონობის ქვეშ მყოფი თბილისი და იგი საქართველოს დედაქალაქად გამოაცხადა. 1123 წელს მეფე-მთავარსარდალმა ტრიუმფალური ლაშქრობები აწარმოვა აღმოსავლეთსა და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. დაამარცხა სულთან მაჰმუდის მრავალრიცხოვანი ჯარი და დაიკავა მთელი შირვანი, იქაურ ციხე-ქალაქებში თავის გარნიზონები ჩააყენა. თურქებისაგან განწმინდა ვრცელი ტერიტორია კარნიფორ-ბასიანიდან სპერამდე. 1123 წელს საქართველოს მეფეს დახმარება სთხოვეს თურქთა ბატონობისაგან შევიწროებულმა სომხებმა. დავითი სწრაფად შეიჭრა მათ ქვეყანაში, გაანადგურა თურქთა 20 ათასიანი ჯარი, მაჰმადიანთა ძალადობისაგან გათავისუფლებული ანისში და სომხეთის სხვა ციხე-ქალაქებში ქართული ჯარის გარნიზონები ჩააყენა.

XII საუკუნის მემატიანეებმა ბევრი ცნობები დაგვიტოვეს დავითის პიროვნებისა და ღვაწლის შესახებ. გვაუწყეს, რომ იგი იყო არა მარტო ნიჭიერი პოლიტიკოსი, არამედ ბრწყინვალე სარდალიც. ამ მხედართმავარის მახასიათებელი იყო სწრაფი და მოულოდნელი შეტევა. მეფობის პირველ წლებში ამით ავსებდა იგი თავის ჯარის სიმცირეს. მრავალათასიანი რამიის შექმნის შემდეგაც იყენებდა დავითი ბრძოლის ზემოაღნიშნულ ტაქტიკას. ჯაგრამ მეფე-სარდალი უკვე ახერხებდა დიდ ტერიტორიაზე თავის,

შეიარაღებული ძალების ფართო სტრატეგიული მიზანდასახულობით გაშლას, რამდენიმე მიმართულებით შეტევის წარმოებას. 1124 წელს დავითმა ექვსი დიდი ლაშქრობა მოაწყო, რომელთა არეალი ვრცელდებოდა შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე. ამ ძლევამოსილ ბრძოლების საბოლოო შედეგი იყო მთელი სამხრეთი კავკასიის გაწმენდა თურქთაგან. საქართველოს პოლიტიკური საზღვრების გაფართოვება ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, ოსეთიდან არაგაწამდე.

საქართველოს საზღვრების გაფართოვების პროცესი მეფის ტიტულატურაშიც აისახებოდა. თუ ბაგრატ III „აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა მეფე" იყო, დავით მეოთხე აღმაშენებლის ტიტულატურას „შირვანშაჰ და შაჰანშაჰ" დაემატა. იგი შირვანელებისა და სომხების მეფეც გახდა. დავითის დროს კიდევ უფრო გაღრმავდა მონარქიული იდეოლოგია. განმტკიცდა ბაგრატიონთა დინასტიის იესო ქრისტესთან ნათესაობისა და ღმერთისაგან მეფედ კურთხევის რწმენა. დავით აღმაშენებელი მოიხსენიებოდა აგრეთვე როგორც „მესიის მახვილი". მის მიერ მოჭრილ მონეტაზე არაბულად ეწერა: „მეფეთ-მეფე დავითი, ძე გიორგისა, მესიის მახვილი". ეს მაჰმადიანებს იმაზე მიანიშნებდა, რომ მეფის ხმალი უპირველეს ყოვლისა გარეშე მტრების წინააღმდეგ იყო მიმართული. მაგრამ იგი სულაც არ აპირებდა საქართველოში მცხოვრებ სხვა ტომელთა შევიწროვებას. დავითის საბრძანებლოში არც ისლამის მიმდევრები იჩაგრებოდნენ და არც მონოფიზიტი (გრიგორიანელი) სომხები. ასეთი პოლიტიკით უწყობდა ხელს ის ქართველების და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების წინააღმდეგობის აღმოფხვრას, მათ გარდასახვას ერთიანი სახელმწიფოს თანასწორუფლებიან ქვეშევრდომებად (მოქალაქეებად).

დავით აღმაშენებლის ნება, „მესიის მახვილი" თურქ დამპყრობლებს ამიერკავკასიიდან ერეკებოდა, საქართველოს მეზობელ მცირე ხალხებს გამანთავისუფლებლად ევლინებოდა. დავითის ისტორიკოსი საქართველოს მეფესა და მთავარსარდალს ძველ ბერძენ გმირებზე გაცილებით მაღლა აყენებდა; ბერძენი სარდლები ტროას აღებას რამდენიმე წელი მოუნდნენ, დავითმა კი დიდგორის ომში ერთ დღეს დაამარცხა ურიცხვი მტერი, მოიპოვა „ძლევაი საკვირველი"; „პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი, ...რამეთუ ხელი მაღლისა შეეწეოდა და ძალა ზეგარდმო იფარავდა". ზეგარდმო მომდინარე დახმარება როდი აკნინებდა მეფის პირად ღვაწლს. იგივე ისტორიკოსი წერდა: „კუერთხი მეფობისა... დავითმა იბყრა ესრეთ მაღლათ, ვიდრე ვერავინ სხვამან,

... და ვითარ ვინ აღრიცხნეს რაოდენი საქმენი ეთხოვებიან მეფობას, რაოდენი მართებანი და განსაგებელნი, რომელთა შინა ვერავინ" შეედრებოდაო დავით აღმაშენებელს.

„მეფობას", სახელმწიფოებრივ პოლიტიკას ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობაც ევალებოდა. ეს პრობლემა ახალი ტერიტორიების შემოერთებისა და სხვატომელთა დაქვემდებარების შემდეგ კიდევ უფრო აქტუალური გახდა. დავით აღმაშენებელი თავდაპირველად ყველა მიწასა და დაბა-ქალაქს სამეფო ტახტს უქვემდებარებდა. დავითმა სამეფოდ დაიჭირა არაქართული ტერიტორიებიც (შირვანი, სომხეთი და სხვ.). ამით მან დაარღვია მეზობელ მფლობელ ხელმწიფეთა ლეგიტიმური უფლება, რაც დავითმა თავის მეფობის ბოლო წლებში შეცდომათ, ღვთის წინაშე ჩადენილ ცოდვად მიიჩნია. „გალობანი სინანულისანისა"-ში თვითმპყრობელი მეფე წერს: „ბოროტად გარდავხედ საზღვართა და შევრთე სახლი სახლსა და აგარაკი აგარაკსა და უუძლურესთა მივხვეჭე ნაწილი მათი. და ვიღვწოდი უმეზობლობასა, ვითარცა მარტო ვმკვიდრობდი ქვეყანასა ზედა". დავით აღმაშენებელმა მეფობის ბოლო ეტაპზე გაიაზრა, რომ იგი მარტო თვითონ როდი იყო ღვთისაგან მეფედ ხელდასხმული. ანგარიში უნდა გაეწია მეზობელ სახელმწიფოთა ლეგიტიმური უფლებისთვისაც. დავითმა დაიწყო დაშვებული შეცდომის გამოსწორება.

საქართველოს მრავალეროვნულ სახელმწიფოდ გადაქცევამ ქართველ თვითმპყრობელ მეფეთა წინაშე თავისთავად დააყენა მეზობელ მეფე-მთავრებთან ქართულ სახელმწიფოში შემავალ ხალხებთან მიმართების ფორმის საკითხი. ფაქტია, რომ საქართველოს მეფის კარმა სხვა ტომელთა, სხვა სარწმუნოების მიწდევართა მიმართ ტოლერანტული პოზიცია დაიკავა, შემწყნარებლური კურსი შეიმუშავა. დავით IV აღმაშენებელმა მეფობის ბოლო წლებში თავის ურთიერთობა ოსთა მთავრებთან ყმადნაფიცობის პრინციპზე დაამყარა. ყმად-ნაფიცობის პირობით შემოიმტკიცა ლეკნი და ჩრდილო კავკასიის ზოგი სხვა ტომიც. ამ კურსმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა XII-XIII სს. მიჯნაზე, როცა საქართველო მცირე იმპერიად გადაიქცა, როცა მასში შემავალმა არაქართულმა ეთნოსებმა მიიღეს ავტონომიური მართვა-გამგეობის შექმნის უფლება. მეფე თამარი უზენაესი ლეგიტიმური ხელმწიფე, მეფეთ-მეფე იყო. მას ექვემდებარებოდნენ ასევე ლეგიტიმური მეფე-მთავრები (ყმადნაფიცები).

საქართველოს თვითმპყრობელი მეფეები ასეთ ავტონომიას, რა თქმა უნდა, ვერ მიანიჭებდნენ განდიდების მოყვარე ქარ-

თველ დიდებულებს, მით უმეტეს თავის მოხელე ერისთავებს. ისინი მეტ-ნაკლები წარმატებით იბრძოდნენ ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილების განმტკიცებისათვის. მეფეთა ამ კურსს მხარს უჭერდნენ აზნაურები, სამღვდელოება, ვაჭრები და ხელოსნები. გლეხებიც მეფეთა უშუალო ყმობა-მორჩილებას ამჯობინებდნენ დიდებულ აზნაურთა თვითნებობას. ერთი სიტყვით, ფეოდალური საზოგადოების დიდი უმრავლესობა გმობდა დიდებულთა ხელმწიფურ პრეტენზიებს, მაგრამ სურვილი ჰქონდა მონაწილეობა მიეღო სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, მეფის ხელისუფლებასთან თანადგომით შეეტანა წვლილი ქვეყნის განვითარებაში.

მონარქიული იდეოლოგიის ფუძემდებელნი ყოველთვის როდი ახერხებდნენ ზღვარი გაევლოთ დიდებულთა ცენტრიდანულ მისწრაფებებსა და სხვა ფენების კონსტრუქციულ წინადადებებს შორის. ბაგრატიონთა მემატიანეს სუმბატ დავითის ძეს თავის მიერ შედგენილ გენიალოგიურ ნუსხაში ეს საგვარეულო გამოჰყავს ებრაელთა ბიბლიური მეფის დავით წინასწარმეტყველიდან და ანათესავებს მას ღვთისმშობელ მარიამის ოჯახთანაც. ამიტომ სუმბატ დავითის ძეს მიაჩნდა, რომ ბაგრატიონებს იმთავითვე ჰქონდათ მეფის ტიტულის მიღების, ლეგიტიმურ მონარქად კურთხევის უფლება. მაგრამ გუარამ ბაგრატიონს ამაში ხელი შეუშალეს ქართლის აზნაურებმა. იგი გმობს ქართლის აზნაურებს, მათ ასეთ ქმედებას „ბოროტ საქმეს" უწოდებს და წერს, რომ მას შემდეგ, რაც „მოაკლდა მეფობაი შვილთა გორგასლიანთა, მით ჟამთაგან ებყრა უფლებაი (მმართველობის უფლება – ა. ბ.) ქართლისა აზნაურთა ვიდრე აქომამდე" (35, 373-379). გამოდის, რომ ორი-სამი საუკუნის განმავლობაში ქართლის შინამმართველობა არსებითად ხელთ ეპყრათ აზნაურებს, ერისმთავრის ხელისუფლება ძალიან შეზღუდული იყო. მაგრამ სუმბატ დავითის ძე არაფერს ამბობს აზნაურთა უფლების, მათი ორგანიზაციის ფორმის შესახებ. ამ საკითხზე არც თანამედროვე ისტორიკოსებსა და იურისტებს გაუმახვილებიათ ყურადღება. არავინ დაფიქრებულა იმაზე, თუ რა დამოკიდებულება, მიმართება არსებობდა საქართველოში იმ დროს მოქმედ ორ დევიზს („ხმა ღვთისა", „ხმა ერისა") შორის. ღვთის ნება (მეფის უფლებამოსილება) გამორიცხავდა თუ ითავსებდა ხალხის ნებას, „ხმა ერისას".

ძველი და შუა საუკუნეების აღმოსავლური ქვეყნების სახელმწიფოთა თავისებურება ის იყო, რომ იქ ღვთის ნების გამომხატველი და ღვთის სწორი მეფე დომინირებდა. მან შეინარჩუნა

მიწის ფონდის უზენაესი და ერთად ერთი მესაკუთრის უფლება. მასზე დაყრდნობით გადაიქცა თვითმპყრობელ დესპოტად, რომლის თითქმის ყველა ბრძანებას უსიტყვოდ ასრულებდნენ მოხელეები და რიგითი ქვეშევრდომები. დასავლეთის სამყაროში კი მეფე, მართალია, მსხვილი მესაკუთრე იყო, მაგრამ მიწის მფლობელ-მესაკუთრეებად გადაიქცნენ მსხვილი და წვრილი ფეოდალებიც. მიწის გარკვეულ ნაწილს დაეუფლა აგრეთვე ეკლესია (სამღვდელოება). უძრავ-მოძრავ ქონებას ეუფლებოდა ვაჭართა ფენაც. საკუთრება ქმნის უფლებას და დასავლეთის ქვეყნებში, კერძოდ საქართველოში პარალელუად მოქმედებდა ორი დევიზი, თანაარსებობდა „ხმა ღვთისა" (რომლის გამომხატველი მეფე იყო) და „ხმა ერისა". უფრო ხშირად დომინირებდა „ხმა ღვთისა" – მეფის ხელისუფლება, მაგრამ არც თუ იშვიათად წინა პლანზე გამოდიოდა „ხმა ერისა". ასეთი რამ მოხდა, მაგალითად, VI-VIII საუკუნეების ქართლში, როცა მართვა-გამგეობის სფეროში წამყვან როლს ასრულებდნენ აზნაურთა და სამღვდელოების ნარმომადგენლები. ირანელთა განდევნის შემდეგ მათ გაიხსენეს სახალხო კრების მოწვევის, უხუცესთა საბჭოს არსებობის ტრადიცია და შექმნეს გარკვეული, კოლეგიალური წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანიზაციის პირველი ფორმა, რომელიც მოგვიანებით წოდებათა წარმომადგენლების სათათბიროდ გარდაისახა. ამ მიმართულებით მეტ-ნაკლებ წარმატებას მიაღწიეს პოლონელმა აზნაურებმა, ინგლისელმა, ფრანგებმა, რუსმა აზნაურებმა და სხვა წოდებებმა.

საქართველოს მეფეებს და მონარქიული ლემიტიზმის იდეოლოგებს დიდხანს გაჰყვათ არც თუ სასიამოვნო ხსოვნა იმ პერიოდზე, როცა პოლიტიკურ ცხოვრებას ერისთავები და სხვა დიდი აზნაურები აძლევდნენ ტონს, იბრძოდნენ ამ სიტუაციის შეცვლისათვის, თანდათან აძლიერებდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას. მონარქებმა წინ წამოსწიეს „ხმა ღვთისა", მაგრამ უსმენდნენ აგრეთვე ხალხის ხმას, რომელსაც შუა საუკუნეებში ფეოდალური საზოგადოების მაღალი ფენები და მღვდელმთავრები აყალერებდნენ. ქართლის ცხოვრება და სხვა ნყაროები ცხადყოფს, რომ ქართველმა მეფეებმა შეინარჩუნეს, კერძოდ, წოდებათა წარმომადგენლების სათათბირო, იგივე „დარბაზი", რომლის საქმიანობაში თანდათან ჩაერთნენ ვაჭარ-ხელოსანთა კორპორაციების წარმომადგენლებიც.

ბაგრატ III სამეფო კართან იტანდა წოდებათა სათათბიროს – დარბაზის არსებობას, მაგრამ ვერ ურიგდებოდა ცალკეულ მსხვილ ფეოდალთა გადამეტებულ პრეტენზიებს, თვითმპყრო-

ბელობისაკენ მიისწრათოდა. გვაროვნულ-ტომობრივი წყობილებიდან გამოსულ და პატრონყმობის დროს აღზევებულ ერისთავებს დაუპირისპირა მოსაკარგავე აზნაურები, რომელნიც მეფის ხელისუფლების ძირითად საყრდენ ძალად გადააქცია. ამ მიმართულებით გაცილებით მეტ წარმატებას მიაღწია დავით აღმაშენებელმა. მაგრამ არც მას გაუუქმებია დარბაზი. ეს მარტო იმის გამო არ გაუკეთებია, რომ წოდებათა წარმომადგენლებმა მოახდინეს 1089 წლის სასახლის გადატრიალება, ხელი შეუწყვეს მის გამეფებას. დავით აღმაშენებელს მიაჩნდა, რომ ამ სათათბირო ორგანოს შეეძლო დადებითი როლი შეესრულებინა თვითნება დიდებულთა მოთვინიერებაში და საერთოდ სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

დავით აღმაშენებელმა რიგით აზნაურთა თანადგომით შეავიწროვა ამბიციური, დიდების მოყვარე ფეოდალები. ამაში მას ქვეყნის განვითარების ობიექტური პროცესიც ეხმარებოდა; თავისუფალ მეთემეთა (ერის) ყმაგლეხებად გადაქცევის შედეგად ერისთაობის ინსტიტუტს ადრინდელი სოციალური ბაზა ეცლებოდა. ბარის რაიონებში ერისთაობა ფიქცია ხდებოდა. საქართველოს მართვა-გამგეობაში თანდათან მეტ როლს ასრულებდნენ სამეფო კარის მოხელეები – ვაზირები, ხოლო პერიფერიებში მოსაკარგავე აზნაურები. ყოფილი ერისთავები სამეფო კარის ცენტრალურ აპარატს ექვემდებარებოდნენ. ნ. ბერძენიშვილის აზრით, დავით IV აღმაშენებელი ამას იმით ახერხებდა, რომ „საქვეყნოდ გამრიგე" მოხელეებს თანდათან დარბაზით გამოსულ მოხელეებად აქცევდა... გაძლიერებულმა სამეფისკარო სამოხელეო ინსტიტუტმა ვაზირობამ გასაუქმებლად შეუტია ძველის (პატრონყმობის ხანის) ინსტიტუტს ერისთაობას. მეფის კარის მანდატურთუხუცესი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი და ათაბაგი ამავე დროს ერისთავთერისთავია, მაგრამ საკარისმოხელეო პატივით".ნ. ბერძენიშვილი ასკვნის, რომ ვაზირობა ახალი რეალობა იყო, ერისთავთერისთაობა უშინაარსო სამკაული". (1, 233-234).

ვაზირთათვის ერისთავთერისთაობა უშინაარსო სამკაული იყო, მაგრამ პროვინციებს მართვა სჭირდებოდა, საერისთაოები XII საუკუნეშიც არსებობდა. ერისთავთა უმრავლესობა ემორჩილებოდა მეფეს,მის ვაზირებს, მაგრამ იყვნენ აგრეთვე მოჯანყე ერისთავები, რომელნიც თავიანთი მიზნის მიღწევისათვის ბაგრატიონ მეფეთა შინადინასტიურ წინააღმდეგობებსაც იყენებდნენ.

ფეოდალიზმის ეპოქაში სტაბილურობის საფუძველი იყო

მონარქიული ლეგიტიმიზმი და მასთან დაკავშირებული ტახტის მემკვიდრეობის წესი, რომლის მიხედვით მეფის ტიტული და ხელისუფლება მამიდან უფროს შვილზე გადადიოდა, ხოლო თუ მეფეს შვილი არ ჰყავდა, ტახტს ძმა ან სხვა ახალი ნათესავი იკავებდა. ამ წესის დარღვევამ XII ს-ის საქართველოში საკმაოდ დიდი კატაკლიზმები გაიწოინვია.

დავით აღმაშენებელმა თვითონვე დასვა თანამოსაყრდედ და მეფედ აკურთხა უფროსი ვაჟი დემეტრე. დავითის გარდაცვალების შემდეგ ფეოდალურმა არისტოკრატიამ სცადა თავის შეკვეცილ უფლებათა გაფართოება და ამისთვის გამოიყენა დავით აღმაშენებლის ანდერძის ერთი მუხლი, რომელიც დავითის უმცროს ვაჟს ვახტანგს ეხებოდა. აქ ნათქვამი იყო: დემეტრემ „ძმა მისი გაზარდოს და თუ ინებოს ღმერთმან ვარგ იყოს ცუატა, შემდგომად მისსა მეფე ჰყოს მამულსა ზედა". ნ. ბერძენიშვილმა დაასაბუთა, რომ ანდერძის ეს ნაწილი ყალბია. ბრძენი დავით აღმაშენებელი ტახტის მემკვიდრეობის წესს (რომელიც მტკიცედ იყო დაცული ბაგრატ მესამიდან დემეტრე პირველამდე) არ დაარღვევდა. იგი დემეტრეს მტრებმა შეთხზეს და კიდეც აუჯანყეს ვახტანგი მეფეს. მაგრამ დემეტრემ ბრძოლაში გაიმარჯვა, ტახტი შეინარჩუნა.

როინ მეტრეველს ეჭვი არ შეუტანია დავითის ანდერძის უტყუარობაში. მან აღნიშნა, რომ დავით აღმაშენებელი „თავის მოღვაწეობით სამეფო ტახტის მემკვიდრეობის ძველთაგანვე არსებული წესის მიმდევრად არ გვევლინება" ამ ანდერძის ერთი ნაწილი მიგვანიშნებს, რომ საქართველოს მეფემ 1125 წელს „ტახტის მემკვიდრეობის არსებული წესის შეცვლა გადაწყვიტა. დაუძვა დემეტრეს შემდეგ მისი ძმის ცუატას (ვახტანგის) გამეფების შესაძლებლობა. დავით აღმაშენებლის აღნიშნულმა ანდერძმა (საანდერძო განკარგულებამ) არსებითი ცვლილება შეიტანა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის მანამდე არსებულ ტრადიციულ წესებში".

ეს ფაქტი (არ მომხდარი) რ. მეტრეველს დადებით მოვლენად მიაჩნია. „განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში სამეფო ტახტის მაძიებლის პირადი ღირსებების წინა პლანზე წამოწევა და ამ თვისებებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მინიჭება უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო, რადგან ამ აქტმა ფაქტობრივად განსაზღვრა XII საუკუნის საქართველოს სამეფო ტახტისათვის მებრძოლი სოციალური ფენების იდეოლოგია... ბუნებრივია, სამეფო ტახტის სამემკვიდრეო წესის შეცვლა მხოლოდ დავით აღმაშენებლის, როგორც პიროვნების სურვილი არ

იქნებოდა. იგი XII ს-ის საქართველოში არსებული გამძაფრებული შინაკლასობრივი ბრძოლის პროდუქტია და გამოხატავს მაშინ არსებული კლასობრივი ძალების თანაფარდობას" (12, 27).

ამ მსჯელობაში იგრძნობა გავლენა იმ თეორიისა, რომლის მიხედვით კლასთა ბრძოლა არის პროგრესული განვითარების ძირითადი საფუძველი. დავით IV აღმაშენებელი, რა თქმა უნდა, ამ თეორიის მომხმარე ვერ იქნებოდა. იგი არ დაარღვევდა ლეგიტიმური მონარქიის პრინციპებს, ხელს არ შეუწყობდა ცენტრიდანულ ძალებს. საფრთხეს არ შეუქმნიდა სახელმწიფოს შინაგან სტაბილურობას.

ტახტის მემკვიდრეობის საკითხში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ დემეტრე პირველი და მისი ვაჟი დავითიც. დავითის უკმაყოფილების მიზეზი ის იყო, რომ მამა უპირატესობას ანიჭებდა უმცროს ვაჟს გიორგის და მოსალოდნელი იყო მისი სამეფო ტახტზე აყვანა. დავითის ეს შეშფოთება გამოიყენეს ზოგიერთმა დიდებულებმა და აამხედრეს უფლისწული მეფის წინააღმდეგ. 1155 წელს შინადინასტიურ ბრძოლაში უფლისწულმა გაიმარჯვა, სამეფო ტახტზე დაჯდა. მაგრამ დავით V 6 თვის შემდეგ გარდაიცვალა (არაა გამორიცხული, რომ იგი მოკლეს). დემეტრე პირველმა ბერის ჩოხა გაიხადა, კვლავ ტახტზე დაჯდა და თანამეფედ უმცროსი ვაჟი გიორგი აკურთხა.

მონარქიული ლეგიტიმიზმისა და ტახტის მემკვიდრეობის წესის ამ დარღვევებში ორივე მხარე სცოდავდა. დავითს ვარაუდებზე არ უნდა აეგო თავის სამოქმედო გეგმა, სამეფო ტახტს იარაღით არ უნდა დაუფლებოდა. თავის მხრივ მეფე დემეტრეს არ უნდა დაერღვია ტახტის მემკვიდრეობის უკვე ტრადიციად ქცეული წესი. დავით მეხუთის გარდაცვალების შემდეგ ხელი არ უნდა შეშლოდა მისი ვაჟის დემეტრეს (დემნას) გამეფებისათვის. ამ დარღვევებმა შექმნა შინადინასტიური ბრძოლის გაგრძელების საფუძველი, რაც კვლავ გამოიყენა ფეოდალური საზოგადოების გარკვეულმა წრემ თავის მიზნის განხორციელებისათვის.

1177 წელს იოანე ორბელმა და მისმა მომხრეებმა გიორგი მესამის წინააღმდეგ აჯანყების დროშად გაიხადეს საქართველოს სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრე უფლისწული დემნა (დემეტრე). დემეტრე I-ისა და დავით V-ის კონფლიქტის დროს იოანე ორბელი დემეტრე პირველის მხარეს იყო. ამისათვის გასამრჯელოდ მიიღო ანისის ოლქის მმართველობა. მასვე მიანდო მეფემ მცირეწლოვანი დემნას აღზრდაც მისი გაუუნებლობის დავალებით. მაგრამ იოანე ორბელი არ დააკმაყოფილა ანისის მმართველად დანიშვნამ. გამოითქვა მოსაზრება, რომ მას საქარ-

თველოს შემადგენლობაში სომხეთის ავტონომიური სამთავროს შექმნა და მისი ხელმწიფობა სურდა. სხვა ქართველი დიდებულები მეფის კარის და საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა უფლება-კომპეტენციის გაფართოებისათვის იბრძოდნენ. ვარაუდობდნენ, რომ უფლისნული დემნა მათი ასეთი მიზნების რეალიზაციას ხელს არ შეუშლიდა და ამიტომ მეფობის სასურველ კანდიდატად მიიჩნიეს. შეთქმულნი მოხერხებულად იყენებდნენ ტახტის მემკვიდრეობის წესსაც და მახვილი აღმართეს თვითმპყრობელობისაკენ მიმსწრაფ გიორგი მესამის წინააღმდეგ.

აჯანყებულებს 30 ათასიანი ლაშქარი ჰყავდათ. მეფეს გაცილებით ნაკლები. გიორგი მესამეს ბოლომდე უერთგულა ნაყივაჩაღარმა ყუბასარმა და რამდენიმე ახლად აღზევებულმა ფეოდალმა. გიორგი მესამის წისქვილზე წყალი დაასხა აჯანყების მეთაურთა გაუბედაობამ, გადამწყვეტი ომისათვის გაჭიანურებულმა მზადებამ. ლორეს ციხეში გამაგრებულმა აჯანყებულებმა, კერძოდ მათმა მეთაურმა იოანე ორბელმა მეფეს შესთავაზა საქართველოს გიორგისა და დემნას შორის გაყოფის წინადადება. მაგრამ გიორგი მესამემ ამ დათმობის გარეშე მიაღწია გამარჯვებას, აჯანყების მეთაურები შეიპყრო, მათთვის უაღრესად მკაცრი სასჯელი მეფემ დარბაზის ერთა თანხმობით გამოიტანა და საეკლესიო შეჩვენებით დაამტკიცა. ეკლესიის მიერ შეჩვენებულ-დაკრულვილი კი ლაშქარში არ მიიღებოდა და მას მამულიც ერთმეოდა. იმავდროულად ნაყივჩაღარმა ყუბასარმა მიიღო ამირსპასალარობა, ხოლო აზნაურის ნაყმევმა, ახლად აღზევებულმა აფრიდონმა კი მსახურთუხუცესობა. ვაჭართა წრიდან გამოსული ყუთლუ-არსლანი მეჭურჭლეთუხუცესად დაინიშნა. (8, 292-294). ასეთი კურსი სავსებით შეესაბამებოდა ცენტრალიზებული მონარქიის ინტერესებს. მეფეს კარგად ესმოდა, რომ პრეტენზიული ძირძველ დიდებულთაგან განსხვავებით მსახურეული აზნაურები, ვაჭრები და მოქალაქეები მეფის ხელისუფლების საიმედო საყრდენი იქნებოდნენ.

ამ დიდი შინაომის შემდეგ გიორგი მესამემ ასული თამარი თანამოსაყდრედ დაისვა, ყველა წესის დაცვით აკურთხა მეფედ. საქართველოში ეს იყო ქალის გამეფების პირველი შემთხვევა და, ბუნებრივია, გიორგი მესამეს დარბაზის ერთა თანადგომა დასჭირდა და კიდეც მიიღო, თამარი მეფედ აკურთხა „თანადგომითა ყოველთა, პატრიარქთა და ეპისკოპოსთა, დიდებულთა იმერთა და ამერთა, ვაზირთა, სპასალართა და სპასპეტთა". შოთა რუსთაველმა გიორგი მესამის ნაბიჯი ამ სიტყვებით გაამართლა - „ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს თუნდა ხვადია".

გიორგი მესამემ მთელი ფეოდალური საზოგადოების გაერთგულება, რათქმა უნდა, ვერ შესძლო. მისი გარდაცვალების შემდეგ (1184 წ.) ძირძველმა დიდებულებმა თამარის უფლება სამეფო ტახტისადმი სადაო გახადეს. ივანე ჯავახიშვილის აზრით, ამ უფლების აღიარების საზღაურად დიდებულთა ერთმა ნაწილმა გარკვეული შეღავათი და სარგებელი მიიღო და თამარის მეფედ კურთხევა განმეორებით ჩატარდა. ნიკო ბერძენიშვილი კი იმას აღნიშნავს, რომ დიდებულებმა მეფის კურთხევის ცერემონიალში ხაზი გაუსვეს ძირძველი ფეოდალების განსაკუთრებულ მნიშვნელობას ტახტის მემკვიდრის მეფედ კურთხევაში, მის ხელმწიფურ უფლებამოსილებით აღჭურვაში დიდებულთა თანხმობა-თანადგომის მნიშვნელობას. მათ ისიც მოახერხეს, რომ მეფე თამარს ამირსპასალარის თანამდებობიდან გადააყენებინეს ნაყივჩაღარი ყუბასარი და ფეოდალური იერარქიის კიბეზე ახლად აღზევებულ აფრიდონს კი მსახურთუხუცესობა დაატოვებინეს.

საქართველოში ფეოდალური წოდება არასდროს ყოფილა კარჩაკეტილი კასტა. იგი განუწყვეტლივ ივსებოდა დაბალი ფენებიდან სიმდიდრით ან სამსახურით აღზევებულთა კონტიგენტით. ეს შევსება ყოველთვის მშვიდობიანად როდი მიმდინარეობდა. არც თუ იშვიათად თავს იჩენდა წინააღმდეგობები და კონფლიქტები. ასე მოხდა, კერძოდ, თამარის თანამოსაყდრედ დასმისა და გამეფების დროს. გიორგი მესამემ ოპოზიციაში ჩამდგარი ძირძველი დიდებულები გადაეყვანა და ახალკაცები დაწინაურა. თამარი კი, როგორც აღინიშნა იძილებული გახდა, ძირძველნი თანამდებობაზე აღედგინა, ახლადაღზევებულნი კი გადაეყენებინა.

ფეოდალური საზოგადოების ერთ ნაწილს არ მოეწონა ძირძველ დიდებულთა დიქტატი, მეფის კარზე მათი გაბატონება. სწრაფად გაჩნდა ახალი ოპოზიცია. პირობითად მას შეიძლება მემარცხენე ოპოზიცია ვუწოდოთ. ამ დასს სათავეში ჩაუდგა მეჭურჭლეთუხუცესი ყუთლუ არსლანი. შეთქმულებმა მეფეს მოსთხოვეს სასახლის ახლოს, ისანში შეექმნა თავისებური დაწესებულება „კარავი". მის წევრებს უნდა მისცემოდათ კანონ-დებულებათა შემუშავების, უზენაესი მართლმსაჯულების განხორციელების, მოხელეთა დანიშვნა-გადაყენების და სხვ. უფლებები. მეფეს დასტური უნდა მიეცა კარაველთა დადგენილებებისათვის, მაგრამ თუ რომელიმე დადგენილება არ მოეწონებოდა, მეფეს ეძლეოდა „ვეტოს" უფლებაც.

თვითმპყრობელი მეფის ასული და თავადაც თვითმპყრო-

ბელი თამარი აღაშფოთა ამ მოთხოვნებმა. დაგმო ეს „უცხოდ მოსაგონებელი" განზრახვა და ყუთლუ არსლანი დააპატიმრა. მაგრამ ოპოზიციამ იარაღის ჟღარუნი დაიწყო. მეფე თამარმა მიიღო ინფორმაცია, რომ ყუთლუ არსლანის დასს, მის პროგრამას თანაუგრძნობდა ფეოდალური ლაშქრის მეთაურთა საგრძნობი ნაწილი და ამიტომ გადაწყვიტა გარკვეულ დათმობაზე წასვლა. ოპოზიციასთან მოსალაპარაკებლად გაგზავნა მაღალი წრის პატივცემული მანდილოსნები – ხუაშაქი ცოქალი და კრავაი ჯაყელი. მოლაპარაკება კომპრომისით დამთავრდა. შეთქმულებმა თამარს მისცეს „პირიერთგულებისა", თამარმა კი უვნებლობა აღუთქვა მათ. ყუთლუ არსლანიც გადაურჩა სასჯელს.

XII საუკუნის საქართველოში ჯერ კიდევ პატრონყმური (სენიორალურ-ვასალური) ურთიერთობა დომინირებდა. საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებს მეფის (პატრონის) და დიდაზნაურების (ყმების) უთანხმოება და ბრძოლა არანორმალურ მოვლენად მიაჩნდათ, ქადაგებდნენ პატრონისა და ყმის თანადგომა-სიყვარულს. პატრონყმურ საზოგადოებაში მეფის ხელმწიფური უფლება და სიდიადე იმით იზომებოდა, თუ რამდენ ყმასა და ერს პატრონობდა. ასე იყო რუსთაველის მიერ პოეტურად ასახულ ინდოეთში, არაბეთში, ხატაეთში და რა თქმა უნდა, საქართველოშიც; ხელმწიფე მოწყალე და სამართლიანია. იგი არ იკადრებს, რომ თავის ყმას უსამართლოდ წაართვას საკუთრება, ლეგიტიმურ მთავარს – მემკვიდრეობა. ყმებიც აფასებენ პატრონის დიდსულოვნებას, ერთგულებითა და სიყვარულით პასუხობენ მას. შ. რუსთაველის დევიზი ასეთია: „სჯობან ყოველთა მოყვარენ ელთა პატრონ-ყმანი მოყვარულნი". მეფე თამარის ზეობაში ასეთქმის მოხერხდა პატრონყმურ ურთიერთობათა ჰარმონიზაცია, რაც აისახა შ. რუსთაველის პოემაში. წოდებათა წარმომადგენლობის სათათბიროს, მისი მართვა-გამგეობაში მონაწილეობის, თანადგომა-ერთნებობის იდეა შინა სოციალ-პოლიტიკურ წინააღმდეგობათა აღმოფხვრას ემსახურებოდა.

სათანადო მასალის ანალიზის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თამარმა ოპოზიციონერებს ხელისუფლება გაუნაწილა. სათათბირო ორგანო დარბაზში დიდმოხელეთა გვერდით დაუშვა „უხელო" აზნაურთა, დიდვაჭრებისა და მოქალაქეთა წარმომადგენლები. მართალია, მას ისანში „კარავი" არ დაუდგამს, მაგრამ საგრძნობლად გააფართოვა ტრადიციული „დარბაზის" უფლება-კომპეტენცია. ამიერიდან მეფე თამარი დიდმნიშვნელოვან საკითხებს „დარბაზის ერთა" თანადგომითა და დათათბირებით წყვეტდა. ივანეს აზრით, თამარის მეფო-

ბის დროს საქართველოში თვითპყრობელური მონარქია შეიცვალა შეზღუდული მონარქიით, რაც იმ დროისათვის პროგრესული მოვლენა იყო. ივანემ ისიც კი ივარაუდა, რომ ყულთუ-არსლანის მოთხოვნა „დაახლოებით იმას უდრიდა, რომ საქართველოს მანამდე არსებული მონარქისტული წყობილება რესპუბლიკურით უნდა შეცვლილიყო (4, 197-181).

ივ. ჯავახიშვილის ამ კონცეფციას, მცირე ნიუანსების შეტანით იზიარებდნენ ს. ჯანაშია, შ. მესხია, რ. მეტრეველი, კ. აბაშმაძე. იგი ეჭვქვეშ დააყენეს ნ. ბერძენიშვილმა, პ. ინგოროყვამ, მ. ლორთქიფანიძემ. მაგრამ მათ არ უარყვიათ „კარაველთა" მოძრაობის პროგრესული ხასიათი.

განსხვავებული აზრი გამოთქვა შ. ბადრიძემ. მისი განცხადებით, მოძრაობის მიზანი არ იყო პროგრესული. „ყულთუ-არსლანის დასმა პოლიტიკური გაფიცვა წამოიწყო თავის წოდებრივი პრივილეგიების გაფართოებისათვის. ეს მოძრაობა რეაქციულ ელფერს ატარებდა, ასუსტებდა და ზღუდავდა სამეფო ხელისუფლებას, რომელიც იმ ხანებში პროგრესულ საზოგადოებრივი კურსის გატარებას ცდილობდა (8, 309).

შ. ბადრიძეს ავიწყდება, რომ მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლების წინააღმდეგ, სხვადასხვა მოტივით, ხმას იმაღლებდა ევროპის და მათ შორის საქართველოს ფეოდალური საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი. მოძრაობაში მონაწილეობდნენ ძირძველი და ახლად აღზევებული ფეოდალები, მესამე წოდების წარმომადგენლები. მაგრამ წოდებრივ-წარმომადგენლობითი სათათბიროს არსებობა და საქმიანობა არავის მიუჩნევია რეაქციად. არც ქართველ „კარავისელთა" მოძრაობა ატარებდა რეაქციულ ხასიათს.

ილია ანთელავამ საერთოდ უარყო საქართველოში წოდებათა წარმომადგენლების სათათბიროს - „დარბაზის" არსებობა და კარავისელთა მიზნად აღმოსავლური „დივანის", მეფის სასახლისაგან გამოყოფილი მთავრობის ჩამოყალიბება გამოაცხადა". თავის წიგნში იგი წერს, რომ ისტორიული წყაროების მიხედვით დარბაზი მეფის სასახლეცაა და ფეოდალთა დაწესებულებაც. მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ „დარბაზი" ყოველთვის სასახლეს, ხოლო „დარბაზის კარი" სასახლის კარს ნიშნავს. აქედან გამომდინარე ი. ანთელავა ასკვნის, რომ დავით IV აღმაშენებლის ზეობის წლებში „დარბაზის" უფლება-კომპეტენცია კი არ შეზღუდულა, არამედ პირიქით, გაფართოვდა. არნახულად ამაღლდა სწორედ „დარბაზის", მეფის სასახლისა და მონარქიის მართვის ცენტრის მნიშვნელობა". იგი აკეთებს ამონარიდს კანონმდებლობი-

ლან - „წესი და განგება მეფეთა კურთხევისა", სადაც აღნიშნულია, რომ ტახტზე ასულ მეფეს „პირველად დედოფალმან თაყვანი სცეს, მერმედა კათალიკოსმან, ... და შემდგომად ხელოსანთა და უხელოთა დარბაზის ერთა სრულიადთა". ივ. ჯავახიშვილმა „უხელონი" სავსებით მართებულად, შედარებით დაბალი წოდების წარმომადგენლებად მიიჩნია. აღნიშნა, რომ ეს წარმომადგენლები საერთოდ „დიდგვართ თავადნი", აზნაურები, დიდვაჭრები და მოქალაქენი იყვნენ. იმავე ამონარიდის საფუძველზე ი. ანთელავამ არასწორი თვალსაზრისი გამოთქვა: „სახელმწიფო დარბაზის ფუნქცია სცილდება ფეოდალური დარბაზის უფლებამოსილებას და უფრო გვაგონებს ფეოდალური ხანის ინგლისის პარლამენტს და საფრანგეთის გენერალურ შტაბს. საქართველო კი არასდროს ყოფილა წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქია და „სახელმწიფო დარბაზი" კიდეც რომ არსებულიყო ასეთი ორგანო, საეჭვოა, რომ მათში წოდებათა წარმომადგენლები ყოფილიყვნენ. ამ არა ლოგიკური მსჯელობის, ყალბი წანამძღვრის საფუძველზე ი. ანთელავა აკეთებს არასწორ დასკვნას: „დარბაზი ჩვენთვის საინტერესო ხანაში არ აღნიშნავს ფეოდალთა რაიმე ორგანოს და მით უმეტეს არ წარმოადგენს წოდებათა წარმომადგენლობის ორგანოს. „დარბაზი" მეფის სასახლეა, სადაც თავმოყრილია მონარქის ცენტრალური სამმართველოს აპარატი. „დარბაზის ერი" ჩვენთვის საინტერესო ხანაში არ წარმოადგენს მხოლოდ უმაღლეს ფეოდალურ არისტოკრატიას. გულისხმობს სასახლის შტატს დიფერენციაციის გარეშე". მას მიაჩნია, რომ დაუშვებელია საეაზიროსა და დარბაზის დაპირისპირებად აღიარება. ვაზირები დარბაზის რიგის მოხელენი არიანო (13, 136, 143).

ვაზირები რომ სასახლის რიგის მოხელენი იყვნენ, ეს სულაც არ გამორიცხავდა მეფის სასახლესთან წოდებათა წარმომადგენლობის სათათბიროს არსებობას. იმავე ვაზირების მონაწილეობით სათათბირო ორგანოს ფუნქციონირებას. ილია ანთელავა გრძნობს თავის მსჯელობის არათანმიმდევრულობას, ალოგიკურობას და ბოლოს წერს: „თუ საკითხს შედარებით-ისტორიულ ჭრილში განვიხილავთ, ნათელი გახდება, რომ საქმე გვაქვს არა წარმომადგენლობით ორგანოსთან, არამედ დარბაზის გარეთ მყოფ მოხელეთა და ვასალთა პერიოდულ შეკრებებთან, რომელთა მოწვევა მთლიანად მეფეზე იყო დამოკიდებული. ცხადია, ნათქვამი სრულებით არ გამორიცხავს, რომ ეს მოხელეები და ვასალები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ მონარქიის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე (13, 150-153).

საქართველოს მეფე წოდებათა წარმომადგენლების სათათბიროს სასახლეში იწვევდა თუ სხვაგან, ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. ფაქტობრივად ილია ანთელავამ აღიარა საქართველოში წოდებრივი-წარმომადგენლობითი ორგანოს არსებობა, რომლის ანალოგი ინგლისში იყო ფეოდალური პარლამენტი, პოლონეთში - სეიმი, საფრანგეთში გენერალური შტატები, რუსეთში საერობო კრება. წოდებრივ-წარმომადგენლობითმა დაწესებულებებმა მოამზადეს გარკვეული პირობები კონსტიტუციური მონარქიის და რესპუბლიკური პოლიტიკური წყობილებისათვის.

VI-VII სს. მიჯნაზე, როცა ქართლის ერისთავებმა შეზღუდეს ცენტრალური მმართველის ლეგიტიმური ხელისუფლება, მეფე ერისთავთა მთავრად გადააქციეს, საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული თავისუფალი მეთემეების - „ერის" დაყმევების პროცესი. ბარში ჰეროვანთა დიდი ნაწილი და მთაში ყველა თემები თავისუფლებას ინარჩუნებდნენ. ტერმინ ერისთავს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაკარგული პირდაპირი მნიშვნელობა. ქართლის ერისთავები ერის სახელით მოქმედებდნენ. დევიზი - „ხმა ერისა" სარგებლობდა აზნაურებისა და თავისუფალ მეთემეთა მხარდაჭერით. მომდევნო ოთხი საუკუნის განმავლობაში თავისუფალ მეთემეთა, „ერის" დაშლის პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა. აზნაურთა ფენა და გლეხობა ერთმანეთს დაუპირისპირდა. გარკვეული წინააღმდეგობა გაჩნდა ფეოდალებსა და ვაჭრებს შორისაც. მაგრამ VI-VII საუკუნეებში შექმნილი ტრადიცია, რამდენადმე შეცვლილი ფორმით არსებობას განაგრძობდა. გვაქვს გარკვეული საფუძველი ვამტკიცოთ, რომ საქართველო ერთ-ერთი პირველი იყო დასავლეთის სამყაროს იმ ქვეყნებიდან, სადაც ჩამოყალიბდა წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანო, სახელმწიფო ხელისუფლების ერთი არც თუ ფართო უფლებიანი შტო, რომელიც თანაარსებობდა და თანამშრომლობდა მეფის ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან. ეს იყო „ხმა ღვთისასა" და „ხმა ერისას" თავისებური სინთეზი.

საქართველოს შემდეგ ინგლისი იყო, სადაც ფეოდალები არ თანაუგრძნობდნენ მონარქის თვითმპყრობელობისაკენ მისწრაფებას. მეფე ჯონ უმიწაწყლოს დესპოტურმა პოლიტიკამ, გადასახადების თვითნებურმა დაწესებამ საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია. ბარონებს მხარი დაუჭირეს რაინდებმა და მოქალაქეებმა. მეფე იძულებული გახდა ეცნო წოდებათა წარმომადგენლების მიერ შედგენილი „თავისუფლების დიდი ქარტია" (1215 წ.). შინაპოლიტიკური ბრძოლა გაგრძელდა ჰენრიხ მესამის

ზეიბაშიც (1215-1272 წწ.). ოპოზიციონერებმა შეიმუშავეს ე. წ. „უეატმინსერის პროვიზიები" რომელიც აზნაურებს, აგრეთვე მოქალაქეებს მეფისა და მისი მოხელეების თვითნებობისაგან იცავდა. მოძრაობამ სამოქალაქო ომის ხასიათი მიიღო. შეიქმნა წოდებრივ-წარმომადგენლობით ორგანო, ინგლისის ფეოდალური პარლამენტი, რომლის ლეგიტიმურობა მეფემაც აღიარა და დააკანონა მისი სხდომების პერიოდული მოწვევა.

პოლონური სახელმწიფო X საუკუნეში ჩამოყალიბდა. 1025 წელს პოლონეთი სამეფოდ გამოცხადდა, მაგრამ იგი მალე სამთავროებად დაიშალა. პოლონეთის გაერთიანებაში მეფე კაზიმეჟ III-სთან (1333-1370) ერთად აქტიურად მონაწილეობდა პოლონეთის შლიახტა, რომლის ორგანიზაცია - „სეიმმა" აღიარა კაზიმეჟ მესამე გაერთიანებული პოლონეთის მეფედ. 1569 წელს დუბლინის უნიის შედეგად შეიქმნა პოლონეთ-ლიტვის სახელმწიფო, რომლის მეფეს უკვე დამკვიდრებული წესის თანახმად, სეიმი ირჩევდა. პოლონეთში საკმაოდ სრულად განხორციელდა ღვთისაგან და ერის ნებისაგან გამომდინარე ხელისუფალთა სინთეზი.

საფრანგეთის ეროვნული სახელმწიფო X საუკუნეში ჩამოყალიბდა. თანდათან გაძლიერდა კაპეტინგების ლეგიტიმური მონარქია, რომელიც აზნაურების, რაინდებისა და მოქალაქეების მხარდაჭერას ეყრდნობოდა. XIII-XV საუკუნეებში მეფის ცენტრალიზებული მონარქიის განმტკიცება შეაფერხა კაპეტინგების და პლანტაგენტების შინაბრძოლამ. სწორედ ამ აშლილობის კულმინაციურ წერტილზე გააქტიურდნენ ფეოდალები, აგრეთვე ვაჭრები და მღვდელმთავრები. მათი ინიციატივით 1302 წელს მოწვეულ იქნა გენერალური შტატები – წოდებათა წარმომადგენლების თავყრილობა, რომელიც ორი საუკუნის განმავლობაში დიდ როლს ასრულებდა საფრანგეთის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

აღმოსავლეთ სლავთა ქვეყანაშიც მონარქიული სახელმწიფოები ჩამოყალიბდა (ნოვგოროდისა და პსკოვის რესპუბლიკების გარკვეული დროით არსებობა გამონაკლისი იყო საერთო წესიდან). წოდებრივ წარმომადგენლობითი დაწესებულება კიევის რუსეთში არ ყოფილა. მისი ჩასახვა-განვითარების პირობები მოსკოვის სამთავროსა და რუსეთის სამეფოში შეიქმნა. ივანე მეოთხემ 1547 წელს მიიღო მეფის ტიტული და სახელმწიფო მიწის ფონდის გაყოფის საკითხებზე დაუპირისპირდა ბოიართა წოდებას. მეფემ დავის გადაწყვეტილებისათვის საერობო ყრილობა (ბოიართა და აზნაურთა წარმომადგენლები) პირველად მოიწვია 1549 წელს. მეორედ კი 1566 წელს. პირველი კრების ძირითადი

შედეგი იყო რუსეთის მიწის ფონდის ორ ნაწილად გაყოფა; ქვეყნის ტერიტორიის ერთი ნახევარი იქ მოსახლე გლეხებითურთ ხელმწიფის საკუთრებად გამოცხადდა, მეორე ნახევარზე ბოიარებმა და აზნაურებმა მიიღეს საკუთრების უფლება, დაიყმევეს ამ მიწებზე მსხდომი გლეხები. რუსეთში სწორედ 1549 წელს დაკანონდა საერობო ყრილობის პერიოდული მოწვევის წესი, დამკვიდრდა ღვთის წყალობაზე და ერის ნებაზე დამყარებული ხელისუფლების ორი შტოს თანაარსებობა. XVII ს-ის დამდეგს, როცა ფაქტი გახდა რიურიკოვიჩების ლეგიტიმური მონარქიის კრიზისი და საგარეო საშიშროება, რუსეთის საერობო ყრილობის როლი ჩვეულებრივზე მეტად ამაღლდა. 1613 წელს საერობო კრებამ მეფედ აირჩია მიხეილ რომანოვი, საფუძველი დაუდო რომანოვების დინასტიას, რომელიც რუსეთს 1917 წლამდე მართავდა.

მეფე თამარს, მართალია, ისანში „კარავი" არ დაუარსებია, მაგრამ დააკანონა გაცილებით ადრე ჩამოყალიბებული წოდებათა წარმომადგენლების სათათბირო, „დარბაზის ერის" საქმიანობა. იმავდროულად დარბაზი შეავსო უხელო აზნაურთა, ვაჭართა და მოქალაქეთა წარმომადგენლებით. ისტორიული საბუთები იმაზე მიგვანიშნებენ, რომ „დარბაზის" უფლება-კომპეტენცია საგრძნობლად გაფართოვდა და მისი საქმიანობაც გააქტიურდა. მეფე თამარი ქვეყანას მართავდა „თანადგომითა და ერთნებობით დარბაზის ერთა".

საქართველოს წოდებათა წარმომადგენლების სათათბირომ განიხილა თამარის დაქორწინების საკითხი. დარბაზის ახალმა წევრმა აბულასანმა წამოაყენა წინადადება მეფე ქალის მეუღლეთ, საქართველოს სიძეთ მოეწვიათ ვლადიმირ-სუზდალის მთავრის ანდრია ბოგოლიუბსკის ვაჟი იური. დარბაზმა მხარი დაუჭირა მას. იური ბოგოლიუბსკი თბილისში ჩამოიყვანეს, გიორგით მონათლეს და მეფე თამარზე დააქორწინეს. მაგრამ ძალიან მალე რუსმა უფლისწულმა ბევრი უარყოფითი თვისება (ლოთობა, ბილწსიტყვაობა, სოდომური ცოდვა) გამოამჟღავნა. იმავე დარბაზის გადაწყვეტილებით გიორგი რუსი თამარს გაჰყარეს, სათანადო პატივით საქართველოდან გაისტუმრეს. 1189 წელს თამარი დაქორწინდა ოსთა უფლისწულ დავით სოსლანზე, რომელიც ბაგრატიონთა გვარის გვერდითი შტოს ჩამომავალი იყო.

1192 წელს თამარს ვაჟი შეეძინა, რომელსაც გიორგი ლაშა უწოდეს. სამეფო ტახტის მემკვიდრის საპატივსაცემლოდ ქართველთა ჯარმა ბარდავის მიმართულებით გაილაშქრა, ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ლაშქრობის შედეგად ტყუედ ჩაგდებუ-

ლი 30 ათასი კაცი გაათავისუფლეს „დღეგრძელობისათვის თამარისა და ძისა მისისა". მალე ამის შემდეგ საქართველოს ჯარმა მოქმედებანი წარმართა სხვა მიმართულებებითაც. თურქ-სელჩუკთა იმპერიის ნანგრევზე აღმოცენებულმა სასულთნო-საამირო-სათაბაგოებმა მარცხი განიცადეს. საქართველოს მეფემ დაიმორჩილა და ვასალურ დამოკიდებულებაში მოაქცია რამდენიმე მუსლიმანი მმართველი.

თურქმა ხელმწიფეებმა გადაწყვიტეს საქართველოს წინააღმდეგ კოალიციური ლაშქრობა. ამ წამოწყებას სათავეში ჩაუდგა ადარბადაგანის ათაბაგი აბუ-ბექრი. შეკრებილი ჯარი დალოცა არაბულ-თურქული სამყაროს სიმბოლურმა მეთაურმა ბაღდადის ხალიფამ და საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებულ „მორწმუნეთა" ლაშქარს წარუმძღვარა ხალიფური დროშა. აბუ-ბექარმა თავდაპირველად საქართველოს მეფის ერთგული ყმადნაფიც შარვანის შაჰს აღსართანს შეუტია. ბრძოლა მოხდა 1195 წლის ივნისში ქალაქ შამქორთან. გაიმარჯვეს გორგასლიან-დავითიანი დროშით ამხედრებულმა ქართველებმა. აბუ-ბექარმა გაქცევით გადაირჩინა თავი. მტრის ჯარის დიდი ნაწილი ფიზიკურად განადგურდა, 12 ათასი კაცი დაატყვევეს, ქართველთა ჯარის ნაალაფარს შორის აღმოჩნდა ის დროშა, რომელიც ხალიფამ ათაბაგს უძლეველობის სიმბოლოდ გამოაყოლა.

თურქებმა გადაწყვიტეს საქართველოს სამეფოს, გამარჯვებით გალაღებული ქართველების წინააღმდეგ მეორე, გაცილებით ფართო მასშტაბიანი კოალიციური ლაშქრობა მოეწყოთ. ამჯერად მას სათავეში ჩაუდგა რუმის სულთანი რუქნ-ად-დინი. მუსლიმანი მემატიანეები წერენ, რომ თურქ ხელმწიფოეთა კოალიციური ჯარი 400 ათას მებრძოლს ითვლიდა. გამარჯვებაში დარწმუნებულმა რუქნ-ად-დინმა საქართველოს საზღვარი გადმოლახა და ბასიანიდან ელჩი გამოუგზავნა, მისი პირით ქართველთა მეფეს უსიტყვოდ მორჩილება მოსთხოვა. ამ ულტიმატუმს ელჩმა დაამატა – თუ თამარი მაჰმადიანობას მიიღებს სულთანი მას ცოლად შეირთავს, თუ არა და ხარჭად დაისვამსო. აღშფოთებულმა ზაქარია მხარგრძელმა მუშტის ერთი დარტყმით დაანარცხა თავხედი ელჩი. როცა იგი ფეხზე წამოაყენეს, ზაქარიამ მას უთხრა – მოციქული რომ არ იყო, ჯერ ენას მოგჭრიდი და შემდეგ თავსაო.

თურქ ხელმწიფეთა ასეთმა თვითდაჯერებულობამ ქართველების წისქვილზე დაასხა წყალი. სწრაფად მობილიზებული ჯარი თამარმა ვარძიამდე მიაცილა. ბასიანში ბანაკად მდგარ თურქთა სარდლებს დარაჯებიც კი არ დაუყენებიათ. ქართველ-

თა პირველმა შეტევამ თავზარი დასცა მტერს. დავით სოსლანის, ზაქარია მხარგრძელისა და ძმები ახალციხელების წინააღმძღოლობით საქართველოს ჯარმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა სამჯერ მეტ მტერზე. ბასიანის გმირულმა ეპოპეამ (1202 წლის 27 ივლისს) საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟი კიდევ უფრო აამაღლა. პანიკაში ჩავარდნილმა არა ერთმა თურქმა მფლობელ-ხელმწიფემ მორჩილება გამოუცხადა ძლევამოსილ ქართველთა მეფეს. 1204 წელს საქართველოს ჯარმა აიღო უძლიერესი ციხე-ქალაქი კარი. თამარმა იგი უშუალოდ ცენტრალურ ხელისუფლებას დაუქვემდებარა და აქ ჩაყენებული გარნიზონის მეთაურად მონაპირე ერისთავი, ბასიანის ბრძოლის ერთ-ერთი გმირი ივანე ახალციხელი დანიშნა.

ბიზანტიის იმპერია, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში აღმოსავლეთის ქრისტიანული სამყაროს წამყვანი ძალა იყო, დაკნინდა. მის ადგილს დავით აღმაშენებლის დროიდან თანდათან საქართველო იკავებდა. 1204 წელს შინადინასტიური ბრძოლით დაუძლურებული ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინეპოლი დასავლეთ ევროპულმა ჯვაროსნებმა დაიკავეს, ე. წ. ლათინთა იმპერია შექმნეს. მის პარალელურად ჩამოყალიბდა ორი-სამი წვრილი სახელმწიფოებრივი ერთეულიც. ასეთმა სიტუაციამ მოითხოვა საქართველოს სამეფო ხელისუფლების მეზობელი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა. ქართულმა ჯარმა დაიკავა შავიზღვისპირა პროვინციები და ქალაქები – ტრაპიზონი, სამსუნი, სინოპი, კოტიორა, ჰერაკლია. ძირითადად ქართველი ტომებით დასახლებულ ამ ტერიტორიებზე მეფე თამარმა შექმნა „ტრაპიზონის იმპერია", რომლის ხელმწიფედ დასვა საქართველოში აღზრდილ-დავაჟკაცებული, ბიზანტიელ კომნენოსთა (იმპერატორთა) კანონიერი მემკვიდრე ალექსი კომნენოსი. ეს ახალი პოლიტიკური ერთეული არა მარტო საქართველოს გავლენის ქვეშ მოექცა, ფაქტობრივად მისი ავტონომიური ნაწილი გახდა. მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ ტრაპიზონის დამოუკიდებლობა აღიარა და დასავლეთელ უზურპატორებს მიანიშნა, რომ ბიზანტიის ძველი იმპერია, კანონიერი დინასტიით სათავეში, არსებობას განაგრძობდა და მისი მფარველ-მოკავშირე, ძლიერი საქართველო იყო. ტრაპიზონის იმპერია ორნახევარი საუკუნე არსებობდა და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა წინა აზიაში. ამ დიდი რეგიონის სახელმწიფოების დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობაში.

1206 წელს გარდაიცვალა მეფე თამარის მეუღლე დავით სოსლანი. თამარმა თანამოსაყდრედ თავისი ვაჟი გიორგი-ლაშა

დასვა. საქართველო ამის შემდეგაც აგრძელებდა აქტიურ საგარეო პოლიტიკას და ძლევამოსილ ომებს. 1210 წელს ქართველთა ჯარმა დიდმასშტაბიანი ლაშქრობა მოაწყო ირანში, აიღო ქალაქები მარანდი, თავრიზი, ზენჯანი, ყაზვინი. დაეუფლა თვით ირანის ცენტრში მდებარე რომგურსაც. ნაალაფარით მძიმედ დატვირთულმა ლაშქარმა წინსვლა ვეღარ შესძლო, უკან გამობრუნდა, მაგრამ ამ ძლევამოსილი ომის შემდეგ საქართველოს გავლენის სფერო საგრძნობლად გაფართოვდა.

XIII ს-ის 10-იან წლებში საქართველოს მონარქიულ-ფეოდალური სახელმწიფოს, მცირე იმპერიის შემადგენლობაში ამა თუ იმ ფორმით შედიოდა მთელი კავკასია და მისი მომიჯნავე ზოგიერთი რეგიონი. მეფე თამარმა გაატარა მნიშვნელოვანი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული რეფორმა, რაც დავით აღმაშენებელმა წამოიწყო, თამარმა დააკანონა. თუ გიორგი მესამე თურქთაგან განთავისუფლებულ ტერიტორიებს საქართველოს სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად აქცევდა და თავის მოხელეებს უქვემდებარებდა, თამარმა კორექტივი შეიტანა ასეთ პოლიტიკაში, ნაწილობრივ მაინც აღადგინა წინა მფლობელ-ხელმწიფეთა სუვერენული უფლებები. ისინი ყმადნაფიცობის პირობით დაიქვემდებარა, ავტონომია მიანიჭა შინამმართველობაში. თამარის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყოვლად მოწყალე მეფე თამარმა არა ერთი დასუსტებული მფლობელი განამდიდრა, მიმძლავრებულთ უკან დაუბრუნა სამეფო თვისი. ამის მოწმე არისო „სახლი შირვანშეთი და დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუქალაქელთა და ტრაპიზონელთა".

შუა საუკუნეთა სიგრძეზე ძალმომრეობითა და სიმკაცრით მოცულ მთელ მსოფლიოში, იმ დროინდელ მეფე-მთავართა შორის საქართველოს მონარქი, მეფე თამარი გამოირჩეობა ჰუმანიზმითა და შემწყნარებლობით. იგი თავის სახელმწიფოს მართავდა ზნეობრივ-მორალური პრინციპების საფუძველზე. ცდილობდა აღმოეფხვრა ადრე თითქმის დაკანონებული არაადამიანური სიმკაცრე, ადამიანის დასახიჩრება და სიკვდილით დასჯა. ჭეშმარიტი ქრისტიანი, უაღრესად ღვთის მოსავი მეფე თამარი დიდი ქველმოქმედიც იყო; გლახაკთა და არასმქონეთა მდგომარეობის შემსუბუქებას ახმარდა სახელმწიფო ბიუჯეტსა და პირადი შემოსავლის საგრძნობ ნაწილს. ამით სურდა ოდნავ მაინც შეესუსტებინა პრივილეგია-სიმდიდრით გალაღებულთა და უუფლებო ღატაკთა წინააღმდეგობა. უკეთილშობილესი მონარქი ქალის დიდება შორს გასცდა საქართველოს საზღვრებს. მემა-

ტიანე გვაუწყებს, რომ „ფრანგი და ბერძენი, ზღვათა შინა მენაველნი, ნიავკეთილობათა შინა თამარის ქებათა ქებას იტყოდიან"-ო.

მეფე თამარი 1213 წელს გარდაიცვალა. საქართველოს სამეფო ტახტი მისმა ვაჟმა გიორგი მეოთხემ დაიკავა. იგი მთლიანად როდი იზიარებდა სათნო დედის კურსს, ცდილობდა აღედგინა მეფის ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების დავითისეული პოლიტიკა. მას სურდა თვითმპყრობელ მონარქად გადაქცეულიყო. მაგრამ დიდებულები ამის საშუალებას არ აძლევდნენ. „დარბაზი" მის პირად ცხოვრებაშიც ჩაერია. ნება არ დართო მეფეს დაქორწინებულიყო დაბალი წარმოშობის მანდილოსანზე თავდავიწყებით რომ უყვარდა და რომელმაც ვაჟიშვილი შესძინა.

დაძაბული საშინაო ვითარება იმითაც გართულდა, რომ მრავალსაუკუნოვანი საქართველოს სახელმწიფოსაგან განდგომა დაიწყეს ზოგიერთმა ყმადნაფიც მეფე-მთავრებმა. გიორგილაშა წინააზიის უძლიერესი სახელმწფოს გვირგვინოსანი მეფე იყო და, ბუნებრივია, პოზიციების დათმობას არ აპირებდა; ენერგიული მოქმედებით განდგომის მოსურნენი კვლავ დაიმორჩილა. დასავლეთის ქრისტიანული სამყარო საქართველოს თავის წინა ბურჯად თვლიდა და ამიტომ იყო, რომ რომის პაპმა გიორგი მეოთხეს სამხედრო დახმარება – ჯვაროსანთა მეხუთე ლაშქრობაში მონაწილეობა სთხოვა. საქართველოს მეფე დათანხმდა, შორეული ლაშქრობისათვის შეემზადა. დასავლეთის ქრისტიანებს შორის კიდეც გავრცელდა ინფორმაცია ძლევამოსილი თამარის ჭაბუკი ვაჟიშვილის წმინდა ადგილების გასათავისუფლებლად ამხედრების შესახებ. მაგრამ ამ დროს საქართველოს შორსგაწეული საზღვარი დაარღვიეს მონღოლთა მრავალათასიანმა რაზმებმა. არა მარტო წმინდა ადგილების გასათავისუფლებლად განზრახული ლაშქრობა ჩაიშალა, არამედ მალე არსებითად შეიცვალა საქართველოს შინაპოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობა.

* * *

თითქმის პერმანენტული ომების მიუხედავად, XI-XII საუკუნეებში საქართველო აღმავალი ხაზით ვითარდებოდა. შედარებით მაღალ საფეხურზე დადგა სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა, ვაჭრობა. ჩამოყალიბდა განვითარებული ფეოდალური საზოგადოება. უფრო სრულყოფილი გახდა პოლიტიკური სისტემა. დაწინაურდა კულტურა.

ამ პერიოდში კიდევ უფრო გაძლიერდა ექსტენსიურიდან

ინტენსიურ მეურნეობაზე გადასვლის ტენდენცია. კოლხეთის დაბლობზე ჭაობების ამოშრობას ცდილობდნენ, აღმოსავლეთ საქართველოში ირიგაციის ფორმებს სრულყოფდნენ. გაიყვანეს სარწყავი არხები ტირიფონის ველზე, მუხრანსა და სამგორში. ძიგა კახეთის (ალაზნის) არხი 119 ვერსზე გადაიჭიმა და 50 ათას ჰექტარზე მეტ მიწას რწყავდა. ამაღლდა მარცვლეულის ნათესთა მოსავლიანობა, გაფართოვდა ბამბის და ბრინჯის პლანტაციები, ვენახები და ხილის ბაღები. უფრო მაღალ დონეზე დადგა მეცხოველეობა. ამაღლდა მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობის კულტურა.

ხელოსნობა სასოფლო რაიონებშიც გამოეყოფოდა სოფლის მეურნეობას, მაგრამ ხელოსნობის დარგები განვითარების უფრო მაღალ დონეზე დადგა ქალაქებში. ხელოსნები შეკვეთითაც მუშაობდნენ და ბაზრისთვისაც ამზადებდნე ნაწარმს. მათ შორის იყვნენ მეთუნუქეები, იარაღის მკეთებელნი, ხუროები, კალატოზები, მემადნეები, რკინის მჭედლები, ოქრომჭედლები, ფეიქრები, მღებავები, ეტრატის დამამზადებლები. ყველა ისინი დარგობრივ ამქრებში იყვნენ გაერთიანებული და არჩეულ მეთაურთა ხელმძღვანელობით საქმიანობდნენ.

წარმოების განვითარება, ბუნებრივია, იწვევდა ვაჭრობის გაცხოველებას. ფართოვდებოდა როგორც შინაგანი აღებმიცემობა, ისე საგარეო ვაჭრობის ბრუნვა. ვაჭართა ამხანაგობანი ანესრიგებდნენ საგარეო საქარავნო ვაჭრობას ახლო თუ შორეულ ქვეყნებთან (ბიზანტი, ირანი, ერაყი, სირია, ეგვიპტე, ხორეზმი, ინდოეთი, რუსეთი). საქართველოდან გაჰქონდათ ღვინო, აბრეშუმი, ბამბა, კაკალი, თაფლი, ცვილი, ხელოსნური ნაწარმი. უცხოეთიდან შემოჰქონდათ ძვირფასი ქსოვილები, ჭურჭელი, საბრძოლო იარაღი, სამოსელი, ძვირფასი თვლები და სხვა.

საგრძნობლად გაიზარდა ქალაქებისა და მათი ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობის ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა. მეფის ხელისუფლება და ფეოდალური არისტოკრატია ერთმანეთს ეცილებოდნენ ქალაქების დაუფლებაში. ამ მიმართულებით მეტ აქტიურობას იჩენდა და წარმატებას აღწევდა მეფე. გარდა იმისა, რომ ქალაქელები ფულადი შემოსავლით ავსებდნენ სახელმწიფო სალაროს (ბიუჯეტს), ვაჭარ-ხელოსნები (ბურგერული ფენები) მეფის ხელისუფლებისათვის სოციალურ-პოლიტიკური საყრდენის მნიშვნელობასაც იძენდნენ. დიდებულთა თვითნებობის წინააღმდეგ ბრძოლაში მეფე მნიშვნელოვანწილად ამ ფენებს ეყრდნობოდა.

საქართველოს საერთო ეკონომიკური და საზოგადოებრი-

ვი განვითარება ხელს უწყობდა მეფის ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას. უკვე აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით დიდ წარმატებას მიაღწია დავით აღმაშენებელმა. მის საქმეს ავრძელებდა გიორგი მესამე. თამარის ზეობაში თითქოს უკუპროცესი დაიწყო. განდიდების მოყვარე მსხვილმა ფეოდალებმა კვლავ წამოყვეს თავი, გარკვეულ წარმატებასაც მიაღწიეს. მეფის მხარეს დგებიან და დიდგვაროვან ფეოდალებს უპირისპირდებიან საშუალო და წვრილი აზნაურები – მოსაკარგავენი, უგვარო ახალკაცები და მოქალაქენი, რომელნიც ობიექტურად პროგრესის ძალებს განასახიერებდნენ. ქვეყნის ეკონომიკური და სოციალ-პოლიტიკური განვითარების ტენდენცია ისეთი იყო, რომ გამარჯვება პროგრესის ძალებს უნდა დარჩენოდათ. საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი სტრუქტურები ამ ტენდენციის შესაბამისად უნდა გარდაქმნილიყო. მაგრამ შინაგანი კრიზისის გაძლიერების და საგარეო მდგომარეობის გართულების გამო, XIII ს-ის 30-იანი წლებიდან საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრესი შეფერხდა. XII საუკუნის საქართველოში ფეოდალიზაციის პროცესი არსებითად დამთავრდა. ბარის მოსახლეობა (გლეხობა) ბატონ-ყმობის უღელში გაება. მემამულის – ბატონის მიერ გადაცემული მიწის მფლობელობა-სარგებლობის საზღაურს ყმა გლეხი ღალა-ბეგარის (პროდუქტული და შრომითი რენტა) სახით იხდიდა. ყმა-გლეხი მიწაზე იყო მიმაგრებული და მიწა გლეხზე. ე. ი. გლეხს ამ მიწიდან (ფუძიდან) წასვლის უფლება არ ჰქონდა. არც მებატონეს შეეძლო გლეხი მიწიდან აეყარა და ყმა უმიწოდ გაეყიდა. საქართველოში დამკვიდრებული ბატონყმური ურთიერთობის დადებითი მხარე ის იყო, რომ ყმა გლეხს გადაკვეთილი ღალა (მიწის რენტა) ჰქონდა დაკისრებული და მოსავლიანობის გაზრდის შემთხვევაში ღალა უცვლელ სიდიდედ რჩებოდა. ეს კი გლეხს მეურნეობის გაუმჯობესების სტიმულს აძლევდა. ამიტომ იყო, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგმა მეტ-ნაკლებად ინტენსიური ხასიათი მიიღო.

ფეოდალური წოდება (კლასი) რამდენიმე ფენისაგან შედგებოდა. უმაღლეს არისტოკრატიას ქმნიდნენ ეგრის-აფხაზეთის, ტაო-კლარჯეთის და კახეთ-ჰერეთის მეფე-მთავართა ტახტ დაკარგული მემკვიდრეები, ერისთავთ ერისთავები და ერისთავები, რომელთა დიდი ნაწილი შეეგუა რეალობას; განცალკევება-შეუვალობისათვის კი არ იბრძოდა, არამედ მეფის კარზე პრივილეგია-თანამდებობის მოპოვებას ცდილობდა. ფეოდალური წოდება-კლასის დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ საშუალო და წვრი-

ლი აზნაურები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი უშუალოდ მეფის დამოკიდებულებაში იმყოფებოდა, ხელმწიფის ყმა იყო. მათ ძირითად ფუნქციას სამხედრო სამსახური შეადგენდა. დასავლეთ ევროპის მსგავსად საქართველოშიც შეიქმნა რაინდობის ინსტიტუტი. აზნაურ რაინდს იმ დროს ერქვა „ჭაბუკი", „ყმა" ან „მოყმე". რაინდთა რაზმების შექმნას განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდნენ ბაგრატ მესამე და დავით აღმაშენებელი.

საქართველოში ოფიციალურად არ დამკვიდრებულა მოსახლეობის წოდებრივი დაყოფის სამწევრიანი სტრუქტურა (აზნაურობა, სამღვდელოება, ვაჭარ-ხელოსანთა ფენა) მაგრამ რეალიური ვითარება წინ უსწრებდა კანონს. ფაქტია, რომ ეპისკოპოსები, მღვდლები, დიაკვნები, ბერები საკმაოდ დიდ როლს ასრულებდნენ არა მარტო სულიერ ცხოვრებაში, არამედ პოლიტიკაშიც, სათანადო წონა და გავლენა ჰქონდა მოქალაქეთა (ვაჭარ-ხელოსანთა) ფენასაც.

ქალაქის მოსახლეობა ეკონომიკურ-უფლებრივად ერთგვაროვანი არ ყოფილა. ზოგი თავისუფალი იყო, უფრო მეტი დაყმეებული. თავისუფალთაგან გამოირჩეოდნენ დიდვაჭარნი. მათი კორპორაციული გაერთიანების სათავეში იდგა ვაჭართუხუცესი. დიდვაჭრები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ არა მარტო ქალაქის მმართველობაში. არამედ სახელმწიფო მართვა-გამგეობაშიც, კერძოდ წოდებათა წარმომადგენლობის სათათბიროს საქმიანობაში. საშუალო შეძლებისა და წვრილი ვაჭრები მეფის, ეკლესიის და აზნაურთა ყმები იყვნენ. მაგრამ მათი ნაწილი ახერხებდა თავდახსნას და დაწინაურებას. ხელოსანთაგანაც ზოგი თავისუფალი იყო, ზოგიც ყმა. თავის სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესთა დასაცავად ისინი ქმნიდნენ ამხანაგობებს (ამქრებს), რომელთა სათავეში უხუცებები იდგნენ. ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს შეადგენდნენ დეკლასირებული ელემენტები – ღარიბები, „გლახაკნი", რომელთა საარსებო საშუალებებით უზრუნველყოფა ძირითადად სამეფო ხაზინას აწვებოდა.

საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარებისა და გაერთიანება-გაძლიერების პროცესში ყალიბდებოდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ერთიანი სისტემა. მის სათავეში იდგა მეფე, რომლის უფლებამოსილება კანონით არ იყო შეზღუდული და ხორციელდებოდა „ნებითა ღვთისათა". XII საუკუნეში საქართველოს მონარქიულ-ფეოდალურმა სახელმწიფომ თავის ძალაგავლენით ბიზანტიის იმპერია დაჩრდილა. ასეთ პირობებში კიდევ უფრო გაძლიერდა საქართველოს გვირგვინოსანი მეფის

გალმერთების ტენდენცია. სამეფო კარის ისტორიკოსები არ დასჯერდნენ იმის აღნიშვნას, რომ გიორგი III თვით ღმერთმა მოუვლინა ქვეყანასა და ხალხს თავის „სახედჩენილ პატრონად" და მეფე თამარი მოიხსენიეს სამების მეოთხე წევრად, „ღვთის სწორ" ხელმწიფედ.

იურიდიული-თეორიული ნორმა ასეთი იყო, მაგრამ რეალობა მისგან არც თუ იშვიათად განსხვავდებოდა. თუ დავით აღმაშენებელისა და გიორგი მესამის უფლებამოსილება თითქმის აბსოლუტური იყო, მეფე თამარი იძულებული გახდა გარკვეულ დათმობებზე წასულიყო. თავის ხელმწიფურ უფლებათა ნაწილი დიდგვაროვნებისა და დარბაზისათვის დაეთმო. მეფე თამარი თითქმის ყველა მნიშვნელოვან საკითხს „დარბაზის ერთა" „თანადგომითა და ერთიანობით" წყვეტდა.

წოდებრივ-წარმომადგენლობითი დაწესებულება – დარბაზი შედგებოდა „დარბაისელთაგან". მეფის მოწოდებით სათათბიროთ იკრიბებოდნენ მეფის კარის მოხელენი (ვაზირები) და ადმინისტრაციულ ერთეულთა გამგებელი ერისთავები. აგრეთვე უხელო აზნაურთა, მღვდელმთავართა და მოქალაქეთა წარმომადგენლები. დარბაზის სხდომას თვით მეფე თავმჯდომარეობდა. საკითხებს დარბაისელთა თანადგომა-თანხმობით წყვეტდა.

ამ გზით მიღებულ დადგენილება-გადაწვეტილებებს მეფე ვაზირების მეშვეობით ახორციელებდა. სავაზიროს (ვაზირთა საბჭოს) თავმჯდომარე იყო **მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი**. იგი იყო მეფის უახლოესი მრჩეველი და მისი ნება-სურვილის უპირველესი აღმასრულებელი. ყოველ ვაზირს გამოყოფილი ჰქონდა საქმიანობის გარკვეული სფერო: **ამირსპასალარი** (სამხედრო მინისტრი) შეიარაღებული ძალის მობილიზაციისა და ომისათვის მზადებას მეთაურობდა. როცა მეფე ბრძოლაში უშუალოდ არ მონაწილეობდა, მთავარსარდლის ფუნქციასაც ასრულებდა. ამირსპასალარის ხელქვეითი მოხელეები იყვნენ ამირახორი (მეცხენეობის გამგებელი) და მეაბჯრეთუხუცესი (შეიარაღების საქმეთა უფროსი). **მანდატურთუხუცესი** ქვეყნის შიგნით წესრიგს ამყარებდა, სამეფო-სადარბაზო ცერემონიებს ხელმძღვანელობდა. მისი ხელქვეითი მოხელეები იყვნენ ამირეჯიბი (ცერემონმეისტერი), მანდატურები (პოლიციელები) და მსტოვრები. **მეჭურჭლეთუხუცესი** (ფინანსთა მინისტრი) მეფის საჭურჭლეს ანუ სახელმწიფოს ხაზინას განაგებდა. **მსახურთუხუცესი** სამეფო სახლის მეურნეობასა და სახასო მამულებს იცავდა. XIII ს-ის დამდეგს სავაზიროში შეყვანილ **ათაბაგს** მცირენწლოვანი უფლისწულის, ტახტის მემკვიდრის აღზრდისა და მეფის მრჩეველის

ფუნქცია დაეკისრა.

სახელმწიფოს ადმინისტრაციული ერთეულების მართვის ფუნქციებს ერისთავთერისთავები, ერისთავები, ხევისა და ციხისთავები ასრულებდნენ. XII საუკუნეში ცხრა მსხვილი ადმინისტრაციული ერთეული იყო: სვანეთი, ცხუმი, ოდიში, რაჭა-თავკვერი, არგვეთი, შიდა ქართლი, კახეთი, ჰერეთი, სამცხე. პერიოდულად იქმნებოდა სანაპირო საერისთავოები. მონაპირე ერისთავის განკარგულების ქვეშ იყო ადგილობრივი გარნიზონები. მათსავე ფუნქციას შეადგენდა მეზობელი ქვეყნების დაზვერვა და მეფის ცენტრალური ხელისუფლებისათვის ინფორმაციის მინოდება. XII ს-ის ბოლოს 6-7 სანაპირო საერისთაო არსებობდა. მონაპირე ერისთავები იცავდნენ საზღვრების გარკვეულ მონაკვეთს, ამაგრებდნენ ციხეებს. ისინი ზოგჯერ, ექსტრემალურ სიტუაციაში დამოუკიდებლად ეწეოდნენ ლოკალურ ბრძოლებს, თავის ინიციატივით გადადიოდნენ საზღვრებს მიღმა, რადგან ესმოდათ, რომ არცთუიშვიათად შეტევა დაცვის გაძლიერების საუკეთესო საშუალება იყო.

შაიარაღებული ძალა რომ სახელმწიფოს აუცილებელი ატრიბუტი იყო კარგად ესმოდათ საქართველოს ცენტრალიზებული მონარქიის მესვეურებს და ბუნებრივია, ყველაფერს აკეთებდნენ ჯარის რაოდენობრივი გაზრდისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის. უკვე აღინიშნა, რომ დავით აღმაშენებელმა წარმატებით ჩაატარა სამხედრო რეფორმა; შექმნა პირადი გვარდია, სახელმწიფოს ქვეშევრდომებისა და ჩამოსახლებული ყივჩაყებისაგან დაკომპლექტებული მუდმივი ჯარი. მეფე-სარდალი დაცვითი და შეტევითი ომების დროს ეფექტურად იყენებდა ფეოდალურ ლაშქარსაც. დავითის მემკვიდრეები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ შეიარაღებულ ძალთა უკვე ჩამოყალიბებული სტრუქტურა. მაგრამ ფაქტია, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო მუდმივი ჯარის რიცხვი მცირდებოდა, ფეოდალური ლაშქრის მნიშვნელობა კი იზრდებოდა. არსებული საისტორიო მასალა ცხადყოფს, რომ გიორგი მესამისა და მეფე თამარის დროს საქართველოს ლაშქარი იკრიბებოდა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით. საერისთაოებიდან გამოსული რაზმები ერთიანდებოდნენ ორგანიზაციულ-ტაქტიკურ ერთეულებად – სადროშოებად. იმ დროინდელ საქართველოში ფუნქციონირებდა ოთხი სადროშო – ოთხი სამხედრო ოლქი. პირველ სადროშოში შედიოდა სამცხე-ჯავახეთიდან და ქვემო ქართლიდან გამოყვანილი ლაშქარი. მეორე სადროშო – სამხედრო ოლქს ქმნიდა დასავლეთ საქართველო, მესამეს – კახეთ-ჰერეთი, მე-

ოთხეს – შიდა ქართლი. სადროშოებს წინასწარ განსაზღვრული ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული შეიარაღებულ ძალებში, ქართული ლაშქრის საბრძოლო განლაგებაში. ომის დროს მონინავენი იყვნენ თორელ ციხისჯვარელნი, მესხები, კლარჯელები, ქვემო ქართლელები. მარჯვენა ფრთაზე იბრძოდა დასავლეთ საქართველოს სადროშო. მარცხენაზე – კახელ-ჰერეთელები. მეფის დროშა ეჭირათ და მთელი მოქმედი ჯარის ცენტრში იდგნენ შიდაქართლელი მეომრები და დაქირავებული რაზმები (როქის სპა). საგარეო ომებში ქართველ მებრძოლებთან ერთად მონაწილეობდნენ საქართველოს ვასალურ სამეფო-სამთავროთა რაზმები – შირვანელები, ქაშაგები, ოსები, დურძუკები, ლეკები.

ქართული სამხედრო ხელოვნების ყველა დადებითი მხარე გამომჟღავნდა დიდგორისა და ბასიანის ბრძოლებში. ისტორიაში მთავრული ასოებითაა ჩაწერილი აგრეთვე 1210 წლის შეტევითი ომი, როცა საქართველოს ჯარმა დაამარცხა ირანის ხელმწიფემმართველები, ქვეყნის ცენტრში შეიჭრა და ნადავლით მობრუნდა უკან. იმ დროინდელ მსოფლიოში ალაფის აღება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ქართველთა მიერ ძლევამოსილი ომების დროს მოპოვებული სიმდიდრე – ოქროს, ვერცხლისა და სხვა ძვირფასეულის დიდი ნაწილი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შედიოდა, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას და კულტურის განვითარებას ხმარდებოდა.

XI-XII საუკუნეები საქართველოს ეკონომიკურ-სოციალური და პოლიტიკური დაწინაურება-გაძლიერების ხანა როდია მხოლოდ. იგი ამავე დროს არის ქართული კულტურის აყვავების პერიოდი. მას, რა თქმა უნდა, წინა ისტორია ჰქონდა. მაგრამ ხელოვნებას, მწერლობას და მეცნიერებას, ძველი და შუასაუკუნეების არც ერთი პერიოდში განვითარების ასეთი მაღალი დონისათვის არ მიუღწევია.

კულტურისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებაზე ზრუნვა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის რანგში იქნა აყვანილი. დავით აღმაშენებელმა დაარსა გელათისა და იყალთოს აკადემიები, რომლებშიც თავი მოუყარა საქართველოსა და უცხოეთში მოღვაწე სწავლულებს და შემოქმედებითი საქმიანობის ნორმალური პირობები შეუქმნა. გელათის აკადემიას მეთაურობდა მოძღვართ-მოძღვარი, რომელიც დიდი პატივით სარგებლობდა მეფის კარზე და ქვეყანაში. ხსენებულ აკადემიებში მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერ-ფილოსოფოფსები – იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, იოანე ტარიჭის ძე და სხვები.

ფართო კულტურულ-მეცნიერული მუშაობა მიმდინარეობ-

და საქართველოს საზღვრებს მიღმა არსებულ მონასტრებში. ათონის მთაზე, ივერიის მონასტერში ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები. სირიაში, შავმთაზე არსებულ მონასტერში საქმიანობდა ფილოლოგ-ფილოსოფოსი ეფრემ მცირე. იერუსალიმის მახლობლად მდებარე ჯვრის მონასტრის მოღვაწეებს საერთაშორისო არენაზეც გაპქონდათ ქართული კულტურისა და მეცნიერების მიღწევები. ქართველი სწავლული ბერები ნაყოფიერად საქმიანობდნენ პეტრიწონის (ბულგარეთი) მონასტერშიც. ბერძნული ენის სრულყოფილი ცოდნა საშუალებას აძლევდა ქართველ მეცნიერებს აეთვისებინათ ანტიკურ-ელინისტური კულტურის მიღწევები. აღმოსავლეთის მიჯნაზე მდებარე საქართველოს სწავლულები კარგად იცნობდნენ აგრეთვე სპარსულ-არაბულ კულტურას და მასაც იყენებდნენ ქართული მწერლობის გამდიდრებისათვის.

XI-XII საუკუნეებში განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ქართულმა ისტორიოგრაფიამ. ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ ლეონტი მროველი, ჯუანშერი, სუმბატ-დავითის ძე ბაგრატიონი, ბასილი ეზოსმოძღვარი, დავით აღმაშენებლისა და მეფე თამარის უცნობი მემატიანეები, რომელთა ისტორიული თხზულებანი შევიდა „ქართლის ცხოვრების" კრებულში. მათ შორის განსაკუთრებით მაღალი მეცნიერული ღირებულებისაა ანონიმი ავტორის „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი" და თამარის კარის ისტორიკოსის თხზულება - „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი".

დიდი მნიშვნელობა მოიპოვა აგრეთვე ფილოსოფიამ. ქართულად გადმოითარგმნა პლატონის, არისტოტელეს, პროკლეს, იოანე დამასკელის, ფსევდო დიონისეს(პეტრე იბერის) და სხვათა შრომები. ამ პერიოდის ქართულ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელდა ჰუმანისტური იდეები, რომელთა ერთ-ერთი ძირითადი გამოხატულებაა ამქვეყნიური სინამდვილის ღირებულებათა აღიარება, შუა საუკუნეებში დამკვიდრებული მიწისა და ზეცის დუალიზმის დაძლევის მცელობა. ამაზე ამახვილებს ყურადღებას იოანე პეტრიწი, რომლის თხზულების ძირითადი დასკვნები გამოტანილია ნეოპლატონიზმის საფუძველზე. პარალელურად არსებული მეორე მიმდინარეობა მონოთეიზმისა და დოგმატიზმის პრინციპებს აკითარებდა. მისი ღირსეული წარმომადგენელი იყო არსენ იყალთოელი.

XI-XII საუკუნეების ქართული ისტორიულ-ფილოსოფიური აზრის მონინავე იდეები არის პოეტურად აღწერებული შოთა რუსთაველის პოემაში - „ვეფხისტყაოსანი". ნაწარმოების ძირი-

თადი იდეა ჰუმანიზმია, რომელიც შერწყმულია ნეოპლატონიზმთან და მას თავისებურად ავსებს. ამ თხზულებაში აღიარებულია ღმერთის ყოვლის შემძლეობა, შემომქედებითი თვისება, მაგრამ იგრძნობა შემობრუნება ზეციური სამყაროდან ხილული სინამდვილისა და ადამიანისაკენ. შოთა რუსთაველს პოემის გმირთა მოქმედება, გარკვეულ მოსაზრებით უცხო ქვეყნებში გადააქვს, მაგრამ მაღალმხატვრულად ასახავს იმდროინდელ საქართველოს რეალურ ვითარებას, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას. პოეტი უმღერის მეგობრობას, სიყვარულს, პატრიოტიზმის გრძნობას. ამ გენიალურმა მოაზროვნემ და შემოქმედმა რამდენადმე გაუსწრო ეპოქას, თავის წარმომქმნელ საზოგადოებას. იგი თავის ქვეყენას ადრეული რენესანსის მოციქულად მოევლინა. შ. რუსთაველი მარტო როდი იყო. ქართული პოეზიის განვითარებაში წვილი შეიტანეს აგრეთვე ჩახრუხაძემ, იოანე შავთველმა, მოსე ხონელმა. მხატვრული სიტყვის ამ ოსტატთა შემომქედება, უპირველეს ყოვლისა შ. რუსთაველის პოემა ასახავს ქართული მონარქიული, ეროვნული სახელმწიფოებრიობის მაღალ დონეს და იმდროინდელი საზოგადოების პროგრესული ფენის განწყობილებას.

XI-XII საუკუნეები ქართული ხუროთმოღვრებისა და სახვითი ხელოვნების აღმავალი განვითარების ეპოქაც არის. XI საუკუნეში აიგო ბაგრატის ტაძარი ქუთაისში, საკათალიკოსო კათედრალი – სვეტიცხოველი – მცხეთაში, ალავერდის ეკლესია – კახეთში და სამთავისისა – ქართლში. შედარებით მცირე მოცულობის არიან, მაგრამ დახვეწილი ხუროთმოძღვრების ნიმუშებს განასახიერებენ – ნიკორწმინდის ტაძარი (რაჭა), სავანე და ქორეთი (იმერეთი). XII საუკუნეში აღიმართა გელათის დიდებული ტაძარი, რომლის ფრესკები და მოზაიკა მხატვრული შემომქედების შედევრებად არის მიჩნეული. აშენდა იკორთის, ქვათახევის, ფიტარეთის ეკლესიები. საქართველოში შეიქმნა აგრეთვე კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლები – ვარძია, დავით გარეჯა, ვაჰანი. მაღალ დონეზე დადგა სახვითი ხელოვნება. ტაძრებს ამკობდნენ რელიეფური ქანდაკებებითა და ჩუქურთმებით. დაიხვეწა-ოქრომჭედლობა. იმ დროს ნაკეთები ჯვრები და ხატები დაფარულია ოსტატურად შესრულებული ფიგურული გამოსახულებებით. მსოფლიო ოქრომჭედლობის ნიმუშად არის მიჩნეული ხახულის ხატი. ქართული ოქრომჭედლობის ვირტუოზი ოსტატები იყვნენ ბეშქენ და ბექა ოპიზარნი.

იმ დროს ფერწერის სკოლებიც არსებობდა. შესანიშნავი ფრესკებითაა შემკული ატენის ტაძარი, ბეთანია, გელათი, ყინწ-

ვისი. ფრესკებზე წმინდანების გვერდით ადგილი აქვს დათმობილი ისტორიულ პირთა პორტრეტებსაც (დავით აღმაშენებელი, გიორგი III, მეფე თამარი, გიორგი ლაშა). მაღალმხატვრულობით გამოირჩევა ხელნაწერ წიგნთა მინიატურებიც.

ერთი სიტყვით, ფეოდალურმა საქართველომ XI-დან XIII ს-ის დამდეგამდე ყოველმხრივი განვითარების ზენიტს მიაღწია. ამიტომ ქართველმა ხალხმა ამ ეპოქას ოქროს ხანა უწოდა.

საქართველო XIII-XV საუკუნეებში

ცენტრალური აზიის ვრცელ ტერიტორიაზე მომთაბარე მონღოლი ტომები XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე გვაროვნულ-თემური წყობილების უმაღლეს საფეხურზე იდგნენ. სამხედრო დემოკრატიის არსებობის პირობებში დაწინაურდა მონღოლთა ერთ-ერთი ბელადი თემუჩინი, რომელიც მონღოლი თავკაცების კრებამ – ყურულთაიმ უზენაეს მმართველად აირჩია და ჩინგიზ ყაენი უწოდა. მონღოლთა ისტორიაში ეს ის პერიოდია, როცა ხალხი და ჯარი ერთმანეთისაგან თითქმის არ განსხვავდებოდა. ყოველი მოზრდილი მამაკაცი მეომარი იყო. მოსახლეობა და ჯარი იყოფოდა ათეულებად, ასეულებად, ათასეულებად და ათი ათასეულებად. მათი შეერთების შემდეგ იქმნებოდა მრავალ ათეულ ათასიანი ჯარი. მომთაბარეთა ამ ლაშქარს (რომელსაც ხშირად ზურგს უმაგრებდა დედა-წული და საქონლის ჯოგები) კულტურული ხალხები და მათი არმიები სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ.

თავდაპირველად მონღოლებმა ჩინეთს შეუტიეს. 1215 წელს პეკინი აიღეს და ეს დიდი ქვეყანა დაიქვემდებარეს. ამის შემდეგ ჩინგის ხანმა დაიპყრო შუააზიის უძველესი სახელმწიფო ხორეზმი. ხორეზმის შაჰი მუჰამედი ირანისაკენ გაიქცა. მონღოლთა მბრძანებელმა მას დაადევნა 30 ათასიანი ცხენოსანი ჯარი ჯუბე და სუბუდაის სარდლობით. სწორედ მონღოლთა ამ ლაშქარმა 1220 წელს პირველად გადმოლახა საქართველოს საზღვარი და მისი მეფის გიორგი ლაშას მენინავე ჯარის დამარცხებაც შესძლო. მაშინ გენერალურ ბრძოლამდე საქმე არ მისულა. მონღოლებმა მოითარეშეს შარვან-დარუბანდი და ჩრდილოეთისაკენ აიღეს გეზი. 1223 წელს მონღოლებმა მდინარე კალკის

პირზე მომხდარ ბრძოლაში დაამარცხეს რუსთა და ყივჩაყთა გაერთიანებული ჯარი და შუა აზიაში დაბრუნდნენ.

1223 წელს გიორგი-ლაშა გარდაიცვალა. „დარბაზის ერმა" არ ინება მისი უკანონო შვილის ტახტზე დასმა და მეფედ აკურთხა წმინდანად აღიარებული თამარის ასული რუსუდანი. მისი ზეობის დროს დიდგვაროვანთა ამბიციები გაიზარდა, დარბაზის გავლენა ამაღლდა, მეფის ცენტრალური ხელისუფლება კი შესუსტდა. საქართველოს სამეფო კარმა და დარბაზმა არ მიილო მონღოლთაგან დევნილი ხორეზმშაპის მემკვიდრის ჯალალ-ედდინის წინადადება მონღოლების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ. ამით განრისხებულმა ჯალალ-ედდინმა დაკარგა სიტუაციის მართებულად შეფასების უნარი, მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლას მოეშვა და საქართველოს წინააღმდეგ გამოილაშქრა. მეფე რუსუდანი და დარბაზი ამ ფაქტს მოუმზადებელი შეხვდა. ქართველთა ჯარი დამარცხდა. ჯალალ-ედდინმა მცირე ხნით თბილისის დაუფლებაც კი შესძლო (1226 წ.) და მისი მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი ამოჟლიტა. ხორეზმ შაპის ტიტულის მაძიებელმა საქართველოს სხვა კუთხეებიც მოითარეშა, მაგრამ ქვეყნის დაპყრობა ვერ შესძლო.

ამასობაში მონღოლებმა წამოიწყეს უფრო ფართო მასშტაბიანი დაპყრობითი ომები. დაეუფლნენ მთელ ირანს. 1235 წელს კი საქართველოში შემოიჭრნენ. სამეფო კარმა და დარბაზმა შინაგან ძალთა სრული მობილიზაცია ვერ მოახერხა. ცალკეულ ციხე-ქალაქებში გამაგრების ტაქტიკამაც ვერ გაამართლა. მონღოლებმა აიღეს განძა, შამქორი, გარდაბანი, ლორე, დმანისი, საშმვილდე, ანისი, ბოლოს დაეუფლნენ თბილისსაც. მონღოლთა უზარმაზარი ჯარი აღმოსავლეთ საქართველოს ოკუპაციას 7 წელი მოუნდა. დასავლეთ საქართველოში გადახვეწილმა მეფე რუსუდანმა დახმარება რომის პაპს და ევროპის ხელმწიფეებს სთხოვა, მაგრამ ამაოდ. საქართველოს მეფეს სხვა გამოსავალი თითქმის აღარ ჰქონდა და ძლევამოსილ მონღოლებს ზავი შესთავაზა. ხელშეკრულების თანახმად საქართველო დაექვემდებარა მონღოლთა იმპერიას. მაგრამ დიდმა ყაენმა სცნო ქართველთა მეფის სუვერენული უფლებები შინამმართველობაში იმ პირობით, რომ იგი გაიღებდა ყოველწლიურ ხარკს და იკისრებდა მონღოლთა თანამოლაშქრეობას სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ ატეხილი ომების დროს. ამავე შეთანხმების თანახმად რუსუდანის ვაჟი დავითი დიდი ყაენის ურდოში გაიგზავნა საქართველოს მეფედ დასამტკიცებლად.

1245 წელს რუსუდანი გარდაიცვალა. მისი მემკვიდრე და-

ვითი კი ისევ მონღოლთა ურდოში იმყოფებოდა. დადგა ორი თუ სამწლიანი უმეფობის ხანა. მონღოლური წესის მიხედვით დუმანებად დაყოფილი საქართველო სახელმწიფოს იერსახეს ჰკარგავდა. ამით შეშფოთებულმა ფეოდალური საზოგადოების ნაღებმა თათბირი გამართა. გადაწყდა ანტიმონღოლური შეთქმულებაა-ჯანყების მოწყობა. მაგრამ ყაენის ადგილობრივმა მოხელეებმა აღკვეთეს ქართველთა აჯანყების მცდელობა. საბრძოლველად შემართული დიდებულები დაიმორჩილეს, თავის სამსახურში ჩააყენეს. ერთ-ერთი დიდებული ეგარსლან ბაკურციხელი ისე გაძლიერდა, რომ მეფის ტიტულის მითვისებაც კი მოინდომა. წოდებათა წინამორბედების სათათბირომ ამ დიდებულის საქციელი დაგმო, არაბაგრატიონის ტახტისაკენ ლტოლვა მონარქიული ლეგიტიმიზმის, დამკვიდრებული ტრადიციის დარღვევად მიიჩნია. მისი აღკვეთის ღონისძიება დასახა. რაკი დავით რუსუდანის ძე არ ჩანდა დარბაზმა დაადგინა გიორგი ლაშას უკანონო ძის დავითის გამეფება. ეს უკანასნკელი რუმიდან ჩამოიყვანეს და მეფედ დასამტკიცებლად მონღოლთა იმპერიის ყაენთან გაგზავნეს.

საქართველოს სამეფო ტახტის ორი პრეტენდენტი ყარაყორუმში შეხვდა ერთმანეთს. დიდმა ყაენმა გული არცერთს არ დაწყვიტა. მონღოლური წესის თანახმად ორივე საქართველოს მეფედ და თავის ვასალად დაამტკიცა. მათი ერთმანეთისაგან გასარჩევად გიორგი ლაშას ძეს უწოდეს დავით ულუ (უფროსი), ხოლო რუსუდანის ძეს დავით ნარინი (უმცროსი). საქართველოში მობრუნებულმა მეფეებმა ქვეყნის მთლიანობა შეინარჩუნეს. ორმეფობის პირობებში დარბაზის ფუნქციათა შესრულება გაძნელდა. არაა გამორიცხული, რომ ამ სათათბირო ორგანოს ზოგი წევრი დავით ულუს ანიჭებდა უპირატესობას, ზოგი მის უმცროს სეხნიას. დარბაისელთა ასეთი შეუთანხმებლობა არ გაჟღერებულა. დავით VI (ნარინს) არ მოსწონდა, რომ თავის „უკანონო" ბიძაშვილს დაუქვემდებარეს. იგი ვერც მონღოლთა მძლავრობას ეგუებოდა, საქართველოს დიდების აღდგენაზე ოცნებობდა, „საჯანყებოდ" ემზადებოდა. აჯანყება მართლაც დაიწყო, თუმცა მის თარიღზე აზრთა სხვადასხვაობაა. ბრძოლაში ქართველებმა დიდი დანაკლისი განიცადეს დახოცილთა და ტყვედ ჩავარდნილთა სახით, მაგრამ არღუნ ალამ გამარჯვებას ვერ მიაღწია. ყაენმა ახალი დამხმარე ჯარი გამოუგზავნა თავის სარდალს. დავით ნარინმა ბრძოლის გაგრძელება უიმედოდ მიიჩნია, დასავლეთ საქართველოში გადავიდა. მონღოლებმა ვერ გაბედეს ტყიან იმერეთში გადასვლა. ასე რომ, დასავლეთ საქართველო ფაქტიურად

გამოეთიშა მონღოლურ რეჟიმს. იქაურმა დიდებულებმა დავით VI თავიანთ სუვერენულ მეფედ აღიარეს.

1254-1256 წლებში მონღოლებმა საქართველოს დიდი ნაწილი აღწერეს. კიდევ უფრო გაადიდეს მოსახლეობაზე შეწერილი ხარკ-გადასახადები, კიდევ უფრო დაამძიმეს ქართველთა სამხედრო ბეგარა-სალაშქრო მოვალეობა. ამას პროტესტით შეხვდა მთელი მოსახლეობა. ქართველი ხალხის საყოველთო უკმაყოფილების პირობებში დავით VII (ულუ) განუდგა მონღოლებს. უარი თქვა ხარკსა და სამხედრო მოვალეობაზე. მის დასასჯელად გამოგზავნილ დიდ ჯართან პირველ ბრძოლაში გაცილებით მცირერიცხოვანმა ქართველთა რაზმებმა გაიმარჯვეს. მაგრამ შემდეგ, იმის გამო რომ დიდებულთა ნაწილმა ბრძოლა უპერსპექტივოდ მიიჩნია და აჯანყებას გამოეთიშა, დავით ულუ და მისი თანამებრძოლი სარგის ჯაყელი უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდნენ (1260 წ.)

ეს ის დროა, როცა მონღოლთა იმპერია დაიშალა. ოქროს ურდოს (რუსეთი) ყაენსა და ირანის მბრძანებელს შორის დიდი ომი ატყდა. სადაო ტერიტორია სამხრეთ კავკასიაც იყო. ასეთ სიტუაციაში ირანის მბრძაენებელმა ჰულგუ ყაენმა აპატია დანაშაული დავით ულუს და იგი ომში ჩააბა. 1265 წელს ოქროს ურდოს მონღოლურმა ჯარმა ააოხრა მდინარე იორისა და მტკვარს შორის მდებარე ტერიტორია. ამ ჯარის გასვლის შემდეგ დავით ულუ მონაწილეობდა დარუბანდის გადასასვლელისაკენ მოწყობილი გამაგრებული სანგრების (სიბა) დაცვაში, რაც ქართულ ლაშქრისაგან დიდი მსხვერპლის გაღებას მოითხოვდა. ამ უბედურებას დაემატა არასასიამოვნო ფაქტი, უთანხმოება ჩამოვარდა დავით ულუსა და სარგის ჯაყელს შორის, რაც კიდევ უფრო გაამწვავეს მონღოლებმა. ჰულაგუ ყაენმა სარგის ჯაყელი „ხასინჯად" შეინყალა, ე. ი. სამცხე ჩამოაშორა საქართველოს მეფის იურისდიქციას და მისი მთავარი თვითონ უშუალოდ დაიქვემდებარა. ხასობა მიიღეს აგრეთვე ელიგუმ ორბელმა, სადუნ მანკაბერდელმა და სხვა მფლობელებმა. მონღოლი ყაენები ასეთი შენყალების საშუალებით, მათთვის შეუალობის მინიჭებით ახერხებდნენ ფეოდალთა საგრძნობი ნაწილის გადაბირებას. საქართველოს მეფის საყრდენი სოციალური ძალის შემცირებას. ხასი ფეოდალი, რომელიც მონღოლი ყაენისა თუ უფლისწულის უშუალო დამოკიდებულებაში ექცეოდა, ქართველთა მეფეს აღარ ემორჩილებოდა. სამეფო ხელისუფლების უფლებამოსილება იკვეცებოდა, სახელმწიფოს მთლიანობას საფუძველი ეცლებოდა.

1270 წელს დავით VII გარდაიცვალა. აბაღა ყაენმა აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ დაამტკიცა დემეტრე დავითის ძე, 11 წლის ბავშვი და მას მეურვედ დაუნიშნა სადუნ მანკაბერდელი. დემეტრე მეორემ სადუნს ურდოში ყოფნის დროსვე – 1272 წელს უბოძა ათაბაგობა (რასაკვირველია ყაენის კარნახით). მოგვიანებით მან მიიღო ამირსპასალარობა. დაისაკუთრა დიდი მიწა-წყალი. ეს მედროვე ყველაზე დიდი „მთავარი" გახდა, თავის ყოფილ პატრონს მხარგრძელს დიდად გადააჭარბა. დემეტრე მეორის მცირეწლოვნების დროს და შემდეგაც სადუნ მანკაბერდელი მონღოლთა ინტერესების შესაბამის მიმართულებას აძლევდა საქართველოს მეფის პოლიტიკას. დემეტრე მეორის სამეფო მხოლოდ ქართლ-კახეთსა და სომხეთის ნაწილას მოიცავდა. ქვეყნისა და ხალხის მძიმე მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით, თვით მეფეც ცდილობდა ყაენის კარის კეთილგანწყობილების მოპოვებას. იგი უყოყმანოდ ეხმარებოდა მონღოლებს ლაშქრობებში, რომლებიც ათასობით ქართველის სიცოცხლეს ინირავდა.

დემეტრე მეორეს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ყაენის პირველ ვაზირ ბუღასთან, რომელსაც ყაენის საწინააღმდეგო შეთქმულება დაბრალდა და 1288 წელს სიკვდილით დაისაჯა. მისი მეგობარი მეფე დემეტრეც ყაენის კარზე დაიბარეს. მეფეს იგივე სასჯელი ელოდებოდა და ამიტომ დარბაზის ერმა დემეტრეს ურჩია თავი მთიულეთში გახიზვნით გადაერჩინა. მეფემ კარგად იცოდა, თუ ყაენთან არ გამოცხადდებოდა, მონღოლები საქართველოს ააოხრებდნენ. მან არჩევანი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ გააკეთა, ყაენს ეახლა. 1289 წლის 12 მარტს იგი მოკლეს. ბადლიერმა შთამომავლობამ მეფე დემეტრეს თავდადებული უწოდა.

ძალადობამ და რეპრესიებმა XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე უკვე აღარ გამოიღო ადრინდელი შედეგი. მონღოლთაგან დაპყრობილი ხალხების გამათავისუფლებელი მოძრაობა ზენიტს მიუახლოვდა. ილხანების მონღოლურ სახელმწიფოს აუჯანყდა დემეტრე თავდადებულის ძე, საქართველოს მეფე დავით მერვეც. მისი შეიარაღებული რაზმების ბრძოლა მონღოლთა ჯარების წინააღმდეგ თითქმის 10 წელი გაგრძელდა. ყაენი ურჩი მეფის დასამორჩილებლად შიშველ ძალასთან ერთად დიპლომატიასაც იყენებდა, აჯანყებულ დავითს წყალობასა და მშვიდობას ჰპირდებოდა. გამოიყენა დაჰყავ და იბატონეს პოლიტიკაც, დავით მერვეს ბაგრატიონთა გვარის სხვა წარმომადგენლები დაუპირისპირა, მაგრამ აჯანყებული მეფე და მისი ხალხი ვერ დაიმორ-

ჩილა. მართალია, დავით მერვემ საბოლოო მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ პერმანენტული ბრძოლებით საფუძველი მოურყია მონღოლთა ბატონობას საქართველოში.

სამშობლოს გათავისუფლებისა და გაერთიანებისათვის ბრძოლა სხვა ფორმით, განსხვავებული სტრატეგიითა და ტაქტიკით გააგრძელა დემეტრე თავდადებულის უმცროსმა ვაჟმა გიორგი მეხუთემ, რომელმაც მოგვიანებით თავის წარმატებული მოღვაწეობით ზედწოდება - „ბრწყინვალე" დაიმსახურა. მონღოლთა ყაენმა მცირეწლოვანი გიორგი ჯერ კიდევ 1299 წელს გამოაცხადა საქართველოს მეფედ. თავის უფროს ძმას აჯანყებულ დავით მერვეს დაუპირისპირა. მის ძალაუფლებაში მხოლოდ თბილისი მოექცა. მალე ამ უფლებასაც ძალა დაეკარგა რადგან მონღოლებმა იმავე დავითის საწინააღმდეგოდ მისი მეორე ძმა ვახტანგი გაამეფეს (1300-1311). 1311 წელს ვახტანგ მესამეც გარდაიცვალა და ბრძოლით დაღლილი დავით მერვეც. ყაენმა ტახტზე დასვა დავითის მცირეწლოვანი ვაჟი გიორგი, რომელიც 1318 წლამდე მეფობდა. 1318 წელს ყაენის ნებასურვილით საქართველოს თითქმის სრულუფლებიანი მეფე გახდა გიორგი V.

გიორგი მეხუთემ მონღოლთა „ერთგულებით" დაიწყო სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, მათი თანადგომით შეუდგა საქართველოს კვლავ გაერთიანების საშვილიშვილო საქმეს. ჩობან ნოინის დახმარებით, თვით ყაენისაგან მიიღო სამ ნაწილად გაყოფილი საქართველოს გაერთიანებისა და სამონღოლო ხარკ-გადასახადების აკრეფის უფლება (აქამდე ამ ფუნქციას ასრულებდნენ მონღოლი მოხელეები, რომლებიც ძალიან აწუხებდნენ ხალხს). გიორგი მეხუთემ შინაბრძოლების გარეშე შემოიერთა დასავლეთ საქართველო, კვლავ დაიქვემდებარა სამცხე, დაიმორჩილა განდიდების მოსურნე ერისთავები და სხვა დიღებულები, მკაცრი ზომებით აღკვეთა მათი თვითნებობა. მონღოლთა ყაენი ალბათ იმედოვნებდა, რომ ამ ერთგული ვასალის მეშვეობით აღადგენდა თავის უზენაეს ხელისუფლებას დასავლეთ საქართველოზე, პოზიციებს განიმტკიცებდა მთელ საქართველოში. მაგრამ საქართველოს მეფეს შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა; ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდა, რათა აღედგინა თავის სუვერენული უფლებები, ბოლო მოეღო მონღოლთა ბატონობისათვის.

XIV ს-ის 30 იან წლებში მონღოლთა სამხრეთული იმპერია, ე. წ. საილხანო შინაბრძოლების ასპარეზად გადაიქცა. გიორგი მეხუთემ გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი, გააძევა საქართველოში გარნიზონებად ჩაყენებული მონღოლთა ჯარი, აღადგინა და განამტკიცა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. კვლავ

ამაღლდა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტი. ეგვიპტის სულთანმა, მაგალითად, დიდი შეღავათები მიანჭა მის სამფლობელოებთან მოვაჭრე საქართველოს ქვეშევრდომებს, ქართველ ბერებს დაუბრუნა სხვებისგან მიტაცებული ეკლესია-მონასტრები. აღდგა საქართველოს გავლენა ტრაპიზონის იმპერიაზე. გაფართოვდა ვაჭრობა იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებთან.

გიორგი V ქვეყნის გაერთიანება-განთავისუფლებისთანავე შეუდგა ოქროს ხანის დროინდელი საქართველოს მართვა-გამგეობის სისტემის რესტავრაციას. შეადგინა სახელმწიფო სამართლის ძეგლი „ხელმწიფის კარის გარიგება". ამ თავისებური კონსტიტუციის სხვადახსვა მუხლები ცხადყოფს, რომ XIV ს-ის 30-40-იანი წლების საქართველოში კვლავ მოქმედებს სავაზირო, ფუნქციონირებს წოდებათა წარმოადგენლების სათათბირო.

„ხელმწიფის კარის გარიგება", როგორც ჩანს, შედგენილია სასახლის კარის მოხელის (მოხელეების) მიერ, რომელიც მონარქიული იდეოლოგიით საზრდოობდა და მეფის ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას, სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. ამ „კონსტიტუციას" პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

„კარის გარიგებაში" დაფიქსირებული მართვა-გამგეობის წესები XIV ს-ის 30-40-იანი წლების ვითარებას ასახავს. მაგრამ ზოგიერთი წესი გადმოღებულია ადრინდელი წერილობითი აქტებიდან. ძველ კარის გარიგებაზე ავტორები კიდეც მიანიშნებენ, აღნიშნავენ, რომ „დაუწერიათ", „ზოგათ-ვიეთმე ასრე დაუწერია". „გარიგებაში" ეს ძველი ან დაცულია, ან ახალი პირობების შესაბამისადაა შეცვლილი.

სახელმწიფო სამართლის ამ ძეგლის მიხედვით, მეფის კარზე მოქმედი ხელისუფლების, მმართველობის მთავარი ორგანოა „სავაზირო" იგივე ვაზირთა საბჭო. მაგრამ ჩანს, რომ ოქროს ხანის შემდეგ მონღოლთა ბატონობის დროს ბევრი წესი დარღვეულა, უარესობისაკენ შეცვლილა. მონღოლი ყაენები და ნოინები მეფის მოხელეებს – ვაზირებს პატივს მაინც და მაინც დიდად არ სცემდნენ, თავის ერთგულ პირების აღზევებას უწყობდნენ ხელს. შესაძლებელი ხდებოდა სადუნ მანკაბერდელის მსგავსი მედროვე „განდიდებულიყო უმეტეს ყოველთა მთავართა". გიორგი ბრწყინვალის დროს, როცა ქვეყნის დამოუკიდებლობა და მეფის სუვერენიტეტი აღსდგა, ბუნებრივია, დიდი ყურადღება მიექცა ვაზირთა უფლება-კომპეტენციის დადგენას, ვაზირთა საბჭოს მუშაობის გაუმჯობესებას.

მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდლის უფლება-კომპეტენ-

ციის განსაზღვრასათან დაკავშირებით წინ წამოწეულია ძველი პრინციპი, რომ ის მეფის უმთავრესი მრჩეველია, ვაზირთა უპირველესი და თავმჯდომარეა, ხელმძღვანელობს მიღებულ დადგენილება-გადაწყვეტილებათა პრაქტიკულ შესრულებას. მის აპარატში ყოფილა 26 მწიგნობარი. მათ შორის ყველაზე მეტი უფლება ჰქონიათ საწოლისა და ზარდახნის მწიგნობრებს. მწიგნობართუხუცესის კომპეტენციაში შედიოდა სხვა ვაზირთა სამმართველო უწყებების ყოველწლიური შემომწება, მათ მიერ ჩატარებული მუშაობის დაფიქსირება. კარის გარიგებით დაკანონებული იყო, მაგალითად, ამირსპასალარის ხელქვეითი უდიდესი სამხედრო დანესებულების - „ზარდახნის" ყოველწლიური აღწერა, რომელსაც მწიგნობართუხუცესის სპეციალური მოხელე „ზარდახნის მწიგნობარი" ასრულებდა. მწიგნობართუხუცესი ზედამხედველობას და კონტროლს უწევდა სახელმწიფო ხაზინასაც. ვაზირთა უპირველესი, ბუნებრივია, აქტიურად მონაწილეობდა ომისა და მშვიდობის საკითხების გადაწყვეტაში.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ახალი კანონის თანახმად მჭიდრო კონტაქტში რჩებოდა ეკლესიასთან. არ ზღუდავდა კათალიკოსებს, საერთოდ ეკლესიის მსახურთ. კარის გარიგების მიხედვით, სამეფოში არსებული ყველა მონასტერი (გარდა გელათისა), საეპისკოპოსო და სამრევლო-ეკლესიები, ხუცები, მონაზონნი და „რაც საეკლესიო დასნი არიან, ყველა ჭყონდიდელისა და საწოლის მწიგნობრის სახელოისა არიან". ამდენად დავით აღმაშენებლის მიერ დადგენილი სახელმწიფოსადმი ეკლესიის დაქვემდებარების წესი ხელმწიფის კარის გარიგებითაც დაკანონდა.

მწიგნობართუხუცესის მაღალ უფლებამოსილებასა და მნიშვნელობაზე მეტყველებს ისიც, რომ კარის გარიგების მიხედვით მისი ამალა და დაცვა მრავალრიცხოვანია. მასში შედიოდნენ თითქმის ყველა უწყების მოხელენი – „მეჭურჭლე", „ეჯიბი" და უფრო ნაკლები რანგის პირები. ეს სავსებით შეეფერებოდა მეფის შემდეგ მდგარ მთავარ ხელისუფალს, რომელიც ხელმძღვანელობდა და აკონტროლებდა მეფისადმი პასუხისმგებელ ვაზირთა საბჭოს.

მეფე თამარის დროს ათაბაგის სამოქმედო ასპარეზი მეფის ოჯახით შემოიფარგლებოდა, მისი ძირითადი მოვალეობა უფლისწულის აღზრდა იყო. ამიტომ ათაბაგს ხელქვეითი მოხელეები არ ჰყავდა, დიდება-პატივით სხვა ვაზირებს ჩამოუვარდებოდა. მონღოლთა ბატონობამ ისეთი სიტუაცია შექმნა, რომ ათაბაგის გავლენა სამეფო კარზე გაიზარდა. მან სხვა ვაზირები

დაჩრდილა. ფეოდალის გვარი, რომელიც ათაბაგის წოდებას ატარებდა მონღოლთა მთავარ დასაყრდენ ძალად გადაიქცა. ამან განაპირობა ის, რომ ათაბაგები თითქმის ყოველთვის ახერხებდნენ მეორე სახელოს – ამირსპასალარობის მოპოვებასაც. ამ მხრივ გამოირჩეოდა სადუნ მანკაბერდელი, რომელმაც ყაენისაგან საქართველოს უმაღლესი მმართველობის უფლება მიიღო.

ალბათ ამიტომ იყო, რომ ხელმწიფის კარის გარიგებაში, მწიგნობართუხუცესის შემდეგ **ათაბაგია** დასახელებული. მაგრამ მეფესა და კანონის ავტორებს ათაბაგის სახელოს მიმართ სხვაგვარი პოზიცია უკავიათ. გარიგების ტექსტში მინიშნებულია, რომ ათაბაგის შედარებით ახალი სახელო, გარკვეულ დროს განდიდდა, მაგრამ ახლა დიდი და საპატიო ათაბაგი იშვიათობაა. კანონმდებლებმა იგი მწიგნობართუხუცესისა და ამირსპასალარის დაბლა დააყენეს, სხვა ვაზირებს გაუთანაბრეს.

ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით, **ამირსპასალარი** არის „თავადი ლაშქართა" - ჯარის უფროსი. ამიტომ ომისა და ჯარის მობილიზაციისათვის გამართულ თათბირზე პირველი სიტყვა მას ეკუთვნოდა, როცა ვაზირთა საბჭო რომელიმე პირისათვის მინის „სახარაჯოდ ან სამამულოდ" (სამემკვიდრეოდ) მიცემის საკითხს არჩევდა, აუცილებლად ამირსპასალარის დასტური უნდა მიეღო. ამ ვაზირის ჩართვა ასეთ საქმეში ბუნებრივია. ამირსპასალარი დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, იმაში, რომ ახალი პატრონის ხელში გადასულ ტერიტორიაზე ლაშქრობის სახელმწიფო ვალდებულება შეუფერხებლად შესრულდებოდა.

სავაზიროს მეოთხე წევრი - **მანდატურთუხუცესი** სასახლეში, ვაზირთა საბოჭოსა და დარბაზის სხდომების მიმდინარეობის დროს ობერცერემონმეისტერის ანალოგიურ მოვალეობას ასრულებდა. მისი ძირითადი ფუნქცია იყო საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წესრიგზე სამხედრო-საპოლიციო კონტროლის დამყარება და მეფის სახასო მეურნეობაში დასაქმებულ პერსონალზე ზედამხედველობა. მანდატურთუხუცესის ხელქვეითი მოხელეები იყვნენ: ამირეჯიბი და გამგეთუხუცესი. ამირეჯიბს კი ექვემდებარებოდნენ „ეჯიბნი", „მესტუმრე" და მერიგე. მუდმივ მანდატურთა რიცხვი არ იყო დიდი. პოლიციელების გამოყვანა იმ დროს დავალებული ჰქონდა 300-მდე ოჯახს, რომელთა შორის იყო მხოლოდ სამი აზნაური. ამ მოვალეობას ძირითადად გლეხთა წრიდან გამოსული პირები ასრულებდნენ. მანდატურთუხუცესისა და მის ხელქვეითთა გამოსარჩევი ნიშანი იყო არგანი (ჯოხი), რომელსაც ისინი ატარებდნენ მოვალეობის შესრულების დროს. არგანი ყურადღებას ამახვილებდა ამ უწყების

სადამსჯელო-საპოლიციო ხასიათზე.

მეჭურჭლეთუხუცესი სახელმწიფოსა და მეფის ოჯახის ფინანსურ საქმეებს განაგებდა. მას ექვემდებარებოდნენ „საჭურჭლის ნაცვალი", „საჭურჭლის მუქაფი", „მუშრიბი" და რიგითი „მეჭურჭლენი". მის უწყებაში შედიოდნენ და მის კონტროლს ექვემდებარებოდნენ ყველა ქალაქის „ამირები" – ქალაქისთავები, ქალაქის ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობა და საგადასახადო სისტემა. მონღოლების დროს ამ ვაზირის უფლება-კომპეტენცია შეკვეცილი ყოფილა. „ხელმწიფის კარის გარიგების" ავტორები ცდილობენ მეჭურჭლეთუხუცესის როლისა და მნიშვნელობის ამაღლებას, ამით კი სახელმწიფოს ფინანსური რესურსების გამრავლებას.

მსახურთუხუცესი სახელმწიფოს საერთო მმართველობაში თითქმის არ ერეოდა. მისი ძირითადი ფუნქცია იყო სამეფო კარის შინა სამეურნეო საქმეებისა და სახასო მამულების გამგებლობა. ხელქვეითი მოხელენი, რა თქმა უნდა, მასაც ჰყავდა. ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით, „მისი ხელთ არის სალარო, საწოლი, მესაწოლეთუხუცესი, მოლარეთუხუცესი, ფარეშთუხუცესი, მეხელადენი". სალარო ამ შემთხვევაში მეფის ოჯახის ხაზინაა. იქ ინახებოდა ფულისა და სხვა სახის განძის ხელუხლებელი ფონდი. სალაროს განაგებდა მოლარეთუხუცესი თავისი დამხმარე მოხელეებით. „გარიგების" „საწოლი" და „მესაწოლეთუხუცესი" ფართო მნიშვნელობის ტცნებებია. ამ უწყების დაქვემდებარებაში 700 სახლია (3 გლეხი, დანარჩენი აზნაური), მათგან იქმნება შუბოსან შინამოსამსახურეთა კონტინგენტი, რომელთაგან ზოგი მუდამ მეფის კარზე იმყოფება, სხვები მეფეს ახლავს მგზავრობისას. რამდენიმე „საწოლის მეკარე" ან „საწოლის დარაჯია". მსახურთუხუცესის უწყების მოხელენი იყვნენ აგრეთვე ფარეშთუხუცესი, მელვინეთუხუცესი, მეხილეთუხუცესი, მონადირეთუხუცესი.

ზემოთ ჩამოთვლილი ექვსი ვაზირი, ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით ქმნიდა „სავაზიროს" (ვაზირთა საბჭოს). ამის სხდომებს მეფე იწვევდა საჭიროებისამებრ. მეფესთან ერთად ამ სხდომებს ესწრებოდა 6 ვაზირი და 3 მათი თანაშემწე. კანონის მიხედვით, როცა მეფე ვაზირთა საბჭოს სხდომას დანიშნავს, უნდა მოიწვიონ: მწიგნობართუხუცესი, ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი და ამირახორი. საწოლის მწიგნობარი და ამირეჯიბი თვითონ არიან ვაზირთა მაწვეველნი და ამიტომ სხდომას ისინიც ესწრებიან. სავაზიროს თათბირი და მისი დადგენილებები სახელმწიფო საიდუმლოებად

ითვლებოდა, ამიტომ სავაზირო დარბაზს მანდატურები (პოლიციელები) იცავდნენ. სხდომის მონაწილეთა უფლება-კომპეტენცია ერთნაირი როდი იყო. ვაზირებს სრული ხმა ჰქონდათ. ამირახორი სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობდა, მხოლოდ შეკითხვაზე იძლეოდა პასუხს. სხვა დროს მდუმარედ იჯდა. სანოლის მწიგნობარსა და ამირეჯიბს კი მხოლოდ მოსმენის უფლება ჰქონდათ (17; 8, 635-652).

ამ კონკრეტული მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ გიორგი ბრწყინვალე და „ხელმწიფის კარის გარიგების" ავტორები მიზნად ისახავდნენ მეფის ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას. ვაზირთა საბჭო არსებითად მეფის მიერ შედგენილი მთავრობაა, რომელიც მონარქის ნებას ემსახუება ქვეყნის მართვა-გამგეობაში. მართალია ამ დროს ხელისუფლების ცენტრალიზაციამ ვერ მიაღწია დავით აღმაშენებლისა და გიორგი მესამის დროს არსებულ დონეს, მაგრამ შეიმჩნეოდა აქეთკენ მისწრაფების ტენდენცია.

გიორგი ბრწყინვალემ დასაჯა თვითნება ერისთავები, შეავიწროვა საერთოდ ცენტრიდანული ძალები, მაგრამ ხელი არ უხლია წოდებათა წარმომადგენლობის სათათბიროსათვის. მხოლოდ ის სცადა, რომ „დარბაზში" თავის პოლიტიკის მომხრეთა რიცხვი გაედიდებინა.

ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით, დარბაზი კოლეგიური დაწესებულებაა, რომელშიც იმ დროს შედიოდნენ საერო მოხელეები და ეკლესიის მღვდელმთავრები: მეფის კარზე მყოფი ვაზირნი საქვეყნოდ გამრიგე ერისთავები: მცხეთისა და აფხაზეთის კათალიკოსები, მოძღვართ-მოძღვარი (გელათის აკადემიის რექტორი), ეპისკოპოსები, დიდი მონასტრების (ვარძიის, გარეჯის და სამცხე-საათაბაგოს „თორმეტი უდაბნოს") წინამძღვარნი. ვაჭრებისა და ხელოსანთა წარმომადგენლობის შესახებ აქ არაფერია ნათქვამი. მწირ ცნობებს გვაწოდებს ხელმწიფის კარის გარიგება დარბაზის უფლება-კომპეტენციის შესახებაც. მაგრამ ამ ხარვეზის ამოვსება ხერხდება სხვა წყაროებზე დაყრდნობით. საქართველოს ისტორიის ნარკვევების მესამე ტომის ავტორებს მიაჩნიათ, რომ „დარბაზის" ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია მეფე თამარისა და გიორგი ბრწყინვალის დროსაც, იყო საკანონმდებლო ძეგლების შედგენა. არაგვისა და ქსნის ხეობისათვის განკუთვნილი „ძეგლისდება" გიორგი მეხუთის დავალებით შეადგინა დარბაზმა, რომლის სხდომებს დარბაზის წევრებს გარდა ესწრებოდნენ მთიელთა თავკაცებიც. თვით კარის გარიგებაში დაცული ერთი ცნობის მიხედვით, დარბაზს გადაუწყვეტია

აფხაზეთის კათალიკოსსა და ქუთათელ ეპისკოპოსს შორის ატეხილი დავა რაც იმაზე მივგანიშნებს, რომ დარბაზი მონაწილეობდა სამართლის წარმოებაში. დარბაზს ეკითხებოდა მთაში ჩადენილი მკვლელობისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულთა გარჩევა (რაც გახშირდა მონღოლთა ბატონობის - „ულუსობის" დროს). მას შეეძლო გამოეტანა დამნაშავისათვის მამულის ჩამორთმევის დადგენილება. რაც მთავარია, დარბაზი მონაწილეობდა მოხელეთა დანიშვნა-გადაყენებაში. დადგენილი იყო „დარბაზობის" სხდომის ჩატარების ორი ფორმა: „დიდის წესითა" და „უმცროსითა", რომლის არჩევაც მეფის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული.

„დიდი დარბაზობის" მოწვევა-ჩატარება ხდებოდა საუფლო დღესასწაულებზე, შობისა და აღდგომის დროს. იგი საზეიმო ელფერს ატარებდა. დარბაზის წევრთა („დარბაისელთა") დასაჯდომი ადგილები ნაწილდებოდა მოხელეთა და „უხელოთა" უფროს-უმცროსობის მიხედვით. საქმეების გარჩევის შემდეგ ამ დიდ დარბაზობას მოჰყვებოდა „პურობა". სუფრასთან ჯდომის წესი, მოსართმევი ულუფა და მომსახურების ხარისხი ექვემდებარებოდა იმავე იერარქიულ პრინციპს. ამ შემთხვევაში ქეიფი და ღრეობა როდი მიმდინარეობდა. „პურობა" განიხილებოდა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის ღონისძიებად, რომელიც ხელს უწყობდა ფეოდალური საზოგადოების მეფის ხელისუფლებასთან კავშირის განმტკიცებას, თანადგომისა და ერთიანობის დაკანონებას. მცირე დარბაზობა უფრო საქმიანი იყო, კონკრეტული საკითხების განხილვით, სათანადო დადგენილების მიღებით შემოიფარგლებოდა (8, 653-654).

ნ. ბერძენიშვილმა დაადგინა, რომ დარბაზის ფუნქციებში შედიოდა დიდგვაროვანთა ოჯახების გაყრა და შეყრა, ამ ოჯახების გასამართლება, ომი და ზავი, ლაშქრის მობილიზაცია, ხელისუფლების (თანამდებობის) გაცემა, კანონების შედგენა, ახალი გადასახადების შემოღება. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ხდებოდა მეფისა და დარბაზის ერთიანობა-თანადგომით. ნ. ბერძენიშვილი იმასაც წერს, რომ გაერთიანებულ საქართველოში „დარბაზი, მართალია, რეგულარულად მოქმედი დაწესებულება არ ყოფილა, მისი მოწვევა–დათხოვნა მეფის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული, მაგრამ ეს მხოლოდ ასე იყო გარეგნულად. მეფე უდარბაზოდ ვერაფერს ილონებდა. თუ მშვიდობიანობის დროს მეფეს ასე თუ ისე, შეეძლო დარბაზის დაუკითხავად ესაქმა, ომის დროს ის სრულიად უმწეო იყო რაიმე ელონა ფეოდალთა თანხმობის გარეშე (3, 188).

საყოველთაოდ აღიარებული დიდი მეცნიერი ამ შეძთსკვ-ვაში დარბაზის უფლებამოსილების განსაზღვრაში რამდენადმე აჭარბებს, მაგრამ კონკრეტული მასალა, ფაქტებისა და ისტორიული პროცესების მთლიანობაში გააზრება საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქართველოში მრავალი საუკუნის სიგრძეზე არსებული წოდებათა წარმომადგენლობის სათათბირო – დარბაზი თავის უფლება-კომპეტენციის დონითა და მნიშვნელობით არაფრით ჩამოუვარდებოდა (ზოგჯერ აჭარბებდა) ინგლისის ფეოდალურ პარლამენტს, პოლონეთის სეიმს, საფრანგეთის გენერალურ შტატებს, რუსეთის საერობო კრებას. ქართული „დარბაზი" გაცილებით დიდხანს ფუნქციონირებდა. ფეოდალურ საქართველოში „დარბაზის ერი" იყო ხელისუფლების ერთი თავისებური შტო, წოდებათა წარმომადგენლობის ორგანო, რომელიც ამზადებდა პირობებს ბურჟუაზიულ-წარმომადგენლობითი დემოკრატიისათვის. მაგრამ საგარეო მდგომარეობის გართულების, პერმანენტული ომების გამო წინსვლა შეფერხდა. განვითარების პროცესი წალმა ვერც გიორგი ბრწყინვალემ შემოაბრუნა და ვერც ალექსანდრე დიდმა. საქართველო ჩამორჩა ევროპას.

გიორგი ბრწყინვალის გარდაცვალების შემდეგ კვლავ გართულდა ქვეყნის შინაპოლიტიკური ვითარება და საერთაშორისო მდგომარეობა. განსაკუთრებით დიდი საშიშროების წინაშე დააყენა საქართველოს სამეფო, ქართველი ხალხი თემურ-ლენგის რვაგზის შემოსევამ.

შუა აზიელ მონღოლთა ამ ნაშიერმა გააერთიანა მომთაბარეთა ურდოები, შექმნა ძლიერი არმია და მიზნად დაისახა ჩინგიზ ყაენის დროინდელი იმპერიის აღდგენა. თემურლენგს ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნდა ქალაქებისა და სოფლების მიწასთან გასწორება, მოწინააღმდეგე ხალხების ფიზიკური განადგურება, დატყვევებულ ადამიანთა მოჭრილი თავებისაგან „კოშკების" აგება. აი, ასეთი მტარვალ-დამპყრობელი საქართველოში პირველად 1386 წელს შემოიჭრა.

გავლენის სფეროების გაფართოებისა და ტერიტორიების შემატებისათვის თემურ-ლენგი ებრძოდა ოქროს ურდოს მბრძანებელ თოხთამიშ-ხანს. საქართველოს მეფე ბაგრატ V (1360-1393) თოხთამიშის მხარეს დადგა ამით განრისხებული თემური მთელი თავისი ჯარით საქართველოს წინააღმდეგ ამხედრდა. დიდი ბრძოლის შემდეგ, 1386 წლის 21 ნოემბერს თბილისი აიღო შესძლო ბაგრატ მეფის დატყვევებაც. თავის ძირითად რეზიდენციაში დაბრუნებისთანავე თემურლენგმა აიძულა ბაგრატი მაჰმადიანობა მიეღო და თავის ხალხის გამაჰმადიანების პირობაც

დაედო. ამ „ხელშეკრულების" შესასრულებლად დამპყრობელმა მეფე ბაგრატს 12 ათასიანი ჯარი გამოაყოლა. ბაგრატი არც ქრისტიანობის დათმობას აპირებდა და არც დამოუკიდებლობაზე უარის თქმას. სანდო პიროვნების მეშვეობით სათანადო ინფორმაცია მიაწოდა თავის ვაჟებს, რომლებმაც მამასთან ერთად, საქართველოში შემოსული თემურის არმია გაანადგურეს. თემურ-ლენგი, რა თქმა უნდა, ქართველთა მეფეს ასეთ ქმედებას არ აპატიებდა და 1387 წელს ხელმეორედ შემოიჭრა საქართველოში. მან თითქოს გაიმარჯვა, მაგრამ ქვეყნის დაპყრობა ვერ შესძლო.

ამის შემდეგ თემურ-ლენგი თავის მტრებს ევრაზიის სხვა რეგიონებში ებრძოდა, ყველგან გაიმარჯვა. 1394 წელს იგი საქართველოში მესამედ შემოიჭრა. ამ დროს საქართველოს სამეფო ტახტზე გიორგი VII იჯდა (1393-1407). მან მედგარი წინააღმდეგობა გაუწია თემურს, არ მისცა საშუალება სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი არაგვ-დარიალის გადასასვლელები დაეკავებინა. ამასობაში ოქროს ურდოს ყაენი თოხთამიში დარუბანდის გზით შემოიჭრა აზერბაიჯანში. თემურ-ლენგი მის წინააღმდეგ ამხედრდა, დაამარცხა კიდეც. მალე შუა აზიაში დაბრუნდა და იქიდან ინდოეთს გაილაშქრა. საქართველოს მეფემ ამით ისარგებლა და თავის ქვეყნიდან თემურის მიერ დატოვებული ჯარი განდევნა.

ინდოეთის დიდი ნაწილის დაპყრობის შემდეგ თემურლენგი თავის ვეებერთელა ჯარით კვლავ საქართველოსკენ დაიძრა. 1399-1403 წლებში მან ხუთგზის დალაშქრა ჩვენი ქვეყანა, ააოხრა საქართველოს რამდენიმე რეგიონი, დახოცა აუარებელი ხალხი, დაანგრია სასახლეები, ეკლესია-მონასტრები, სარწყავი არხები, გაჩეხა ბაღ-ვენახები. მაგრამ თემურ-ლენგმა თავისი მიზანი ვერ განახორციელა, ქართველი ხალხის წინააღმდეგობა ვერ გატეხა, მისი მეფე ვერ დაიმორჩილა, უარი ვერ ათქმევინა ხელმწიფურ სუვერენობაზე. ყველგან გამარჯვებული დამპყრობელი 1403 წელს იძულებული გახდა ზავი დაედო საქართველოს მეფესთან, მისი ქვეყნიდან ჯარი გაეყვანა. აურაცხელი მსხვერპლის ფასად საქართველომ შეინარჩუნა დამოუკიდებლობა.

1405 წელს თემურ-ლენგი გარდაიცვალა. თემურის იმპერია მაშინვე დაიშალა. მაგარმ მისი ნაკვალავი საქართველოში მძიმე, თითქმის განუკურნებელ იარასავით დარჩა; ეკონომიკა განადგურდა, მოსახლეობის რიცხვი ძალიან შემცირდა. დასუსტებული საქართველოს განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ მომთაბარე თურქმანი ტომები, რომლებთან ბრძოლებში დაილუპა ორი გვირგ-

ვინისანი მეფე – გიორგი VII (1407 წ.) და კონსტანტინე I (1412 წ.).

ამ ტრაგიკული მოვლენების შემდეგ გაჩნდა ქართულ ენაში ისეთი ცნებები, როგორიცაა ნაქალაქევი, ნასოფლარი, ნაფუძარი, ნასახლარი, ნავენახარი, პარტახი და სხვ. მოიშალა დანგრეულის აღდგენის, გაფართოებული აღწარმოების პირობები. არსებითად შეიკვეცა საქონელწარმოება და აღებ-მიცემობა. მადომინირებელი გახდა ნატურალური მეურნეობა. ეკონომიკის დაცემამ შეაფერხა სოციალ-პოლიტიკური განვითარება. ქართული ფეოდალური საზოგადოება კარგა ხნით დაიჩიხა. გაძლიერდა შინა სოციალ-პოლიტიკური ანტაგონიზმი, ბრძოლა პროგრესულ და რეაქციულ ძალებს შორის. დიდაზნაურთა ბაზაზე ჩამოყალიბდა თავადთა ფენა, საქართველო დაიფარა სათავადოებით, რომლებშიც მეფის ხელისუფლების გავლენა თანდათან შესუსტდა – ერთი სიტყვით, ქვეყანაში გაჩნდა ერთიანი ფეოდალური მონარქიის დაშლის ეკონომიკურ-სოციალური პირობები.

კონსტანტინე პირველის თურქმენებთან ბრძოლაში დაღუპვის შემდეგ საქართველოს სამეფო ტახტზე დაჯდა მისი ძე ალექსანდრე I, რომელსაც შთამომავლობამ „დიდი" უწოდა. იგი ყოველნაირად ცდილობდა თემურ-ლენგის მიერ დანგრეულ-დაქცეული საქართველოს აღდგენას. სახელმწიფო ხაზინას საამისო სახსარი არ გააჩნდა. ამიტომ მეფემ 1425 წელს დააწესა სპეციალური გადასახადი – კომლზე 20 თეთრის ოდენობით. შემოსული თანხით შეაკეთა სვეტიცხოველი, რუისის ტაძარი, რამდენიმე სხვა ეკლესია-მონასტერი და ციხე-სიმაგრე.

1431-1435 წლებში ალექსანდრე პირველმა შესძლო თურქმენთაგან მიტაცებული ლორესა და სივნიეთის (ყარაბაღის) კვლავ საქართველოსთვის შემოერთება. იგი ცდილობდა აელაგმა ურჩი მთავრები (დადიანი, შერვაშიძე, სამცხის ათაბაგი). რამდენიმე ერისთავი გადააყენა და მათ ადგილზე თავისი ვაჟები – ვახტანგი, გიორგი და დიმიტრი დანიშნა. მაგრამ ამას უარყოფითი შედეგი მოჰყვა. უფლისწულებმა კანონი და ტრადიცია დაარღვიეს, მეფის ტიტული მიითვისეს და გვირგვინოსან მეფეს აღარ ემორჩილებოდნენ. ამით განაწყენებული ალექსანდრე I ტახტიდან გადადგა. ბერად აღიკვეცა. 1442-1446 წლებში ვახტანგ IV მეფობდა. შემდეგ კი სამეფო ტახტს დაეუფლა მისი ძმა გიორგი VIII (1446-1466). ამ დროს წინა აზიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. 1453 წელს თურქ-ოსმალთა სულთანმა მუჰამედ მეორემ ბიზანტიას შეუტია და იერიშით აიღო კონსტანტინეპოლი. უკანასკნელი იმპერატორი კონსტანტინე XI (რომელიც დანიშნული იყო გიორგი მერვის ასულზე) დაიღუპა. ბიზანტიის იმპერიის და-

ცემა საქართველოსთვის უარყოფითი მოვლენა იყო. ჩვენი ქვეყანა მოწყდა სოციალ-პოლიტიკურად და კულტურულად მზარდ დასავლეთ ევროპას, მოექცა მუსლიმურ სახელმწიფოთა გარემოცვაში. თურქ-ოსმალთა სახელმწიფომ დასავლეთ ევროპასაც ჩაუკეტა პირდაპირი გზა აღმოსავლეთისაკენ, რომელიც შავ ზღვაზე და საქართველოზე გადიოდა. ამდენად, ორივე მხარის ინტერესებს პასუხობდა თურქთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა. კიდეც დაიწყო მოლაპარაკება კონსტანტინეპოლის გასათავისუფლებლად კოალიციური ლაშქრობის მოწყობის შესახებ. მაგრამ არაფერი გამოვიდა. საქართველო დიდი ხნით მოწყდა დასავლეთის სამყაროს, მარტო ებრძოდა მუსლიმურ სახელმწიფოთა აგრესიას.

შექმნილი რთული სიტუაცია მოითხოვდა საქართველოს შინაგან ძალთა სრულ მობილიზაციას, დაპირისპირებულ ჯგუფთა გაერთიანებას, მაგრამ მოვლენები ამის საწინააღმდეგოდ განვითარდა. საქართველოს პოლიტიკური დაშლის პროცესი კულმინაციას მიუახლოვდა. ერთიან საქართველოს მეფეს გიორგი მერვეს გადაუდგა სამცხის მთავარი ყვარყვარე ჯაყელი და 1461 წელს, თურქმანთა მბრძანებლის უზუნ-ჰასანის დახმარებით თავისი მეფე დაამარცხა. ამ მომენტით ისარგებლა ბაგრატიონთა გვარის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, ალექსანდრე დიდის ძმისწულმა ბაგრატ ვახტანგის ძემ და ისიც ლეგიტიმური მონარქის წინააღმდეგ აჯანყდა. მას მხარი დაუჭირეს გურიელმა, დადიანმა, შერვაშიძემ. 1463 წელს ჩიხორთან მომხდარ ბრძოლაში მეფე გიორგი კვლავ დამარცხდა. ცოტა ხნის შემდეგ გიორგი მერვემ რევანშის აღება სცადა და ჯერ სამცხის მთავრის დასასჯელად გაილაშქრა. შუა გზაზე, თავფარავანთან დაბანაკებულ მეფეს მოულოდნელად დაესხა თავს ყვარყვარე, დაატყვევა და თავის რეზიდენციაში ჩაიყვანა. გაქცევა მოახერხა მეფის ძმის შვილმა კონსტანტინე დიმიტრის ძემ.რომელმაც გორის ციხეს შეაფარა თავი. მეფის დატყვევების შემდეგ საქართველოს სამეფო ტახტის დაუფლებისათვის ბრძოლა კონსტანტინე დიმიტრის ძესა და ბაგრატ ვახტანგის ძეს შორის გაჩაღდა. მეტ წარმატებას ბაგრატმა მიაღწია და ამიტომ კონსტანტინემ დათმობა ამჯობინა. მათ შორის გაფორმდა გარკვეული ხელშეკრულება; კონსტანტინემ ბაგრატი აღიარა მეფეთა მეფედ, ბაგრატი კი კონსტანტინეს „მეფობაზე" დათანხმდა. ბაგრატ VI იძულებული გახდა შეგუებოდა ასეთი ნახევრად დამოუკიდებელი მეფისა და მთავრების (სამცხის, გურიისა, სამეგრელოსა და აფხაზეთის მფლობელთა) არსებობას. მაგრამ სამცხის მთავარი ყვარყვარე ჯაყელი მტრუ-

ლად განეწყო პატივმოყვარე და პრეტენზიული ბაგრატ VI-ის მიმართ. დატყვევებული გიორგი VIII გაათავისუფლა და ჯარი გამოაყოლა სამეფო ტახტის დასაბრუნებლად. თავნება თავადებმა ლეგიტიმურ მონარქს მხარი არ დაუჭირეს. გაერთიანებული საქართველოს უკანასკნელმა მეფემ ბრძოლა კვლავ წააგო. კახეთში გადავიდა, მის მეფობას დასჯერდა.

ერთხანს ბაგრატ VI ახერხებდა ქართლსა და იმერეთზე კონტროლის შენარჩუნებას. 1470 წელს კონსტანტინემ თავი გაითავისუფლა ბაგრატის დამოკიდებულებისაგან. ქართლს დაეუფლა, მის მეფედ საზეიმოდ ეკურთხა. ბაგრატ მეექვსეს მხოლოდ დასავლეთ საქართველო შერჩა. ქართლისა და იმერეთის პოლიტიკურ გათიშვას, აღმოსავლეთ-დასავლეთის საეკლესიო გაყოფა მოჰყვა. ამ მიმართულებით ყველაზე „აქტიურად იღვაწა" შამადავლე დადიანმა, რატომღაც მას ნაადრევად დაუჭირა მხარი ბაგრატმაც. მათ აფხაზეთის კათოლიკოსად შეამზადეს ცაიშელბედიელი მთავარეპისკოპოსი იოაკიმე. ამ დროს იმერეთში იმყოფებოდა ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქი მიხეილი, რომელმაც დაარღვია მცხეთის კათალიკოსის პრიორიტეტი და იოაკიმე დამოუკიდებელ კათალიკოსად დაამტკიცა. ბაგრატმა ამის შემდეგაც გააგრძელა თავის სამფლობელო ტერიტორიის გაფართოებისათვის ბრძოლა. 1472 წელს მან შესძლო კონსტანტინეს გაძევება, ქართლს კვლავ დაეუფლა. 1478 წელს ბაგრატ VI გარდაიცვალა. ქართლ-იმერეთის ტახტი კონსტანტინე დიმიტრის ძემ დაიკავა. ბაგრატის მემკვიდრე ალექსანდრე რაჭა-ლეჩხუმში გამაგრდა. ამ უკანასკნელმა ისარგებლა შინა და საგარეო გართულებებით, 1489 წელს ქუთაისი დაიკავა და იმერეთის მეფედ ეკურთხა.

ამგვარად, ერთიანი საქართველო დაიშალა. XV ს-ის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოები. მათგან არსებითად დამოუკიდებელი გახდა სამცხე-საათაბაგოს, გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის სამთავროები. პოლიტიკურმა დაშლილობამ შეაფერხა ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური განვითარება, გააძნელა გარეშე მტრების წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლა. საქართველოს ერთიანობის, ერთმეფობის იდეა კვლავ ცოცხლობდა, მაგრამ მისი რეალიზაციის პირობები არ არსებობდა.

პოლიტიკურად დაშლილი საქართველოს მონარქები გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში (XVI-XVIII სს.)

ამ პერიოდში საქართველოს სამხრეთ-დასავლეთიდან ოსმალთა იმპერია ესაზღვრებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან კი – ირანი. ქართველი ხალხი თავის მეფეთა მეთაურობით თითქმის პერმანენტულ ბრძოლას ეწეოდა ამ სახელმწიფოთა აგრესიის წინააღმდეგ.

უთანასწორო ბრძოლა ძნელი იყო და საქართველოს სამეფო-სამთავროების წინაშე მწვავედ დადგა საიმედო მოკავშირის გამონახვის პრობლემა. მათ თვალსაწიერში ხვდებოდა დასავლეთ ევროპაც და გამთლიანება-გაძლიერების გზაზე შემდგარი რუსეთიც.

1495 წელს ქართლის მეფე კონსტანტინემ ელჩები გაგზავნა ესპანეთის მეფე-დედოფალთან, მიულოცა არაბებზე საბოლოო გამარჯვება და წინადადება მისცა მათ თურქ-ოსმალთა წინააღმდეგ მოეწყოთ კოალიციური ლაშქრობა. მაგრამ ესპანეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების ხელმწიფენი არც ამჯერად გამოეხმაურნენ ქართველი მეფის მოწოდებას. ისინი, მართალია, ეძებდნენ თავისუფალ გზას აღმოსავლეთისაკენ და მათ ინტერესებში შედიოდა თურქული ბარიერის მოსპობა. მაგრამ საამისო ძალა იმ დროს დასავლეთ ევროპას არ გააჩნდა. ამიტომ ევროპელებმა სხვა მიმართულებით დაიწყეს ინდოეთისაკენ გზის ძიება, რასაც შედეგად ამერიკის აღმოჩენაც მოჰყვა. ამის შემდეგ მათ დიდი ხნით თითქმის მთელი ყურადღება ხმელთაშუა და შავი ზღვებიდან ატლანტის ოკეანეზე გადაიტანეს. არც რუსეთთან კონტაქტების დამყარებას მოჰყოლია რეალური შედეგი. ქრისტიანული სამყაროსაგან მოწყვეტილი საქართველო მარტო აღმოჩნდა მუსლიმანური სახელმწიფოების გარემოცვაში, მათ წინააღმდეგ ბრძოლაში.

მდგმოარეობას ისიც ართულებდა, რომ დაირღვა ერთმეფობის პრინციპი და თვით ქართველ მეფე-მთავართა შორისაც აღმოცენდა წინააღმდეგობა, იშვიათი მოვლენა აღარ იყო შინაბრძოლები. ქართლის მეფე დავით მეათეს (1505-1525) შემოუტია იმერთის მეფე ალექსანდრემ და ერთხანს დაეუფლა ქართლის დასავლეთ ნაწილს. 1511 წელს ქართლის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო ავგიორგით წოდებულმა კახეთის მეფემაც. ქართლის მეფეს გაუჭირდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც აღადგინა ტრადიციული სადროშოები, შექმნა შედარებით მცირე მოცულობის სამხედრო

ოლქები, დავით მეათემ დაამარცხა აე-გიორგი და თვითონ სცადა კახეთის შემოერთება.

საქართველოს სამეფო-სამთავროების სამხედრო-პოლიტიკურ მდგომარეობას რამდენადმე აუმჯობესებდა ორი დამპყრობლის ურთიერთშორის ბრძოლა. 1514 წელს ოსმალეთის სულთანმა სელიმ I-მა დაამარცხა ირანის შაჰი ისმაილ I და თავრიზიც აიღო. მიუხედავად ამისა, ირანმა ბრძოლა გააგრძელა, შაჰ ისმაილმა ქართლსაც შემოუტია. იგი დავით მეათეს სიტყვიერ მორჩილებას არ დასჯერდა, 1520 წელს დიდი ჯარით შემოიჭრა ქართლში. მართალია, აიღო თბილისი და რამდენიმე ციხე-ქალაქი, მაგრამ ქვეყნის დაპყრობა ვერ შეძლო. 1524 წელს შაჰისმაილი გარდაიცვალა. მის მემკვიდრეთა შორის ტახტისათვის ატეხილი ბრძოლით ისარგებლა დავით მეათემ და ქართლიდან ირანელთა ჯარი განდევნა.

1527 წელს ქართლში ლუარსაბ დავითის ძე გამეფდა. იგი ჩაუდგა სათავეში შაჰ თამაზ პირველის მრავალრიცხოვანი ჯარების წინააღმდეგ ბრძოლას. ლუარსაბ I საქართველოს ერთიანობის იდეას გონებით ატარებდა და ყოველთვის ცდილობდა თანამემამულე მეფე-მთავრებს გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებოდა. 1545 წელს სოხოისტასთან თურქთა წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში იგი იმერეთის მეფის ბაგრატის მხარდამხარ იდგა. ამის შემდეგაც ქართლისა და იმერეთის მეფეები ერთად ცდილობდნენ სამცხე-საათაბაგოდან ოსმალეთისა და ირანის ჯარების განდევნას.

შაჰ-თამაზმა ოთხგზის ილაშქრა ქართლში, მაგრამ მეფე ლუარსაბს ქედი ვერ მოადრეკინა. ლუარსაბი ხან დიდ ბრძოლებს უმართავდა ქვეყანაში შემოჭრილ მტერს, ხანაც პარტიზანულ მოძრაობას უპირისპირებდა მას. ირანის შაჰმა ქართლის დაპყრობა ვერ შესძლო. 1555 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ქ. ამასიაში დაიდო საზავო ხელშეკრულება, რომლის თანახმად ქართლი, კახეთი და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი ირანის სამფლობელოდ გამოცხადდა, დანარჩენი საქართველო კი ოსმალეთს ერგო. ეს ცოცხალი ვეფხის გატყავებას გავდა, რადგან ქართველი ხალხი ბრძოლას განაგრძობდა ორივე დამპყრობლის წინააღმდეგ. ის კი უნდა აღინიშნოს, რომ ირან-ოსმალეთის ამ გარიგებამ ქართველ მეფეთა დიპლომატიას, ქვეყნის დაცვას და გამათავისუფლებელ მოძრაობას კიდევ უფრო მეტი სიძნელეები შეუქმნა.

1556 წელს შაჰმა, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოს ოსმალეთის სულთანი აღარ ეცილებოდა, დიდი ჯარი გამოგზავ-

ნა მეფე ლუარსაბის წინააღმდეგ. ქციის ხეობაში, სოფ. გარისთან მომხდარ ბრძოლაში ქართველთა ლაშქარს ლუარსაბის ვაჟი სიმონი სარდლობდა. მტერი დამარცხდა. გაქცეულ სპარსელთა ერთი რაზმი ქართლის მოხუც მეფეს და მის თანატოლ მხლებლებს გადაეყარა. მოხუცები დამარცხდნენ. სპარსელებმა მეფე მოკლეს. დამოუკიდებლობისათვის ამ თავდადებული მებრძოლის დაკარგვა დიდი დანაკლისი იყო ქვეყნისა და ხალხისათვის. მაგრამ ეროვნული დროშა ლუარსაბის ვაჟმა სიმონმა გადაიბარა და დიდხანს გმირულად იბრძოდა, როგორც ირანელების, ისე ოსმალების წინააღმდეგ.

ამასიის ზავის დადების შემდეგ ოსმალეთმა კიდევ უფრო გააქტიურა მოქმედება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. იმერთის მეფე ბაგრატს და მის მემკვიდრეს ყოველთვის როდი ეხმარებოდნენ ბრძოლაში გურია-სამეგრელოს მთავრები. ოსმალებმა თანდათან დაიპყრეს ჭანეთი, ტაო, შავშეთი, კლარჯეთი. ირანი კი ცდილობდა სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილის ანექსიას. შაჰის დიდი გამარჯვება იყო ის, რომ 1569 წელს ფარცხისთან მომხდარ ბრძოლაში ირანელებმა დაატყვევეს სიმონ I.

1578 წელს ოსმალეთმა დაარღვია ამასიის ზავი, ომი განაახლა ირანის წინააღმდეგ. გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოს ტერიტორიაზე, ჩილდირის ტბასთან მოხდა. გაიმარჯვეს ოსმალებმა. სამცხის მთავარი ყვარყვარე ჯაყელი დაემორჩილა მუსტაფა-ლალა-ფაშას 300 ათასიან არმიას, რომელიც ამის შემდეგ თბილისისაკენ დაიძრა და მისი აღება მოახერხა. კახეთის მეფე ალექსანდრე ოსმალთა სარდალს სართიჭალასთან შეეგება და დიპლომატიური მანევრით მოახერხა მისი გადამეტებული პრეტენზიების უარყოფა; ირანის შაჰის ფორმალური ვასალობა უარყო და ოსმალეთის სულთნის უზენაესობა აღიარა.

ამ დროს ქართლის მეფე სიმონი ისევ ირანელთა ტყვეობაში იმყოფებოდა. ოსმალეთთან ომში განცდილი დიდი მარცხის გამო, შაჰის კარმა რამდენადმე შესცვალა თავისი პოლიტიკა საქართველოს მიმართ. ქართლის მეფე სიმონი ტყვეობიდან გაათავისუფლეს და ირანის მოკავშირეობა დაავალეს. სიმონ I სათავეში ჩაუდგა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას და ამჯერად თურქ-ოსმალებს შეუტია. 1578 წელს დამპყრობთაგან გაათავისუფლა ქართლის დიდი ნაწილი და თბილისის ციხეებში გამაგრებულ ოსმალთა გარნიზონებს ეკვეთა.

1580 წელს სულთანმა საქართველოში დიდი ჯარი გამოგზავნა, თბილისის გარნიზონები შეავსო და ქართლის საგრძნობ ნაწილზე კვლავ კონტროლი დაამყარა: 1582 წლის აგვისტოში მე-

ფე-სარდალი თავს დაესხა მუხრანის ველზე დაბანაკებულ მეჰმ-ედ ფაშას არმიას და თითქმის მთლიანად გაანადგურა. ამას მოჰ-ყვა ანტიოსმალური აჯანყება სამცხეში, რომელსაც მანუჩარ ჯა-ყელი მეთაურობდა. ოსმალთა ჯარებისაგან გაიწმინდა სამცხისა და ქვემო ქართლის დიდი ნაწილი. მეფე სიმონმა თბილისიც აიღო. ამიტომ 1583 წელს ოსმალებმა ახალი ლაშქრობა მოაწყვეს საქართველოს წინააღმდეგ. ფერჰად ფაშამ კვლავ დაიკავა თბი-ლისი და ქართლის სხვა ციხე-სიმაგრეები.

1587 წელს ირანის ტახტზე დაჯდა შაჰ-აბას I. მან შორს მი-მავალი გეგმა შეადგინა. 1590 წელს დროებით დაუზავდა ოსმა-ლეთის სულთანს. მთელი აღმოსავლეთი საქართველო („ირანის ნილი") მის სამფლობელოდ აღიარა. შაჰ-აბასი ოსმალეთის წინა-აღმდეგ დიდი ომის დაწყებისათვის ემზადებოდა და ქართლ-კა-ხეთის მეფეების მეშვეობით სცადა ევროპელ ხელმწიფეთა კე-თილგანწყობილების მოპოვება. დასავლეთ ევროპის სახელმწი-ფოებიც, შეშფოთებული იმით, რომ 1590 წლის ზავის შემდეგ ოს-მალეთი მთელ თავის ძალებს ევროპას დაუპირისპირებდა, თავი-ანთი აგენტების პირით მოუწოდებდა ირანის შაჰს და საქართვე-ლოს მეფე-მთავრებსაც ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ქართლის მეფე სიმონი ამ მოწოდების გარეშეც თავდადებით ებ-რძოდა დამპყრობელს, მაგრამ ქრისტიანული სამყაროს სოლი-დარობამ მას გამარჯვების რწმენა განუმტკიცა და გაორმაგებუ-ლი ენერგიით შეუტია თურქ-ოსმალებს. 1599 წელს სიმონმა გო-რი აიღო, თბილისისაკენ დაიძრა. სამცხე-საათაბაგოც კვლავ მა-ნუჩარ ჯაყელის მეთაურობით აუჯანყდა ოსმალეთს. სულთანმა მრავალრიცხოვანი ჯარი გამოგზავნა „თავხედთა" დასასჯელად. დიდი ომი ალგეთის ხეობაში მოხდა. ხუთსაათიანი სისხლისმღვ-რელი ბრძოლის შემდეგ ქართველებმა უკან დახევა დაიწყეს. მე-ფის ცხენი ტალახიან ორმოში ჩაეფლო და თურქებმა სიმონის დატყვევება მოახერხეს. ამ ყველაზე შეუდრეკელი და საშიში მტრის ტყვედ წამოყვანა სულთანს ისე ესიამოვნა, რომ სახელმ-წიფოში სამდღიანი ზეიმი გამართა. გმირი მეფე ტყვეობაში გარ-დაიცვალა. ქართველებმა შესძლეს მისი ნეშთის გამოხსნა და დი-დი პატივით დაკრძალეს სვეტიცხოველში მამის გვერდით.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა გრძელდებოდა, მაგრამ საქართველოს პოლიტიკური საზღვრები თანდათან იკვეცებოდა. XVI ს-ის ბოლოს ოსმალებმა დაამთავრეს სამცხე-საათაბაგოს და ჭანეთის დაპყრობა. ქვეყანა აღწერეს, ხალხი მძიმედ დაბეგრეს, ცეცხლითა და მახვილის ავრცელებდნენ მაჰმადიანობას.

შედარებით მეტი მშვიდობიანობა სუფევდა კახეთში.

მტრის ძირითადი ძალები ქართლის მეფეებთან ბრძოლით იყვნენ დაკავებული და კახეთზე სისხლიან ზეწოლას ვერ ახერხებდნენ. დადებით როლს ასრულებდა აგრეთვე კახეთის მეფეთა მოქნილი დიპლომატია და მათ მიერ გატარებული სამხედრო-ადმინისტრაციული რეფორმა. კახეთის მეფეებმა საერისთაოები გააუქმეს, ქვეყანა უფრო წვრილ ერთეულებად სამოურავოებად დაჰყვეს. ტრადიციული სამხედრო დანაყოფები შეინარჩუნეს, მაგრამ სადროშოების სათავეში საერო ფეოდალთა ნაცვლად ეპისკოპოსები ჩააყენეს. ამის შედეგი იყო მეფის ცენტრალური (კახეთის მასშტაბით) ხელისუფლების გაძლიერება და მის გარშემო შინაგან ძალთა გაერთიანება. როცა სამხრეთელი აგრესორებისაგან მომდინარე საფრთხე კახეთსაც დაემუქრა (XVI ს-ის 60-იანი წლები) მისმა მეფეებმა იმედით გახედეს ქრისტიანულ რუსეთს, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა.

რუსეთი ყაზანისა და ასტრახანის სახანოების დაუფლების შემდეგ გაუმეზობლდა კავკასიას. ივანე მეოთხემ მფარველობაში აიყვანა თავის სიმამრი, ყაბარდოს მთავარ თემურყვა და თერგის პირზე ციხე-სიმაგრე ააგო. კახეთის მეფე ლევანმა სამგზის გაგზავნა ელჩობა მოსკოვში. როგორც ჩანს, რუსეთის მეფეს სამხედრო დახმარება სთხოვა. 60-იან წლებში ივანე მეოთხემ კახთა მეფეს გამოუგზავნა რამდენიმე ასეული მეთოფე, რომელნიც ლევანმა დაღესტნის საზღვარზე დააყენა. ეს ფაქტი ირანის შაჰს არ მოეწონა და კახთა მეფემ რუსი მეთოფეები უკან გაისტუმრა. კიდევ უფრო მჭიდრო კონტაქტები დაამყარა რუსეთთან ლევანის მემკვიდრემ ალექსანდრემ (1574-1605 წწ.). ელჩების გაცვლა-გამოცვლის მეშვეობით დიპლომატიური მოლაპარაკება რამდენიმე წელი გაგრძელდა. 1587 წელს მეფე ალექსანდრემ რუსეთის მეფის „ხელდებულების" ფიცი დასდო, ხოლო 1589 წელს რუსეთის მეფე თეოდორემ ალექსანდრეს გამოუგზავნა „წყალობის სიგელი". ე. ი. გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად რუსეთის მეფემ მფარველობაში მიიღო ალექსანდრეს სამეფო და იკისრა გარეშე მტრების ხელყოფისაგან მისი დაცვა. კახეთის მეფემ კი რუსეთის მტრები თავის მტრად მიიჩნია და ერთგულების ნიშნად იკისრა ყოველწლიური სიმბოლური ძღვენ-მისართმევლის გაგზავნა მოსკოვში. ასე გაფორმდა პირველი მფარველობითი-სამოკავშირეო ხელშეკრულება რუსეთსა და ქართულ სამეფოს შორის. მაგრამ მას რაიმე დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. მოგვიანებით კი უარყოფითად აისახა საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობაზე. ალექსანდრეს რუსოფილობისათვის ირანის მბრძანებელმა შაჰ-აბასმა ყველაზე მკაცრად კახეთი დასაჯა.

1602 წელს შაჰ-აბასმა დაარღვია საზავო ხელშეკრულება და ოსმალეთის წინააღმდეგ ომი განაახლა, მიზნად დაისახა თავის პოზიციების აღდგენა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. ქართლ-კახეთის მეფეები იძულებული გახდნენ შაჰს ამოდგომოდნენ გვერდში, დახმარებოდნენ ერევნის ციხე-ქალაქის აღებაში. ამის შემღეგ შაჰმა ქართლის მეფე გიორგი X თავის ქვეყანაში გაუშვა. რუსოფილი კახთა მეფე ალექსანდრე კი თან გაიყოლა. 1604-1605 წლების მიჯნაზე ირანის ჯარი მარცხს განიცდიდა, ვერ ახერხებდა შირვანიდან თურქთა გარნიზონის განდევნას. ასეთ სიტუაციაში ალექსანდრემ შაჰს სამშობლოში გაშვება სთხოვა, თან შირვანიდან ოსმალთა ჯარის განდევნის დაპირება მისცა. შაჰმა წინადადება მიიღო, მაგრამ კახთა მეფეს თან გამოაყოლა მისი ვაჟი კონსტანტინე (რომელიც ირანში მძევლად ყოფნის დროს გაამაჰმადიანეს) და ყიზილბაშთა რაზმები.

კახეთში ამ დროს რუსი ელჩები იყვნენ ჩამოსული. გაიმართა მოლაპარაკება, რომლის შედეგი იყო ადრე გაფორმებული რუსეთ-კახეთის მფარველობით-სამოკავშირეო ხელშეკრულების განახლება. ელჩებმა კახთა მეფისაგან მოითხოვეს დაღესტანში მოქმედი რუსთა ჯარისათვის სამხედრო დახმარების განევა. გამაჰმადიანებულმა კონსტანტინემ კი მამა-მეფეს შაჰისთვის მიცემული დაპირება შეახსენა და შირვანში ლაშქრობაზე ჩამოუგდო სიტყვა. მეფე ალექსანდრე ყოყმანობდა. 1605 წლის 12 მარტს გადაგვარებული, შაჰის აგენტად გადაქცეული კონსტანტინეს ბრძანებით ყიზილბაშებმა დახოცეს მეფე ალექსანდრე, ტახტის კანონიერი მემკვიდრე უფლისწული გიორგი და მათთან თათბირზე მყოფი დარბაისლები. კონსტანტინემ, ალბათ შაჰის ნებართვით, თავი კახეთის მეფედ გამოაცხადა, მაგრამ მამის მკვლელი კახელებმა მეფედ არ სცნეს. ქეთევან დედოფლის მეთაურობით აჯანყდნენ და 1605 წელს 18 ოქტომბერს კონსტაინტინე ბრძოლაში მოკლეს. ქეთევან დედოფალმა (კახეთის მომენტალური მეფის დავითის ქვრივმა) შაჰ-აბასს სთხოვა კახეთის მეფედ მისი შვილი თეიმურაზი გამოეგზავნა. შექმნილ რთულ სიტუაციაში შაჰი მოერიდა კახელთა „წყენას" და დათანხმდა თეიმურაზის ქრისტიანული წესით გამეფებას (1606 წ.). რა თქმა უნდა, მორჩილების პირობით. იმავე წელს შაჰმა ქართლის მეფედ გარდაცვლილი გიორგი მეათის ნაცვლად ლუარსაბ II დაამტკიცა.

1612 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის კიდევ ერთი საზავო ხელშეკრულება დაიდო. სულთანი დათმობაზე წავიდა, აღმოსავლეთ საქართველო შაჰის სამფლობელოდ აღიარა. შაჰ-აბასმა გადაწყვიტა ოსმალეთთან დამყარეული მშვიდობა ქართლ-კა-

ხეთში თავისი პოზიციების გასამყარებლად გამოეყენებინა. მან უპირველესყოვლისა კახეთი ამოიღო მიზანში. კახელებს ძველი „ცოდვებისათვისაც" მოჰკითხა და არც მეფე თეიმურაზს აპატია ურჩობა. შაჰ-აბასმა ვერაგობა-ცბიერებით ხელში ჩაიგდო თეიმურაზის დედა ქეთევანი და მცირეწლოვანი შვილები. გადაიბირა კახ ფეოდალთა ნაწილი და 1614 წელს თითქმის უბრძოლველად დაიკავა კახეთი. თეიმურაზი ქართლში გადავიდა, ლუარსაბ მეორეს ესტუმრა. მალე ორივე მეფე იმერეთში გაიხიზნა. სპარსელებმა გაძარცვეს ქალაქები და სოფლები, შებილწეს ეკლესია-მონასტრები. ერწო-თიანეთიდან 30 ათასი კაცი აყარეს და ირანს გადაასახლეს. აღვირახსნილმა ძალადობა-რეპრესიებმა მოსახლეობის საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია. თეიმურაზ I დაუყოვნებლივ დაბრუნდა კახეთში და სათავეში ჩაუდგა ანტიირანულ აჯანყებას. 1615 წლის სექტემბერ-ოქტომბერში კახელთა ლაშქარმა ქვეყანა გაწმინდა ყიზილბაშთა გარნიზონებისაგან. მალე ამის შემდეგ კი გაანადგურა შაჰ-აბასისგან გამოგზავნილი 15 ათასიანი „დამსჯელი" ჯარი.

განრისხებული შაჰი 1616 ნლის გაზაფხულზე უზარმაზარი ჯარით შემოიჭრა საქართველოში. ჯერ ქართლში დაამყარა „წესრიგი", შემდეგ კი კახეთის რბევა-აოხრებას შეუდგა. მეფე თეიმურაზმა ალყა გაარღვია და კვლავ იმერეთში გადავიდა. ბრძოლა გაგრძელდა, ათიათასობით ხალხი დაიღუპა. შაჰ-აბასმა ორი ნლის განმავლობაში სამგზის დალაშქრა კახეთი. უთანასწორო ბრძოლაში კახეთმა თავის მოსახლეობის ორი მესამედი დაკარგა: 100 ათასი მტერს შეავკდა, 200 ათასი ირანს გადაასახლეს. ირანის ძლევამოსილი მბრძანებელი დარწმუნებული იყო, რომ ამ გამანადგურებელი ბრძოლების შედეგი იქნებოდა კართლ-კახეთის ირანის გამაჰმადიანებულ პროვინციებად გადაქცევა. მაგრამ შაჰი თავის ვარაუდებში შეცდა. ქართველმა ხალხმა არ დათმო თავისუფლება. უერთგულა ლეგიტიმურ მონარქებს, გიორგი სააკაძის და სხვა სარდლების მეთაურობით სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა დამპყრობელს.

გიორგი სააკაძე წარმოშობით სამეფო აზნაური იყო. თავადთა თვითნებობას ვერ იტანდა, მიზნად მეფის ხელისუფლების გაძლიერებას და ქვეყანაში წესრიგის დამყარებას ისახავდა. თბილისის მოურაობა მამისგან მემკვიდრეობით მიიღო – ერთგულად ემსახურებოდა მეფესა და ხალხს. ამით დაიმსახურა ზედსახელი „დიდი მოურავი". მისი ავტორიტეტი კიდევ უფრო ამაღლდა 1609 წელს, როცა ტაშისკართან მომხდარ ბრძოლაში ქართველთა ლაშქარმა გიორგი სააკაძის სარდლობით გაანადგუ-

რა თურქთა მრავალრიცხოვანი ჯარი. თავადებს არ მოსწონდათ გიორგი სააკაძის ცენტრისკენული პოლიტიკა და მის გადაყენებას ცდილობდნენ. შადიმან ბარათაშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა ლუარსაბ II დაარწმუნეს სააკაძის მოღალატეობაში და მისი სიკვდილით დასჯის გადანყვეტილება მიაღებინეს. გ. სააკაძე იძულებული გახდა ირანში გადახვეწილიყო. შაჰ-აბასმა გარკვეული მოსაზრებით სააკაძე დიდი პატივით, მიიღო, დააწინაურა. გ. სააკაძე მონაწილეობდა ოსმალეთისა და ინდოეთის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლებში მოიპოვა დიდი მხედართმთავრის სახელი. გიორგი სააკაძის გმირობას ხოტბას ასხამდნენ ირანელი პოეტები. მის შესახებ მღეროდნენ შაჰის სასახლესა და ისპაჰანის ქუჩებში.

გიორგი სააკაძეს იმედი ჰქონდა, რომ შაჰის ხელშეწყობით შესძლებდა ქართლ-კახეთის გაერთიანებას, ირანის ფორმალური ვასალობის ქვეშ ქართველი მეფის ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას. შაჰაბასი კი, თავის მხრივ, სააკაძის გამოყენებას საქართველოს დაპყრობისათვის ბრძოლაში აპირებდა. ალბათ ამიტომ იყო, რომ 1614 წელს, როცა შაჰი საქართველოში შემოვიდა თან იახლა გიორგი სააკაძეც. უფრო მოგვიანებით, როცა ლუარსაბ II დაატყვევეს და ქართლის მმართველად სიმონ-ხანი დანიშნეს, შაჰ-აბასმა მას მრჩევლად გ. სააკაძე გამოაყოლა, მისი დახმარებით მოიწადინა ქართლ-კახეთის საქმეთა თავის სასარგებლოდ მოწესრიგება. გ. სააკაძე მიხვდა, რომ ირანის განდიდებაზე მეოცნებე შაჰ-აბასს იგი თავის მიზნებისათვის ვერ გამოიყენებდა, მაგრამ რამდენიმე წელი შაჰის „სამსახურში" რჩებოდა. საქართველოში ყოფნის დროს გ. სააკაძე შეურიგდა თავის მტრებს, სცადა საქართველოს შინაგან ძალთა გაერთიანება. სიმონ-ხანის მრჩევლის თანამდებობაც ანტიირანული აჯანყების მომზადებისათვის გამოიყენა.

ქართველებს საყოველთაო აჯანყებისათვის ყოველნაირი საფუძველი და მიზეზი ჰქონდათ. შაჰ-აბასი არ დასჯერდა კახეთის აოხრებას. მან 1620 წელს მოკლა თეიმურაზ პირველის ვაჟები – ლევანი და ალექსანდრე. 1622 წელს ირანელ ჯალათებს საბლით მოაშთობინა ლუარსაბ II, 1624 წელს, გახურებული შანთებით დაადაღვინა ქეთევან დედოფალი. ამ არა ადამიანურმა მოქმედებამ ქართველი ხალხი სულიერად კი არ გატეხა და დააშინა, არამედ დამპყრობელთა წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლის სულისკვეთებით აღავსო.

1625 წლის გაზაფხულს შაჰ-აბასმა საქართველოს შემოუსია 60 ათასიანი ჯარი, რომელსაც ქართლ-კახეთის ძირიანად

მოთხრა, ქართველების ამონყვეტა და სამშობლოდან აყრა-გადასახლება ჰქონდა დავალებული. ამ არმიის მთავარსარდალი ყარჩიხა ხანი იყო, მისი მრჩეველი კი გ. სააკაძე. მოვლენები ისე განვითარდა, რომ სარდალმა ეჭვი შეიტანა მრჩეველის ერთგულებაში და ამის შესახებ შაჰს აუწყა. ირანიდან გამოიგზავნა ბრძანება გ. სააკაძის მოკვლისა და ქართლის მოსახლეობის სასწრაფოდ ირანს გადასახლების შესახებ. ეს დოკუმენტი შემთხვევით გ. სააკაძეს ჩაუვარდა ხელში. მისი დამოწმებით დაარწმუნა ქართლის თავადები ანტიირანული აჯანყების აუცილებლობაში. ამ დროს შაჰ-აბასის ჯარის დიდი ნაწილი მარტყოფის ველზე იყო დაბანაკებული. წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად, ქართველთა ლაშქარს ზურაბ ერისთავი წარუძღვა. 25 მარტს გამთენიისას, როცა იგი მტრის მძინარე ბანაკს მიუახლოვდა და საომარი ნაღარა დასცა, იქ მყოფმა გიორგი სააკაძემ და მისმა ოთხმა თანამებრძოლმა სწრაფად დახოცეს ირანელთა თავკაცები. იმავდროულად ირანელთა დაბნეულ-შეშინებულ ჯარს თავს დაესხა ქართველთა ლაშქარი და რამდენიმე საათში თითქმის მთლიანად გაანადგურა. გიორგი სააკაძემ მთავარსარდლობა იტვირთა, სულის მოთქმა არ აცალა მტერს. თბილისში გამაგრებულ ირანელებს შეუტია, ქალაქი აიღო. სიმონ ხანმა გაქცევით გადაირჩინა თავი. ქართველთა ლაშქარმა განჯა-ყარაბაღში განლაგებული ყიზილბაშთა ჯარებიც გაანადგურა. გიორგი სააკაძემ გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფედ თეიმურაზ პირველი გამოაცხადა.

ამ დიდი მარცხით გაოცებულმა და კიდევ უფრო მეტად განრისხებულმა შაჰ-ბასმა საქართველოს გასანადგურებლად ადრინდელზე მრავალრიცხოვანი ჯარი გამოგზავნა, რომელიც მცირე ხნით მარაბდის ველზე დაბანაკდა. გიორგი სააკაძის სტრატეგიული და ტაქტიკური გეგმა ითვალისწინებდა მტრის ჯარის ვიწრო ხეობებში შემოტყუებას, იქ განადგურებას. მაგრამ სააკაძის მოძულე თავადებმა დაადგინეს მარაბდის მიმართულებით შეტევის განვითარება და მთავარსარდლობა მეფე თეიმურაზს სთხოვეს. გენერალური ბრძოლა 1625 წლის 1 ივლისს მოხდა. გაშლილ ველზე სამჯერ მეტ მტერთან შებმა, რა თქმა უნდა, დდი შეცდომა იყო. მიუხედავად ქართველი მოლაშქრეების გმირობისა და ბრძოლის პირველ ეტაპზე წარმატებისა, ქართველები დამარცხდნენ. გამარჯვებულმა სპარსელებმა ბრძოლაში მოკლულთა სახით 14 ათასი კაცი დაკარგეს. ქართველთაგან კი ბრძოლის ველზე 9 ათასი კაცის ცხედარი დარჩა. ომი კოჯორ-ტაბახმელას ვიწროებსა და შიდა ქართლში გაგრძელდა. გიორგი სააკაძემ პარტიზანული ბრძოლა გაუმართა მტერს. ქსნის ხეობა-

ში ირანელებმა 12 ათასი კაცი დაკარგეს. არა ნაკლები დანაკლისი განიცადეს ბრძოლის სხვა უბნებზეც. შაჰ-აბასმა თავის გეგმა ვერ შეასრულა, მაგრამ ქართლ-კახეთში პოზიციები გაიმაგრა. ამას ხელი შეუწყო საქართველოს შინაგან ძალთა გათიშვამ.

1626 წლის პირველ ნახევარში გ. სააკაძე წარმატებით აგრძელებდა ბრძოლას ირანელების წინააღმდეგ. ქართლის ლეგიტიმური მეფე თეიმურაზ I იყო, მაგრამ ფაქტობრივად ქვეყანას გიორგი სააკაძე განაგებდა. მეზობელი ხელმწიფენიც არღვევდნენ დიპლომატიურ ეტიკეტს, ელჩებს გ. სააკაძესთან გზავნიდნენ, მოლაპარაკებას მასთან აწარმოებდნენ. გვირგვინოსანი მეფე თეიმურაზი ამით, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო იყო. ამას დაემატა ზოგიერთ თავადთა ინტრიგები. შინაგან ძალთა გათიშვა და შინაბრძოლა ფაქტი გახდა. ქართლ-კახეთის ფეოდალთა უმრავლესობა თეიმურაზს ამოუდგა გვერდში, გიორგი სააკაძეს კი იმერეთის მეფე გიორგიმ და ქართლის აზნაურთა ნაწილმა დაუჭირა მხარი. 1626 წლის შემოდგომას ბაზალეთის ტბასთან მომხდარ ბრძოლაში გიორგი სააკაძე დამარცხდა და თავის ერთგულებთან ერთად ამჯერად გადაიხვეწა ოსმალეთში, სადაც ტრაგიკულად დაილუპა.

1629 წლის 3 ოქტომბერს ოსმალეთის სულთნის დიდი ვაზირის ბრძანებით გიორგი სააკაძეს თავი მოკვეთეს. თურქმა ისტორიკოსმა აღნიშნა, რომ ამით ხოსროვ ფაშამ (ვაზირმა – ა. ბ.) სპარსეთის შაჰს შური აძიებინა მოურავზე. მაგრამ იმავე წელს განგების ნებით გარდაიცვალა შაჰ-აბასიც. ირანის ტახტზე ქაიხოსრო ბაგრატიონის (ხოსრო მირზას) დახმარებით დაჯდა აბასის შვილიშვილი სეფი I. ახალმა შაჰმა ამაგი დაუფასა ხოსრო მირზას, როსტომ ხანად გადანათლა, ქართლ-კახეთის მმართველად დანიშნა და 1633 წელს თეიმურაზ პირველის დასამხობად გამოგზავნა.

ირანის შაჰებმა, როგორც ჩანს, კარგად იცოდნენ, რომ საქართველოში დომინირებდა მონარქიული ლეგიტიმიზმის პრინციპი და ბაგრატიონთა დინასტიის კულტი. ამიტომ ცდილობდნენ ამ საგვარეულოშიც გაეჩინათ მომხრეები, თავის რჯულზე გადაეყვანათ და საჭიროების შმთხვევაში ქრისტიანი მეფისათვის დაეპირისპირებინათ. თავის დროზე სიმონ პირველის წინააღმდეგ აამხედრეს მისი ძმა დავითი (დაუდი ხანი). ამ დაუთხანის ვაჟი ბაგრატ ხანი ლუარსაბ მეორის დატყვევების შემდეგ ქართლის მმართველად დანიშნეს. ხოლო მალე მის შვილს სიმონ ხანს დაავალეს ქართლის მმართვლობა. 1633 წელს კი ქართლ-კახეთის მმართვლად დაინიშნა დაუდხანის უკანონო შვილი ხოსრო მირ-

ზა, რომელიც ბოლოს და ბოლოს ქართლელების მიერ მეფედ იქ-
ნა აღიარებული.

თეიმურაზ პირველმა ქართლი დაკარგა. კახეთის ტახტს
კიდევ კარგახანს ინარჩუნებდა. 1639 წელს მან ერთხელ კიდევ
განაახლა მფარველობით-სამოკავშირეო ხელშეკრულება რუ-
სეთთან, მაგრამ ჩრდილოეთიდან რეალური დახმარება ვერ მიი-
ღო. 1648 წელს როსტომ ხანმა კახეთიც დაიკავა, თეიმურაზი
იმერეთში გადაიხვეწა.

როსტომ ხანის მმართველობით ქართლში დაიწყო გამაჰმა-
დიანებულ ბაგრატიონთა მეფობის ხანა, რომელიც ერთი საუკუ-
ნე გაგრძელდა. როსტომის ზეობის წლებში (1633-1658) გაძლი-
ერდა ირანული მართვა-გამგეობის სისტემის, სპარსული ზნე-
ჩვეულებისა და კულტურის გავლენა, მაგრამ მოსახლეობა არ გა-
დაგვარებულა, ინარჩუნებდა ეროვნულ ცნობიერებას. დადებითი
მოვლენებიც შეიმჩნეოდა, შეწყდა ყიზილბაშთა თარეში, აღორ-
ძინდა სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა, გაფართოვდა ვაჭრობა.
გამეფების პირველ წელსვე როსტომმა ცოლად დაისვა ლევან
დადიანის და მარიამი, რომელიც ახერხებდა ქრისტიანული ეკ-
ლესია-მონასტრების დახმარებას, მფარველობას უწევდა ქარ-
თულ მწიგნობრობას. როსტომს მარიამისაგან შვილი არ ჰყოლია.
მოხუცმა მეფემ იშვილა ბაგრატიონთა გვერდითი შტოს წარმო-
მადგენელი ვახტანგ მუხრან ბატონი, რომელიც როსტომის გარ-
დაცვალების შემდეგ გაამაჰმადიანეს და ქართლის მეფედ დანიშ-
ნეს.

ირანის გავლენის დომინირების წლებში უფრო გაუჭირდა
კახეთს. 1648 წელს შაჰმა ეს კუთხე როსტომს დაუქვემდებარა,
მაგრამ მოგვიანებით არახელსაყრელად მიიჩნია ქართლ-კახეთის
გაერთიანება, 1656 წელს კახეთი ჩამოართვა როსტომს და განჯის
ხანს სელიმს გადასცა. მან ალაზნის ველზე მომთაბარე
თურქმანები ჩამოასახლა და სცადა ამ რეგიონში „ყიზილბაშო-
ბის" დამყარება. საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა ინტენსიური მეურნე-
ობა, ქართული ყოფა-ცხოვრების წესი. ამ უბედურების აღსაკვე-
თად გაერთიანდა მთელი ფეოდალური საზოგადოება, ბატონიც
და ყმაც, ბარიც და მთაც. 1660 წელს კახეთში აზვირთდა სახალ-
ხო აჯანყება, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ბიძინა ჩოლოყაშ-
ვილი და ზაალ არაგვის ერისთავი. ბარელი კახელების დასახმა-
რებლად მთებიდან დაეშვნენ თუშ-ფშავ ხევსურთა რაზმები.
ზეზვა გაფრინდაულის, ნადირა ხოშარაულის და გოგოლაურის
მეთაურობით მთიელებმა გაანადგურეს ბახტრიონისა და სხვა
ციხეებში გამაგრებული ირანული გარნიზონები. კახელთა და

მთიელთა ლაშქარმა ალაზნის ველიდან განდევნა თურქმანი მომთაბარენი. შაჰი, მართალია, განრისხდა, მაგრამ იძულებელი გახდა ხელი აეღო კახეთის „გაყიზილბაშებაზე". აქ აღარ გამოუგზავნიათ სპარსელი მმართველი, კახეთის გამგებლობა დაავლეს ქართლის მეფე ვახტანგ მეხუთეს, რაც ხალხმა ისე აღიქვა, რომ ამ რეგიონში ქართველობას საფრთხე აღარ ემუქრებოდა. ბახტრიონის ეპოპეის გმირები, რა თქმა უნდა, ირანის შაჰს არ შეუწყალებია. ზაალ ერისთავი საქართველოშივე მოკლეს. ირანს ნებაყოფლობით ჩასული ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები შაჰმა კახეთში ამონვეტილ თურქმანთა თანატომელებს წამებით დაახოცვინა. მალე მოხუცმა მეფე თეიმურაზმაც შეწყვიტა წინააღმდეგობა, მორჩილებით ეახლა სპასრეთის შაჰს. თეიმურაზის ასეთი ქმედება, ისევე როგორც კახეთის გმირთა შაჰის კარზე ნებაყოფლობით გამოცხადება, ქვეყნისა და ხალხის გადარჩენას ემსახურებოდა. პატრიოტთა თავდადებამ კახეთს თავიდან ააცილა ირანის ჯარის ახალი გამანადგურებელი შემოსევა.

ვახტანგ V (1658-1676 წწ.), მართალია, შაჰის მოადგილე („ქართლის ვალი") იყო, მაგრამ იგი ახერხებდა ქართული საქმის კეთებას. მან ილაშქრა დასავლეთ საქართველოში და იმერეთის მეფედ დასვა თავისი ვაჟი არჩილი. ასე რომ, მისი ძალაუფლება თითქმის მთელ საქართველოზე გავრცელდა. ეს ფაქტი, სხვადასხვა მოტივით, არც ირან-ოსმალეთს მოეწონა და არც დეცენტრალიზაციის მოსურნე ქართველ თავადებს. ოსმალეთის მოთხოვნით და შაჰის ბრძანებით 1663 წელს ვახტანგ მეხუთემ არჩილი იმერეთიდან წამოიყვანა და კახეთის მეფედ გამოაცხადა. მამაშვილმა ალაგმეს ლეკთა თარეში, აკრძალეს ქართველი ადამიანების უცხოეთში გაყიდვა. ხელს უწყობდნენ წარმოების განვითარებას, ვაჭრობის გაფართოებას. მაგრამ ვერ აღკვეთეს ჭარ-ბელაქანში ლეკების ჩამოსახლება, იქ დარჩენილი ქართველების გამაჰმადიანება, „ინგილოების" გაჩენა. დაიკარგა აგრეთვე კაკ-ენისელის მხარე. ირანის ხელისუფლება ყოველნაირად ეხმარებოდა ლეკურ თემებსა და კაკ-ენისელის სულთნებს, იყენებდა მათ იქაური ქართველების დამორჩილება-გადაგვარების საქმეში.

ვახტანგ V-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე დაჯდა მისი ვაჟი გიორგი XI. ფორმალურად მანაც მაჰმადიანობა მიიღო, მაგრამ ვერ ეგუებოდა ირანის შაჰის უზენაესობას, უცხო ძალის ზენოლას. ამიტომ შაჰმა იგი გადააყენა და ქართლის მეფედ დამტკიცა კახეთის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი, თეიმუ

რაზ პირველის შვილიშვილი ერეკლე I (1688-1703 წწ.). იგი რუსეთში გაიზარდა, არაფერი ესმოდა ქართული ადათ-წესებისა და ზრდილობისა. იგი ვერ შეეგუა ქართველ თავადებს და არც ამ უკანასკნელთ მოეწონათ ახალი მეფე. თავადთა უმრავლესობამ ისევ გიორგი XI-ის ხელმწიფური უფლებამოსილების აღდგენა მოითხოვა. ატყდა შინა დინასტიური ბრძოლა, რაც ბოლოს და ბოლოს იმით დამთავრდა, რომ 1703 წელს მეფობის ორივე პრეტენდენტი შაჰის კარზე დაიბარეს. ირანის მბრძანებელმა ტახტზე გიორგი XI აღადგინა, მაგრამ იგი ურჩი ავლანელების წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნა, ქართლის დროებით გამგებლად კი გიორგი XI-ის ძმის შვილი ვახტანგ ლევანის ძე დანიშნა. ერეკლე პირველს შაჰის პირადი გვარდიის მეთაურობა უბოძეს, კახეთის მეფედ მისი ვაჟი დავითი გამოგზავნეს.

დასავლეთ საქართველო XVI-XVII საუკუნეებში ოსმალეთის გავლენის სფეროდ იყო მიჩნეული. სულთნის ხელისუფლება იყენებდა დაპყავი და იბატონეს პოლიტიკას, ხელოვნურად აღვიებდა აქაურ მეფე-მთავართა წინააღმდეგობას. ფორმალურად იმერეთის მეფის ხელისუფლება მთელ დასავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა, მაგრამ გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის მთავრები ფაქტიურად დამოუკიდებელი იყვნენ, ხელმწიფობას იჩემებდნენ. ლევან II დადიანი (1611-1657 წწ.) საკუთრივ იმერეთის დაკავებას და მთელ დასავლეთ საქართველოში გაბატონებასაც კი ცდილობდა. 1657 წელს ლევან დადიანი დაიღუპა და იმერეთის მეფემ ალექსანდრემ თვითონ შეუტია სამეგრელოს, დაიმორჩილა მისი მთავარი. ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ დსავლეთ საქართველო კვლავ ანარქიამ მოიცვა. ახლად გაემეფებული ბაგრატ ალექსანდრეს ძე ტახტიღან ჩამოაგდო დედინაცვალმა (თეიმურაზ პირველის პატივმოყვარე ასულმა) დარეჯან დედოფალმა და თვალები დასთხარა. დარეჯანის და მისი მეორე ქმრის (თვითმარქვია მეფის) წინააღმდეგ აჯანყდნენ მთავრები და თავადები. ქუთაისი აიღეს და დარეჯან დედოფალი დაატყვევეს. არჩილ ვახტანგის ძის შემდეგ ტახტზე კვლავ დასვეს უსინათლო ბაგრატი, რომლის დროსაც იმერეთში ატყდა ხანგრძლივი შინაომი. მეფე-მთავრები პირველობისათვის იბრძოდნენ და განსაცვიფრებელი სილამაზის ქალის – ვახტანგ V-ის ძმის შვილის თამარის დაუფლებისათვისაც. შინა ომი 30 წელი გაგრძელდა. დაირღვა ბაგრატიონთა პრიორიტეტი, იმერეთის სამეფო ტახტზე მცირე ხნით ალმოჩნდა გურიელი, დადიანი, აბაშიძე. ამ შინა ბრძოლებში აქტიურად ერეოდა ოსმალეთი და თავის გავლენას დასავლეთ საქართველოზე სულ უფრო აძლიე-

რებდა.

შინა ბრძოლები აფხაზეთის ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა. XVII ს-ის დამდეგიდან შერვაშიძეებმა თავი დააღწიეს დადიანთა მორჩილებას, თავის სამთავროს საზღვარი ენგურამდე გადმოსწიეს. ამ მხარეში ქართული მოსახლეობა თანდათან შემცირდა. ამით ისარგებლა ჩერქეზულ-ადიღეური მოდგმის ტომმა და აფხაზეთში ჩამოსახლდა. მთავარი და მოსახლეობის ზედაფენა ქართულ ენასა და კულტურას დაეუფლა. აფხაზეთის მთავრები თითქოს აღიარებდნენ იმერეთის მეფის უზენაეს ხელისუფლებას, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლიდა მოეხდინათ თავდასხმები მეზობელ ტერიტორიებზე, მოეტაცათ ადამიანები და ტყვედ გაეყიდათ ოსმალეთის ბაზრებზე. ოსმალეთის გავლენა აფხაზეთსაც მისწვდა. თურქული გარნიზონი სოხუმშიც ჩადგა. აფხაზთა მთავარმა ხარკის გაღება იკისრა. მაგრამ ზოგჯერ ხდებოდა ანტიოსმალური აჯანყებები.

საქართველოსთვის არც XVIII ს-ის პირველი ნახევარი იყო კეთილდღეობის ხანა, მომენტალურ მშვიდობასა და აღმშენებლობას ომი და ნგრევა სცვლიდა.

ქართლის მმართველად (ჯანიშინად) დანიშნული ვახტანგი 1703 წელს შეუდგა მოღვაწეობას. მან თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია ქვეყნის შიგნით წესრიგის დამყარებას. ალაგმა თვითნება თავადები, ეკლესიას დაუბრუნა მათგან მიტაცებული მამულები. ვახტანგმა შეაგროვა ძველი ქართული საკანონმდებლო ძეგლები, გამოიყენა ბერძნულ-სომხური კოდექსები და მათ საფუძველზე „დარბაზის" წევრთა დახმარეით შეადგინა სამართლის წიგნი. სამოქალაქო და სისხლის სამართლის ეს ძეგლი მთელ საქართველოში გავრცელდა და მისი ბევრი მუხლი ძალას ინარჩუნებდა XIX ს-ის პირველ ნახევარშიც. ვახტანგის ხელმძღვანელობით შეიქმნა აგრეთვე სახელმწიფო სამართლის წიგნი - „დასტურლამალი", რომლის საფუძველზე ხდებოდა მართვა-გამგეობის სისტემის დროის შესაბამისად დარეგულირება.

ქართლის მმართველმა მიზნად დაისახა აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკის აღორძინება-განვითარება და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. ვახტანგმა განაახლა დიდი ხნის წინ მოშლილ-დანგრეული სარწყავი არხები, შეაკეთა გზები და ხიდები. მის დროს აშენდა ახალი ქარვასლები, გაუმჯობესდა ფულის მოჭრის საქმე. გამოცოცხლდა ხელოსნობა და ვაჭრობა, საქალაქო მეურნეობა. თბილისმა ნაწილობრივ მაინც დაიბრუნა ადრინდელი კეთილდღეობა. მაღალი ინტელექტის მქონე ქართლის მმართველმა ხელი შეუწყო მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას.

თბილისში გამართა პირველი ქართული სტამბა. მანვე შეადგინა სწავლულ კაცთა კომისია ბერი ეგნატაშვილის მეთაურობით. რომელმაც გააგრძელა ძველი ტრადიცია დაწერა ე. წ. „ახალი ქართლის ცხოვრება".

ქართლის ოფიციალური მეფე გიორგი XI 1709 წელს ღალატით მოკლეს ავღანეთში. ავღანელებთან ბრძოლაში 1711 წელს დაიღუპა მეფედ დამტკიცებული ქაიხოსროც. ამის შემდეგ ქართლის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელთა შორის სამეფო ტახტის მიმართ ყველაზე მეტი უფლება ჰქონდა ვახტანგს და 1712 წელს იგი გაიწვიეს ისპაჰანში მეფედ დასამტკიცებლად. მაგრამ ამის წინაპირობად, რა თქმა უნდა, გამაჰმადიანება მოსთხოვეს. რაკი ამაზე ვახტანგმა უარი განაცხადა, ნახევრად პატიმრის მდგომარეობაში ქირმანს გაგზავნეს. ასეთ სიტუაციაში აქტიურად ამოქმედდა ვახტანგ VI-ის მომხრე დასი. მათ კავშირი დაამყარეს ირანში მოღვაწე ფრანგ მისიონერებთან. ხოლო 1714 წელს პარიზს ჩასული საქართველოს დესპანი სულხან-საბა ორბელიანი 21 მარტს საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV-ეს წარუდგა და გადასცა ვახტანგ VI-ის თხოვნა დახმარების შესახებ. ქართველი ელჩი, თავის მხრივ, არწმუნებდა საფრანგეთის სამეფო კარს, რომ თუ ვახტანგი სამეფო ტახტს ქრისტიანობით დაეუფლებოდა, ყველაფერს გააკეთებდა საქართველოზე გამავალი საეაჭრო გზის გახსნისა და წინა აზიაში საფრანგეთის ეკონომიკური ინტერესების დაცვისათვის. საქმეში რომის პაპიც ჩაერია. მაგრამ სამწუხაროდ ს. ორბელიანის ელჩობა უშედეგოდ დამთავრდა. დასავლეთ ევროპამ დახმარება არ (თუ ვერ) გაუწია მაჰმადიანურ გარემოცვაში მყოფ საქართველოს.

ირანში ფაქტიურად დატყვევებული ვახტანგის ნაცვლად ქართლს რამდენიმე წელი განაგებდა მისი გამაჰმადიანებული ძმა იესე, რომელიც ყოველნაირად ავიწროებდა ქართულ-ქრისტიანულ დასს. ვახტანგი იძულებული გახდა ფორმალურად მიეღო მაჰმადიანობა და მასთან ერთად ქართლის სამეფო ტასტი. გვირგვინოსანი ვახტანგ VI თავის ქვეყანას 1719 წელს დაუბრუნდა. ეს ის დროა, როცა რუსეთმა მიზნად დაისახა სამხრეთ კავკასიაში, კასპიისპირეთსა და წინა აზიაში თავის გავლენის დამყარება. პეტრე I-მა ვითარების გასარკვევად ირანში გაგზავნა საგანგებო ელჩი არტემ ვოლინსკი. სათანადო ინფორმაციის მიღების შემდეგ მან იმპერატორს აუწყა: ირანის ჯარში სარდლებად ქართველი უფლისწულები (ბაგრატიონები) არიან. ქართველთაგან შედგენილი რაზმები გამოირჩევიან მაღალი ბრძოლისუნარიანობით. ქართველებს, თუ ერთმანეთთან შეთანხმებას მიაღწევენ,

შეუძლიათ 20 ათასიანი ლაშქრის შეკრება და არა მარტო სპარსეთის უღლისაგან გათავისუფლება, არამედ შაჰის მთელი სამფლობელოს დაკავებაც. ქართველთა ჯარს ჩვენი 20 რეგულარული ესკადრონი რომ მივაშველოთ, ირანზე გამარჯვება კიდევ უფრო სრული იქნებაო.

რუსეთის ელჩმა კონტაქტები დაამყარა ჯერ კიდევ ირანში მყოფ ვახტანგთან. ხოლო 1720 წელს პეტრე I-სა და ვახტანგ VI-ს შორის გაფორმდა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი. შედგა ირანში ერთობლივი ლაშქრობის გეგმაც. იმავდროულად ვახტანგს სამხედრო კავშირი ოსმალეთის სულთანმაც შესთავაზა, დახმარების სანაცვლოდ მთელი საქართველოს მეფობა აღუთქვა. მაგრამ ქართლის მეფე მტკიცედ დადგა რუსეთის მხარეს და 1722 წლის აგვისტოში თავის ლაშქრით განჯისკენ გაემართა. პეტრე პირველი კი დარუბანდამდე ჩამოვიდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო წინსვლა აღარ გააგრძელა, უკან გააბრუნა ჯარი. მოკავშირისაგან მიტოვებული ვახტანგი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მის წინააღმდეგ გამოვიდა შაჰ-თამაზი და კახეთის მეფე კონსტანტინე. 1723 წლის 4 მაისს კახეთის მეფემ ლეკების დახმარებით თბილისი აიღო. მალე ქართლში ოსმალთა ჯარი შემოვიდა, თბილისიც ოსმალებმა დაიკავეს. ყოველმხრივ შევიწროებული ვახტანგ VI ამაოდ ელოდებოდა რუსეთისაგან სამხედრო დახმარებას. 1723 წელს რუსეთმა, მართალია, კასპიის ზღვის მთელი დასავლეთი სანაპირო დაიკავა, მაგრამ ქართლის მდგომარეობა ამით არ გაუმჯობესებულა. 1724 წლის 12 ივლისს გაფორმდა რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულება, რომლის თანახმად პეტრე პირველმა ოსმალეთის საკუთრებად სცნო ქართლ-კახეთი, თვითონ კი შეინარჩუნა პოზიციები კასპიისპირეთში.

ვახტანგ მეექვსეს საქართველოში აღარ დაედგომებოდა, 1724 წლის ივლისში 1200 კაციანი ამალით, რაჭის გავლით რუსეთისაკენ გაემართა. იგი ჯერ კიდევ სულდგმულობდა იმედით, რომ რუსეთის ჯარის თანხლებით მალე უკან მობრუნდებოდა და თავის ქვეყანას დამპყრობთაგან გაათავისუფლებდა. მაგრამ ამაოდ. 1737 წელს ვახტანგი გარდაიცვალა, ასტრახანის მიწაში ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი. ვახტანგის ოჯახსა და ამალის წერვებს რუსეთის მთავრობამ საცხოვრებლად გამოუყო ადგილი მოსკოვის მახლობლად მდ. პრესნაიას სანაპიროზე. იქ შეიქმნა ახალი დასახლება „გრუზინსკია სლობოდა", რომელიც არჩილ ბაგრატიონის მიერ ვესესვიატსკოეში უფრო ადრე დაარსებულ ახალშენთან ერთად, ქართული კულტურის შორეულ კერად გადაიქცა.

ქართლ-კახეთში ანტიოსმალური მოძრაობა ვახტანგ VI-ის რუსეთს გახიზვნის შემდეგაც გრძელდებოდა. მას მეთაურობდა ქრისტიანობაზე კვლავ მოქცეული კონსტანტინე კახთა მეფე, გივი ამილახვარი, ქსნისა და არაგვის ერისთავები. მაგრამ ქართველებმა მარცხი განიცადეს. 1727 წელს ოსმალეთის სულთანმა ქართლის მმართველად ისაყ ფაშა დანიშნა. სრულ ძალაში შევიდა უცხოელთა ბატონობის ერთი ეტაპი, ე. წ. „ოსმალობა", უმეფობის პერიოდი, რომელიც 1735 წლამდე გრძელდებოდა. ოსმალებმა კახეთში ფეხი ვერ მოიკიდეს, მაგრამ ქვეყანას ლეკთა თარეში ანადგურებდა. მეფე კონსტანტინე ლეკებსაც ებრძოდა და ოსმალებსაც. 1732 წელ თურქებმა იგი ვერაგულად მოკლეს „ოსმალობა" კახეთშიც დამყარდა.

ამასობაში ავღანელებისაგან დაპყრობილ-აწიოკებული ირანი კვლავ ფეხზე წამოდგა. ნადირ შაჰმა ომი განაახლა ოსმალეთთან და ქართლ-კახეთსაც მოაკითხა. 1735 წლიდან აღმოსავლეთ საქართველოში „ოსმალობა" „ყიზილბაშობამ" შეცვალა. ირანის ახალმა შაჰმა კახეთის მმართველად დანიშნა კონსტანტინეს ძმა თეიმურაზი, ხოლო მისი ვაჟი ერეკლე (პატარა კახი) ინდოეთს ლაშქრობაში იახლა. ნადირი ქართლ-კახეთს აოხრებდა, შაჰ აბასისეულ გეგმის განხორციელებას ცდილობდა. ამიტომ ოსმალთა ბატონობისაგან თავდაღწეული ხალხი ახლა უკვე ყიზილბაშების წინააღმდეგ იბრძოდა. ანტიირანულ აჯანყებას ერთხანს შანშე ქსნის ერისთავი, ხოლო შემდეგ გივი ამილახვარი მეთაურობდა. ეს უკანასკნელი ნადირ შაჰის წინააღმდეგ ბრძოლაში ოსმალთა ძალის გამოყენებასაც ცდილობდა და თავისდაუნებლიეთ სულთნის აგენტის როლს ასრულებდა. თეიმურაზი და ერეკლე უფრო ზომიერ, კომპრომისულ პოლიტიკას ატარებდნენ. ნადირ შაჰმა შესძლო მათი გივი ამილახვრისადმი დაპირისპირება. ირანის მბრძანებელი დათმობაზე წავიდა „მოთვინიერებული" მამა-შვილის მიმართ. 1744 წელს ნადირ შაჰმა ქრისტიანი თეიმურაზი ქართლის, ხოლო ერეკლე კახეთის მეფედ დანიშნა. ამით ნადირ შაჰმა ოსმალეთის წინააღმდეგ ომში, ერთგული მოკავშირეები შეიძინა. მაგრამ ეს დათმობა თავისთავად ქართლ-კახელთა გამათავისუფლებელი მოძრაობის წარმატების მაუნყებელი მოვლენაც იყო.

1747 წელს ირანი კვლავ ანარქიის მორევში ჩაიძირა. სასახლის გადატრიალების შედეგად დაღუპული ნადირ შაჰის კანონიერმა და თვითმარქვია მემკვიდრეებმა ქვეყანა დაინაწილეს. ქართლ-კახეთის მეფეებმა მთელი სისრულით აღიდგინეს სუვერენიტეტი. კიდევ მეტი, თეიმურაზმა და ერეკლემ ყმადნაფიცე-

ბის სახით დაიქვემდებარეს განჯის, ყარაბაღის, და ერევნის ხანები. მამა-შვილმა გადაწყვიტა ჭარ-ბელაქნის და კაკ-ენისელის კვლავ შემოერთება, მაგრამ იქაურ მმართველებს დახმარება გაუწია შაქი-შირვანის ხანმა აჯი ჩალაბმა, რომელმაც 1750-1752 წლებში გარკვეულ წარმატებას მიაღწია. ამით ისარგებლა თავრიზელმა აზატ-ხანმა და ქართლ-კახეთის მოხარკე ქვეყანას – ერევნის სახანოს შემოუტია. ყირბულახთან მომხდარ ბრძოლაში (1751 წ. 28 ივლისი) ერეკლემ სასტიკად დაამარცხა მტრის სამჯერ მრავალრიცხოვანი ჯარი. მომდევნო წელს გაანადგურა აჯი ჩალაბის კოალიციური ლაშქარიც. ერეკლე მეორის სახელი და დიდება გაცდა კავკასიას, მას ხოტბას ასხამდნენ დასავლეთ ევროპელებიც. 1761 წელს გარდაიცვალა თეიმურაზ II. ქართლ-კახეთი ერეკლე მეორის სამეფო გვირგვინის ქვეშ გაერთიანდა.

დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს შორის არც XVIII საუკუნეში ყოფილა თანხმობა და თანადგომა. თურქ-ოსმალთა აგრესია კი გრძელდებოდა. 1703 წელს სულთანმა დიდი ჯარი გამოგზავნა როგორც საზღვაო, ისე სახმელეთო გზებით, მიზნად დაისახა თავის „ნილი" საქართველოს საბოლოო დაპყრობა. თურქებმა დაიკავეს ბათუმი, ფოთი, ანაკლია. თავის გარნიზონები ჩააყენეს რუხისა და ბაღდადის ციხეებში. მაგრამ მეფე-მთავართა და ხალხის წინააღმდეგობის გამო თურქებმა ქვეყნის სიღრმეში ფეხის მოკიდება ვერ შეძლეს. ოსმალებმა ვერც XVIII ს-ის 30-40-იან წლებში მიაღწიეს არსებით წარმატებას.

1751 წელს იმერეთის სამეფო ტახტზე ავიდა სოლომონ I. ახალგაზრდა მონარქმა თავის მოღვაწეობა თავადთა თვითნებობის ალაგმვით და უცხოეთში ტყვეების გაყიდვის აკრძალვით დაიწყო, რითაც მოსახლეობის დიდი ნაწილის სიყვარული და მხარდაჭერა მოიპოვა. ოსმალეთის ხელისუფლებას კი სოლომონის ასეთი პოლიტიკა არ მოეწონა. სულთანმა იმერეთის მეფეს კატეგორიულად მოსთხოვა ტყვეებით ვაჭრობის თავისუფლების დაკანონება. რაკი სოლომონმა ბრძანება არ შეასრულა, ოსმალთა ჯარი ურჩი მეფის დასასჯელად შემოვიდა. ამ განსაცდელის ჟამს მოხერხდა იმერეთის, საეგრელოსა და გურიის სამხედრო ძალთა გაერთიანება. 1757 წლის 14 დეკემბერს ხრესილის მინდორზე დაბანაკებულ მტრის ჯარს თავს დაესხა ქართველთა ლაშქარი, რომელსაც 22 წლის სოლომონი სარდლობდა. მან ორთაბრძოლაში ხმლით აკაფა თურქათა ჯარის მეთაური და გაბედული შეტევით მტერი გაანადგურა. თურქ-ოსმალებმა ამის შემდეგაც სცადეს იმერეთის დამორჩილება, მაგრამ სოლომონმა რამდენიმე სერიოზული მარცხი მიაყენა მომხდურთ. სულთანი იძულებული

გახდა გადამეტებულ პრეტენზიებზე ხელი აეღო. 1767 წელს გაფორმდა ორმხრივი ხელშეკრულება, რომლის ძალითაც სოლომონი გამოცხადდა ოსმალეთის სულთნის მფარველობაში მყოფ ხელმწიფედ, მას ხარკის გადახდა არ ეკისრებოდა, ფაქტიურად სუვერენი მმართველი გახდა. სოლომონს საშუალება მიეცა დაეპყრა მოღალატე და ურჩი ფეოდალები, განემტკიცებინა ცენტრალური ხელისუფლება. სოლომონ პირველს, ისევე როგორც ერეკლე მეორეს კარგად ესმოდათ საქართველოს შინაგან ძალთა გაერთიანების მნიშვნელობა და ჯერ კიდევ 1758 წელს მათ გააფორმეს სამხედრო კავშირი, ივალდებულეს გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში „ერთმანეთის მიშველება".

1768 წელს ომი დაიწყო რუსეთსა და ოსმალეთს შორის. რუსეთის საიმპერატორო კარმა მიზანშეწონილად მიიჩნია ოსმალეთის ბატონობის ქვეშ მყოფი ქრისტიანი ხალხების თურქთა წინააღმდეგ აჯანყება და სათანადო მოწოდება საქართველოშიც გამოგზავნა. ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა რუსეთის მთავრობის სპეციალური დესპანი ხვაბულოვი (ქობულაშვილი), რომელმაც მოლაპარაკება გამართა იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეებთან. ამ უკანასკნელთ თურქთა წინააღმდეგ ამხედრებაზე უარი არ უთქვამთ. იმედი გამოთქვეს, რომ თურქთაგან ადრე მიტაცებული ქართული ტერიტორიები ძლევამოსილი ომის შემდეგ საქართველოს დაუბრუნდებოდა.

1770 წლის დამდეგს ქართლ-კახეთში შემოვიდა რუსეთის არასრული პოლკი (1200 ოფიცერი და ჯარისკაცი) გენერალ ტოტლებენის მეთაურობით. ერეკლე II რუს-ქართველთა ჯარს ახალციხის საფაშოსაკენ წარუძღვა და 17 აპრილს ანყურის ციხეს შეუტია. ორი დღის შემდეგ ტოტლებენმა მოღალატურად დატოვა ბრძოლის ველი. ამით გათამამებული თურქთა გარნიზონი ციხიდან გამოვიდა. ერეკლეს ჯარს გაუმართა ბრძოლა. ქართველებმა გაიმარჯვეს და ასპინძისაკენ აიღეს გეზი, სადაც 8 ათასიანი თურქთა ჯარი იდგა. 20 აპრილს მომხდარ ბრძოლაში ერეკლემ სასტიკად დაამარცხა მტერი, რომელმაც მოკლულთა საბით 4 ათასი კაცი დაკარგა.

ერელკემ თურქთა წინააღმდეგ საომარი მოქმედება ვერ გააგრძელა, რადგან გაიგო, რომ ავანტურისტი ტოტლებენი ქართველ თავადებს მეფის წინააღმდეგ ამხედრებდა და ხალხს რუსთა ხელმწიფის ერთგულებაზე აფიცებდა. ერეკლე შიდა ქართლისაკენ შემობრუნდა და ენერგიული მოქმედებით ტოტლებენს ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ განზრახვაზე ხელი ააღებინა. ტოტლებენი თავისი ჯარით გადავიდა იმერეთში, სადაც

სოლომონი უკვე წარმატებით ებრძოდა თურქებს. იმერეთის მეფემ რუსული პოლკის მოსვლამდე გაანთავისუფლა ცუცხვათისა და შირაპანის ციხეები. ტოტლებენი სოლომონს დაეხმარა ბაღდადისა და ქუთაისის ციხეების აღებაში, შემდეგ კი ფოთისკენ გაეშართა, მაგრამ მისი აღება ვერ შესძლო. სამაგიეროდ ინტრიგებით მოახერხა იმერეთის მეფისა და გურია-სამგერელოს მთავრთა ურთიერთობის გამწვავება. ფოთი ვერც ტოტლებენის შემცვლელმა სუხოტინმა აიღო. იმპერატორის ბრძანებით, 1772 წლის მაისში რუსთა პოლკი საქართველოს საზღვრებიდან გავიდა ისე, რომ დაკისრებული ამოცანა არ შეუსრულებია.

1774 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი დამთავრდა. კუჩუკ-კაინარჯის ზავს ქართლ-კახეთისათვის არაფერი შეუმატებია. იმერეთის საგარეო მდგომარეობა კი ოდნავ გაუმჯობესდა. რაკი რუსეთზე და მის შეიარაღებულ ძალებზე დამყარებული იმედი არ გამართლდა, ერეკლე მეორემ სცადა ევროპულ-რუსული ყაიდის რეგულარული არმიის შექმნა. მაგრამ გამორიკვა, რომ სახელმწიფო მუდმივი არმიის დაფინანსებას ვერ შესძლებდა. ერეკლემ სამხედრო რეფორმის გატარების საკითხი „დარბაზის" წინაშე დააყენა. 1773 წელს დარბაზმა დაამტკიცა „მორიგე ჯარის განჩინება", რომელიც მალე პრაქტიკულად ამოქმედდა. ქართლ-კახეთის ყველა ბრძოლისუნარიან მამაკაცს დაეკისრა სამხედრო ბეგარა-წელიწადში ერთ თვეს ჯარში გასულიყო თავის ხარჯითა და შეიარაღებით. თუ გლეხს საამისო შესაძლებლობა არ აღმოაჩნდებოდა, ხარჯები მის მებატონეს უნდა ეკისრა. ამ ჯარის ორგანიზაციასა და გაწვრთნაში ხელმძღვანელი როლი შეასრულა უფლისწულმა ლევანმა. შედეგი ის იყო, რომ ქართლ-კახეთის მეფეს მუდამ მზადყოფნაში ჰყავდა 5 ათასიანი ჯარი, რომელზე დაყრდნობითაც ბოლო მოუღო ლეკთა თარეშს და ალაგმა თავადთა თვითნებობაც, განამტკიცა ცენტარლური ხელისუფლება.

XVIII ს-ის 80-90-იან წლებში რუსეთის იმპერია კიდევ უფრო მტრულად დაუპირისპირდა ირან-ოსმალეთს, ისიც აქტიურად ჩაება კავკასიის დაუფლებისათვის ბრძოლაში. ქართველ მეფე-მთავრებს საშუალება ჰქონდათ ამ დიდი სახელმწიფოების ჭიდილი თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ, დიპლომატიური ხერხებით აეცილებინათ საქართველოსთვის საგარეო საფრთხე. შეენარჩუნებინათ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში საქართველოს გადარჩენის ძირითადი პირობა იყო ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური ჩამორჩენილობის დაძლევა, პოლიტიკური გაერთიანება, სახელმწიფოებრივი

ნყობილების სრულყოფა.

ერეკლე მეორე ყოვენაირად ცდილობდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ურთიერთობათა დარეგულირებას, გაღამჭრელ ზომებს იღებდა მებატონეთა გადამეტებული პრეტენზიების აღკვეთის, ყმა-გლეხების შრომა-საქმიანობის ნორმალურ ჩარჩოებში ჩაყენებისათვის. მეფე პირადად, ან თავის მოსამართლეთა მეშვეობით ერეოდა მებატონეთა და გლეხთა შორის წარმოშობილ დავაში. გამოსცა კანონი, რომელიც რამდენადმე აუმჯობესებდა ყმაგლეხობის უფლებრივ მდგმოარეობას. აკრძალა გლეხის ოჯახის დაშლა, მისი წევრების ცალ-ცალკე გაყიდვა, მინისა და გლეხის გათიშვა. ერეკლე გლეხის ფუძიდან აყრა-გაქცევაზე პასუხისმგებლობას მებატონეს აკისრებდა. თავადაზნაურობას მორალს უკითხავდა - ყმებს სამართლიანად მოეპყარით და არსად გაიქცევიან, შეძლებისდაგვარად გადაიხდიან ღალაბეგარასო. ერეკლეს სოციალური პოლიტიკა უშუალო მწარმოებელს სტიმულს აძლევდა, ქმნიდა პირობებს მეურნეობის გაფართოებისათვის. ქართლ-კახეთის მეფე ესარჩლებოდა ხელოსნებსაც. ცდილობდა სამთამადნო მრეწველობის გაუმჯობესებას. მან ანატოლიიდან ჩამოიყვანა ბერძენი ოსტატები და საკმაოდ მაღალ დონეზე დააყენა სპილენძის მოპოვება-გადადნობის საქმე ალავერდში და ვერცხლისა – ახტალაში. გაუმჯობესდა თოფიარაღის დამზადების ხელოვნება და ფულის მოჭრის ტექნიკა. ერეკლე მეორემ მოაწესრიგა საქალაქო მმართველობა, ვაჭარ-ხელოსანთა უფლებრივი მდგმოარება. ქართლ-კახეთის მეფე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სახელმწიფოებრივი სტრუქტურების სრულყოფას. მიზნად დაისახა დიდგვაროვან ფეოდალთა თვითნებობის ალაგმვა და მეფის, მასთან დაკავშირებულ ხელისუფალთა უფლებამოსილების გაფართოება. მან გააუქმა ნახევრად დამოუკიდებელი საერისთაო-სახანოები და მათი ფუნქციები ცენტრზე დამოკიდებულ მოურავებს გადასცა. მის დროს რამდენადმე გაიზარდა წოდებათა წარმომადგენლების სათათბიროს – დარბაზის როლი ქვეყნის მართვა-გამგეობაში. უფრო ზუსტად განისაზღვრა მოხელეების უფლება-მოვალეობანი. ხმარებაში შემოვიდა თანამდებობის პირთა ევროპულ-რუსული სახელწოდებანი – კანცლერი, სენატორი, გუბერნატორი, ფელცეხმეისტერი პოლკოვნიკი, მაიორი და სხვა. რუსმა მოხელე ბურნაშოვმა შეამჩნია, რომ მეფე ერეკლე მთელი არსებით მიისწრაფოდა თავის სამეფოსა და მოსახლეობის სოციალურ ურთიერთობათა ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნისაკენ. მაგრამ ეს იდეა საჭირო სისრულით ვერ ისხამდა ხორცს. ერელკემ ფეოდალურ-

კონსერვატიული ოპოზიციის სიძლიერის გამო ბოლომდე ვერ მიიყვანა წამოწყებული პროგრესული რეფორმები. შედარებით ნაკლებ წარმატებას მიაღწია ამ მიმართულებით იმერეთის მეფე სოლომონ პირველმა. პოლიტიკურად დაშლილ საქართველოში არ ხერხდებოდა შინაგან ძალთა გაერთიანება. ამიტომ აქტუალობას ინარჩუნებდა საგარეო ორიენტაციის პრობლემა, საიმედო მოკავშირის გამონახვის საკითხი.

მუსლიმანური სამყაროს გერემოცვაში მოქცეული საქართველოს მეფე-მთავრებმა, როგორც აღინიშნა, უკვე XVI-XVII საუკუნეებში შეამჩნიეს რუსეთის მზრადი ძლიერება და იმედი მიეცათ, რომ დამპყრობლებთან უთანასწორო ბრძოლაში ერთმორწმუნე ჩრდილოელი მეზობელი დახმარებას გაუწევდათ. რუს პოლიტიკოსებსაც კარგა ხანს საქართველო ბუნებრივ მოკავშირედ მიაჩნდათ. ისინი ქართველ მეფე-მთავრებს გაერთიანებისა და ურწმუნოთა წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთი გაძლიერდა, გაფართოვდა და მისი საზღვრები კავკასიის ქედს მოებჯინა, ამ ახალი იმპერიის მიზანი გახდა საქართველოს ანექსია, მისი გადაქცევა დამატებითი შემოსავლის წყაროდ და ხელსაყრელ პლაცდარმად შემდგომი დაპყრობებისათვის. ქართველი პოლიტიკოსები რუსეთის ამ გეგმებში მთლად კარგად ვერ ერკვეოდნენ, ქრისტიანულ მეზობელს თითქმის ბოლომდე პოტენციურ და რეალურ მოკავშირედ მიიჩნევდნენ.

ერეკლე მეორემ თითქოს გააგრძელა კახთა მეფეების ლევანისა და ალექსანდრეს პოლიტიკა. მან რუსეთის იმპერატორს მფარველობაში მიღება ჯერ კიდევ 1772 წელს სთხოვა. ამ მომენტში, როცა რუსეთი ოსმალეთს ეომებოდა, იმპერატორმა მიზანშეუწონლად მიიჩნია ირანისადმი დაპირისპირება და ქართლ-კახეთის მეფის ელჩები უკან უარით გამოისტუმრა. კუჩუკ-კაინარჯის ზავის დადების (1774 წ.) შემდეგ რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი გახდა სამხრეთ კავკასიაში გავლენის მოპოვება, სამხედრო-სტრატეგიული პლაცდარმის შემქნა. ამ პრობლემის გადაჭრა დაევალა გენერალ პავლე პოტიომკინს. მან 1782 წელს საქართველოში სპეციალური დავალებით გამოგზავნა ი. რეინეგსი, რომელმაც მეფე ერეკლეს ურჩია კვლავ აღეძრა რუსეთის მფარველობაში ქართლ-კახეთის შეყვანის საკითხი. რუსეთის დიპლომაია ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ერეკლესთან მომგებიანი ხელშეკრულება გაეფორმებინა. ზეწოლისათვის გამოიყენეს ქართლის ბაგრატიონთა შტოს ჩამომავლები, ვახტანგ VI-ის შვილები და შვილიშვილები.

ცნობილია, რომ ქართლის ბაგრატიონთა (ბაგრატიონ-მუხრანელთა) შტო ერეკლე მეორეს, რომელიც კახეთის შტოს წარმომადგენელ იყო, უზურპატორად აცხადებდა. მიზნად ქართლის სამეფო ტახტის დაბრუნებას ისახავდა. ერეკლეს საწინააღმდეგო შეთქმულება 1765 წელს მოაწყვეს. ერეკლეს დამხობა და ქართლში ვახტანგ VI-ის უკანონო შვილის პაატა ბატონიშვილის გამეფება მოიწადინეს. შეთქმულება გამჟღავნდა, ერეკლემ მისი მონაწილენი დააპატიმრა. მაგრამ მათი საქმე ერთპიროვნულად არ გადაუწყვეტია, საკითხი გაიტანა დარბაზის სხდომაზე, რომლის მიერ მიღებული განაჩენის საფუძველზე პაატა ბატონიშვილი, მისი თანამდგომნი დავით აბდულბეგის ძე და ელიზბარ თაქთაქიშვილი სიკვდილით დაისაჯნენ.

XVIII ს-ის 80-იანი წლების დამდეგს ერეკლეს წინააღმდეგ ბრძოლას აგრძელებდა ალექსანდრე ბაქარის ძე. იგი დაღესტანში ჩავიდა, იქაურ მფლობელთაგან დახმარება მიიღო და ემზადებოდა საქართველოში გამოსალაშქრებლად. რუს გენერლებს არაფერი გაუკეთებიათ მისთვის ხელის შესაშლელად. ერეკლე მეორემ გარკვეული ინფორმაცია მიიღო, ივარაუდა, რომ არ იყო გამორიცხული იმპერატორი დახმარებოდა პეტრე პირველის მოკავშირის ვახტანგ მეექვსის შვილიშვილს. ამიტომ ქართლ-კახეთის გვირგვინოსანი მეფე გადაჭრით დადგა რუსულ ორიენტაციაზე. 1782 წლის 21 დეკემბერს რუსეთის იმპერატორს ოფიციალურად გაუგზავნა თხოვნა ქართლ-კახეთის სამეფოს იმპერიის შემადგენლობაში მიღების შესახებ. მფარველს უნდა ეკისრა მოვალეობა და პასუხისმგებლობა იმაზე, რომ ერეკლეს შთამომავლობას „პაპების სამკვიდრო და ამდენის ღვაწლის დადებით აშენებული ქვეყანა" არ დაკარგოდათ, რომ ალექსანდრე ბაქარის ძის მსგავს ბედის მაძიებლებს საქართველოში შინადინასტიური ბრძოლა არ აეტეხათ. მეფე ითხოვდა, რომ ქართლ-კახეთში მუდმივ სამყოფლად, ქვეყნისა და ხალხის დასაცავად გამოეგზავნათ რუსეთის რეგულარული არმიის ორი პოლკი. რუსეთის მმართველმა წრეებმა დეტალურად განიხილეს ხელშეკრულების ერეკლესეული პროექტი. საგარეო სამეთა კოლეგიის მოხელემ ა. ბეზბოროტკომ, ეკატერინე მეორესთან შეთანხმებით, ხელშეკრულების საბოლოო ტექსტი ჩამოაყალიბა და ქართლ-კახეთის მეფეს გამოუგზავნა. ერეკლემ პროექტი დარბაზის წევრებს გააცნო, მათი მხარდაჭერა და თანადგომა მოიპოვა. პროექტის საბოლოო ვარიანტი თავის დესპანებს გაატანა გიორგიევსკში.

1783 წლის 24 ივლისს გიორგიევსკის ციხე-სიმაგრეში ორმხრივი მოლაპარაკება დამთავრდა, „მეგობრობითი პირობა" გა-

ფორმდა. გიორგიევსკის ტრაქტატს რუსეთის მხრიდან ხელი მოაწერა გენერალმა პავლე პოტიომკინმა, საქართველოს მხრიდან კი იკანე მუხრანბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ. ხელშეკრულება, რომელიც 17 მუხლისაგან შედგებოდა, ძალაში შევიდოდა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შემდეგ. ეკატერინე მეორისაგან ხელმოწერილი ასეთი დოკუმენტი ერეკლემ მიიღო 1784 წლის 22 იანვარს. ხოლო ერეკლე მეორემ სარატიფიკაციო სიგელს ხელი მოაწერა 24 იანვარს და გადასცა რუსეთის წარმომადგენელს ვ. ტამარას.

მფარველობით-სამოკავშირეო ხელშეკრულება ორმხრივ ვალდებულებას ითვალისწინებდა. პირველ მუხლში ქართლ-კახეთის მეფე თავისი და მემკვიდრეების სახელით საჯაროდ აცხადებდა, რომ აღიარებდა მხოლოდ რუსეთის იმპერატორის უზენაეს ხელისუფლებას, მის მფარველობაში შედიოდა. მეორე მუხლით რუსეთის იმპერატორი ეკატერინე თავის და მემკვიდრეების სახელით ასევე საჯაროდ აცხადებდა, რომ მფარველობა-დახმარებას არ მოაკლებდა საქართველოს მეფეებს, დაიცავდა მათ ქვეყანას ახლანდელ და მომავალ საზღვრებში.

ხელშეკრულების მესამე მუხლში აღნიშნული იყო, რომ ამიერიდან საქართველოს ტახტზე ახლად ასული მეფე რუსეთის იმპერატორს უნდა დაემტკიცებინა, მისგან უნდა მიეღო სამეფო ნიშნები – გვირგვინი, სიგელი და დროშა რუსეთის იმპერიის გერბით, რომელშიც ჩახატული იქნებოდა ქართლ-კახეთის სამეფო გერბიც. ამ ნიშნების მიღების შემდეგ ქართლ-კახეთის მეფეს, რუსეთის მინისტრ-რეზიდენტის თანდასწრებით, რუსეთის იმპერატორისადმი ერთგულების ფიცი უნდა დაედო.

ტრაქტატში აღნიშნული იყო, რომ რუსეთის მთავრობა საქართველოს (ქართლ-კახეთის) საშინაო საქმეებში არ ჩაერეოდა, ქართველი მეფის დასტურის გარეშე არ შეცვლიდა სახელმწიფოს სამხედრო-ადმინისტრაციულ წყობას. საგარეო პოლიტიკის სფეროში კი ქართლ-კახეთის მეფის სუვერენული უფლებები იზღუდებოდა. მას უცხო სახელმწიფოებთან დიპლომატიური და სხვაგვარი უთიერთობა რუს მოხელეებთან შეთანხმებით უნდა ეწარმოებინა.

საიდუმლო მუხლებში დაფიქსირებული იყო რუსეთის ვალდებულება საქართველოში მუდმივ სამყოფად ჩაეყენებინა ორი ბატალიონი, ხოლო ომის დროს ქართველ მეფეს დახმარებოდა გაცილებით მრავალრიცხოვანი ჯარით. რუსეთის იმპერატორი პირობას დებდა, რომ ომისა და დაზავების დროს ყველა საშუალებას გამოიყენებდა რათა საქართველოს დაბრუნებოდა გარეშე

მტრებისაგან მიტაცებული ტერიტორიები.

გიორგიევსკის ტრაქტატი, რა თქმა უნდა არ იყო თანასწორუფლებიანთა ხელშეკრულება. მისი მეშვეობით ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა როგორც მასზე დამოკიდებული სახელმწიფო. მართალია, მისი სუვერენიტეტი იზღუდებოდა, მაგრამ საქართველო რჩებოდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტად. ხელშეკრულება ორივე მხარის ინტერესების დაცვას ითვალისწინებდა. თუ რუსეთი მას დაარღვევდა, საქართველოს სრული დამოუკიდებლობა უნდა დაბრუნებოდა.

ტრაქტატის ერთი მუხლის შესაბამისად რუსეთის არმიის ორი ბატალიონი საქართველოში 1783 წლის ნოემბერში შემოვიდა. თბილისის მოსახლეობამ საზეიმო შეხვედრა მოუწყო მისი ქვეყნისა და ქალაქის მომავალ დამცველებს. მეფე ერეკლე იმედიანად იყო, რუსთა დახმარებით ვარაუდობდა ქვეყანაში მშვიდობიანობის დამყარებას, ხალხის შრომითი საქმიანობის ნორმალური პირობების შექმნას. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ძლევამოსილი რუსეთის შემწეობით საქართველოს ისტორიულ საზღვრებსაც აღადგენდა.

მაგრამ მეფე ერეკლესა და მისი ხალხის სამწუხაროდ, მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. გიორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებამ და საქართველოში რუსთა ჯარის შესვლამ მუსლიმანი ხელმწიფენი შეაშფოთა. საქართველოს წინააღმდეგ მათი დამრაზველის ძირითადი ფუნქცია ოსმალეთის სულთანმა იტვირთა. მოუწოდა აზერბაიჯანელ ხანებსა და დაღესტნის მფლობელებს დაესაჯათ რუსოფილი მეფე ერეკლე, არ დაეშვათ რუსეთის დამკვიდრება კავკასიაში. შედეგმაც არ დააყოვნა საქართველოსკენ, დაიძრა მარბიელთა ბრბოები ახალციხიდან, დაღესტნიდან, სხვა რეგიონებიდან, 1785 წელს ქართლ-კახეთში შემოიჭრა ხუნძაბის მფლობელი ომარ ხანი 20 ათასიანი ლაშქრით. მის წინააღმდეგ წარმატებით საბრძოლველად სულაც არ კმაროდა ერეკლეს მცირერიცხოვანი ჯარი და რუსთა ორი ბატალიონი. მფარველ-ბოკავშირემ კი დაარღვია ტრაქტატის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მუხლი, ქართლ-კახეთის დასაცავად დამატებითი სამხედრო ძალები არ გამოგზავნა. ომარხანმა ააოხრა კახეთი, გაძარცვა ქვემო ქართლი. ერეკლეს დიდძალი ფულის გაღება დასჭირდა იმისათვის, რომ ომარ ხანის ბანდები თავის სამეფოს საზღვრებს მიღმა გაესტუმრებინა.

1787 წელს რუსეთ-ოსმალეთის ახალი ომი დაიწყო. რუსეთის მთავრობა ამჯერად კავკასიაში ფრონტის გახსნას არ გეგმავდა და ამიტომ საქართველოდან ის ორი ბატალიონიც გაიყვა-

ნა., რომელიც ტრაქტატის ძალით აქ იმოფებოდა. ამის შემდეგ ოსმალეთმა ოდნავ მაინც შეანელა მეფე ერეკლესადამი მტრული დამოკიდებულება, მაგრამ გართულდა ქართლ-კახეთის შინაპოლიტიკური ვითარება. დარეჯან დედოფალმა, ზოგიერთმა უფლისნულებმა და თავადებმა ერეკლე დათმობაზე წაიყვანეს, გადაახვევინეს პროგრესული რეფორმების გატარების გზიდან. მათვე მეფეს უარყოფითად გადააწყვეტინეს ამერეთ-იმერეთის გაერთიანების, ერთმეფობის აღდგენის საკითხიც.

1784 წელს გარდაიცვალა იმერეთის ღვანლმოსილი მეფე სოლომნ I. მას პირდაპირი მემკვიდრე არ დარჩა და სამეფო ტახტისათვის ბრძოლა ატყდა სოლომონის ბიძაშვილ დავით გიორგის ძესა და ძმისწულ – დავით არჩილის ძეს შორის. რამდენიმე წელს გაგრძელებულმა შინაპოლიტიკურმა ომმა დიდი ზარალი მიაყენა ქვეყანასა და ხალხს. ამიტომ იმერეთის პროგრესულმა მოღვაწეებმა მოუწოდეს ერეკლეს შეერთებინა იმერეთი და თავი სრულიად საქართველოს მეფედ გამოეცხადებინა.

საქართველოს მთლიანობისა და ერთმეფობის იდეა ყოველთვის ცოცხლობდა, მაგრამ XVIII ს-ის მეორე ნახევარში იგი უფრო ცხოველმყოფელი გახდა და თანაც შეიქმნა მისი რეალიზაციის საკმაოდ ხელსაყრელი პირობები. სამშობლოს თავგადასავალი ვახუშტი ბაგრატიონმა მთლიანობაში გაიაზრა თავის თხზულებას უწოდა არა „ქართლის ცხოვრება", არამედ „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", „საქართველოს ცხოვრება". ვახუშტიმ მოძებნა ის მთავარი კომპონენტები, რომლებიც საქართველოს ყველა სახელმწიფოებრივი ერთეულებისათვის საერთო იყო. მისი აზრით, ერთმეფობას წარმოაჩენდნენ ცნებები – იმერლები, ამერლები, სამხრეთელები. ყველა ისინი ქართველები არიან. მათი ენა და მწერლობა ქართულია. აფხაზებს საკუთარი ენა აქვთ, მაგრამ წარჩინებულებმა ქართული ენა კარგად იციანო. ასეთივე აზრის იყო ბერი ეგნატაშვილი, რომელმაც იხმარა კრებითი სახელი - „საქართველონი". ამავე პერიოდში ქართველმა მოღვაწეებმა გააცოცხლეს ძველი ქართული სამყაროს მთლიანობის აღმნიშვნელი გეოგრაფიული სახელი „ივერია".ქართლ-კახეთს უწოდებდნენ ზემო ივერიას, დასავლეთ საქართველოს ქვემო ივერიას. 1780 წლის ერთ წარწერაში ერეკლე მეორე ზემო ივერიის მეფედ იწოდებოდა. ამ იდეათა რეალიზაციის საწყის ეტაპად უნდა მივიჩნით ქართლისა და კახეთის გაერთიანება 1762 წელს. ანტონ კათალიკოსი შემთხვევით არ წერდა - „მეფე სრულიად საქართველოისა ირაკლი".

XVIII ს-ის 80-ანი წლების ქართველი პროგრესული მოღვა-

ნეები ამჩნევდნენ, რომ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის შედარებით უკეთესი პირობები შეიქმნა. მათი აზრით, ერეკლე იყო ერთადერთი კანდიდატი, რომელიც სრულიად საქართველოს მეფე უნდა გამხდარიყო. ამას ხელს ველარ შეუშლიდნენ დაუძლურებული ოსმალეთი და დაშლილი ირანი. შინადინასტიური ბრძოლებით შეწუხებული იმერეთის თავადაზნაურთა წარმომადგენლები სამეფო კარის სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, სარდალი ქაიხოსრო წერეთელი, მღვდელმთავრები -- დოსითეოზ ქუთათელი და ექვთიმე გენათელი, სეხნია წულუკიძე, იოანე აბაშიძე, აგიაშვილი, ჩივაძე და სხვ. ერეკლე მეორესთან გამოცხადდნენ და შესთხოვეს მას იმერეთის შეერთება, ერთმეფობის აღდგენა. „დესპანი იმერთა არწმუნებდა მეფესა რომელ ყოვლადი სამეფო იმერეთისა მოელის სიხარულით საქმისა ამის დასასრულსა; თვით მთავართა გურიისას და ოდიშისას სურთ და სწყურიან ესე. მცხოვრებთა გლეხთაც იციან ესე და უხარიათ ბატონობა თქვენი იმერეთსა" (18, 15).

მეფე ერეკლემ ეს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი განსახილველად გამოიტანა წოდებათა წარმომადგენლების სათათბიროს - „დარბაზის" სხდომაზე. ერთმეფობის აღდგენას მხარი დაუჭირეს სოლომონ ლიონიძემ, ჭაბუა ორბელიანმა, სარდალმა დავით ყაფლანიშვილმა, ქიზიყის მოურავმა ზაქარია ანდრონიკაშვილმა და სხვ. მაგრამ მეფე ერეკლე ყოყმანობდა, ეუხერხულებოდა იმერეთის ტახტი ჩამოერთმია შვილიშვილის – თავისი ასულის ელენეს ვაჟის დავითისათვის. ჭაბუა ორბელიანმა მეფეს გაუბედა შეკამათება და უთხრა: „ვიცი და მესმის ჰაზრი თქვენი, მეფეო: ვითარ მოულო მეფობა შვილიშვილსა ჩემსა? ესრეთი ჰაზრი უეჭველად არის უბედურებითი იმერთათვის, უსარგებლო ქვეყნისათვის, დამღუპავი ქვეყნის. ვითარ მოელო მეფობა ქართლისა მეფეთა და რაი დაკარგა საქართველომან დაკავშირებითა ქართლისა და კახეთისა?... ბედნიერება ერისა ითხოვს ერთოპასა. ძლიერება მეფობისა არის ერთა დაკავშირება" (18, 16).

ჭაბუა ორბელიანს შეეწინააღმდეგა დანაწევრებული მონარქიული პრინციპის მომხრე იოანე მუხრანბატონი: „რად ეექმნედ პატრონად ქვეყანასა, რომელსაც ჰყავს საკუთარი პატრონი, შვილიშვილი მეფისა". ჩვენ ქართველებს საკუთარი ქვეყნისათვის ვერ მოგვივლია, იმერლების დახმარება სად შეგვიძლიაო. ასეთი განცხადებისათვის იგი მკაცრად გაკიცხა სარდალმა დავით ყაფლანიშვილმა. შესძახა – შენისთანებს მართლაც არ შეუძლია ქვეყნის მოვლა-პატრონობა, იმედია სამუხრანბატონოს ისეთი მფლობელ-მომველელი გამოუჩნდება, რომლის გონება და ხმა-

ლი უფრო მჭრელი იქნებაო. „დარბაზში" არევ-დარევა დაიწყო, ერეკლემ სხდომა დახურა. საკითხის გარჩევა გადადო.

დარბაზის სხდომის ჩაშლის შემდეგ გააქტიურდა ერეკლეს მეუღლე დედოფალი დარეჯანი, რომელსაც ოჯახური ინტერესი ამოძრავებდა და სხვაგვარი აზრი ჰქონდა. იგი ვერ იტანდა გერს გიორგის, მეფე ერეკლეს მემკვიდრეს, რომელიც მომავალში ქართლ-კახეთის მეფე გახდებოდა. მას სულაც არ სურდა იმერეთიც მას დარჩენოდა, იმისათვის ილწვოდა, რომ იმერეთის სამეფო ტახტზე თავის ასულის ელენეს ვაჟი დავითი ეხილა.

დარბაზის მეორე სხდომაზე კვლავ აქტიურობდნენ საქართველოს გაერთიანების, ერთმეფობის მომხრენი – ჭაბუა ორბელიანი, სოლომონ ლიონიძე, ანტონ კათალიკოსი და სხვები. მათი პოზიციები ერეკლეს მემკვიდრე გიორგიმ გაამაგრა: „შეერთება იმერეთისა ქართლისადმი არის სიმტკიცე მეფობისა, თუ გნებავთ უძლეველობა ქვეყნისა ჩვენისა მტერთაგან". გიორგის ეს განცხადება მოიწონა დამსწრეთა უმრავლესობამ და მეფეს ურჩია იმერეთი თავის სკიპტრისათვის დაექვემდებარებინა, მაგრამ ერეკლემ დარბაზის რჩევა არ მიიღო. განაცხადა, რომ იმერეთში მისი შვილიშვილის გამეფება თავისთავად საქართველოს გაერთიანების გამოხატულება იქნებოდა. სოლომონ ლიონიძემ კვლავ გაიბრძოლა, ცდილობდა ქართველთა ერთნათესაობა პოლიტიკურ მთლიანობად ექცია. მხოლოდ ამით მოვიპოვებთ ძლიერებას და არა უცხო სახელმწიფოს მფარველობით, რაც დამამცირებელი მოვლენა არისო. მაგრამ საქართველოს გაერთიანების საქმე ჩაიშალა. პროგრესისტები დამარცხდნენ, დანაწევრებული მონარქიის მომხრეებმა გაიმარჯვეს.

1790 წელს ერეკლე მეორის მხედრობის დახმარებით იმერეთის ტახტისათვის ბრძოლაში დავით არჩილის ძემ გაიმარჯვა, იგი ტახტზე დაჯდა და სოლომონ მეორის სახელით გააგრძელა მისი დიდი სეხნიის საქმე. სოლომონ მეორე ერეკლე მეორის ერთგული მოკავშირე და მისი სოციალურ-პოლიტიკური ხაზის გამტარებელი იყო. მაგრამ საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლნი იმერეთის სამეფო ტახტზე ერეკლეს შვილიშვილის ასვლამ არ დააკმაყოფილა. მათ მიზნად დაისახეს საქართველოს სამეფო-სამთავროთა უფრო მტკიცე კავშირის შექმნა.

ამ გეგმის განხორციელება ითავა ერეკლეს ვიცე-კანცლერმა სოლომონ ლიონიძემ. სწორედ მისი ინიციატივით გაფორმდა „ტრაქტატი – ივერიელთა მეფეთა და მთავართაგან დამტკიცებული, ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისა". ხელშეკრულების მოტივი ასეა ჩამოყალიბებული: „ვინაითგან

ყოველთავე ივერიელთა სახლობელთა სამეფოთა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, ოდიშისა და გურიისა აქვსთ ერთმორწმუნეობა, არიან ძენი ერთის კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთისა ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასახელობითაცა სიყვარული ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა შორის, ამისათვის ჩვენ ზემოხსენებულნი ქვეყანათა ივერიისათა მეფენი და მთავარნი, დამამტკიცებულნი საუკუნისა ამის პირობისა, სახელითა ყოვლად ძლიერისა ღვთისა აღუვსთქვამთ მტკიცესა ამას ერთობასა".

საქართველოს მეფე-მთავართა ეს ხელშეკრულება, რომელიც 6 მუხლისაგან შედგება, თავისებურია, მისი ანალოგი თითქმის არ მოიძებნება. მონაწილენი ერთმანეთს აძლევენ მეგობრობის, თანადგომის, გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების პირობას. პირველ რიგში ამას აკეთებს „უფლისა იესო ქრისტეს მონა, მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა ირაკლი მეორე". იგი არწმუნებს იმერეთის მეფესა და გურია-სამეგრელოს მთავრებს: „შევრაცხო ყოველი მტერი თქვენი მტრად ჩემდა და ყოვლისა სამეფოსა ჩემისა. ვიყო მტერი მტრისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა" (მუხლი 1). „უკეთუ აღდგეს მტერი ვინმე თქუნ ზედა... მხედრობითა ჩემითა, ანუ სხვათა ძალითა, სიტყვითა და საქმითა შეძლებისა ჩემისაებრ მზა ვიყო შემწედ თქვენდა" (მუხლი 4). ერეკლე მეორე მოკავშირეებს არწმუნებს, რომ ხელშეკრულებით მის მიერ ნაკისრი ვალდებულებები შესრულებული იქნება მისი შვილების, თავადებისა და სხვა ქვეშევრდომების მიერ. ხელშეკრულებას ხელს აწერენ: მეფე ქართლისა, კახეთისა და სხვათა ერეკლე; დედოფალი ქართლისა, კახეთისა და სხვათა დარეჯან; საქართველოს კათალიკოსი ანტონი; ვიცე-კანცლერი სოლომონ ლიონიძე.

ხელშეკრულების ყველა მუხლები მეორდება საქართველოს სხვა მეფე-მთავართა ტექსტში და მათ ხელს აწერენ სოლომონ მეორე, დადიანი და გურიელი. ხელშეკრულება ცხადყოფს, რომ ქართველ მეფეთა კავშირის ინიციატივა მოდიოდა ერეკლე მეორისა და მისი ვიცე-კანცლერ სოლომონისაგან. აღიარებული იყო ქართლ-კახეთის მეფის ჰეგემონობა. დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ერეკლეს ანდობდნენ რუსეთთან მოლაპარაკება-შუამდგომლობას, მის მფარველობის ქვეშ შეყვანას (44, 183-185).

ამ დროს რუსეთ-ოსმალეთის ომი თითქმის დამთავრებული იყო, საზავო მოლაპარაკება მიმდინარეობდა. გრ. პოტიომკინთან იასაში მისული წერილები და იქ მყოფ ბესარიონ გაბაშვილის საქ-

მიანობა ცხადყოფს, რომ ქართველი პოლიტიკოსები რუსეთზე კვლავ დიდ იმედს ამყარებდნენ. ერეკლე II მოითხოვდა, რომ ოსმალეთს საბოლოოდ უარყო პრეტენზიები ქართლ-კახეთსა და აზერბაიჯანის მიმართ. ქართლ-კახეთის მეფე აყენებდა აგრეთვე რუსეთისა და ოსმალეთის მიერ ივერიელ მეფე-მთავართა ტრაქტატის აღიარების, მისთვის ანგარიშის გაწევის მოთხოვნას. დაზავების მოსურნე დიდ სახელმწიფოებს ისიც უნდა ჰქონოდათ მხედველობაში, რომ ერეკლე მეორის სურვილს სამცხე-საათაბაგოს კვლავ საქართველოსთან შეერთების შესახებ დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებიც უთანაგრძნობდნენ. იასის საზაო ხელშეკრულებამ ნათელყო, რომ რუსეთის იმპერია ხელს არ იღებდა ქართლ-კახეთის მფარველობაზე, სამხრეთ კავკასიელი ქრიტიანების დამცველის როლს იჩემებდა, აქაურ ხალხს უნერგავდა იმის იმედს, რომ რუსეთის დახმარებით შეძლებდნენ დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. მაგრამ მალე ცხადი გახდა რომ საქართველოს შინაგან ძალთა თანხმობა, ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება არც ოსმალეთს აწყობდა და არც რუსეთს. ორივე მათგანი საქართველოს დამპყრობლის თვალით უყურებდა.

ამასობაში დასასრულს მიუახლოვდა ირანელ დიდკაცთა შინაბრძოლა ტახტისათვის. იმარჯვებდა აღა-მაჰმად ხან ყაჯარი. იგი არ სცნობდა გიორგიევსკის ტრაქტატს. პრეტენზიას აცხადებდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ფლობაზე. ცდილობდა აქაურ ხელისუფალთა (მათ შორის ქართლ-კახეთის მეფის) თავის ვასალად გადაქცევას.

ერეკლე მეორემ დროულად აცნობა მფარველ-მოკავშირეს კარს მომდგარი საფრთხის შესახებ. მაგრამ რუსეთი მისთვის დამხმარე ჯარის გამოგზავნის სურვილს არ ამჟღავნებდა. როგორც ჩანს, ეს გაიგო აღა-მაჰმად-ხანმა და საქართველოში გამოსალაშქრებლად მზადებას შეუდგა. იმავდროულად ულტიმატუმი გამოუგზავნა ერეკლეს – თუ რუსეთთან კავშირს არ გაწყვეტ, ჩემს უზენაესი ხელისუფლებას არ აღიარებ და მძევლად შვილებს არ გამომიგზავნი მთელი ჩემი ჯარით შენს წინააღმდეგ ავმხედრდებიო. ერეკლეს შეეძლო დიპლომატიის ამოქმედება, შაჰისათვის მისთვის სასურველი დაპირებების მიცემა, მისი დროებით მაინც მოთვინიერება, მაგრამ ეს არ აკადრა რუსთა ხელმწიფეს. დადებული ფიცის ერთგულება ბოლომდე შეინარჩუნა. გამოიჩინა არა მარტო დაუდევრობა, დიდი შეცდომაც დაუშვა.

მფარველ-მოკავშირის იმედად მყოფი ერეკლე მთლად ენერგიულად ვერ გაისარჯა. მხოლოდ 5-ათასიანი ლაშქრის შეკ-

რება მოახერხა (აქედან 3 ათასი კაცი სოლომონ მეორის მიერ იყო ჩამოყვანილი, მან პირნათლად შეასრულა 1790 წლის ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულება). ამ მცირე ძალით და არტილერით დაუპირისპირდა იგი კრწანისის მიდამოებში დაბანაკებულ ირანის შაჰის 35 ათასიან ჯარს. 1795 წლის 10 სექტემბერს მოხდა სპარსელ-ქართველთა ავანგარდული ძალების პირველი შეტაკება. ამ ბრძოლაში განსაკუთრებული წარმატებით იმოქმედა ერეკლეს არტილერიამ. მტერმა დიდი ზარალი განიცადა. აღა-მაჰმად ხანი შეშინდა და უკან დაიხია, საქართველოდან წასვლა გადაწყვიტა. მაგრამ ქართველი ხალხის მოღალატეებმა მას აცნობეს, რომ ერეკლეს მცირე ჯარი ჰყავს და მისი დამარცხება არ უნდა გაგიჭირდესო. 11 სექტემბერს კრწანისის სანახებში გენერალური ბრძოლა გაიმართა. მოხუცმა მეფემ თვითონ უჩვენა თავის რაზმებს გმირობისა და თავდადების მაგალითი. შეტევაზე გადაიყვანა თავისი მცირერიცხოვანი ლაშქარი. კარგა ხანს უპირატესობა ქართველთა მხარეს იყო, მათ ათასობის სპარსელი გამოასალმეს სიცოცხლეს. მაგრამ შაჰმა ბრძოლაში რეზერვი ჩართო ქართველები შეავიწროვა, თვით მეფეც კი აღმოჩნდა ტყვედ ჩავარდნისა და დაღუპვის საფრთხის წინაშე. იგი გადაარჩინა შვილიშვილმა იოანე გიორგის ძემ, რომელმაც მტრის ალყა გაარღვია და პაპა ბრძოლის ველიდან უვნებლად გამოიყვანა.

მეფე ერეკლე, მართალია, კრწანისის ბრძოლაში დამარცხდა, მაგრამ აღა-მაჰმად ხანმა პიროსის გამარჯვება მოიპოვა. მან 13 ათასი კაცი დაკარგა. ქართლ-კახეთის მეფე ირანის შაჰობის მაძიებელს არ დაემორჩილა, არც რუსულ ორიენტაციაზე აიღო ხელი. ხანმა ჯავრი თბილისსა და თბილისელებზე იყარა, ქალაქი ნაწგრევებად აქცია, ბევრი ხალხი ამოხოცა და დაატყვევა.

საქართველოს შინაგან ძალთა დაქსაქსულობა და მფარველ-მოკავშირის დანაშაულებრივი გულგრილობა იყო თბილისზე თავდატეხილი ტრაგედიის მიზეზი. ერეკლეს საფუძველი ჰქონდა პროტესტი გამოეთქვა რუსეთის მიერ გიორგიევსკის ტრაქტატის მთავარი მუხლის დარღვევის გამო, მაგრამ თავი შეიკავა და სცადა საქართველოსკენ რუსეთის უფრო აქტიური შემობრუნება. ამას დადებითი შედეგი თითქოს მოჰყვა. როცა ეკატერინე მეორემ მიიღო ინფორმაცია აღა-მაჰმად ხანის მიერ კასპიის ზღვაში რუსული გემების დაკავების და რუსი ვაჭრების გაძარცვის შესახებ, მყისვე გამოუცხადა ომი ირანს. 1796 წლის გაზაფხულს რუსეთის 30 ათასიანმა არმიამ გენერალ ზუბოვის სარდლობით სპარსეთის საზღვარი გადალახა. მეფე ერეკლე თავის ლაშქრით ავანგარდში ჩადგა და აღა-მაჰმად ხანს რევანშის

აღებით ემუქრებოდა. მაგრამ მოულოდნელად ეკატერინე II გარდაიცვალა. მისმა შვილმა იმპერატორმა პავლემ ირანს ლაშქრობა გააუქმა, ჯარი უკან გაიწვია. ამით გახარებული და საქართველოს დასაპყრობად ხელმეორედ ამხედრებული აღა-მაჰმად ხანი ყარაბაღში დაიღუპა შეთქმულთა ხელით. საქართველომ ერთხანს მშვიდობიანობა შეინარჩუნა.

1798 წლის 11 იანვარს ერეკლე II გარდაიცვალა. თან წარიტანა დარდი საქართველოზე, რომლის აწმყო უნუგეშო იყო, ხოლო მომავალი ჯერ კიდევ გაურკვეველი. ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე დაჯდა ერეკლეს უფროსი ვაჟი (პირველი ცოლისაგან) გიორგი XII. ქვეყანაში მყისვე ატყდა შინადინასტიური ბრძოლა. გიორგის დედინაცვალს დედოფალ დარეჯანს და მის ვაჟებს სურდათ ძალაში შესულიყო მეფის მემკვიდრის შესახებ ერეკლეს მიერ ბოლო ხანს შედგენილი ახალი წესი, რომლის თანახმად სამეფო ტახტი მამიდან უფროს ვაჟზე კი არ უნდა გადასულიყო, არამედ ბაგრატიონთა გვარის უფროს წარმომადგენელს უნდა დაეკავებინა. დარეჯან დედოფალი (არსებობს ვერსია, რომ ტახტის მემკვიდრეობის ახალი წესი ერეკლემ დარეჯანის რჩევით დაამტკიცა) იმისათვის იღწვოდა, რომ გიორგის გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე მისი პირმშო იულონი ასულიყო. გიორგი XII-ს კი სურდა მომავალში მეფის გვირგვინი თავზე დაედგა მის უფროს ვაჟს დავითს.

გიორგიევსკის ტრაქტატი, როგორც აღინიშნა, ითვალისწინებდა ქართლ-კახეთის ახალი მეფის დამტკიცებას რუსეთის იმპერატორის მიერ. გიორგი მეთორემეტემ, როცა სათანადო შუამდგომლობა აღძრა, თავის მემკვიდრედ დავითის დამტკიცებაც მოითხოვა. იმპერატორმა პავლემ დააკმაყოფილა გიორგის სურვილი, რამაც მისი ნახევარძმების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. შინადინასტიური ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა.

მეფე გიორგი კარგად ხედავდა, რომ გიორგიევსკის ტრაქტატმა ქართლ-კახეთს მშვიდობის ნაცვლად მაჰმადიან მეზობლებთან კიდევ უფრო გახშირებული ომიანობა და ნგრევა მოუტანა. „მფარველად" მოვლენილი სახელმწიფოს უფრო მეტი დაინტერესების მიზნით მან გადაწყვიტა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებაში ისეთი კორექტირება შეეტანა, რომელიც საშუალებას მისცემდა გარედან მოსულ ძალას ქართლ-კახეთის საშინაო საქმეში ჩარეულიყო, მისი მმართველობა რუსულ ყაიდაზე გარდაექმნა, მეტი სამხედრო ძალა გამოეგზავნა ქვეშევრდომად გადაქცეული მეფისა და ხალხის დასაცავად.

1800 წლის ივნისში გიორგი XII-ის დავალებით ქართველმა

ელჩებმა (გარსევან ჭავჭავაძე, გიორგი ავალიშვილი, ელიაზარ ფალავანდიშვილი) რუსეთის იმპერატორს წარუდგინეს გიორგიევსკის ტრაქტატის შემცველი ხელშეკრულების პროექტის მონახაზი, რომლის ძირითადი მუხლები ასეთი იყო: 1) მეფე გიორგის, ქართლ-კახეთის დიდებულების, სამღვდელოებისა და ხალხის სურვილია გახდნენ რუსეთის ხელმწიფის ერთგული ქვეშევრდომები და დაემორჩილონ რუსეთის კანონებს; 2) გიორგი XII და მისი მემკვიდრენი შეინარჩუნებენ სამეფო ტახტს, მეფე იქნება უპირველესი ხელისუფალი საქართველოში; 3) რუსეთის მთავრობა ქართლ-კახეთის დასაცავად გამოგზავნის საკმაო რაოდენობის ჯარს; 4) საქართველოში მოჭრილ მონეტებს ერთ მხარეს ექნება ქართლ-კახეთის სამეფოს ღერბი, მეორე მხარეს რუსეთისა; 5) ქართლ-კახეთის მოსახლეობის ყველა წოდება უფლებრივად გაუთანაბრდება რუსეთის შესაბამის წოდებებს; 6) ქართლ-კახეთის მოსახლეობას რამდენიმე წლით მიეცემა შეღავათი გადასახადების გაღებაში.

აღნიშნული პროექტის მიხედვით, ქართლ-კახეთი რუსეთის იმპერიის ნაწილი ხდებოდა, მაგრამ მისი მეფე ყველა თავის ხელმწიფოურ უფლებაზე როდი ამბობდა უარს. უთმობდა რა რუსეთის იმპერატორს საკანონმდებლო ხელისუფლებას, გიორგი XII ბაგრატიონთა დინასტიისათვის აღმასრულებელი ხელისუფლების დატოვებას მოითხოვდა. პირობას დებდა, რომ სახელმწიფოს შინაგან მართვა-გამგეობას ის და მისი მემკვიდრენი რუსული კანონების საფუძველზე წარმართავდნენ. ერთი სიტყვით, გიორგი XII-ის სურვილით ქართლ-კახეთი რუსეთის იმპერის შემადგენლობაში უნდა შესულიყო შეზღუდული ავტონომიური სახელმწიფო ერთეულის სახით, რომელიც უკვე აღარ შეიძლება ყოფილიყო საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.

იმპერატორმა პავლემ მოიწონა ქართლ-კახეთის მეფისა და მის მოხელეთა წინადადება. იგი რუსეთ-საქართველოს ორმხრივი ხელშეკრულების საფუძვლად მიიჩნია. ახალი ხელშეკრულება იმის მაუწყებელი უნდა ყოფილიყო, რომ ქართლ-კახეთის შეერთება რუსეთთან ნებაყოფლობით მოხდა, რომ ძალდატანებას რუსეთის მთავრობის მხრიდან ადგილი არ ჰქონია. რუსმა მოხელეებმა პროექტში ზოგიერთი ცვლილება შეიტანეს და ქართველი ელჩები უკან გამოისტუმრეს.

მაგრამ მოვლენები საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში ისე განვითარდა, რომ რუსეთი გამოეთიშა ანტიფრანგულ კოალიციას, საფრანგეთის პირველი კონსულის ნაპოლეონ ბონაპარტეს მოკავშირე გახდა. იმპერატორმა პავლემ მიზნად დაი-

სახა ინგლისის ძლიერებისათვის ინდოეთში ჩაეცა მახვილი და ამ შორეულ ქვეყანაში ჯარის გაგზავნა გადაწყვიტა. ასეთ სიტუაციაში საქართველოს როგორც სტრატეგიული პლაცდარმის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა და რუსთა ხელმწიფემ აღარ დაუცადა ორმხრივი აქტის გაფორმებას, ცალმხრივად, ერთპიროვნული ბრძანებით გადაწყვიტა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან მიერთების საკითხი. 1800 წლის 15 ნოემბერს იმპერატორმა პავლემ კავკასიის სამხედრო ხაზის სარდალს გენერალ კნორინგს გაუგზავნა ასეთი შინაარსის წერილი: „ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის ჯანმრთელობის შესუსტება საფუძველს გვაძლევს ველოდოთ მის მალე გარდაცვალებას. ამიტომ დაუყოვნებლივ გაუგზავნე საიდუმლო წერილი საქართველოში მდგარი ჩვენი პოლკის უფროსს გნერალ ლაზარევს, რომ უმაღლესი ბრძანების მიღებამდე არ დაუშვას ტახტის მემკვიდრის გამეფება". ხოლო 1800 წლის 18 დეკემბერს იმპერატორმა ხელი მოაწერა საქართველოს რუსეთთან მიერთების მანიფესტს, რომლის საქართველოში დაუყოვნებლივ გამოქვეყნებისაგან თავი შეიკავა. ამგვარად, როცა ქართლ-კახეთის მეფე სასიკვდილო სარეცელზე იწვა, ხოლო ქართველი ელჩები ორმხრივი ხელშეკრულების პროექტით სამშობლოში ჯერაც არ ჩამოსულიყვნენ, პეტერბურგში დაარღვიეს 1783 წლის ტრაქტატიც და 1800 წლის ხელშეკრულების პროექტიც. ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობა არსებითად იცვლებოდა.

1800 წლის 28 დეკემბერს აღსრულდა იმპერატორ პავლეს წინასწარხედვა: გიორგი XII გარდაიცვალა. გენერალმა ლაზარევმა შეასრულა უზენაესი ბრძანება. ტახტის მემკვიდრე დავითის გამეფება არ დაუშვა. შექმნა ქართლ-კახეთის დროებითი მმართველობა, რომელსაც თვითონ ჩაუდგა სათავეში. რუს ხელისუფალთა ამგვარმა საქმიანობამ საქართველოში დიდი შეშფოთება გამოიწვია. თითქმის ყველა ხვდებოდა, რომ აპირებდნენ ბაგრატიონთა საგვარეულოს ლეგიტიმური უფლების დარღვევას, ქართველი ერის ნების უგულვებელყოფას. ბევრმა გონება დაძაბა და ხმალი ალესა, ქართული სახელმწიფოების დაცვისათვის საბრძოლველად შეემზადა.

ამ მომენტისათვის რუსეთის მფარველობაში ყოფნას თითქმის მთელი ქართველი ხალხი უჭერდა მხარს, სამეფოს გაუქმებასა და რუსეთთან უშუალო შეერთებას მხოლოდ ორიოდე რენეგატი მოითხოვდა. მაგრამ ეროვნული სახელმწიფოსა და ბაგრატიონთა ღვთისაგან ბოძებულ უფლებათა დაცვის მომხრეთა შორის ერთნებობა და თანადგომა არ არსებობდა. საზოგადოების

ერთი ნაწილი დავით გიორგის ძის მეფედ კურთხევას მოითხოვდა, მეორე ნაწილი კი იულიონ ერეკლეს ძეს აძლევდა უპირატესობას.

პლატონ იოსელიანი ასახელებს დავითის მომხრეებს და წერს: „მღვიძარენი დაუკარგველობისათვის მეფობისა, მეფის ძენი -- იოანე, ბაგრატ, თეიმურაზ, მიხაილ, სარდალი იოანე ყაფლანიშვილი, ეგნატე იოსელიანი, ალექსანდრე მაყაშვილი, მეისარი თარხნიშვილი და მათ შორის უბრძნესი და ნათლად მხილველი მყობადისა და მომავლისა სოლომონ ლიონიძე სთხოვდნენ და ევედრებოდნენ დავითს წარვიდეს მცხეთას და დაგვირგვინდეს მეფედ" (18, 215). მაგრამ დავით გიორგის ძემ ვერ შესძლო ასეთი გაბედული ნაბიჯის გადადგმა, გადაწყვიტა დალოდებოდა იმპერატორის ბრძანებას მეფედ დამტკიცების შესახებ.

უფრო აქტიურობდა დედოფალ დარეჯანის ირგვლივ შემოკრებილი დასი. იულონი, ვახტანგი, მირიანი და ფარნაოზ ერეკლეს ძენი თავიანთი რაზმებით მუხრანს შეერთდნენ, მიზნად დაისახეს იულონის სვეტიცხოვლის ტაძარში მეფედ კურთხევა, მაგრამ რუსთა ჯარმა უფლისწულები მცხეთაში არ შეუშვა. საომრად შემართულ გენერალ ლაზარევს დარეჯან დედოფალმა ურჩია დაეცვა ერეკლეს ანდერძი, ქართლ-კახეთის მეფედ იულონი გამოეცხადებინა. ლაზარევმა, რა თქმა უნდა, ეს არ ინება. იულონ ერეკლეს ძეს წინადადება მისცა ლაშქარი დაეშალა და იმპერატორის ბრძანებას მშვიდად დალოდებოდა.

პეტერბურგიდან თბილისისკენ გამომგზავრებულმა ქართველმა ელჩებმა არ იცოდნენ, რომ იმპერატორმა პავლემ უკვე 1800 წლის 18 დეკემბერს მოაწერა ხელი ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების მანიფესტს. 1801 წლის 8 იანვარს ისინი „ორმხრივი აქტის" პროექტით თბილისში შემოვიდნენ. რაკი მეფე გიორგი ცოცხალი არ დახვდათ, იმპერატორის მიერ მის მემკვიდრედ დამტკიცებულ უფლისწულ დავითს წარუდგნენ და პეტერბურგში გამართული მოლაპარაკების და რუსეთ-საქართველოს ახალი ხელშეკრულების (პროექტის) შინაარსი გააცნეს. გენერალმა ლაზარევმა მომენტალურ თათბირზე ერეკლეს ვაჟებიც მოიწვია., მაგრამ მათ საბოტაჟს მიმართეს, თბილისში არ შეშოვიდნენ. დავითმა კი იმპერატორისაგან მოწონებული ახალი ხელშეკრულების პროექტის საფუძველზე თავი ქართლ-კახეთის გამგედ გამოაცხადა და აღარ ეჭვობდა, რომ მალე იმპერატორ პავლესაგან მეფედ დამტკიცების სიგელსაც მიიღებდა.

ამ ფაქტებთან დაკავშირებით ნ. დუბროვინი წერს: „ამგვარად უფლისწულმა დავითმა, რომელიც თავდაპირველად მმართ-

ველობას ჩამოაცილეს, ახლა თავის ხელთ აიღო მართვა-გამგეობის სადავეები. გენერალმა ლაზარევმა ვერ შესძლო წინ აღდგომოდა მას, რადგან იმპერატორი, გრაფი როსტორპჩინი და გენერალი კნორინგი დავითს მიმართავდნენ როგორც პირველ პირს. ამ შეცდომამ ბევრი ბოროტმოქმედება და არეულობა გამოიწვია (26, 180). ცარიზმის ეს ოფიციალური ისტორიკოსი აკადემიკოსი ნ. დუბროვინი ყველა მოვლენას რუსეთის ინტერესთა პოზიციებიდან აფასებდა და არ მოეწონა დავით გიორგის ძის გამგედ გამოცდახება, რამაც მცირე ხნით შეაფერხა ქართლ-კახეთში რუსული მმართველობის გახსნა.

1801 წლის 18 იანვარს პეტერბურგში გამოქვეყნდა რუსეთთან საქართველოს (ქართლ-კახეთის) შეერთების მანიფესტი. ორიოდე დღის შემდეგ იმპერატორმა პავლემ კავკასიის ხაზზე მდგარ ჯარის სარდალს კრონინგს მისწერა: „მე მინდა, რომ საქართველო გადაიქცეს გუბერნიად, ახლავე დაექვემდებაროს იგი სენატსა და სინოდს. გუბერნატორად დეე იყოს რომელიმე მეფის გვარიდან, მაგრამ დაგემორჩილოს თქვან (26, 185). იმპერატორმა თავის გენერალს ისიც უბრძანა, რომ შეეტყობინებინა ალექსანდრე ბატონიშვილისათვის, რომ ეპატიებოდა ყველა დანაშაული, თუ გაემგზავრებოდა რუსეთს. ასეთივე წინადადება მისცა უდანაშაულო უფლისწულებსაც. რუსეთს საცხოვრებლად ისინიც მიიპატიჟეს. მაგრამ ეს ჯერ არ ეხებოდა დავით გიორგის ძეს, რომელიც აღიარებული იყო ქართლ-კახეთის დროებით გამგედ და არ იყო გამორიცხული, რომ იმპერატორს იგი დაემტკიცებინა გუბერნატორად.

იულიონი და მისი დასი რუსი გენერლების მორჩილებას არ აპირებდა. ლაზარევმა მიიღო ინფორმაცია, რომ გარდაცვლილი მეფე გიორგის ძმები ცდილობდნენ კახეთში გადასვლას, იქ აჯანყების მოწყობას. მათგან მოსალოდნელი საშიშროების თავიდან აცილების ღონისძიებათა დასახვაში თითქოს ქართლ-კახეთის გამგე დავითიც ჩაერია; ლაზარევს შეახსენა, იმპერატორს ერთი ბრძანებით შეუძლია სიტუაცია განმუხტოს, თუ მეფედ მე დამამტკიცებს, ერეკლეს ძეთა გეგმა ჩაიშლებაო. მე როგორს სამეფო ტახტის მემკვიდრე გავილაშქრებ ბიძის წინაღმდეგ და ომარ ხანის შემოსევასაც თავიდან აგაცილებთო.

რუსი გენერლები, რა თქმა უნდა, არ იწონებდნენ დავითის ამბიციებს და პრეტენზიას სამეფო ტახტის მიმართ, მის გამგებლობასაც მხოლოდ დროებით ითმენდნენ. მაგრამ აქტიურად იბრძოდნენ ისინი დავითის ბიძების ანტირუსული საქმიანობის აღკვეთისათვის. 1801 წლის 29 იანვარს გენერალი კრონინგი ლაზა-

რევს სწერდა, რომ უფლისწულები ურჩობას განაგრძობდნენ. რაკი არაა მათი დაწყნარების იმედი, საიდუმლოდ გწერ: 1) სასწრაფოდ დაადგინე ვინ ავრცელებს ყალბ ცნობებს ერეკლეს ანდერძისა და იულიონის გამეფების შესახებ იმ მიზნით, რომ ხალხი ააბუნტოს. დაარწმუნე თავადაზნაურობა და ხალხი ამ ხმების გამავრცელებელთა დამნაშავეობაში; 2) თუ ვინმე გაბედავს აშკარა წინააღმდეგობას, მყისვე დააპატიმრეს; 3) ბატონიშვილი ვახტანგი, როგორც ჩემთვის ცნობილია, პირველია ასეთ უწესრიგობათა გამონვევაში, ეცადე დააპატიმრო იგი; 4) გააფრთხილე ქართველები, რომ არ დაიშვება შეიარაღებული ხალხის შეკრება. თუ მაინც გამართავენ თავყრილობებს, ძალის გამოყენებით დაშალე, მეთაურები დააპატიმრე (46, 317-318).

1801 წლის 16 თებერვალს გენ. ლაზარევმა ქართველი ხალხის ზედაფენის წარმომადგენლები მიიწვია სიონის ტაძარში და ნირვის შემდეგ გააცნო მათ რუსეთთან საქართველოს შეერთების მანიფესტი. ნ. დუბროვინი გვარწმუნებს, რომ ქართველები სიხარულით შეხვდნენ ამ ფაქტს. ამ სიხარულს თითქოს ქართლ-კახეთის გამგე დავითი და მისი ძმებიც იზიარებდნენ (26, 199-201). თუ უფლისწულების განწყობილება მართლაც ასეთი იყო, გამოდის, რომ მათ შეერთების მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების აქტად არ მიუჩნეევიათ. ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დაკარგული იმპერატორ პავლესადმი ნდობა, რუსეთის შემადგენლობაში ავტორომიის შენარჩუნების იმედი. ასეთი რწმენის საფუძველს ის იძლეოდა, რომ იმპერატორის ადრინდელ სიგელში გამოთქმული იყო ორმხრივი აქტის გაფორმების სურვილი და ქართველი პოლიტიკოსებისაგან მოწონებული ხელშეკრულების სათანადო პროექტი ქართველმა ელჩებმა უკვე წაიღეს პეტერბურგში. იმპერიის დადაქალაქში მას იმპერატორი დაამტკიცებდა, რის შემდეგაც ავტონომიური ქართლ-კახეთის მეფედ დავით გიორგის ძე ბაგრატიონი გამოცხადდებოდა.

დავით გიორგის ძის ბიძები იულიონი, ფარნაოზი და ალექსანდრე მანიფესტის გამოცხადების დღეს თბილისში არ იმყოფებოდნენ. თავის საუფლისწულოში (დუშეთი) მყოფი ვახტანგიც თითქოს კმაყოფილებით შეხვდა ამ აქტს და იმერეთში გადახვეწილ იულიონს და ფარნაოზს ურჩია თბილისს დაბრუნება. მაგრამ ამ უკანასკნელებმა უნდობლობა გამოუცხადეს რუს გენერლებს, დავითს კი შემოუთვალეს თავს იტყუებ, ხარობ მემკვიდრის ტიტულით და კარგავ სამეფოს (26, 202-203).

ქართლ-კახეთის დროებითი გამგებელი დავითიც არ ენდობოდა მთლიანად რუსეთის მთავრობას. ზოგიერთ მომენტში ლა-

ზარეეს პირდაპირ ეუბნებოდა, რომ ამჩნევს რუსული ხელისუფლების პოლიტიკაში მომხდარ ცვლილებებს, ხედავს, რომ ირღვევა გიორგი XII-ის სურვილი. მართალიც იყო. რუსეთის დედაქალაქში ახალი პროვინციის მართვა-გამგეობის პროექტს ამუშავებდნენ. მსჯელობდნენ ალმოსავლეთ საქართველოს გენერალ გუბერნატორსა და ვიცეგუბერნატორებზე, რუსული მმართველობის სტრუქტურის შესახებ. მაგრამ იმპერატორ პავლეს შეთქმულთა ხელით მოკვლამ დააბრკოლა ამ ღონისძიებათა განხორციელება.

რუსეთის საიმპერატორო ტეხტზე ასულ ალექსანდრე პირველს მყისვე გაუგზავნეს თხოვნები დავით გიორგის ძემ და დარეჯან დედოფალმა. წერილებში საქართველოს რუსეთთან მიერთების მანიფესტი არც იყო ნახსენები. დავითი შეახსენებდა ახალ იმპერატორს, რომ მამათქვენმა უკვე დამამტკიცა ტახტის მემკვიდრედ, ახლა თქვენგან მეფედ დამტკიცებას ველოდებიო. დარეჯან დედოფალი კი ითხოვდა ქართლ-კახეთის მეფედ იულიონ ერეკლეს ძის გამოცხადებას. მაგრამ იმპერატორმა საქართველოს საკითხი განსახილველად სახელმწიფო საბჭოს გადასცა. 1801 წლის 11 აპრილს რუსეთის სახელმწიფო საბჭომ დაადგინა: 1) დატოვებულ იქნას საქართველოში იქ მყოფი რუსეთის ჯარის ნაწილები; 2) შეიქმნას ქვეყანაში დროებითი რუსული მმართველობა; 3) საქართველოში გაიგზავნოს გუბერნატორი, რომელიც შეითავსებს სამხედრო და სამოქალაქო მმართველობას. საბჭოს წევრები ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ უთანხმოება ბაგრატიონთა შორის ტახტის მემკვიდრეობის გამო ქვეყანას დამღუპველი შინა ომით ემუქრებოდა. იმასაც არ მალავდნენ, რომ იმპერიის ღირსება მოითხოვდა უკვე შემოერთებული ქვეყნის შენარჩუნებას. მისი შემომატება უზრუნველყოფს რუსეთის სამხრეთი საზღვრების უშიშროებას და საშუალებას მოგვცემს ავლაგმოთ მთის ხალხების თვითნებობა (26, 216).

არაოფიციალური კომიტეტის წევრები და თვით იმპერატორი მთლიანად როდი იზიარებდნენ სახელმწიფო საბჭოს თვალსაზრისს. ალექსანდრე პირველს ეჭვი ეპარებოდა საქართველოს რუსეთთან მიერთების სამართლიანობაში, რადგან არც ერთი დოკუმენტიდან არ ჩანდა, რომ ქართველები ნებაყოფლობით შედიოდნენ რუსეთის ქვეშევრდომობაში. ორმხრივი ხელშეკრულება, რასაც ქართველი პოლიტიკოსები მოითხოვდნენ გაფორმებული არ ყოფილა, ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების მანიფესტი კი უკვე გამოქვეყნდა. იმპერატორი სახელმწიფო საბჭოს წინაშე ასე სვამდა საკითხს: „საქართველოს მიღება რუ-

სეთის ქვეშევრდომობაში განა უსამართლობა არ იქნება ამ სამეფოს ტახტის მემკვიდრეთა მიმართ?" მონარქიული ლეგიტიმიზმის ერთგული ალექსანდრე I თითქოს ბაგრატიონთა დინასტიის ინტერესების დამცველად გამოდიოდა. ეუხერხულებოდა წაერთმია მათთვის ღვთისაგან ბოძებული მეფობა. მაგრამ მალე ცხადი გახდა, რომ ეს მხოლოდ ლამაზი და ყალბი ფრაზა იყო. იმავე ალექსანდრე პირველმა არც კი მოუსმინა ქართველ ელჩებს, რომელნიც ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმებას და ერთ-ერთი უფლისწულის ქართლ-კახეთის მეფედ დამტკიცებას სთხოვდნენ (20, 24-25).

პეტერბურგში დაბრუნებულმა ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა გარსევან ჭავჭავაძემ, გიორგი ავალიშვილმა და ელიაზარ ფალავანდიშვილმა, რაკი იმპერატორი პავლე ცოცხალი არ დახვდათ, 1801 წლის აპრილში ალექსანდრე პირველს სთხოვეს გიორგი XII-ის მიერ დაპროექტებული და პავლე პირველის მიერ კორექტირებული ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმება. ეს დოკუმენტი 20 მუხლისაგან შედგებოდა. პირველ მუხლში ისაა აღნიშნული, რომ ქართლ-კახეთი ნებაყოფლობით უერთდება რუსეთს, მისი მეფე და ხალხი ხდება რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომი. იმპერიაში ნებაყოფლობით შესული ქართველი ხალხი ისეთივე უფლებებით აღიჭურვება, როგორითაც სარგებლობდნენ იმპერატორის ძველი ქვეშევრდომი რუსები. დაცული იქნება ქართლ-კახეთის სამეფო გარეშე მტერთა თავდასხმისაგან. მეორე მუხლი ღაღადებს, რომ რუსეთის იმპერატორი „კეთილ ინებებს" და საქართველოს მმართველად დაამტკიცებს ტახტის კანონიერ მემკვიდრეს, რომელიც მიიღებს იმპარეტორის მოადგილის და საქართველოს მეფის ტიტულს. საქართველოს მეფის თანაშემწედ ინიშნება რომელიმე რუსი დიდებული, მოხელე, რომლის ჩარევისა და თანხმობის გარეშე მნიშვნელოვანი საკითხები ვერ გადაწყდება. ყველა დადგენილებას პირველად ხელს ეს თანაშემწე მოაწერს, შემდეგ კი მეფე. ასე გაგრძელდება მანამდე, ვიდრე ქართველები მიეჩვევიან რუსული კანონების მიხედვით ქვეყნის მართვა-გამგეობას (44, 195-197).

ორმხრივი ხელშეკრულების თანახმად არა მარტო ქართლ-კახეთის მეფის სუვერენული უფლებები იზღუდებოდა, არამედ მისი მოხელეებისაც. ყველა მნიშვნელოვან დაწესებულებაში, მართალია, მეთაურად ქართველები უნდა დანიშნულიყვნენ, მაგრამ მათ საქმიანობაზე გარკვეული კონტროლი ევალებოდათ მოადგილეებად დანიშნულ რუს მოხელეებს. ორმხრივ დაქვემდება-

რებაში ექცეოდნენ სასამართლო, პოლიცია და სხვა სახის დაწესებულებები. იქმნებოდა ცენტრალური სასამართლო დეპარტამენტი თბილისში და მისი ფილიალები რეგიონებში. ძალას ინარჩუნებდა ტრადიციული ზეპირი სასამართლო, რომელიც სწრაფად გაარჩევდა სამოქალაქო სამართლის საქმეებს. საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად იქმნებოდა შერეული ქართულ-რუსული პოლიცია. ხელშეკრულების თანახმად ქვეყნის საზღვრების გასწვრივ მდებარე მიწები უნდა ჩამორთმეოდა უფლისწულებს, დედოფლებსა და თავადებს, გადასცემოდა სახელმწიფო ხაზინას. საზღაურს ისინი მიიღებდნენ ხელფასის ან პენსიის სახით. საზღვრებზე უნდა აშენებულიყო ციხე-სიმაგრეები, მოწყობილიყო საბაჟოები. იმპერიის ახალ ქვეშევრდომებზე არ გავრცელდებოდა რუსული ყაიდის სამხედრო ბეგარა. ქართველებს რამდენიმე ხნით შეღავათები მიეცემოდათ გადასახადების გაღებაში (45, 198-209).

ალექსანდრე პირველმა, ვიდრე ქართველი ელჩებისაგან წარდგენილ ორმხრივ ხელშეკრულებას დეტალურად განიხილავდა, საქართველოში შექმნილ სიტუაციის შესასწავლად გამოგზავნა გენერალი კნორინგი. მას პასუხი უნდა გაეცა შემდეგ კითხვებზე: 1) შეუძლია თუ არა საქართველოს (ქართლ-კახეთს – ა. ბ.) თავის შიგანანი ძალებით წინ აღუდგეს სპარსეთის პრეტენზიებს, მოიგერიოს მთიელ ხალხთა თავდასხმები და აღკვეთოს შინადინასტიური დაპირისპირებანი, რაც ქვეყანას შინა ომით ემუქრება; 2) საკუთარი რწმენით და სამშობლოს სარგებლიანობის სურვილით მივიდა თუ არა საქართველოს მეფე (გიორგი XII – ა. ბ.) რუსეთთან შეერთების აუცილებლობის შეგნებამდე, ერთხმად უჭერდა თუ არა მხარს ამ გადაწყვეტილებას მაღალი წოდება და ხალხი.

გენ კნორინგს თბილისში ჩამოსვლისთანავე საუბარი გაუმართა უფლისწულმა დავითმა თავის ხელმმწიფური უფლებების შესახებ. შეახსენა მას, მამაჩემი იმ პირობით უერთებდა თავის ქვეყანას რუსეთს, რომ მის მემკვიდრეებს სამეფო ტახტი შეუნარჩუნდებოდა. გენერალს ისიც სთხოვა, უფლება მომეცი პეტერბურგს ჩემი პირადი წარმომადგენელი გავგზავნო, რომელიც იმპერატორს გადასცემსო ჩემს თხოვნას მეფედ დამტკიცების შესახებ. რუსეთის იმპერატორის დესპანმა კნორინგმა არა თუ დააკმაყოფილა ქართლ-კახეთის გამგის თხოვნა, არამედ გადააყენა თანამდებობიდან და ქართველ ხალხს აუწყა, რომ მეფე გიორგის გარდაცვალების შემდეგ დავითმა ბევრი არასასურველი ცვილებები განახორციელაო. ამიტომ იქმნება დროებითი მმართ-

ველობა გენერალ ლაზარევის თავმჯდომარეობით (წევრები – ზაალ ბარათაშვილი, ეგნატე თუმანიშვილი, იონე ჩოლოყაშვილი, დარჩია ბებუთოვი). მათ უნდა შეისწავლონ საქართველოს გამგის დავითის ანტირუსული და ანტიქართული საქმიანობა. მათვე საუფლისწულო მამულები უნდა ჩამოართვან იმერეთში გახიზნულ იულონსა და ფარნაოზს. დროებითი მმართველობა სამოქალაქო სამართლის საქმეებს თვით გაარჩევს, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებს მე გადმომიგზავნისო კავკასიის სამხედრო ხაზის რეზიდენციაში (26, 223-225).

ამ ამბებით განაწყენებულმა დავითმა თავის გარემოცვისა და ხალხის საყურადღებოდ განაცხადა, რომ გენ. კნორინგი თვითნებურად მოქმედებს, არღვევს რუსეთის იმპერატორის ნებას, რაც ბაგრატიონთა მეფური უფლებების აღიარებაში გამოიხატებაო.

გენერალი კრონინგი, მართალია, სრულიადაც არ თელიდა საჭიროდ ანგარიში გაეწია ქართველი ხალხის სურვილისათვის. მაგრამ მიზანშეწონილად მიიჩნია რუსული მართვა-გამგეობის შემოღებაზე ქართლ-კახეთის ზოგიერთ დიდკაცთა დასტურის მიღება. ამიტომ მისი მითითების თანახმად საქართველოში უკვე ჩამოსული რუსი ხელისუფალნი იყენებდნენ მოსყიდვისა და დაშინების მეთოდს. ამასთან დაკავშირებით ბაგრატ ბატონიშვილმა თავის თხზულებაში ჩაწერა: „ხოლო მას ჟამსა ღენერალს ლაზარევს მუნ მყოფსა ებირნა რაოდენიმე გვამნი მეფისა ორგულნი, ...ამათ ათქმევინა უარყოფა მეფისა და გახსნა რუსეთისა მართებლობისა, რომლის მსმენელმან კნორინგმა მიუღო დავითს მეფობა და დახსნა თავისნი მსაჯულნი ვიდრე გახსნამდე ღუბერნიისა" (27, 79).

იმერეთში გახიზნული უფლისწულები იულიონი და ფარნაოზი ჯერ კიდევ 1801 წლის მარტში დარწმუნდნენ იმაში, რომ რუსეთის მთავრობა არ აპირებდა დავით ბაგრატიონის მეფედ კურთხევას, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება ჰქონდა გადაწყვეტილი. ეს მათთვის და ყველასათვის კიდევ უფრო ცხადი გახდა მას შემდეგ, რაც გენერალმა კრონინგმა მმართველობის სადავეებს მთლიანად ჩამოაშორა დავითი და ლაზარევის მეთაურობით დროებითი მმართველობა ჩამოაყალიბა. ბიძა-ძმის წულები და მათი მომხრე დასები მიხვდნენ, რომ ერთმანეთთან შინა დინასტიური ბრძოლით დაკავებულთ სამეფო ხელიდან ეცლებოდათ. საფრთხე რეალური იყო და იგი, რომ თავიდან აეცილებინათ, გადაწყვიტეს ერთმანეთთან ქიშპი შეეწყვიტათ. ქართლ-კახეთის სამეფოს შენარჩუნებისათვის გაერთიანებული ძალებით ემოქმე-

დათ. უფლისწულებმა ერთმანეთს შეჰფიცეს – ყველაფერი გაეკეთებინათ იმისათვის, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა არ გაუქმებულიყო, ბაგრატიონთა გვარს ღვთისაგან ბოძებული მეფური (დინასტიური) უფლება არ დაეკარგა. იმაზეც შეთანხმდნენ მეფედ ის გამოეცხადებინათ, ვისაც დიდი ერეკლეს ქვრივი დარეჯან დედოფალი დაასახელებდა. სპარსეთს გადახვეწილმა ალექსანდრე ერეკლეს ძემ დავით გიორგის ძეს მოსწერა, რომ მზად იყო შესარიგებელად, მასთან ერთად რუსი გენერლების წინააღმდეგ საბრძოლველად. თავის მხრივ დავით გიორგის ძე და მისი ძმები პირობას დებდნენ, რომ ბიძებთან შეთანხმებით იმოქმედებდნენ, ქართულ სახელმწიფოებრიობას დაიცავდნენ. ადგილობრივი რუსული ხელისუფლება, რომელსაც თითქმის ყველა უფლისწული ზედამხედველობის ქვეშ ყავდა აყვანილი, ბაგრატიონთა გაერთიანებამ ფრიად შეაშფოთა. მათ შიშს ისიც აძლიერებდა, რომ ქართული სამეფო სახლის წევრები, თავიანთი დაზვერვის გააზრებული მოქმედების წყალობით, ხშირად კავკასიელ რუს მოხელეებზე უკეთ იყვნენ ინფორმირებული საიმპერატორო კარზე (პეტერბურგში) მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ და ამის შესაბამისად საქმიანობდნენ (19, 7-8).

ქართლ-კახეთის სამეფო სახლის წევრებს ენერგიულად ეხმარებოდა იმერეთის მეფე სოლომონ II. იგი თავიდანვე არ ეთანხმებოდა გიორგი XII-ის პოლიტიკას, დაუშვებლად მიაჩნდა რუსეთის მთავრობისადმი გადამეტებული ნდობა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის განწირვა. მიაჩნდა, რომ გიორგიმ გადაუხვია ერეკლეს გზას, დაარღვია მამის ანდერძი, არსებითად ულალატა ბაგრატიონთა სამეფო სახლს და ქართველ ხალხს. სოლომონმა დროულად მიულოცა ალექსანდრე პირველს საიმპერატორო ტახტზე აბრძანება, თან ისიც მოახსენა საქართველოს (ქართლ-კახეთის) სამეფო სახლის ბედი დიდად მაღელვებს, ერეკლეს შვილების უდებურება ჩემს უბედურებად მიმაჩნიაო... შეინყალეთ, ყოვლად მოწყალეო ხელმწიფეო, სახლი მეფისა ირაკლისა, ფამილია და ძენი მისნი... რათა მიიღოს მეფობა იულიონ, მემკვიდრემან საქართველოსამან (46, 558).

რუსეთის იმპერატორს არსებითად განსხვავებულ წინადადებებს აძლევდნენ კავკასიაში მოსაქმე რუსი გენერლები. უმაღლესი ბრძანებით საქართველოში ჩამოსულმა კნორინგმა 22 დღეში „შეისწავლა" ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა. იმპერატორისათვის გაგზავნილ უქვეშევრდომილეს ბარათში მუქი ფერებით ასახა ქართლ-კახეთში შექმნილი სიტუაცია. მან დამალა ბაგრატიონი უფლისწულების შერიგება და მეფობის შე-

ნარჩუნებისათვის ერთად მოქმედების ფაქტი, ხაზგასმით ის აღნიშნა, რომ მოსალოდნელი იყო ტახტის მემკვიდრეობის გამო ატეხილი შუღლი გადაზრდილიყო შინა დინასტიურ ომში. ბაგრატიონთა შორის დაპირისპირება-ბრძოლაში ამჟამად უპირატესობა აქვსო იულონ ერეკლეს ძეს. მას ეხმარებოდნენ დედა, ძმები, იმერეთის მეფე სოლომონი, რომელმაც დარეჯან დედოფლის წყალობით მიიღო იმერეთის სამეფო ტახტი. დავით გიორგის ძე თავის იმედს ძირითადად რუსეთის ჯარის ბატალიონებზე ამყარებს. თუ რუსეთის ჯარი საქართველოს დატოვებს, ამ მიწაზე მყისვე აბრიალდებაო შინა დინასტიური ომის ცეცხლი. პასუხობდა რა იმპერატორისაგან დასმულ პირველ კითხვას გენერალი კრონინგი წერდა, რომ საქართველოს, ქართველ ხალხს არ შეუძლია საკუთარი ძალით აღკვეთოს შინადინასტიური ბრძოლა და მოიგერიოს გარეშე მტრების შემოსევები. ამ უბედურებათაგან ქვეყანას მხოლოდ რუსეთთან შეერთება გადაარჩენსო.

მოხსენებითი ბარათის მეორე ნაწილში გენ. კრონინგი წერდა, რომ საქართველოს თავადაზნაურობის ნახევარს მაინც სურს საკუთარი მეფისა და მმართველობის შენარჩუნება. თავადაზნაურობის მეორე ნახევარი და თითქმის მთელი ხალხი რუსეთთან საქართველოს უშუალო შეერთების მომხრეაო. რუსული მმართველობის დამყარება არსებითი გარდატეხა იქნება. ამიტომ იგი თანდათანობით უნდა განვახორციელოთო. თავის წინადადება-პროექტში გენ. კრონინგი არც კი ახსენებს ბაგრატიონთა სამეფო ხელისუფლებას, რაზეც აქცენტს აკეთებდნენ ქართველი ელჩები. საქართველო (ქართლ-კახეთი) რუსული გუბერნიის მსგავსად უნდა ჩამოყლიბდეს, ორ პროვინციად და ხუთ მაზრად გაიყოსო. მაზრებში ჩამოაყლიბებული საერობო სასამართლოთა მეთაურებათ რუსი მოხელეები იქნებიან, მათ დაექვემდებარებიან ქართველი მსაჯულები. დასაშვებია სამოქალაქო საქმეების გარჩევა-გადაწყვეტა ხდებოდეს ქართული კანონებისა და ადათ-წესების საფუძველზე. ამისათვის ჩამოყალიბდეს სამოქალაქო სასამართლო ანუ დივანი, რომლის თავმჯდომარე შეიძლება იქნეს რომელიმე უფლისწული, ხოლო წევრებად დაინიშნებიანო თავადური ნარმოშობის მსაჯულები (46, 427-431).

ალექსანდრე I-მა ქართველ უფლისწულთა თხოვნა ყურადღების მიღმა დატოვა. არ მოუსმინა ქართველ ელჩებს, არც კი ჩაიხედა მათ მიერ შედგენილ ორმხრივი ხელშეკრულების პროექტში, რომელიც ითვალისწინებდა ერთ-ერთი ბაგრატიონი უფლისწულის ქართლ-კახეთის მეფედ დამტკიცებას და ახალ ყაიდაზე მოდერნიზებული მმართველობის სისტემის შექმნას. იმ-

პერატორმა არსებითად მოიწონა გენ. კნორინგის მოხსენებითი ბარათი, მისაღებად მიიჩნია მისი წინადადება-პროექტი და განსახილველად გადასცა სახელმწიფო საბჭოს, რომლის სხდომებში საქართველოს წარმომადგენლებს მონაწილეობა არ მიუღიათ. საბჭოს უმრავლესობამ ჭეშმარიტებად მიიჩნია საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის კრონინგისეული შეფასება. დაეთანხმა ამ გენერლის თვალსაზრისს და მიზანშეწონილად მიიჩნია იმპერატორ პავლეს მანიფესტით იმპერიასთან უკვე მიერთებული აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის ქვეშევრდომობაში დატოვება. ამ ახლად შეძენილ ქვეყანაში რუსული მმართველობის შექმნა. განსხვავებული აზრი გამოთქვა მხოლოდ საბჭოს სამმა წევრმა; კოჩუბეი, ვორონცოვი და ჩარტორისკი არ დაეთანხმნენ გენერალ კრონინგისეულ არგუმენტაციას, ქართველი ხალხის განწყობილების მისეულ ინტერპრეტაციას. ამ სამეულმა განაცხადა, რომ არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ თვით რუსეთის ინტერესები იმას მოითხოვს, რომ საქართველო იმპერიის შემადგენლობაში შევინარჩუნოთ ავტონომიური სამეფოს სახით, გეორგიევსკის ტრაქტატის უფლებრივი ნორმების საფუძველზე (9, 816-817).

ალექსანდრე I-მა ამ სამეულს არ მოუსმინა, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს უმრავლესობის დადგენილება დაადასტურა. გააგრძელა მამისეული პოლიტიკა და 1801 წლის 12 სექტემბერს ხელი მოაწერა საქართველოს რუსეთთან შეერთების მეორე მანიფესტს. იმავდროულად დაამტკიცა ქართლ-კახეთის მმართველობის დებულება და მოხელეთა შტატი. ახლად შეერთებული ქართლ-კახეთის და მომავალში დასაპყრობი ტერიტორიების მთავარმმართველად დაინიშნა კავკასიაში მდგარი რუსული ჯარის მთავარსარდალი გენერალი კრონინგი. მას დაუქვემდებარეს სამოქალაქო სამეთა მმართველი და „საქართველოს უზენაესი მთავრობა", რომელიც ოთხი ექსპედიციისაგან (აღმასრულებელი, სამოქალაქო, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის) შედგებოდა. ექსპედიციებს რუსი მოხელეები ჩაუყენეს სათავეში. ხოლო მრჩევლებად, რუსებთან ერთად ქართველი თავადებიც დაინიშნენ.

იმპერატორის მიერ დამტკიცებული დებულების მიხედვით, რუსეთთან ახლად მიერთებულ ქვეყანას, მართალია, საქართველო ეწოდებოდა, მაგრამ ფაქტობრივად იგი ყალიბდებოდა გუბერნიის სახით და ხუთ მაზრად დაიყო. მაზრების მართვა-გამგეობა დააკისრეს კაპიტან-ისპრავნიკებს. ისინი ამ საქმეში იყენებდნენ ე. წ. საერობო პოლიციას, რომელში სამსახურისათვის

ქართველი თავადაზნაურობაც მიიწვიეს. სამაზრო სასამართლოთა თავმჯდომარეებად რუსი მოხელეები დაინიშნენ, ხოლო წევრებად ქართველი თავადები შეიყვანეს. სისხლის სამართლის საქმეები რუსული კანონების საფუძველზე უნდა გარჩეულიყო, სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს კი შეიძლებოდა ქართული კანონების და ადათ-წესების გამოყენებაც.

ზემოხსენებული დებულება, მართალია, ქართლ-კახეთის რუსულ მმართველობაში გარკვეულ ადგილს უთმობდა ქართულ ელემენტს. მაგრამ ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის სურვილი და ქართველ ელჩთა წინადადება-პროექტი არსებითად დაუკმაყოფილებელი დარჩა. გ. ჭავჭავაძის, გ. ავალიშვილის და ე. ფალავანდიშვილის მიერ გიორგი XII-ის მითითებათა შესაბამისად შედგენილი ორმხრივი ხელშეკრულების პროექტით „საქართველო პოლიტიკურ არსებობას, თუმცა შეკვეცილი უფლებებით, რეალურად განაგრძობდა... საქართველოს მმართველობა ქართული რჩებოდა ქართველი მეფითა და ქართველი უფროსებით სათავეში. რუსული ელემენტს აქ მხოლოდ დამხმარე როლი ჰქონდა მიკუთვნებული. საქართველოს მმართველობის რუსული დებულებით კი საქართველოს მმართველობა ქართული კი არა რუსული იყო რუსი მმართველითა და რუსი უფროსებით სათავეში. ქართულ ელემენტს იქ დამხმარე, მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ დებულებით საქართველო პოლიტიკურად აღარ არსებობდა... საქართველო პოლიტიკრი შინაარსისაგან დაცლილი ტერმინი იყო და ის მხოლოდ გარკვეული მოსაზრებით დატოვებული ჩანდა, როგორც დროებითი ზომა" (2, 260-261).

საქართველო-რუსეთის ორმხრივი ხელშეკრულების პროექტი და ალექსანდრე პირველისაგან დამტკიცებული საქართველოს რუსული მმართველობის დებულება რომ არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, ქართველმა პატრიოტებმა იმთავითვე შეამჩნიეს და ანტირუსული სულისკვეთებით განიმსჭვალნენ. როგორც კი ბაგრატიონი უფლისწულებისა და თავადაზნაურობისათვის ცნობილი გახდა, რომ პეტერბურგში გამოქვეყნებული რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების მანიფესტი არ ითვალისწინებდა ქართველი მეფისა და ქართული მმართველობის დატოვებას, დაიწყო ქართველი ხალხის საპროტესტო მოძრაობა, რასაც გენერალმა კნონინგმა და მისმა ხელქვეითმა ლაზარევმა რეპრესიებით უპასუხეს. დააპატიმრეს ქართველი თავადები მაჩაბელი, ამირეჯიბი და სხვები. ახლად დანიშნულ რუს დიდმოხელეთა ასეთ ძალადობის ფაქტი ქართველებმა შეატყობინეს ჯერ კიდევ პეტერბურგში მყოფ გარსევან ჭავჭავაძეს და

ქართველ მეფეთაგან თავის სრულუფლებიან წარმომადგენლად დანიშნული პირებისაგან მოითხოვეს რუსეთის უზენაესი ხელისუფლების სამართლიანობისაკენ შემობრუნება. თუ ოფიციალური ლონისძიებები უშედეგოდ დარჩა, აქ მივილებთ მომენტის შესაფერის გადაწყვეტილებას, რუს გენერლებისა და ხელისუფალთა „ამგვარ ყიზილბაშურ ქცევას" სათანადო პასუხს გავცემთო (9, 819-820).

ქართველმა ელჩებმა მხოლოდ 12 სექტემბრის მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ გაიგეს, რომ ქართლ-კახეთის ბედი მათი მონაწილეობის გარეშე გადაწყდა. ამ უსამართლობით აღშფოთებული გ. ჭავჭავაძე, გ. ავალიშვილი, ე. ფალავანდიშვილი რუსეთის დიდ მოხელეს თავად კურაკინს სწერდნენ: ჩვენ თავს უბედურად ვთქვლით; ყველაზე მეტად თქვენ იცოდით ჩვენი სურვილი, მისწრაფება, საქმის წარმოება. თქვენთვის გასაგები უნდა იყოს, რომ ასეთი შეერთების წყალობით დავკაგეთ თანამემამულეთა ნდობა და პატივისცემა" (44, 300-301).

ასეთი განცხადების უფლება ქართველ ელჩებს მართლაც ჰქონდათ. ზოგიერთი ქართველი მოღვაწე, შესაძლებელია გარკვეული მოსაზრებით, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებაში ბრალს სდებდა არა რუსეთის იმპერატორსა და მის მოხელეებს, არამედ ქართველ ელჩებს, კერძოდ გარსევან ჭავჭავაძეს. ბაგრატ ბატონიშვილის თხზულებაში ვკითხულობთ: „ჭავჭავაძე გარსევანმა მიართვა წიგნი იმპერატორს პავლეს თვით გაკეთებული სახელსა ზედა მეფისასა, რეცა აღება მეფობისა საქართველოდამ და გახსნა გუბერნიისა. ...მსმენელმა ამისმან იმპერატორმა დაამტკიცა თხოვილი და მიულო მეფობა დავითს და მიუწერა უპირველეს მართებელს კავკასიისა კნორინგს რათა გახსნას საქართველოსა შინა მართებლობა რუსეთისა და დაიპყრან თვისად" (27, 77-78). ბაგრატის ძმა იოანე ბატონიშვილიც იმაში ადანაშაულებდა ქართველ ელჩებს, რომ მათ ბოროტად გამოიყენეს მეფე გიორგი XII-ის ნდობა და გაყიდეს საქართველო (29*).

ასეთი ბრალდებისათვის საფუძველი არ არსებობდა. დოკუმენტური მასალით განსხვავებული რამ მტკიცდება. სწორედ იმ ხანებში (1801 წელს) გარსევან ჭავჭავაძე თავის ნეთესავებსა და მეგობრებს სწერდა: „სამეფო გააუქმეს, ქვეშევრდომებადაც კი არ მიგვიღეს. არავინაა ისე დამცირებული, როგორც ქართველი ხალხი". გ. ჭავჭავაძე ქართველი საზოგადოებისაგან მოითხოვდა გაეგრძელებინათ რუსეთის საიმპერატორო კარზე მისი წარმომადგენლობის ვადა. ერეკლესა და გიორგის სახელოვანი დესპანი გაბედული მოქმედებისაკენ მოუწოდებდა ქართველ თა-

ვადებს – არ შეასრულოთ რუსეთიდან გამოგზავნილი უსამართლო განკარგულებანი, მოითხოვეთო ორმხრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მუხლების შესრულება (47, 304).

თვით ქართველი ელჩები უჩვენებდნენ თანამემამულეებს პრინციპულობისა და გაბედულების მაგალითს. 1802 წლის 27 იანვარს მათ რუსეთის მთავრობას წარუდგინეს ნოტა, არსებითად ულტიმატიები, მოითხოვეს საქართველოდან რუსი მოხელეების გამოწვევა, ქართული მმართველობის ხელუხლებლად დატოვება და ოფიციალური აღიარება. გიორგი XII-ის ელჩებს უხეშად შეახსენეს, რომ მათი უფლებამოსილების ვადა დასრულდა და შეუძლიათ დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყნებში, რომელიც რუსეთის იმპერიის განუყოფელი ნაწილი გახდა (21, 14).

ნაწილი მეორე

ქართველი უფლისწულებისა და ხალხის ბრძოლა მონარქული სახელმწიფოს აღდგენისათვის XIX ს-ის პირველ მესამედში

იმპერატორ ალექსანდრე პირველის მიერ რუსეთთან საქართველოს შეერთების მანიფესტის ხელმოწერისა და ამოქმედების შემდეგ ქართველი ერის ისტორიაში დაიწყო უსახელმწიფო პერიოდი, რომელიც მცირე ინტერვალის გამოკლებით თითქმის 2 საუკუნე გაგრძელდა. ორმხრივი ოფიციალური ურთიერთობა მეტროპოლიისა და კოლონიის ურთიერთობამ შეცვალა.

შეერთების მანიფესტის გამოქვეყნების შემდეგ ქართველმა ელჩებმა იმპერიის დედაქალაქში ფუნქცია დაკარგეს. ერთხანს მათ იქვე გაიბრძოლეს, პროტესტი გამოთქვეს რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც ცალმხრივად დაარღვია ძველი და ახალი ორმხრივი ხელშეკრულება, მოახდინა ქართლ-კახეთის ანექსია. მალე გარსევან ჭავჭავაძე, გიორგი ავალიშვილი და ელიაზარ ფალავანდიშვილი დაბრუნდნენ საქართველოში, სადაც ანტირუსული ეროვნულ-გამანთავისუფლებელი მოძრაობა უკვე დაწყებული იყო და გაფართოვება-გაძლიერების ტენდენციას ამჟღავნებდა. ეროვნულ ძალთა მამობილიზირებელ როლს ასრულებდნენ ბაგრატიონი უფლისწულები. ძირითადად ისინი განსაზღვრავდნენ მშვიდობიანი და არამშვიდობიანი ბრძოლის ფორმებს, მიმართულებასა და მიზანს. შემთხვევითი სულაც არ იყო, რომ გენერალმა ლაზარევმა ჯერ კიდევ 1801 წლის მარტში ურჩია იმპერიის უზენაეს მთავრობას ბაგრატიონთა უფლისწულების რუსეთს გადასახლება. გააფრთხილა – თუ ისინი საქართველოში დარჩნენ მშვიდობა და წესრიგი არ დამყარდებაო.

მალე ამის შემდეგ თბილისში მყოფმა რუსმა მოხელეებმა შეადგინეს ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრთა სია, განსაზღვრეს მათი რუსეთში გადასახლების თარიღი. ერეკლე მეორის ოჯახის სიაში ჩაწერეს უფლისწულები – იულიონი, ვახტანგი, ანტონი (კათალიკოსი), მირიანი, ალექსანდრე, ფარნაოზი, მარიამი, ქეთევანი, ანასტასია, ეკატერინე, თეკლა, ელენე. იქვე აღნუსხეს ერეკლეს შვილიშვილები. ცალკე დააფიქსირეს გიორგი XII-ის ვაჟები და ასულები – დავითი, იოანე, ბაგრატი, სპირიდონი, თეიმურაზი, მიხეილი, ჯიბრაილი, ილია, ოქროპირი, ირაკლი, სოფიო, ნინო, რიფსიმე, გაიანე, თამარი, ანა. იქვე ჩაწერეს გიორგის შვი-

ლიშვილები (46, 47, 65, 199-200). ერთხანს რუსული ხელისუფლება თავს იკავებდა ძალდატანებისაგან, რუსეთში ბაგრატიონთა სახლის ის წევრები გაგზავნეს, ვინც ამაზე ნებაყოფლობით ღათანხმდა. 1803-1805 წლებში და მომდევნო ხანს მოჯანყე ბაგრატიონებს რუსეთში შიშველი ძალის გამოყენებით ისტუმრებდნენ.

რუსულ ხელისუფლებას აშინებდა ქართველი ხალხის მტრული პოზიცია და 1801 წლის 12 სექტემბერს მანიფესტის თბილისში გამოცხადებას აგვიანებდა. ერთხანს „საზოგადოებრივ წესრიგს" გენერლები და რუსული ჯარის ბატალიონები იცავდნენ, მხოლოდ 1802 წლის 9 აპრილს შემოვიდნენ თბილისში იმპერატორის მიერ ახალი პროვინციის მართვა-გამგეობისათვის დანიშნული მოხელეები – მთავარმართებელი კნორინგი და მისი ხელქვეითნი, რომელთაც საქართველოში დააბრუნეს ვახტანგ VI-ის მიერ რუსეთში წაღებული წმინდა ნინოს ჯვარი. ქრისტიანობის ამ სიმბოლოს ქართველთა რელიგიურ გრძნობებზე უნდა ემოქმედა. რუს მოხელეებს კი რუსული კანონიერებისადმი პატივისცემა უნდა შთაენერგათ იმპერიის ახალ ქვეშევრდომთა გულსა და გონებაში. რუსული მმართველობა ოფიციალურად და საზეიმოდ გაიხსნა 12 მაისს, როცა სიონის ტაძარში შეკრებილ საზოგადოებას წაუკითხეს ალექსანდრე პირველის მანიფესტი რუსეთთან საქართველოს შეერთები შესახებ. მისი შინაარსის გაცნობამ საქართველოს მოსახლეობის ზედაფენები დაარწმუნა, რომ ქართველ ხალხს საზეიმო არაფერი ჰქონდა. ამიტომ გენერალ კნორინგის მოწოდებამ - დაედოთ ყოვლად მონყალე რუსეთის იმპერატორისადმი ერთგულების ფიცი, ამ „ზეიმის" მონაწილენი აღაშფოთა. თავადთა ერთმა ნაწილმა ხმალზე გაიკრა ხელი, მაგრამ პროტესტანტები მყისვე დააპატიმრეს. რუსეთის საქართველოში ბატონობა რეპრესიებით იწყებოდა. რუსულმა ხელისუფლებამ იმთავითვე სცადა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. მაგრამ თუ მან ეს 1811 წლამდე ვერ მოახერხა, ამაში მთავარი დამსახურება კათოლიკოს-პატრიარქს ანტონ მეორეს მიუძღოდა (31*).

რუსულ მმართველობას, როგორც აღვნიშნეთ, თავიდანვე დაუპირისპირდნენ ქართველი უფლისწულები. მალე მათ მხარი აუბა თავადაზნაურობის დიდმა ნაწილმა. გლეხობას ჯერ-ჯერობით თითქოს არ ჰქონდა უკმაყოფილების მიზეზი. მაგრამ ქვეყნის მართვა-გამგეობაში მომხდარ უჩვეულო ცვლილებებს შიშით უცქერდა და ქართული მონარქიული ხელისუფლების შენარჩუნების სურვილს აშკარად გამოთქვამდა. თავადაზნაურობისა და ხალხის ასეთი განწყობილება იმედით ავსებდა ბაგრატიონთა

საგარეულოს. იგი ბუნებრივად მოექცა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის სათავეში.

საყოველთაოდ აღიარებულია დებულება იმის შესახებ, რომ როცა დიპლომატია, მშვიდობიანი მოლაპარაკება უშედეგოდ მთავრდება, პოლიტიკას შეიარაღებული ბრძოლა, ომი აგრძელებს. ეს დებულება შეიძლება გავავრცელოთ ბაგრატიონი უფლისწულების პოლიტიკურ მოღვაწეობაზე, რომელიც XIX ს-ის პირველ მესამედში ხშირად ერწყმოდა შეიარაღებულ ბრძოლას. რუსეთთან საქართველოს მიერთების მანიფესტის გამოცხადების მეორე დღიდანვე ბაგრატიონები იარაღის ენითაც ალაპარაკდნენ.

1802 წლის ივლისში გენერალი ლაზარევი აუწყებდა მთავარმარველ კნორინგს, რომ შინაპოლიტიკური ვითარება საქართველოში კვლავ გართულდა და იგი საგარეო საფრთხეს გადაენასკვაო. ბაგრატიონი უფლისწულები ცდილობენ გააძლიერონ ხალხის უკმაყოფილება, აამხედრონ რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ. ვახტანგ ერეკლეს ძე ხმებს ავრცელებს, თითქოს და მოსალოდნელია ლეკების შემოსევა და მთიელებს მოუწოდებს შეადგინონ შეიარაღებული რაზმები. ზოგჯერ იგი კიდეც ახერხებს მცირე ლაშქრის ორგანიზებას, რათა მონაწილეობა მიიღოს ბაგრატიონი უფლისწულების საერთო ჩანაფიქრის (მიზნის) განხორციელებაში. ლაზარევი მთავარმმართველს იმასაც აცნობებდა, რომ დავით გიორგის ძე უკვე კარგა ხანია შეუერთდა იულიონ ერეკლეს ძის პარტიას და ეხმარება მას სამეფო ტახტის დაკავებისათვის ბრძოლაში. რამდენიმე დღის წინ დავითი გადავიდა ბორჩალოს მთებში თითქოს კარგ ჰაერზე დასასვენებლად. სინამდვილეში იმას ცდილობს, რომ იქაური თათრები უფლისწულთა საერთო გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში გამოიყენოს. ყველა ამ წამოწყებათა ხელმძღვანელია დედოფალი დარეჯანი, რომლის რეზიდენცია თბილისის უბანი ავლაბარია. იგი ახერხებს თავის მომხრე ხალხის გამხნევებას და რუსულ ორიენტაციაზე მდგარი ადამიანების დაშინებას. დარეჯან დედოფალი საიდუმლო მიწერ-მოწერას, მოლაპარაკებას აწარმოებს ირანს გახიზნულ თავის ვაჟ ალექსანდრესთან, ჩუმჩუმად ფულსაც უგზავნის მას. დედოფალ მარიამს (გიორგი XII-ის ქვრივს – ა. ბ.) ერთი შეხედვით ბევრი არაფერი შეუძლია, მაგრამ თავის ერთგულ პიროვნებებთან ერთად ემზადება ანტირუსული მოქმედებისათვის. თავადაზნაურთა მცირე ნაწილი ჩვენს მხარესაა, მაგრამ დიდი იმედი არც მათი უნდა გვქონდეს. ყაზახისა და ბორჩალოს თათრებიც რუსების წინააღმდეგ არიან განწყობილი.

რუსეთის მტრობა გამოამჟღავნა განჯის ხანმა. შეიძლება ერევნის ხანიც ქართველ უფლისწულთა მხარეს დადგესო (46, 359-360).

იმავე ლაზარევის პატაკებიდან ჩანს, რომ ღელავდა თბილისის მოსახლეობაც. რუსული ხელისუფლების მოწინააღმდეგე პირები ავრცელებდნენ ხმებს, რომ რუსთა ძირითადი ჯარი მალე დასტოვებს საქართველოს. აქ დარჩენილი ბატალიონები კი დარიალის გზის გადაკეტვის გამო რუსეთიდან დახმარებას ველარ მიიღებენო. იგივე ლაზარევი მთავარმმართველს აუწყებდა - ჩემს ხელქვეითებს ბრძანება მივეცი, რომ დააპატიმრონ რუსეთის იმპერატორისათვის მიცემული ერთგულების ფიცის დამრღვევნი. თითქმის უკვე ასაჯანყებლად გამზადებულ თბილისელ მოქალაქეთა დასაშინებლად მეჩვიდმეტე პოლკის ეგერები ავლაბარში განვალაგე, ხოლო დუშეთის მიმართულებით გავგზავნეო შეიარაღებული რაზმები, რომელნიც ჩვენთვის სასურველ გავლენას მოახდენენ მთიელებზე და საშუალებას არ მისცემენ უფლისწულ ვახტანგს გზები გადაკეტოს და ჩვენს წინააღმდეგ იმოქმედოს. იგივე წერილში გენ. ლაზარევი აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა კახეთში, რომელსაც ჩვენი ჯარის მსხვილი შენაერთები უახლოვდებიანო (46, 360).

კახეთში შექმნილი დაძაბული სიტუაციის შესახებ უფრო დეტალურად არის ლაპარაკი გენერალ გულიაკოვის მიერ ლაზარევისათვის გამოგზავნილ პატაკში. კარგად ჩანს, რომ კახელი თავადები სათათბიროდ შეიკრიბნენ, ემზადებოდნენ აჯანყებისათვის. უფლისწული ალექსანდრე ბელაქანში იდგა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაშქრით და ემზადებოდა საქართველოში შემოჭრისათვის. პატაკში ვკითხულობთ: „კახეთის თავადაზნაურობა და ხალხი შფოთავს. თავადთა მიერ მოწვეულ თავყრილობაზე შეიკრიბა 40 ათასი კაცი. შეთქმულნი იმედოვნებენ, რომ მალე შეუერთდებოდნენ იულონი და ფარნავაზი თავიანთი რაზმებით. შეთქმულებისა და აჯანყების მომზადებაში ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ თავადები – სიმონ და დავით ქობულაშვილები (რომელთა ნათესავები გაქცეული იყვნენ სპარსეთში ალექსანდრე ერეკლეს ძესთან), აგრეთვე მათი მიმდევრები. თავადი იოსებ ჭავჭავაძე და მღვდელი ელეფთერი მთელ კახეთში ავრცელებდნენ წერილებს. თავყრილობაზე იწვევდნენ ქართლ-კახეთის სამეფოს შენარჩუნებისათვის ყველა მომხრეებს". გულიაკოვი სინანულით იუწყებოდა, რომ თითქმის არავინ შეხვედრიაო სიამოვნებით საქართველოს მოქცევას რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. თითქმის ყველამ დაარღვიაო იმპერატორისადმი მიცემული ერთგულების ფიცი. სხვა დოკუმენტებში სამე-

ფის აღდგენისათვის შეთქმულ-აჯანყებულთა ხელმძღვანელებს შორის დამატებით დასახელებული არიან გიორგი, დიმიტრი და დავით ჩოლოყაშვილები, ლუარსაბ და ომან ჯანდიერები, ნინია ქავქავაძე, რევაზ ვაჩნაძე (46, 562).

შეთქმულება-აჯანყების პირველი კერები ქიზიყში გაჩნდა. კელმენჩურში გამართული მრავალათასიანი სახალხო კრება რამდენიმე დღე გაგრძელდა. თავადაზნაურობამ და გლეხობის დიდმა ნაწილმა ფიცი დასდო იულიონის ერთგულებაზე, ხელი მოაწერა (ან ჯვარი დასუვა) მისი მეფედ დამტკიცებისათვის გაგზავნილ თხოვნაზე. კერმენჩურელ შეთქმულებს კარგად ესმოდათ, რომ წარმატების წინაპირობა ქართველი ერის ერთიანობა იყო და შიგა კახელებს ასეთი მოწოდება გაუგზავნეს: „აქ კელმანჩურზე შევიყარენით. დავიფიცეთ იულიონის მეფობაზედ... ამ ამბავში რომ ვიყავით, პოდპოლკოვნიკი მოგვიხდა ჯარით და არტილერიით. ჩვენც მაგრად დავხვდით. უკან გაბრუნდა. ახლა თქვენც მაგრად და მხნედ იყავით, გლეხებიც და თავადებიც... ეს ამბავი გალმაც აცნობეთ ყველას... ყოვლად სამღვდელო ნეკრესელო, შენც ამაზე მხნედ უნად იყო, ხალხი გაამხნეო და ფიცით შეჰკრა ხელმწიფის ერთგულებაზედ და იულიონის მეფობაზედ" (46, 363).

ალექსანდრე ერეკლეს ძე თითქმის სრულ ინფორმაციას ღებულობდა კახეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ. იმასაც ცდილობდა, რომ რუსეთის წინააღმდეგ ქართლელებიც აეჯანყებინა. კელმენჩურელი შეთქმულნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ირანში გადახვეწილი უფლისწული ალექსანდრე, რომელიც თავიდანვე მტრულად იყო განწყობილი რუსეთისადმი, ახლაც ამხედრდებოდა მის წინააღმდეგ საბრძოლველად. ვახტანგ ერეკლეს ძეს კი კელმენჩურელები სწერდნენ, რომ დაენგრია ხიდები, გზები, გადაეკეტა უღელტეხილი, რუსეთის ჯარის ახალი ნაწილები არ გადმოეშვა საქართველოში.

კელმენჩურის თავყრილობის ორგანიზატორთა აქტიურ საქმიანობას უშედეგოდ არ ჩაუვლია. მთელი კახეთი, არაგვის ხეობა და ქართლის ნაწილი მღელვარებამ მოიცვა. უფლისწულები ხარობდნენ. მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ დაეკარგათ მიზნის განხორციელების, სამეფოს მშვიდობიანი საშუალებებით აღდგენის იმედი.საბრძოლველად შემართულმა კახელებმაც თადაპირველად თხოვნა-განცხადებით მიმართეს რუსულ ხელისუფლებას. 1802 წლის 21 ივლისს კახელებმა გენერალ გულიაკოვს გაუგზავნეს ასეთი შინაარსის წერილი: საქართველო პატარა ქვეყანა არის. გვებრძოდა ოსმალეთის ხონთქარი, სპარსეთის ყა-

ენი, დაღესტანი. მაგრამ გავუძელით, მათ „ვერც მოშალეს მეფობა, ვერც მოშალეს ეპისკოპოსობა, ვერც მოშალეს თავადობა და გლეხობა". ამ ბოლო დროს მტრებისაგან შევინროვებულმა ჩვენმა მეფემ რუსეთის ხელმწიფეს სთხოვა დახმარება. ინება ყოვლად მონყალე იმპერატორმა და საქართველო რუსეთს შეუერთა, მანიფესტები გვიბოძა. მაგრამ მანიფესტებით აღთქმული დაპირებანი არ აღსრულდა; ქვეყნად მშვიდობა ვერ დამყარდა, თავადაზნაურობა და გლეხთა შევიწროვება ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. არ ვიცით რა დანაშაული გვაქვს. გვინდა ვიცოდეთ ხელმწიფის ნებაა ასეთი, თუ მის დაუკითხავად მოქმედებთ. თუ გავიგებთ, რომ თვითნებობთ, ხელმწიფეს არზას მივართმევთ, გაჭირვებას იმას მოვახსენებთო" (46, 368-369).

გენერალმა გულიაკოვმა კახელებს პასუხი არ აღირსა. რეპრესიები კი გააძლიერა. წერილის მიმტანი და რამდენიმე აქტიური შეთქმული დააპატიმრა. ამით აღშფოთებულმა კახეთის თავადაზნაურობამ და გლეხთა წარმომადგენლებმა გულიაკოვს მეორე წერილი მიართვეს: „დაპატიმრებულ თავადაზნაურთ არაფერი დაუშავებიათ; მთელმა კახეთმა ჯერ რუსთ ხელმწიფის ერთგულებაზე, ხოლო შემდეგ იულიონის მეფობაზე დაიფიცა. ჩვენი სურვილია „იულიონი მეფედ გვიჯდეს და ხელმწიფის ერთგულნი ვიყვნეთ. რაც რუსთა ხელმწიფეს სამსახური ენებებობეს, ჩვენს მეფეს უბრძანოს და ჩვენმა მეფემ ჩვენ გვიბრძანოს და ჩვენი შეძლებით ხელმწიფეს ვემსახუროთ". ამ წერილში გარკვევით არის გამოთქმული ქართველი უფლისწულების, კახელ შეთქმულთა და მთელი ქართველი ხალხის პოლიტიკური პოზიცია. საერთო ქართული მოთხოვნა იყო რუსეთის მფარველობაში შესული ქართლ-კახეთის ავტონომიური სამეფოს აღდგენა.

მოძრაობის მეთაურები მალე დარწმუნდნენ, რომ ადგილობრივ რუსულ ხელისუფლებთან მოლაპარაკებას აზრი არ ჰქონდა. უფლისწულთაგან დამოძღვრილმა შეთქმულებმა კახეთის მოსახლეობას ფიცი დაადებინეს დასახული მიზნის ერთგულებაზე და დაადგინეს იმპერატორისათვის არზის გაგზავნა.

ფიცის ტექსტში ნათქვამია: „ჩვენ ერთობით კახეთსა შინა მცხოვრებლებმა ესე წიგნი და პირობა დავდევით... რუსეთის იმპერატორს მოვახსენოთ მუხლზე დგომითა და ვედრებით, რომ ჩვენზე დიდათ მოჭირნახულეს მეფის ირაკლის ანდერძი დაგვიმტკიცოს და ამ ანდერძის წესით მეფე დაგვისვას და ჩვენის მეფით მათის დიდებულების მფარველობის ქვეშ ვიყვნეთ. ვინც ამაში უკან განსდგეს, წმინდის სამების უარისმყოფელიც იქნება, ბაგრატიონთა ოჯახის მუხანათიცა და ჩვენც ერთობით გადავახდე-

ვინოთ".

იმ დროს ხატზე დაფიცებას დიდი ძალა და მნიშვნელობა ჰქონდა. მის დარღვევას არავინ იკადრებდა. ხალხის მხარდაჭერით გამხნევებულმა მოძრაობის მეთაურებმა იმპერატორისათვის მისართმევად ასეთი თხოვნა შეადგინეს: „უმონყალესო ხელმწიფევ! როდესაც ერთგულებასა ზედა თქვენსა დაგვაფიცეს მყის გამოგვიცხადეს მანიფესტით, რომ ვითომც ჩვენ მოგვეხსენებიოს კარსა წინაშე უდიდებულესისა ხელმწიფისა თქვენისა, მეფე აღარ გვინდა და უმეფოდ შემოვსულვართ მფარველობასა ქვეშე. ეს ფრანციელთა მსგავსი რესპუბლიკაობა იქნებოდა ჩვენგან. ჩვენს მეფეებს რა დაუშავებიათ ჩვენზედა, რომ უარვყოთ... ეს ჩვენი აზრი არ არის, მაცდურთა კაცთაგან მოგონილია. ჩვენი ვედრება ეს არის, რომ ჩვენზე მრავალგვარად გარჯილის და ღვაწლდადებულის მეფის ირაკლის ანდერძი დაგვიმტკიცოთ და ანდერძის წესით მეფე დაგვისვათ და ჩვენის მეფით თქვენს მფარველობის ქვეშ გვამყოფოთ და რაოდენ ჩვენი შეძლება იყოს ისე გვიმსახუროთ" (46. 387).

ეს თხოვნა მონარქისტული ლეგიტიმიზმის პრინციპთა საფუძველზეა შედგენილი. ბაგრატიონი უფლისწულები, თავადაზნაურობა, სამღვდელოება, გლეხთა წარმომადგენლები რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველისათვის წერილის გაგზავნის, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ქართლ-კახეთის ავტონომიური სამეფოს აღდგენის მოთხოვნას ნორმალურ მოვლენად, ღვთის ნების გამოხატულებად მიიჩნევდნენ. საერთაშორისო სამართალიც მათ მხარეზე იყო. რუსმა მოხელეებმა კი ეს მშვიდობიანი მოძრაობა რომლის მიზანი ბაგრატიონთა დინასტიისათვის ღვთისაგან ათასი წლის წინ ბოძებული სამეფო ტახტის დაბრუნება იყო, ანტირუსულ მოძრაობად შეაფასეს, უმძიმეს დანაშაულად გამოაცხადეს და სულაც არ ეთაკილებოდათ მის მონაწილეთა წინააღმდეგ მკაცრი რეპრესიების გამოყენება.

მოძრაობის მეთაურები არ შეუშინდნენ რუსი განერლების უხეშ ზეწოლას, რწმუნება მისცეს გარსევან ჭავჭავაძეს, ხალხის სურვილის შესრულება, იმპერატორისათვის ამ სამართლიანი მოთხოვნის გადაცემა მას დაავალეს. შეთქმულნი საქართველოს მეფეთა ყოფილ ელჩს სწერდნენ: „ხომ იცი ჩვენი აზრი ერთი არის – რომელიც მეფის ირაკლისაგან ანდერძია ის დამტკიცდეს ხელმწიფის მფარველობით და ჩვენგან რაოდენ შესაძლო სამსახური იყოს გვიმსახუროს" (46, 387). მიაღწია თუ არა გარსევან ჭავჭავაძემ იმპერატორამდე, გადასცა თუ არა მას ქართველი ხალხის დიდი ნაწილის თხოვნა, ეს არ ვიცით. მაგრამ ფაქტია, რომ იმპე-

რატორი დათმობაზე არ წავიდა. ალექსანდრე პირველმა რომელიც ძალიან უფრთხილდებოდა ღვთისაგან ბოძებულ თავის ხელმწიფურ უფლებებს, ბაგრატიონებს ანალოგიური უფლებების დაბრუნებაზე უარი უთხრა.

რუსული ხელისუფლების ასეთი ანტილეგიტიმური პოზციის გამო, შეთქმულნი იძულებულნი გახდნენ რუსული უხეში ძალისათვის ქართული ძალა დაეპირისპირებინათ. მეთაურებმა გააძლიერეს თავის იდეათა და განზრახვათა პროპაგანდა. მიზნად დაისახეს სამართლიან მოძრაობაში რაც შეიძლება მეტი ხალხის ჩაბმა, მისი არეალის გაფართოვება. ისინი დაუკავშირდნენ ქართლის თავადებს, არაგვის ხეობის მთიელებს. გაცილებით აქტიურად ამოქმედდნენ იმერეთში გახიზნული იულიონ და ფარნაოზი. საბრძოლველად შეიმართა სპარსეთს გადახვეწილი ალექსანდრე ბატონიშვილი. ჩნდებოდა რუსული ხელისუფლების საწინააღმდეგო ბრძოლაში სამხრეთელ ხელმწიფეთა ძალის გამოყენების შესაძლებლობა.

კნორინგმა, ლაზარევმა და სხვა რუსმა გენერლებმა დასწრება ამჯობინეს, რუსული ჯარის ქვედანაყოფები სახიფათო უბნებისაკენ გაგზავნეს. კახეთის მიმართულებით გენერალი ლაზარევი წავიდა მრავალრიცხოვანი ჯარით. არაგვის ხეობაში მოქმედ ვახტანგ ბატონიშვილის შესაპყრობად გენერალი ტუჩკოვი გაიგზავნა.

რუსთა მრავალრიცხოვანი ჯარი კახეთში აგვისტოს დამდეგს შეიჭრა, ლაზარევმა საჯანყებოდ შემართულ ხალხს მორჩილებისაკენ მოუწოდა. კახელებმა ამჯერად გაუმართლებლად მიიჩნიეს თავით ფეხამდე კარგად შეიარაღებული ბატალიონებისათვის ბრძოლის გამართვა. სახელდახელოდ შეკრებილი ლაშქრის დროებით დაშლა და „მორჩილება" ამჯობინეს. ამის შემდეგ რუსული ხელისუფლების ყურადღების ცენტრში არგვის ხეობა და შიდა ქართლი მოექცა. 1802 წლის 2 და 12 აგვისტოს კოვალენსკი გენ. კნორინგს აცნობებდა: ხელწერილები ჩამოვართვი ქართლის თავადებს, რომ ისინი არ დაარღვევენ რუსეთის ხელმწიფისათვის მიცემულ ფიცს, მონაწილეობას არ მიიღებენ ბორტმზრახველთა საქმიანობაში. ჩემთვს ცნობილი გახდა, რომ კახელთა მღელვარება ჩაქრობილია. დუშეთის ექსპედიციას კი მეტი წინააღმდეგობა შეხვდა. როცა გენერალი ტუჩკოვი თავის რაზმით იქ ჩავიდა, ბატონიშვილი ვახტანგი ციხე-კოშკის უკანა კარიდან გაიქცა, თავი შეაფარა მთებს. მისმა რაზმმა თავდაცვითი პოზიცია დაიკავა, მაგრამ მაინც დიდი სიძნელეები შეგვიქმნა სამხედრო გზაზე. ვახტანგ ერეკლეს ძემ თავისკენ მოუწოდა

მთიულებს, ფშავ-ხევსურებს. შეიარაღებული ბრძოლა რომ თავიდან აგვეცილებინა, მივიღეთ გადამწყვეტი ღონისძიებანი. ვახტანგ ბატონიშვილს მივწერე, რომ მთებში გაქცევით მან დაარღვია იმპერატორისათვის მიცემული ფიცი, მაგრამ თუ თბილისში დაბრუნდება და თავის უდანაშაულობას დაამტკიცებს ხელმწიფოსაგან შეწყალებული იქნება (46, 387).

რუსულ ხელისუფლებას ჯერ კიდევ ვერ დაეთანხმებინა ვახტანგ ერეკლეს ძე მორჩილებასა და რუსეთს გადასახლებაზე, რომ მიიღო ახალი შემაშფოთებელი ინფორმაცია: სამეფო ტახტისათვის მებრძოლი უფლისწული იულიონი თავის ყოფილ საუფლისწულოს მცხოვრებთ აჯანყებისკენ მოუწოდებდა. ისიც ცნობილი გახდა, რომ იმერეთის მეფე სოლომონ მეორემ ლაშქარი შეკრიბა, დაიბანაკა ქართლის საზღვართან, სადაც მას შეუერთდა ალექსანდრე ბატონიშვილი ლეკთა რაზმით. იქვე მოვიდნენ იულიონი და ფარნაოზი. ბატონიშვილებმა გადაწყვიტეს იმერეთიდან და დვალეთიდან ერთდროულად შეჭრილიყვნენ ქართლში. თურქეთისა და ლეკთა გაერთიანებული ჯარი კი ჯავახეთიდან დაიძრა იმავე შიდა ქართლისაკენ. ალექსანდრე ბატონიშვილმა კვლავ დააგზავნა წერილები, რუსების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდა თავადაზნაურებს, გლეხებს. ვიდრე საყოველთაო აჯანყება და ანტირუსული ომი რეალობად იქცეოდა, გენ. ტუჩკოვმა, როგორც იქნა მოათვინიერა ვახტანგ ბატონიშვილი, ფაქტობრივად დატყვეევებული თბილისში ჩამოიყვანა. კნორინგისათვის გაგზავნილ პატაკში ლაზარევი იმედს გამოთქვამდა, რომ როცა გაერთიანებული ბაგრატიონები კახელთა ჯანყის ჩაქრობისა და ვახტანგის შეპყრობის ამბავს გაიგებენ, ცეცხლის გახსნაზე ხელს აიღებენო. მაგრამ რუსმა გენერლებმა სიფრთხილის ღონისძიებანი მაინც გაატარეს, თავიანთი ჯარის რაზმებით ქართლში საზღვრები გადაკეტეს, რუსეთთან დამაკავშირებელი არაგვ-დარიალის გზა მტრული ელემენტებისაგან გაწმინდეს. ბატონიშვილებმა ამჯერად თავის დიდმასშტაბიანი გეგმა ვერ განახორციელეს (46, 393).

რუსეთის მთავრობამ საქართველოში დატრიალებული არასასიამოვნო მოვლენების მიზეზად გენერალ კნორინგის უნიათობა მიიჩნია. იმპერატორმა იგი გადააყენა. კავკასიაში მდგარ რუსეთის ჯარების მთავარსარდლად და საქართველოს მთავარმმართებლად გენერალი ციციანოვი (ციციშვილი) დანიშნა. ყოფილი მთავარმმართველი თავის რეაბილიტაციის მიზნით, 1802 წლის 4 დეკემბერს ციციანოვს უგზავნის ასეთი შინაარსის წერილს: იმერეთში თავშეფარებული უფლისწულები იყენებდნენ

ქართველ თავადაზნაურთა უკმაყოფილებას და ცდილობდნენ რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ მათ აჯანყებას. იმავეროულად ალექსანდრე ბატონიშვილი ერევნიდან, ხოლო იოანე ბატონიშვილი და გარსევან ჭავჭავაძე პეტერბურგიდან თანამემამულეებს ურჩევდნენ მოეწყოთ საყოველთაო ხელმოწერა, მოეთხოვათ ბაგრატიონთა სახლის რომელიმე წევრის საქართველოს მეფედ დამტკიცება. ეს საყოველთაო თხოვნა იმპერატორისათვის უნდა გადაეცა იოანე გიორგის ძე ბაგრატიონს.

კახელებმა ეს რჩევა მიიღეს, გასულ ივლის-აგვისტოს მოაწყვეს თავყრილობა, მოითხოვეს იულონ ერეკლეს ძის მეფედ დამტკიცება. მაგრამ შეთქმულება და აჯანყების მცდელობა ჩავაქრეთ. ვახტანგ ბატონიშვილიც დავაპატიმრეთ. ამან ჩაშალაო ბაგრატიონთა საერთო გეგმა (46, 406-407).

1802 წელს ბაგრატიონმა უფლისწულებმა მიზანს ვერ მიაღწიეს, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაუყრიათ, ბრძოლას აგრძელებდნენ. ეს კარგად იცოდა რუსეთის იმპერატორმა, იცოდნენ მისმა მოხელეებმა და ყველა საშუალებას იყენებდნენ იმისათვის, რომ საქართველო ბაგრატიონებისაგან გაეწმინდათ, ყველანი რუსეთში გადაესახლებინათ.

ალექსანდრე I-ის მიერ ციციანოვის მისამართით გაგზავნილი პირველი რესკრიპტის მე-7 მუხლში ნათქვამია: შინა ბრძოლებმა და გარეშე მტრების შემოსევებმა საქართველო ისე დააძაბუნა, რომ საჭიროდ მივიჩნიეთ იმპერიასთან მისი შემოერთება. სამწუხაროდ ამის შემდეგაც არ დამყარებულა მშვიდობა, არ შეწყვეტილა დარეჯან დედოფლისა და ბაგრატიონ უფლისწულთა პრეტენზიები საქართველოს სამეფო ტახტის მიმართ. აწყობენ შინა არეულობებს, ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებდნენ გარეშე სახელმწიფოებს. ახლახანს მაცნობეს, რომ ირანის მფლობელმა ბაბა ხანმა საქართველოს მეფედ გამოაცხადა იულონ ერეკლეს ძე და მის დასახმარებლად ჯარიც გამოგზავნა. სხვა უფლისწულებიც აქტიურად უჭერენ მხარს იულონის პრეტენზიებს და ბაბა ხანის განზრახვებს. იმედია ისე წარმართავთ საქმეს, რომ მათი საქმიანობა დიდ ზარალს ვერ მოგვაყენებს, მაგრამ თქვენ თვით მოხვდებით, ქვეყნის სიმშვიდისა და ჩვენი ჯარის უშიშროებისათვის რამდენად აუცილებელია აღმოვფხვრათ მოსალოდნელ საშიშროებათა ძირითადი საფუძველი – ბაგრატიონთა ოპოზიციური განწყობილება. კარგა ხნის წინ გადავწყვიტეთ სამეფო სახლის ყველა წევრის რუსეთს გაწვევა, იქ დასახლება. მაგრამ ეს ღონისძიება დღემდე ვერ განხორციელდა. ამიტომ თქვენი უპირველესი მოვალეობაა გამოიყენოთ ყველა საშუალება –

დარწმუნება, დათანხმება და ბოლოს და ბოლოს ძალდატანება, რომ ეს მშფოთვარე უფლისწულები და დედოფალი დარეჯანი გადმოასახლოთ რუსეთში (47, 7-8).

1802 წლის 26 სექტემბერს იმპერატორმა ციციანოვს მეორე რეკრიპტი გამოუგზავნა, აუწყა ხელქვეითს, რომ მე პირადად მივწერე ბარათი დედოფალ დარეჯანს. მის გადაცემას შენც დაესწარი და შეეცადე დაითანხმო რუსეთს წასვლაზე. რუსეთში უნდა გადმოასახლოთ ქართლ-კახეთში მყოფი ყველა ბაგრატიონები, რაც შეეხება იმერეთში გახიზნულ იულონსა და ფარნაოზს, რომელნიც თითქმის ყველა არეულობის წამომწყებნი არიან, მათი დათანხმება რუსეთს წასვლაზე ალბათ არ მოხერხდება. ამიტომ მოლაპარაკება გამართე იმერეთის მეფესთან, დაარწმუნე სოლომონ II, რომ რუსეთიდან საშიშროება არ ემუქრება. დაითანხმე იგი გადმოგვცეს იმერეთში თავშეფარებული ბატონიშვილები. ამისათვის შეგიძლია გამოიყენო ფულის ძალაც (47, 8).

იმპერატორის ბრძანება-დავალების შესასრულებლად ციციანოვმა მთელი თავის აპარატი აამუშავა, დააზუსტეს ბაგრატიონთა სახლის წევრთა სია, შეადგინეს მათი რუსეთს გადასახლების ქრონოლოგიური გეგმა. დატყვევებულ-დამორჩილებული ვახტანგ ერეკლეს ძე და დავით გიორგის ძე რუსეთის გზას 1803 წლის თებერვალში გაუყენეს. ზეწოლა გააძლიერეს სხვა ბატონიშვილებზე, ერეკლესა და გიორგის დაქვრივებულ დედოფლებზე. მაგრამ თითქმის ყველა მათგანის ანტირუსული განწყობილება კი არ ნელდებოდა, ძლიერდებოდა. გრაფი მუსინ-პუშკინი 1803 წლის 22 იანვარს საქართველოს მთავარმმართველს აუწყებდა: „ხელთ ჩამივარდა იულონის 3 წერილი გაგზავნილი ქიზიყელი ქართველი მოხელეებისა და არქიეპისკოპოსის ბოდბელისათვის. ჩანს, რომ ეს უფლისწული აგრძელებს ჩვენს საწინააღმდეგო საქმიანობას და წარმატების იმედიც აქვს. ანტირუსული გამოსვლები ფართოვდება. ადრე მასში თითქმის მარტო უფლისწულები და უკმაყოფილო თავადაზნაურნი მონაწილეობდნენ. ახლა კი ხალხიც ამოძრავდა. თანდათან უფრო მეტად თანაუგრძნობს ანტირუსულ მოძრაობას. თქვენი აქ ჩამოსვლა აუცილებელია. მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ საქართველოდან გაასახლოთ რუსეთის მოწინააღმდეგენი. თუ ბაგრატიონები გაზაფხულამდე აქ დარჩნენ, მოსალოდნელია უარყოფითი მოვლენების განვითარება (47, 123-124).

მალე ამის შემდეგ ციციანოვი გიორგიევსკიდან თბილისს ჩამოვიდა. ახალი მთავარმმართველი წარმოშობით ქართველი იყო და მარიამ დედოფალს (ციციშვილის ასულს) ნათესავადაც

ერგებოდა. ალბათ ამიტომ ბაგრატიონთა სახლმა მასზე გარკვეული იმედი დაამყარა. 1803 წლის 16 თებერვალს უფლისწულმა იულონმა ციციანოვს გაუგზავნა ასეთი წერილი. „ხმამან სადღესასწაულომან მოჰფინა შეწუხებულთა გულთა ჩვენთა ნუგეშისცემა დიდი, ვინათგან კაცი ბრძენი, ჩინებული და სრული მამაკაცი, ვითარცა თვალი ყოვლად მოწყალისა ხელმწიფისა, მოევლინე უმაღლეს მმართველად მშობელსა ამას ქვეყანასა და მამულსა შთამომავალთა თქვენსა". ამისათვის მადლობას ვწირავთ ღმერთს და ვიმედოვნებთ, რომ დახმარებას არ მოგვაკლებთ. ჩვენი უბედურების საფუძველი ისაა, რომ ბაგრატიონების სიმართლე, ქართველი ხალხის აზრი და სურვილი იმპერატორის კარამდე არვინ მიიტანაო. ამ შემთხვევაში იულონი დიპლომატიურ ხერხს მიმართავს, ალექსანდრე პირველის მისამართით საყვედურის გამოთქმას ერიდება, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების ბრალდება მის მოხელეებზე გადააქვს. ციციანოვს აუწყებს, რომ პირადად მეც გავგზავნე არზა ხელმწიფესთან, იმავდროულად ხელმწიფეს აახლესო „მუჯალამა ყოფლისა საქართველოსაგან ხელმოწერილი" ჩემს სამემკვიდრეო უფლების აღიარების და მეფედ დამტკიცების შესახებ. მაგრამ გენერალმა კნორინგმა ეს წერილები იმპერატორის კარამდე არ მიუშვა. მე როცა იმერეთს ვიყავი თავშეფარებული, სოლომონ მეორემ ელჩი მიავლინა რუსეთში, არზა მიართვა იმპერატორს და „მუჯალამა ვედრებისა ყოვლისა იმერეთისა, სამღვდელოისა და საეროთა" გაუგზავნა, მაგრამ კნორინგის „წყალობით" ვერც ამ დოკუმენტმა მიაღწია ხელმწიფის კარამდის.

შემდეგ უფლისწული იულონი თავისებურად აციტირებდა იმპერატორის მანიფესტის ერთ ადგილს: „ბრძანებს მანიფესტსა შინა პირი უაღლუსტესი – არცა გავრცელებისათვის იმპერიისა, არცა სარგებლობისა რაისათვისმეო, არამედ ღაღადებისათვის ერისა და განხეთქილებისათვის მემკვიდრეთა ვინებეთ აღხოცვა მეფობისა". როგორც ჩანს, იმპერატორს მისმა მოხელეებმა არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს და შეაცდინეს. ჩვენი თხოვნა კი ეს არის „ვითარცა თვალმან ხელმწიფისმან" გამოიძიე ჭეშმარიტება და დარწმუნდებით, რომ ქართველი ხალხის ღაღადება სხვაგვარი იყო და არც განხეთქილება ყოფილა ქართლ-კახეთის ტახტის მემკვიდრეთა შორის. „ყოველნი ხელის მოწერით აღიარებენ მემკვიდრეობასა ჩემსა; მაქვს წერილი მამისა მეფისაგან, ძმისა მეფისაგან, დავით ცარევიჩისა და ყოველთა ძმათაკან, ყოვლისა საქართველოსაგან... ვისთვის იყო ღაღადება იგი და ვედრება სრულიად კახეთისა, უკეთუ არა ჩვენთვის, რომელნიკ

ღაღადებენ კვლაად, გარნა სასოებით დადუმებულნი მოელიან ჩვენზედა წყალობასა ხელმწიფისასა".

ბოლოს ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრე შეახსენებდა ციციანოვს, რომ თვით სპარსეთის ტირანი ხელმწიფენიც კი არ კადრულობდნენ ბაგრატიონთა ღვთაებრივი უფლების შელახვას, მით უმეტეს იმედი გვაქვს ქრისტიანი იმპერატორისა, თუ თქვენ მას ჭეშმარიტებას მოახსენებთ ბაგრატიონთა კანონიერ უფლებაზე და ქართველი ხალხის სურვლის შესახებ. იმპერიის „განვრცელებისა" და სარგებლობისათვის ისა სჯობია, რომ საქართველო დარჩეს რუსეთის მფარველობაში. იმპერიამ ისარგებლოს მისი ბუნებრივი სიმდიდრეებით, ხოლო ბაგრატიონთა მეფობა ხელუხლებელი იყოს, „თვით მეფე უკანასკელ წვეთამდე სისხლისა ფიცით შეკრული, ყოვლისა კმაყოფითა მსახურებდეს მხედრობასა რუსეთისასა" (47, 124-125).

უფლისწულ იულონის იმედი არ გამართლდა, მისმა ფრიად ჭკვიანურად დასაბუთებულმა წერილმა მიზანს ვერ მიაღწია. ციციანოვს თითქმის აღარაფერი გააჩნდა ქართული, იმპერატორის ერთგული მსახური იყო და რუსეთის ინტერესების შესაბამისად მოქმედებდა. მას აზრად არ მოსვლია შუამდგომლობა აღეძრა ალექსანდრე პირველის წინაშე ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენის შესახებ. საქართველოს მთავარმმართებელი თბილისს ჩამოსვლისთანავე შეუდგა იმპერატორის უმაღლესი ბრძანების შესრულებას.

1803 წლის 9 მარტს გაწბილებული იულონი მასთან ერთად ფარნაოზი გენერალ ციციანოვს გულისტკივილით სწერდნენ, რომ წინა წერილზე პასუხ ვერ მივიღეთ, სულ სხვა წინადადებას გვაძლევთ - „გვიბრძანებთ წასვლას პეტერბურღად". თუ აღვიარებთ უძლურობას და ძალას დავემორჩილებით განა მივიღებთ ჩვენი გვარის შესაფერის უშიშროებას? ჩვენმა ძმამ ვახტანგმა და ძმისწულმა დავითმა თავი დასდეს იმპერატორის ერთგულებაზე, „მიიღეს სასყიდლად გადაჭედილი კიდობანი" და გვარის დიდების ნაცვლად მოიპოვეს პატივისცემა შეწყალებული დამნაშავე მუჟიკისა. რუსეთში რომ გადავსახლდეთ ჩვენც ასეთ „პატივისცემას" მივიღებთ. სხვა რაღა დაგვრჩენია ჩვენი უბედურება უნდა დავწყევლოთო (47, 125). მაგრამ იმერეთს გახიზნულმა უფლისწულებმა პესიმიზმს მალე დააღწიეს თავი, კვლავ გააგრძელეს ბრძოლა ქართლ-კახეთის სამეფოს აღდეგინსათვის.

გენერალმა ციციანოვმა კი დააზუსტა დედოფლებისა და ბაგრატიონი უფლისწულების რუსეთის გადასახლების განრიგი. 1803 წლის აპრილის შუა რიცხვამდე რუსეთში უნდა წაეყვანათ

დედოფალი დარეჯანი, მისი ასულები – ქეთევანი და თეკლა, დედოფალი მარიამი, გიორგი XII-ის ძენი – თეიმურაზი, ჯიბრაილი, ილია, ოქროპირი, ირაკლი; გიორგი XII-ის ასულები – გაიანე, თამარი, ანა. ივნისამდე რუსეთს უნდა გაესტუმრებინათ ბაგრატ გიორგის ძე ცოლშვილით; ვახტანგ, დავით და იოანე ბატონიშვილების მეუღლენი. როცა თბილისში დაბრუნდებოდნენ პეტერბურგს უნდა წაეყვანათ იულონი, მისი მეუღლე და შვილები – ლევანი, ლუარსაბი, თამარი; ფარნაოზი, მისი მეუღლე და შვილები – სალომე და ელენე. რუსი მოხელეები ყველაზე მეტად მოწადინებული იყვნენ ამ ვადამდე რუსეთს გადაესახლებინათ ალექსანდრე ერეკლეს ძე. ამ ამბებთან დაკავშირებით ციციანოვმა იმპერატორს აუწყა: თბილისში როგორც კი ჩავედი, სამეფო სახლის ყველა წევრს გავუგზავნე უმაღლესი „გრამოტა" რუსეთს მიპატიჟების შესახებ, თითქმის ყველას პირადად შევხვდი. დედოფალმა დარეჯანმა, რომელიც აქ ყველას ხელმძღვანელობას ჩემულობს, განმიცხადა, რომ ავადმყოფობის გამო რუსეთში წასვლას ვერ შევძლებო. თითქმის ყველა ბატონიშვილმა კატეგორიული უარი თქვა რუსეთს გადასახლებაზე. მათი ასეთი პოზიცია გვაფიქრებინებს, მართალია გავრცელებული ხმები, რომ ბაზაფხულზე ბატონიშვილები ალექსანდრე, იულონი და ფარნაოზი, რომელთაც მფარველობა-დახმარებას არ აკლებს ბაბა ხანი, აპირებენ ლეკთა ლაშქრით საქართველოში შემოჭრას, რათა სამეფო ტახტზე დასვან ერთ-ერთი უფლისწული (47, 68-69).

1803 წლის 2 თებერვალს გიორგი XII-ის მეორე მეუღლე, ქვრივი დედოფალი მარიამი ციციანოვს უგზავნის ასეთ წერილს: „მებოძა იმისის დიდებულებისაგან ჩემდამი მოულოდნელი წერილი, რომელსაც აზრი მიცხადებს ჩემსა შვილებიანად როსიად წასვლას... ესე არს მოხსენება ჩემი: როდესაც განსვენებულმან მეუღლემან ჩემმან ინება შესვლა საფარველსა ქვეშე რუსეთისათა, შაშინ იყო ჰაზრი მისი ჩემთვის და შვილთა ჩემთა ცხოვრებისათვის ამასვე მამულსა და ჰაერსა შინა. სხვათა სარწმუნოებიანთა მეზობელთაგან მტრობის გამო ვითხოვეთო რუსეთის დახმარება, იმპერატორის საფარველში შესვლა და ამაზე დასტური მივიღეთ. ამიტომ რუსთა ხელმწიფის წყალობა და დაპირება როგორ შეიძლება შეიცვალოს. ვისაც სურვილი აქვს ის წავა რუსეთში, მე კი ავადმყოფობისა და წვრილშვილის გამო იქ გამგზავრება და ცხოვრება არ შემიძლია. ამყარეს „პატივი სახლისა ჩემისა, მიმტაცნეს ნიშანნი მეუღლისა ჩემისა, შეურაცხყვნეს შვილნი ჩემნი". ნუგეშად ის დამრჩენიაო, რომ თქვენ ჩემი სისხლით ნათესავი ხართ, უნდა მიშუამდგომლოთ ხელმწიფესთან, ჩემი რუსეთს

გადასახლების აზრი გადაათქმევინოთ. ვიცი, რომ იმპერატორი ჩვენს კეთილდღეობაზე ზრუნავს, მაგრამ ავადმყოფსა და წვირილშვილიანს რუსეთში წასვლა არ შემიძლია. დამტოვონ სამშობლოში. ეს არაა უსამართლო თხოვნა, რადგან „ესეცა ქვეყანა თანა იმპერია არს რუსეთისა და თანასახელმწიფო ყოვლად მოწყალისა იმპერატორისა; უკუეთუ ნებავს აქაცა შემძლებელ არს, რათა მოწყალებით მომხედოს მეცა და შვილთაცა ჩემთა... ვითხოვ რათა თვით თქვენ მექნეთ პატრონ, შემწედ და გამომხსნელად ამის საქმისაგან, რათა საუკუნოდ რაოდენ ღმერთსა, ეგოდენ თქვენსა ბრწყინვალებას ვმადლობდეთ" (47, 108-109).

ციციანოვმა არ ინება ციციშვილთა ასულის, გიორგი XII-ის ქვრივის დახმარება. მისი რუსეთს გადასახლება გენ. ლაზარევს დააკალა. მარიამმა ეს გაიგო და განიზრახა თავის გერთან ბაგრატ ბატონიშვილთან და ღვიძლშვილებთან ერთად ხევსურეთს შეფარებოდა. საიდუმლო ჩანაფიქრი გამჟღავნდა. დედოფლის სახლსა და მის მახლობლებზე მეთვალყურეობა დააწესეს. მალე პოლიციამ ზემდგომ ინსტანციას აცნობა, რომ დედოფლისა და ბაგრატ ბატონიშვილის ბარგით დატვირთული ცხენები 18-19 აპრილს, ღამით აპირებენო გასვლას თბილისიდან. ლაზარევმა დასწრო და დედოფლის სახლი ალყაში მოაქცია. გენერალი ორიოდე ოფიცრის თანხლებით შევიდა მარიამის ბინაში, კატეგორიული ტონით გამოუცხადა მას, რომ დაუყოვნებლივ უნდა გამგზავრებულიყო რუსეთისაკენ. მეორე დღეს, დილით ლაზარევი კვლავ გამოცხადდა მარიამის ბინაში. დედოფალი წინააღმდეგობას არ აპირებდა, თითქოს მოინდომა გენერალთან გამომშვიდობება. როგორც კი ლაზარევი მიუახლოვდა, მარიამმა კაბის ქვეშიდან გამოიღო ხანჯალი და „რუსეთის სახელოვან" გენერალს სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. მარიამი და მისი ასული თამარი მყისვე დააპატიმრეს. იმავე დღეს დააკავეს ბაგრატ ბატონიშვილიც. ციციანოვმა გენერალ ტუჩკოვს უბრძანა დაპატიმრებულნი რუსეთს წაეყვანა როგორც დამნაშავენი მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ და ყოველგვარი მონარქიული პატივისცემის გარეშე (47, 101-102).

ამის შემდეგ კიდევ უფრო აუცილებლად მიიჩნიეს საქართველოდან დარეჯან დედიფოლის გასახლება. 1803 წლის 16 ოქტომბერს ციციანოვი გენერალ-მაიორ დიმიტრი ორბელიანს სწერდა: საქართველოს მშვიდობა მოითხოვს, რომ დედოფალი დარეჯანი, გადავასახლოთ რუსეთში. თქვენს განკარგულებაში გამოიყოფა ორი ასეული. ფრთხილად იმოქმედე. როცა ჩახვალ მუხრანში (დედოფალი იქ იმყოფებოდა), დარეჯანის ბინაში იმ

დროს შედი, როცა მასთან მხლებლები არ იქნებიან. დედოფალს შესთავაზეთ რუსეთს თავის ნებით წაბრძანება, თუ უარს იტყვის, ჯერ შეამოწმეთ იარაღი აქვს თუ არა, შემდეგ ჩამოიყვანეთ ეზოში. ყოველგვარი საშუალებით შეაგნებინეთ, რომ აუცილებელია მისი რუსეთს წასვლა. საჭირო არაა არაგვისპირა სოფლებში გაჩერება. 10 დღეში უნდა ჩახვიდე ვლადიკავკაზში. გენ. ორბელიანმა დავალება შეასრულა. ვლადიკავკაზში დედოფალი გადააბარა პოლკოვნიკ უმანცევს, რომელმაც დარეჯანი ჩაიყვანა მოზდოკში. ორი თვით შემდეგ დედოფალი დარეჯანი და მისი მხლებელი 36 პირი უკვე პეტერბურგში იმყოფებოდა.

რუსეთ გასახლებას ჯერ კიდევ გადარჩენილი უფლისწულები იულონი, ფარნაოზი, ალექსანდრე, თეიმურაზი და ლევანი იმერეთსა და სპარსეთს იყვნენ გახიზნული, იქ აგრძელებდნენ ანტირუსულ საქმიანობას, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლას. რუსულმა ხელისუფლებამ ვერ შესძლო მათი იზოლირება. უფლისწულები ახერხებდნენ კავშირის შენარჩუნებას საქართველოს თავადაზნაურობასა და ხალხთან. ყოველნაირად ცდილობდნენ მათს ამხედრებას რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად.

***

XIX ს-ის დამდეგიდან თანდათან გამწვავდა რუსეთ-ირანის წინააღმდეგობა, ბრძოლა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის. 1804 წელს რუსეთმა ომი დაიწყო სპარსეთთან. თავდაპირველად შეუტია ამ რეგიონში არსებულ სახანოებს, რომელნიც ირანის შაჰის უზენაეს ხელისუფლებას აღიარებდნენ. კავკასიის რუსული კორპუსის სარდალმა ციციშვილმა განჯა აიღო. მისი ტერიტორია რუსეთის სამფლობელოდ გამოაცხადა. ამის შემდეგ ციციანოვი ერევნის სახანოში შეიჭრა.

რუსეთ-ირანის ამ ომმა, ორი დამპყრობლის ურთიერთშორის ბრძოლამ შედარებით ხელსაყრელი პირობები შექმნა ბაგრატიონებისა და საერთოდ ქართველი ხალხის გამათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებისათვის. თეირანში მყოფი ალექსანდრე ერეკლეს ძე დარწმუნებული იყო, რომ სპარსეთის ჯარის დახმარებით რუსეთს საქართველოდან განდევნიდა, ქართლ-კახეთის სამეფოს აღადგენდა. მან მოწოდებები გამოგზავნა ქართლ-კახეთისა და იმერეთში. ადრესატებს აუწყა, შაჰის ჯარით მოვდივარ, რაზმები შეკრიბეთ და შემოგვიერთდითო. „მართალია დიდი განსაცდელი მოელოდათ ბატონიშვილ ალექსანდრეს შიკრიკებს საქართველოში, მაგრამ ერთგულ ყმებს ვერა განსაცდელი და

თვით სიკვდილიც ვერ აშინებდა. თავგამოდებული ზაქარია ჯორაშვილი უვნებლივ უსხლტებოდა ხელიდან მთავარმათებლის მიერ ჩაყანებული სამხედრო პიკეტებს და მიწის მგელივით ხან სად გაჩნდებოდა და ხან სად. ოცდაცამეტამდე ბარათი დაარიგა ალექსანდრემ და სთხოვდა ქართველობას, თავადსა და გლეხს ამხედრებულიყვნენ სამშობლოს განსათავისუფლებლად" (25, 82).

ალექსანდრე ბაგრატიონი სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაბმისკენ მოუწოდებდა სხვადასხვა მიზეზითა და მოტივით რუსული ხელისუფლებისაკენ გადახრილ ქართველ დიდებულებსაც. ამ მხრივ ნიშანდობლივია მისი წერილი მუხრანბატონისადმი. დამოუკიდებლობის ხანაში ბაგრატიონთა ქართლის შტო – მუხრანბატონები მტრულად დაუპირისპირდა კახეთის შტოს. ერეკლეს წინააღმდეგ შეთქმულებებსაც აწყობდნენ. ქართლის ტახტის დაუფლებისათვის იბრძოდნენ. ალექსანდრე ერეკლეს ძემ კარგად იცოდა ეს ისტორია და მოიწადინა ძველი დინასტიური შუღლის აღმოფხვრა. რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ბაგრატიონთა საგვარეულოს გაერთიანება. მან მუხრანბატონებს აუწყა, რომ ირანის მბრძანებელმა შეისმინა ჩემი თხოვნა, დიდი ჯარი შეკრიბა, საქართველოში გამოსალაშქრებლად ემზადება. „ხელმწიფემ თავის უფროს შვილს აბას მირზას დიდრონი ჯარები უბოძა, ჩვენც თან გვაახლო და ოცდარეას მარტს (1804 წ. – ა. ბ.) თეირანიდან გამოვედით და მანდეთ წამოვედით. ჩვიდმეტ დღეს უკან ხელმწიფეც თავისის ზღვისებრივ მღელვარე ჯარებით თეირანიდან მანდეთკენ წამობრძანდება". მუხრან ბატონებს ამას იმიტოს გაუწყებთ, რომ ადრინდელი შეცდომა არ გაიმეოროთ, არაფერი შეგეშალოთ; რაკი ირანის ხელმწიფემ „ჩვენის ოჯახის ამომგდების მანდედან გაყრა ინება, თქვენ ისეთი საქმე არ ჩაიდინოთ, რომ მისი რისხვა დაიმსახუროთ, საქართველოს წახდენის მიზეზი შეიქმნათ". ბოლოს ალექსანდრე ერეკლეს ძე ერთხელ კიდევ აფრთხილებდა მუხრან ბატონებს, შეიგნეთ, რომ ესენი ლეკები არ არიან. მარტო ათი და ოცი ათასი კაცი როდი მოდის, „ყანდაარი და ყანდარს ზეითი მთელი ერანი მანდ მოდის... ან უნდა მანდ ამოწყდნენ ან უნდა მანდედან რუსები გაყარონ. თქვენ ახლა ყველანი ჩვენთან წამოდით და წინ შემოგვეგებენით, ხელმწიფის წყალობაც დიდი დაგემართებათ და როგორადაც თქვენი მამაპაპანი (საქართველოს) ერთგულნი ყოფილან, თქვენ უმეტესად ერთგული აღმოჩნდებით" (19, 64-65).

იმ დროს შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ ირანზე აღებული ორიენტაცია გაამართ-

ლებდა, რადგან ეს სახელმწიფო ვერ ურიგდებოდა რუსეთის გადმოსვლას კავკასიის ქედის სამხრეთით, ყველანაირად ცდილობდა მისი ჯარების ამ რეგიონიდან განდევნას. უფლისწულმა ისიც იცოდა, რომ ირანის შაჰი საქართველოს მიმართ რუსეთზე გაცილებით ნაკლებ პრეტენზიული იყო, იგი სჯერდებოდა ქართველი მეფის მიერ შაჰის უზენაესი ხელისუფლების აღიარებას, ფორმალურ ვასალობას.

ალექსანდრე ერეკლეს ძემ 1804 წლის მაისში სოლომონ შანშიევი მიავლინა იმერეთში. წერილები გამოატანა იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებთან. აუწყებდა მათ, რომ მრავალრიცხოვანი ჯარით მოვდივართ რუსთა წინააღმდეგ საბრძოლველად. თქვენი ვალია, ქართლის თავადები და ხალხი მოამზადოთო რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებისათვის. გარე და შინა ძალების გაერთიანებით შევძლებთო მტრის დამარცხებას. მაგრამ სოლომონ მეორესთან შეხიზნულმა უფლისწულებმა ქართლის თავადები რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ ვერ აამხედრეს. ამას ხელი იმანაც შეუშალა, რომ სწორედ ამ დროს რუსთა ჯარი იმერეთშიც შეიჭრა. იულონი და ფარნავაზი მთებს შეეფარნენ, გადაწყვიტეს ირანის მიმართულებით წასვლა, თავიანთ უფრო ენერგიულ ძმასთან შეერთება და მის მხარდამხარ რუსთა წინააღმდეგ ბრძოლა.

ბაგრატიონმა უთლისწულებმა კარგად იცოდნენ, რომ გამათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდში თავადაზნაურობა იდგა, მაგრამ გადამწყვეტი როლი გლეხობას უნდა შეესრულებინა და, ბუნებრივია, ცდილობდნენ ამ მასის რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებას. მათ ამაში თავისდაუნებურად რუსი მოხელეები, ოფიცრები და ჯარისკაცები დაეხმარნენ. ქართველ გლეხობას მძიმე ტვირთად დააწვა სასურსათო გადასახადი, საგზაო ბეგარა. რუსეთ-ირანის ომის დაწყების შემდეგ ბეგარა-გადასახადები კიდევ უფრო გაიზარდა. განსაკუთრებით გაუჭირდათ არაგვისა და დარიალის ხეობის მთიელებს. ალ. ფრონელი გვაუწყებს, რომ რუსი მოხელეები მთიელებს „გზებს აწმენდინებდნენ, ფოშტის ცხენებივით ბარგს აზიდვინებდნენ კავკავიდან დუშეთამდე. მოხელეებმა ესეც არ აკმარეს,... მათრახის ცემით ზურგსა და გვერდებს უჭრელებდნენ. როგორ უნდა აეტანა თავმოყვარე მთიელს, თავიდან ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარს, რომ მის თვალწინ დედაკაცებს მარხილში აბამდნენ და მათრახით ერეკებოდნენ...“ (25, 107). მოთმინებადაკარგული მთიელები ხელსაყრელ დროსა და მეთაურს ელოდებოდნენ.

საბჭოური პერიოდის თითქმის ყველა მკვლევარი 1804

ნლის მთიელთა აჯანყებას სტიქიურ-გლეხურ უპერსპექტივო მოძრაობად აცხადებს. საისტორიო წყაროები კი სხვა რამეს ღაღადებენ; უფლისწულთა წერილები და მოწოდებები, რუს მოხელეთაგან შედგენილი „პატაკები, რაპორტები" და მოხსენებითი ბარათები ცხადყოფენ, რომ ქართლის მთიანეთის აჯანყების მომზადებაში, მისი მიმართულებისა და მიზნის განსაზღვრაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს უფლისწულებმა, მათი ხელმძღვანელობა-დავალებით მოქმედმა პირებმა.

ალექსანდრე ბატონიშვილის მოწოდებებით, იულონისა და ფარნაოზის ანტირუსული საქმიანობით გამხნევებულმა მთიელებმა, მათმა მეთაურმა ხევისბერებმა დაადგინეს იარაღით დაეცვათ თავისი ადამიანური უფლებები, თავდადებული ბრძოლა გაემართათ თავიანთი სათაყვანებელი მეფე ერეკლეს მემკვიდრეთა დინასტიური უფლების დაცვის, ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენისათვის. ასეთი იყო მთიულებისა და მოხევეების განწყობილება, როცა მათ ჩააბარეს ციციანოვის ბრძანება სახალხო რაზმების შეკრებისა და რუსეთის ჯარის დასახმარებლად ერევანს გალაშქრების შესახებ. მთიელები ლაშქარში ხალისით გავიდნენ, მაგრამ ციციანოვის ჯარის დასახმარებლად კი არ ამხედრდნენ, არამედ რუსული ხელისუფლების საწინააღმდეგო აჯანყების დროშა ააფრიალეს.

რუსეთის ჯარის მიერ ირანის წინააღმდეგ დაწყებული სამხედრო ოპერაციები თავდაპირველად წარმატებით განვითარდა. 1804 წლის 30 ივნისს ციციანოვმა მდ. ზანგის ნაპირთან გაანადგურა ირანის 27 ათასიანი არმია და ბლოკადაში მოაქცია ციხე-ქალაქი ერევანი. შაჰმა ბრძოლის ველზე ახალი, კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი ჯარი გამოგზავნა. აბას მირზამ, რომლის თანაშემწეც ალექსანდრე ბატონიშვილი იყო, დროულად აღმოუჩინა დახმარება ერევნის ხანს. რუსულ კორპუსს ირანელთა 40 ათასიანი არმია დაუპირისპირდა. ციციანოვის ჯარი, რომელსაც ბლოკადაში ჰქონდა მოქცეული ერევანი, თვით აღმოჩნდა ალყაშემორტყმის საფრთხის წინაშე. ალექსანდრე ერეკლეს ძე ხუთიათასიანი ჯარით შეიჭრა ლორესა და ბამბაკში, ზურგში მოექცა რუსთა ჯარს. მანვე რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ ააჯანყა ბორჩალოელი თათრები და ციციანოვის კორპუსი მოწყვიტა თბილისს. განყვეტილი კომუნიკაციების აღსადგენად ციციანოვმა გაგზავნა მონტრეზორის ბატალიონი, რომელიც თითქმის მთლიანად გაანადგურა ალექსანდრე ბატონიშვილმა. თბილისიდან ციციანოვის დასახმარებლად დაიძრა გენერალი ტალიზანი რამდენიმე პოლკით, მაგრამ მან მხოლოდ კარაკლისამდე

მიაღწია. ერევანთან მდგარი ციციანოვის კორპუსი სავალალო მდგმოარეობაში აღმოჩნდა (15, 57).

ქართლის მთიანეთის აჯანყებამ ფრონტზე მყოფი ციციანოვისა და საერთოდ საქართველოს რუსული ხელისუფლების მდგმარეობა კიდევ უფრო გაართულა. ბაგრატიონი უფლისნულების საბრძოლო ტონუსი კი მაღლა ასწია. მთიელთა ლაშქარმა დაიკავა არაგვისა და დარიალის ხეობებში განლაგებული გამაგრებული პუნქტები, თითქმის მთლიანად გაწყვიტა რუსთა რაზმები. საქართველო ფაქტიურად მოწყდა ჩრდილო კავკასიას და ამდენად რუსეთის შეიარაღებულ ძალთა კომუნიკაციები შუაზე გადაიკვეთა. აჯანყებულთა რაზმები მცხეთამდე ჩამოვიდნენ. მთავარმართებლის მოადგილე ვოლკონსკიმ თბილისის დაცვის ღონისძიებანი განახორციელა. რაკი ციციანოვი ერევანთან იყო გამოკეტილი, თვითონ სთხოვა იმპერატორს საქართველოში დამხმარე ჯარის გამოგზავნა.

რა თქმა უნდა, არც მთიელი აჯანყებულნი ისხდნენ გულხელხაკრეფილი. მართალია, მათ ჰყავდათ მცირე რაზმების გამოცდილი მეთაურები, მაგრამ საჭიროებდნენ ავტორიტეტული პოლიტიკოსის, დიდი ლაშქრის სარდლობის ნიჭით დაჯილდოებული პირის ხელმძღვანელობას. ხევისბერებმა მოციქულები გაგზავნეს იმერეთში, ერეკლეს ძენი – იულონი და ფარნაოზი დიდი საქმის მეთაურებად მიიწვიეს. ბატონიშვილები დაუყოვნებლივ დაიძრნენ არაგვის ხეობისაკენ, მაგრამ მათ გზა გადაულობა რუსთა რაზმმა. ბარძოლაში უფლისნულთა 20 მხლებელი დაილუპა. იულონი დაატყვევეს. ფარნაოზმა მოახერხა ალყიდან თავის დაღწევა. ბამბაკს მივიდა, თავის ძმის ალექსანდრეს ბანაკში გამოცხადდა. ძმებმა ხანმოკლე თათბირი გამართეს, შეადგინეს მომავალი მოქმედების გეგმა.

ალექსანდრე ერეკლეს ძემ კვლავ გაგზავნა წერილები მთიელების მისამართით. მთიულებს, მოხევეებს და ფშავ-ხევსურეთს აუწყა, რომ თქვენკენ მოდის ფარნაოზ ბატონიშვილი, ის გაგაცნობთ ჩვენს მიზანს, დაგისახავთ სამოქმედო გეგმას. რამდენიმე დღის შემდეგ იგივე ალექსანდრე არაგველებს ავალებდა – ერთგულად შეესრულებინათ ფარნაოზის ყველა ბრძანება. თქვენი მთავარი მოვალეობაა მაგრად ჩაკეტოთ დარიალის გზა, აღარ გადმოუშვათ რუსები. მალე საქართველოში ირანის ჯარის დახმარებით შემოვალთო (47, 167-168).

ბამბაკიდან ფარნაოზ ბატონიშვილი მცირე რაზმით კახეთში შემოვიდა, იქაურ თავადაზნაურობას და ხალხს კვლავ აჯანყებისაკენ მოუწოდა. თანაგრძნობა თითქმის საყოველთაო იყო. 120

თავადაზნაური ბატონიშვილს გაჰყვა არაგვის ხეობისაკენ, კვლავ გამართა მკლავი რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. მათ შორის იყო ქართველ მეფეთა – უპირველესი ელჩის გარსევან ჭავჭავაძის ძე მომავალი პოეტი ალექსანდრე.

ფარნაოზ ბატონიშვილი სწრაფად და საკმაოდ გააზრებულად მოქმედებდა, აჯანყების არეალის გაფართოებას ცდილობდა. სხვადასხვა მიმართულებით წერილები გაგზავნა, ყველას – თავადს, აზანურს და გლეხს რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. ფშავ-ხევსურებისათვის გაგზავნილ მოწოდებაში ვკითხულობთ: „ჩემი გონებიდან განუშორებელო ხევისბერო ხახა, კაკილაშვილო, თორლო, ხატულა, მწარია ლიჟურაშვილო – დაგვიანებისა და დახანების დრო აღარ არის, დადგა ჟამი განთავისუფლებისა. იარაღი აისხით და მეახელით. იცოდეთ საქმე სახუმარო არაა. ქუდზე კაცი უნდა გამოხვიდეთ" (25, 152-159).

ფშავ-ხევსურებმა არ დააყოვნეს. ამ მოწოდების შემდეგ უფრო აქტიურად და თითქმის საყოველთაოდ ჩაებნენ თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

1804 წლის 15 სექტემბერს ფარნაოზმა კვლავ წერილით მიმართა – მთიელებს, მადლობა გადაუხადა რუსთა წინააღმდეგ ომში თავგამოჩენილ მებრძოლებს. მათ ისიც აცნობა, რომ ირანის შაჰის ლაშქარმა ალყაში მოაქცია რუსეთის ჯარი. ალექსანდრე ბატონიშვილი ერთი ირანელი სარდლის თანხლებით უკვე თბილისის ახლოს დგას. ჩვენც ხომ ორჯერ დავამარცხეთ რუსები – ერთხელ 300, მეორედ 400 კაცი მოვუკალით. შეემზადეთ მომავალი გადამწყვეტი ბრძოლებისათვის. იქიდან ალექსანდრე, აქედან ჩვენ შევუტევთ რუსთა ჯარს, ღვთის წყალობით საქმე კარგად წაგვივალ. იმავე ხანებში ფარნაოზი ზაალ ტერიშვილსა და ბიქელაშვილს სწერდა: ჩვენი გამარჯვების შესახებ უკვე იცით. ახლა გაუწყებთ, რომ ჩვენი ძმა ალექსანდრე და ირანელი სარდალი პირკული ხანი 20 ათასიანი ჯარით ახლოს არიან. მე დამავალეს შევკრიბო დიდი ლაშქარი და მათ შევუერთდე თბილისში. იმედი მაქვს მალე მეახლებით შეიარაღებული რაზმებით. 18 ოქტომბერს ფარნაოზი კოშკელებს აუწყებდა: არაგვის კარით ჩვენ ჩამოვედით სტეფანწმინდაში. ყოველთვის ერთგული იყავით ერეკლესი, მისი ოჯახის. ახლაც ასე იქნება. დაუყოვნებლივ ქუდზე კაცი შეკრიბეთ და შემოგვიერთდითო. ფარნაოზმა ქსნის ერისთავთა მიმხრობაც სცადა: „თუ ადრე ჩვენსა და თქვენს შორის უთანხმოება და უსიამოვნება ყოფილა, უნდა დავიწყებას მივცეთ, რადგან დადგა ჟამი საერთო სიყვარულისა და ძმური

დახმარებისა. ფარნაოზის მითითებით თავადთა ერთმა ჯგუფმაც მიმართა მიხეილ ერისთავს - „იკისრეთ ჩვენი მეთაურობა, გაგვიძეხით წინ გამარჯვებისა და სამშობლოს განთავისუფლებისაკენ". მაგრამ ამაოდ, ერეკლესაგან დამცრობილმა, რუსეთის იმპერატორისაგან უფლებებში აღდგენილმა ქსნის ერისთავებმა რუსეთს უერთგულეს. მ. ერისთავმა ფარნაოზსაც ურჩია იარაღი დაეყარა, გაუწყებ, რომ ციციანოვმა ირანის ჯარს კუდით ქვა ასროლინა, ალექსანდრე ბატონიშვილიც გაიქცა, მათგან დახმარების იმედი ტყუილა გაქვსო (25, 136-137).

ბაგრატიონთა საქმიანობა და მთიელთა აჯანყება საკმაოდ დეტალურად აღწერა ბაგრატ ბატონიშვილმა. აღნიშნა, რომ ფარნაოზ ერეკლეს ძის მეთაურობით, მთიელებმა ღუდის ხევში დაამარცხეს რუსთა ჯარი, „შეკრეს გზა დარიალისა და არღარა უტევს რუსნი მუნ ზედა". იგი იქვე წერს, რომ ირანში დაწყებული არეულობის გამო ბაბახანი თეირანს წავიდა, რამაც ციციანოვი და მისი ჯარი განსაცდელს გადაარჩინა. მთავარმართებელი თბილისს დაბრუნდა და აჯანყებული არაგველების წინააღმდეგ დაიძრა. დარიალის გზით კი შემოიჭრა გენერალი ნესვეტაევი (27, 93-94).

ფარნაოზ ბატონიშვილის ჯარი ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა, დიდხანს ვერ გაუძლო რუსეთის რეგულარული არმიის შემოტევებს. გენერალურ ბრძოლაში მთიელთა ლაშქარი დამარცხდა. უფლისწული მცირე რაზმით გაუსხლტა რუსთა ჯარს, მაგრამ შემდეგ შეცდომა დაუშვა; ნაცვლად იმისა, რომ ფშავ-ხევსურეთის გავლით ჩეჩნეთ-დაღესტანში გადასულიყო, სამხრეთისაკენ აიღო გეზი, მოინდომა კახეთის გავლით სპარსეთში შესვლა. ამ გზას კი რუსეთის ჯარის რაზმები აკონტროლებდნენ. ყაზახის მიდამოებში ფარნაოზი დაატყვევეს. რუსეთისათვის ეს ფრიად სასიამოვნო ფაქტი ციციანოვმა მყისვე აცნობა იმპერატორს.

მიხეილ ერისთავმა ფარნაოზის დატყვევების ამბავი შეატყობინა მთიელებს და მათ იარაღის დაყრა, რუსული ხელისუფლებისათვის მორჩილების გამოცხადება ურჩია. მთიელებმა არ მიიღეს ეს რჩევა. აჯანყებულთა ორმა მეთაურმა ბარამმა და გედევანმა ერისთავს მისწერეს: ფარნაოზის დატყვევების ამბავმა „გული და გონება ჩვენი განგმირა. რა ფასი აქვს თქვენგან დანაპირებ მეგობრობას და წყალობას, თუ ფარნაოზ ბატონიშვილი არ გვეყოლება. ვერც ხმალი, ვერც ცეცხლი და წყალი აგვაღებინებს ხელს ერეკლეს ძის სიყვარულსა და ერთგულებაზე. მზად ვართ მისი გულისათვის კიდევ დიდხანს ვიქნიოთ ხმალი, მის ერთგულებას შევეწიროთ. მთელი ხეობა ბაგრატიონთა ერთგულე-

ბაზეა დაფიცებული". რუსეთის ჯარის არ გვეშინია. თუ ტყვიას გვესვრიან ჩვენც ვესვრით. ბევრი გზა გვაქვს; რუსის ჯარი რომ ერთ ადგილზე დაგვეცემა თავს, მეორე ადგილზე გადავინაცვლებთ. თქვენს რჩევა-დარიგებას ვერ მივილებთ. ფარნავაზის დატყვევება ჩვენთვის დიდი უბედურებაა, მაგრამ ღმერთს მადლობას ვნირავთ, რომ ალექსანდრე, თეიმურაზი და ლევანი თავისუფალი არიან. მათი მეთაურობით შეგვიძლია ბრძოლის გაგრძელებაო (47, 145).

ეს წერილი იმის ნათელი ილუსტრაციაა, რომ ქართველ მთიელთა გულსა და შეგნებაში ღრმად იყო გამჯდარი მონარქიული ლეგიტიმიზმის პრინციპი. ისინი მზად იყვნენ ღვთისაგან კურთხეულ ბაგრატიონთა სამეფო სახლის უფლებათა დაცვისა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის თავდადებით და სანგრძლივად ებრძოლათ.

მთავარმმართველი ციციანოვიც კარგად ამჩნევდა, რომ ქართველი ხალხი ბაგრატიონთა გვარს ეთაყვანებოდა, სახელმწიფოს სიმბოლოდ და თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშად მიაჩნდა. 1804 წლის 13 დეკემბერს იგი იმპერატორს მოახსენებდა: თუ რაოდენ დიდი სარგებლობა მოგვიტანა საქართველოს აჯანყებისთანავე უფლისწულ იულონის შეპყრობამ, კიდევ უფრო ცხადი ვახდა ცოტა მოგვიანებით, ბატონიშვილ ფარნაოზს რომ არ შეეღწია კახეთსა და მთიანეთში, აჯანყება ასვთ შეუპოვარ და ფართო მასშტაბს არ მიიღებდა. არ დავკარგავდით კაზაკთა პოლკს. აუარებელ ცხენებს და რაც მთავარია, საქართველოში მომხდარი დიდი აჯანყება თქვენი იმპერატორობით უდიდებულესობის მონყალე და მგრძნობიარე გულს ესოდენ მღელვარებას არ განაცდევინებდაო (47, 143-144).

ნაშრომში დამოწმებული საისტორიო წყაროები ცხადყოფს, რომ ქართლის მთიანეთის ანტირუსული აჯანყება სტიქიურად არ დაწყებულა და იზოლირებულად არ მიმდინარეობდა. შემადგენელი ნაწილი იყო ფართო გამათავისუფლებელი მოძრაობისა, რომელსაც ბაგრატიონი უფლისწულები მეთაურობდნენ. ქართველები ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრებს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სიმბოლოდ აღიქვამდნენ. სამართლიანი გამათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურად თვლიდნენ. 1804 წელს ბაგრატიონებმა, მართალია, მარცხი იწვნიეს, მაგრამ ნათელ მიზანზე ხელი არ აუღიათ, მომავალი ბრძოლებისათვის ემზადებოდნენ.

იულონისა და ფარნაოზის რუსეთს გადასახლება იმას ნიშნავდა, რომ ისინი პრაქტიკულად ჩამოსცილდნენ ეროვნულ-გან-

მათავისუფლებელ მოძრაობას. ბრძოლის წინახაზზე რჩებოდნენ გამოცდილი ალექსანდრე და ახალბედა თეიმურაზი, რომელნიც ირანის დახმარებით ცდილობდნენ ბაგრატიონებისა და ქართველი ხალხის სანუკვარი მიზნის განხორციელებას.

ბაგრატიონ უფლისწულთა ეს ოპტიმიზმი იმითაც იყო განპირობებული, რომ ირანი ომს აგრძელებდა. 1806 წელს კი ოსმალეთიც ამხედრდა რუსეთის წინააღმდეგ. ორივე ეს სახელმწიფო ცდილობდა ჩრდილოეთის იმპერიის განდევნას სამხრეთ კავკასიიდან. ალექსანდრე და თეიმურაზი ფაქტიურად ირანელი სარდლების გვერდით იდგნენ. აქტიურად მონაწილეობდნენ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლებში. 1805 წლის საომარ ოპერაციებში ორანმა და მისმა მოკავშირე ხანებმა მარცხი განიცადეს. 1806 წელს ბაქოს ხანმა ციციანოვის მოკვლა შეძლო, რითაც მომენტალური პანიკა შეიტანა რუსეთის ჯარის რიგებში. ირანის ჯარი აბას მირზას სარდლობით ყარაბაღში შემოიჭრა, ალექსანდრე ბატონიშვილი კი ყაზახ-შამშადილის ტერიტორიაზე გამოჩნდა. აბას მირზამ მარცხი განიცადა.ალექსანდრე ბატონიშვილის სარდლობით მოქმედ ირანის ჯარის ნაწილს კი ალყაში მოქცევის საფრთხე შეექმნა. მაგრამ ალექსანდრემ შეძლო დროზე გაცლა, ერევნის სახანოსაკენ. სევანის ტბასთან ალექსანდრეს კვლავ ნამოეწია რუსთა ჯარი. უფლისწული კვლავ გაუსხლტა მდევარს და თავი ერევნის ციხეს შეაფარა (19, 16-17).

რუსმა მოხელეებმა, რაკი ალექსანდრეს დატყვევება ვერ შეძლეს, ფულის ძალა მოსინჯეს. გენერალმა ნესვეტაევმა ყაზახის მოურავს იოსებ ბებუთაშვილს 500 ჩერვონეცი გამოუგზავნა. ეს თანხა გამოიყენე და ალექსანდრე ბატონიშვილი ხელი ჩამაგდებინეო. ი. ბებუთაშვილმა ალექსანდრეს რამდენიმე წერილი გაუგზავნა, ურცხვად არწმუნებდა – ბაგრატიონთა სახლის ერთგული ვარ, თქვენი უშიშროებისათვის ვილწვი, მინდა რუსეთის იმპერატორის წყალობის მზე მოგეფინოსო. „თუ თქვენის ნებით მობრძანდები, დიდი პატივით მიგიღებენ". იმპერატორი, მართალია, მეფობას ვერ გიბოძებს, მაგრამ ყველა სხვა თხოვნას აგისრულებს, საქართველოში ცხოვრების უფლებასაც მოგცემსო. ალექსანდრე ბატონიშვლის პასუხი ასეთი იყო: მე როგორ შემიძლია შენ დაგიჯერო და მთავარმართებელ გუდოვიჩს მივენდო. ეს ხომ ის გუდოვიჩია ერეკლეს რამდენიმე ცრუ წერილი რომ გამოუგზავნა, რუსეთის დამხმარე ჯარის გამოგზავნის იმედი მისცა. ამის გამო იყო, რომ მეფემ ვერც ჯარი შეკრიბა და ვერც ირანის შაჰს შეურიგდა. მოვიდა აღა-მაჰმად-ხანი და თბილისი წაახდინა. გუდოვიჩმა თუ მეფე ირაკლი არ დაინდო, მოატყუა, როგორ ვირ-

წმუნო რომ მე დამინდობს და დამეხმარებაო (19, 17-18).

რუს გენერლებსა და მოხელეებს უფრო დამყოლი, ადვილად მოსათვინიერებელი ეჩვენებოდა თეიმურაზ გიორგის ძე ბაგრატიონი. ირანში ალექსანდრესთან ჩასულ თეიმურაზს ციციანოვმა ჯერ კიდევ 1803 წელს ურჩია უკან მობრუნება, რუსეთის ხელმწიფის წყალობისათვის თავის შეფარება. 1804 წლის 31 ივლისს გაგზავნილ წერილით არწმუნებდა მას, რომ ირანში თქვენს ყოფნას აზრი არა აქვს. შაჰი რუსეთის იმპერატორს ვერასდროს დაამარცხებს, ამიტომ გირჩევნია დაბრუნდე სამშობლოში, რომელიც ძლევამოსილი რუსეთის იმპერიის განუყოფელი ნაწილია.

მთავარმართებლისათვის გაგზავნილ პასუხში 22 წლის თეიმურაზი წერდა: ერთ დროს საქართველო ბრწყინავდა სიდიადით. მოვიდა დრო, როცა მტერი გვჯაბნიდა, საქართველო თითქოს სულს ღაფავდა, მაგრამ ღვთისმშობლის წილხვედრი ეს პატარა წალკოტი, ღვთის შეწევნითა და ქართველთა გმირული თავდაცვითი ბრძოლის მეშვეობით არსებობას განაგრძობდა, აღდგომა-განახლების უნარს ინარჩუნებდა. როცა ქართველ მეფეთა წინაშე განსაკუთრებით მწვავედ დადგა საგარეო ორიენტაციის საკითხი, მეფე ერეკლემ იმედის თვალი ერთმორწმუნე ქრისტიან დიდ რუსეთს მიაპყრო. მაგრამ თურმე გადაჭარბებული იმედი გვქონდა. თქვენ (რუსებმა) არ გაამართლეთ ჩვენი ნდობა და იმედი. არ დასჯერდით საქართველოს მფარველობაში მიღებას. ჩვენი სამეფო შეიერთეთ და რუსეთის ჩვეულებრივ სამფლობელოდ გამოაცხადეთ. მეფე ერეკელს შვილები და შვილიშვილები კი ჩამოაცილეთ ქვეყნის მართვა-გამგეობის სადავეებს და სამშობლოში ცხოვრების უფლებაც კი წაართვით. თუ გსურთ ჩვენი ხალხის გული თქვენკენ მიაბრუნოთ, მისი ნდობა აღიდგინოთ, წარმოაგზავნეთ ბაგრატიონთა ოჯახიდან თქვენთვის უფრო სანდო და მისაღები რომელიმე ბატონიშვილი, გამოაცხადეთ საქართველოს მეფედ. თუ ეს მიზანი არ შეგვისრულდება „ჩვენც არ ძალგვიძს მოსვლა მანდა, ვინაიდან ჩვენ (ბაგრატიონები – ა. ბ.) არ ვართ მხოლოდ გლახაკებრივისა პურის ჭამისანი, არამედ ყოველთვის სისხლდათხევით მცდელნი ბაგრატიონთა ოჯახის აღდგენისანი" (47, 184-1850.

თეიმურაზ გიორგის ძემ, როგორც მისმა ბიძა ალექსანდრემ, კარგად იცოდა რომ ირანის მბრძანებელი კავკასიაში თავის პოზიციების გამაგრებისათვის იბრძოდა, მაგრამ სულაც არ იყო წინააღმდეგი ქართლ-კახეთის სახელმწიფოს აღდგენისა, თუ მისი მეფე ირანის შაჰის უზენაეს ხელისუფლებას აღიარებდა. ამი-

ტომ ჩავიდნენ ლტოლვილი ბიძა-ძმისწული ირანში. თეიმურაზი ბაბა-ხანის და მის მემკვიდრედ აბას მირზას მიანიშნებდა, ისე წარემართათ თავიანთი პოლიტიკა, რომ კავკასიის ხალხთა ნდობა მოეპოვებინათ და მთელი ეს რეგიონი რუსეთის წინააღმდეგ აემხედრებინათ. ეს არისო თქვენი გამარჯვების აუცილებელი წინაპირობა. შაჰის კარზე მყოფი ალექსანდრე და თეიმურაზი ახერხებდნენ კონტაქტების დამყარებას ოსმალეთის, ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენლებთან, მათ მეშვეობით სთხოვდნენ დახმარებას გარეშე სახელმწიფოებს რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. გვაქვს ინფორმაცია, რომ თეიმურაზ ბატონიშვილმა საფრანგეთის – იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტსაც კი მიმართა დახმარების თხოვნით. მართალია, ხსენებულ სახელმწიფოებს ძალიან აშინებდა რუსეთის ექსპანსია კავკასიისა და წინააზიისაკენ, მაგრამ ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობის გამო, არ მოხერხდა შექმნა მძლავრი ანტირუსული კოალიციისა, რომელზეც ალექსანდრე, თეიმურაზი და მათი ძმები დიდ იმედს აბარებდნენ (16, 12-15). ოსმალეთსა და დასავლეთ ევროპაზე დიდი იმედი დაამყარა აგრეთვე იმერეთის სამეფო ტახტზე ჯერ კიდევ მჯდარმა სოლომონ მეორემ, რომელიც თავგამოდებით იბრძოდა ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის.

რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებამ, ქვეყნის უშუალოდ იმპერიასთან მიერთებამ იმერეთის მეფე სოლომონ II ბუნებრივია, ძლიერ შეაშფოთა. იგი აშკარად დადგა დიდი პაპის ერეკლეს მემკვიდრეთა მხარეზე და არაერთხელ სთხოვა რუსეთის ხელმწიფეს იულონ ერკლეს ძის ქართლ-კახეთის მეფედ დამტკიცება. თუ მისი თხოვნა შეწყნარებული იქნებოდა, სოლომონ II პირობას დებდა, რომ იმერეთის სამეფოც შევიდოდა რუსეთის მფარველობაში. ალექსანდრე პირველმა იმერეთის მეფის თხოვნა არ დააკმაყოფილა. სოლომონი მალე დარწმუნდა, რომ რუსეთს დასავლეთ საქართველოს ანექსიაც სურდა და ხმას აღარ იღებდა იმპერატორის საფარველქვეშ შესვლაზე. მაგრამ ამ მიმართულებით რუსული ხელისუფლება გააქტიურდა.

კავკასიის რუსული კორპუსის მთავარსარდალმა და საქართველოს მთავარმმართებელმა ციციანოვმა ომის მუქარით აიძულა სოლომონ II რუსეთის იმპერატორისათვის მფარველობაში მიღება ეთხოვნა. 1804 წლის მარტში გამართული მოლაპარაკების დროს სოლომონმა რუსეთის მფარველობაში შესვლაზე მზადყოფნა განაცხადა იმ პირობით, თუ იმერეთის სამეფო ფართო ავტონომიას შეინარჩუნებდა. მალე ციციანოვმა სოლომონ მეორეს მფართელობა-ხელდებულების პროექტი გამოუგზავნა.

მაგრამ რუს მოხელეთაგან შეთხზული პროექტით ისე ძლიერ იზღუდებოდა იმერეთის სუვერენიტეტი, რომ სოლომონმა მასზე ხელი არ მოაწერა. ამით განრისხებულმა ციციანოვმა იმერეთის მიმართულებით მრავალრიცხოვანი ჯარი გაგზავნა და ხელშეკრულების მიღება-დამტკიცება კატეგორიულად მოითხოვა. სხვა გამოსავალი არ ჩანდა და იმერეთის მეფე დათმობაზე წავიდა: 1804 წლის 25 აპრილს ელაზნაურში სოლომონ მეორემ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას და რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზეც დაიფიცა.

ელაზნაურის ტრაქტატის ძალით იმერეთის მეფედ სოლომონ მეორე რჩებოდა ტახტის მემკვიდრეზე გადაცემის უფლებით, მაგრამ მისი სუვერენიტეტი იზღუდებოდა როგორც საგარეო პოლიტიკაში, ისე შინაშმართველობაში. იმერეთის მეფე პირობას დებდა, რომ დაემორჩილებოდა იმპერატორის მოხელეს, საქართველოს მთავარმართებელს. სისხლის სამართლის საქმეებს გაარჩევდა რუსეთის კანონთა საფუძველზე. იმერეთში შემოდიოდა რუსეთის ჯარი. ადგილობრივ მოსახლეობას ევალებოდა რუსული ბატალიონების დაბინავება და სურსათ-სანოვაგით მომარაგება. ამგვარად, რუსეთთან ურთიერთობაში სოლომონ მეორემ პირველი დიდი მარცხი განიცადა. იმერეთი რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა არა მფარველობა-ხელდებულობის, არამედ ქვეშევრდომობის სტატუსით.

რუსეთის წარმომადგენლად იმერეთში დაინიშნა გენ. ლიტვინოვი, რომელმაც თავის განკარგულებაში მყოფი ჯარით თითქმის სრული კონტროლის ქვეშ მოაქცია მეფე და მისი ადმინისტრაცია. ციციანოვმა კმაყოფილი და მედიდური ტონით აუწყა იმპერატორს, რომ მეფე სოლომონმა თავის მოხელეებთან ერთად ოქვენი უდიდებულესობისადმი ერთგულების ფიცი დადო და ამდენად ეს ქვეყანა გადაიქცა რუსეთის ერთ-ერთ პროვინციად. იმერეთის სამეფოს შესვლა რუსეთის მფარველობა-ქვეშევრდომობაში ალექსანდრე პირველმაც აღიქვა როგორც ამ ქვეყნის იმპერიასთან მიერთება და თავის მოხელეს მადლობა გადაუხადა ამ საქმის კეთილად დაბოლოებისათვის (21, 45).

რუსეთის მთავრობა დასავლეთ საქართველოშიც „დაანაწილე და იბატონეს" იმპერიულ დოქტრინას იყენებდა. ციციანოვი აქტიურად ჩაერია სოლომონ მეორისა და გრიგოლ დადიანს შორის ლეჩხუმის ფლობის გამო გამართულ დავასა და ბრძოლაში, მხარი დაუჭირა სამეგრელოს მთავარს. სოლომონის წინააღმდეგ ამხედრებდა აგრეთვე გურიისა და აფხაზეთის მთავრებს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სოლომონ II უშვილო იყო. ელაზნაუ-

რის ტრაქტატის ძალით მის მემკვიდრედ გამოცხადდა დავით გიორგის ძე ბაგრატიონის ვაჟი კონსტანტინე. რუსულ ხელისუფლებას სურდა იმერეთის ტახტის კანონიერ მემკვიდრე და მისი მომხრე თავადაზნაურობა სოლომონ მეორეზე მუდმივი პოლიტიკური ზემოქმედების საშუალებად გამოეყენებინა. იმერეთის საზოგადოებამ კარგად განჭვრიტა, რომ რუსი მოხელეების საზრუნავს კონსტანტინე ბატონიშვილის ინტერესთა დაცვა კი არა სამეფოს გაუქმება შეადგენდა. ამას მალე თვით კონსტანტინე ბატონიშვილიც მიხვდა. იგი ქართლიდან (სადაც რუსული ხელისუფლების კონტროლქვეშ იმყოფებოდა) იმერეთში გაიქცა, სოლომონის სამეფო კარს შეეხიზნა. სოლომონ მეორემ გაიერთგულა კონსტანტინე და მისი მომხრე თავადები. ბაგრატიონთა საგვარეულოს ეს წარმომადგენელი, რომელიც მასზე ზეწოლის საშუალებად უნდოდათ გადაექციათ, სოლომონმა რუსეთის საწინააღმდეგო ბრძოლაში ჩააბა.

სოლომონ II ჯერ კიდევ არ თელიდა ბრძოლას წაგებულად, იმედოვნებდა, რომ შეინარჩუნებდა იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობას თუ არა, ფართო ავტონომიას მაინც. ციციანოვი და მისი ხელქვეითი იმერეთში – ლიტვინოვი თავიანთ მხრივ ყოველგვარ საშუალებას იყენებდნენ სოლომონის მდგომარეობის გასართულებლად. ცდილობდნენ გამოეწვიათ კონფლიქტი და ომი მეფე-მთავრებს შორის. შეესუსტებინათ მეფის პოზიციები, კიდევ უფრო შეეზღუდათ მისი უფლებამოსილება, თუ სისხლისზღვრის გარეშე მოხერხდებოდა ტახტიდან ჩამოეგდოთ და იმერეთი მართლაც ჩვეულებრივ პროვინციად გადაექციათ.

სოლომონ II ადვილად ხვდებოდა და აშკარად ამხელდა რუს მოხელეთა გულის ნადებს. 1804 წლის 22 დეკემბერს იგი ლიტვინოვს სწერდა, რომ ციცანოვმა დაპირება არ შეასრულა, ლეჩხუმის საკითხი დადიანის სასარგებლოდ გადაწყვიტა. იმერეთში საჭიროზე მეტი რუსის ჯარი შემოიყვანაო. წარსულის მაგალითებზე მიმითითებენ და იმას მეუბნებიან, რომ რუსეთის მთავრობა სიცოცხლეშივე ჩამოგართმევსო სამეფო ტახტს და იმერეთიდან რუსეთს გაგისტუმრებენო. მე ამ ხმებს არ ვიჯერებ, იმედია ყოველად მოწყალე იმპერატორი არ გამწირავს, მაგრამ მისი ადგილობრივი მოხელეების ქმედება მაიძულებს სიფრთხილე გამოვიჩინო. რამდენიმე თვის შემდეგ იმერეთის მეფემ თვით ციცანოვს გაუგზავნა წერილი, სთხოვდა მის დასაშინებლად ქუთაისში შემოყვანილი ჯარი სალაიას გადაეყვანა. საყვედურობდა – უცერემონიოდ ერევით იმერეთის საშინაო საქმეებში. ლიტვინოვი ფაქტობრივად მეფის ფუნქციებს მართმევს და მე არ შემიძლია ამას

გულდამშვიდებით ვუცქიროო (47, 420, 439).

1806 წლის დამდეგს საქართველოს მთავარმართებლად გენერალი გუდოვიჩი დაინიშნა. სოლომონ მეორემ სცადა მასთან საერთო ენის გამონახვა, გაუგზავნა წერილი, რომელშიც იგი საყვედურს გამოთქვამდა ციციანოვისა და მის ხელქვეითთა მიმართ. მათ დაარღვიეს ხელშეკრულების ზოგი მუხლი და ზომაზე მეტად შეკვეცესო ჩემი ხელმწიფური უფლებები. იმპერატორის ერთგულების გამო მე დავივიწყებ ამ უსამართლობას, მაგრამ მოვითხოვ, რომ ქუთაისიდან გაეყვანათ ჯარი და სათანადო ნოტით აღჭურვილი ჩემი ელჩები პეტერბურგს გაუშვათ. რათა ჩემს მიერ შედგენილი ხელშეკრულების ახალი პროექტი მათი ხელით იმპერატორს წარვუდგინოო.

სოლომონ მეორის მიერ რედაქტირებული რუსეთ-იმერეთის ხელშეკრულების ახალი პროექტის შინაარსი, მისი მთავარი მუხლები ასეთი იყო:

1) ჩვენ მეფე იმერეთისა და სხვათა სოლომონ II ვაღიარებთ რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის უზენაეს ხელისუფლებას; 2) ვდებთ ერთგულ ქვეშევრდომულ ფიცს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის წინაშე; 4) მე და ჩემს მემკვიდრეებს იმპერატორი უცვლელად დაგვიცავს იმერეთის სამეფო ტახტზე; 9) იმერეთის სამეფოში მუდმივ სამყოფად გამოიგზავნება რუსეთის ჯარის 120 კაციანი რაზმი და იქ დადგება, სადაც იმერეთის მეფე მოისურვებს; 11) საერთო მტრის წინააღმდეგ ომის შემთხვევაში, რუსეთის ჯარს მიეცემა იმერეთის ტერიტორიაზე გავლა-დაბანაკების უფლება. მეფე ეცდება მოამარაგოს ჯარი სურსათ-სანოვაგითა და ფურაჟით.

ხელშეკრულების პროექტის დამატებაში ცალკე იყო ჩამოყალიბებული იმერეთის მეფის მოთხონილებანი რუსეთის მთავრობის მიმართ: 1) რუსეთის მთავრობა არ ჩაერიოს იმერეთის მმართველობაში. მეფეს შეუნარჩუნდეს თავის ქვეშევრდომთა დამცრობა-დასჯისა და აღზევების უფლება. იმერეთის მეფის მოღალატეებს თავშესაფარი არ მიეცეს რუსეთში. მფარველი დაეხმაროს ხელდებულს შინაგამცემთა დასჯაში; 2) იმერეთის მეფეს უშუალო ურთიერთობა უნდა ჰქონდეს რუსეთის იმპერატორთან. რუსეთის მთავრობის ადგილობრივ მოხელეებს აეკრძალოს მეფის წერილების შეჩერება,მისი ელჩების გზიდან მობრუნება; 3) კავკასიაში მდგარ რუსთა ჯარის სარდალს იმპერატორმა დაავალოს დახმარება გაუწიოს იმერეთის მეფეს გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ ჯარი გაიყვანოს იმერეთიდან (49, 120-124).

შედარება ცხადყოფს, რომ ხელშეკრულების ახალ პროექტს მნიშვნელოვანი ცვლილებები შეჰქონდა ელაზნაურის ტრაქტატში. მისი ავტორი მიზნად ისახავდა იმერეთის სამეფოს შინაგანი დამოუკიდებლობის განმტკიცებას. ავტონომიურ უფლებათა გაფართოებას. იმერეთის მეფემ და პოლიტიკოსებმა აშკარად გამოთქვეს უნდობლობა რუს სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალთა მისამართით. თუ ერეკლე II და გიორგი XII საქართველოს უშიშროების გარანტად რაც შეიძლება დიდი რაოდენობით ჯარის შემოყვანას მიიჩნევდნენ. იმერეთის მეფე და მისი მოხელეები 120 კაციანი რაზმის შემოყვანით კმაყოფილდებიან, ომის დროს დიდი რაოდენობით შემოყვანილი ჯარების ომის დამთავრების შემდეგ უკან გაყვანას მოითხოვენ. ეს არცაა გასაკვირი. სოლომონ მეორემ ისტორიაც იცოდა და XVIII-XIX სს. მიჯნაზე შექმნილ სიტუაციაშიც ერკვეოდა. ნახა, რომ რუსეთმა სამხედრო ძალაზე დაყრდნობით განახორციელა თავის გეგმა-გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო, ამავე ჯარის გამოყენებით აპირებდა იმერეთის სამეფოს გაუქმებასაც. ამ მწარე გამოცდილებამ და მის თვალწინ დატრიალებულმა მოვლენებმა უკარნახა სოლომონ მეორეს ხელშეკრულების ახალი პროექტის შედგენა, მისი მეშვეობით ქართული სახელმწიფოებრიობის გადარჩენა.

ხელშეკრულების ახალი პროექტი რუსეთის დაპყრობით გეგმებს ეწინააღმდეგებოდა. მალე სოლომონ მეორისათვის ცხადი გახდა, რომ რუსეთის იმპერატორი მას არ დაამტკიცებდა. რუსეთის ადგილობრივი მოხელეები აქეთ ედავებოდნენ იმერეთის მეფეს, საყვედურს უცხადებდნენ უნდობლობისათვის, მისგან მოითხოვდნენ დისკრიმინაციული ელაზნაურის ტრაქტატის ყველა მუხლის შესრულებას, უსიტყვო მორჩილებას.

ასეთ სიტუაციაში სოლომონ მეორემ წინაპარ მეფეთა ტრადიცია გააგრძელა. სცადა რუსეთ-ოსმალეთის წინააღმდეგობა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. 1806 წელს რუსეთ-ოსმალეთის დროებითი კავშირი დაირღვა და მათ შორის ომი დაიწყო. სოლომონმა პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა ოსმალეთთან კონტაქტების დასამყარებლად, სულთანს სამხედრო-პოლიტიკური დახმარება სთხოვა. იგი იმედოვნებდა, რომ ამ დიპლომატიური მანევრით აიძულებდა რუსეთის მთავრობას დათმობაზე წასულიყო, იმერეთის ავტონომიური სამეფოს არსებობას შერიგებოდა. სუსტი ვასალის ასეთმა ქმედებამ რუსეთის იმპერატორის განრიხსება გამოიწვია. მან საიდუმლო ბრძანება გამოუგზავნა თავის მოხელეებს იმერეთის მეფის მორჩილებაში მოყვანის, დასავლეთ საქართველოში რუსეთის პოზიციების განმტკიცების

შესახებ. მაგრამ მისი შესრულება არც ისე ადვილი აღმოჩნდა.

1807 წლის დეკემბერში საქართველოს მთავარმართებელი გუდოვიჩი აუწყებდა რუმიანცევს, რომ იმერეთის მეფე სოლომონმა რუსეთისადმი მტრობა გააძლიერა. იგი თავხედურ მოთხოვნებს გვიყენებს, აღარ ასრულებს ელაზნაურის ტრაქტატით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. მისი ასეთი სულისკვეთება კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც დაირხა ხმები რუსეთ-ოსმალეთის დროებითი საზაო ხელშეკრულების ძალით იმერეთის თურქეთის გავლენის სფეროდ აღიარების შესახებ. მე სოლომონ მეორეს მივწერე ცრუ ინფორმაცია მიგიღია მეთქი, მაგრამ როგორც ჩანს მას აწყობს ასეთი ხმების დაჯერება, ცდილობს თურქეთისაგან სამხედრო დახმარების მიღებას. იმერეთის მეფე მუქარასაც კი ბედავს, კატეგორიულად მოითხოვს ქუთაისიდან ჩვენი ჯარის გაყვანას. იმავე მოხსენებით ბარათში გუდოვიჩი აღნიშანვს, რომ სოლომონ მეორე თავიდანვე მტრულად იყო განწყობილი რუსეთისადმი. გთხოვთ ამის შესახებ მოახსენოთ იმპერატორს და გამომიგზავნოთ მისი უმაღლესობისაგან ხელმოწერილი ინსტრუქცია, თუ როგორ მოვექცეთ ურჩ ვასალს – იმერეთიმ მეფეს. მე პირადად მიმაჩნია, რომ ამ მხარეში მშვიდობის შენარჩუნების და რუსეთის პოზიციების განმტკიცების წინაპირობაა სოლომონ მეორის ტახტიდან გადაყენება.

რუსეთის იმპერატორი თავის ერთგულ გენერალს დაეთანხმა. 1808 წლის თებერვალში პეტერბურგიდან გუდოვიჩს გამოუგზავნეს ალექსანდრე პირველისაგან ხელმოწერილი ინსტრუქცია და მისი პირადი ბარათი. რომლის შინაარსი ასეთი იყო: საბოლოოდ დაკრწმუნდი სოლომონ მეორის რუსეთისადმი მტრულ განწყობილებაში. არა მარტო ვიზიარებ თქვენს აზრს მისი გადაყენების შესახებ, არამედ გიბრძანებ ეს ღონისძიება დაუყოვნებლივ მოიყვანო სისრულეში. იმერეთის ყოფილი მეფე, მისი ოჯახის წევრები და ბატონიშვილი კონსტანტინე, დაუყოვნებლივ გამოგზავნე რუსეთში. იმერეთის მოსახლეობა კი დაარწმუნე რომ დაცული იქნება მისი ინტერესები და მასთან კონფლიქტის გარეშე შექმენი იმერეთის დროებითი რუსული მმართველობა (48, 154).

იმპერატორის ბრძანების შესასრულებლად გუდევიჩი და მისი ხელქვეითი მოხელეები ენერგიულად ამოქმედდნენ. იმერეთში მდგარი ჯარი დამატებითი ნაწილებით შეავსეს. სოლომონმა რუსის ჯარით ავსებულ ქუთაისში ყოფნა სახიფათოდ მიიჩნია და ვარციხეში გადავიდა. იმერეთის მეფისათვის ცნობილი გახდა რუსული ხელისუფლების განზრახვა და ბუნებრივია, მიი-

ლო კონტრზომები. მან უფრო მჭიდრო კონტაქტები დაამყარა ოსმალეთის მთავრობასთან, რომელიც ომს აგრძელებდა რუსეთის წინააღმდეგ. ოსმალეთის სულთნისაგან სამხედრო დახმარების განევით დაიმედებულმა სოლომონ მეორემ კავშირი განაახლა ირანში მყოფ ალექსანდრე ერეკლეს ძესთან. მასთან ერთად მოუწოდა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას ანტირუსული აჯანყებისაკენ.

გენერალმა გუდოვიჩმა ერთ წელიწადში იმპერატორის ბრძანება ვერ შეასრულა. სოლომონ II ტახტიდან ვერ გადააგდო. 1809 წელს საქართველოს მთავარმართებლად გენერალი ტორმასოვი დაინიშნა. მან კატეგორიულად მოსთხოვა იმერეთის მეფეს პეტერბურგში გაეგზავნა თავის ერთგულ თავადთაგან შედგენილი დეპუტაცია, რომელიც იმპერატორს მადლობას მოახსენებდა მფარველობისა და დაცვისათვის. იმავდროულად ურჩია მას ქუთაისში დაბრუნება და ელაზნაურის ტრაქტატით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება. სოლომონ მეორეს კი არც მადლობის თქმის საფუძველი ჰქონდა და არც რუს მოხელეთა ნდობისა. ამიტომ მან გუდოვიჩის მოთხოვნის შესრულებაზე უარი თქვა, რჩევა კი არ მიიღო.

1809 წლის სექტემბერში ტორმასოვმა უზენაეს მთავრობას აცნობა, რომ იმერეთის მეფე შეხვდა მისი ქვეყნის საზღვართან მოსულ ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელმაც შაჰისაგან ნაბოძები ფული ჩამოიტანა და მიზნად აქვს დასახული რუსეთის წინააღმდეგ აამხედროს ერთდროულად ახალციხის ფაშა, იმერეთი და კავკასიის მთებში მცხოვრები ოსები. სხვა დოკუმენტური მასალიდან ჩანს, რომ იმერეთის მეფესა და ალექსანდრე ბატონიშვილის მიზანი იყო თავიანთ ძალთა კოორდინაცია და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ირანის ჯარის გამოყენება. ტორმასოვის მიზანი კი ამის შემდეგ გახდა არა სოლომონ მეორესთან ურთიერთობის დარეგულირება, არამედ ყველა პირობის მომზადება მეფის შეპყრობისა და იმერეთში რუსული მმართველობის გახსნისათვის. იმერეთში დიდი გავლენის მქონე და ბოლოს ხანს რუსეთისაკენ გადახრილ ზურაბ წერეთელს ტორმასოვმა დაავალა, მოფერება-დაყვავებით დააწყნარე მეფე, დაითანხმე საცხოვრებლად გადმოვიდეს ქუთაისში, სადაც უფრო ადვილი იქნება მისი დატყვევება არასასურველ გართულებათა გარეშეო. თავის მხრივ ღალატის გზაზე დამდგარი ზურაბ წერეთელი რუსული ხელისუფლებისაგან ფულს მოითხოვდა. თუ ოქრო ბლომად გამოიგზავნება გაადვილდებაო სოლომონ მეორის ერთგულ თავადთა მოსყიდვა. იგი ტორმასოვს ურჩევდა საქმე დააჩქარე,

რადგან რუსეთის მტრები ზაფხულს უცდიან, ტყეებში რომ გამაგრდნენ. დაელოდებიან ბაბახანს, რომელიც მათ ელჩს არწმუნებდა - ჩემი გრძელი წვერის ტარებაზე ხელს ავიღებ, თუ თქვენ რუსებისაგან არ დაგიხსნითო. ზ. წერეთელი ბოლოს კვლავ დასძენდა – თუ გინდათ ეს არ მოხდეს ფული მომაშველეთ, იმერეთის თავადებს მოვისყიდი და ციხეს შიგნიდან გავტეხავო (49, 298).

თვით მთავარმმართველი ტორმასოვი, სიმონოვიჩი და სხვა მოხელეები ზურაბ წერეთელს დიდ ნდობას არ უცხადებდნენ ქართველებთან მიმართებაში, ფულის ძალაზე მაინც და მაინც დიდ იმედებს არ ამყარებდნენ. ისინი თითქმის შეუძლებლად თვლიდნენ უზენაესი დავალების მშვიდობიანი მეთოდებით შესრულებას. ტორმასოვი, მართალია, კვლავ აგრძელებდა სოლომონთან მოლაპარაკებას, მაგრამ იმადროულად სამხედრო ოპერაციის გეგმის სრულყოფაზე მუშაობდა.

1810 წლის დამდეგს სოლომონ მეორემ ერთხელ კიდევ მოითხოვა რუსეთის მთავრობისაგან ელაზნაურის ტრაქტატში გამაუმჯობესებელი მუხლების შეტანა, თავის ხელმწიფური უფლებების გაფართოება, იმერეთის შინაგანი სუვერენიტეტის პატივისცემა. ამით გაღიზიანებულმა ტორმასოვმა ულტიმატუმი გაუგზავნა სოლომონ მეორეს, კატეგორიულად მოსთხოვა ქუთაისში დაბრუნება, იმპერატორისათვის ბოდიშის მოხდა ერთგულქვეშევრდომული ფიცის არაერთგზის დარღვევის გამო. სამდღის ვადაში უნდა გაგზავნოო პეტერბურგში სამადლობელი დეპუტაცია – ბატონიშვილი კონსტანტინე, თავადები – მალხაზ ანდრონიკაშვილი, სოლომონ ლიონიძე, სეხნია წულუკიძე, ქაიხოსრო წერეთელი, როსტომ ნიჟარაძე. იმერეთის მეფის ამ ერთგულ ადამიანების იმერეთიდან გასვლის შემდეგ აპირებდა მთავარმმართველი ტორმასოვი გადამწყვეტი ოპერაციების ჩატარებას, იმერეთის სამეფოს გაუქმებას და დროებითი რუსული მმართველობის შექმნას. სოლომონი ამას ხვდებოდა და ამიტომ ეს ულტიმატური მოთხოვნილებანი უარყო, თავდაცვითი ღონისძიებანი ჩაატარა.

დაძაბულობამ ზენიტს მიაღწია. განრისხებულმა ტორმასოვმა იმერეთის მეფესთან მოლაპარაკება შეწყვიტა. პროკლამაცია გამოაქვეყნა, თითქოს უშუალოდ იმერეთის თავადაზნაურობას, სამღვდელოებასა და ხალხს გაესაუბრა. პროკლამაციის ავტორები გაოცებული ღაღადებდნენ სოლომონ მეორის „შეუფერებელ" საქციელსა და ანტირუსულ განწყობილებაზე, მის ირანოსმალეთთან დანაშაულებრივი კავშირის შესახებ. ტორმასოვი

და მისდამი დაქვემდებარებული მოხელენი ვარაუდობდნენ, რომ იმერეთის თავადაზნაურობა, სამღვდელოება და ხალხი თავის მეფეზე რუსეთისათვის სასურველ გავლენას მოახდენდა, დააბრუნებდა მას რუსეთის იმპერატორის ერთგულების გზაზე. მაგრამ პროკლამაციას საწინააღმდეგო შედეგი მოჰყვა.

სოლომონ მეორის თანამოაზრე-თანამებრძოლებმა პროკლამაცია შეაფასეს, როგორც მეფის ტახტიდან ჩამოგდების მცდელობა. მეფემ თავადაზნაურობა, სამღვდელოება და გლეხური კომლების მეთაურები შეკრიბა, 6 ათას კაცს დაუსვა კითხვა – სურთ თუ არა იგი თავის მეფედ. ყრილობაზე მისულთა პასუხი დადებითი იყო. ყველამ ერთგულება შეფიცა მეფეს. სოლომონის თანამებრძოლები გურია-სამეგრელოშიც გადავიდნენ, ამ სამთავროებშიც საკმაო რაოდენობით დააფიცეს მოსახლეობა იმერეთის მეფის ერთგულებაზე. ამის შემდეგ სოლომონ მეორემ, თავადაზნაურობამ და სამღვდელოებამ ტორმასოვს ყველასაგან ხელმოწერილი ბარათი გაუგზავნა, 1804 წლის ტრაქტატის შეცვლა, იმერეთის სამეფოს ავტონომიურ უფლებათა გაფართოება მოითხოვა (20, 51-52).

მთავარმმართველი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ იარაღის ამოქმედების გარეშე მიზანს ვერ მიაღწევდა. 1810 წლის 14 იანვარს ტორმასოვმა იმერეთში მდგარ ჯარის უფროსს გენ. სიმონოვიჩს აუწყა: სოლომონ მეორის წინააღმდეგ გადამწყვეტი მოქმედების დრო დადგა. ჩვენი ჯარი ამისათვის მზადაა, მაგრამ საბრძოლო ოპერაციები რომ გაადვილდეს იმერეთის მოსახლეობაში მომხრეები უნდა შეიძინოო. აგრეთვე გევალება კონტაქტები დაამყარო მამია გურიელთან, აღუთქვი მას, თუ ბრძოლაში რუსეთის მხარეს დაიჭერს, აღიარებული იქნება იმერეთისაგან დამოუკიდებელ მთავრად და ყველა იმ უფლება-უპირატესობას შეიძენს, რითაც სამეგრელოს მთავარი სარგებლობს. სასურველია რაჭის ერისთავის გადმობირებაც. ყველა ამ ღონისძიებათა გატარების შემდეგ, განაგრძობს მთავარმმართველი, გაავრცელე ხმები ახალციხეზე ლაშქრობის შესახებ და მოულოდნელად დაეცი თავს ვარციხეში გამაგრებულ სოლომონს. არ მისცე მას გაქცევის საშუალება. ალყაში მოქცეულ მეფეს გადაეცი ჩემი ულტიმატუმი – დაბრუნდეს ქუთაისში და შეასრულოს რუსეთის მთავრობის ყველა მოთხოვნა. თუ მან უარი გაბედა მყისვე გაავრცელე პროკლამაცია სოლომონ მეორის სამეფო ტახტიდან გადაყენების შესახებ და დაიწყე ხალხის დაფიცება რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე. ამასობაში მე დიდი ჯარით იმერეთში შემოვალ და საქმე ბრძოლით გადაწყდებაო (49, 217-218).

მთავარმართებლის დარიგება და ბრძანება, რა თქმა უნდა, სიმონოვიჩმა შეასრულა. ულტიმატუმი გაუგზავნა სოლომონს, მაგრამ იგი მორჩილების გზაზე ვერ დააყენა. 1810 წლის 20 თებერვალს მან იმერეთში გაავრცელა პროკლამაციები სოლომონის სამეფო ტახტიდან გადაყენების შესახებ და დაიწყო რუსთ ხელმწიფის ერთგულებაზე ხალხის დაფიცება. რუსული ჯარიც ამოქმედდა; ერთი ნაწილი ვარციხისაკენ სოლომონის შესაპყრობად დაიძრა, მეორემ კი გეზი აიღო კონსტანტინე ბატონიშვილის (ტახტის მემკვიდრე) რეზიდენცია ჩხარის ციხისაკენ. რუსული პოლკი გაიგზავნა რაჭაშიც. იმერეთის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უნდობლობით შეხვდა პროკლამაციით აღთქმულ დაპირებას ხალხის ინტერესების დაცვის შესახებ. ბევრმა უარი თქვა რუსეთის იმპერატორის ერთგულების ფიცზე და ტყეს შეაფარა თავი. იმერეთის მეფის ლაშქარი კი ციხეებში გამაგრდა.

რუსმა მოხელეებმა ამჯერადაც აამოქმედეს გათიშე და იბატონეს დოქტრინა. იმერეთის მეფის საწინააღმდეგო ბრძოლაში ჩაიბეს სამეგრელოსა და გურიის მთავრები. ლევან დადიანმა გადმოლახა ცხენის წყალი, დაიკავა იმერეთის რამდენიმე სოფელი, იმედოვნებდა, რომ რუსული ხელისუფლების ნებართვით საჭილაოს უბანს სამეგრელოს სამთავროს შეუერთებდა. მამია გურიელი საჯავახოდან შეიჭრა იმერეთში, რუს ჯართან ერთად იბრძოდა სოლომონ მეორის ლაშქრის წინააღმდეგ, რათა რუსთ ხელმწიფის წყალობა დაემსახურებინა, იმპერიის მფარველობაში უშუალოდ შესული მთავრის სტატუსი მიეღო.

სოლომონ II ვარციხეში იყო გამაგრებული. იმერეთის სხვა ციხეებს იცავდნენ ქაიხოსრო წერეთელი, გიორგი წულუკიძე, დავით აგიაშვილი. რუსთა ჯარმა დაამარცხა ქ. წერეთელის ამაახუთას კაციანი რაზმი და ჩხარის ციხე აიღო. რაჭა-ლეჩხუმის მიჯნაზე მარცხი განიცადა წულუკიძე-აგიაშვილის რაზმმაც, რუსეთის ჯარმა მოახდინა იმერეთის დიდი ნაწილის ოკუპაცია. ვარციხეში გამაგრებული სოლომონი 9 მარტამდე უმკლავდებოდა რუსული პოლკების შეტევას. მაგრამ იგი ზურგსა და მაშველ ძალებს მოწყდა, თითქმის სრულ ალყაში აღმოჩნდა. რუსებმა ბაღდადი და ვარციხეც აიღეს. მეფემ ზეკარის უღელტეხილისაკენ იწყო გადასვლა, მას ფეხდაფეხ მიჰყვა რუსთა ჯარი. ხანისწყლის ხეობაში რუსეთის ჯარმა კვლავ მოაქცია ალყაში სოლომონი და მისი ლაშქრის ნაშთები. ასეთ ვითარებაში მეფემ მიიღო რუს გენერალთა წინადადება დამორჩილების შესახებ და ბრძოლა შეწყვიტა. რუსულ ხელისუფლებას ანდო თავისი ბედი. ამალის

თანხლებით და 500 კაციანი რაზმით ქართლში გადავიდა, ქ. გორში ეახლა ტორმასოვს. საქართველოს მთავარმმართველმა გაიხარა. ყოფილი მეფის რაზმი დაშალა, მხლებლები დაითხოვა. სოლომონი თბილისში ჩაიყვანა და თავის რეზიდენციის ქვედა სართულის საკანში ჩასვა. 1810 წლის 13 აპრილს ტორმასოვმა ამაყი ტონით აუწყა რუმიანცევს: გამოვგზავნე შიკრიკი, მას მოაქვს ჩემი უქვეშევრდომილესი მოხსენება იმპერატორისადმი იმის შესახებ, რომ აღსრულდა მისი სურვილი და ბრძანება: იმერეთი, ამ ქვეყნის ყველა ციხე-სიმაგრეები დავიკავეთ ერთ თვეში. იმერეთის თავადაზნაურობა, სამღვდელოება და ხალხი – სულ 40 ათასი კომლი, დაფიცებულია რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე. ურჩი ვასალი მეფე სოლომონ II დატყვევებულია, გილოცავთ ამ დიდ გამარჯვებას, იმერეთის გადაქცევას იმპერიის პროვინციად. ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ღმერთმა მე მარგუნა იმპერატორის ამ ფრიად რთული დავალების შესრულება (49, 245-250).

იმერეთის მეფეს, როცა ადგილობრივ რუსულ ხელისუფლებას ნებდებოდა, მცირე იმედი მაინც ჰქონდა იმპერატორისაგან შენყალებისა. მაგრამ მას შემდეგ რაც მცველები მიუჩინეს და რუსეთს გადასახლებაზე დაუწყეს ლაპარაკი, დარწმუნდა, რომ ეს იმედი სრულიად უსაფუძვლო იყო. სოლომონმა მყისვე მიზნად დაისახა ტყვეობიდან გაქცევა და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება. საისტორიო საბუთებიდან ჩანს, რომ როცა ტორმასოვი სოლომონის თანმხლებ პირებს მისი მორჩილებიდან „ათავისუფლებდა" და იმერეთისკენ ისტუმრებდა, ყოფილი მეფე ახერხებდა მათთან „გამომშვიდობებას", დავალებას აძლევდა მოეწყოთ მისი ტყვეობიდან გაქცევა. იმერეთში წასვლის მაგივრად სოლომონის ყველაზე ერთგულნი თავს იყრიდნენ თბილისის გუბერნიაში და ყოფილი მეფის გაპარების გეგმას ამუშავებდნენ. 1810 წ. 10 მაისს, ღამით, მსახურის ტანსაცმლით შემოსილმა სოლომონმა უხიფათოდ გაიარა ქალაქის კარი და შეუერთდა თავდადებულ თანამებრძოლებს. 23 კარგად შეიარაღებული მეომრის თანხლებით სოლომონმა ახალციხისაკენ აიღო გეზი.

განთიადისას ეს თავზარდამცემი ამბავი გაიგეს რუსმა მოხელეებმა და განგაში ატეხეს. ჩაკეტეს გზები, აამოქმედეს მზვეარავი რაზმები. მაგრამ ამაოდ. გმირების მცირე რაზმმა მდევარს გაასწრო, სოლომონი უხიფათო ადგილას – ახალციხეში გადაიყვანა.

მთავარმმართველი ტორმასოვი ამ დროს ყარაბაღში იმყოფებოდა. იქ აუწყეს სოლომონის გაქცევის ამბავი. ამასთან დაკავშირებით მან გენ. როზენს მისწერა: გამოუთქმელი მწუხარე-

ბით ამავსო იმერეთის ყოფილი მეფის გაქცევის ფაქტმა. მე ამ საშიშროებას თითქოს ვგრძნობდი და ამიტომ თბილისიდან წასვლის წინ ხელქვეითნი გავაფრთხილე, რომ სოლომონი ყოლოდათ მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ. მაგრამ დაცვის უხეში შეცდომის გამო ეს ამბავი მაინც მოხდა, რაც დიდ უბედურებად დაგვიჯდებაო.

თბილისში სასწრაფოდ მობრუნებულმა ტორმასოვმა საბრძოლველად გაამზადა თავის ქვემდებარე მოხელეები, შეიარაღებული რაზმები. იმრეთის დროებით მმართველს უბრძანა დაუყოვნებლივ გაემაგრებინა ხანისწყლისა და ზეგანის ვიწრობები, საიდანაც ყველაზე მეტად იყო მოსალოდნელი მაშველი ჯარებით სოლომონის იმერეთში შემოსვლა. თვით კი დიდი ჯარით დაიძრა ახალციხის მიმართულებით, რათა ახალციხის ფაშას დაკარგოდა სოლომონის დახმარების სურვილი. ტორმასოვმა გარკვეული იმედი დაამყარა იმერეთის მღვდელმთავრებზე, არწმუნებდა მათ, რომ იმერეთის ყოფილმა მეფემ დამლუპველი ნაბიჯი გადადგა, როცა თბილისიდან გაიქცა და თავი შეაფარა უსჯულო თურქებს. მისი მიზანი ისაა, რომ ოსმალეთის დახმარებით დაიკავოს თქვენი ქვეყანა, საქართველოს დაუძინებელი მტრის, ურწმუნო თურქების მონობაში მოაქციოს იმერეთის ქრისტიანი მოსახლეობა. რუსეთის ამ დიდმოხელემ კარგად იცოდა, რომ იმერეთის თავადაზნაურობა და ხალხი არ დაეთანმხებოდა თავის მეფის ასეთ უარყოფით შეფასებას. ამიტომ იგი მოუწოდებდა მღვდელმთავრებს ისეთი ზეგავლენა მოეხდინათ ხალხზე, რომ მას ფიქრადაც არ მოსვლოდა სოლომონისათვის დახმარების გაწევა, სამეფოს აღდგენისათვის ბრძოლა, მტკიცედ მდგარიყო რუსეთის „ყოვლად მოწყალე" იმპერატორის ერთგულებაზე (49 267).

იმპერატორი ალექსანდრე I სოლომონის ტყვეობიდან გაქცევამ ისე ძალიან შეაწუხა და შეაშფოთა, რომ საყვედურებით აავსო საქართველოს მთავარმართებელი და პასუხისგებაში მისცა თითქმის მთელი საგუბერნიო ხელისუფლება, რომლის დაუდევრობა-უპასუხსმგებლობის გამო მოხდა ეს უბედური შემთხვევა.

სხვაგვარი განწყობა დაეუფლა მეორე მხარეს; ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის მებრძოლი ბაგრატიონი უფლისწულები, თავადაზანურობა, სამღვდელოება და ხალხი იმერეთის მეფის ტყვეობიდან გაქცევამ უზომოდ გაახარა. სოლომონის და მის თანამებრძოლთა გმირობით აღფრთოვანებული ალექსანდრე ბატონიშვილი იმერელ თავადს ოტია ლორთქი-

ჟანიძეს სწერდა: „ღმერთი შემობრუნდა ჩვენსკენ და ჩვენი სახლის ბედნიერება დაიწყო". გავიგეთ, რომ მეფე სოლომონი გაიქცა თბილისიდან და ქოთელიაში ჩავიდა. ყველა მხარეს გავგზავნე მაცნენი წერილებით. ვიცი, რომ ბაგრატიონთა ერთგული ხართ, თქვენი ვაჟკაცობა ახლა გამოჩნდებაო (49, 265).

ტყვეობიდან თავდაღწეულმა სოლომონმა ფრიად აქტიური სამხედრო-პოლიტიკური საქმიანობა გააჩაღა. წერილები და მოწოდებები გაუგზავნა თავის ყოფილ მოხელეებს, თავადაზნაურობას, გლეხობას. ყველას სთხოვდა თანაგრძნობას და დახმარებას ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში. 1810 წლის 17 მაისს ყოფილი მეფე გენათელ მიტროპოლიტ ეფთვიმეს უგზავნის ასეთი შინაარსის წერილს: როცა ჩემი გული დარწმუნდა, რომ რუსეთში გაგზავნას მიპირებდნენ და ველარ ველირსებოდი სამშობლოს ნახვას, გადავწყვიტე გაქცევა. 10 მაისს ჩემი ერთგული 23 თავადაზნაურის თანხლებით ღამის 2 საათზე დავტოვე თბილისი და ჩავედი ახალციხის საფაშოში. გთხოვთ მიიღოთ ჩემს საქმეში მამობრივი მონაწილეობა, შეეცადეთ, რომ დამიბრუნონ სამეფო ტახტი და ქვეყანა. ამით დავალებული გვყონ მე და ჩემი სამეფო სისხლი დავღვაროთ რუსების ერთგულებისათვის. ამ მიზნით იმოქმედე და იმერეთის მოსახლეობის სულისკვეთებაც ამ მიმართულებით წარმართეო. კიდევ უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული სოლომონ II-ის პოლიტიკური კონცეფცია იმ მოწოდებაში, რომლითაც მან იმერეთის მთელ მოსახლეობას მიმართა. ის არსებითად წარმოადგენდა ტორმასოვის მიერ გამოთქმულ ბრალდებათა უარყოფას, რუსეთის დაპყრობითი პოლიტიკის კრიტიკას. ტორმასოვი თავის პროკლამაციაში ცდილობდა იმერლების დარწმუნებას იმაში, რომ სამეფოს გაუქმება მათი ბედნიერების მომასწავებელი მოვლენა იყო. თავის მოწოდებაში სოლომონი მოაგონებდა იმერლებს მათდამი სიყვარულს და ფიცით არწმუნებდა, რომ თუკი იმერეთი ჩემი გადაკარგვის ფასად მშვიდობას, თავისუფლებასა და ბედნიერებას მოიპოვებს „როგორც თქვენი მოუშორებლობისათვის თავი გავიმეტე, ისე თქვენვის დაკარგვას სასიხარულოდ მივიღებო". მაგრამ თქვენ ხედავთ თუ როგორ გმინავენ იმერეთის მეზობლები რუსების ხელში. პატიოსანი გვარები უპატიო გახადეს, სიკვდილი სანატრელი გაუხადეს. იმერლებო, უნდა იცოდეთ, რომ რუსეთის მთავრობა თავის ჩვეულ პოლიტიკას თქვენთვის არ შეცვლის. თუ მას დაემორჩილებით „უმწარესი და ყოველს მეზობელზე უძნელესი დღე იმერეთს დაუდგება". ამის მაგალითიაო ქართლ-კახეთი, რომლის ხალხი თავდაპირველად

ფიცითა და ოქროთი მოატყუეს. ახლა კი მათ სასიხარულო არაფერი აქვთ, სიკვდილს ნატრობენო (49, 271-272).

სოლომონი დარწმუნებული იყო, რომ იმერეთის მოსახლეობა ნებაყოფლობით არ დათმობდა თავის ტრადიციებს, ცხოვრების წესს, ეროვნულ თავისუფლებას, რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად თავის მეფესთან ერთად ამხედრდებოდა. იმერეთში მცირე რაოდენობით მერყეები ელემენტები და რუსულ ხელისუფლებისაგან უკვე გადაბირებული ელემენტებიც იყვნენ. სოლომონი ზოგის განეიტრალებას, ზოგისაც თავის მხარეზე გადაყვანას ცდილობდა. ასეთთა წრეში ყველაზე გავლენიანი იყო ზურაბ ნერეთელი. სოლომონ მეორემ სწორედ მას შეახსენა იმერეთისათვის ადრე გაწეული სამსახური, მოუწოდა კვლავ მხარში ამოდგომოდა მეფესა და ხალხს. ზ. ნერეთელმა მიიღო თავის ვაჟის სიმონის (ის სოლომონის ერთგული თანამებრძოლი იყო) წერილიც. იგი ასე ეეედრებოდა თავის გავლენიან მამას: „ღვთის გულისათვის ეცადეთ ჩვენი მეფისათვის, ნუ დავტოვებთ თათრების ხელში, შენ შეგიძლია შეარიგო მეფე რუსებთან. სთხოვე და დაგიჯერებენ. თუ შენს თხოვნას ანგარიშს არ გაუწევენ ჩვენს მხარეს მაინც იყავი. თუ ამ საქმეზე არ გაირჯები, ჭეშმარიტად მკაცრად აგებ პასუხს ღმერთის წინაშე (49, 272).

არაერთი საისტორიო დოკუმენტი ნათელყოფს, რომ სოლომონი, მისი უახლოესი თანამებრძოლები, ხალხის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ შესაძლებლად თვლიდა რუსეთ-იმერეთის (და მთელი საქართველოს) ინტერესთა შეთანაწყობას. ამისათვის საჭირო იყო რუსეთის მთავრობისაგან იმერეთის სამეფოსათვის (მთელი საქართველოსთვის) ფართო შინაგანი ავტონომიის მინიჭება, ბაგრატიონთა სახლის ლეგიტიმური უფლებების აღდგენა, ხალხის ზნე-ჩვეულების და ადათ წესებისათვის პატივიცემა. ამ პრინციპზე დამყარებული დიდი რუსეთისა და პატარა იმერეთისა (და მთელი საქართველოს) კავშირი ორივე მხარისათვის სასარგებლო იქნებოდა. მაგრამ იმის გამო, რომ რუსეთის მთავრობა არ იწყნარებდა ქართული სამეფოების ავტონომიას, საჭირო გახდა იარაღის ამოქმედება, თავდადებული ბრძოლა. 1802-1804 წლებში ასეთ ბრძოლას აწარმოებდა ქართლ-კახეთის მოსახლეობა. 1810 წელს მას აგრძელებდა იმერეთის მოსახლეობა, რათა იძულებული გაეხადა რუსეთის მთავრობა მიეღო იმერეთის მეფისაგან შემუშავებული და ხალხის მიერ მოწონებული ამ ორი დიდ-პატარა ქვეყნის ურთიერთობის ნორმები, იმერეთისათვის მიეცა ფართო ავტონომია. ბუნებრივია, იმერეთის მოსახლეობა აქტიურად გამოეხმაურა სოლომონის მოწოდებას და დაირაზმა

ღვთისაგან კურთხეულ თავისი მეფის გარშემო.

იმერეთის ავტონომიური სამეფოს შენარჩუნების მომბრეებმა – ქუთაისის, გელათის, ნიკორწმინდისა და ხონის ეპისკოპოსებმა საქართველოს რუს მთავარმმართველს ჯერ კიდევ სოლომონის ტყვეობიდან გაქცევამდე სთხოვეს მისი იმერეთის სამეფო ტახტზე აღდგენა. ტორმასოვი ამ მიმართვის სრულიად უყურადღებოდ დატოვებას აპირებდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც სოლომონმა ტყვეობას თავი დააღწია და იმერეთი სააჯანყებოდ შეიმართა, მთავარმმართველმა საჭიროდ ჩათვალა პასუხი გაეცა იმერეთის მღვდელმთავართა თხოვნაზე: თქვენი სურვილია, - სწერდა იგი ეპისკოპოსებს, ჩემი მეშვეობით იშუამდგომლოთ იმპერატორის წინაშე იმერეთის მეფედ სოლომონის აღდგენის შესახებ. გეუწყებათ, რომ სოლომონი დიდი პატივით მივიღე თბილისში და ვცდილობდი ხელმწიფეს მისი ბედი დადებითად გადაეწყვიტა (ტყუილია – ა. ბ.), მაგრამ სოლომონმა კიდევ ჩაიდინა დანაშაული, გაექცა იმპერატორის მართლმსაჯულებას. იგი ახალციხეს გადავიდა და თქვენი საუკუნოვანი მტრების – ირანთურქეთის ჯარების დახმარებით ცდილობს იმერეთში დაბრუნებას, კვლავ სამეფო ტახტზე დაჯდომას და ხალხისათვის დიდი უბედურების თავსდატეხას. ასეთი მოქმედებით სოლომონმა საბოლოოდ დაკარგა იმპერატორისაგან შეწყალების შესაძლებლობა. ამიტომ სოლომონს კი არ უნდა დაეხმაროთ, არამედ ვალდებული ხართ დაიცვათ იმპერატორის წინაშე დადებული ერთგულების ფიცი და თქვენს მრევლს შთააგონოთ, არა აჰყვნენ ყოფილი მეფის დანაშაულებრივ მოწოდებებს. თუ პირიქით მოხდა, იმერლები ღმერთისა და რუსეთის ხელმწიფისაგან მკაცრად დაისჯებიანო (49, 267).

რუსეთის იმპერატორის ერთგული მსახური ამაოდ გაისარჯა. ტორმასოვის მიერ სოლომონის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები იმერეთის სამღვდელოებამ, თავადაზნაურობამ და გლეხობამ არ დაიჯერა. არც მუქარას მოუხდენია რუსეთის მთავრობისათვის სასურველი შედეგი. იმერეთის თითქმის მთელი მოსახლეობა სამართლიანი საქმისათვის – მონარქიული სახელმწიფოს აღდგენისათვის საბრძოლველად შეიმართა.

1810 წლის ივნისის დამდეგს იმერეთში საყოველთაო ანტირუსული აჯანყების ცეცხლი აგიზგიზდა. სახალხო რაზმებმა ალყაში მოაქციეს, თანაც დიდად დააზარალეს იმერეთის ციხე-ქალაქებში გამაგრებული რუსული გარნიზონები. იმერეთის მმართველად დანიშნული სიმონოვიჩი ქუთაისში გამოემწყვდა, მოვლენების გაკონტროლების საშუალება აღარ ჰქონდა. აჯანყებუ-

ლებმა ყოფილი მეფე იმერეთში მოიწვიეს, სახალხო ლაშქრის სარდლობა შესთავაზეს.

სოლომონმა კარგად იცოდა, რომ აჯანყებული იმერეთი რუსეთის მრავალრიცხოვან, კარგად შეიარაღებულ-გაწვრთნილ ჯარს მარტო ვერ გაუმკლავდებოდა. ამიტომ იყო, რომ იგი, თუ ერთი მხრივ, რუსულ ხელისუფლებასთან კომპრომისული შეთანხმების დადებას ცდილობდა, მეორე მხრივ, ირან-ოსმალეთთან აწარმოებდა მოლაპარაკებას, რათა იმერეთის გამათავისუფლებელი ლაშქრის ბრძოლა მათს საომარ ოპერაციებთან მიესადაგებინა. ამ საქმეში მეფე-სარდალს ეხმარებოდნენ ნიჭიერი დიპლომატები სოლომონ ლიონიძე და როსტომ ნიჟარაძე. სოლომონ მეორეს იმედი ჰქონდა, რომ ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმული რუსეთის მთავრობა იძულებული გახდებოდა აჯანებული იმერეთისათვის დაეთმო, მისთვის ფართო ავტონომია მიენიჭებინა. რუსული ხელისუფლება ძლიერ შეშფოთდა. ტორმასოვმა იმერეთის დროებით მმართველ სიმონოვიჩს დაავალა მკვლელის დაქირავება და ყველა უბედურების გამომწვევ სოლომონის თავიდან მოცილება. ყოფილი მეფის მოკვლა მის პირად მტერს ელიზბარ ერისთავს შეუკვეთეს. ტორმასოვი ოქროს არც სხვა ჯაშუშებისა და უზნეო ადამიანებისათვის იშურებდა. მაგრამ გაოცებული იყო, რომ საყოველთაო ანტირუსული აჯანყებით მოცულ იმერეთში ფულის ძალა არ ჭრიდა. სოლომონის მოკვლის გეგმა რუსული ხელისუფლების მოხელეებმა სისრულეში ვერ მოიყვანეს (2, 388-389).

დაუმორჩილებელი იმერეთის მოსათვინიერებლად მთავარმმართველმა ტორმაოსვმა აამხედრა გენ. დიმიტრი ორბელიანი, რომლის ხელქვეით ჯარში ირიცხებოდა 3200 ოფიცერი და ჯარისკაცი. იმავდროულად ქუთაისში ბლოკირებულ სიმონოვიჩის რაზმის დასახმარებლად მიისწრაფოდა რუსთხელმწიფის ერთგულებას შერჩენილი სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი სოფ. ჯიხაიშში იგი შეუერთდა რუსთა რაზმს. მაგრამ სოლომონმა დიდი ვნება მიაყენა ამ მეგრულ-რუსულ ჯარს, რომელმაც დიდი დანაკლისით შესძლო ქუთაისში შესვლა. მიუხედავად ამისა, იმერეთის დედაქალაქი აჯანყებულთა ალყაში რჩებოდა.

თავისუფლებაში დარჩენილი ბაგრატიონი უფლისწულები ცდილობდნენ იმერეთის აჯანყებისათვის საერთო ქართული და კავკასიური მასშტაბი მიეცათ. 1810 წლის ივლისში ალექსანდრე ბატონიშვილმა 19 წლის ჭაბუკი ლევან იულონის ძე გაგზავნა ლიახვის ხეობაში, რათა იქ დაწყებული ანტირუსული მღელვარება იმერეთის აჯანყებასთან გადაეჯაჭვა. ნორჩმა უფლისწულმა

თანაებრძოლად მოიწვია ქართლის თავადაზნაურობა, მოუწოდა მათ ასეთი ხელსაყრელი მომენტი ხელიდან არ გაეშვათ, აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ანტირუსულ მოძრაობაში. ლევანმა ისიც აუწყა ქართლის თავადებს, რომ ირანიდან თვით შაჰი მოდის დიდი ჯარით, მალე ალექსანდრე ბატონიშვილიც აქ გაჩნდებაო 12 ათასიანი ლაშქრით. თავადთა ნაწილი გამოეხმაურა ამ მოწოდებას. ლევან ბატონიშვილს გვერდში ამოუდგნენ მაჩაბლები, ციციშვილები, რუსების წინააღმდეგ ამხედრდნენ ლიახვის ხეობის ზემოწელში ჩამოსახლებული ოსებიც. ალექსანდრე ბატონიშვილი და ირანელი ხანები გარჯა-საქმიანობას უქებდნენ ლევანს და მალე დიდი ჯარით საქართველოში შემოჭრით აიმედებდნენ.

ლევან ბატონიშვილის აქტიურმა საქმიანობამ რუსული ხელისუფლება, რა თქმა უნდა, შეაშფოთა ახალგაზრდა უფლისწულის მოთვინიერება მის აღმზრდელს იოანე ქართველიშვილს დაავალეს, მისი პირით პატივი და დიდება აღუთქვეს. ისიც აუწყეს, რომ მამაშენის სურვილია რუსულ ხელისუფლებას შეურიგდეო. ტორმასოვმა ლევანს ურჩია მიებაძა თეიმურაზ ბატონიშვილისათვის (რომელმაც იმ ხანებში დატოვა აბას მირზას ბანაკი და რუსეთს გადასახლდა), მაგრამ ამაოდ. აღშფოთებულმა მთავარმმართველმა ლევანის თავი 500 ოქროს მანეთად შეაფასა, თან ჯარი შეუსია ოსთა აჯანყებულ სოფლებს. ლევანმა ახალციხეში დაბრუნება, თავის ბიძა ალექსანდრესთან კვლავ შეერთება გადაწყვიტა. ამით შეფიქრიანებულმა ტორმასოვმა ლევანის თავი უკვე 2000 მანეთად შეაფასა. უფლისწულმა ფულით მოსყიდულებს თითქოს გაასწრო, მაგრამ 1811 წლის ოქტომბერში ლევან ბატონიშვილი მოკლა ლეკმა აბრაგმა, რომელიც ალბათ რუსული ხელისუფლების დაკვეთას ასრულებდა.

რუსული ხელისუფლების მთავარი ამოცანა – აჯანყებული იმერლების დასჯა-დამორჩილება იყო და 1810 წლის ივლისის დამდეგს გენ. დიმიტრი ორბელიანის ხსენებული ჯარი სურამის ქედიდან ორი მიმართულებით შეიჭრა იმერეთში. გენერალმა შაირი ტიხოცკი ერთი ბატალიონით ალის გზით გაგზავნა, თვითონ კი მთავარი ძალებით ვახანის გზას გაუყვა. ბნელთახევში აჯანყებულებმა ტიხოცკის ბატალიონს გზა გადაუჭრეს, ალყაში მოაქციეს და დიდი ვნება მიაყენეს. დ. ორბელიანი იძულებული გახდა ვახანის გზა მიეტოვებინა და ტიხოცკის მიშველებოდა. ცხარე ბრძოლით მან იხსნა ტიხოცკის ბატალიონის ნაშთი, მაგრამ იმერეთის სიღრმეში შესვლა დააგვიანდა. ამ ამბებთან დაკავშირებით მალხაზ ანდრონიკაშვილი და როსტომ წერეთელი

სოლომონ მეორეს აუწყებდნენ: რუსები სასტიკად დავამარცხეთ, 440 კაციდან მხოლოდ 160 კაცი დარჩა ცოცხალი. ამის შემდეგ რუსების დასახმარებლად დიმიტრი ყაფლანიშვილი (ორბელიანი) მოვიდა 500 კაცით. მას ჩვენ საფარში დავხვდით და უკან ქართლისკენ გავაბრუნეთ. მისი რაზმის ნაწილი – 260 კაცი კი გავწყვიტეთო (49, 303).

მთავარმართებელმა საყვედურებით აავსო დ. ორბელიანი; ჯარი ან უნდა გაგეყო და შეტევის მიმართულება არ უნდა შეგეცვალაო. ჯარისკაცთა დაკარგვა თავისთავად ძალიან სამწუხაროა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ თქვენმა მარცხმა და უკან დახევამ აჯანყებულნი გაამხნევა და დამატებითი სიძნელეები შეგვიქმნაო. დ. ორბელიანმა დაშვებული შეცდომისათვის ბოდიში მოიხადა, მაგრამ იმავდროულად მთავარსარდალსა და მთავარმმართველს დამატებითი სამხედრო ძალის მიშველება სთხოვა. განრისხებულმა ტორმასოვმა ეს თხოვნა უპასუხოდ დასტოვა, დ. ორბელიანი გადააყენა და დამსჯელი ჯარის მეთაურად გენერალი როზენი დანიშნა. ამ უკანასკნელმა დ. ორბელიანს სურამში ვერ მიუსწრო. ცნობილი გახდა, რომ რევანშის აღების წყურვილით შეპყრობილი დ. ორბელიანი იმერეთში შეიჭრა. დიდი ბრძოლით გაარღვია აჯანყებულთა საფრები და გეზი აიღო ჩხერისაკენ, რათა გადაერჩინა იმერელთა ალყაში მოქცეული რუსეთის ჯარის ერთი ნაწილი. 22 ივლისს დ. ორბელიანმა გაფანტა ციხის მოალყე აჯანყებულთა რაზმები, შეიერთა იქ მდგარი რუსული ბატალიონი და გააგრძელა სვლა ქუთაისის მიმართულებით. ფაქტობრივად მის გაკვალულ გზას გაჰყვა გენ. როზენი თავის ჯარით. 24 ივლისს რუსთა ჯარმა დაამარცხა იმერელთა 5 ათასიანი ლაშქარი. ამ გამარჯვების შემდეგ როზენი მიუახლოვდა ქუთაისს, მაგრამ მას დიდ ზარალს აყენებდნენ საფრებში ჩამსხდარი მეთოფეები და აჯანყებულთა ცხენოსანი რაზმები. 29 ივლისს როზენი ქუთაისში შევიდა და სიმონოვიჩის ჯარი ბლოკადიდან გამოიხსნა.

ამის შემდეგ სოლომონ მეორემ შეცვალა ტაქტიკა, თავის ლაშქარი შეტევიდან თავდაცვაზე გადაიყვანა. მაგრამ პარტიზანული ბრძოლა როდი გამორიცხავდა მონინააღმდეგეზე მოულოდნელ თავდასხმებს, მისთვის მეტ-ნაკლები ზარალის მიყენებას. რუსეთის ჯარის სარდლობა აჯანყების სწრაფ ჩახშობას ცდილობდა, გარედან დახმარების მოიმედე სოლომონი კი ბრძოლის გახანგრძლივებას ესწრაფვოდა. იგი დიდი მოხერხებით მანევრირებდა; თავის კავალერიით სოფლიდან სოფელში გადადიოდა ელვისებურად ესხმებოდა თავს რუსეთის ჯარის პოლკებს,

ბატალიონებსა და ასეულებს. 8 აგვისტოს შედარებით ფართო მასშტაბიანი ბრძოლა მოხდა რიონთან, 10 აგვისტოს გელათის მიდამოებში. როზენმა თითქოს წარმატებას მიაღწია, მაგრამ ვერ შესძლო სახალხო ლაშქრის განადგურება, მისი მეთაურის შეპყრობა. სოლომონი გაუსხლტა რუსთა მოიერიშე ჯარს. გადარჩენის იმედი ოსმალეთისა და ირანიდან მომდინარე დახმარებაზე დაამყარა. მაგრამ რუსეთის ამ დაუძინებელმა მტრებმა ვერ შესძლეს სამხედრო ძალთა კოორდინაცია. ერთიანი საომარი ოპერაციები ვერ განახორციელეს. 1810 წლის 5 სექტემბერს ახალქალაქთან მომხდარ ბრძოლაში რუსებმა სასტიკად დაამარცხეს თურქთა ჯარი. გარედან დახმარების მიღების შესაძლებლობა მირაჟივით გაქრა. იმერეთის მეფისა და ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა უპერსპექტივო ხდებოდა (2, 390-392).

ახალქალაქთან გამართულ ბრძოლის დროს ალექსანდრე ბატონიშვილი თან ახლდა ერევნის მფლობელ ჰუსეინ ყული ხანს, რომელიც აქ 10 ათასიანი ლაშქარით მოვიდა ოსმალეთის ჯართან ერთად რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად. აქვე ელოდნენ აბას მირზას და შერიფ ფაშა ახალციხელის ჯარებს. იმედი ჰქონდათ, რომ გაერთიანებული ძალებით რუსებს დაამარცხებდნენ, ახალქალაქიდან საქართველოში შეიჭრებოდნენ. ქართლ-კახეთის ტახტზე ალექსანდრე ერეკლეს ძეს დასვამდნენ, იმერეთში კი სოლომონ მეორეს კვლავ გაამეფებდნენ. მაგრამ პოტენციურმა მოკავშირეებმა დაიგვიანეს. შეიარაღებულ ძალთა კონცენტრაცია ვერ შესძლეს. სწორედ ამან შეუწყო ხელი ახალქალაქის ბრძოლაში რუსეთის არც თუ მრავალრიცხოვანი ჯარის გამარჯვებას.

ახალქალაქთან მომხდარი ბრძოლის ასეთმა შედეგმა ჩაშალა ალექსანდრე ბატონიშვილის გეგმა და მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ყოფილი მეფე სოლომონ მეორეც. ტორმასოვმა სწრაფად აუწყა სიმონოვიჩს ახალქალაქთან მოპოვებული დიდი გამარჯვების ამბავი, უბრძანა ეს ინფორმაცია ფართოდ გაავრცელე, აჯანყებულთა რიგებში უიმედობის გრძნობა დათესეო. მთავარმმართველი ხელქვეითს იმასაც ავალებდა, რომ დიდი სიფრთხილე გამოეჩინა, სოლომონისათვის გაქცევის საშუალება არ მიეცა. ცნობები მომდის, რომ აჯანყებულთა რაზმები უკვე გაფანტულია, ბევრმა იმერელმა იმპერატორის ერთგულებაზე დაიფიცაო. მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ასეთ ინფორმაციას ჩვენთვის თვალის ახვევის მიზნით აკეთებდნენ, რათა ისევ შეგროვდნენ და კვლავ ბრძოლა გაგვიმართონ. ამიტომ იცოდე, ვიდრე ბოროტების სათავე არ მოისპობა მანამდე იმერეთის საკითხი გა-

დაჭრილად არ ჩაითვლება. ამიტომ აუცილებელია სოლომონის მოკვლა, ან დატყვევება. მისი განდევნა საქმის დასასრული არ იქნება. გევალება გადადო 2 ათასი ჩერვონეცი, მონახო საიმედო ადამიანი, რომელიც მიზანს არ აცდენს. თუ სოლომონს იმ ქვეყნად გავისტუმრებთ ყველაფერი კარგად დამთავრდებაო (49, 316-319). შემდეგაც, ერთი თვის განმავლობაში ტორმასოვი ყოველ ბრძანება-მიმართვაში სიმონოვიჩს ამ დავალებას შეახსენებდა ხოლმე, რჩევას აძლევდა თანაშემწე და დამხმარე პირებს უნიშნავდა, მაგრამ ცოფმორეული რჩებოდა, რადგან იმერეთის ყოფილი მეფის მოკვლა არ ხერხდებოდა. რუსეთის იმპერატორის ეს ყურმოჭრილი მსახური გაოცებული იყო და ვერ გაეგო რატომ არ აღმოჩნდა მთელ იმერეთში მეფის მტერი, ან მისგან ნანყენ-შეურაცხყოფილი, ან დიდ ფულს დახარბებული პირი, რომელიც სოლომონს სიცოცხლეს გამოასალმებდა და ამით რუსეთის მთავრობას დიდ დახმარებას გაუწევდა.

1810 წლის სექტემბერში სოლომონი 2 ათასიანი ლაშქრით ხანისწყლის ხეობაში გადავიდა. რუსეთის ჯარი, რა თქმა უნდა, აედევნა მას. ბრძოლა კიდევ 10 დღე გაგრძელდა. მართალია რუსეთის ჯარმა გაიმარჯვა, მაგრამ მან ვერ შესძლო იმერეთის მეფის დატყვევება. სოლომონი მტრებს გაუსხლტა, დასტოვა იმერეთის საზღვრები, ახალციხის საფაშოს შეეფარა. დამარცხებულ მაგრამ ჯერ კიდევ გაუტეხელ მეფეს თან გაჰყვნენ ცნობილი თავადები: ქაიხოსრო, ბერი, როსტომ და სიმონ წერეთლები, დავით და გრიგოლ ერისთავები, კაცია და დავით წულუკიძეები, დავით და სიმონ აგიაშვილები, როსტომ, პაატა და კონსტანტინე ნიჟარაძეები, დავით აბაშიძე, ზაალ მიქელაძე, მალხაზ ანდრონიკაშვილი და სხვა პატრიოტები (49, 322-323).

ასე რომ, იმერეთის დროებითმა მმართველმა და რუსეთის 5 ათასიანმა ჯარმა ტორმასოვის დავალება ვერ შეასრულა, ვერც დაატყვევა და ვერც მოკლა მეამბოხე სოლომონი. განბილებული სიმონოვიჩი საკუთარი პერსონის ავტორიტეტის დაცვის მიზნით მთავარმმართველს სწერდა: თავი არ დაგვიზოგავს, შიმშილითა და ხანგრძლივი ბრძოლით განაწამები ოფიცრები და ჯარისკაცები ჩონჩხებს დაემსგავსნენ, მაგრამ ბრძანება ვერ შევასრულეთ. სოლომონის ადგილსამყოფელის გაგებას ორ-სამ დღეს ვუნდებოდით. არც ისეთი პირი აღმოჩნდა მისი მოკვლა რომ ეკისრა. საყოველთაო „რევოლუციის" პირობებში ვერავინ გაბედა იმ ფულის და პატივის მილება, რასაც ჩვენი მხარდაჭერით მოიპოვებდაო. იმერეთის დროებითმა მმართველმა ტორმასოვს შესთავაზა წინადადება, იმერელთა ახალი აჯანყების თავიდან აცილების

მიზნით, თავალაზნაურთა ოჯახებიდან მძევლების აყვანის შესახებ (49, 322-323).

იმერეთიდან ლტოლვილი მეფე მართლაც კვლავ ცდილობდა ანტირუსული მოძრაობის გაგრძელებას და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საქმეში უცხო ძალის გამოყენებას. 1810 წლის მიწურულს მან ახალციხიდან ელჩები გაგზავნა ოსმალეთის სულთანთან და საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონთან. ამით შეშფოთებული სიმონოვიჩი მთავარმმართველს სწერდა – არაა გამორიცხული, რომ მომავალ ზაფხულს სოლომონი თურქეთის ჯარით იმერეთში შემოიჭრას და ხალხი რუსეთის წინააღმდეგ ისევ ააჯანყოს. მოსახლეობაში უკვე ვრცელდება ყოფილი მეფის მოწოდებები. ჩვენი ჯარის ნაწილებს ყველა გადმოსასვლელის ჩაკეტვა არ შეუძლიათ. იმერლები ახერხებენ სოლომონის ემისართა საზღვრის აქეთ გადმოყვანასო (49, 338).

ტორმასოვმა მკაცრი დავალება მისცა სიმონოვიჩსაც და იმერეთის საოკუპაციო ჯარის უფროსებსაც: ციმბირის გზას გაუყენეთ წინა აჯანყებაში მონაწილე პირები, დააპატიმრეთ სოლომონის მოწოდებათა გამარვცელებელნი, ყველა ჩვენს მტერს შიშის ზარი დაეცითო. უფლებას გაძლევთ იმერეთის ღარიბ აზნაურთაგან საიდუმლო სამსახურში აიყვანოთ 3-4 კაცი, დაუნიშნოთ მაღალი ხელფასი და დაავალოთ თვალყური ადევნონ ხალხის განწყობილებას. ყველაფერი გვაცნობონ აჯანყების მონაწილეთა გეგმების შესახებ. საეჭვო პირების უფრო აქტიური ნაწილი დააპატიმრეთ და ჩემთან გამოგზავნეთ, სხვებს კი მძევლები ჩამოართვითო (49 343-344).

იმერეთში დამყარებულმა საოკუპაციო რეჟიმმა და რეპრესიებმა სათანადო შედეგი გამოიღო. ხალხი ველარ ბედავდა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ აშკარად გამოსვლას. მაგრამ ზედაფენებს კვლავ შერჩათ საკუთარი მონარქიის შენარჩუნების იმედი. რაკი შეუძლებელი გახდა სოლომონის შერიგება რუსეთის მთავრობასთან ზოგიერთებმა წინა პლანზე წამოწიეს კონსტანტინე დავითის ძე ბაგრატიონი, იმედოვნებდნენ, რომ იმპერატორი მას დაამტკიცებდა იმერეთის მეფედ. იმერელთა შინამონარქიული განყობილება და გეგმა-ვარაუდები ცნობილი გახდა ტორმასოვისათვის. მან იმპერატორს აუწყა, რომ იმერეთში ორი პარტია ჩამოყალიბდაო. ერთნი სოლომონს უჭერდნენ მხარს, მეორენი კი კონსტანტინეს. ორივე მათგანი საკუთარი რჩეულის გამეფებას იმედოვნებსო. საბოლოოდ რომ აღმოვფხვრათ იმერეთის მოსახლეობაში სამეფოს აღდგენის მცდელობა, ჩემი აზრით, მიზანშეწონილი და სასარგებლო იქნება გამოქვეყნება იმპერა-

ტორის მანიფესტისა რუსეთთან იმერეთის სამუდამოდ შეერთების შესახებ (49, 345).

რუსეთის მთავრობას და მის მოხელეებს კარგად ახსოვდათ, თუ რა შედეგი მოჰყვა რუსეთთან ქართლ-კახეთის შეერთების მანიფესტებს. ამიტომ ალექსანდრე I-მა უარი თქვა იმერეთში ანალოგიური მანიფესტის გამოქვეყნებაზე. იმპერატორის ადგილობრივმა მოხელეებმა როგორც იქნა „შეაგნებინეს" მოსახლეობას, რომ იმერეთის სამეფო გაუქმდა, გადაიქცა რუსეთის იმპერიის განაპირა პროვინციად. ისინი პირობას დებდნენ, რომ დაიცავდნენ ყველა კლასის ინტერესებს და ყველასაგან მოითხოვდნენ ლოიალობას. მაგრამ თავადაზნაურობა, სამღვდელოება, გლეხობა ვერ ეგუებოდა რუსულ რეჟიმს. 1811 წლის 13 მარტს იმერეთის წოდებათა წარმომადგენლებმა სიმონოვიჩს ასეთი ბარათი გაუგზავნეს: ვერ ვახერხებთ მდუმარებას და ჩვენი გაჭირვების შესახებ გწერთ; არავის მოსვენება არ აქვს, თითქმის ყველას თქვენი ჯარის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად ამუშავებენ, „ჩვენი მცირე მეფის ხელში" ეს მოვალეობა არ გვაწვა. „თქვენგან გვეცხადება, რომ გაბედნიერდით მისის უდიდებულესობის ქვეშევრდომობაში მიღებითაო და არა მხილველთა ბედნიერებისა, იმ მცირე მეფისაგან ნუგეშიცა მოგვაკლდაო". ეროვნულ ხელისუფლებას მოკლებული, მაგრამ თვითორგანიზებული წოდებათა წარმომადგენლები ბედავდნენ და იმერეთის რუს მმართველს სფხოვდნენ, ვიდრე ახალ ხელისუფლებას შევეჩვეოდეთ, უფლება მოგვეცით ავირჩიოთ ერთი მეთაური „რომელ თქვენი ბრძანება შეძლებისამებრ მან გვითხრას და ჩვენი მწურახება მით მოგხსენდეთ... თვინიერ ამისა ვერ ვხედავთ, რომ მწუხარებისაგან გამოვიდეთ"-ო (49, 357).

მოხმობილი დოკუმენტის ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ იმერეთის მოსახლეობა აჯანყების ცეცხლითა და მახვილით ჩახშობის შემდეგაც ბედავდა პროტესტი გამოეთქვა რუსული ხელისუფლების მიერ დაწესებული მძიმე ბეგარა-გადასახადების წინააღმდეგ. იმერეთის თავადაზნაურობა, სამღვდელოება და ხალხი, მართალია, პრეტენზიას ველარ აცხადებდა იმერეთის სამეფო ხელისუფლების აღდგენაზე, მაგრამ შეზღუდული შინაგანი ავტონომიის მოთხოვნას მაინც ბედავდა. იცოდა რა ხალხის ასეთი განწყობილება, მთავარმმართველი ტორმასოვი ყოველნაირად ცდილობდა იმერეთში შეექმნა რუსული ხელისუფლების საყრდენი ძალა. 1811 წლის 19 აპრილს იგი უმაღლეს მთავრობას სწერდა: მიზანშეწონილია იმერეთის შემოერთებაში, შემდეგ კი აჯანყების ჩაქრობაში მონაწილე ჩვენი ერთგულ

იმერელთა მცირე ჯგუფის დროული დაჯილდოვება, რადგან ასლა მდგომარეობა კვლავ რთულდება: სოლომონი ცდილობს შექმნას რუსეთის საწინააღმდეგო კოალიცია, იმერეთში შემოვიდეს თურქეთისა და სპარსეთის ჯარებით. ეს დიდ გავლენას ახდენს იმერეთის მოსახლეობაზე კვლავ სიმპათიურად რომაა განწყობილი თავის მეფის მიმართ. ასეთ პირობებში თუ არ ვიზრუნეთ რუსეთის მომხრეებზე შეიძლება დავკარგოთ ჩვენი პარტია, რომელიც აჯანყების შემთხვევაში სოლომონის მხარეს შეიძლება არ გადავიდეს, მაგრამ გულგრილად შეხედავს მოვლენათა განვითარებას, რაც მოქმედებას გაგვიძნელებსო (49, 365).

საქართველოს მთავარმა ხელისუფალმა ტორმასოვმა სცადა იმერეთის უკანასკნელი მეფის ერთგული თანამებრძოლის სოლომონ ლიონიძის გადაბირებაც კი; თბილისში სტუმრად მიიწვია. თუ მომენდობი და ჩამოხვალ, ჩემი შუამდგომლობით რუსეთში შენთვის გამოყოფილი ვრცელი მამული იმაზე გაცილებით მეტ შემოსავალს მოგცემს იმერეთის მეფის სამსახურში რომ იღებდიო. ტორმასოვი თვით ყოფილ მეფესაც კი ურჩევდა რუსეთში დაბრუნებას, იმედს აძლევდა იმპერატორი შეგიწყალებსო, მაგრამ სოლომონმა ოქროს ჯაჭვს თავისუფლებისათვის ბრძოლა არჩია. არ შეუწყვეტია ახალი აჯანყების ორგანიზებისა და იმერეთის სამეფოს აღდგენის მცდელობა. რა თქმა უნდა, ოცნებობდა სრულიად საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე. მას შემდეგ, რაც რუსეთმა საზავო ხელშეკრულებები დადო ოსმალეთთან (1812 წ.) და ირანთან (1813 წ.), რომლებშიც მთელი საქართველო რუსეთის სამფლობელოდ დაფიქსირდა, სოლომონმა წარმატების იმედი დაკარგა. ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება-აღდგენისათვის ამ თავდადებულმა მეომარმა 1815 წელს ტრაპიზონის მიწაზე დალია სული.

* * *

ტრაგიკულ-გმირული 1810 წლის შემდეგ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მხოლოდ მცირე ხნით შენელდა. ბაგრატიონ უფლისწულებს, ვინც რუსეთს გადასახლებას გადაურჩა, არც ამ მომენტში შეუწყვეტიათ ანტირუსული საქმიანობა. რუსმა მოხელეებმა შეამჩნიეს, რომ რუსეთის მიერ იმერეთის იარაღით დაპყრობამ და 1811 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ კიდევ უფრო აამაღლა ქართველთა პროტესტანტული განწყობა. გაფართოვდა გამათავისუფლებელი მოძრაობის სოციალური ბაზა, რაც შედარებით ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ანტირუსული მოძრაობის წარმა-

ტებისათვის.

საქართველოს თავადაზნაურობა, სამღვდელოება გლეხობა, ბუნებრივია, ვერ შეურიგდებოდა ეროვნული სახელწიფოებრიობის მოსპობას, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას. თავადაზნაურობამ დაკარგა პოლიტიკური წონა და ეკონომიკური ზარალიც განიცადა. ქართველი სამღვდელოება პროტესტით შეხვდა სამეფოების გაუქმებას და რა თქმა უნდა, ხმა აღიმაღლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების და საეკლესიო-სამონასტრო მამულების რუსეთის სახელმწიფო ხაზინის უნყებაში (გემგებლობაში) გადაცემის წინააღმდეგ. მმართველობის რუსული ავტორიტარული სისტემა განსაკუთრებით მძიმედ დაანვა მხრებზე გლეხობას. სატრანსპორტო-საგზაო ბეგარა, სასურსათო გადასახადი, მოხელეთა მექრთამეობა და ბიროტმოქმედება, მათ მიერ ხალხის აბუჩად აგდება, ბუნებრივია, გლეხობის აღშფოთებას იწვევდა, რაც აჯანყებაში იწყებდა გადაზრდას. თითქმის ყველა ქართველს ამშვენებდა ეროვნული თვითშეგნება, თავისუფლების დიადი განცდა. ამიტომ იყო, რომ საქართველოს ანტაგონისტური სოციალური ფენები რუსეთის დამპყრობლური პოლიტკის წინააღმდეგ მხარდამხარ იბრძოდნენ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძაობა საყოველთაო სახალხო ხასიათს ღებულობდა. ასეთი იყო XIX ს-ის პირველ ათწლეულში გაშლილი ბრძოლები. ასეთი ხასიათის იყო 1812 წლის კახეთის აჯანყებაც.

კახეთის მოსახლეობის აჯანყების უშუალო მიზეზი გახდა სოფლებში სამხედრო ეგზეკუციების ჩაყენება, რუს მოხელეთა თვითნებობა-უსამართლობა. მაგრამ არსებული დოკუმენტური მასალა ცხადყოფს, რომ მის მომზადებასა და მიზანდასახულების განსაზღვრაში ხელმძღვანელი როლი შეასრულეს ბაგრატიონმა უფლისწულებმა. ამას აღიარებდა საქართველოს მთავარმართებელი გენ. პაულუჩი, რომელიც იმპერატორს მოახსენებდა: ეს „რევოლუცია" კარგა ხნის განმავლობაში მზადდებოდა. მოძრაობას სათავეში ჩაუდნენ ბაგრატიონები, რომლებიც არ წყვეტენ ფარულ და აშკარა საქმიანობას, ერთგული თავადების მეთაურობით ყოველთვის ცდილობენ ხალხის აჯანყებას, რათა დაკარგული სამეფო ტახტი დაიბრუნონო (50, 67-68).

ამ მომენტშიც ნათლად გამომჟღავნდა ბაგრატიონ უფლისწულთა მცდელობა ანტირუსული მოძრაობისათვის მიეცათ საერთო ქართული, საერთო კავკასიური მასშტაბი. იგივე პაულუჩი რუსეთის უზენაეს მთავრობას სწერდა: მთელი კახეთი და არაგვის ხეობის მოსახლეობა აჯანყდა. აჯანყებულებმა უპირვე-

ლეს მიზნად დაისახეს ანანურის აღება, რათა სამხედრო გზით კავშირი დაემყარებინათ ჩრდილო კავკასიელ მთიელებთან. აჯანყებულებმა ამოხოცეს ბევრი ჩვენი ოფიცერი და ჯარისკაცი, გამოიჩინეს საშინელი სიმკაცრე, რომლის მაგალითები უფრო ადრე ჩვენ მოგვცა საფრანგეთის რევოლუციამ. აჯანყებები დაიწყო დაღესტანში, შირვანში, შაქში. კახელთა მოძრაობის მეთაური გრიგოლ ბატონიშვილი ცდილობს ჩვენს წინააღმდეგ აამხედროს ქართლის მოსახლეობაც. ყოველივე ეს ნათელყოფს, რომ საქმე გვაქვს ფართო შეთქმულებასთან, რომლის ორგანიზატორები მიზნად ისახავენ რუსეთის ჯარების განყვეტას და კავკასიის რუსეთის იმპერიისაგან ჩამოცილებას. მაგრამ ჩვენი ჯარების გამარჯვებამ დაღესტანსა და შირვან-ყარაბაღში ჩაშალეს ეს საერთო შეთქმულება. ახლა მე დამრჩა ერთი ამოცანა - ჩავახშო კახელთა ჯანყი (50, 59-60).

კახეთის აჯანყების ჩახშობა არც ისე იოლი აღმოჩნდა. 1812 წლის ორ თებერვალს კახელთა სახალხო ლაშქარმა სიმონ ბებურიშვილის და ივანე მაყაშვილის მეთაურობით ქალაქი თელავი დაიკავა. ქიზიყელმა მეამბოხეებმა 5 თებერვალს სილნაღი აიღეს. სახალხო ლაშქრის ერთმა რაზმმა კოდალოს ციხეს შეამოარტყა ალყა. მეორე რაზმმა დაამარცხა ბოდბისხევში მდგარი ყაბარდოს პოლკი. 6 თებერვალს აჯანყებულთა ლაშქარმა გაანადგურა რუსთა მცირე რაზმები ანაგაში, კაკაბეთსა და მანავში. მომდევნო დღეს კი დაამარცხა საგარეჯოში მდგარი კახეთის ოლქის უფროსი გენერალი პორტნიაგინი, აიძულა იგი თავის ჯარის ნაშთებთან ერთად თბილისს გაქცეულიყო.

კახეთს არც არაგვის ხეობა ჩამორჩა. 10 თებერვალს მთიელთა და ფშავ-ხევსურთა ათასკაციანმა რაზმმა, რომელსაც თავადი იოსებ სიდამონიშვილი მეთაურობდა, დაიკავა დუშეთისა და ფასანაურის საგუშაგოები, ალყაში მოაქცია ანანური. მალე აჯანყებაში მოხევეებიც ჩაებნენ. სამხედრო გზა ფაქტობრივად ჩაიკეტა.

როცა ანტირუსული მოძრაობა ზენიტს მიუახლოვდა, აჯანყებულებმა მეთაურად და კახეთის მეფედ გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონი მოიწვიეს, რომელმაც სცადა სახალხო ლაშქრის რიცხვის გაზრდა. 1812 წლის 27 თებერვალს იგი ქიზიყის თავადაზნაურობასა და ხალხს სწერდა: ჩემი რაზმით ხაშმისკენ მივდივარ, თქვენც იქით გამოემართეთ. რაც შეიძლება სწრაფად შემომიერთდით. იცოდეთ, რომ ქართლშიც აჯანყებაა. ცხინვალში მყოფი რუსი მოხელეები სულ განყვიტეს. ახლა მთავარია ხაშმში მოსული რუსეთის ჯარი გავანადგუროთ. რის შემდეგ ჩვენს

ხელთ აღმოჩნდება ქართლი, არაგვის ხეობა და თბილისი. ორიოდე დღის შემდეგ გრიგოლმა წერილებით მიმართა უკანა მხარის მცხოვრებლებს, დახმარება გვესაჭიროება „ვიდრე ერთი კახელი მაინც ცოცხალი იქნება, კახეთი უკან არ დაიხევს, იჩქარეთ მოშველიება" (50, 44).

ბრძოლის ველზე „ქართველი მეფის" გამოჩენა აჯანყების პოლიტიკური მიზნის აშკარად გამოცხადებას (ქართული მონარქიული სახელმწიფოს აღდგენა) ნიშნავდა, რამაც საქართველოს რუსი ხელისუფალნი, ვინ იცის მერამდენედ, ძალიან შეაშფოთა. პაულუჩი რუმიანცევს სწერდა: გრიგოლ ბატონიშვილი მნიშვნელოვანი ფიგურაა არა პირადი ღირსებით, არამედ იმ პატივისცემით, რითაც ქართველი ხალხი მოსავს საქართველოს სამეფო სახლის წარმომადგენლებს. ამ მხარის მშვიდობა-სტაბილურობის აუცილებელ პირობად იყო მიჩნეული ბაგრატიონთა საგვარეულოს ყველა წევრის რუსეთს გადასახლება. მაგრამ გრიგოლ იოანეს ძე მთავარმმართველთა ყურადღების მიღმა დარჩა, თავისუფლად ცხოვრობდა საქართველოს მთებში და „რევოლუციის" დაწყების შემდეგ მნიშვნელოვან პერსონად გადაიქცა. გრიგოლ ბატონიშვილი სიხარულით მიიღეს აჯანყებულებმა, საქართველოს მეფედ გამოაცხადეს და თავიანთ ლაშქარს ჩაუყენესო სათავეში (50, 44-45).

თებერვლის მიწურულს აჯანყებული კახეთის წინააღმდეგ თვით მთავარმმართველმა პაულიჩიმ გაილაშქრა მრავალრიცხოვანი ჯარით. გრიგოლ ბაგრატიონის ლაშქარი მას ხაშმის მიდამოებში დაუპირისპირდა. პაულუჩი თავს იკავებდა იერიშზე გადასვლისაგან, რადგან ამას დიდი მსხვერპლი მოჰყვებოდა. მან სცადა მშვიდობიანი მიმართვით მოეთვინიერებინა კახელები, დაპირდა თქვენს შეეიწროებასა და უსამართლობას ბოლო მოეღებაო, მაგრამ არავინ მოუსმინა. ვერც მუქარამ შეაშინა სახალხო ლაშქარი. ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა აჯანყებულნი თავს არ ზოგავდნენ, ისევე ებრძოდნენ რუსებს, როგორც ადრე შაჰაბასის ყიზილბაშებს, მაგრამ რუსეთის კარგად შეიარაღებულ და განვრთნილ პოლკებთან უთანასწორო ბრძოლაში გაცილებით მეტი ხალხი დაკარგეს. სახალხო ლაშქარმა უკან დაიხია. ტყვედ ჩავარდნილები პაულუჩის ბრძანებით იქვე ჩამოახრჩვეს.

ხაშმიდან პაულუჩი საგარეჯოს მივიდა შემდეგ ქიზიყი განმინდა აჯანყებულთა რაზმებისაგან. თელავისკენ მიბრუნებული პაულუჩი 1-2 მარტს ჩუმლაყის მიდამოებში შეება აჯანყებულთა მთავარ ძალებს, სახალხო ლაშქარი მამაცურად იბრძოდა, დიდი ზარალი მიაყენა მტერს. მაგრამ ბრძოლის შედეგი რუსულმა არ-

ტილერიამ გადაწყვიტა. რუსეთის ჯარმა გაიმარჯვა. გრიგოლ ბატონიშვილმა დატყვევებას თავი დააღწია, ანწუხს წავიდა, ანტირუსულად განწყობილ ლეკებს შეაფარა თავი (2, 442-445).

გენ. პაულუჩს მოპოვებული გამარჯვება ძვირი დაუჯდა, მისი ჯარი შეთხელდა. თავისთან გამოიძახა არაგვის ხეობაში ომგადახდილი ჯარი, რომელსაც პოლკოვნიკი უშაკოვი მეთაურობდა. ბულაჩაურიდან მოკიდებული თიანეთამდე რუსეთის ჯარის ამ ნაწილმა ბრძოლით გაიკვალა გზა. ხერგილებში ჩამსხდარი აჯანყებულნი თავგანწირვით იბრძოდნენ, ტყვედ ჩავარდნას სიკვდილს არჩევდნენ. ბოლოს და ბოლოს უშაკოვმა შეასრულა ბრძანება, თავისი ბატალიონებით პაულუჩის ჯარს შეუერთდა.

დამსჯელმა ექსპედიციამ დიდი ბრძოლის შემდეგ თელავი აიღო. გამოიხსნა ციხე-სიმაგრეში გამომწყვდეული რუსი ოფიცრები და ჯარისკაცები. აჯანყების საბოლოო ლიკვიდაციის წინაპირობად პაულუჩიმ მიიჩნია გრიგოლ ბატონიშვილის შეპყრობა. ანწუხში გაგზავნა იოანე ბატონიშვილის ყოფილი სახლთუხუცესი ზაზა ანდრონიკაშვილი. ამ უკანასკნელმა დაარწმუნა გრიგოლი, რომ მისი უშიშროების,გადარჩენის გარანტია იყო მხოლოდ რუსული ხელისუფლებისათვის მორჩილების გამოცხადება. დამარცხებული ბატონიშვილი 6 აპრილს თბილისში ჩავიდა და მორჩილებით დაუკრა თავი საქართველოს მთავარმმართველს, რომელმაც იგი რუსეთში გადაასახლა. პაულუჩიმ საჯაროდ გამოაცხადა, რომ კახელთა ამბოხება ჩააქრო.

გენ. პაულუჩიმ თითქოს გაიმარჯვა. მაგრამ სტაბილურობის გახანგრძლივების წინაპირობად ზოგიერთ დათმობაზე წასვლა, რუსულ მმართველობაში კორექტივების შეტანა მიიჩნია. მის მიერ გატარებული „რეფორმის" შესაბამისად კახეთის მართვა-გამგეობის სათავეში უნდა ჩამდგარიყვნენ ოლქის უფროსი (რუსი მოხელე), მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი და მოურავები (ქართველები). იზრდებოდა ქართველთა წარმომადგენლობა სასამართლოში, მართლმსაჯულების ენად ქართული ცხადდებოდა. მაგრამ ქართველ საზოგადოებას ამ დათმობათა რეალიზაციის იმედი არ ჰქონდა.

საზეიმოდ გამოთქმულ დაპირებათა გატეხა რუსულ ხელისუფლებას თავიდანვე ჩვევად გადაექცა. მას არც 1812 წელს ჰქონდა მიზნად მისი შესრულება. ეს მალე ცნობილი გახდა ხალხისათვის და ამიტომ კახეთი არ დამშვიდდა, ნაცარგადაყრილ ნაკვერჩხალს ჰგავდა. აჯანყების აქტიური მონაწილენი ტყეებში გაიხიზნენ. პაულიჩიმ რამდენიმე არაკეთილსაიმედო თავადის დაპატიმრება ბრძანა, რამაც საყოველთაო უკმაყოფილება გამო-

ინვია. კახელებმა 30 კაცი შეარჩიეს და მოციქულებად ალექსანდრე ბატონიშვილთან გაგზავნეს. აპირილის დამდეგს გალმა მხარის სოფლები აშკარად აჯანყდნენ. მათ მეთაურობდნენ ენისელის მიურავი ივანე ჯორჯაძე და თელავის სასამართლოს მდივანი რაფიელ ერისთავი. 29 აპრილს კახეთში შემოვიდა აჯანყებულთაგან დამხმარედ მოხმობილი 1500 ლეკი. მეორე დღესვე რუსთა ჯარმა ლეკთა ეს რაზმი დაამარცხა და განდევნა. მაგრამ კახელებმა ბრძოლა გააგრძელეს, მთავრობის ჯარს დიდი ვნება მიაყენეს. ბრძოლაში დაჭრილი თელავის მაზრის უფროსი შმატოვი მეთხელებულ პოლკთან ერთად დაბრუნდა თელავში, რომელსაც უკვე აჯანყებულები ერტყმოდნენ გარს. სიწყნარე არც სამხედრო გზაზე იყო. ტყეებს თავშეფარებული მთიელები პარტიზანულ ბრძოლას ანარმოებდნენ.

კახეთის აჯანყებას პირველი და მეორე ეტაპის შუალედში, პაულუჩის ნაცვლად მთავარმმართველად გენერალი რტიშაჩევი დაინიშნა. მან კახეთში დიდი ჯარით გაგზავნა გენერალ-მაიორი სტალი. მალე იმავე მიმართულებით გაუშვა ქართლიდან, იმერეთიდან და ვლადიკავკაზიდან გამოწვეული ჯარის ნაწილები. გენერლებმა ცეცხლითა და მახვილით გადაიარეს კახეთზე. ხალხმა შეწყვიტა უთანასწორო ბრძოლა, მაგრამ არა დიდი ხნით.

1812 წლის ზაფხულს საერთაშორისო ვითარება არსებითად შეიცვალა. ნაპოლეონ ბონაპარტეს ნახევარმილიონიანი არმია რუსეთში შემოიჭრა. ქართველმა პატრიოტებმა გაიხარეს. მათმა აღიარებულმა ლიდერმა ალექსანდრე ბაგრატიონმა სწორად შეაფასა შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია, ერთხელ კიდევ სცადა იგი სანუკვარი ოცნების განხორციელებისათვის – ქართული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად გამოეყენებინა.

ალექსანდრე ერეკლეს ძე კახეთის აჯანყებაში არსებითად პირველ-მეორე ეტაპზეც მონაწილეობდა. მისი სახელის ხსენებაც კი მორალურად ამხნევებდა თავისუფლებისათვის საომრად შემართულ ქართველებს. რუსულმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა კახეთის აჯანყების იზოლირება, ვერ აღკვეთა ქართველ პატრიოტთა კავშირი ალექსანდრე ბატონიშვილთან და გარე სამყაროსთან. ჯერ კიდევ 1812 წლის თებერვალში კახელ თავადთა 40 კაციანი დელეგაცია ესტუმრა სამშობლოდან გადახვეწილ ალექსანდრეს, თავის მეთაურად და მეფედ მიიწვია. იმ დროს ერეკლეს ძემ ვერ მოახერხა კახეთში შემოსვლა და აჯანყებულებმა მეფედ გიორგი იოვანეს ძე ბაგრატიონი გამოაცხადეს, მაგრამ ალექსანდრე შორიდან ეხმაურებოდა ქართველთა გამათავისუფლებელ ბრძოლას, ხოტბას ასხამდა კახელთა გმირობას:

„თქვენმა ეგეთმა სახელგანთქმულმან და ნამუსიან სიმხნემამ ოთხსავე მხარეს მოაღწია. დღეს იდიდნენ საქართველოს მცხოვრებელნი და დღეს დაგვირგვინდნენ დიდებისა დაგვირგვინებითა. რა ქება მოგიძღვნათ ანუ რა წყალობა აღგითქვათ... უმაღლეს ღირესებისა და პატივის ღირსნი ხართ". მეფე ერეკლე, შეახსენებდა მისი ძე კახელებს, თქვენზე ისევე ზრუნავდა, როგორც საკუთარ შვილებზე. ახლა თქვენ ეს ამაგი გადამეტებით გადაიხადეთ, თქვენი ვაჟკაცობის სახელი ქვეყნას მოჰფინეთ. განსვენებული მეფეც ადიდეთ და იმის შვილებსაც თავისუფლებისა გიხაროდენისა ხმასა გვცემთ,... ამისათვის ყოველთაგან ქებულნო,... საყვარელნო ძმანო, თუმცა წერილით გეხმაურებით, მაგრამ ასე მგონია თქვენში ვიზივარ და პირისპირ შემოგფრფრენო და გეხვევით" (19, 78-79).

ალექსანდრე ბაგრატიონმა წერილები გაუგზავნა არაგვის ხეობის მთიელებსაც, ქება შეასხა და კონკრეტული დავალება მისცა. 16 მაისით დათარიღებულ მოწოდებაში ვკითხულობთ: „საქართველოს მეფის ძე ალექსანდრე სიყვარულით მოგიკითხავთ,... თქვენი ეგეთი სიმხნე და ვაჟკაცობის ხმა ყოველეს ქვეყანაზედ განითქვა,... თქვენ ჩვენთან ყოველთვის პირნათელნი ხართ და ღმერთმან სულ აგრე პირნათლად გატაროთ. ახლა არის ჟამი სამსახურისა და წყალობის მილებისა,... ხევს უნდა ჯარით გადახვიდეთ, გუდამაყრელთ და ხევსურთათვისაც მიგვიწერია, ეგრეთვე მოხევეთათვის, რომ ჩვენი ოჯახის მტრისა და თქვენის მტრის რუსთა მოსასვლელი გზა წაახდინოთ, რომ ჯარმა ველარ გამოიაროს და საქართველოში მყოფი რუსისა, ღვთის შეწევნით ჩვენ ვიცით". უფლისწული იქვე დასძენს, რაიმე მიზეზით ჩვენს ოჯახზე დამდურებულნიც შეიერთეთ, თავდებად დაუდექით, რომ ბაგრატიონთაგან არაფერი დაუშავდებათ, მათი გარჯა დაფასდება. იმედი გვაქვს ყველა თემი, ყველა მთიელი ჩადგება მეფისა და ქვეყნის სამსახურში. „ლომისას მთავარ მოწამეს წმინდას გიორგის მცირე რამ შესაწირავი მოვართვი და თქვენ შესწირეთ უძლეველსა მამას ჩვენსა წარსამატებლად ყოველსა ზედა საქმესა და მტერთა ჩვენთა საძულველად".

ალექსანდრე ერეკლეს ძემ კარგად იცოდა, რომ გაბრიელ ყაზბეგი რუსეთის სამსახურში იყო გადასული, ხელს უწყობდა რუსის ჯარის დარიალის გზაზე უხიფათოდ მისვლა-მოსვლას. ალექსანდრემ პერსონალური წერილი გაუგზავნა ამ რუსოფილს, სცადა მისი სწორი გზისაკენ შემობრუნება. შეახსენა, მეფე ერეკლე მამა შენის მწყალობელი იყო. მე ერეკლეს შვილი ვარ და ამიტომ მამაშენის შვილს პატივს არ მოვაკლებო. იცოდე, რუსებისა-

გან ბილებული პატივი წარმავალია, ჩვენი წყალობა კი წარუვალი, ანაშვილიშვილოა. გირჩევ ჩვენი დავალება შეასრულო. „მაგ გზების საქმეს რიგიანად ეცადე და რაც ხიდები არის სულ ჩააქციენე... ნულარ შეაგვიანებ. სხვას ჩვენს სიტყვას ეს თამაზ ამირიძე (წერილის მიმტანი – ა. ბ.) მოგახსენებს" (50, 356-357).

რამდენიმე დღის შემდეგ გაბრიელ ყაზბეგმა მიიღო ერთობით არაგველთა წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო: „ფშავი და არაგვი ერთიანად გაფიცული ვართ და თუ შენ ჩვენი ძმობიდან არ გასულხარ, როგორც ჩვენ ვახლავართ ბატონიშვილ ალექსანდრეს და ბაგრატიონებისათვის თავი დაგვიდვია, შენც ისე ერთგულად მოიქეცი და ამ თავდების წიგნსაც გაძლევთ, რომ თუ შენ ერთი ნაკლებობა მოგიხდეს რამე,.. შენი სისხლი ჩვენ კისერზედ იყოს,... თუ ჩვენი ძმობიდან გახვალ და ამდენ სულს გვიმუხანათებ, ვინც მოკვდება ჩვენი სისხლი შენ კისერზედ იქნება და ყოველთვის ჩვენი მოსისხლე იქნები". თავდებობის ბარათის ქვემოთ არის ალექსანდრე ბატონიშვილის მინაწერი: „ჩვენ სრულიად საქართველოს მეფის ძე ალექსანდრე ამ წერილს ვამტკიცებ. ღმერთს გაძლევ თავდებათ და მამის ჩვენის მეფის ირაკლის საფლავს და ამდენს სულს არაგველთა და ფშაველთა, რომ შენ წყალობის მეტი არა მოგადგეს რა (19, 83).

ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები და მოწოდებები ნათელყოფს, რომ ის მახვილგონივრულად საქმიანობდა საქართველოს შინაგან ძალთა გაერთიანებისათვის, მიზნად ისახავდა რუსეთის საწინააღმდეგო ფართო მასშტაბიანი აჯანყების ორგანიზებას. საამისო ნიადაგი ნანილობრივ შეამზადა კიდეც და იმ დროს, როცა ნაპოლეონი უკვე მოსკოვში იყო შესული, თავის მინიატურული რაზმით კახეთისაკენ აიღო გეზი. ეს ფაქტი დიმიტრი ორბელიანმა გაიგო და აქტიურად ამოქმედდა, სხვებიც აამოქმედა. გზებზე რუს ჯარისკაცთა პიკეტები დააყენა, მტკვარზე არსებული გადასასვლელები (ფონები) შეკრა. ეს რენეგატი დარწმუნებული იყო, რომ მის შეუმჩნეველად საქართველოს საზღვრებში ჩიტიც ვერ შემოფრინდებოდა. ეჭვი აღარ ეპარებოდა ალექსანდრე ბატონიშვილის დატყვევებაში და მთავარმმართველ რატიშჩევს სწერდა ამ სასიხარულო ცნობას მალე გაუწყებთო. 6 სექტემბერს დ. ორბელიანმა მართლაც გაუგზავნა ბარათი რატიშჩევს, მაგრამ გაწბილებულმა გენერალმა თავის უფროსს მარცხის ამბავი მოახსენა; წინა ღამით ალექსანდრე ბატონიშვილმა კავთისხევის მიდამოებში, კოწახურის ფონზე მტკვარი გადმოლახა და თიანეთისაკენ აიღო გეზი. 7 სექტემბერს მეფე ერეკლეს ძე უკვე თიანეთს იყო და აქედან გაუგზავნა

გაბრიელ ყაზბეგს მეათე წერილი. მოსთხოვა დარიალის გზის გადაკეტვა. მაგრამ ამ უკანასკნელმა ღალატს ღალატი დაუმატა, კვლავ რუსებს უერთგულა და ბოლოს და ბოლოს გენერლის ჩინი დაიმსახურა (19, 29).

ალექსანდრე ბატონიშვილმა ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც სცადა ქართლის მოსახლეობის უფრო აქტიურად ჩაბმა ანტირუსულ მოძრაობაში. წერილი გაუგზავნა რევაზ ერისთავს, აუწყა, რომ კახელი თავადები მარტყოფიდან დაწყებული მატნამდე ყველა ჩვენს რიგებში დგანან. გევალება ელიზბარ ერისთავი დაუყოვნებლით გამოგზავნო ჩემს ბანაკში. შენ კი ქსნის ხეობაში ლაშქარი შეკრიბე და მალე გვერდში ამომიდექიო. ადრესატმა პრორუსული პოლიტიკა გააგრძელა, მიღებული წერილი საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს წარუდგინა და თანაც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში სრული თანადგომა აღუთქვა. სექტემბრის ბოლოს შანშე და ელიზბარ ერისთავები გუბერნატორს აცნობებდნენ, რომ ალექსანდრე ერეკლეს ძე დაჟინებით ცდილობს ქართლში შემოჭრას, მცხეთისა ლა გორის ციხეების დაკავებას. იმასაც აუწყებდნენ, რომ აქაურ თავადთა დიდი ნაწილი იმედის თვალით უყურებს მეფე ერეკლეს მეამბოხე ვაჟს. არც თუ შორს აწყურში კი იმერეთის ყოფილი მეფე სოლომონი იმყოფება, რომელიც ქართლში აჯანყების დაწყებას ელოდება, რათა საქართველოს საზღვრებში შემოიჭრას და ალექსანდრე ერეკლეს ძის მხარდამხარ დიდი ომი გაუმართოსო რუსულ ხელისუფლებას.

ეს ინფორმაცია ჭეშმარიტებას დიდად როდი სცილდებოდა. ალექსანდრე ბატონიშვილის მოწოდებებს კახელებთან და მთიელებთან ერთად ქართლის ბევრი თავადაზნაურიც გამოეხმაურა, მისი დროშის ქვეშ დასარაზმავად ემზადებოდა. ყველაზე ადრე ალექსანდრე ერეკლეს ძესთან გაიქცნენ ციციშვილები, ავალიშვილები, ამილახვრები, კავთისხეველი აზნაურები და გლეხები. მაგრამ ბატონიშვილის ლაშქრის ძირითადი კონტინგენტი კახელებმა და არაგველებმა შეადგინეს.

ალექსანდრე ბატონიშვილმა თავისუფლებისათვის საბრძოლველად შემართული ქართველთა ლაშქარი რამდენიმე რაზმად გაყო. ერთს სათავეში ჩაუყენა საგარეჯოს მოურავი თადია ჩოლოყაშვილი, რომელსაც დაავალა თბილისიდან კახეთისაკენ მიმავალი გზების ჩაკეტვა. მეორე რაზმში გაერთიანდნენ ერწოთიანელები, ფშავ-ხევსურები, ქსნის ხეობის ქართველი და ოსი გლეხები, ომან ჩოლოყაშვილის მეთაურობით მათ უნდა დაეცვათ ქართლიდან თიანეთ-თელავისაკენ მიმავალი გზები. მესამე რაზ-

ში გორჯასპი ნათელაშვილისა და პაპოა აბელაშვილის სარდლობით არაგვის ხეობაში გაიგზავნა, რათა გადაეკეტა სამხედრო გზა და ჩრდილოეთიდან რუსეთის ახალი ჯარის ნაწილები არ გადმოეშვა საქართველოში. თვით მთავარსარდალი ალექსანდრე ერეკლეს ძე აჯანყებულთა მთავარ ძალებს ჩაუდგა სათავეში და კახეთში განლაგებულ რუსეთის პოლკებსა და ბატალიონებს შეუტია (2, 462).

ალექსანდრე ბატონიშვილის საქართველოში შემოსვლამ და აჯანყების განახლებამ რუსული ხელისუფლება მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. მთავარმმართველი რატიშჩევი ამ დროს ყაბარდოში ებრძოდა სპარსელებს. მის მაგივრობას დროებით ასრულებდა დიმიტრი ორბელიანი, მან დამატებითი ჯარის ნაწილები გაგზავნა კახეთში. საგანგებოდ გაამაგრთა ღართისკარი და ბულაჩაური. სამხედრო გზის პირებიდან აჯანყებულთა განსადევნად კავკასიის ხაზიდან სამი ბატალიონი გამოიგზავნა. რუსულმა ხელისუფლებამ ოქროს ძალაც მოშინჯა – 20 ათასი ოქროს რუბლი აღუთქვა იმას, ვინც ალექსანდრე ბატონიშვილს მოკლავდა.

რუსეთის რეგულარულ არმიას ქართველთა ლაშქარმა პარტიზანული ომი გაუმართა. ეს ლაშქარი ძირითადად ცხენოსანი რაზმებისაგან შედგებოდა, სწრაფი მოძრაობისა და მანევრირების უნარი ჰქონდა. რუსეთის ჯარი კი ძირითადად ქვეითი იყო. დ. ორბელიანი თავის ჯარის ცალკე ნაწილებად დაყოფას ერიდებოდა, რადგან ალექსანდრე ბატონიშვილის კავალერიას შეეძლო ასეთი განმარტოებულ რაზმებს ჭარბი ძალებით დასცემოდა და გაენადგურებინა. ამიტომ იყო, რომ დ. ორბელიანი მთელი თავისი ჯარით ზოზინით დასდევდა ალექსანდრე ერეკლეს ძეს, რომელიც ადგილს ხშირად იცვლიდა; მოულოდნელად დაეცემოდა მტერს, მამაცური ბრძოლით დიდ ზარალს მიაყენებდა და სწრაფად გაეცლებოდა. ორიოდე დღის შემდეგ დ. ორბელიანისათვის სრულიად მოულოდნელად ისევ გამოჩნდებოდა და რუსეთის ჯარს კვლავ ფიცხელ ბრძოლას გაუმართავდა. გაწბილებული გენერალი დ. ორბელიანი და მისი ოფიცრები ჯავრს მშვიდობიან მცხოვრებლებზე იყრიდნენ. კახეთი სისხლით დატბორეს. სოფლები გაანადგურეს, ბალ-ვენახები გაჩეხეს. მაგრამ ალექსანდრე ბაგრატიონის ლაშქარს იარაღი ვერ დააყრევინეს, მორჩილებაზე ვერ დაიყოლიეს. ყოველი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ბრძოლის შემდეგ, რომელშიც თითქოს რუსეთის ჯარი იმარჯვებდა დ. ორბელიანი რატიშჩევს აჯანყებულთა „საბოლოო დამარცხების" ამბავს აუწყებდა. მაგრამ ასეთი „საბოლოო დამარ-

ცხება" ხშირად მეორდებოდა. ბოლოს და ბოლოს დ. ორბელიანი მიხვდა, რომ ალექსანდრე ერეკლეს ძე კი არ მარცხდებოდა, არამედ ერთი ადგილიდან გაუჩინარებული მეორე ადგილას გამოჩნდებოდა და რუსეთის ჯარს კვლავ ფიცხელ ბრძოლას უმართავდა (2, 464-465).

აწუწუნდა დიდი სახელის მაძიებელი პატარა გენერალი. დ. ორბელიანმა მთავარმმართველ რტიშჩევს აუწყა: მთელი ხალხი ჩვენს წინააღმდეგ არის აღმდგარი. ალექსანდრე ბატონიშვილს ყველგან ბინა აქვს და ამიტომ ხელში ვერ ჩავიგდეო. აუცილებელია კახეთში უფრო მრავალრიცხოვანი ჯარი გამოიგზავნოს, სოფლებში ჩადგეს. ხალხს შიშის ზარი დაეცემა, ბატონიშვილს ყველარ დაეხმარებიან, მას აქეთ იქით მიმოსვლა-მიმალვის საშუალება აღარ ექნება და ჩვენს ტყვეობაში აღმოჩნდებაო.

არა ნაკლები წარმატებით განვითარდა აჯანყებულთა საბრძოლო ოპერაციები სამხედრო გზის რაიონში. ალექსანდრე ბატონიშვილის თანამებრძოლმა გოჯარასპ ნათალიშვილმა მთიულებისა და ფშავ-ხევსურთა რაზმებით სამხედრო გზა თავის კონტროლქვეშ მოაქცია. ფასანაურში მდგარ რუსულ გარნიზონს ალყა შემოარტყა. არც მოხევეებმა შეირცხვინეს თავი. რუსთ მოყვარე გაბრიელ ყაზბეგი გაიქცა. დარიალის ხეობა რამდენიმე ხნით ჩაიკეტა, რამაც საქართველოში მდგარი რუსთა ჯარი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. რუსულმა ხელისუფლებამ კონტრზომები მიიღო. დარიალ-არაგვის ხეობაში დამატებითი ჯარები თბილისიდანაც გაგზავნა და ჩრდილო-კავკასიიდანაც. აჯანყებულები თანდათან შეავიწროვეს.

მთავარმმართველი რტიშჩევი 1812 წლის 13 ოქტომბერს ირანის ფრონტიდან თბილისს დაბრუნდა. მისი ბრძანების თანახმად გენ. სიმონოვიჩი 3 ბატალიონით არაგვის ხეობაში შევიდა, დაიწყო ხალხის ძალდატანებითი დაფიცება რუსთა ხელმწიფის ერთგულებაზე და აჯანყებაში ყველაზე აქტიურად მონაწილე სოფლებიდან კონტრიბუციის აკრება. აქედან სიმონოვიჩი თიანეთისკენ წავიდა, დაამარცხა ომან ჩოლოყაშვილის რაზმი. ხაშმის მიდამოებში მან კვლავ გაიმარჯვა, სოფლებიდან მძევლები აიყვანა. ხალხი რუსეთის ერთგულებაზე დააფიცა.

დ. ორბელიანი ამ დროს შიგა კახეთში აგრძელებდა სამხედრო ოპერაციებს. მან ცეცხლს მისცა საბუე, ერთგულების ფიცი დაადებინა ენისელს, დაჭრილი ჯარისკაცები ყვარელში დატოვა და აჯანყებულთა მთავარ ძალებს აედევნა. გენერალური ბრძოლა სოფ. შილდის მიდამოებში მოხდა 9 ოქტომბერს. აქ ალექსანდრე ბატონიშვილს 6 ათასიანი ლაშქარი ჰყავდა და

მტერს გაბედულად შეება. ქართველები თავდადებით იბრძოდნენ, ხმლითა და ხანჯლით რუსულ თოფებსა და ზარბაზნებს უტევდნენ, იხოცებოდნენ და მტერს არ ნებდებოდნენ. 7 საათის ბრძოლის შემდეგ აჯანყებულთა ლაშქარმა უკან დაიხია. მიხეილ ერისთავი რუსული პოლკით მას აედევნა. ალექსანდრე ერეკლეს ძე შემოუბრუნდა და გათამამებული მდევარი ალყაში მოაქცია. მ. ერისთავს თავხედობა ძვირად დაუჯდა. მას, მართალია, რუსთა ჯარის სხვა ნაწილი მიეშველა, მაგრამ მაინც დიდი მსხვერპლის ფასად დააღწია ალყას თავი (2, 466).

1812 წლის 14 ოქტომბერს დ. ორბელიანი მთავარმმართველს მოახსენებდა: „იმის გამო, რომ სოფ. შილდამ ორჯერ მიიღო ცარევიჩი და ორჯერვე მოსახლეობა ჩვენს წინააღმდეგ იბრძოდა, მე სოფლის ძირფესვიანად ამოგდება გადავწყვიტე... მეორე დღეა სოფელს ცეცხლი უკიდია. მალე ნაცარტუტად იქცევა. ახლა პოლკოვნიკი ერისთავი გავგზავნე შილდის ბაღ-ვენახების გასაკაფავად" (19, 35).

დ. ორბელიანის ბარბაროსული ბრძანება შესრულდა, მაგრამ აჯანყებულები მაინც აგრძელებდნენ ბრძოლას. რენეგატი გენერალი იძულებული გახდა ელიარებინა, რომ ალექსანდრე ერეკლეს ძე ხშირად ბრძოლას ტაქტიკური მოსაზრებით არიდებდა თავს. ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა, თავის ლაშქრის შევსებას ახერხებდა. იგი ზემდგომთ მოახსენებდა: ისეთი კრიტიკული სიტუაციაა შექმნილი, რომ ჩემი ჯარი ორად ვერ გამიყვია და ალაზნის ორივე მხარეს ერთდროულად ბრძოლა ვერ მომიხერხებია. განუწყვეტლივ უკან დავდევ ბატონიშვილს, ვებრძვი და ვკარგავ მეომრებს, რადგან მთელი ერი აღსდგა ჩვენს წინააღმდეგ. გენერალმა მთავარმმართველს მრავალრიცხოვანი მაშველი ჯარის გაგზავნა სთხოვა. მხოლოდ ამის შემდეგ შევძლებო ალექსანდრე ბატონიშვილის ლაშქრის საბოლოო დამარცხებას, კახეთში წესრიგის აღდგენას.

მალე დ. ორბელიანს შეუერთდა ხაშმის ბრძოლაში გამარჯვებული სიმონოვიჩი და თბილისიდან ჩამოსული ტიხონოვსკი. ჩალაუბანთან და მანავთან გამართულ ბრძოლებში რუსებმა გაიმარჯვეს. ამასობაში ნაპოლეონის მარცხის, რუსეთის გამარჯვების ნიშნები გამოიკვეთა და შესაძლებელი შეიქმნა კახეთისაკენ უფრო მრავალრიცხოვანი ჯარის გამოგზავნა. ნოემბრის ბოლოს ცხადი გახდა, რომ ქართველთა გამათავისუფლებელი ბრძოლის ეს ეტაპიც მარცხით სრულდებოდა.

დამარცხებული, მაგრამ გაუტეხავი ალექსანდრე ბატონიშვილი მცირე რაზმით და ამალით კახეთიდან თიანეთში გადავიდა.

აქ მან ამალა ორად გაყო. ერთი ნაწილი ხუდად ბეგის მეთაურობით ირანისაკენ წავიდა. რუსებს ეგონათ, რომ ბატონიშვილიც ირანისაკენ მისწრაფოდა და მას აედევნენ. სინამდვილეში კი ალექსანდრე ერეკლეს ძემ ფშავ-ხევსურეთისაკენ აილო გეზი. მშვიდობით გაიარა ქედი და შატილში დაიდო ბინა.

ალექსანდრე ირაკლის ძე რომ უვნებლად გაერიდა ბრძოლას და პირიქითა ხევსურეთს შეაფარა თავი, ეს რუსული ხელისუფლების დიდი მარცხი იყო. მაგრამ მთავარმმართებელი რტიშჩევი ოპტიმიზმს ინარჩუნებდა. იგი რუმიანცევს მოახსენებდა: მადლობა ღმერთს, დამთავრდა ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ ატეხილი „უსასტიკესი რევოლუცია", რომელიც ოთხი თვე გრძელდებოდა. მასში მონაწილეობდნენ ყველაზე უფრო ცნობილი კახელი თავადაზნაურნი და მათ შორის თვით თავადაზნაურთა წინამძღოლი (მარშალი) ნინია ანდრონიკაშვილიც. ამ რევოლუციას განსაკუთრებულ გააფთრებულ ხასიათს აძლევდა სახალხო ლაშქარში გამოსული გლეხობა. მაგრამ ახლა ყველასაგან მიტოვებული, გაყინულ-გათოშილი უფლისწული ალექსანდრე სალი კლდეების მიღმა იმალებაო (50, 463-464).

რტიშჩევი და მისი მოხელეები ცდებოდნენ: რეალობა სხვაგვარი იყო. სალ კლდეებს თავშეფარებული ალექსანდრე ბატონიშვილს არც სციოდა და არც შიოდა. მას მზრუნველობას არ აკლებდნენ მეფე ერეკლეს ერთგულებით გამორჩეული ხევსურები. ბაგრატიონთა ეს ღირსეული წარმომადგენელი არც უიმედობა-სასოწარკვეთილებას შეუპყრია. თავისუფლებისა და საქართველოს სამეფოს აღდგენისათვის ბრძოლა სულაც არ მიაჩნდა დამთავრებულად. მომავლის გეგმებს ადგენდა, ახალი ბრძოლისათვის ემზადებოდა. ალექსანდრე ბატონიშვილს ხუდად ბეგი და თავის ზოგიერთი თანამებრძოლი შემთხვევით, მარტო მანევრისა და თავის გადარჩენისათვის არ გაუგზავნია ირანში. მას უნდოდა მუდმივი წარმომადგენელი ჰყოლოდა ირანის მბრძანებლის კარზე, რომელიც საქართველოს, თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ხალხის ინტერესთა შესაბამისად იმოქმედებდა, სპარსელ ხელისუფალთ მისი დახმარებისაკენ რაიმენაირად უბიძგებდა. ალექსანდრე ბატონიშვილმა წერილობითი კავშირი შეინარჩუნა ხუდად ბეგთან და ირანის მთავრობის დიდმოხელეებთან. აუწყებდა მათ, თუ რაოდენ ხელსაყრელი სტრატეგიული რეგიონი იყო ხევსურეთი. ამ პატარა ქვეყნის მეზობლად ცხოვრობენო ქისტები, ღლიღვები, ჩეჩნები, ჩერქეზები, დაღესტნელები. შატილში დაბინავებულნი „ხევსა და ლარსს თავზე ვაზივართ", მომსვლელ-წამსვლელი რუსი ჩვენს თვალს ვერ ასცდება.

ამ მეზობლებში ჩემი ხალხი გავგზავნე, იქიდანაც უფროს-უფროსნი კაცნი მოგვივიდნენ. რაც შეგვეძლო საჩუქრებიც მივუძღვენით ყველას, მაგრამ მოგეხსენებათ რა სახარჯოც დამრჩა. თუ ფული ბლომად მექნა 100 ათასიან ლაშქარსაც კი შევადგენ და ადრე გაზაფხულს კვლავ რუსებს დავეძგერები. მაგრამ სამხედრო დახმარება მანდედანაც მჭირდებაო (19, 85-86).

შედარებით მოკლე წერილით მიმართა ალექსანდრემ აბას მირზას. ჩემი სათხოვარის შესახებ უფრო დაწვრილებით ერევნის ხანი, ვეზირი და ჩვენი თავადი იორამ ბარათაშვილი მოგახსენებენ. დიდი იმედი გვაქვს წადილს ავისრულებთ, ბაგრატიონებს საქართველოს მეფობას დავუბრუნებთო (19, 89-90).

საქართველოს რუსმა მთავარმმართველმა, მართალია, მალე გაიგო ალექსანდრე ბატონიშვილის ადგილსამყოფელი, მაგრამ ზამთრის გამო მაღალ მთაში ჯარი ვერ გაგზავნა. რტიშევიჩმა ერთხელ კიდევ სცადა მეამბოხე ბაგრატიონის მოთვინიერება. ალექსანდრეს ასეთი წერილი გაუგზავნა: ღვთის განგებით და ქართველ მეფეთა სურვილით, საქართველო, რუსეთმა შეიერთა. შენ კი ამის წინააღმდეგ გამოდიხარ, დახმარებას საქართველოს საუკუნოვან მტრებს სთხოვ. კახეთი შენი მიზეზით განადგურდა, მიზანი კი მაინც ვერ შეისრულე, რადგან ღმერთი არ გწყალობსო. გირჩევ ბრძოლას თავი დაანებო, დაგვემორჩილო და ხელმწიფის წყალობას შეეფარო.

ალექსანდრე ერეკლეს ძის პასუხი მაღალი ინტელექტისა და მოქნილი დიპლომატის შერწყმის ნიმუში იყო. იგი პირდაპირ როდი უარყოფდა რტიშევისის წერილის ერთ დებულებას იმის შესახებ, რომ ქართველი მეფეები თავის ქვეყნით რუსეთის მფარველობა-ქვეშევრდომობაში ნებაყოფლობით შევიდნენ. არ უნდა ბრალი დასდოს რუსეთის იმპერატორს უსამართლობის ჩადენაში, ქართველი სახელმწიფოებრიობის მოსპობაში. უფლისწული არ არღვევს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ყველა ხიდს. იტოვებს მშვიდობიანი მოლაპარაკების საშუალებას. იგი აღიარებს, რომ ერეკლე მეორემ ნებაყოფლობით დათმო თავის სუვერენულ უფლებათა გარკვეული ნაწილი, 1783 წლის ტრაქტატის ძალით თავისი სახელმწიფო შეიყვანა რუსეთის მფარველობაში. მაგრამ იქვე დასძენს, რომ რუსეთის მთავრობამ მაღლე ცალმხრივად დაარღვია ტრაქტატი, გააუქმა საქართველოს სამეფო. ალექსანდრე ერეკლეს ძე ამ უსამართლობაში რუსეთის იმპერატორს კი არ ადანაშაულებს, არამედ მის მოხელეებს და იქვე მიანიშნებს, რომ იბრძვის გიორგიევსკის ტრაქტატის უფლებრივ ნორმათა აღდგენისა და ქართული სახელმწიფოებრიო-

ბის ავტონომიური ფორმით აღორძინებისათვის.

კახეთის აოხრება-განადგურების მიზეზად რტიშჩევი ალექსანდრე ბატონიშვილს მიიჩნევდა. ერეკლეს ძე ამ ბრალდებას უარყოფდა. წერდა, რომ კახელებს მართლაც უბედურება ენვიათ, თავის ხელმწიფე-მემკვიდრეთა სამართლიანი (ლეგიტიმური) უფლების აღდგენისათვის იბრძოდნენ და ამისათვის დაისაჯნენ. თქვენ კარგად იცოდით ხალხის სურვილი, მისწრაფება, ხედავდით რომ სამართლიანობის აღდგენას მოითხოვდნენ. თქვენ კი მათ არ მოუსმინეთ, ეს მოსმენილი იმპერატორის ყურამდე არ მიიტანეთ, კანონიერებისათვის მებრძოლი ხალხი სასტიკად დასაჯეთო. ე. ი. ალექსანდრე ბატონიშვილმა პირდაპირ უთხრა იმპერატორისაგან გამოგზავნილ სატრაპს, რომ მოძალადენი ხართ, ამ ქვეყანას უსამართლოდ ფლობთ. ხალხი კი სამართლიანობის აღდგენისათვის იბრძვის. ამიტომ მიმართავთ მკაცრ რეპრესიებს. კახეთის განადგურებისა და ხალხის გაჟლეტის ცოდვა მე კი არა თქვენ - რუს გენერლებს გეკისრებათო.

რტიშჩევი ბატონიშვილს სწერდა, რომ შენს საქმიანობაში ღმერთი არ გეხმარება. ამიტომ მოეშვი ბრძოლას, დაისვენეო. ალექსანდრემ არც ეს რჩევა მიიღო. უპასუხა – თუ ღმერთი არ მწყალობს, მაშ რამ აამოძრავა ჩემი სამართლიანი საქმის წარმატებისათვის ამოდენა ხალხი. მე მდევნის არა ღმერთი, არამედ უსამართლობა. სამართალი და ხალხიც ჩემს მხარეზეა. რაგინდა ძლიერი არ უნდა იყოს ბოროტება, მის წინააღმდეგ ბრძოლა გამართლებულია და იმედიანიც; სადაც სამართალია ხალხიც იქ არის და ღმერთიც ხალხის მფარველია.

ამგვარად, ალექსანდრე ერეკლეს ძე ქართველი ხალხის რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებას სამართლიან ბრძოლად მიიჩნევდა. ქართველები დამოუკიდებლობის და ეროვნული სახელმწიფოსათვის იბრძვიან. ეს კი წმინდა საქმეა, საპატიო მოვალეობაა. პატრიოტი, რომელიც სამშობლოსათვის თავს დასდებს, მას მსხვერპლად შეეწირება დიდების ღირსია. თავისუფლებისათვის მებრძოლმა ქართველებმა მეთაურად მომიწვიეს და მეც ცხენი შემოვაგელვე ხალხისა და სამშობლოს დასაცავადო.

ალექსანდრე ბატონიშვილი იმედოვნებდა, რომ იმ დიდი ომის შემდეგ, რაც ქართველმა ხალხმა მისი მეთაურობით რუსეთის მთავრობას გაუმართა, შესაძლებელი გახდებოდა ყოფილ მფარველთან მორიგება. ფიქრობდა რომ რუსეთი განაახლებდა გიორგიევსკის ტრაქტატს, საქართველოს გამოაცხადებდა იმპერიაში შემავალ ავტონომიურ სამეფოდ. მაგრამ ოპტიმიზმი არც ამჯერად გამართლდა. გამარჯვებული რუსეთისათვის გიორგი-

ევსკის ტრაქტატი, რუსეთ-საქართველოს მფარველობით – სამოკავშირეო ხელშეკრულება გავლილი ეტაპი იყო. XIX ს-ის პირველ ოცეულში რუსეთი იბრძოლა კავკასიის სახელმწიფოებრივ ერთეულთა არა მფარველობაში მიღებისათვის, არამედ მიზნად ჰქონდა ამ რეგიონის დაპყრობა, იმპერიის განუყოფელ ნაწილად გადაქცევა (2, 472-478).

მხარეთა ინტერესების დაპირისპირების გამო მშვიდობიანი მორიგება ამჯერადაც შეუძლებელი გახდა. გენ. რტიშჩევმა გადაუდებელ საქმედ მიიჩნია ხევსურეთს გალაშქრება და ალ. ბატონიშვილის შეპყრობა. 1813 წლის მაისში რუსეთის ჯარის ნაწილები ოთხი მხრიდან შეიჭრებოდნენ ხევსურეთში. დასახული მიზნის განხორციელება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ყველაზე მეტად გაუჭირდა გენერალ სტალის ქვედანაყოფს არაგვის ხეობის გავლით ბარისახოსაკენ რომ მიდიოდა. ხევსურები თავდადებით ებრძოდნენ რუსეთის ჯარის სხვა ნაწილებსაც, მაგრამ მათ მაინც მოახერხეს ერთმანეთთან შეერთება ლებაისკარში და შატილს მიუახლოვდნენ. რუსთა ჯარის მეთაურმა გენ. სიმონოვიჩმა შატილში გაგზავნა თავადი გურგენიძე და ალექსანდრე ერეკლეს ძეს უბრძოლველად დანებება მოსთხოვა. რაკი პასუხი ვერ მიიღო, გენ. სიმონოვიჩი შეტევაზე გადავიდა. გადამწყვეტი ბრძოლა ივნისის დამდეგს გაიმართა. ქართველი ხალხის ღირსების და მეფე ერეკლეს ძის სიცოცხლის დაცვას 600 ხევსური გმირულად შეეწირა. რუსთა ჯარმა, მართალია, შატილი აიღო, მაგრამ მთავარი ამოცანა ვერ შეასრულა. ხევსური ვაჟკაცების თაგანწირული ბრძოლის წყალობით ალექსანდრე ბატონიშვილი გაუსხლტა მდევარს და დაღესტანში გადავიდა. ასე დამთავრდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი.

დაღესტანსა და საერთოდ ჩრდილო კავკასიაში ალექსანდრე ერეკლეს ძემ 4 წელი გაატარა. აქაური ხელხების დიდი პატივისცემით სარგებლობდა. მას შეეძლო რუსეთის წინააღმდეგ აემხედრებინა დაღესტნელები, ჩეჩნები, და სხვა მთიელი ტომები, კვლავ დაემყარებინა მჭიდრო კონტაქტები ირანის მთავრობასთან და სულაც არ მიაჩნდა შეუძლებლად საქართველოში დაბრუნება, გამათავისუფლებელი ომის განახლება. საქართველოს რუსი მმართველები ასეთ საშიშროებას გრძნობდნენ და ცდილობდნენ ალექსანდრე ბატონიშვილი დაღესტნიდან გამოეტყუებინათ, იმპერატორის მორჩილ ქვეშევრდომად გადაექციათ. რუსული ხელისუფლება განსაკუთრებით შეშფოთდა მას შემდეგ, რაც გამოჟონა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ ერზრუმის სე-

რასკირი ბაბა ფაშა თავისთან ეპატიჟებოდა ალექსანდრე ბატონიშვილს და სულთანის სახელით პირდებოდა იმერეთის სამეფო ტახტზე აყვანას (50, 827-828). რუსმა მოხელეებმა ისიც გაიგეს, რომ ალექსანდრე ერეკლეს ძე აგრძელებდა მიწერ-მოწერას აგრეთვე ირანის მთავრობასთან, რომელიც ვერ ურიგდებოდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაკარგვას და რევანშის სურვილით გამსჭვალულს, რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ალექსანდრე ბატონიშვილის გამოყენებაც სურდა. ასე რომ, ენერგიული უფლისწულის გადაბირებას სამი დიდი სახელმწიფო ერთდროულად ცდილობდა. ალექსანდრე ბატონიშვილს საშუალება ჰქონდა შექმნილი სიტუაცია თავის დიდი მიზნის განხორციელებისათვის გამოეყენებინა.

ალექსანდრე ერეკლეს ძის პოლიტიკურ ორიენტაციასთან დაკავშირებით რუს და ირანელ ხელისუფალთა შორის ოფიციალური მოლაპარაკებაც კი გაიმართა. 1815 წელს ირანის მთავრობის წარმომადგენელმა წინადადება მისცა რტიშჩევს ანწუხის აულში დაბინავებულ ალექსანდრე ბატონიშვილთან ირანიდან გაგზავნილი დელეგაცია გაეშვა; რუსი და ირანელი მოხელეები ერთად შეეკითხებოდნენ უფლისწულს – სად ისურვებდა ცხოვრებას – რუსეთში თუ ირანში. თუ ალექსანდრე არ დათანხმდებოდა რუსეთის მორჩილებაზე და ირანში წასვლას ამჯობინებდა, მაშინ რტიშჩევს მისთვის გზა უნდა მიეცა, ირანის საზღვარს იქით უხიფათოდ გადაეშვა. ამიერკავკასიის რუსმა მთავარმმართველმა რაკი ალექსანდრე ბატონიშვილის მოთვინიერების იმედი არ ჰქონდა, ირანელთა წინადადება მიილო. რტიშევიჩმა აღადგინა მოლაპარაკება ალექსანდრე ბატონიშვილთან ანწუხში გასაგზავნ დელეგაციაში შეიყვანა გოგია ბასტამაშვილი, მისი ხელით გადასცა წერილი უფლისწულს, მოითხოვა პასუხი თუ სად აპირებდა იგი ცხოვრებას. თან დაემუქრა, თუ სწრაფად არ დატოვებ დაღესტანს, ან ირანში არ გაემგზავრები ან თბილისში არ მოხვალ, იცოდე დაღესტნის ვერც ერთი სოფელი, ხეობა და მთა ვერ დაგიფარავს ჩემი მხრივ სამართლიან დევნისაგან, ღვთიური სასჯელი დაგატყდებაო თავს (62, 472).

ალექსანდრე ერეკლეს ძემ დინჯი აწონილ-დაწონილი პასუხი გასცა რუსეთის ადგილობრივ ხელისუფალს: თქვენც უნდა იცოდეთ, ვიდრე კაცი ცოცხალია მამულისათვის უნდა გაისარჯოს, მოვალეა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლოს სამშობლოს კეთილდღეობისათვის. გიბრძანებიათ, აგვისტოს გასვლამდის თუ არ დათანხმდებით თბილისში მოსვლას, ან ირანში წასვლას, თავშესაფარებელი ადგილი არ დამრჩება. ამ ქვეყანაზე

ღმერთს ჩიტისთვისაც კი მიუცია სავანე და სარჩო. ჩემისთანა უპრეტენზიო კაცისათვისაც აღმოჩნდება თავშესაფარი. ის კი დიდად მიკვირს, რომ ირანიდან ნაბოძები ფული დააკავეთ, ჩემამდე არ მოუშვით. თუ ფიქრობთ, რომ ეს დიდად შემაწუხებს, სცდებით. „დიდი ხანია ჩემის მამულისათვის მწუხარება კისერზე აღებული მაქვს... ზოგიერთი ჩემი ზეპირი სიტყვებით დამიბარებია დავით და რუშანასათვის, ესენი მოგახსენებენ". ამ პირების ზეპირი გადაცემით კი რტიშჩევმა ის გაიგო, რომ ალექსანდრე ერეკლეს ძე თანახმა იყო რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლაზე იმ პირობით თუ მას დაუბრუნდებოდა მემკვიდრეობა, ე. ი. აღდგებოდა საქართველოს სამეფო (62, 472).

ალექსანდრე ბატონიშვილთან გაგზავნილ დელეგაციაში გოგია ბასტამაშვილიც შედიოდა. უფლისწულმა ამ სანდო კაცის მეშვეობით სცადა პირდაპირი კავშირი დაემყარებინა რუსეთის იმპერატორთან. მას ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ ალექსანდრე პირველს დაითანხმებდა აღედგინა გიორგიევსკის ტრაქტატი, შეაგნებინებდა, რომ რუსეთის მფარველობაში ავტონომიურ საქართველოს სამეფოს მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო იმპერიისათვის. რაკი ალექსანდრე ერეკლეს ძე დარწმუნებული იყო, რომ რტიშჩევის ადმინისტრაცია ბასტამოვს რუსეთის დედაქალაქისკენ არ გაუშვებდა, საქმეში ჩართო ფრიად მოხერხებული კაცი ივანე ყორღანოვი, რომელმაც მოახერხა პეტერბურგს ჩასვლა და ბატონიშვილის ორი წერილის საგარეო საქმეთა მინისტრი ნესელროდესათვის გადაცემა.

ალექსანდრე ერეკლეს ძის მიერ იმპერატორის მისამართით გაგზავნილი წერილი მოკლე იყო: ყოვლად მოწყალეო ხელმწიფევ! თქვენთვის ცნობილია ჩემი მდგმოარეობა და მისწრაფება. მიმიღეთ თქვენი უმაღლესობის მფარველობაში. ჩემი ეს გულითადი სურვილი არ ახალია, ძველია. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით არისო ლაპარაკი ნესელროდესათვის ჩემს მიერ გაგზავნილ წერილში.

მითითებულ წერილში კი ნათქვამი იყო: მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ ჩემი თხოვნა იმპერატორისადმი. მე დიდი ხანია მაქვს დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოს მთავარმმართველებთან იმის შესხაებ, რომ მინდა ვიყო რუსეთის იმპერატორის მოწყალე მფარველობის ქვეშ. ახლა თქვენთან გამოვგზავნე ჩემი ბავშვობისდროინდელი აღმზრდელი გიორგი ბასტამაშვილი და მეფე ერეკლეს ერთგული შტალმეისტერის ვაჟი ივანე ყორღანოვი. როცა მისი ხელიდან ჩემს ორ წერილს მიიღებთ, მონახეთ ბასტამოვი, რომელმაც იცის ყველა ჩემი მიზანდასახუ-

ებანი და ისიც თუ რომელი გზით მინდა წამოსვლა დალესტნი-ვან ჩემს მფარველ იმპერატორთან. ამ ორი კაცისაგან დაწერილებით გაიგებთ ყველა ჩემი განზრახვის შესახებ (50, 385-386).

ივანე ყორღანოვმა შესძლო რუსეთის დედაქალაქში ჩასვლა და ალექსანდრე ბატონიშვილის ორი წერილის ნესელროდესათვის გადაცემა. ალექსანდრე I და მისი დიდმოხელენი ისე ძლიერ იყვნენ დაინტერესებული ურჩი უფლისწულის დამორჩილებით, რომ ვიზის გარეშე პეტერბურგს ჩასული ყორღანოვი ოფიციალური პირივით მიიღეს. მის მიერ ჩატანილი წერილები ალექსანდრე ბატონიშვილის რუსეთში მიწვევისათვის საკმარისად მიიჩნიეს და ბასტამოვის პეტერბურგში ჩაყვანა ზედმეტად ჩათვალეს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა წერილი გაუგზავნა ალექსანდრე ერეკლეს ძეს, მოიწონა მისი გონივრული განზრახვა. აუწყა, რომ იმპერატორმა კმაყოფილებით მიიღო თქვენი გადაწყვეტილება და მისი ბრძანების თანახმად უკვე ვემზადებით თქვენი პატივით მიღებისათვისო (50, 386).

ალექსანდრე ბატონიშვილი თავის შეტყობინებაზე ასეთ პასუხს და ქმედებას არ მოელოდა. როცა იგი იმპერატორს წყალობასა და მფარველობას სთხოვდა, სულაც არ გულისხმობდა რუსეთში დასახლებას, თავის პერსონის მატერიალურ უზრუნველყოფას. მფარველობაში იგი პოლიტიკურ შინაარსს სდებდა, ფაქტობრივად ქართლ-კახეთის ავტონომიური სამეფოს აღდგენას ითხოვდა. რუსეთის მმართველმა წრემ რომ მისი სურვილი და განზრახვა არასწორად გაიგო, ამაში ალექსანდრე ბატონიშვილმა დაადანაშაულა ივანე ყორღანოვი. ამის მიზეზად მიიჩნია აგრეთვე ის, რომ პეტერბურგს არ გაიწვიეს მისი ერთგული ბასტამაშვილი, არ გაიცნეს მისთვის გატანებული წერილისა და ზეპირად გადასაცემი წინადადების შინაარსი. ამ ამბებთან დაკავშირებით ალექსანდრე ბატონიშვილი კავკასიის კორპუსის სარდალს და მთავარმმართველ ერმოლოვს სწერდა: „ჩემთან მოვიდა ყოვლად მოწყალის ხელმწიფის ბრძანება, ეგრეთვე უფლის მინისტრის წერილი მებოძა. წავიკითხე და ჩემის არზის პასუხი ვერა რაი ვცან. ჩემი აზრი, ინსტრუქცია, ეგრეთვე უფალ მინისტრთან ჩემი წერილი თვით გოგია ბასტამოვს უნდა წარედგინა", მაგრამ ბასტამაშვილის პეტერბურგს ჩასვლა არ მოხერხდა, ყორღანოვმა კი საქმე გააუბრალოვა, ჩემი თხოვნა, მისი შინაარსი თვითნებურად შეცვალა. სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური საკითხი ჩემს მატერიალურ კეთილმოწყობამდე დაიყვანაო (19, 47-48).

ეს მარტო ყორღანოვის კი არა რუსული ხელისუფლების

პოზიცია იყო. იგი ფულითა და სხვა სიმდიდრით ვარაუდობდა უფლისწულის მოთვინიერებას. მიუხედავად ამისა ალექსანდრე ბატონიშვილმა კვლავ გააგრძელა დიპლომატობა. შედარებით მეტი ნდობა გამოუცხადა კავკასიის ხაზის უფროსს გენერალ დელ პოცოს, მასთან გააბა მინერ-მოწერა. იმედოვნებდა, რომ ამ გენერლის მეშვეობით მოახერხებდა იმპერატორისათვის თავის ნება-სურვილის გამოცხადებას, რუსთა ხელმწიფეს საქართველოს ავტონომიურ სამეფოდ გარდასახვაზე დაითანხმებდა. თუ ეს მოხდებოდა, ალექსანდრე ერეკლეს ძე პირობას სდებდა, რომ დაღესტანს დაამშვიდებდა, ამ ქვეყნის მმართველ-მფლობელებს რუსეთის პროტექტორატის ქვეშ მოაქცევდა (19, 48-49).

ასეთი დაპირება რუსი პოლიტიკოსებისათვის ბევრს ნიშნავდა, რადგან ალექსანდრე ბატონიშვილმა დაღესტანში და საერთოდ ჩრდილო კავკასიის მთიანეთში მყარი ნიადაგი ჰპოვა ანტირუსული საქმიანობისითავის. მას შესაძლებლად მიაჩნდა საერთო კავკასიური აჯანყების ორგანიზება, რუს ხელისუფალთათვის დიდი სიძნელეების შექმნა და ამ გზით მისი დათმობაზე ნაყვანა. ამიტომ, ბუნებრივია არ ჩქარობდა ირანში დაბრუნებას. რუს სამხედროებთან მოლაპარკებით დროის მოგებას ცდილობდა, ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდა. ამიერკავკასიის მთავარმმართველმა რტიშჩევმა, მისმა შემცვლელმა გენერალმა ერმოლოვმა და სხვა რუსმა დიდმოხელეებმა ეს კარგად იცოდნენ და ყველა საშუალებას იყენებდნენ იმისათვის, რომ მათთვის ეს სახიფათო პიროვნება ან ფიზიკურად მოესპოთ ან აეძულებინათ მღელვარე დაღესტნიდან წასულიყო, ისევ ირანს შეეფერებოდა. ერმოლოვმა მრისხანე წერილი გაუგზვნა ანწუხის თემს, ალექსანდრე ბატონიშვილის რუსეთის ხელისუფლებისათვის გადაცემა მოსთხოვა. თუ ამაზე უარს იტყვით, თქვენს სოფელს მიწასთან გავასწორებო. იმავდროულად მუხანათური დავალება მისცა ალექსანდრე ერეკლეს ძის რისხვას გაქცეულ ივ. ყორლანოვს. ოქრო-ვერცხლით აღჭურვა და ბატონიშვილის მოკვლა უბრძანა. ალექსანდრე ერეკლეს ძე თავს სრულუფლებიან ხელმწიფედ თუ არა საქართველოს პოტენციურ მეფედ მაინც მიიჩნევდა. ამიტომ რუს ხელისუფალთ დიპლომატიური ეტიკეტის დარღვევას არ პატიობდა. როცა მან ინფორმაცია მიიღო ერმოლოვის არასაკადრისი საქციელის შესახებ, საქართველოს რუს მთავარმმართველს ასეთი წერილი გაუზავნა: „მოგინერიათ, ეგ ბატონიშვილი ხელმწიფის მუხანათია, დაიჭირეთ და ოც დღეში აქ ჩამოიყვანეთ. თუ ჩემს ბრძანებას არ აღასრულებთ, თქვენს სახლებს თქვენის ხელით დასწვავთო. დიდად განკვირვებულვარ იმისთანა ბრძანე-

ბას ინერებით, არ შვენის თქვენს ნრფელ გულსა. კარგად მოგეხსენებათ თქვენის კამანდისა არ გახლავართ... გარნა მხოლოდ თქვენ, არამედ რომელნიც საქართველოში მართებელნი ბრძანდებოდნენ... ყოველნი ცდილობდნენ დაჭერას და ეგრეთვე საწამლავით სიკვდილსა ჩემსა. თქვენ დაგიყენებიათ ყორღანოვი დაღისტნის საზღვარზე და ფარულათ ცდილობს საწამლავით სიკვდილსა ჩემსა, რომელიც სათქმელადაც დიდათ სირცხვილი არის. მე ასე ვგონებ, ამგვარი მაცდურება, ყოვლად მოწყალის ხელმწიფის (ალექსანდრე I-ის - ა. ბ.) ნება არ იყოს" (19, 116-117).

დიპლომატი უფლისწული რუსეთის იმპერატორს კვლავ ნამუსს წმენდდა, მაგრამ სწორედ ალექსანდრე პირველის დავალებას ასრულებდნენ რუსი გენერლები, როცა ცდილობდნენ ყველაზე უფრო ურჩი და გაუტეხელი ბაგრატიონის შეპყრობას ან მოკვლას. მათგან არსებითად არც ბატონიშვილისაგან პატივცემული დელ პოცო განსხვავდებოდა. ეს უკანასკნელი, როცა დარწმუნდა, რომ ალექსანდრე თავის მიზანზე ხელს არ აიღებდა და იმპერატორს მორჩილად არ დაუკრავდა თავს, მასთან შეხვედრას თავს არიდებდა, მასთან მიმოწერაც შეწყვიტა. 1817 წლის 21 ოქტომბერს, ირანში დიპლომატიური მისიით ყოფნის შემდეგ უკან მობრუნებული ერმოლოვი დელ პოცოს სწერდა: სპარსეთში ალექსანდრე ბატონიშვილის ამალის ერთ-ერთმა წევრმა გამანდო, რომ ალექსანდრე ერეკლეს ძე რუსეთში არ გადასახლდება, რადგან მისი მიზანი საქართველოს სამეფოს აღდგენაა. ამიტომ მასთან ყოველგვარი ურთიერთობა უნდა შეწყვიტოთო. ეს ცნობილი გახდა ალექსანდრე ბატონიშვილისათვის და მან გადაწყვიტა რუსეთის ორიენტაციაზე მთლიანად ხელის აღება და ირანში დაბრუნება. ამასვე ურჩევდნენ მას ირანის მბრძანებლის მოხელეები და თვით ტახტის მემკვიდრე აბას მირზა.

ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ ირანელი პოლიტიკოსებისათვის 1818 წლის 6 მარტს გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „ღვთის წყალობით და შაჰზადას დოვლათით მთელი დაღესტანი ხელმწიფოისა და შაჰზადასათვის მიშოვნია. ვინცა ვინ დაღესტანში რუსის მხარეს არიან და რუსის ჯამაგირს ჭამენ, ისინიც მიშოვნია. თუ შაჰზადა ინებებს, რაყამს და ჯამაგირს უბოძებს, რაერთსაც მძევლებს ინებებს, იმთენს ვაახლებთ,.. ეს ნურავის გონია მარტო დღეისა და ხვალისათვის მიშოვნია დაღესტანი. ჩემის გარჯილობით ხელმწიფისა და შაჰზადას ერთგულობისათვის მიშოვნია საბოლოოთ" (19, 53). ქართველი უფლისწულის წინასწარხედვა სწორი აღმოჩნდა. მალე ამის შემდეგ დაღესტანსა და ჩეჩნეთში დაიწყო ფართო ანტირუსული, მიურიდუ-

ლი ომრაობა, რომლის დათრგუნვისთვისაც რუსეთს რამდენიმე ათეული წელი დასჭირდა და ათასობით რუსი ჯარისკაცისა და ოფიცრის სიცოცხლე შეეწირა.

ალექსანდრე ბატონიშვილის ზემოხსენებულმა წერილმა ადრესატამდე ვერ მიაღწია, უფლისწულის შიკრიკი ბოლნისის მახლობლად შეიპყრეს. ალექსანდრეს უსტარი ჩამოართვეს. ცნობამ იმის შესახებ, რომ ალექსანდრე ერეკლეს ძე დაღესტნელი მფლობელებისა და ირანის ხელისუფლების შეკავშირებას, მათს რუსეთის წინააღმდეგ წარმართვას ცდილობდა, ერმოლოვი დიდად შეაშფოთა. დატყვევებული შიკრიკისა და სხვათა დაკითხვით ისიც ცხადი გახდა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი ირანში დაბრუნებას აპირებდა. ერმოლოვის ბრძანების თანახმად ყველა გზებზე პიკეტები დააყენეს, რათა მეამბოხე უფლისწული ან შეეპყროთ ან მოეკლათ. მიუხედავად ამ საგანგებო ზომებისა, ალექსანდრე ერეკლეს ძე ხელიდან გაუსხლტა ყველას და 1818 წლის აგვისტოს ბოლოს მშვიდობით შეაღწია ახალციხის საფაშოში. გაწბილებულ-განრისხებულმა ერმოლოვმა მკაცრად დასაჯა სასაზღვრო რაზმების უფროსები და შეადგინა ახალი გეგმა, დავალება მისცა ოფიცრებს და მოსყიდულ თათრებს კონტროლ ქვეშ მოექციათ ახალციხიდან ირანისაკენ მიმავალი გზები. მან ნება მისცა ბატონიშვილის მდევართ მაინცდამაინც თავი არ გამოედოთ ალექსანდრე ერეკლეს ძის ცოცხლად შეპყრობისათვის. ის კი კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ბატონიშვილის ცხედარი აუცილებლად ჩაესვენებინათ თბილისში. მისი გეგმის თანახმად უფლისწულს გარეგნული პატივით დაკრძალავდნენ. ქართველები დარწმუნდებოდნენ, რომ საქართველოს სამეფოს აღდგენისათვის ყველაზე თავგანწირული მებრძოლი ცოცხალი აღარაა და ხელს აიღებდნენ ანტირუსულ მოძრაობაზე.

ერმოლოვი და მისი ხელქვეითნი ამაოდ გაისარჯნენ. ალექსანდრე ბატონიშვილი სულაც არ ჩქარობდა ირანისკენ წასვლას. მან თავისი ხალხი სპარსეთიდან ოსმალეთში გაიწვია. მას გეგმაში ჰქონდა სოლომონ II-ის ერთგული იმერელ თავადაზნაურთა და თურქ ხელისუფალთა დახმარებით ახალი ანტირუსული აჯანყება წამოეწყო. რაკი ამ განზრახვის რეალიზაცია გაჭიანურდა, 1819 წლის იანვარში მან გეზი ირანისაკენ აიღო. ეჩმიაძინის მიდამოებში ალექსანდრე ერეკლეს ძეს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს სომეხმა დიდებულებმა და მღვდელმთავრებმა, ხოლო ერევნის მისადგომებთან მას მიეგება ერევნის მფლობელი ჰუსეინ ხანი და ზეიმით შეიყვანა ქალაქში. მალე ამის შემდეგ ირანის შაჰმა ალექსანდრე ბატონიშვილს სამმართველოდ გამოუყო დარალგი-

ოზის პროვინცია, რომელიც ყარაბაღის, ერევნისა და განჯის სახანოებს ესაზღვრებოდა. ასეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან მხარეში ალექსანდრე ერეკლეს ძის დამკვიდრებამ ერმოლოვი შეაშფოთა. მან გენერალ მადათოვს დაავალა ფხიზლად ედევნებინა თვალი ამ ტერიტორიისათვის. შეცდილიყო ალექსანდრე ბატონიშვილის გარემოცვაში გაეჩინა სანდო ჯაშუში. რომელიც რუსული ხელისუფლებისათვის სათანადო მასალის მოწოდებას არ დაიზარებდა.

XIX ს-ის პირველი მესამედი მხოლოდ ანტირუსული მოძრაობით როდი გამოირჩეოდა. იმავდროულად ბაგრატიონი უფლისწულები და მათი თანამებრძოლები აგრძელებდნენ ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის მიწურულს დაწყებულ საქმიანობას. საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანებისა და მართვა გამგეობის სისტემის სრულყოფის საკითხებზე, ცდილობდნენ გაჰყოლოდნენ დასავლეთ ევროპაში დამკვიდრებულ განახლების გზას. ქართული მონარქიაც პროგრესის სამსახურში ჩაეყენებინათ.

დავით და იოანე გიორგის ძენი თავიდანვე აქტიურად იყვნენ ჩაბმული პოლიტიკურ ცხოვრებაში, ყოველნაირად ეხმარებოდნენ მამა მეფეს სახელმწიფოს წინაშე მდგარი რთული პრობლემების გადაწყვეტაში. უფლისწულებს სწორად ჰქონდა გააზრებული დროის მოთხოვნილება, საქართველოს მართვა-გამგეობის რეფორმის გატარების აუცილებლობა და სათანადო პროექტებიც წარუდგინეს გიორგი მეთორმეტეს.

იოანე ბატონიშვილმა თავის შემოქმედების ნაყოფი - „სჯულდება" მეფე მამას 1799 წელს გადასცა განხილვა-დამტკიცებისათვის. ამ საკანონმდებლო ძეგლში ფრიად საინტერესო მასალა არის დაფიქსირებული დამოუკიდებელ საქართველოში ბოლო ხანს მოქმედი სახელმწიფო, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტების შესახებ. ისიც არის აღნიშნული, რომ ბევრი რამ შესაცვლელი და გასაუმჯობესებელი იყო. იოანე ბატონიშვილი მეფეს ასე მიმართავს: „სხვადასხვაგვარმან ცვალებამან კანონთამან, უთანხომებამან და უწესობამან, მოიყვანეს სრულიად საქართველოს ერნი განწირულებასა შინა.. და უკეთუ ღონეს არა რაისამე მოიპოებთ, ესე უბედურებაი იქნების განგრძელებულ". მე, წერს ბოლოს უფლისწული, ხალხისა და მეფის ერთგულება მამოქმედებს, გავკადნიერდი და ახალი ღონისძიებანი წარმოგიდგინეთ. ვიმედოვნებ, რომ ჩემს მიერ შედგენილი „სჯულდება" ერისათვის არ იქნება ძნელად აღსასრულებელი, სარგებლობას მოუტანს მეფის ხელისუფლებასაცო (29ბ, 3).

„სჯულდების პირველი მუხლია - „მხედრობისათვის" იოანეს ჯერ კიდევ საჭიროდ მიაჩნია სადროშოების სახით არსებული სამხედრო ოლქები, ლაშქარი და მდევარი რაზმები, მაგრამ მეფეს აძლევს წინადადებას საყოველთაო სამხედრო ბეგარის საფუძველზე შექმნას მუდმივი ჯარი და განვრთნას იგი „რეგულის გვარად". ჯარის ყველა სახეობაში ხელმძღვანელი როლი უნდა შეასრულონო ბატონიშვილებმა და თავადებმა.

„სჯულდების" რამდენიმე მუხლში ლაპარაკია მეფეზე, მმართველობის აპარატსა და მოხელეების შესახებ. იოანე აღნიშნავს, რომ ერეკლე მეორისგან დატოვებული ანდერძი ტახტის მემკვიდრეობის წესს რომ ეხებოდა, თუმცა არღვევდა ტრადიციას, „არ იყო სჯულიერი სამართალი, მაგრამ ვგონებ მორჩილებისათვის ერთისა მეორისა ინება ესე". რაკი მონარქის მემკვიდრეობის საკითხმა უფლისწულთა შორის დიდი უთანხმოება გამოიწვია, თქვენ მეფეო „იხმარეთ მეცნიერება და შესაერთებლად ძმათა თქვენთა ინებეთ ესრეთ: თქვენს შემდეგ თუ ცოცხალი დარჩეს იულონ იყოს მეფედ. იულონის შემდგომად იყოს დავით და დავითის შემდგომად ვახტანგ და ესრეთ მიმოგდებით ძმათა შვილებთა შორის. უკეთუ მეფის ძე, რომელსაცა ერგებოდეს მეფობა და იყოს უგუნური და არა შეეძლოს რა, ... გონიერი ვინმე მიიღონ მეფედ". იქვე სჯულდების ავტორი სვამს საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საკითხს: „არც ესე იქნება ურიგო და მართლა ქვეყნისა შესამატებელი საქმე, თუ რითაც ღონით შეიძლებოდეს თანხმობა იმერთა და ქართველთა შორის, რომელ შეერთდნენ ერთ სახედ". სჯულდება და მისი ავტორი ყველა მონარქის, ყველა მეფის მოვალეობად აცხადებს კანონების დაცვას. ქვეყნისა და ხალხის ამ კანონების მოთხოვნილებათა შესაბამისად მართვას.

იოანე ბატონიშვილი მიზანშეწონილად თვლიდა სამეფო დარბაზის წევრთა რიცხვის შემცირებას, მის თავისებურ მოდერნიზაციას. მეფეს ურჩევდა სამ-სამი ჭკვიანი კაცნი გამოეწვია ქართლიდან, კახეთიდან, თათრულ-სომხური მოსახლეობიდან და მოქალაქეთაგან. ე. ი. შეექმნა წოდებათა წარმომადგენლების საბჭო 12 კაცის შემადგენლობით. ამ საბჭოში უნდა შეეყვანა ერთ-ერთი უფლისწულიც. „ესენნი ყოველთვის იყვნენ რჩევასა ქვეყნის სარგებლობისასა". საბჭო მეფის დავალებით განიხილავდა სხვადასხვა საკითხებს. მეფე და მრჩეველნი ერთად გაარკვევდნენ განზრახულ სამომავლო ღონისძიებათა ავკარგს და სამოქმედოდ დაამტკიცებდნენ. (29ᵇ, 4-32).

გიორგი XII-ის დროს კიდევ უფრო აქტიურ პოლიტიკურ და

საკანონმდებლო საქმიანობას ეწეოდა ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილისა და რუსეთის იმპერატორის მიერ ტახტის მემკვიდრედ აღიარებული უფლისწული დავითი. 1800 წელს მან შეადგინა „სამართალი" (პროექტი) და დასამტკიცებლად წარუდგინა მეფე მამას. ამ საკანონმდებლო ძეგლსაც „სჯულდების" ანალოგიური მიზანი ჰქონდა.

დავით ბაგრატიონი კარგად იცნობდა დასავლეთ ევროპელ განმანათლებელთა ნაღვაწ-ნააზრევს. განიცდიდა მათ გავლენას, რაც გარკვეული დოზით კიდევაც აისახა მის თხზულებებში, კერძოდ „სამართალშიც" დ. ფურცელაძე წერს: „დავით ბატონიშვილი, ასე ვთქვათ, „ქართული განათლებული მონარქიის" მკვეთრი წარმომადგენელია, ხოლო „სამართალი ბატონიშვილი დავითისა" არის ამ მიმართულებით სამართლებრივი კოდიფიკაციის ცდა. ეს ძეგლი შთაგონებულია ქვეყნის საარსებო ინტერესებით და ნაკარნახევია ევროპული განათლებული აბსოლუტიზმის სახელმწიფოებრივი პრაქტიკის გააზრებისა და ამ საფუძველზე ქართლ-კახეთს მონარქიის განმტკიცების წადილით... ქართული განათლებული მონარქიის მოღვაწე დავით ბატონიშვილი დაუღალავად მხნეობდა ისეთი სამართლის შესადგენდა, რომელიც მის ქვეყანას ევროპული ცივილიზაციის გზაზე დადგომას გაუადვილებდა. ცდილობდა ახლებურად გადაეხალისებინა ყველაფერი, რაც კი მისი რწმენით წარსულსა და აწმყოში ცხოველუნარიანი, შესანარჩუნებელი იყო. მას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა გამოეყენებინა უცხოური და რუსული სამართალიც, რამდენადაც ამას მოწინავე იურიდიული აზროვნება ამართლებდა (28, 042).

დავით ბაგრატიონს მეფე, მართალია, შეუზღუდავ მბრძანებელ-მმართველად მიაჩნდა, მაგრამ საჭიროდ თვლიდა მის კართან არსებულ წიდებათა წარმომადგენლების სათათბიროს სრულყოფას, მის უფლება-კომპეტენციის რამდენადმე გაფართოებას. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს დავითის სამართლის ერთ-ერთი პარაგრაფი - „სენატისათვის და სენატორთაგან მოქმედებისათვის". ეს ცნება-ტერმინი სენატი დავით ბაგრატიონს ნასესხები აქვს რუსული კანონმდებლობიდან. სენატს იგი ტრადიციული ქართული სამეფო დარბაზის ადგილზე აყენებს. სამეფოსათვის საჭიროდ ჩავთვალეო, რათა „გამოირჩევნენ რაოდენნიმე გვამნი პატივოსანნი კეთილშობილთაგანი და შემდგომად მეფისა იგინი იყვნენ მზრუნველნი და განმკარგულებელნი სამეფოისანი და აგრეთვე ყოვლისა საქმისა, რაგვართაცა სამხედროსა, ეგრეთვე სამოქალაქოისა. ამათში (სენატში) შეიტანება ყოვე-

ლივე საქმე საპოლიტიკო, შინაური და გარეული". დავით ბატონიშვილს სენატისა და სენატორთა მოვალეობად მიაჩნდა საქმის სამართლიანად გაკეთება, ობიექტური გადაწყვეტილების გამოტანა... „დასჯად უკეთურთა, ავაზაკთა და უპატიოთა და წყალობისა სათხოვად მეფისაგან პატივოსანთა და კეთილთა გვამთათვის". სენატს უნდა აღეკვეთა მოურავთა და სხვა მოხელეთა თვითნებობა. სენატორები თავდაპირველად შენიშვნით დაკმაყოფილდებოდნენ, ვინც გაფრთხილებას ყურად არ იღებდა, მათი თანამდებობიდან გადაყენების საკითხს მეფის წინაშე დააყენებდნენ. სენატის მოვალეობას შეადგენდა წარმოებისა და ვაჭრობისათვის ხელის შეწყობა. აგრეთვე „რეკრუტისა გამოყვანა ახლად შემოღებული მხედრობისათვის", მაგრამ სენატისა და სენატორთა მთავარი ფუნქცია, ტახტის მემკვიდრის აზრით, უნდა ყოფილიყო მეფის დავალებისამებრ სხვადასხვა კანონების მომზადება" (28, 196-198).

დავით ბაგრატიონის „სამართალი" და იოანეს „სჯულდება" რომ ამოქმედებულიყო შესაძლებელი გახდებოდა ქართული მონარქიის მართვა-გამგეობის სისტემის გაუმჯობესება, ქვეყნის აღმავალი განვითარებისათვის საფუძვლების მომზადება. მაგრამ რუსეთის საიმპერიო და ადგილობრივმა ხელისუფლებამ არ აცალა საქართველოს პროგრესულ ძალებს თვითმოქმედება; მეფობის გაუქმებისა და ქვეყნის ანექსიისთანავე დაიწყო რუსიფიკატორულ-კოლონიური პოლიტიკის გატარება. პირველყოვლისა საქართველო განწმინდა ბაგრატიონებისაგან, თითქმის ყველა რუსეთს გადაასახლა.

უფლისწული დავითი რუსეთში ადრეც იყო. 1887-1889 წლებში სწავლობდა. 1797-1798 წლებში რუსეთის არმიაში ირიცხებოდა, გენერალ-ლეიტენანტის ჩინიც უბოძეს. მაშინ დავით ბაგრატიონი თავს გრძნობდა და გაიაზრებოდა ქართლ-კახეთის მომავალ მეფედ. 1803 წელს კი იგი პეტერბურგში ჩაიყვანეს როგორც პატივაყრილი უფლისწული. მისი გულისწყრომა რომ გაენელებინათ, სენატორობა უბოძეს, მატერიალური კეთილდღეობა შეუქმნეს. მაგრამ ამაოდ. დავით გიორგის ძე გულის სილრმეში გმობდა რუსეთის დაპყრობით-კოლონიურ პოლიტიკას. იმპერიის დედაქალაქში ცხოვრობდა, მაგრამ საქართველოზე ფიქრობდა, თავისი შემოქმედებით სამშობლოს აღორძინებაგანვითარების, ქართველი ხალხის განათლების საქმეს ემსახურებოდა. იმავდროულად საქართველოში მიმდინარე მოვლენების კურსში იყო. სოლიდარობას უცხადებდა ქართველთა ეროვნულგანმათავისუფლებელ მოძრაობას, რომლის პირველი ეტაპის

(1801-1802 წწ.) აქტიური მონაწილე თვითონაც იყო. დავითმა შექმნა ნაშრომი ისტორიის, ენათმეცნიერების, ფიზიკის, სამართლის დარგებში.

დავით ბაგრატიონმა პეტერბურგს დაწერა ნაშრომი - „საქართველოს სამართლისა და კანონების მიმოხილვა". ავტორმა ამ „მიმოხილვაში" დააფიქსირა ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის დროს მოქმედი წერილობითი კანონები. გზადაგზა მოკლედ აღწერა სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები. ხალხის ზნე-ჩვეულებანი, ადათობრივი სამართლის ნორმები; ნაწილობრივ მაინც გააშუქა საქართველოს ეკონომიკურ-სოციალური და კულტურული ცხოვრება. ამ ძეგლის მომპოვებელ-გამომცემელი წერს: „მეფის მთავრობის მიერ რუსეთში ძალად გადასახლებულმა ბაგრატიონთა ტახტის უკანასკნელმა მემკვიდრემ. ერეკლეს დროინდელი საქართველოს ამსახველი ამ გმირული ეპოპეის დაწერით, ოდნავ მაინც დაიოკა მოწყვეტილ სამშობლოზე, ნაციონალურად დაჩაგრულ საქართველოზე დარდი" (29, 211-218).

ბატონ აპოლონს უფლება ჰქონდა ასეთი ემოციურად დატვირთული განცხადება გაეკეთებინა, მაგრამ თვით დავით ბაგრატიონი ამ ნაშრომს დარდის განქართვებისათვის როდი ქმნიდა. მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაკარგული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იმედი და ამიტომ თავის „მიმოხილვას" გამოყენებით, პრაქტიკულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ფიქრობდა, რომ იგი აღდგენილ საქართველოს სამეფოს ხელისუფლებას სათანადო დახმარებას გაუწევდა. დავით ბაგრატიონის თვალწინ მისი უშუალო მონაწილეობით გაილია ქართლ-კახეთის სამეფოს უკანასკნელი ათწლეული. თავის მოღვაწეობის პეტერბურგულ პერიოლში მას საშუალება ჰქონდა გაეაზრებინა ჩამორჩენისა და მარცხის მიზეზები, დაესახა დაშვებული შეცდომების გამოსწორების, ქვეყნის აღორძინება-განვითარების გზები. თავისი აზრები და რეკომენდაციები დ. ბაგრატიონმა დააფიქსირა თავის თხზულებებში, კერძოდ ხსენებულ „მიმოხილვაში".

დ. ბაგრატიონისაგან გამოთქმული განსჯა-შეფასების არსის გაგებისათვის გარკვეულ საფუძველს იძლევა „მიმოხილვის" მეორე თავი - „მეფე და სამეფო სახლი". ავტორი ხაზგასმით წერს, საქართველოში სამეფო ხელისუფლება თვითმპყრობელური და მემკვიდრეობითია. საკანონმდებლო ხელისუფლება ძირითადად მეფის ხელშია. ძველი დროიდანვე დაწესებულია, რომ სამეფო ტახტი გადადის მამიდან უფროს ვაჟზე. დაქვრივებულ დედოფალსა და პრინცესებს არ შეიძლება ტახტი გადაეცეს. საქარ-

ოველის სამეფო სახლის წევრებად ითვლებიან მეფის შვილები, აგრეთვე ტახტის მემკვიდრის ბავშვები. ისინი არიან სახელმწიფოში ყველაზე საპატივცემულო პირები, უპირველესყოფლისა მათ უნდა მიეცეს მნიშვნელოვანი თანამდებობები. დ. ბაგრატიონი იქვე სვამს სამეფო სახლის წევრთა პასუხისმგებლობის საკითხს; ბოლო რომ მოუღოს ბოლო წლებში მათ ჩველუებად გადაქცეულ თვითნებობას, აფიქსირებს დებულებას, რომ საუფლისწულოთა ტერიტორიაზე არსებულ ციხე-სიმაგრეებში უნდა ჩადგნენ მეფის ჯარის გარნიზონები და რომ უფლისწულებს ეკრძალებათ მეფის ნებართვა-ბრძანების გარეშე ლაშქრის შეკრება, მეზობელ მფლობელებთან დიპლომატიური და სხვაგვარი ურთიერთობის დამყარება. იქვე აღნიშნულია, რომ ბაგრატიონმა უფლისწულებმა ხელი არ უნდა შეუშალონ მეფის მიერ დანიშნულ მოურავთა საქმიანობას. „მიმოხილვის" ცალკე მუხლში ნათქვაიმა, რომ სამეფო სახლის წევრები პირად ინტერესებზე მაღლა უნდა აყენებდნენ სახელმწიფოსა და ქვეყნის ინტერესებს, რომ კანონის დარღვევისა და სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ისინი დაისჯებიან საერთო წესით (29, 222-227).

დავით ბაგრატიონის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ „მიმოხილვის" მესამე თავში ლაპარაკია სამღვდელოებაზე. ეკლესიის მეთაურის კათოლიკოსის და სხვა მღვდელმთავართა მოვალეობად გამოცხადებულია ქრისტიანული რწმენისა და ზნეობის სამსახური. ზრუნვა ადამიანების მშვიდობიან ურთიერთობაზე, ოჯახის სიმტკიცეზე და სხვა. მიმოხილვის მეოთხე თავს ეწოდებოდა - „სამხედრო ძალები". იქ ჩაწერილია მუხლები ქართული ლაშქრის, მორიგე ჯარისა და არტლერიის შესახებ. თუშ-ფშავ ზევსურებს მიკუთვნებული აქვთ მეფის პირადი დაცვის ფუნქცია. მათი რაზმები ყოველთვის მზად უნდა ყოფილიყვნენ მონარქის სამსახურისათვის. იქვე საჭიროდ არის გამოცხადებული შექმნა სპეციალური დაწესებულების – სამხედრო კანტორისა, რომელიც შეადგენდა მორიგე ჯარში ამა თუ იმ დროს გამსვლელთა სიებს, იზრუნებდა ჯარის მომარაგებაზე. განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა არტილერიის სრულყოფას, მოსალოდნელი ომისათვის მის მზაობას.

დავით ბაგრატიონის ხსენებული თხზულების მეხუთე თავია - „მუდმივი სამეფო საბჭო". ეს ორგანო გააზრებულია როგორც მეფის წინაშე პასუხისმგებელი მნიშვნელოვანი სახელმწიფო ორგანო. მის წევრთა რიცხვს განსაზღვრავდა მეფე. საბჭოში შეჰყავდა კომპეტენტური, სახელმწიფო მართვა-გამგეობაში გამოცდილი პირები – პირველხარისხოვანი თავადები, აზნაურები,

აგრეთვე თბილისის მოქალაქეთა წარმომადგენელი ქალაქის მოურავი და მდივანბეგი. სამეფო საბჭოს ბრძანება-განკარგულებებს უნდა დამორჩილებოდა საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენა. ურჩნი (მათ შორის უფლისწულები) ისჯებოდნენ როგორც სახელმწიფო ხელისუფლების მოწინააღმდეგენი.

სამეფო საბჭოს ფუნქციებში შედიოდა: კანონების დაცვა-გატარება. ყველა სახელმწიფო საქმეების მართვა; ზრუნვა სახელმწიფოს კეთილდღეობაზე – საბაჟო და საგადასახადო სისტემის სრულყოფა, კომერციულ ურთიერთობათა დარეგულირება, სასამართლო დაწესებულებათა საქმიანობის კონტროლი. საბჭოს უფლება ეძლეოდა მეფის სახელით დაენიშნა მოხელეები, განესაზღვრა მათი სარგო (ხელფასი), კანონისა და მეფის ბრძანების არშემსრულებელი მოხელე დაეჯარიმებინა, თანამდებობიდან გადაეყენებინა.

„მიმოხილვის" მიხედვით, სამეფო საბჭოს გამგებლობას ექვემდებარებოდნენ მაღაროები, ფარიკები, საერთოდ ყველა სახაზინო უძრავ-მოძრავი ქონება. იგი აკონტროლებდა საგარეო და შინა საბაჟოებს, საგადასახადო საქმეს. მის მოვალეობას შეადგენდა წლის ყოველი მესამედის გასვლისას შეეკრიბა ცნობები მოურავების, მოსამართლეების და თანამდებობის სხვა პირთა საქმიანობაზე და შედეგები მოეხსენებინა მეფისათვის. დავით ბაგრატიონი სამეფო საბჭოს ერთ-ერთ მთავარ მოვალეობად თვლიდა არ დაეშვა შინა აჯანყებანი, აღეკვეთა მკვლელობანი, ძარცვა-გლეჯა, სხვა დანაშაულებრივი ქმედებანი; დაემყარებინა წესრიგი და მთელი ძალაუფლება გამოეყენებინა სახელმწიფო ბიუჯეტის (შემოსავლის) გასადიდებლად (29, 240-247).

„მიმოხილვის" მეექვსე თავში, კერძოდ მის 107-112 მუხლებში ლაპარაკია სახელმწიფოს საგარეო საქმეებზე, რასაც უნდა გაძღოლოდნენ მდივანთუხუცესები. დავით ბაგრატიონს მიზანშეწონილად მიაჩნდა ერთი მდივანთუხუცესი ყოფილიყო ქართველი, რომელსაც დაეკისრებოდა ქრისტიანულ სახელმწიფოებთან ურთიერთობის დარეგულირება, მეორე კი უნდა შეერჩიათ საქართველოს მკვიდრ მაჰმადიანთაგან და მას დავალებოდა მუსლიმანურ სახელმწიფოებთან სადაო საკითხების მოგვარება. მდივანთუხუცესთა ფუნქციებში შედიოდა უცხოეთში საქართველოს დესპანების გაგზავნა, საქართველოში ჩამოსულ უცხოელ ელჩთა მეფისათვის წარდგენა. ისინი გართულებული სიტუაციების შესახებ ინფორმაციას მიაწოდებდნენ მეფეს და საჭიროების შემთხვევაში მისივე ბრძანებით მოიწვევდნენ სამეფო საბჭოს საგანგებო სხდომას.

იმავე განყოფილებაში დ. ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ საქართველოში ქართველების გვერდიგვერდ ცხოვრობენ ბერძნები, სომხები, ებრაელები, თურქები, თათრები. გაბატონებული ნაციის წარმომადგენლები (ქართველები) იკავებენ ყველა სახელმწიფოებრივ თანამდებობას. ბერძნების ფუნქციას შეადგენს სამთამადნო წარმოება, სომხებისა და ებრაელებისა - ვაჭრობა. იქვე დაფიქსირებულია დებულება, რომ კანონები აუცილებელია სახელმწიფოსა და ხალხისათვის. კანონი და კანონიერება ადამიანთა ბუნებრივი მოთხოვნილებაა. კანონი იცავს სახელმწიფოს ქვეშევრდომთა საკუთრებას, კეთილდღეობას, მშვიდობას. კანონს ძირითადად ხელისუფლება გამოსცემს, ზოგჯერ იქმნება საზოგადოებრივი შეთანხმებით. კანონის დაცვა, ცხოვრებაში გატარება ხელისუფლების მოვალეობაა. კანონს უნდა ემორჩილებოდეს მოსახლეობის ყველა ფენა.

დავით ბაგრატიონს კანონთა მიმოხილვაში შემოაქვს საოლქო ინსპექტორის ცნება და თანამდებობა. დამოუკიდებელი საქართველოსთვის უცნობ ამ თანამდებობაზე მეფესა და მის მთავრობას ყოველწლიურად უნდა შეერჩია სანდო, გამოცდილი მოხელენი, რომელნიც შეამოწმებდნენ პროვინციების მდგომარეობას, იქ შექმნილ სიტუაციას. ერთ ინსპექტორს უნდა შემოევლო ქართლი, მეორეს კახეთი, მესამეს თათრული სოფლები. კანონმდებელი მათ მოვალეობად, ფუნქციად აცხადებს მოურავებისა და სხვა მოხელეთა საქმიანობის ავ-კარგიანობის გარკვევას; ხომ არ არღვევენ კანონებს, ხომ არ ავიწროებენ ხალხს, ხომ არ არცხვენენ თავის წოდებასა და თანამდებობას. თუ დადგინდებოდა, რომ მოხელე ბოროტად, ანგარებითი მიზნით იყენებდა კანონს და თავის უფლებას, გადაყენებული იქნებოდა თანამდებობიდან. რა თქმა უნდა, არც მათი პასუხისგებაში მიცემა იყო გამორიცხული. სამშობლოს, მეფისა და სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული დავით ბაგრატიონი იქვე აფიქსირებს მუხლს, რომლის თანახმად სამხედრო სამსახურის თავისამრიდებელი და დეზერტირი სათანადრო სასჯელს მიიღებდა – ხოლო წინასწარი განზრახვით მტრის მხარეს გადასული მოღალატე სიკვდილით დაისჯებოდა. მისი ოჯახის უდანაშაულო წევრებს მხოლოდ მეფისა და სამშობლოს ერთგულებაზე განმეორებითი ფიცის დადება ევალებოდათ.

მოტანილი მასალა, მათზე გაკეთებული კომენტარები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ დავით ბაგრატიონი კარგად იცნობდა არა მარტო ქართულ, არამედ რუსულ კანონმდებლობასაც. შესწავლილი ჰქონდა აგრეთვე დასავლეთ ევროპელ

განმანათლებელთა შეხედულებები სახელმწიფო სამართლისა და ადამიანის, პიროვნების უფლების შესახებ. მის მიერ დამუშავებული ადრინდელი კანონების მიმოხილვა და ახალ კანონთა კონტურები იმის მაუწყებელია, რომ XIX ს-ის პირველ ათწლეულში ქართული სამართლებრივი აზროვნება წინ წავიდა. თუ ქართველი ხალხი თავისუფლებას მოიპოვებდა, სახელმწიფოებრიობას აღიდგენდა, დავით ბაგრატიონის შემოქმედების ეს ნაყოფი სათანადო წვლილს შეიტანდა საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების სრულყოფაში.

დავით ბაგრატიონს ქართული კანონების მიმოხილვა-დამატებაზე მუშაობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული, როცა რუსეთში შემოიჭრა ნაპოლეონის ნახევარმილიონიანი არმია. ეს მომენტი ალექსანდრე ბატონიშვილმა ხელსაყრელად მიიჩნია და როგორც აღვნიშნეთ, რუსულ ხელისუფლებას შეიარაღებული ბრძოლა გაუმართა. პეტერბურგში მყოფმა დავით ბატონიშვილმა, რუსეთისათვის ამ რთულ სიტუაციაში მშვიდობიანი მეთოდით სცადა იმპერატორ ალექსანდრე I-ის დათმობაზე წაყვანა, ქართულ სახელმწიფოებრიობის თავისებური აღორძინება.

1812 წლის ოქტომბერში, როცა ფრანგთა ჯარი უკვე მოსკოვს იყო შემოსული, დ. ბაგრატიონმა რუსეთის იმპერატორს წარუდგინა Записка-проект «О лучшем устроистве Грузии». ბარათის შესავალში დავითი აღნიშნავს, რომ საქართველოში თავდაპირველად იყო სახალხო მმართველობა. ბერძენ-მაკედონელთა აღმოსავლეთში შემოსვლა-ბატონობის დროს საქართველოს ალექსანდრე მაკედონელის მიერ დანიშნული პირი განაგებდა. როცა ეს დიდი სარდალი გარდაიცვალა, საქართველო ჩამოყალიბდა მონარქიულ სახელმწიფოდ და მას ამის შემდეგ მართავდნენ ქართველი მეფეები. მონარქიულ საქართველოს ყოველთვის ჰქონდა ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან, ზოგჯერ ექცეოდა უცხო ძალის გავლენის ქვეშ, მაგრამ ინარჩუნებდა მეფეს, სახელმწიფოებრიობას.

პროექტის ძირითად ნაწილში დ. ბაგრატიონი აღნიშანავს, რომ 1783 წელს იმპერატორმა ეკატერინემ დააკმაყოფილა ერეკლე II-ის თხოვნა და საქართველო მიიღო რუსეთის მფარველობის ქვეშ. 1799 წელს იმპერატორმა პავლემ საქართველოს მეფედ დაამტკიცა გიორგი XII, რომელმაც მოითხოვა გიორგიევსკის ტრაქტატის ზოგი მუხლის შეცვლა, თავის სამეფოს რუსეთთან უფრო მჭიდროდ დაკავშირება. მხარეები შეთანხმდნენ ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე, მაგრამ გიორგი XII-ის გარდაცვალებამ საქმე შეაფერხა. შემდეგ დავითი აღნიშნავს, რომ იმპერატორმა

უბრძანა თავის საგარეო საქმეთა მინისტრს ჩემთან (ტახტის მემკვიდრესთან) შეთანხმებით ხელშეკრულებაში შეეტანა განსაკუთრებული მუხლი საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობისა და მისი მეფის რუსეთის იმპერატორისადმი სამარადისო ერთგულების შესახებ. მე დავთანხმდი ამაზე, მაგრამ მალე იმპერატორი პავლე გარდაიცვალა და ახალი ხელშეკრულება დაუმტკიცებელი დარჩაო.

იქვე დ. ბაგრატიონი წერს, რომ საქართველოში რუსული ხელისუფლების შექმნის შემდეგ, მე როგორც კერძო პირი ისე ვცხოვრობდი ჩემს საუფლისწულოში, ვიდრე მთავარმმართველად არ დაინიშნა ბაგრატიონთა სამეფო სახლის პირადი მტერი პ. ციციანოვი. მან მონახა საბაბ-მიზეზი და თითქმის ყველა ბაგრატიონი რუსეთს გადაგვასახლა. დავითმა, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ საქართველოს მთავარმმართველი ალექსანდრე I-ის დავალებას და ბრძანებას ასრულებდა, მაგრამ დიპლომატიური მოსაზრებით ამაზე დუმილს ამჯობინებს, ყველაფერს ციციანოვს და მის მოხელეებს აბრალებს. მისმა უსამართლო ქმედებამ შეაძულა ქართველებს რუსები, ქვეყანაში გამოიწვიაო ანტირუსული მოძრაობა. დანაშაულის ტოლფას შეცდომებს უშვებდნენ მომდევნო მთავარმმართველებიც და ამიტომ აჯანყებები გრძელდებოდაო.

ამის შემდეგ დავით ბაგრატიონი ჩამოთვლის ქართველი ხალხის უკმაყოფილებისა და საქართველოს ადმინისტრაციული მოუწყობლობის მიზეზებს: 1) ციციანოვს ბატონიშვილთათვის არ უნდა ჩამოერთმია საუფლისწულოები, არ უნდა გადაესახლებინა ისინი რუსეთში. ამან იმპერიისათვის არა სასურველი გავლენა მიახდინა ქართველებზე, დაბადა მათში ანტირუსული განწყობილება; 2) თუ ანგარიშს გაუწევდნენ ადგილობრივ პირობებს და მოსახლეობის განწყობილებას, მიზანშეწონილად იქნებოდა მიჩნეული საქართველოს რუსი მმართველის მოადგილედ დაენიშნათ ერთ-ერთი ბაგრატიონი უფლისწული, გამოეცხადებინათ იგი „ნამესტნიკად"; 3) თუ საქართველოს მმართველად დაინიშნებოდა რომელიმე ბაგრატიონი, პორტა (ოსმალეთი) პრეტენზიას ველარ განაცხადებდა იმერეთსა და ახალციხეზე; 4) საჭირო არ იყო საქართველოში იმაზე მეტი რეგულარული ჯარის შემოყვანა, რომლის შენახვა-გამოკვება ადგილობრივი სურსათ-სანოვაგით შეიძლებოდა. დრაგუნთა და კაზაკთა პოლკებს შეცვლიდა ქართული ლაშქარი, რომელიც „მორიგის" წესით შეიკრიბებოდა.

დავით ბატონიშვილის პროექტი ითვალისწინებდა ქვემო ინსტანციის რუსული დაწესებულებებისა და ე. წ. საერობო პო-

ლიციის გაუქმებას, საქართველოს მაზრებსა და სოფლებში მოურავ-მამასახლისთა ინსტიტუტების აღდგენას, მათვე უნდა შეესრულებინათ მომრიგებელ-მოსამართლეთა ფუნქციები.

ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის ყოფილი მემკვიდრე, გამოდიოდა რა რუსთა და ქართველთა შორის წინააღმდეგობათა აღმოფხვრის ინტერესებიდან, რუსეთის იმპერატორს ურჩევდა: რუსეთში გადასახლებულ ბატონიშვილებს, რომლებიც მოისურვებდნენ საქართველოში ცხოვრებას, მისცემოდა ამის უფლება და დაბრუნებოდათ საუფლისწულოები; არ დაესაჯათ ანტირუსულ აჯანყებებში მონაწილე ქართველი თავადაზანურები, ციმბირს არ გადაესახლებინათ არაკეთილ განზრახვებში ეჭვმიტანილი პირები, რადგან ეს კიდევ უფრო ამწვავებდა მხარეთა ურთიერთობას. დამნაშავეებს აკმარეთ რუსეთის ახლო გუბერნიებში გადასახლება, საქართველოში ჩამორთმეული მამულების ნაცვლად რუსეთში გამოუყავით მიწები; მიზანშეწონილია კავკასიის ხაზზე გაიხსნას სამხედრო სასწავლებელი, ჩარიცხონ მასში ქართველი თავადაზნაურთა შვილები. ეს იქნებაო მათი მამების ერთგულების საწინდარი და რუსეთის არმიის კარგი კავალერისტ ოფიცრებით შევსების წყარო.

დავით ბაგრატიონმა იზრუნა აგრეთვე რუსეთისა და საქართველოს საგარეო უშიშროებაზე; წინადადება მისცა იმპერატორს განსაკუთრებული მანიფესტით გამოეცხადებინა სპარსეთის „ნამესტნიკად" ერთ-ერთი ბაგრატიონი უფლისწული ვიდრე არ გამოვლინდებოდა ირანის ტახტის კანონიერი მემკვიდრემფლობელი. ამით მოიპოვებთ ირანზე დიდ გავლენას და საქართველოს იხსნითო მისი შემოსევებისაგან. დავითის აზრით, მიზანშეწონილი იყო რუსეთს ოსმალეთის სულთნისათვის მოეთხოვა იმერეთსა და ახალციხეზე (სამცხე-საათაბაგოზე – ა. ბ.) ხელის აღება, ამ ტერიტორიებზე ქართველ უფლისწულთა უფლების აღდგენა. თუ უარით გვიპასუხეს უფლება გვექნება ევროპის სახელმწიფოებს ვაუწყოთო პორტას (თურქეთის) უსამართლობის შესახებ.

დავით ბატონიშვილის ეს ბარათი (პროექტი) ფანტაზიის ნაყოფი როდი იყო. რუსეთის მთავრობას, თუ ანგარიშს გაუწევდა ბაგრატიონთა საგვარეულოს, ქართველ თავადაზნაურობის, ხალხის სურვილს, შეეძლო იმპერიისათვის ზიანის მიუყენებლად აღედგინა საქართველოს სამეფო შეზღუდული ავტონომიის სახით. რუსულ-ქართული მმართველობით (რასაც ამჯერად დავითი სჯერდებოდა) და გამოეყენებინა იგი ირანზე თავისი გავლენის გაძლიერებისათვის. მაგრამ სავალალო ის იყო, რომ რუსე-

თის ცარიზმი, რომელიც მოწინავე ევროპის საზღვარზე ეთანხმებოდა ფინეთის ავტონომიის შემქნას, ჩამორჩენილი აზიის მეზობლად საქართველოს ნახევრად ავტონომიურ სამეფოს დატოვებასაც კი ზედმეტად თვლიდა.

მიუხედავად ამისა, ალექსანდრე I-მა მაინც ბრძანა დავითის ბარათი, საქართველოს მართვა-გამგეობის პროექტი შესწავლა-შეფასებისათვის გადაეგზათნათ საქართველოს მთავარმმართველისათვის. დავითის ბარათი გადაეცა არა რტიშჩევს, არაცალად მის წინამორბედ პაულუჩის, რომელმაც იმ დროს უკვე დატოვა მთავარმმართველის თანამდებობა და პეტერბურგში იმყოფებოდა. მან თავის დასკვნა ამ დოკუმენტზე უზენაეს მთავრობას გადასცა 1812 წლის 17 ოქტომბერს.

მარკიზ პაულუჩი თავის ამ დასკვნაში ეხება დავით ბატონიშვილის მიერ ნახსენებ გიორგი XII-ის „სათხოვარ პუნქტებს" და წერს: „მეექვსე არტიკული კიდეც რომ ითვალისწინებდეს რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოს მართვას ქართველი მეფის მიერ, ახლა მას ძალა აღარ აქვს, რადგან იგი არ ყოფილა უმაღლესად დამტკიცებული. გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ სამეფო გაუქმდა და ქართველმა ხალხმა „ზეიმით" მიიღო ახალი რუსული მმართველობა". იქვე პაულუჩი წერს, რომ უფლისწული დავითი ოცნებობს, რომ იმერეთი და ახალციხე საქართველოს ეკუთვნოდეს, იმ მოტივით, რომ ოდესღაც ეს ტერიტორიები შედიოდა ერთიან საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში. დიდი ხანია საქართველო დაიშალა და თავის სკიპტრის ქვეშ მის გაერთიანებაზე დავით ბატონიშვილი ამაოდ ოცნებობსო. პაულუჩიმ აბსურდად გამოაცხადა დავით ბაგრატიონის წინადადება ერთ-ერთი ბაგრიტიონი უფლისწულის ირანის „ნამეტსნიკად" გამოცხადების შესახებ. შეიძლება ასეთი რამ ოდესმე მოხდა, მაგრამ ახლა იგი არავის ახსოვს, უფლისწულ დავითის ასეთი პრეტენზიების შესახებ რომ გაიგოს ირანის ახლანდელმა მბრძანებელმა, წარმოუდგენია თუ არა დავითს, რა დღეში აღმოჩნდება მისი ბიძა ალექსანდრე ბატონიშვილი? იგი არა მარტო მფარველს დაკარგავს, შეიძლება სიცოცხლესაც გამოესალმოსო.

პაულუჩი ბოლოს აღიარებს, რომ საქართველოში შექმნილ მმართველობის რუსულ სისტემას კორექტივები ნამდვილად სჭირდება, მაგრამ დავითის პროექტის მიღება რუსეთსა და მის ინტერესებს ზიანის მეტს არაფერს მოუტანსო. არ შეიძლება ბაგრატიონების დაშვება რუსული მმართველობის სისტემაში. საქართველოში მათი მიბრუნება დაუშვებელია. კიდევ მეტი, ბაგრატიონთა პეტერბურგში დატოვებაც კი საშიშია. ისინი საკმაოდ

ბევრნი არიან, შეუძლიათ შექმნან თავისი პარტია და ზიანი მიაყენონ რუსეთს. ამას ცხადყოფოსო თვით დავით ბაგრატიონის პროექტი, მისი ოცნება აღადგინოს საქართველოს სამეფო, რაც არსებითად ეწინააღმდეგებაო იმპერიის ინტერესებს (28ᵃ, 128-137).

რუსეთის სახელმწიფო საბჭომ განიხილა დავით ბაგრატიონის ბარათი, პაულუჩის დასკვნა მასზე და იმ მოტივით, რომ დავითის წინადადება ეწინააღმდეგებოდა როგორც რუსეთის ისე საქართველოს ინეტერსებს, საქართველოს მართვა-გამგეობის შესწორების პროექტი უარყო. მაგრამ მის ავტორს ფარხმალი არ დაუყრია. როცა გაეცნო მონარქიულ სახელმწიფოთა ვენის კონგრესის (1815 წ.) მასალებს, დავით ბაგრატიონმა რუსეთის იმპერატორს ახალი, უფრო დამაჯერებელად დასაბუთებული ბარათი წარუდგინა, იმპერიის ფარგლებში საქართველოს ავტონომიური სამეფოს აღდგენა მოსთხოვა. მისი ძირითადი შინაარსი ასეთი იყო: საქართველო შორეული წარსულიდანვე არც თუ იშვიათად ექცეოდა მეზობელი დიდი სახელმწიფოების გავლენაში, ჰკარგავდა თავის სუვერენულ უფლებათა ნაწილს, მაგრამ მას ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან ყოველთვის ჰყავდა საკუთარი მეფე, ჰქონდა თავისი კონსტიტუცია (მართვა-გამგეობის საკუთარი სისტემა – ა. ბ.), რომელსაც მფარველები არ არღვევდნენ. VI საუკუნეში საქართველოს ტახტის მფლობელი ძველი დინასტიიდან (ფარნავაზიანები – ა. ბ.) ცოცხალი აღარავინ დარჩა. მიუხედავად ამისა, ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს საქართველოს სამეფო არ გაუუქმებია. მან მეფედ გამოგზავნა ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენელი (რომელიც ფარნავაზიანთა ნათესავი იყო – ა. ბ.), რადგან კარგად იცოდა, რომ ქართველი ხალხი არავისათვის იქნებოდა სასარგებლო „თავის წინანდელი უფლების, თავის კონსტიტუციის გარეშე". პაპა ჩემი ერეკლე II ნებაყოფლობით შემოვიდა რუსეთის მფავრელობაში. გაფორმდა ორმხრივი ხელშეკრულება – ტრაქტატი, რომლის მეექსე მუხლით რუსეთის იმპერატორი პირობას დებდა დაეცვა საქართველოს სამეფო ტახტის მიმართ ერეკლესა და მის მემკვიდრეთა ღვთიური უფლება. ამ პირობას ასრულებდა თქვენი მამა, იმპერატორი პავლე, რომელმაც ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს მეფედ გიორგი XII დაამტკიცა მე კი მის მემკვიდრედ გამომაცხადა. ეს სიგელი ახლაც მაქვს შენახული. გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ მე სავსებით კანონიერად დავიკავე საქართველოს გამგე-მმართველის თანამდებობა და თქვენი უმაღლესობისაგან ველოდი მეფედ დამტკიცების სი-

�eli. მაგრამ გენერალმა კნორინგმა მართვა-გამგეობას ჩამომაშორა. მეფობა გააუქმა და თბილისში შექმნა რუსული მმართველობა. მალე ამის შემდეგ ბაგრატიონთა სახლის წევრებს საუფლისწულოები ჩამოგვართვეს და ყველანი რუსეთს გადაგვასახლეს.

დიდო ხელმწიფევ! თქვენი სახელი ცნობილია მთელ მსოფლიოში. სამართლიანი ბრძანდებით და ზრუნავთ არა მარტო რუსეთის, არამედ გარეშე ხელმწიფეთა და მათი ხალხის კეთილდღეობისათვისაც. თქვენ აღადგინეთ და განამტკიცეთ სამეფო ტახტებზე საფრანგეთის, ესპანეთის, პორტუგალიის, ავსტრიისა და პრუსიის მეფენი. ყველა თქვენი მადლობელია. ქართველ ბაგრატიონთა დინასტია კი, რომელიც დიდი იმპერატორების მფარველობით 1266 ნელი მეფობდა, ახლა დაკნინებულია. ჩვენი გვარი, რომელმაც ნებაყოფლობით დაუქვემდებარა თავის სკიპტრა და გვირგვინი რუსეთის იმპერატორთა დიდებულ ტახტს, წმინდა უფლების საფუძველზე ელოდება თავის აღდგენას. თუ ეს ასრულდა, საქართველო მოიწმენდს ცრემლს და სხვა, ერთ დროს დამხობილ, მაგრამ უკვე აღდგენილ სამეფოებთან ერთად, იზეიმებს და მადლობის ნიშნად მუხლს მოიყრის თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის წინაშე (28ª, 160-165).

ღმერთი, სიმართლე და ლოგიკა ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრის მხარეს იყო. მაგრამ ისტორიული ფაქტების შეხსენება, მონარქიული ლეგიტიმიზმის პრინციპთა მოშველიება ყურადღების მილმა დარჩა. ალექსანდრე I, რომელიც ყოველნაირად ეხმარებოდა საფრანგეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის და ნაპოლეონ ბონაპარტეს მიერ დამხობილ მონარქებს ღვთისგან ბოძებულ მეფურ უფლებათა აღდენაში, დავით ბატონიშვილისა და საერთოდ ბაგრატიონთა გვარის თხოვნა-ვედრებისადმი ყრუ აღმოჩნდა.

რუსეთის იმპერიის მინისტრთა კომიტეტმა 1817 წლის მარტში მაინც დაიწყო დავით ბაგრატიონის თხოვნის განხილვა. რუსმა მოხელეებმა სახელმწიფო საბჭოს სხდომებზეც გაიმეორეს ოფიციალური ტენდენციური და არასწორი ვერსია იმის შესახებ, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთება მოხდა ნებაყოფლობის, გიორგი XII-ის თხოვნის თანახმად. ისიც აღნიშნეს, რომ იმპერატორმა რუსეთში გადასახლებულ ბაგრატიონებზე დაიბერტყა თავის წყალობის და სიუხვის კალთა, უფლისწულებისათვის რუსეთში ნაბოძები მამულები, ერთდროული დახმარებანი და პენსიები ორწილად სჭარბობდნენ იმ შემოსავლებს, რასაც საქართველოში იღებდნენ. ამ მოტივით მინისტრთა კომიტეტმა

1817 წლის 20 ნოემბერს დაადგინა – დავით ბაგრატიონს მის თხოვნაზე უარი ეთქვასო. რუსი დიდმოხელენი საკითხს ცალმხრივად, მატერიალური სარგებლიანობის თვალსაწირეიდან განიხილავდნენ. გაკვირვება-გაოცებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ მამულებითა და პენსია-დახმარებებით უხვად უზრუნველყოფილი ქართველი უფლისწულები კვლავ საქართველოს სამეფოს აღდგენას მოითხოვდნენ. ისინი განგებ გვერდს უვლიდნენ საკითხის მეორე, უფრო მნიშვნელოვან მხარეს, უგულვებელყოფდნენ ბაგრატიონ უფლისწულთა და საერთოდ ქართველობის პატრიოტულ განწყობილებას. არაფრად აგდებდნენ ერის ბუნებრივ მოთხოვნილებას დაეცვა თავისუფლება, აღედგინა საკუთარი სახელმწიფოებრიობა.

რუსეთის „ყოვლად მოწყალე" იმპერატორმა არ ინება საქართველოს ავტონომიური სამეფოს აღდგენა. კიდევ მეტი, - გაიცხა მის სამსახურში მყოფი გენერალ-ლეიტენანტი დავით ბაგრატიონი გადამეტებული პრეტენზიებისა და უნიადაგო ოცნების გამო. მიუხედავად ამისა, ერთი წლის შემდეგ დავით ბატონიშვილმა კვლავ შეახსენა რუსეთის მთავრობას თავისი თხოვნის შესახებ. დიდმპყრობელური რუსული შოვინიზმის ბურჯმა არაკჩეევმა, ალბათ იმპერატორის დავალებით, გამოუცხადა საქართველოს სამეფო-ტახტის კანონიერ მემკვიდრეს, რომ თუ იგი თავს არ დაანებებდა უსაფუძვლო ბარათების შეთხზვას და იმპერატორისათვის წარდგენას, გამოიცემოდა ბრძანება მისი სამსახურიდან გადაყენების და პეტერბურგიდან გასახლების შესახებ (28ᵃ, 126).

დავით ბაგრატიონმა, ბუნებრივია, მწვავედ განიცადა ნარუმატებლობა, იმედების დამსხვრევა. არაკჩეევის მკაცრი გაფრთხილებიდან ერთი წლის შემდეგ იგი გარდაიცვალა. მაგრამ ამ ქვეყნად დარჩენილი ბაგრატიონები ბრძოლას განაგრძობდნენ. იმავე 1819 წელს დასავლეთ საქართველოში დაიწყო კიდევ ერთი ანტირუსული აჯანყება, რომლის მიზანი იყო ქართველი ხალხის განთავისუფლება, ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, რაც დავით ბატონიშვილისა და სხვა უფლისწულების საოცნებო საგანს შეადგენდა.

***

დასავლეთ საქართველოს სამთავროების შეზღუდული ავტონომიური სტატუსით მიერთებისა და იმერეთის სამეფოს ომით დაპყრობის შემდეგ რუსეთის მთავრობამ გამოსცა კანონი საეკლესიო მმართველობის შესახებ, რომელიც სპობდა საქართ-

ველის უძველეს ეკლესიის ავტოკეფალიას. კათალიკოსი ანტონ II (ბაგრატიონი) გადააყენეს და რუსეთს გადაასახლეს. ეკლესია-მონასტრების გამგებლობა, ქართველი სამღვდელოების „ხელმ-ძღვანელობა" რუსეთის სინოდმა თავის მოხელე ეგზარქოსს დაავალა. თავდაპირველად ამ თაანმდებობაზე დაინიშნა ვარლამ ერისთავი. სასულიერო რეფორმის გატარება იმით დაიწყო, რომ ქართლ-კახეთის ეკლესია-მონასტერთა მამულები რუსეთის ხაზინის გამგებლობაში მოაქციეს. ქართველ სამღვდელოებას მოუსპეს საკუთარი ეკონომიკური ბაზა. 1815 წელს ჩამოყალიბდა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა. მთავარმმართველის დავალების თანახმად, ეგზარქოსმა ვარლამმა დასავლეთ საქართველოშიც დაიწყო საეკლესიო რეფორმის გატარება. მან იმერეთისა და გურია-სამეგრელოს მღვდელმთავრებს მოსთხოვა ცნობები საეკლესიო ყმა-მამულის რაოდენობისა და შემოსავლების შესახებ. ეპისკოპოს-მიტროპოლიტებმა ეჭვით შეხედეს ამ ღონისძიებას და ყოველნაირად აგვიანებდნენ მასალების წარდგენას საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში.

რუსულმა ხელისუფლებამ პასიურობისათვის ვარლამი გადააყენა და ეგზარქოსად დანიშნა პირწავარდნილი რუსიფიკატორი თეოფილაქტე რუსანოვი. იგი დაუყოვნებლივ შეუდგა ქართულ-ქრისტიანული საეკლესიო წყობის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნას. იმავდროულად მან განიზრახა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო მამულების რუსეთის ხაზინის გამგებლობაში გადაცემა, რამაც საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია. სამღვდელოებისათვის ისიც ცნობილი გახდა, რომ ახალი ეგზარქოსი აპირებდა ეპარქიების შემცირებას, ეკლესია-მონასტრების საგრძნობი ნაწილის დახურვას, საეკლესიო მამულებისა და ყმა-გლეხების უძრავ-მოძრავი ქონების აღწერას. წინააღმდეგობა საყოველთაო იყო, ეგზარქოსის მოხელეები სოფლებშიც კი არ შეუშვეს.

დასავლეთ საქართველოს სამღვდელოების, თავადაზნაურობისა და გლეხობის ანტირუსულ მოძრაობას გამაერთიანებელი, ერთი მიზნისკენ წარმმართველი ბირთვი ჩაუდგა სათავეში. მან მიზნად გაიხადა ამ სამართლიანი მოძრაობის არეალის გაფართოება. 1819 წლის ივლისში იმერეთის წოდებათა წარმომადგენლებმა რაჭის მოსახლეობას გაუგზავნეს ასეთი წერილი-მოწოდება: ეგზარქოს თეოფილაქტესა და მის მოხელეებს განზრახვა აქვთ ჩვენი ბევრი წმინდა ეკლესია დაანგრიონ, წმინდანთა ნაწილები და სახელგანთქმული ჯვრები ჩამოგვართვან. ჩვენთვის მლოცველ ეპისკოპოსებსა და მღვდლებს გვართმეევენ, საშუალე-

ბას გვისპობენ ვადიდოთ ქრისტე. თუ ხელუხლებლად რჩება სომეხთა, კათოლიკეთა, ებრაელთა რწმენა და ეკლესია, ჩვენ რატომ უნდა ვიყოთ გამონაკლისი მათგან? აგარიანთა ბატონობის დროს არ მოუყენებიათ ჩვენთვის ასეთი შეურაცხყოფა. ახლა განა რა დავაშავეთ, რომ ეკლესიებს გვიხურავენ. თუ ჩვენს ქრისტიანულ წესებს არ დაგვირღვევენ ერთგულნი ვიქნებით იმპერატორისა. მაგრამ ხელმწიფისათვის სულის შეწირვა არ შეგვიძლია, ის მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის. ამიტომ ჩვენ ერთად შეკრებილი მღვდელმთავრები, თავადები, აზნაურები და გლეხები ცრემლით შევთხოვთ უფროსებს, ეგზარქოს თეოფილაქტეს მიერ ჩვენდა სამწუხაროდ მოფიქრებული საქმე უარყონ. თუ ამ თხოვნას არ შეგვისრულებენ სჯობს ამოგვწყიტონ. ბოლოს იმერლები მოუწოდებდნენ რაჭველებს: მოიქეცით თქვენი ქებული პატიოსნების შესაფერისად. ნუ მისცემთ პასუხებს გამოგზავნილ აღმწერლებს. გაისტუმრეთ უკან გაწბილებული, როგორც ჩვენ გავისტუმრეთ, ნუ მიუშვებთ თეოფილაქტეს მოხელეებს ნურც მღვდლებამდე და ნურც ხალხამდე. საჭიროა ამ წმინდა საქმეში ერთად ვიმოქმედოთო (51, 391).

რაჭველები თავიდანვე შეიმართნენ საბრძოლაველად. რა თქმა უნდა ამ მოწოდებასაც გამოეხმაურნენ. შეიკრიბნენ ეკლესიებში, ფიცი დასდეს ერთსულოვან მოქმედებაზე. მღელვარება გურია-სამეგრელოსაც მოედო. იმერეთის მმართველი შეშფოთდა და ზემდგომ ინსტანციას აუწყა: „აჯანყება საყოველთაოა. ჩვენს მხარეს არავინ დარჩა. გურულები და მეგრელები მზად არიან იმერლებთან ერთად იმოქმედონ. აფხაზებიც (ქრისტიანები) ამ გზას დაადგებიან. მთავრების ერთგულებაც საეჭვოა. მათ საიმისო ძალა არ გააჩნიათ რომ წინ აღუდგნენ საერთო მოძრაობას (51, 536-537).

ამ დროს მთავარმმართველი ერმოლოვი თბილისში არ იმყოფებოდა. მისმა დროებით შემცვლელმა ველიამინოვმა საყვედურებით აავსო იმერეთის მმართველი – საქმე რატომ მიიყვანე აჯანყებამდეო. მან (ველიამინოვმა) თითქოს გამოასწორა დაშვებული შეცდომები; ბრძანება გასცა საეკლესიო მამულების აღწერის შეწყვეტის შესახებ. აჯანყების უშუალო მიზეზი თეოფილაქტე რუსანოვი იმერეთთან გაიწვია. ხალხის დამშვიდება პროკლამაციითაც სცადა. მაგრამ ბევრი არაფერი გამოუვიდა. მოსახლეობას ეჭვი ეპარებოდა რუსული ხელისუფლების კეთილგანზრახულობაში. მართალია მოძრაობის მეთაურებმა გლეხთა ნაწილი შეიარაღებული რაზმებიდან გაუშვეს სასოფლო სამეურნეო სამუშაოთა ჩასატარებლად. მაგრამ კვლავ გრძელდებოდა ხალხის

დაფიცება; თავადი, აზნაური, მღვდელი და გლეხი პირობას დებდა, რომ აუცილებლობის შემთხვევაში ერთსულოვნად შეიმართებოდა საომრად, წმინდა საქმისათვის თავს დადებდა.

1819-1820 წლების მიჯნაზე ხალხის უკმაყოფილება-მღელვარება შეიარაღებულ ბრძოლაში გადაიზარდა. აჯანყებულმა რაჯველებმა მათ კუთხეში მდგარი რუსული ჯარის ნაწილი დაამარცხეს, ბლოკადაში მოაქციეს, არსებითად დაეუფლნენ ხელისუფლებას. რაჭის ოკრუგის უფროსმა მაიორმა ცაცკამ გენერალ ერმოლოვის ბრძანება ვერ შეასრულა. ვერ შესძლო ბლოკადის გარღვევა, თავისი რაზმის ქუთაისს ჩაყვანა, იმერეთის შეშინებული მმართველი კურნატოვსკი ერმოლოვს ატყობინებდა, რომ აჯანყების მეთაურთა გეგმაში შედის ერთდროულად შეუტიონ ჩვენს ჯარებს და გაანადგურონო (51, 557).

ქართული ეკლესიის შევიწროვების გამო დაწყებული საერთო სახალხო მოძრაობის მიზანი გაფართოვდა. აჯანყების მეთაურებმა წინ წამოსწიეს ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პრობლემა, დაიწყეს მსჯელობა ეროვნულ მონარქიაზე, მიზნად დაისახეს მეფის შერჩევა. სულაც არ მიაჩნდათ აუცილებლად იმერელი ბაგრატიონის გამეფება. ღირსეულ კანდიდატს ქართლ-კახეთის ბაგრატიონთა შტოშიც ეძებდნენ. ერთიანი ქართული მონარქიული სახელმწიფოს შექმნაზე ოცნებობდნენ. მცირე ნაწილი მხარს უჭერდა აჯანყებულთა რიგებში მდგარ ივანე აბაშიძეს, რომელიც სოლომონ პირველის ასულ დარეჯანისაგან იყო ნაშობი. უმრავლესობა კი მოითხოვდა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ შეუპოვარი მეომრის, უკვე ლეგენდად ქცეულ ალექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონის გამეფებას.

აჯანყებულთა ბანაკში მეფის საკითხზე ბჭობა გაიმართა. ბოლოს აირჩიეს რწმუნებულები (დელეგაცია) და ირანში გაგზავნეს ალექსანდრე ბატონიშვილთან მოსალაპარაკებლად. შეხვედრა შედგა. ბრძოლით გადაღლილმა უფლისწულმა ერთხანს თითქოს თავი შეიკავა. რწმუნებულთა სიტყვას ბოლომდე არ ენდო. დადებითი პასუხის წინაპირობად იმერეთის მთელი თავადაზნაურობისა და სამღვდელოების ფიცი მოითხოვა. ალექსანდრე ერეკლეს ძის ასეთმა პოზიციამ დიდად გააკვირვა საქართველოს მთავარმმართველი ერმოლოვი. მაგრამ რუსეთის ცარიზმის ამ სატრაპმა ისიც გაიგო, რომ ალექსანდრე ბატონიშვილმა მალე ნდობა გამოუცხადა ეროვნული მოძრაობის ამ ახალი კერის მეთაურებს და თვითონვე სცადა მჭიდრო კავშირის დამყარება იმერელ და გურულ თავადებთან. ამ ამბებთან დაკავშირებით გენერალი ველიამინოვი ლადინსკის აუწყებდა: დადის ხმები, რომ ალექსანდ-

რე ბატონიშვილი თუ ჯერ არ წამოსულა, მალე გამოემგზავრება იმერეთსა და გურია-სამეგრელოსკენ. ისიც ცნობილი გახდა, რომ ალექსანდრე ერეკლეს ძემ წერილი გამოუგზავნა მამია გურიელს, სთხოვა მხარდაჭერა. გურიის მთავარმა კი, რათა რუსეთის იმპერატორისათვის ერთგულება დაემტკიცებინა, ეს წერილი თავის დესპანის ხელით ერმოლოვს გადასცა (51, 590, 675).

ალექსანდრე ერეკლეს ძე, როგორც ჩანს, ირანიდანვე შეეცადა გაეფართოვებინა ანტირუსული მოძრაობის არეალი, მასში ჩაება მთელი საქართველო, რუსეთისაგან გაერთგულებული დადიანი და გურიელიც. ეს კი დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული და ამიტომ ალექსანდრეს იმერეთისკენ წამოსვლა დაუგვიანდა. ასეთ პირობებში იმერეთის გავლენიანმა თავადებმა მეფედ (ალაბათ დროებით) გამოაცხადეს სოლომონ პირველის შვილიშვილი ივანე აბაშიძე.

ნ. მახარაძის აზრით, ივანე აბაშიძე თავიდანვე (თურმე) იმ მიზნით მიემხრო აჯანყებას, რომ შიგნიდან გამოეთხარა მისთვის ძირი. ამით გაეწია დახმარება რუსეთის ცარიზმისათვის, მოეპოვებინა ნდობა და მიეღო ჩინ-მედლები, რაზედაც ოცნებობდა. ამას თითქოს ადასტურებდა მაიორ ტიტოვის მიერ გენერალ ველიამინოვისადმი 1820 წლის 18 თებერვალს გაგზავნილი წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო: 17 თებერვალს სოფ. ვახანში შევხვდი თავად ივ. აბაშიძეს. მან დაიფიცა და მითხრა, რომ ბოროტგანმზრახველები – გურიის თავადები დავით და ქაიხოსრო გურიელები, ლევან დადიანი და მისი ძმა გრიგოლი, იმერელი თავადი ნიკოლოზ ფინეზიშვილი, აზნაურები – გრიგოლ ჩხეიძე, ქაიხოსრო აბულაძე ამზადებდნენ აჯანყებას. მე, მართალია, გარეული ვიყავი შეთქმულთა წრეში, მგარამ აზრად არასოდეს მომსვლიაო რუსეთის ღალატი. როცა მე ივანე აბაშიძეს ვურჩიე ახსნაგანმარტება მიეცა იმერეთის მმართველ კურნატოვსკისთვის, განმიცხადა, რომ სიამოვნებით გააკეთებდა ამას. მაგრამ მეშინია ეგზარქოს თეოფილაქტესი, რომელი მზადაა ყოველგვარი უბედურება შემამთხვიოსო. არაა ძნელი ივანე აბაშიძე გამოიძახოთ ქუთაისში და ყველაფერი ათქმევინოთო (24, 84-86).

ჩნდება კითხვა – რამდენად სანდოა მაიორ ტიტოვის ინფორმაცია. იგი სინამდვილეს ასახავს, თუ პროვოკაციული მიზნით, აჯანყების ერთ-ერთი ლიდერის სახელის გასატეხადაა შეთხზული. ნ. მახარაძე კი რატომღაც სრულ ნდობას უცხადებს ამ წერილს და კომუნისტური იდეოლოგიიდან გამომდინარე, ლაფში სვრის იმერეთის თავადაზნაურობა საერთოდ და კერძოდ მის ერთ-ერთ ლიდერს, რომელიც ხალხმა თავის მეთაურად და

მეფედ აირჩია. სხვა დოკუმენტებიდან ჩანს, რომ რუსული ხელისუფლება სრულ უნდობლობას უცხადებდა ივ. აბაშიძეს და ძირითადად იმიტომ, რომ მის ძარღვებში ბაგრატიონთა სისხლი სჩქეფდა. ერთ დროს მის რუსეთში გადასახლებას აპირებდა. რუსულ ხელისუფლებას მიაჩნდა, რომ 1819-1820 წლების ანტირუსული მოძრაობა თავის მიზანდასახულობით 1810 წლის აჯანყების მსგავსი და ანალოგი იყო. 1820 წელსაც აჯანყების ძირითადი მიზანი გახდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, რაც ჯერ კიდევ ვერ გაიაზრებოდა ბაგრატიონთა სამეფო გვარის გარეშე. ამიტომ ბაგრატიონი ქალბატონის ძის იმერეთში ყოფნა რუსულ ხელისუფლებას სახიფათოდ მიაჩნდა. 1820 წლის თებერვლის ბოლოს გენ. ველიამინოვმა ბრძანება გასცა ივ. აბაშიძის დაპატიმრების შესახებ. მაგრამ მეფობის პრეტენდენტმა მოასწრო გაქცევა, გურიას შეეხიზნა. ნ. მახარაძე გვარწმუნებს, რომ ივ. აბაშიძეს არც ამის შემდეგ შეუწყვეტია მცდელობა დაემტკიცებინა რუსული ხელისუფლებისათვის ერთგულება. რუსი მოხელეები კი მისგან მოითხოვდნენ მორჩილებას, რუსეთს გადასახლებას. იქ ჰპირდებოდნენ მატერიალურ კეთილდღეობას და ჯილდოებს. ივ. აბაშიძემ ამაზე უარი თქვა, ბოლომდე დარჩა აჯანყებულთა რიგებში. ნ. მახარაძის აზრით, იმ მიზნით, რომ ან ბრძოლით მოეპოვებინა სამეფო ტახტი (რისთვისაც კიცხავს მას ეს საბჭოელი ისტორიკოსი) ან რუსეთთან დაედო ხელდსაყრელი გარიგება (24. 87).

ივანე აბაშიძის მაკომპრომიტირებელი მასალა რაკი არ არსებობს, ჩვენ ვერ ვეთანხმებით ნ. მახარაძის თვალსაზრისს. მიგვაჩნია, რომ ივ. აბაშიძე პატრიოტი ქართველი იყო. ბოლომდე ასრულებდა აჯანყების ერთ-ერთი მეთაურის მოვალეობას. როგორც ჩანს ბაგრატიონი უფლისწულების მსგავსად, რუსეთის მთავრობასთან შერიგება მასაც შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ კომპრომისის საფუძველზე, თუ აღიარებული იქნებოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიური სამეფოს არსებობა.

დასავლეთ საქართველოს პატრიოტები და მათ შორის ივანე აბაშიძეც ვარაუდობდნენ, რომ თუ ანტირუსულ აჯანყებას სათავეში ჩაუდგებოდა ალექსანდრე ბატონიშვილი, მოძრაობის არეალი გაფართოვდებოდა. წარმატების მეტი საფუძველი შეიქმნებოდა. სამეგრელოსა და გურიის მთავრები, რუსეთის წინააღმდეგ აშკარად გამოსვლას, მართალია ვერ ბედავდნენ, მაგრამ არც მათ და არც ხალხის უდიდეს ნაწილს არ აკმაყოფილებდა იმპერატორისაგან დროებით ნაბოძები მესტისმეტად შეზღუდული

ავტონომია და მიზანშეწონილად თვლიდა ბრძოლას ფართო ავტონომიისა და სრული დამოუკიდებლობისათვისაც კი. ერთი რუსული დოკუმენტიდან ჩანს, რომ რუსულ ხელისუფლებას დაზვერვითი საქმიანობა ჩაუტარებია საქართველოსა და ახალციხის საფაშოში. დაუდგენია, რომ ანტირუსული ძალები 1820 წლის გაზაფხულს აპირებდნენ საერთო აჯანყების დაწყებას. გურიელმა, დადიანმა და იმერელმა თავადებმა ერთობლივი წერილი გაუგზავნეს თურქეთის სულთანს და ალექსანდრე ბატონიშვილს. კონფიდენტებს ისიც შეუმჩნევიათ, რომ იმერლები გამალებით ემზადებოდნენ ომისათვის. იმარაგებდნენ იარაღსა და ტყვია-წამალს. ქუთათელმა მიტროპოლიტმა სულ დააცარიელა არსენალი, დაარიგა თოფები, დამბაჩები, ხმლები. მათ დაუდგენიათ, რომ იმერლები მოუთმენლად ელოდებიან სიგნალს და როგორც კი რუსული ხელისუფლება საბაბს მისცემთ, ომს დაიწყებენო (51, 566-567). ასეთი ინფორმაციის მიღების შემდეგ მთავარმმართველმა ერმოლოვმა და მისმა ხელქვეითებმა დასწრება ამჯობინეს, გადაწყვიტეს აჯანყების მეთაურთა დაპატიმრება. ველიამინოვმა იმერეთის მმართველ პუზირევსკის დაავალა გამოეყენებინა ხელსაყრელი მომენტი და კაზაკთა რაზმების შემწეობით ერთდროულად შეეპყრო: სოლომონ პირველის ასული და ივანე აბაშიძის დედა დარეჯანი, მიტროპოლიტი ქუთათელი, მიტროპოლიტი გენეთელი, არქიმანდრიტი გრიგოლი, მლვდელი გუგსაძე, ბეჟან წერეთელი, ივანე აბაშიძე, პოლკოვნიკი სეხნია წულუკიძე, დავით მიქელაძე, გრიგოლ ჩხეიძე. დაპატიმრებულნი უნდა გაესახლებინათ რუსეთში.

ამ ლონისძიების გატარების წინ, 1820 წლის 23 თებერთალს იმერეთში გამოქვეყნდა ერმოლოვის პროკლამაცია, რომელშიც ნათქვამი იყო: იმერეთის ეკლესია მოუწყობელია. ქუთათელი და გენათელი მიტროპოლიტები კი მხოლოდ პირადი ინტერესებისათვის იღწვიან. მდგომრაოების გამოსწორებისათვის საჭიროა მიტროპოლიტების გადაყენება, მათი რუსეთს გაგზავნა. მე თავად მინდოდა ჩამოსვლა იმერეთის საქმეთა მოსაგვარებლად, მაგრამ ვერ მოავახერხე. ჩემს დავალებას შეასრულებს ველაიმინოვი. გასული წლის მეამბოხენი არ დაისჯებიან. მაგრამ თუ ახლა ჩვენი გეგმების შესრულებას ვინმე წინ აღუდგა, მათ დასასჯელად გამოყენებული იქნებაო ყოველგვარი საშუალება.

1820 წლის მარტის დამდეგს იმერეთის მიტროპოლიტები დააპატიმრეს, ქართლში გადაიყვანეს, რამაც საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია. ადრე დაწყებული შეიარაღებული ბრძოლა უფრო ფართო მასშტაბით გაგრძელდა. კვლავ აქტიურობდ-

ნენ რაჭველები. ამასთან დაკავშირებით პუზარევსკი ველიამინოვს აცნობებდა: რაჭაში საიშვილოსა და საწულიკიძეოს თემებში კარგა ხანია მიმდინარეობს ჯანყი. ცხადი გახდა, რომ უკვე გადასახლებულ მიტროპოლიტებს გარდა, აჯანყებას სხვა წამქეზებლებიც ჰყავდა. დასახელებულ თემებს არაერთხელ გაუწევია წინააღმდეგობა მთავრობის ღონისძიებათა გატარებისათვის. ახლა საჭიროა მის მცხოვრებთა სამაგალითო დაჭჯა. იმერეთსა და გურიაში თითქოს სიწყნარეა, მაგრამ აუცილებელიაო ქაიხსორო გურიელისა და მისი რაზმის განადგურება (51, 578, 583-588).

ვიდრე პუზირევსკი დამსჯელ ექსპედიციას გაგზავნიდა, შეიარაღებული ბრძოლის ცეცხლი თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს მოედო. რაჭველებმა მეფედ გამოაცხადეს ვახტანგ ბაგრატიონი და ქუთაისისაკენ აიღეს გეზი. ქაიხოსრო გურიელის რაზმმა შემოქმედთან დაამარცხა რუსთა ასეული, ბრძოლაში დაიღუპა თვით იმერეთის მმართველი პოლკოვნიკი პუზირევსკი. გურია-სამეგრელოს მთავრები თითქოს რუსეთის იმპერატორის ღალატს არ აპირებდნენ, მაგრამ ამ კუთხეთა მოსახლეობის დიდი ნაწილი აჯანყებაში ჩაება. დროებითი მეფე ივანე აბაშიძე ხშირად იცვლიდა ადგილს; თავის რაზმით ის იმერეთიდან რაჭაში ჩავიდა, იქიდან ლეჩხუმს გადავიდა. ბოლოს კი ქაიხოსრო გურიელის რაზმს შეუერთდა. მთავარმმართველმა ერმოლოვმა ერთხელ კიდევ მოსინჯა პროკლამაციის ძალა; გაფრთხილება მისცა აჯანყებულებს – თუ არ დაიშლებით, შეიარაღებულ ბრძოლაზე ხელს არ აიღებთ იძულებული ვიქნები თქვენს გასანადგურებლად ფართო მასშტაბიანი ომი დავიწყოო. ისიც აუწყა მოსახლეობას, რომ ქაიხოსრო გურიელი, ივანე აბაშიძე და ნიკოლოზ ფინეზიშვილი გამოცხადებული არიან სახელმწიფოს მოღალატეებად, ვინც მათ დაეხმარება აგრეთვე მოღალატედ ჩაითვლება და მკაცრად დაისჯებაო (51, 586-591).

ამ ბოლო გაფრთხილებასაც არ მოჰყოლია რუსული ხელისუფლებისათვის სასურველი შედეგი. აჯანყება გაგრძელდა. მთავარსადლად და მეფედ მიწვეული ალექსანდრე ბატონიშვილი სხვადასხვა მიზეზის გამო ბრძოლის ველზე ვერ გამოცხადდა, აჯანყებულთა რაზმების კონცენტრაცია ვერ მოხერხდა. ერმოლოვის მიერ გაგზავნილმა მრავალათასიანმა ჯარმა ცალ-ცალკე გაანადგურა აჯანყების კერები იმერეთში, რაჭაში, გურიაში. რუსმა ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა დაანგრიეს სოფლები, აჩეხეს ბაღ-ვენახები, გაჟლიტეს ხალხი. მარტო რაჭაში ჩაიგდეს ტყვედ 70 კაცი, რომელთაგანაც 10 ადგილზე ჩამოახრჩვეს. გენერალი ერმოლოვი და მისი ხელქვეითი ოფიცრები თავს იქებდნენ

ნენ რაჭველები. ამასთან დაკავშირებით პუზარევსკი ველიამინოვს აცნობებდა: რაჭაში საიშვილოსა და საწულიკიძეოს თემებში კარგა ხანია მიმდინარეობს ჯანყი. ცხადი გახდა, რომ უკვე გადასახლებულ მიტროპოლიტებს გარდა, აჯანყებას სხვა წამქეზებლებიც ჰყავდა. დასახელებულ თემებს არაერთხელ გაუწევია წინააღმდეგობა მთავრობის ღონისძიებათა გატარებისათვის. ახლა საჭიროა მის მცხოვრებთა სამაგალითო დაჭჯა. იმერეთსა და გურიაში თითქოს სიწყნარეა, მაგრამ აუცილებელიაო ქაიხსორო გურიელისა და მისი რაზმის განადგურება (51, 578, 583-588).

ვიდრე პუზირევსკი დამსჯელ ექსპედიციას გაგზავნიდა, შეიარაღებული ბრძოლის ცეცხლი თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს მოედო. რაჭველებმა მეფედ გამოაცხადეს ვახტანგ ბაგრატიონი და ქუთაისისაკენ აიღეს გეზი. ქაიხოსრო გურიელის რაზმმა შემოქმედთან დაამარცხა რუსთა ასეული, ბრძოლაში დაიღუპა თვით იმერეთის მმართველი პოლკოვნიკი პუზირევსკი. გურია-სამეგრელოს მთავრები თითქოს რუსეთის იმპერატორის ღალატს არ აპირებდნენ, მაგრამ ამ კუთხეთა მოსახლეობის დიდი ნაწილი აჯანყებაში ჩაება. დროებითი მეფე ივანე აბაშიძე ხშირად იცვლიდა ადგილს; თავის რაზმით ის იმერეთიდან რაჭაში ჩავიდა, იქიდან ლეჩხუმს გადავიდა. ბოლოს კი ქაიხოსრო გურიელის რაზმს შეუერთდა. მთავარმმართველმა ერმოლოვმა ერთხელ კიდევ მოსინჯა პროკლამაციის ძალა; გაფრთხილება მისცა აჯანყებულებს – თუ არ დაიშლებით, შეიარაღებულ ბრძოლაზე ხელს არ აიღებთ იძულებული ვიქნები თქვენს გასანადგურებლად ფართო მასშტაბიანი ომი დავიწყოო. ისიც აუწყა მოსახლეობას, რომ ქაიხოსრო გურიელი, ივანე აბაშიძე და ნიკოლოზ ფინეზიშვილი გამოცხადებული არიან სახელმწიფოს მოღალატეებად, ვინც მათ დაეხმარება აგრეთვე მოღალატედ ჩაითვლება და მკაცრად დაისჯებაო (51, 586-591).

ამ ბოლო გაფრთხილებასაც არ მოჰყოლია რუსული ხელისუფლებისათვის სასურველი შედეგი. აჯანყება გაგრძელდა. მთავარსადლად და მეფედ მინვეული ალექსანდრე ბატონიშვილი სხვადასხვა მიზეზის გამო ბრძოლის ველზე ვერ გამოცხადდა, აჯანყებულთა რაზმების კონცენტრაცია ვერ მოხერხდა. ერმოლოვის მიერ გაგზავნილმა მრავალათასიანმა ჯარმა ცალ-ცალკე გაანადგურა აჯანყების კერები იმერეთში, რაჭაში, გურიაში. რუსმა ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა დაანგრიეს სოფლები, აჩეხეს ბაღ-ვენახები, გაულიტეს ხალხი. მარტო რაჭაში ჩაიგდეს ტყვედ 70 კაცი, რომელთაგანაც 10 ადგილზე ჩამოახრჩვეს. გენერალი ერმოლოვი და მისი ხელქვეითი ოფიცრები თავს იქებდნენ

სუფლებისათვის ბრძოლაზე. როცა საუბარი საქართველოს არცთუ სახარბიელო აწმყოს ეხებოდა, დიმიტრი იულონის ძე აკრიტიკებდა თანამემამულეებს, აცხადებდა, რომ ქართველებს აკლიათ განათლება, დაკარგეს პატრიოტული გრძნობა, ურიგდებიან მონობას, არ იბრძვიანო ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. ასეთ შეფასებას მსმენელები არ ეთანხმებოდნენ, თავმოყვრეობა შელახული ახალგაზრდები ემოციურად ავლენდნენ სამშობლოს სიყვარულს. თავისუფლებისათვის ბრძოლის სულისკვეთებას. დიმიტრი ბაგრატიონი იყენებდა ასეთ მომენტებს და აშკარად ლაპარაკობდა საქართველოს მძიმე აწმყოზე, უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის საჭიროებაზე. თავისუფლების იდეის პროპაგანდისტი და მის კვალზე მსმენელებიც იმ დასკვნამდე მიდიოდნენ, რომ საჭირო იყო შექმნა ფარული საზოგადოებისა, რომელიც ნიადაგს მოამზადებდა ანტირუსული აჯანყებისა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. სათანადო მასალის გაცნობის შემდეგ რუსი მოხელეები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დიმიტრი ბატონიშვილმა ჩაუნერგა ქართველ ახალგაზრდებს თავისუფალი აზრები, სააჯანყებო განზრახვები, დაარწმუნა ისინი, რომ აუცილებელი იყო ბრძოლა რუსეთის ბატონობის დამხობისა და საქართველოს სამეფოს აღდგენისათვის (45ᵃ, 16-18).

ფარული საზოგადოების შექმნასა და საქმიანობაში ხელმძღვანელ-წარმმართველი როლი შეასრულა აგრეთვე ოქროპირ ბაგრატიონმა. იგი საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლის განახლებაზე 1826-1828 წლებშიც ფიქრობდა, მაგრამ პრაქტიკული საქმიანობა თითქმის არ ჩაუტარებია. 1829 წელს იგი მოსკოვის სამხედრო გუბერნატორის ნებართვით სამკურნალოდ გაემგზავრა კავკასიის მინერალურწყლებზე. შემოდგომას უნებართვოდ ჩავიდა საქართველოში, რათა იქ გამოეზამთრებინა და ისევ მინერალურ წყლებზე დაბრუნებულიყო. თბილისში ოქროპირმა ბევრი ღირსეული ქართველი გაიცნო, მათ შორის ალექსანდრე ორბელიანი და ელიზბარ ერისთავი, რომლებიც ს. დოდაშვილთან ერთად ხელმძღვანელ როლს არსულებდნენ იქ უკვე ჩამოყალიბებულ ფარული საზოგადოების საქმიანობაში. თბილისში კვლავ შეხვდა სოლომონ დოდაშვილსა და ფილადელფოს კიკნაძეს. იმ ბერს, რომელმაც მისი რჩევა-დავალებით ჯერ კიდევ მოსკოვში ყოფნის დროს დაიწყო ფარული საზოგადოების ნესდების („აქტი გონიერი") შედგენა. რუსმა მოხელეებმა დაადგინეს, რომ ოქროპირ ბატონიშვილს ჰქონდა „შორს განჭვრეტილი და ცბიერი ჩანაფიქრი - ჩაენერგა ქართველებისათვის სამ-

შობლოსა და ბაგრატიონების სიყვარული. ურჩევდა თანამემამულეებს არ აღრეულიყვნენ რუსებში. შეენარჩუნებინათ ქართული ზნე-ჩვეულება. ფარულ საზოგადოების ლიდერებს ავალებდა დიდი სიფრთხილე გამოეჩინათ ახალი წევრების მიღების დროს, შეერჩიათ საიმედო პირები, კარგად გაცნობის შემდეგ გაემხილათ მათთვის ფარული საზოგადოების საბოლოო მიზანი. თბილისიდან წასვლის წინ ოქროპირ ბაგრატიონმა თავის ახალ მეგობრებსა და თანამოაზრეებს უთხრა, რომ პრაქტიკულ საქმიანობას დავიწყებო სამშობლოში მეორედ ჩამოსვლის შემდეგ (63, 1-20).

ოქროპირ ბაგრატიონი 1830 წლის ივნისში დაბრუნდა კავკასიის წყლებზე სამკურნალოდ. მოგვიანებით მოსკოვს წავიდა. მისგან დამუხტულმა პატრიოტებმა კი თბილისში გააგრძელეს ანტირუსული საქმიანობა. შეთქმულნი განსაკუთრებით გააქტიურდნენ პოლონეთის ანტირუსული აჯანყების დაწყებისა და სახალხო რაზმების მიერ ვარშავის აღების შემდეგ. სოლომონ დოდაშვილმა, ელიზბარ ერისთავმა, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებმა ერთმანეთს გაუზიარეს თავისი მოსაზრებანი, ოქროპირ ბატონიშვილის შეგონების თანახმად გააგრძელეს ფარული საზოგადოების ახალი წევრებით შევსება. ყველაზე მეტად აქტიურობდა ფიცხი ელიზბარ ერისთავი, თანამებრძოლებს ეუბნებოდა პოლონელებს მივბაძოთ, ანტირუსული აჯანყება დაუყოვნებლივ დავიწყოთო. მას მხარი აუბა ალექსანდრე ორბელიანმა. მაგრამ ეს უკანასკნელი შეცდა არჩევანში და შეთქმულთა საზოგადოების მიზანი გააცნო იასე ფალავანდიშვილს. დინჯი, ჭკვიანი და დაკვირვებული სოლომონ დოდაშვილი, მართალია, საზოგადოების ახალი წევრების შერჩევაში არ მონაწილეობდა, მაგრამ აქტიურობდა თათბირებზე. მან აუწყა თანამზრახველებს, რომ აპირებდა პატრიოტული ჟღერადობის ჟურნალის გამოცემას და უკვე შეადგინა მოწოდება-პროკლამაციის ტექსტი, რომელსაც აჯანყების დაწყების დღეს გავავრცელებთო.

დიმიტრი და ოქროპირ ბაგრატიონები თავის უფროსი ნათესავების გზას აგრძელებდნენ. ისინიც იმ აზრის იყვნენ, რომ რუსეთმა ცალმხრივად დაარღვია 1783 წლის ტრაქტატი და 1800 წლის სათხოვარი პუნქტები, გააუქმა ერთ-ერთი უძველესი საქართველოს სამეფო, ტახტი,ჩამოართვა ღვთისაგან კურთხეულ ბაგრატიონთა სახლს. ამიტომ ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილებს დასაშვებად მიაჩნდათ რუსეთის საწინააღმდეგო ბრძოლაში გარეშე ძალების გამოყენება. ისინი ურჩევდნენ შეთქმულთა საზოგადოების ლიდერებს, არა მარტო ინგლის-საფრანგეთისთვის ეთხოვათ პოლიტიკური დახმარება, არამედ ფართოდ

გამოეყენებინათ ირან-ოსმალეთის ანტირუსული განწყობილებებიც.

რუსი მოხელეები კი ამ დროსაც ადრე შეთხზულ ყალბ „კონცეფციას" იმეორებდნენ. მართალია, აღიარეს, რომ გიორგი XII-ის „სათხოვარ პუნქტებში" მართლაც იყო მუხლი ბაგრატიონთა სამეფო ხელისუფლების დაცვის შესახებ, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რომ სამეფოს შენარჩუნება ეწინააღმდეგებოდა არა მარტო რუსეთის ინტერესებს, არამედ ქართველი ხალხის კეთილდღეობასაც. ამიტომ თვით ქართველთა ინტერესების შესაბამისად სამეფო ტახტი ჩამოერთვა ბაგრატიონთა საგვარეულოს და გამოცხადდაო მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ.

შეთქმულთა საზოგადოების აზრით კი ქვეყნისა და ერის ინტერესებს პასუხობდა რუსეთის მიერ საქართველოს არა უშუალოდ მიერთება, არამედ მფარველობა – საქართველოს შესვლა რუსეთის იმპერიაში ავტონომიური სამეფოს სახით. ამის დასტურია შეთქმულთა საზოგადოების წევრის დიმიტრი ერისთავის მიერ 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის მიმართ გაკეთებული შენიშვნები: მანიფესტში ნათქვამია, რომ ქართველმა ხალხმა თითქოს ნებაყოფლობით დათმო დამოუკიდებლობა და ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს. დიმიტრი ერისთავი წერს – თუ შეერთება ნებაყოფლობით მოხდა, რუსეთს გაგზავნილ სამადლობელო დეპუტაციაში რატომ შედიოდა მხოლოდ 6-8 კაცი, ხოლო რუსეთის საწინააღმდეგო აჯანყებები რატომ ატარებდა საყოველთაო ხასიათს? ალექსანდე I-ის მანიფესტი ღაღადებს, რომ შინადინასტიური ბრძოლა დაღუპვას უქადდა სამეფოს და საქართველო შევიერთეთ არა ისედაც ვეებერთელა იმპერიის საზღვართა გაფართოებისათვის, არამედ ერთმორწმუნე ხალხის გადარჩენის მიზნითო. აი კიდევ მეტი სიყალბე, აღშფოთებით წერს დ. ერისთავი; თუ ტერიტორიის შემატება არ უნდოდათ, დაემტკიცებინათ ერთ-ერთი ბაგრატიონი მეფედ და შიდა ბრძოლაც შეწყდებოდა. მაგრამ რუსეთის მიზანი საქართველოს დაპყრობა იყო (63, 117-119).

შეთქმულება-აჯანყების იდეური მომზადების პერიოდში დაიწერა სოლომონ რაზმაძის იგავარაკული ხასიათის ლექსი - „დათვი და ცხვარი", რომელშიც ალეგორიული ფორმითაა გადმოცემული რომანოვთა დინასტიისა და ბაგრატიონთა სამეფო სახლის ურთიერთდამოკიდებულების ერთი პერიოდი. ცხვარი ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი მეთორმეტეა. როცა იგი ჩვეულებრივზე მეტად შეაწუხეს მეზობელმა ტურა-მგლებმა,

დახმარება სთხოვა ძლიერ დათვს (რუსეთის იმპერატორს). დათვმა ვითომ შეიბრალა სუსტი ცხვარი, მის დასახმარებლად ნადირთა ლაშქარი გამოგზავნა. ცხვარმა გახსნა ალაყაფის კარი. დიდი სიხარულით მიიღო დათვის ჯარი. რამდენიმე ხნის შემდეგ ცხვარი (გიორგი XII) გარდაიცვალა. დათვის წარმომადგენელმა აფთარმა (რუსმა გენერალმა) დაივიწყა დათვის (იმპერატორის) „კეთილი მისია", ჯარი მიუსია ბატკნებს (ბაგრატიონ უფლისწულებს) და ყველანი ერთჭაობიან ადგილას გადაასახლა. აფთრისაგან დარბეულმა ბატკნებმა დათვს შესჩივლეს - „რათ გვართმევ საწყალთ ჩვენსა მამულსა, ეს არის შენის შენევის აღთქმა?" „როგორ მიბედავთ?! ჩუმად ეგდენით, შესძახა დათვმა გაბრაზებულმა. გამიჩენია თქვენთვის ფუთი ბზე, ... სხვა რაღა გინდათ?" ბატკნებმა მაინც გაბედეს სიმართლის თქმა: „ბატონო დათვო! ჩვენ შველა გთხოვეთ, რადგან ბრძანდებით მეფე ძლიერი". თქვენ მგლები კი განდევნეთ ჩვენი მამულიდან, მაგრამ რაც მათ გადაურჩათ თქვენ მიითვისეთ, ჩვენ კი დატყვევებულ-დამცირებული უცხო ქვეყანაში გადმოგვასახლეთო. რომანოვთა დინასტიის მიერ ბაგრატიონთა ღვთიურ-ლეგიტიმური უფლებების შელახვით, საქართველოს დაპყრობით აღშფოთებული იგავარაკის ავტორი ბოლოს წერს - „როდის იქნება განათლდნენ კაცნი ქრისტიანულად და აღასრულონ სახარების სიტყვანი სრულად".

სოლომონ რაზმაძესა და შეთქმულთა აბსოლუტურ უმრავლესობას უკვე დაკარგული ჰქონდა რუსეთის იმპერატორთა და მათ მოხელეთა სამართლიან პრინციპებზე აღზრდა-გარდასახვის იმედი. მათგან პოლიტიკის შეცვლას, დათმობას აღარ ელოდნენ და ამიტომ შეიმართნენ საბრძოლველად. მაგრამ ზოგიერთს თითქოს მიზანშეწონილად მიაჩნდა დავით ბაგრატიონისეული ტაქტიკის გაგრძელება, იმპერატორისათვის მშვიდობიანი თხოვნის გაგზავნა. ამ მხრივ საინტერესოა ალექსანდრე ორბელიანის (ერეკლე მეორის ასულის თეკლას შვილის) მიერ საგამომძიებლო კომისიისათვის მიცემული ჩვენება: შეთქმულთა საზოგადოების მიზანი საქართველოს სამეფოს აღდგენა იყო. მაგრამ მე პირადად დაუშვებლად მიმაჩნდა რუსეთის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის დაწყება. მინდოდა შეთქმულნი დამეთანხმებინა იმაზე, რომ იმპერატორისათვის გაგვეგზავნა შემდეგი შინაარსის პეტიცია: 1) ბაგრატიონები რაკი არიან ბიბლიური დავითის შთამომავალნი, ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძველი სამეფო საგვარეულო მსოფლიოში, რუსეთის იმპერატორი ინებებს, რომ ეს გვარი „მოუშლელად იდგეს თვისსა ადგილსა ზედა"; 2) საქართველო ნებაყოფლობით შევიდა რუსეთის მფარველობაში და პასუხად

ელოდება იმპერატორის მოწყალებას; 3) ძნელი არაა ვეებერთელა რუსეთისათვის, რომ საქართველოს, რომელიც თავისი ფართობით შერემეტიევის მამულს რომ არ აღემატება, მიანიჭოს შინაგანი თვითმმართველობა (ავტონომია); 4) თუ საქართველოში აღდგება ბაგრატიონთა სამეფო ხელისუფლება, ამით რუსეთის სახელმწიფო კი არ იზარალებს, არამედ მიიღებს მეტ სარგებლობას. საქართველოს მეფე ორ-სამ წელიწადში შექმნის მუდმივ ჯარს და დაეხმარება რუსეთს სპარსეთის ნახევრის დაპყრობაში. ჩვენების ბოლოს ალ. ორბელიანი აღნიშნავს, რომ მინდოდა ამ საკითხებზე შეეთანხმებოდი ალექსანდრე ჭავჭავაძეს და სხვა გამოჩენილ ქართველებს. შეთქმულთა საზოგადოების ახალგაზრდა წევრებმა კი ჩემი წინადადება უარყვესო (63, 454).

ფარული საზოგადოების წევრთაგან თითქმის არავინ ყოფილა რუსეთის მთავრობასთან მშვიდობიანი მოლაპარაკების, იმპერატორისათვის თხოვნა-ვედრების გაგზავნის მომხრე. ამ აზრს არც ოქროპირ და დიმიტრი ბაგრატიონები იზიარებდნენ, რადგან კარგად იცოდნენ, რომ რუსეთის მთავრობას საქართველოს სამეფოს აღდგენაზე ლაპარაკი დანაშაულად მიაჩნდა. თითქმის ყველა შეთქმულის აზრით, საქართველოს სამეფოს აღდგენის გზა შეიარაღებულ აჯანყებაზე გადიოდა, ფარული საზოგადოება იმისათვის შეადგინეს, რომ ანტირუსული აჯანყება მოემზადებინათ.

რუსეთის მიერ პოლონელთა 1830 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ ქართველ შეთქმულთა საბრძოლო განწყობილება ერთხანს შენელდა, მაგრამ ფარული საზოგადოების საქმიანობა გრძელდებოდა. 1831 წელს ერთ-ერთი თათბირი თამარ იოულონის ასულის ბინაში გაიმართა. შეთქმულებს მიაჩნდათ, რომ თამარ ბაგრატიონი თბილისში თავის ძმას დიმიტრის სცვლიდა, მის დავალებათა შესრულებას ცდილობდა. იგი გარკვეულ რჩევებს აძლევდა ფარული საზოგადოების ლიდერებს – ელიზბარ ერისთავს, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანს. ერთ-ერთ სხდომაზე თამარ ბატონიშვილმა განაცხადა, რომ მინდა წმინდა ადგილებში (იერუსალიმში) სალოცავად წავიდე. იმედი მაქვს ამ შორეული მოგზაურობის დროს მოვახერხებ ალექსანდრე ბატონიშვილის ნახვას, მის შეყვანას ჩვენი საქმიანობის კურსშიო. მაგრამ ივარაუდეს, რომ ეს მოგზაურობა რუსეთის მთავრობას ეჭვს აღუძრავდა და ამიტომ ხელი აიღეს მასზე. ამის შემდეგ შეთქმულებმა ალექსანდრე ორბელიანს დაავალეს ალექსანდრე ერეკლეს ძესთან კავშირის დამყარება. მანაც თავის ერთგული კაცი – მოლა ზამანა გაგზავნა ირანში, წერილი გაატანა, აუწყა ალექსანდრე

ბატონიშვილს, რომ ქართველი თავადები შეითქვნენ, ანტირუსულ აჯანყებას ამზადებენ, ან ჩამობრძანდი ან მაიდან დაგვეხმარეო (63, 30-35).

1832 წელს, სხვადასხვა თვეს პეტერბურგიდან და მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდნენ დიმიტრი ყიფიანი, კონსტანტინე მამაცაშვილი, სოლომონ რაზმაძე, დავით ერისთავი. გამომგზავრების წინ მათ კონსულტაცია და დავალება მიიღეს ოქროპირ ბატონიშვილისაგან. ისინი აქტიურად ჩაებნენ ფარული საზოგადოების საქმიანობაში. ამ დროს წარმოუდგინა შეთქმულთა საზოგადოებას ფ. კიკნაძემ „აქტი გონიურის" დასრულებული ვარიანტი, რომელიც შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ საგამომძიებლო კომისიის ხელში აღმოჩნდა, მსჯელობის საგანი გახდა. რუსი მოხელეები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ეს მისტიკური ხასიათის დოკუმენტი შედგენილი მასონთა ან რომელიმე სხვა საიდუმლო საზოგადოების დებულების საფუძველზე, არ უნდა იყოს გამოსული ფილადელფოს კინკაძის ხელიდან. მას უნდა ჰყოლოდა გაცილებით განათლებული ავტორი და არ იყო გამორიცხული, რომ იგი შეედგინა თვით ოქროპირ ბაგრატიონს. ამ წესდებას ხელი უნდა შეენყო ადამიანთა ფარული, მტკიცე კავშირის ჩამოყალიბებისათვის. რომლის წევრები ფიცით იქნებოდნენ შედუღაბებული. ისინი დაემორჩილებოდნენ საზოგადოების ხელმძღვანელ ბირთვს და გადამწყვეტ მოქმედებას მისი მითითებით დაიწყებდნენ. „აქტი გონიურის" შინაარსი ყველამ როდი გაიგო. გიორგი ერისთვი შეეკითხა კიდეც ფილადელფოს კიკნაძეს – რა მიზანი აქვსო თქვენს მიერ წარმოდგენილ წესდებას? ბერმა ფარული საზოგადოების ყველა წევრის საყურადღებოდ განაცხადა „აქტი გონიურის" ჭეშმარიტ მიზანს მაშინ გაიგებთ, როცა შეთქმულთა რიცხვი საკმაოდ გაიზრდება და გადამწყვეტი მოქმედების დრო დადგებაო.

კონკრეტული მასალებიდან ჩანს, რომ ფარული საზოგადოება ამ გადამწყვეტ მომენტს 1832 წლის მეორე ნახევარში მიუახლოვდა. შეთქმულებმა ცხარე კამათის შემდეგ დაადგინეს ანტირუსული აჯანყების დროშა აღემართათ 1832 წლის 20 ნოემბერს, როცა უნდა ჩატარებულიყო აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა წინამძღოლების (მარშლების) და საკრებულოს დეპუტატთა არჩევნები. ამ დროისათვის შერჩეული უნდა ჰყოლოდათ მეფე-სარდალი და მომავალი მთავრობის წევრები. ყველაზე აქტუალური საკითხი გახდა მჭიდრო კონტაქტების დამყარება ალექსანდრე ბაგრატიონთან, რომლის მეშვეობით უნდა უზრუნველეყოთ ძირითადად რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში

გარეშე ძალების გამოყენება.

შეთქმულთათვის ცნობილი გახდა, რომ ეგვიპტის ფაშა მუჰამედ ალი (ერთი ვერსიის მიხედვით ეს ყოფილი მამელუკი, წარმომავლობით ქართველი იყო) დაუპირისპირდა თავის ფორმალურ მბრძანებელს ოსმალეთის სულთანს, ომი დაიწყო სრული დამოუკიდებლობისა და სულთნის სამფლობელოთა მითვისებისათვის. 1832 წლის ზაფხულს ეგვიპტის ფაშამ დაიკავა პალესტინა, სირია, ანატოლიის საკმაო ნაწილი. მუჰამედ ალიმ სცადა ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაება ირანი. მან კავშირი დაამყარა აგრეთვე ჩეჩნეთ-დაღისტანის გამათავისუფლებელი, ანტირუსული მოძრაობის მეთაურ ყაზი მოლასთან. ოსმალეთის სულთანმა ამ კრიტიკულ მომენტში დასავლეთ ევროპის მხარდაჭერა ვერ მოიპოვა და ამიტომ დახმარება სთხოვა რუსეთის ხელმწიფეს. როგორც ჩანს რუსეთის მთავრობას არ აწყობდა პატივმოყვარე და ძლიერი მუჰამედ ალის გამარჯვება და შემწეობა აღუთქვა თავის ყოფილ მტერს ოსმალეთის სულთან მაჰმუდ მეორეს.

რუსეთის ასეთი პოზიციით განაწყენებულმა მუჰამედ ალიმ რუსეთის წინააღმდეგ ომის განახლებისაკენ მოუწოდა ირანის შაჰს. ელჩები გამოგზავნა აგრეთვე ჩეჩნეთ-დაღესტანში, დახმარება აღუთქვა ყაზი მოლას რუსეთის საწინააღმდეგო ბრძოლაში. გამოიკვეთა ანტირუსული კოალიციის შექმნის პერსპექტივა.

ქართველ პატრიოტთა ფარული საზოგადოება, როგორც ჩანს, ამ მოვლენების შესახებ გარკვეულ ინფორმაციას ღებულობდა და ბუნებრივია, ცდილობდა მის გამოყენებას თავის მიზნების განხორციელებისათვის. შეთქმულთათვის ცნობილი იყო, რომ ანტირუსული სამკუთხედის ცენტრში აღმოჩნდა ალექსანდრე ბატონიშვილი. ეგვიპტის ფაშის დესპანები მასთანაც გამოცხადდნენ, კვლავ შემართეს იგი რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. ალექსანდრე ერეკლეს ძემ თავის მხრივ ჩეჩნეთ-დაღესტანში გაგზავნა ბალა მაშედა და გარსევან ჩოკაევი, ანტირუსული სულისკვეთებით გაჯერებული წერილები გაატანა მათ ყაზი მოლასა და სხვა მამასახლისებისათვის გადასაცემად. ბალა მაშადამ, დაღესტნიდან თბილისის გავლით ირანში რომ ბრუნდებოდა, შეთქმულთა საზოგადოების რომელიღაც წევრს მიაწოდა სათანადო ინფორმაცია. ალექსანდრე ორბელიანმა ამ კაცის ხელით ალექსანდრე ბაგრატიონს გაუგზავნა წერილი, უფლისწულს სთხოვა თავრიზში გაეგზავნა თავისი პირადი მოძღვარი ინგლისის მისიასთან და ფარული საზოგადოების წევრ სოლომონ რაზმაძესთან დასაკავშირებლად. იქ უნდა გამართულიყო სჯა-

ბაასი ქართველთა ანტირუსული აჯანყებისათვის გასაწევი დახმარების ფორმათა შესახებ (63, 37-40).

გაჩნდა იმედი, რომ ქართველ შეთქმულთა საზოგადოება თავის დიდი მიზნის განსახორციელებლად ალექსანდრე ბატონიშვილის მეშვეობით გამოიყენებდა ირანის შაჰის და ეგვიპტის ფაშის მუჰამედ ალის დახმარებას. რუსეთის წინააღმდეგ უკვე ამხედრებული ჩეჩნეთ-დაღისტანი კი ქართველთა ბუნებრივ მოკავშირედ გაიაზრებოდა. ქართველი პატრიოტები გარკვეულ იმედს ამყარებდნენ დასავლეთ ევროპაზეც.

რაკი ანტირუსული აჯანყების გამარჯვებით დაგვირგვინების პერსპექტივა იზრდებოდა, ფარული საზოგადოების სხდომებზე განიხილებოდა თავისუფალი საქართველოს მართვა-გამგეობის ფორმისა და შინარსის საკითხები. უმრავლესობა ტრადიციული მონარქიის მომხრე იყო. გამოთქვამდა იმედს, რომ მოხერხდებოდა საქართველოს გაერთიანება, ერთმეფობის აღდგენა. არაერთი შეთქმული პოლონური ყაიდის წოდებრივ მონარქიას ამართლებდა. მათი აზრით, საქართველოში უნდა შექმნილიყო ორპალატიანი სეიმი, რომლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია იქნებოდა მეფის არჩევა. ამოდიოდნენ რა იმ ფაქტიდან, რომ ახლო წარსულში საქართველოს სამეფო ტახტის მიმართ რამდენიმე ბაგრატიონი უფლისწული აცხადებდა პრეტენზიას, ისინი ვარაუდობდნენ, რომ პოლონელთა წესის გამოყენება ხელს შეუწყობდა შინადინასტიური შუღლისა და ბრძოლის აღმოფხვრას, თანაც სეიმის წევრებს საშუალება მიეცემოდათ საქართველოს სამეფო ტახტზე ყველაზე უფრო ღირსეული ბაგრატიონი დაესვათ.

შეთქმულთა საზოგადოების მიერ შედგენილი საქართველოს მართვა-გამგეობის პროექტი ითვალისწინებდა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საკმაოდ მჭიდრო კავშირს, მაგრამ ფუნქციების მიზანშეწონილ განაწილებას. ნავარაუდევი იყო, ზედა და ქვედა სამმართველოების ჩამოყალიბება. ზედა სამმართველოს თავმჯდომარედ ნავარაუდევი იყო მეფე. მასში უნდა შესულიყვნენ სამხედრო მინისტრი, რომლის კანდიდატად ასახელებდნენ ალ. ჭავჭავაძეს, ფინანსთა მინისტრი ნ. ფალავანდიშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი კ. მუხრან-ბატონი, საგარეო საქმეთა მინისტრი – ბებუთაშვილი, სახალხო განათლების მინისტრი – ი. ჭილაშვილი. ქვედა სამმართველოს (ალბათ სეიმს) შეავსებდნენ მაზრებში არჩეული დეპუტატები. მაზრების მართვას განახორციელებდნენ სამდივნოები – თავადაზნაურობის, სამღვდელოებისა და მოქალაქეთაგან არჩეული მოხელეები (9, 950).

იგივე პროექტიდან ჩანს, რომ ზედა სამმართველოს – მეფეს და მინისტრებს არსებითად ეძლეოდა როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლება. მაგრამ მხოლოდ მეფე ალიჭურვებოდა საკანონმდებლო და განმკარგულებელი ხელისუფლებით, მინისტრებს დაეკისრებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციები. ქვედა სამმართველოს დეპუტატები უნდა დასჯერეოდნენ სათათბირო უფლებას. მათ მოვალეობას შეადგენდა ზედა სამმართველოში წარედგინათ პროექტები ქვეყნისა და მისი ცალკეული რეგიონების ადმინისტრაციული მოწყობის, ეკონომიკისა და კულტურის საკითხებზე. სამდივნოებს კი ეკისრებოდა ადგილობრივი (სამაზრო, საქალაქო) მმართველობისა და სამართლის წარმოების ფუნქციები.

საისტორიო წყაროებიდან ისიც ჩანს, რომ ფარული საზოგადოების წევრთა სულ მცირე ნაწილი უფრო შორს, პროგრესისაკენ იხედებოდა, მიზანშეწონილად მიაჩნდა თვითმპყრობელური რუსეთის ბატონობისაგან გათავისუფლებულ საქართველოში კონსტიტუციურ-მონარქიული და რესპუბლიკური წყობის დამყარება. ეს იდეა არც ბაგრატიონი უფლისწულებისათვის იყო მეტად უცხო. ოქროპირ ბაგრატიონი, როგორც ჩანს დიდ განსხვავებას არ ხედავდა კონსტიტუციურ-მონარქიულ ინგლისსა და რესპუბლიკურ ამერიკის შერთებულ შტატებს შორის. ერთი დოკუმენტიდან ჩანს, რომ 1832 წელს, როცა სოლომონ დოდაშვილი თბილისიდან რუსეთში მიმავალ ოქროპირ ბატონიშვილს აცილებდა, უფლისწულისაგან ასეთი სიტყვები მოისმინა: „დიახ, ქართველებო ეცადეთ საქართველოს განთავისუფლებას, თუმცა მე საქართველოს განთავისუფლება იმიტომ კი არ მინდა, რომ ბაგრატიონთა გვარიდან ვინმე გამეფდეს, არამედ რომ საქართველო შეიქმნეს რესპუბლიკის მაგვარ სახელმწიფოდ" (45ᵃ, 92). ქართველ ისტორიკოსთა დიდ უმრავლესობას ეჭვი ეპარება ოქროპირ ბაგრატიონის რესპუბლიკანელობაში. ჩემი აზრით კი სულაც არაა გამორიცხული რესპუბლიკური მართვა-გამგეობის იდეა გაეზიარებინა ბაგრატიონ უფლისწულთა იმ მცირე ნაწილს, რომელიც კარგად იცნობდა დასავლეთელ განმანათლებლურ თხზულებებს და საჭიროდ თვლიდა ინგლისის, საფრანგეთის, აშშ-ს და ზოგ სხვა სახელმწიფოთა პოზიტიური გამოცდილების გამოყენებას.

შეთქმულთა საზოგადოებამ 1832 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ჩამოაყალიბა ე. წ. „პირველი ღამის განკარგულება", აჯანყების დაწყება-განვითარების კონკრეტული გეგმა. როგორც ჩანს ამ დოკუმენტის შედგენაში მონაწილეობდნენ ოქროპირ, დი-

მიტრი და თამარ ბატონიშვილებიც. შეთქმულნი ვარაუდობდნენ, რომ აჯანყების პირველ დღეს იარაღის ქვეშ ეყოლებოდათ 2-3 ათასკაციანი რაზმი. იმედოვნებდნენ, რომ რუსეთის საწინააღმდეგო ბრძოლაში ჩააბამდნენ სამოსწავლო ბატალიონს და თბილისში გადმოსახლებულ პოლონელებს (500 კაცი). თავადაზნაურთა წინამძღოლებისა და დეპუტატების არჩევნების დამთავრებისთანავე, ღამით ლ. ორბელიანის სახლში გაიმართებოდა ტრადიციული ბანკეტი, რომელზეც სტუმრად მოინვევდნენ მთავარმმართველ როზენს, სხვა რუს დიდმოხელეებს. ღამის პირველ საათზე, მიცემულ ნიშანზე ბანკეტის მონაწილე შეთქმულნი მოქმედებას დაიწყებდნენ; დაატყვევებდნენ (წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში მოკლავდნენ) რუს მოხელეებს. ამის შემდეგ შეიარაღებულ რაზმებს გაგზავნიდნენ თბილისის ციხის, არსენალის, ყაზარმების, სახელმწიფო ხაზინის დასაკავებლად. ამ გეგმის განხორციელების შემდეგ თბილისსა და საქართველოს ყველა რეგიონში გავრცელდებოდა სოლომონ დოდაშვილის მიერ შედგენილი პროკლამაცია–მოწოდება: „ქართველებო! ქვეყნის დაარსებიდან მამულსა ჩვენსა... ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი ხელმწიფე და არასდროს არ იყო მოკიდებულ სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა ან არს მამული ესე ჩვენი. სახელი, მხნეობა და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ქუხდა. მტერი მარადის მოწყლული იყო. ხოლო ან ხედავთ დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისა, ჰგრძნობთ შეიწროებასა ყოვლისა კაცისასა. რაისთვის არს ესრეთ? ნუთუ ჩვენ არ ვართ შვილნი მამაპაპათა ჩვენთანი, ნუთუ არ ძალგვიძს შენახვა საკუთარისა მამულისა... მაშ რაისათვის ცოცხალ ვართ" (45ᵃ, 95-96).

აჯანყებულთა პირველი წარმატებებისთანავე მოახლოებული თავისუფლება თბილისის მოქალაქეებისათვის ეკლესიათა ზარების საზეიმო ახმაურებით უნდა ემცნოთ. სოფლებში გაგზავნილი პირები მოსახლეობას გამოუცხადებდნენ, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი უკვე საქართველოშია და ხალხს თავის დროშის ქვეშ უხმობს. ფარული საზოგადოების ნევრები გაიგზავნებოდნენ აგერთვე მეზობელ ჩეჩნეთ-დაღესტანსა და აზერბაიჯანში, ყველაფერს გააკეთებდნენ იმისათვის, რომ ანტირუსულ აჯანყებას საერთო კავკასიური მასშტაბი მიეღო. მეფე ალექსანდრეს სახელით ელჩები გაიგზავნებოდნენ ევრაზიის სახელმწიფოებში, რომლებიც დაითანხმებდნენ მთავრობებს, რომ „რუსეთის იმპერატორისაგან საქართველოს განთავისუფლება მოეთხოვათ".

რუსეთის მოხელეთა და ჯარის საქართველოდან განდევ-

ნის შემდეგ მოძრაობის ლიდერები პირველი რიგის ამოცანად დაისახავდნენ თავდაცვის მაღალ დონეზე დაყენებას; ჩაიხერგებოდა დარიალ-არაგვის სამხედრო გზა, შავი ზღვისა და კასპიის სანაპიროებზე განლაგდებოდა შეიარაღებული რაზმები. ყველა საშუალება იქნებოდა მიღებული იმისათვის, რომ რუსეთს კვლავ არ შემოეყვანა ჯარი, თავისი ბატონობა კვლავ აღედგინა საქართველოსა და კავკასიაზე. თუ ალექსანდრე ბაგრატიონის ჩამოსვლა რაიმე მიზეზით შეფერხდებოდა საქართველოს დროებით მმართველად გამოაცხადებდნენ თამარ იულონის ასულ ბაგრატიონს.

ოპტიმიზმი სამწუხაროდ ნაადრევი აღმოჩნდა. შეთქმულთა საზოგადოებამ თავის თავზე აღებული ეროვნული მისია ვერ შეასრულა, თავისუფლების მოპოვების, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის დიდი, საშვილიშვილო მიზანი ვერ განხორციელდა. გადამწყვეტი მომენტის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე პატრიოტთა „დანაშაულებრივი" გეგმების შესახებ რუსულ ხელისუფლებას საკმაოდ სრული ინფორმაცია მიაწოდეს ნიკოლოზ და იასე ფალავანდიშვილებმა. რამდენიმე დღეში ფარული საზოგადოების თითქმის ყველა წევრი დააპატიმრეს და პასუხისგებაში გადასცეს.

შეთქმულთა საქმის შესასწავლად, მათი დანაშაულის დასადგენად შეიქმნა სპეციალური საგამომძიებლო კომისია, რომელმაც განსაკუთრებით დიდი დრო დაუთმო ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილების შეთქმულებაში მონაწილეობის გარკვევას, მათი დანაშაულის ხასიათის დადგენას. საბრალდებო დასკვნაში ჩაიწერა, რომ ბოროტგანმზრახველთა საზოგადოების შექმნას, მის ანტირუსულ საქმიანობის დაწყებას სათავე დაუდეს ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილებმა. საქართველოს მთავარმმართველი როზენი ჩერნიშოვს სწერდა: მართალია, ვიცი რომ უფლისწულთა საკითხი, ჩემს კომპეტენციას სცილდება, მათი ბედის გადაწყვეტის უფლება მხოლოდ იმპერატორს აქვს, მაგრამ ჩემს მოვალეობად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ არა მარტო რუსეთის ინტერესების, არამედ თვით ქართველი ხალხის კეთილდღეობისთვისაა საჭირო, რომ ოქროპირ და დიმიტრი ბატონიშვილებს მოეუსპოთ საშუალება, მომავალში მაინც, ველარ მოახდინონ მავნე გავლენა თანამემამულეებზე. მიზანშეწონილია ისინი საცხოვრებლად გადავასახლოთ ისეთ გუბერნიებში, სადაც ქართველი მოხელეები მივლინებით არ მიდიან, ახალგაზრდები სასწავლებლად არ იგზავნებიან. ხოლო, როცა ნიკოლოზ პირველი გაეცნო გამოძიების მასალებს და საბრალდებო დასკვნას, ასეთი მინაწე-

რი გააკეთა: ბატონიშვილები, რომელნიც კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მკაცრად უნდა დაგვესაჯა, მხოლოდ და მხოლოდ შენდობლი იქნან მონარქიული გულმოწყალების ნიშნად. ოქროპირი საცხოვრებლად გადასახლდეს კოსტრომაში, დიმიტრი კი სმოლენსკში. იმპერატორის მითითების თანახმად ბატონიშვილი თამარი, რომელიც აქამდე სამშობლოში რჩებოდა, სამუდამოდ უნდა გადაესახლებინათ რუსეთის რომელიმე გუბერნიაში. ერეკლე მეორის ასული და ალექსანდრე ორბელიანის ღრმად მოხუცებული დედა თეკლა გადაასახლეს კალუგაში. მაგრამ 1835 წელს მისცეს სამშობლოში დაბრუნების ნება (63, 51-54).

უკვე აღინიშნა, რომ უფლისწულ დავითს რუსეთის მთავრობისათვის მიუღებელი შინაარსის თხოვნა-ბარათების საიმპერატორო კარზე წარდგენისათვის 1818 წელს მკაცრი გაფრთხილება აკმარეს. დავით ბატონიშვილის ოპონენტმა მარკიზ პაულუჩიმ იმ დროს მთავრობას მოახსენა, რომ თუ ბაგრატიონები საქართველოში ან მოსკოვ-პეტერბურგში იქნებიან დატოვებული, ისინი მომავალშიც გარკვეულ საფრთხეს შეუქმნიანო რუსეთს. როგორც ჩანს, შეთქმულთა გასამართლების დროს გაიხსენეს პაულუჩის აზრი და აღიარეს მისი ჭეშმარიტება, გამოასწოროს დაშვებული „შეცდომა". საქართველოს სამეფოს აღდგენაზე მეოცნებე და ამისათვის მებრძოლი ბატონიშვილები საქართველოდან და მოსკოვ-პეტერბურგიდან უმნიშვნელო, იმპერიის ცენტრისაგან მოშორებულ ადგილებში გადაასახლეს. ამით შესძლეს მათი იზოლირება თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველი ხალხისაგან. 1832 წლის მიწურულს არსებითად დამთავრდა ბაგრატიონი უფლისწულების ბრძოლა (და არა ოცნება) ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. ამის შემდეგ კარგა ხნით შეწყდა ქართველი თავადაზნაურობის და სხვა პატრიოტების გამათავისუფლებელი მოძრაობა. ყურადღება გამახვილდა სწავლა-განათლებაზე, აქცენტი გაკეთდა ქართველი ხალხის კულტურული დონის ამაღლების, ქართული ცხოვრების წესის, დადებითი ტრადიციების და რაც მთავარია ქართული ენის დაცვის საკითხებზე.

ქართველები რუსული მართვა-გამგეობის სისტემაში

რუსული ხელისუფლება საქართველოში შემოსვლისთანავე, მღელვარე 1801-1802 წლების ჩათავების შემდეგ მიხვდა, რომ ბაგრატიონები სამეფო ტახტს, ხოლო მოსახლეობის ზედაფენა (თავადაზნაურობა, სამღვდელოება) მონარქიული ლეგიტიმიზმიდან გამომდინარე პოლიტიკურ ხელისუფლებას და სულიერ მეთაურობას უბრძოლველად არ დათმობდა. რუსმა მოხელეებმა ისიც დაინახეს, რომ ქართველი გლეხიც იბრძოდა საერთო ეროვნული თავისუფლების და პიროვნული ღირსების დაცვისათვის. ამიტომ თავიდანვე მიზნად დაისახეს ამ ტრიადის დაშლა, ბაგრატიონების უჯარო გენერლებად გადაქცევა.

რუსმა მოხელეებმა და ოფიციალურმა ისტორიკოსებმა საქართველოს წარსულშიც გადაიხედეს. შეამჩნიეს, რომ თავადაზნაურობა დიდ როლს ასრულებდა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, სამეფო დარბაზის ფუნქციონირებაში, სასამართლოსა და მართლმსაჯულებაში და ამ წოდებას მისი რალაც ანალოგი (სუროგატი) რუსულ მართვა-გამგეობაში შესთავაზეს.

ქართლ-კახეთის უმაღლეს ხელისუფლად გამოცხადდა კავკასიაში განლაგებული რუსეთის ჯარის სარდალი, რომელსაც მთავარმმართველი უწოდეს. მას დაუქვემდებარეს „საქართველოს უზენაესი მთავრობის" ყველა დანესებულება და მოხელე. ე. წ. „ექსპედიციათა" უფროსებად რუსი მოხელეები დასვეს, მათ მრჩევლებად ქართველი თავადები დანიშნეს. ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენლები დაუშვეს აგრეთვე პოლიციასა და სამაზრო სასამართლოებში, სადაც სისხლის სამართლის საქმეები რუსეთის კანონების მიხედვით, ხოლო სამოქალაქო საქმეები ქართული სამათრლისა და ადათ-წესების საფუძველზე უნდა გარჩეულიყო (46, 437-438).

„საქართველოს უზენაესი მთავრობის" ექსპედიციებში მრჩევლებად შეიყვანეს: კონსტანტინე მუხრან-ბატონი, ესტატე და ალექსანდრე ციცშვილები, ალექსანდრე მაყაშვილი, რევაზ ერისთავი, გიორგი ამილახვარი, სულხან და ეგნატე თუმანიშვილები, ივანე ჩოლოყაშვილი, დავით აბაშიძე, ზაალ ბარათაშვილი, ომან ხერხეულიძე, კიდევ მეტი თავადაზნაური მოხვდა სამაზრო პოლიციასა და სასამართლოში.

რუსულ ადმინისტრაციულ-სამოსამართლო აპარატში შეყვანილ ქართველ მოხელეებს მეტ-ნაკლები ოდენობის ჯამაგირი დაენიშნათ და ამდენად მათ რამდენადმე აინაზღაურეს სამეფოს

დროინდელი თანამდებობების გაუქმებით განცდილი ზარალი, მაგრამ მოხელეობას შემორჩენილი თავადაზნაურები მაინც უკმაყოფილონი იყვნენ. ამაყი ქართველი თავადები ვერ ეგუებოდნენ იმას, რომ დებულებით ნაგულისხმევი კოლეგიური მმართველობა, პრაქტიკაში რუსულ მმართველობად რჩებოდა. ყველა საქმეებს რუსი მთავარმმართველი, ექსპედიციათა უფროსები და კაპიტან ისპრავნიკები განაგებდნენ. ქართველი მრჩეველ-მსაჯული კი თითქმის ყოველგვარ უფლებას მოკლებული იყო. ეს თავისებური პენსიონერი „გასამრჯელოს" იმისათვის იღებდა, რომ წყნარად ყოფილიყო და თავისი რუსი უფროსის თვითნებობისათვის ხელი არ შეეშალა (2, 266-267).

რუსულმა ხელისუფლებამ ქართველი თავადაზნაურობა (მისი მოთვინიერების მიზნით) უფლებრივად რუს თავადაზნაურობას გაუთანაბრა. რუსეთიდან საქართველოს მიერთების მესამე წელს მთავარმმართველმა პავლე ციციანოვმა მიზანშეწონილად მიიჩნია ქართველი თავადაზნაურობისათვის მიეცა შიგაწოდებრივ საქმეთა თვითგამგებლობის უფლება. სათანადო დებულების შედგენა დაევალა „საქართველოს უზენაესი მთავრობის" აღმასრულებელ ექსპედიციას. ეს უწყება დაეყრდნო ეკატერინე II-ის მიერ 1785 წელს დამტკიცებულ „წყალობის სიგელს", რომლითაც რუსეთის თავადაზნაურობას მიენიჭა წოდებრივ საქმეთა თვითმმართველობა. რამდენადმე გაითვალისწინა აგრეთვე ადგილობრივი თავისებურებანი და შეადგინა აღმოსაელეთ საქართველოს თავადაზნაურთა წოდებრივი თვითმმართველობის წესდება, რომელიც 1803 წელს დამტკიცდა.

წესდების მიხედვით, ქართველი თავადაზნაურობა ირჩევდა საგუბერნიო და სამაზრო წინამძღოლებს (მარშლებს), აგრეთვე საკრებულოს დეპუტატებს. მათ მოვალეობას შეადგენდა: მაღალი, პრივილეგირებული წოდების ყოფა-ცხოვრების მეთვალყურეობა; მემამულეთა შორის აღმოცენებული საადგილმამულო დავის გარჩევა-გადაწყვეტა, სანდო საბუთების საფუძველზე თავადებისა და აზნაურობის მაძიებელთა წოდებაში დამტკიცება, ქვრივ-ობლებზე ზრუნვა, მათთვის მეურვეების გამოყოფა; მთავრობასა და ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა შორის შუამავლის როლის შესრულება, წოდებისათვის დიდმნიშვნელოვან საკითხებზე უმაღლესი მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა. წოდებრივი თვითმმართველობის ფუნქციას შეადგენდა აგრეთვე მთავრობის დადგენილება- განკარგულებათა მიღება. ცენტრიდან მოსულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა, მთავრობის ადგილობრივი ადმინისტრაციისათვის დახმარების გაწევა გადა-

სახადების გაწერა-აკრეფასა და ჯარისათვის საჭირო სურსათ-სანოვაგის შესყიდვაში.

წოდებრივ თვითმმართველობას უფლება ჰქონდა შეეძინა ან აეშენებინა სახლი დეპუტატთა საკრებულოსათვის, დაექირავებინა საქმის მწარმოებელი, მდივანი, თარჯიმანი; ჰქონდა საკუთარი ბეჭედი, არქივი. ნებაყოფლობით შენატან-შეწირულობით შეედგინა ფულადი თანხა (ფონდი), რომელიც თავადაზნაურთა საკრებულოს და ყრილობის გადაწყვეტილებით დაიხარჯებოდა წოდების ამა თუ იმ საჭიროებათა დაფინანსებისათვის (47, 187-188).

დებულება და მისი დამატება-თანამდებობის პირთა არჩევის წესი იმპერატორმა იმავე წელს დაამტკიცა და თავდაზნაურობამ დაიწყო თვითმოქმედება. ქართველ თავადაზნაურთა წოდებრივი თვითმმართველობის პირველი ყრილობა ჩატარდა 1803 წლის ივნისში. გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლის თანამდებობა დაიკავა გარსევან ჭავჭავაძემ. აირჩიეს აგრეთვე სამაზრო წინამძღოლები და საკრებულოს დეპუტატები. ისინი ხელფასს არ იღებდნენ, წოდებას საზოგადოებრივ საწყისებზე ემსახურებოდნენ.

თავადაზნაურთა იმავე ყრილობაზე გაცილებით მეტი აჟიოტაჟი გამოიწვია საქართველოს უზენაესი მთავრობის ექსპედიციათა და პოლიცია-სასამართლოს ქართველი მოხელეების არჩევნებმა. ერთ თანამდებობაზე რამდენიმე კანდიდატმა იყარა კენჭი. ფასიან თანამდებობებზე აირჩიეს ზემოთ ნაწილობრივ უკვე დასახელებული პირები.

ამგვარად, 1803 წელს ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის წოდებრივ-წარმომადგენლობითი დაწესებულება, მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურა. თანდათან დაზუსტდა წინამძღოლებისა და დეპუტატების უფლება-მოვალეობანი, ფუნქციები. XIX ს-ის 40-იან წლებამდე ქართველი თავადაზნაურობა თავის წოდებრივ თვითმმართველობას უფრო იმიტომ აფასებდა, რომ მისი ყრილობის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას შეადგენდა საქართველოს უზენაესი მთავრობის ექსპედიციათა მრჩევლებისა და პოლიცია-სასამართლოების ქართველი მოხელეების არჩევა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის რაღაც ელემენტები არსებობას განაგრძობდა, ქართველი მოხელეები რუს მოხელეებთან თანამშრომლობდნენ, გარკვეულ როლს ასრულებდნენ რუსეთთან მიერთებული ქვეყნის მართვა-გამგეობაში.

სულ არარობას, რაც დარჩა ის სჯობდა. ქართველი თავა-

დაზნაურობა უფრთხილდებოდა მას. იმასაც ცდილობდა, რომ რუსეთის მთავრობა მეტ დათმობაზე წაეყვანა. რუსეთის კავკასიური ადმინისტრაცია კი პირიქით, ცდილობდა კიდევ უფრო შეეზღუდა ქართველი თავადაზნაურობის როლი ქვეყნის მართვაგამგეობაში. საქართველოს მთავარმმართველი გუდოვიჩი (1806-1809 წწ.) რუსეთის უზენაეს მთავრობას შესჩიოდა, რომ აქაური საერობო პოლიციაში მიღებული ქართველი თავადაზნაურნი, კანონების უცოდინარობის გამო რუს კაპიტან-ისპრავნიკებს ვერ ეხმარებიანო. მისი წინადადების თანახმად, საერობო პოლიციაში რუს მოხელეთა რიცხვი გაიზარდა, ქართველებისა კი შემცირდა. 1810 წელს სახაზინო ექსპედიციის უფროსმაც მოითხოვა ქართველი მრჩევლების ხარჯზე რუსი მოხელეების გაზრდა. ქართველებმა ამას სუსტი პროტესტით უპასუხეს, განაცხადეს ქართველი მოხელეები მოწოდების სიმაღლეზე დგანან, ამიტომ მმართველობაში მათი რიცხვი კი არ უნდა შემცირდეს, არამედ პირიქით, უნდა გაიზარდოსო (47, 6, 21).

ქართველ თავადაზნაურთა წოდებრივ-წარმომადგენლობითი თვითმმართველობა ზოგჯერ გლეხების გამოსარჩლებასაც ბედავდა. 1810 წელს თავადაზანურთა საგუბერნიო და სამაზრო წინამძღოლები რუსეთის იმპერატორს მოახსენებდნენ: მზად ვართ ერთგულად გემსახუროთ, მაგრამ აქ გამოგზავნილი რუსი მოხელეები თვითნებობენ, ჩვენს გლეხებს ძალიან ავიწროებენო. ხარ-ურმის ქირა თვეში 40-50 მანეთს შეადგენს, ჩვენს გლეხებს კი მხოლოდ 2-3 მანეთს უხდიანო. სამართლიანობა მოითხოვს, ჩვენს გლეხებს ხარ-ურმის ქირა არსებული ფასების მიხედვით გადაუხადონ, რათა მათ მომავალშიც შესძლონ მთავრობისა და მებატონეთა სამსახური. მიზანშეუწონელია გლეხების სახელმწიფო გადასახადებით გადამეტებელი დაბეგვრაო. წინამძღოლები კიდევ უფრო მეტი თავგამოდებით მოითხოვდნენ თავადაზნაურთა საპოლიციო გადასახადისაგან დაუბეგრაობას და ცდილობდნენ უცხოეთში გაქცეულ თანამოძმეთა ინტერესბეის დაცვას. გაქცეულთა მემკვიდრეებს მიწებს ნუ ჩამოართმევთ და ხელუხლებელი დატოვეთ საეკლესიო მამულებიცო (21, 46).

რუსეთის მთავრობა, მართალია, ანგარიშს უწევდა ქართველ თავადაზნაურობას და თავიდანვე ცდილობდა გაეხადა იგი თავის სოციალურ საყრდენ ძალად კავკასიაში, მაგრამ თავადაზნაურთა ყველა ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნების დაკმაყოფილება მთავრობის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. რუსეთის ცარიზმი ოპოზიციონერი თავადაზნაურობისა და სამღვდელოების ხარჯზე თანდათან ზრდიდა სახაზინო მიწის ფონდს და გლეხობას

თანდათან მეტ გადასახადებს აკისრებდა. ამიტომ იყო, რომ თავადაზნაურობა, სამღვდელოება და ხალხი ბრძოლას განაგრძობდა; 1812 წლის ანტირუსული აჯანყება საყოველთაო სახალხო ხასიათს ატარებდა. ძირითად მიზნად ბაგრატიონებისათვის სამეფო ტახტის დაბრუნება, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა რჩებოდა. ასეთივე ამოცანა იდგა 1832 წლის შეთქმულთა წინაშეც.

XIX საუკუნის 20-იან წლებში მთავრობის წინაშე დაისვა ქართველი თავადაზნაურობის რაოდენობის გარკვევისა და მათი წოდებრივ უფლებებში დამტკიცების საკითხი. რუსი მოხელეები ვერ გაერკვნენ ქართველ მეფეთა დროინდელი სიგელების ავკარგში და საკითხის შესწავლა თავადაზნაურთა წოდებრივ დანესებულებას დაავალეს. წინამძღოლებსა და დეპუტატებს საკმაოდ ნათელი წარმოდგენა ჰქონდათ თავადაზნაურთა გვარებზე, პრივილეგიური წოდების შემადგენლობაზე. მაგრამ ბევრი თავადისა და აზნაურის სიგელები არ აღმოჩნდა და მათი წოდებრივ უფლებებში დამტკიცების საქმე გაჭიანურდა.

1827 წელს აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა წინამძღოლად (მარშლად) აირჩიეს კონსტანტინე მუხრან-ბატონი, თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლად იოსებ მელნიკოვი, გორის მაზრის – დავით თარხნიშვილი, დუშეთის – დავით მუხრან-ბატონი, თელავის – აბელ ჩოლოყაშვილი, სიღნაღის - შერმაზან აფხაზი. არჩევნების გზით დაკომპლექტდა აგრეთვე სათავადაზნაურო საკრებულო. (64, 1-2).

წოდებრივი თვითმმართველობის ახალმა შემადგენლობამ თითქოს დააჩქარა თავადაზნაურთა პრივილეგიურ უფლებებში დამტკიცების ტემპი. მაგრამ მალე გამოირკვა მისი კანონსაწინააღმდეგო ქმედება. სპეციალურად შექმნილმა კომისიამ დაადგინა ქართველ მეფეთა და კათალიკოსთა ყალბი ბეჭდების, აგრეთვე ყალბი საბუთების შედგენისა და მათ საფუძველზე თავადისა და აზნაურის წოდების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის ფაქტი. საქმის გამოძიება რამდენიმე წელი გაგრძელდა. განაჩენი გამოიტანეს 1836 და 1841 წლებში. ყალბი ბეჭდების და ყალბი დოკუმენტების შედგენისათვის დაისაჯა 126 კაცი. ამ დანაშაულში მხილებული რამდენიმე წინამძღოლსა და დეპუტატს ჩამოერთვა თანადებობა და მომავალ არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ისინი კარგახანს იყვნენ შერისხული. არჩევნებში მონაწილეობის (და არა თანამდებობაზე არჩევის) უფლება დაუბრუნეს მხოლოდ 1864 წელს (65, 1-41).

1803 წლის კანონი ანგარიშს უწევდა ქართულ ტრადიციას.

ნოდებრივ თვითმმართველობას და მთავრობის ორგანოებში უპირატესობას ანიჭებდა თავადებს აზნაურებთან შედარებით. აზნაურები კარგა ხანს ურიგდებოდნენ მეორე ხარისხოვან როლს. XIX ს-ის 30-იან წლებში კი ხმა აღიმაღლეს ამ „უსამართლობის" წინააღმდეგ და თავადებთან გათანაბრება მოითხოვეს. 1837 წელს აზნაურთა წარმოადგენლებმა არზა მიართვეს იმპერატორს. ისინი უკმაყოფილებას აცხადებდნენ თავადთა თვითნებობის გამო, რაც აზნაურებს ნოდებრივ-წარმომადგენლობით თვითმმართველობისაკენ მიმავალ გზას უხშობდა და მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ რუსეთში არსებული წესის საქართველოში გადმოტანას. თავადებისა და აზნაურების უფლებრივ გათანასწორებას.

საკითხის შესასწავლად გამოყოფილი კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ XIX ს-ის დამდეგს საქართველოს პრივილეგიურ ნოდებაში არსებობდა საკმაოდ მკვეთრი გრადაცია და ამიტომ 1803 წლის დებულება-წესდებამ უპირატესობა მიანიჭა თავადებს, მხოლოდ მათ მისცა მაღალ თანამდებობათა დაკავების უფლება. ახლა კი აზნაურთა თხოვნა ერთი ნოდების ორი ნაწილის უფლებრივი გათანაბრების შესახებ საფუძვლიანი და გასათვალისწინებელია. ქართველი თავადები და აზნაურები თანაბრად ემსახურებიან იმპერატორს და ნოდებრივ-წარმომადგენლობით თვითმმართველობაშიც თანაბარი უფლებები უნდა ჰქონდეთო. ეს თვალსაზრისი მთავარმმართველმა გოლოვინმაც გაიზიარა. უზენაეს მთავრობისათვის გაგზავნილ შუამდგომლობაში მან აღნიშნა, რომ რუსეთში არაა გარჩევა პრივილეგიური ნოდების შიგნით, არც ხაქართველოშია საჭირო მისი შენარჩუნება და ამდენად კომისიის დასკვნა ამ გრადაციის მოშლის შესახებ უმაღლესად დამტკიცებას იმსახურებსო. იმპერატორმა დააკმაყოფილა შუამდგომლობა. 1838 წელს უმაღლესი ბრძანებით ქართველი თავადები და აზნაურები უფლებრივად გათანასწორდნენ (65, 1-41), მაგრამ 1840 წლის ადმინისტრაციულმა რეფორმამ თანაბრად შეკვეცა უფლებრივად თითქოს გამთლიანებული ნოდების – თავადაზნაურობის კომპეტენცია.

1840 წლის 10 აპრილის კანონ-დებულების შესაბამისად ამიერკავკასია ორ ადმინისტრაციულ ერთეულად გაიყო. ჩამოყალიბდა საქართველო-იმერეთის გუბერნია და კასპიის ოლქი. ხსენებული გუბერნია დაიყო მაზრებად. მაგრამ ქართველ თავადაზნაურთა ნოდებრივი დაწესებულება არსებითად გუბერნიისა და მაზრების მიღმა დარჩა. მართვა-გამგეობის სისტემის ამგვარმა გარდაქმნამ ამიერკავკასიის მოსახლეობის თითქმის საყოველ-

თაო უკმაყოფილება გამოიწვია. გურიაში აჯანყებამაც იფეთქა. ნიკოლოზ I იძულებული გახდა ახლად გატარებულ რეფორმაში მნიშვნელოვანი კორექტივები შეეტანა.

რუსეთის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაციის მოხელეებმა დაადგინეს, რომ მოსახლეობის უკმაყოფილებისა და აჯანყების ძირითადი მიზეზი, რუსული მართვა-გამგეობის სისტემიდან ქართველი, სომეხი და მუსლიმანი მოხელეების განდევნა და სასამართლოს საქმიანობაში ბიუროკრატიული ფორმალიზმის გაბატონება იყო.

ქართველი თავადაზნაურობის წოდებრივი თვითმმართველობის ლიდერებმა შეიმუშავეს და რუსეთის იმპერატორს გაუგზავნეს უქვეშევრდომილესი მოხსენებითი ბარათი „ქართველი თავადაზნაურობის საჭიროებათა შესახებ", რომელშიც ნათქვამი იყო: ნეტარხსენებულმა იმპერატრიცა-ეკატერინემ, როცა საქართველო თავის მფარველობის ქვეშ მიიღო, ყოვლად მოწყალედ ინება ქართველი თავადაზნაურობის რუსეთის მაღალ წოდებასთან გათანაბრება. ამ ტრადიციას აგრძელებდა ალექსანდრე პირველიც. ქართველი თავადაზნაურობისათვის XIX საუკუნის დამდეგს ნაბოძები უფლებებიდან მთავარი იყო ამ წოდებიდან ყველაზე ღირსეულთა მთავრობის სხადასხვა ინსტანციების მოხელეებად არჩევის უფლება. ასეთი პრივილეგიით ქართველი თავადაზანურობა შეუფერხებლად სარგებლობდა XIX ს-ის პირველ მეოთხედში, როცა მას ცოტა ჰყავდა რუსული ენისა და რუსული კანონების მცოდნე პირები. ამჟამად მაღალ წოდებაში განათლებული პირები გაცილებით მეტია. მაგრამ 1840 წლის მმართველობის დებულებამ ქართველ თავადაზნაურობას აღნიშნული უფლება თითქმის მთლიანად გაუუქმა. ჩვენ შეურაცხყოფილი და დამცირებულნი ვართ. ყოვლად მოწყალე იმპერატორს უმორჩილესად ვთხოვთ აღგვიდგინოს ადრინდელი უფლება - ჩვენი წრიდან ავირჩიოთ ღირსეული მოხელეები ყველა თანამდებობაზე (67, 2-4). ქართველ თავადაზნაურთა ლიდერების ეს ბარათი პეტერბურგიდან დასკვნისათვის ამიერკავკასიის მთავარმმართველ გოლოვინს გამოუგზავნეს. იგი, რა თქმა უნდა, სიტუაციის ობიექტური შემფასებელი არ აღმოჩნდა, ზემდგომ ინსტანციას აუწყა: ქართველი თავადაზნაურობის მიერ არჩეულ პირთა რუსული ხელისუფლებიდან გამოდევნა გვიკარნახა ნარსულის თითქმის 40 წლიანმა გამოცდილებამ. დავრწმუნდით, რომ ქართველი თავადაზნაურობა ამ დიდი საქმისათვის მოუმზადებელია. მათ შორის ჯერ კიდევ მცირეა ღირსეული მოხელე; ბევრმა არ იცის კანონები და რუსული ენაც კი. რის გამო მმართ-

ველობის მთელი სიმძიმე აწვებოდა რუს მოხელეებს. ამის გამო ქართველი თავადაზნაურობის თხოვნის დაკმაყოფილება მიზანშეწონილად არ მიმაჩნიაო (67, 26-28).

დიდმპყრობელური შოვინიზმით გაჟღენთილი გოლოვინი გარკვეული მოსაზრებით ფარავს მართვა-გამგეობის სისტემიდან ქართული ელემენტის გამოდევნის მოტივს. არაფერს ამბობს იმაზე, რომ ქართველი თავადაზანურობა ბაგრატიონი უფლისწულების გვერდით იდგა, იბრძოდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის და ამიტომ ვერ მოიპოვა რუსეთის მმართველი წრეების ნდობა. არ ამჟღავნებს იმ ფაქტს, რომ ეს ელემენტი აფერხებდა რუსიფიკატორულ-კოლონიური პოლიტიკის გატარებას და ამიტომ გამოდევნეს ქართველი მოხელეები რუსული მმართველობის სისტემიდან.

ამგვარად, ქართველმა თავადაზნაურობამ როგორც ორგანიზებულმა წოდებამ ადრინდელი პრივილეგია და მთავარი ფუნქცია დაკარგა. წოდებრივ თვითმართველობას ჩამოერთვა თავადაზნაურთა წრიდან მთავრობის ორგანოებში გასაგზავნ მოხელეთა არჩევის ფუნქცია. ეს კი თავისთავად გამომდინარეობდა 1840 წლის კანონიდან, რომელიც ამიერკავკასიაში მთლიანად და კერძოდ საქართველოში ამკვიდრებდა წმინდა რუსულ მმართველობას, ადმინისტრაციისა და მართლმსაჯულებაში აღარ აძლევდა ადგილს ქართულ სამართალსა და ქართველ მოხელეს.

მართალია, თავადაზნაურთა წარმომადგენლებმა კვლავ შეინარჩუნეს რუსეთის სამხედრო სამსახურში და ადმინისტრაციულ აპარატში ინდივიდუალური დამსახურების საფუძველზე დაწინაურების შესაძლებლობა, მათ მომავალშიც შეეძლოთ დაეკავებინათ პოლკისა და დივიზიის, მაზრისა და გუბერნიის უფროსის თანამდებობა, მაგრამ თავადაზნაურთა წოდებრივ-წარმომადგენლობითი თვითმმართველობის უფლება-კომპეტენცია მნიშვნელოვნად შეიკვეცა, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. თავადაზნაურთა პროტესტანტული განწყობილება იმით გამოიხატა, რომ უარი თქვეს გუბერნია-მაზრის წინამძღოლთა და საკრებულოს დეპუტატთა არჩევნების ჩატარებაზე 1838, 1841 და 1844 წლებში. მეფისნაცვლად გამოგზავნილმა მიხეილ ვორონცოვმა, მართალია, გასცა ბრძანება არჩევნების დანიშვნა-ჩატარების შესახებ, მაგრამ სხვადასხვა გართულებების გამო წინამძღოლთა და დეპუტატთა არჩევნები კვლავ ჩაიშალა. ე. ი. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წოდებრივი თვითმმართველობის პრაქტიკული მუშაობა კარგახანს შეჩერებული იყო.

რუსეთის მთავრობამ და ამიერკავკასიის მთავარსამმართ-

ველოს მოხელეებმა მოძველებულად მიიჩნიეს 1803 წლის წესდება და 1848 წელს შეადგინეს თავადაზნაურთა წოდებრივი თვითმმართველობის ახალი წესდება, რომელიც შეცვლილი პირობების და მთავრობის პოლიტიკის შესაბამისად განსაზღვრავდა ამ დაწესებულების უფლება-კომპეტენციას. აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობას კვლავ დაუდასტურეს უფლება აერჩია საგუბერნიო წინამძღოლი, სამაზრო წინამძღოლები და საკრებულოს დეპუტატები. გარკვეულ სიახლეს წარმოადგენდა წესდების ის მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა თავადაზნაურთა მიერ თბილისის საგუბერნიო სასამართლო პალატის ორი მსაჯულისა და სამაზრო სასამართლოების თითო მსაჯულის არჩევას (68, 11-12).

ამგვარად, თავადაზნაურთა კრიტიკულმა გამოსვლებმა და თხოვნა-პეტიციებმა დიდი თუ არა, მცირე ნაყოფი მაინც გამოიღო. რუსეთის მთავრობამ, კერძოდ მეფის ნაცვალმა კავკასიაში მ. ვორონცოვმა გადასინჯა 1840 წლის ადმინისტრაციული რეფორმის კანონ-დებულების ორიოდე მუხლი და ქართველ თავადაზნაურთა წარმომადგენლობა სასამართლო ორგანოებში რამდენადმე გააფართოვა. მსაჯულების ძირითად ფუნქციად, მართალია, გამოცხადდა თავადაზნაურთა ინტერესების დაცვა, მაგრამ მომდევნო ხანის ამსახველი საისტორიო წყაროები ცხადყოფს, რომ მთავრობის სასამართლოებში წოდებრივი თვითმმართველობისაგან წარგზავნილი მსაჯულები რუს მოხელეთა თვითნებობა-ძალადობისაგან იცავდნენ ყმა-გლეხებსაც, მათ უფლებრივ და ქონებრივ ინტერესებსაც.

ახალი წესდების თანახმად, არჩევნები ტარდებოდა სამწელიწადში ერთხელ. აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებით სარგებლობდნენ 1783 წლის ტრაქტატის დამატებაში დაფიქსირებული თავადაზნაურნი და რუსეთის მთავრობის მიერ პრივილეგიურ წოდებაში დამტკიცებული პირები, ვინც ამასთან ერთად ფლობდა უძრავ-მოძრავ ქონებას და შემკული იყო რუსული ჩინ-მედლებით. არჩევნებში პიროვნულად მონაწილეობის უფლება ჰქონდა არა ნაკლებ 20 კომლი ყმა-გლეხისა და 500 ჰა მინის მფლობელ მემამულეებს. 2 კომლი ყმა-გლეხისა და 50 ჰა მინის მფლობელნი იმ შემთხვევაში დაიშვებოდნენ არჩევნებზე, თუ მთავრობისაგან მათ მიღებული ჰქონდათ ჩინები და ორდენები. აღნიშნულ მინიმუმზე ნაკლები ყმა-მამულის მფლობელნი არჩევნებში მონაწილეობდნენ არა უშუალოდ – ინდივიდალურად, არამედ წარმომადგენელთა მეშვეობით (10 ოჯახი ყრილობაზე გზავნიდა ერთ წარმომადგენელს). წესდების ერთ-ერთი რუსიფიკა-

ტორული მუხლის შესაბამისად თავადაზანურთა წინამძღოლებად და საკრებულოს დეპუტატებად შეიძლება არჩეულიყვნენ მხოლოდ რუსული ენის მცოდნე და ცენზიანი თავადაზნაურები (68, 70-87).

ახალი წესდების საფუძველზე პირველი არჩევნები ჩატარდა 1848 წელს. თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლად (მარშლად) აირჩიეს გენერალ-მაიორი დიმიტრი ორბელიანი. აირჩიეს აგრეთვე სამაზრო წინამძღოლები და საკრებულოს დეპუტატები.

რუსეთის გაბატონების შემდეგ, დასავლეთ საქართველოს თავადაზნაურობას კარგა ხანს წოდებრივ საქმეთა თვითგამგებლობის უფლება არ მიუღია. მხოლოდ 1842 წელს გაბედა მან წოდებრივი თვითმმართველობის მოთხოვნა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ამიერკავკასიის მთავარსამმართველო პეტერბურგში მოქმედ „კავკასიის კომიტეტის" თავმჯდომარეს აუწყებდა: „თქვენთვის უკვე ცნობილია, რომ იმერეთის თავადაზნაურობამ აღძრა შუამდგომლობა წინამძღოლთა არჩევის შესახებ. იმპერატორის სურვილია, რომ ახალი დებულება-წესდების შედგენის დროს მიღებულ იქნეს მხედველობაში იმერელთა მიერ აღძრული შუამდგომლობა იმის გამო, რომ ახალი დებულების შედგენა გვიანდება, მიზანშეწონილია იმერეთის მაღალი წოდების თხოვნა ეხლავე დავაკმაყოფილოთ, მივცეთ მათ საშუალება აირჩიონ მთავრობისათვის საიმედო პირები. საკითხის დაჩქარებული გადაწყვეტა მით უფრო მიზანშეწონილია, რომ ხდება იმერეთის ოლქის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფა. იქ ჩამოყალიბებული მმართველობა თავის საქმიანობაში წაანყდება დიდ დაბრკოლებებს, თუ არ ეყოლა შუამავალი, დამაკავშირებელი რგოლი თავადაზნაურობასთან ურთიერთობაში. არჩეული პირების მეშვეობით მთავრობა უფრო ადვილად მოაგვარებს მცირეწლოვანთათვის მეურვეების დანიშვნას. მებატონეთა და ყმა-გლეხთა ურთიერთობის დარეგულირებას, საადგილმამულო დავების გარჩევას და სხვა საკითხების გადაწვეტას. ამ ფუნქციების გადაცემა პოლიციისათვის უხერხულია, რადგან ამით მინიმუმამდე შეიზღუდებაო მემამულეთა ძალაუფლება (67, 56-57).

მიმოწერა აღნიშნულ საკითხებზე კარგახანს გაჭიანურდა. 1850 წელს მეფის ნაცვალმა მ. ვორონცოვმა დაითანხმა იმპერატორი ნიკოლოზ II ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობისათვის წოდებრივ თვითმმართველობის მინიჭებაზე. იმავე წლის 2 დეკემბერს სენატმა მიიღო უმაღლესი განკარგულება, რომელშიც ნათქვამი იყო: 1) თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობი-

სათვის ნაბოძები წარმომადგენლების არჩევის უფლება გავრცელდეს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობაზეც, იმ პირობით, რომ არჩევნები მათ ჩაატარონ განსაკუთრებული წესების საფუძველზე; 2) თბილისის გუბერნიაში არსებული თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს მაგალითის მიხედვით, ასეთივე საკრებულო ჩამოყალიბდეს ქუთაისის გუბერნიაშიც.

იმპერატორის ნება-სურვილის თანახმად მ. ვორონცოვმა წინადადება მისცა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს გაგარინს შეედგინა ქუთაისის გუბერნიის პირობების შესაბამისი წესები და ჩაეტარებინა ნოდებრივ დაწესებულებათა თანამდებობის პირთა არჩევნები. დავალება შესრულდა; 1852 წლის მაისში არჩევნები ჩატარდა. თავდაპირველად გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლად აირჩიეს ს. წერეთელი, რომელმაც რუსული ენის არცოდნის გამო უარი თქვა (უარი ათქმევინეს) ამ თანამდებობის ღაკავებაზე. ამის შემდეგ კენჭი იყარეს გ. წერეთელმა, ი. წულუკიძემ და ლ. გურიელმა. გაიმარჯვა ლევან გურიელმა. მ. ვორონცოვის წარდგინებით იმპერატორმა ლ. გურიელი დაამტკიცა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლად (მარშლად) (67, 56-57).

სამეგრელოს სამთავროს უფლებაშეკვეცილი ავტონომია ფაქტიურად 1857 წელს გაუქმდა, მაგრამ ფორმალურად 1867 ნლამდე არსებობდა. ამის შემდეგ ზუგდიდისა და სენაკის მაზრები ქუთაისის გუბერნიაში შევიდა. იმავე წლის სამეგრელოს თავადაზნაურობამ მეფის ნაცვალს მიხეილ რომანოვს გაუგზავნა უქვეშევრდომილესი მოხსენებითი ბარათი „სამაზრო წინამძღოლთა არჩევის უფლების მიცემაზე". აღიძრა სათანადო შუამდგომლობა და იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ შესაძლებლად მიიჩნია მეგრელთა თხოვნის დაკმაყოფილება, მაგრამ სრულუფლებიანი ნოდებრივი დაწესებულებები სამეგრელოში უნდა დაარსებულიყო იქაური თავადაზნაურობის პრივილეგიურ წოდებაში ოფიციალურად დამტკიცების შემდეგ. მანამდე კი სამეგრელოს თავადაზნაურობას უფლება მიეცა აერჩია თავის რწმუნებულები, რომელნიც საშუამავლო ფუნქციას შეასრულებდნენ წოდებასა და მთავრობის მოხელეებს შორის. წინამძღოლებისა და დეპუტატების არჩევნები ჩატარდებოდა მაშინ, როცა სამეგრელოს ორი მაზრის წოდებრივი დაწესებულება საბოლოოდ შეერწყმოდა ქუთაისის გუბერნის წოდებრივი თვითმმართველობის ორგანოებს (70, 1-2). აფხაზეთსა და აჭარაში მიწათმფლობელთა კლასს თვითმმართველობის ორგანოთა შექმნის უფლება არ მიეცა.

ამგვარად, ქართველმა თავადაზანურობამ, ძველი დამოუკიდებელი საქართველოს მმართველმა წოდებამ, რუსეთთან მიერთების დროს და შემდეგაც შეინარჩუნა მხოლოდ შინაწოდებრივ საქმეთა თვითგამგებლობის და მესამე-მეოთხე ხარისხის მოხელეთა არჩევის უფლება. ე. წ. მრჩევლები პოლიციის მოხელეები და მოსამართლეები, მართალია, უცხო სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-სამოსამართლო აპარატში მუშაობდნენ და დამხმარე როლს ასრულებდნენ, მაგრამ საქართველოს მაღალი წოდების საგრძნობ ნაწილს მიაჩნდა, რომ სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობაში მონაწილეობდა, ე. ი. ძველი ტრადიციას შეცვლილი პირობების შესაბამისად აგრძელებდა. ზოგიერთი მათგანი იმედოვნებდა, რომ დაგროვილი ცოდნა-გამოცდილება მაშინ გამოადგებოდა, როცა ქართველი ხალხი დამოუკიდებლობას აღიდგენდა და ეროვნული სახელმწიფოებრივი სტრუქტურების მშენებლობას გააგრძელებდა. ამიტომ იყო, რომ თავადაზნაურობა პროტესტით შეხვდა 1840 წლის ადმინისტრაციულ რეფორმას და წოდებრივი თვითმმართველობის უფლება-კომპეტენციის შეზღუდვას. მიუხედავად ამისა თავადაზნაურული საზოგადოება ოპტიმიზმს ინარჩუნებდა, გარკვეულ იმედებს ამყარებდა შინა თვითმმართველობაზე. ასეთი განწყობილება მოსახლეობის სხვა ფენებშიც შეიმჩნეოდა.

ქართველ თავადაზნაურთა წოდებრივ თვითმმართველობას საკმაოდ დიდ როლს ანიჭებდა ჟურნალ „ცისკრის" რედაქცია. მისი ერთ-ერთი პუბლიცისტი წერდა: „დიდი მნიშვნელობა აქვს კენჭისყრით არჩევას... ეს არის უმშვენიერესი და უწარჩინებულესი მუხლი რუსეთის კანონმდებლობისა, რომელიც არის გავრცელებული საქართველოს კეთილშობილებზეც". ჟურნალის რედაქცია მოუწოდებდა თავადაზნაურობას პატივი ეცა ამ ძვირფასი უფლებისათვის, თვითმმართველობის ორგანოებში აერჩია ღირსეული ადამიანები, რომლენიც გამოადგებოდა საზოგადოებასაც და მთავრობასაც. განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოკიდებოდა მაღალი წოდება, რედაქციის აზრით „შერჩევას მარშლებისას, რომელნიც არიან შუამავალნი და ამასთანავე უმჯობესნი თანაშემწენი მთავრობის საზოგადოების საქმეთა შინა" (52, 1).

საერთოდ კონსერვატული, მაგრამ ზოგჯერ მოლიბერალო „ცისკარი" დადებით მოვლენად თვლიდა წოდებრივი თვითმმართველობის არსებობას და იმედს გამოთქვამდა, რომ თავადაზნაურობა გონიერად, ქვეყნისა და საზოგადოებისათვის სასიკეთოდ გამოიყენებდა თავის უფლებას. ეს ოპტიმიზმი რამდენადმე გა-

დაჭარბებული იყო. 1840 წლის დისკრიმინაციული რეფორმის შემდეგ წოდებრივ თვითმმართველობას მხოლოდ იმის უფლება ეაუტოვეს, რომ მთავრობის სასამართლოებში გაეგზავნა რამდენიმე მსაჯული. ერთი ორი კაცი ამიერკავკასიის მთავარსამმართველოსთან არსებულ საბჭოშიც შედიოდა. ზოგი ინიშნებოდა პოლკისა და დივიზიის მეთაურად, გუბერნატორად და მაზრის უფროსად. მაგრამ ყველაფერი ეს ერთად აღებულიც კი არ იძლეოდა ეროვნული ინტერესების სრულად დაცვის გარანტიას. იმის თქმა კი შეიძლება, რომ რუსეთის სახელმწიფოს სამსახურში დაწინაურებულ მოხელეთა ერთი ნაწილი ცდილობდა კარიერა ქართველი ხალხის სასიკეთოდ გამოეყენებინა. ზოგიც ქართული ეროვნული სახელმწიფოს აღორძინების პერსპექტივაზე ფიქრობდა. ასეთი იმედიანი განწყობილება სუფევდა 1832 წლის შეთქმულთა ნრეში. შემთხვევითი არ იყო, რომ განთავისუფლებული საქართველოს მთავრობის მინისტრებად რუსეთის სამხედრო-სამოქალაქო სამსახურში დაწინაურებული პიროვნებანი დაასახელეს.

რუსეთში წოდებრივ-წარმომადგენლობითი სათათბირო ე. წ. საერობო კრება XVII ს-ის ბოლოს გაუქმდა, ეს ვრცელი ქვეყანა აბსოლუტურ-მონარქიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. XVIII ს-ის მეორე ნახევარში რეჟიმი რამდენადმე შერბილდა. 1785 წელს ეკატერინე მეორემ თავადაზნაურობას შიგაწოდებრივი თვითმმართველობა უბოძა. XIX ს-ის დამდეგს ალექსანდრე პირველმა შექმნა სახელმწიფო საბჭო, რომელიც ახალი ყაიდის სათათბირო ორგანოს ჩანასახს წარმოადგენდა. ანალოგიური ორგანოები იმპერიის ზოგიერთ დიდ რეგიონებშიც ჩამოაყალიბეს.

1840 წლის ადმინისტრაციული რეფორმის დებულების შესაბამისად ამიერკავკასიის მთავარსამმართველოსთან შეიქმნა საბჭო, რომელიც ამ რეგიონში 1844 წელს მეფისნაცვლად დანიშნულმა მიხეილ ვორონცოვმა უცვლელად დატოვა და მის წევრთა ცოდნა-გამოცდილებას კარგად იყენებდა რთული საკითხების განხილვა-გადაწყვეტის დროს. მ. ვორონცოვმა ამ საბჭოში ქართველ თავადაზნაურთა წარმომადგენლებიც (ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანსკი, დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი და სხვ.) შეიყვანა. საქმის მსვლელობასა და ზოგიერთი საკითხების გადაწყვეტაზე საბჭოს ქართველი წევრებიც ახდენდნენ გარკვეულ გავლენას.

1857 წელს კავკასიაში მეფისნაცვლად დაინიშნა ბარიატინსკი. მოკლე ხანში მან შეადგინა ახალი დებულება „კავკასიის მთავარმმართველობისა და მეფისნაცვლის საბჭოს შესახებ". ამ

რეგიონალური კანონის მიხედვით, კავკასიის მთავარმმართველობა შედგებოდა დეპარტამენტებისაგან. ცალცალკე საქმიანობდნენ საერთო საქმეთა, საფინანსო საქმეთა, სახელმწიფო ქონების, სასამართლო საქმეთა დეპარტამენტები. ამ თავისებურ სამინისტროებს გარდა, ცალკე დაწესებულებების სახით არსებობდნენ სოფლის მეურნეობისა და უცხოელ კოლონისტთა საგანგებო სამმართველოები, საერობო ბეგარათა საკრებულო. 1859 წელს ჩამოყალიბდა საკონტროლო დეპარტამენტი, რომლის მოვალეობას შეადგენდა მეფისნაცვლისადმი დაქვემდებარებული სამოქალაქო დაწესებულებათა ფულადი ანგარიშების რევიზია. ბრიატინსკიმ მთავარსამმართველოს საბჭოს უწოდა მეფისნაცვლის საბჭო, რომელიც დებულების თანახმად განიხილავდა იმ საკითხებს, რასაც პირადად მეფის ნაცვალი დაავალებდა. ამდენად, ამ სათათბირო ორგანოს უფლება-კომპეტენცია და მნიშვნელობა საგრძნობლად შემცირდა.

ბრიატინსკის მიერ შედგენილი კანონ-დებულება იმპერატორმა ექსპერიმენტულ ღონისძიებად მიიჩნია და მისი მოქმედება ორი წლის ვადით განსაზღვრა. ამ გარდამავალ პერიოდში კავკასიის მთავარსამმართველოს განსაკუთრებული დანიშნულების მოხელედ მუშაობდა თავადი ირაკლი მუხრანბატონი. მხარის სამოქალაქო მოწყობის დროებით განყოფილებაში დიდი თანამდებობა ეკავა თავად მიხეილ თუმანიშვილს. სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტში საქმიანობდნენ ავთანდილოვი, დოდაევ-მაგარსკი და სხვები. მაგრამ გენერალმა და პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა ყველა ქართველს გაასწრო. ბრიატინსკის დროს მას თბილისის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობა ეკავა, ხოლო მისი განვევის შემდეგ თითქმის ორ წელს ასრულებდა მეფისნაცვლის მოვალეობას.

გრიგოლ ორბელიანმა შეაჯამა ბრიატინსკისა და მის მიერ შექმნილ ექსპერიმენტულ დაწესებულებათა საქმიანობის შედეგები. უპირველეს ყოვლისა მან შეაფასა გარდამავალ პერიოდში მომხდარი ცვლილებები, დადებითი და უარყოფითი გამოცდილება. გრ. ორბელიანის მოხსენება განსახილველად გადაეცა მეფისნაცვლის საბჭოს. სხდომებზე განსაკუთრებით მწვავე კამათი გაიმართა თვით სათათბირო საბჭოს არსისა და დანიშნულების შესახებ. მცირე ნაწილმა დასვა საკითხი – საჭირო იყო თუ არა მეფის ნაცვალთან საბჭოს, სათათბირო ორგანოს არსებობა. თუ საჭირო იყო რა საფუძველზე, როგორ უნდა წარმართულიყო მისი საქმიანობა. შენიშვნები გამოთქვეს საბჭოს წევრებმა ბარტოლომეიმ, კოლუბიაკინმა, ფადეევმა.

განსახილველ საკითხებზე ვრცლად იმსჯელეს და გაცილებით კრიტიკული აზრი გამოთქვეს, ფაქტობრივად საკმაოდ ფართო მოხსენებითი ბარათი წარადგინეს დ. ყიფიანმა და დესიმინმა. მათ აღნიშნეს, რომ საბჭოს რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილება პირადად ბრიატინსკიმ მიიღო, არავის არაფერს შეკითხებია, მისი წინადადება საბჭოს სხდომაზე განხილული არ ყოფილა. მომხსენებლებმა საბჭოს სამწლიანი მუშაობის შეფასებისაგან თითქოს თავი შეიკავეს, მაგრამ შენიშვნებიც გამოთქვეს. აღნიშნეს, რომ მთავარსამმართველოსთან არსებული საბჭო გაცილებით ნაყოფიერად მუშაობდა. იგი კანონით გათვალისწინებულ საკითხებსაც განიხილავდა და მეფისნაცვლის (მ. ვორონცოვის, მურავიოვის) მიერ გადაცემულსაც. ბრიატინსკის მიერ შექმნილ საბჭოს კი მხოლოდ მეფისნაცვლის მიერ გადაცემული საკითხების განხილვა ევალებოდა, არ ჰქონდა შემოქმედებითი ინიციატივის გამოჩენის უფლებაო.

დ. ყიფიანის და მისი თანაავტორის აზრით, ადრინდელი (1838-1849 წწ.) შედგენილი საბჭოს დადგენილება-გადაწყვეტილებანი სათათბირო ხასიათისა და თითქმის ყოველთვის საბოლოოო იყო. 1858 წელს დაარსებულ საბჭოს კი ამდენი უფლება არ აქვს. მის მიერ მიღებულ დადგენილება-გადაწყვეტილებებს კი განიხილავენ მეფისნაცვლისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული მოხელეები და თავის შეხედულებით უარყოფენ ან ამტკიცებენ მას. ყოფილი საბჭო განიხილავდა სხვადასხვა სიტუაციაში წარმოშობილ სირთულე-გაუგებრობებს, იცავდა სახელმწიფო ხაზინის, საზოგადოების, კერძო პირების ინტერესებს. ახლანდელ საბჭოს კი, მისი სამოქმედო წრის განუსაზღვრელობის გამო, ასეთი ამოცანების გადაწყვეტა არ შეუძლია. ასეთიაო სამწლიანი გამოცდილების სამწუხარო შედეგი. ამიტომ რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ექსპერიმენტი, მით უფრო ნაკლებ რაციონალური და გამართლებული იქნება საბჭოს არსებობა, მისი დაფინანსებისათვის ყოველწლიურად 60 ათასი მანეთის დახარჯვა.

შემდეგ იგივე მოხსენებაში ლაპარაკია არსებით საკითხებზე, ავტორები მსჯელობენ საბჭოს უფლება-კომპეტენციასა და მნიშვნელობაზე: „რაც უფრო ფართოა ხელისუფლება მით უფრო დეტალურად და მრავალხმრივად უნდა დამუშავდეს საკითხები. ამიერკავკასიის მთავარმმართველებს ჰქონდათ გენერალ-გუბერნატორის უფლებამოსილება და მათ მოქმედებას აკონტროლებდნენ რუსეთის მთავრობის სამინისტროები. ასეთ პირობებში ნაკლებ მოსალოდნელი იყო მთავარმმართველის მიერ შეცდომის დაშვება. მიუხედავად ამისა ამიერკავკასიის მთავარსამმართვე-

ლოს საბჭო აღიარებული იყო სასარგებლო დაწესებულებად. მეფისნაცვლის კავკასიაში მოქმედება კი სამინისტროებისაგან არ კონტროლდება, რადგან თვით მეფის ნაცვალი ახორციელებს ამიერკავკასიის მასშტაბით მინისტრთა ფუნქციებს. მეფის ნაცვალი ისე დიდი უფლებამოსილებითაა აღჭურვილი, იმდენად ბევრი მნიშვნელოვანი საკითხები აქვს გადასაწყვეტი, რომ მის განხილვას, სათანადო დადგენილების მიღებას ვერ შესძლებენ მეფისნაცვლისადმი დაქვემდებარებული დეპარტამენტები. ბევრი ასეთი საკითხების შესწავლა-გადაწყვეტისათვისაა აუცილებელი მცოდნე, გამოცდილი, მაღალი რეპუტაციის პირებისაგან შედგენილი საბჭო. მაგრამ ასეთი სათათბირო დაწესებულებაც კი ვერ გაამართლებს არსებობას, თუ თავიდანვე და პირდაპირ არ განისაზღვრა ის საგნები, საკითხები, რომელნიც საბჭოს აუცილებელი განხილვის ობიექტი იქნება".

ამჟამად მოქმედი წესის მიხედვით, განაგრძობს დ. ყიფიანი, საბჭო განიხილავს დეპარტამეტებისაგან დაყენებულ და მეფისნაცვლისაგან გატარებულ საკითხებს. სამი წლის განმავლობაში საბჭომ განიხილა 292 საქმე, რაც ხაზინას დაუჯდა 180 ათასი რუბლი, მაგრამ დადგენილებები, უმეტეს შემთხვევაში, მიღებული არ ყოფილა. ასეთ პირობებში საბჭოს არსებობა გაუმართლებელია. საბჭომ რომ თავის დანიშნულება შეასრულოს, სარგებლობა მოუტანოს მეფისნაცვლის და მის სამმართველო მხარეს, აუცილებელია ამჟამად მოქმედი საბჭოს დებულების არსებითად შეცვლა-შესწორება. მასში უნდა ჩაიწეროს საბჭოში განსახილველი საკითხების ნუსხა და ეს უნდა შევიდესო რუსეთის კანონთა კრებულში (62², 20-27).

1863 წელს მეფისნაცვლად კავკასიაში მიხეილ რომანოვი გამოიგზავნა. მან იმპერატორს აუწყა, რომ მხარის სამოქალაქო მოწყობის დროებითი განყოფილება ვერაფერს აკეთებს, საჭიროა ამ დაწესებულების გარდაქმნა. ასევე რეორგანიზაციას საჭიროებსო მეფის ნაცვალთან არსებული საბჭოც. მალე ამის შემდეგ საკითხის შესწავლა და სათანადო წინადადებათა წარმოდგენა დაევალა ნამდვილ სამოქალაქო მრჩეველს ავთანდილოვს. ამ უკანასკნელმა გაბედა ბარიატინსკის უფრო მკვეთრი კრიტიკა. ავთანდილოვმაც აღნიშნა, რომ კავკასიის მთავარსამმართველოს საბჭო 1838 წელს შეიქმნა. 1840 წლის რეფორმამ მისი არსებობა დააკანონა. მ. ვორონცოვის მეფისნაცვლობის დროს საბჭოს უფლება-კომპეტენცია არ შეზღუდულა. ამ ორგანოს მნიშვნელობის დაკნინება ბარიატინსკის ზეობაში მოხდაო.

ავთანდილოვმა მოიწონა დ. ყიფიანისა და მისი თანააავტო-

რის მოხსენებითი ბარათის დედააზრი, რომ საჭიროა საბჭოს რეორგანიზაცია, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ ეს გარდაქმნა საერთო ადმინისტრაციულ რეფორმას უნდა დაუკავშირდესო. ბოლოს და ბოლოს მეფისნაცვლის საბჭოს უფლება-კომპეტენცია დ. ყიფიანისა და ავთანდილოვის წინადადებათა შესაბამისად განისაზღვრა. ოფიციალურად დაფიქსირდა ის საკითხები, რომელიც ამ საათაბირო ორგანოს სხდომაზე უნდა განხილულ-გადაწყვეტილიყო:

1. შეცდომა-დანაშაულში მხილებულ მოხელეთა სასამართლოზე გადაცემის და საგუბერნიო სამმართველოთა მიერ უკანონოდ დადებული ადმინისტრაციულ სასჯელთა გაუქმების საკითხები;

2. მოხელეთა თანამდებობიდან გადაყენების საკითხები, რაც დაკავშირებული იყო უკანონო ქმედებასთან, სახელმწიფო უძრავ-მოძრავი ქონების მითვისებასთან;

3. საკონტროლო დეპარტამენტის მოქმედებაზე გამოთქმული შენიშვნები;

4. საგუბერნიო ხელისუფლების მიერ საქმეების არასწორად გადაწყვეტის და დაგვიანებით განხილვისათვის შემოსული საჩივრები;

5. თბილისის კომერციული სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენთა გადასინჯვის საკითხები, რაც საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა მეფის ნაცვალს;

6. უმაღლესი ბრძანებებისა და სენატის დადგენილებათა კავკასიაში გატარების წესის შემუშავება და დადგენა ისეთი შემთხვევებისა, როცა საიმპერიო კანონი და განკარგულება კავკასიაზე არ უნდა გავრცელებულიყო;

7. მხარის ყოველწლიური ფინანსური გეგმის, შემოსავალ-გასავლის ბიუჯეტის დამტკიცებასთან დაკავშირებული საკითხები;

8. დასაბუთება უმაღლესი მთავრობისათვის გასაგზავნი შუამდგომლობებისა ახალი დაწესებულებებისა და საწარმოების დაფინანსებისათვის სახსრების გამოყოფის შესახებ;

9. ქალაქებში ახალი გადასახადების შემოღება, პოდრიადების, კონტრაქტების, საიჯარო ხელშეკრულებების განხილვა-დამტკიცების დროს წარმოშობილი საკითხები;

10.კერძო პირისაგან სახელმწიფოს საჭიროებისათვის ჩამორთმეული მამულების საზღაურის გაცემასთან დაკავშირებული საკითხები;

11.საგადასახადო სისტემაში ცვლილებების შეტანის, გა-

დასახადთა ნარჩენების ჩამოწერის და ამ სფეროსთან დაკავშირებული სხვა საკითხები (62*, 108-113).

კავკასიის ყველა დაწესებულებისა და მათ შორის საბჭოს ფუნქციები, წერდნენ იმდროინდელი მოხელე-თეორეტიკოსები, უნდა გამომდინარეობდეს თვით მეფისნაცვლის მნიშვნელობიდან. სახელწოდება ტიტული „მისი უმაღლესობა, იმპერატორის ნამესტნიკი" (ნაცვალი) სრულად გამოხატავს მეფისნაცვლის მაღალ ადგილს სახელმწიფოში. იგი არის უდიდესი თანამდებობის პირი, რომელიც სარგებლობს იმპერატორის სრული ნდობით და მხოლოდ მის წინაშე აგებს პასუხს. მეფის ნცვალის ფართო უფლება-კომპეტენციას უნდა შეესაბამებოდესო იმ დაწესებულებათა და მოხელეთა ფუნქციები, რომელნიც მის დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ. ამის გათვალისწინებით უნდა გარდაქმნილიყო მეფისნაცვლის საბჭოც, მისი სტრუქტურა და მუშაობის წესი. ამ სათათბირო ორგანოს არსებითი მონაწილეობა უნდა მიეღო საკანონმდებლო და განმკარგულებელი ხასიათის დადგენილებაგადაწყვეტილებათა მიღებაში.

სახელმწიფო სამართლის სპეციალისტებმა ამიერკავკასიის მთავარსამმართველოს მოწყობა გაიაზრეს შემდეგ საფუძველზე:

1. სამოქალაქო საქმეებს განაგებს მეფისნაცვლის მთავარი სამმართველო.

2. მთავარსამმართველოს სისტემაში ყალიბდება დეპარტამენტები – საფინანსო, აღმასრულებელი, სასამართლო, სახელმწიფო ქონების, სოფლის მეურნეობის, საერთო საქმეების. მასში შედის მეფისნაცვლის კანცელარიაც.

3. ყველა ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელები ექვემდებარებიან მეფის ნაცვალს.

4. დეპარტამენტებისა და კანცელარიის დირექტორებს ეძლევათ ისეთივე უფლება, როგორიც აქვს რუსეთის სამინისტროთა დანესებულებების უფროსებს.

5. მეფისნაცვლის საბჭო იქმნება განსაკუთრებული დანიშნულების მოხელეებისაგან, რომლებიც შეირჩევიან გენერლებისა და I-IV კლასის სამოქალაქო მოხელეთა წრეში და მათ მეფისნაცვლის წარდგენით დანიშნავს თვთი იმპერატორი. დეპარტამენტთა დირექტორები მხოლოდ იმ შემთხვევაში დაესწრებიან საბჭოს სხდომებს, როცა განიხილება მათ კომპეტენციაში მყოფი საკითხები. მაგრამ მათ ხმის უფლება არ ექნებათ. მეფის ნაცვალს შეუძლია ზოგიერთი საკითხის განხილვისას საბჭოში მოიწვიოს გარეშე პირები (საკითხის სპეციალისტები). თუ საბჭოში

გარეშე პირები საკმაო რაოდენობიტთ იქნებიან, იგი უფრო ობიექტურად, ჭეშმარიტებასთან მიახლოებით შესძლებს საქმეების განხილვა-გადაწყვეტას.

მეფის ნაცვალი მიხეილ რომანოვი, საიმპერატორო კარის ეს წარმომადგენელი დიდი ჭკუითა და ცოდნით არ გამოირჩეოდა, მაგრამ კავკასიის მართვა-გამგეობაში იყენებდა კომპეტენტურ მოხელეებს. მ. რომანოვის მარჯვენა ხელი გახდა მთავარსამმართველოს უფროსი ბარონი ნიკოლაი. 1864 წელს სწორედ მან შეადგინა მოხსენება-ბარათი „ამიერკავკასიის სამოქალაქო დაწესებულებათა ერთდროული და საერთო რეორგანიზაციის აუცილებლობის შესახებ".

ამ დოკუმენტში ნათქვამია, რომ საქართველოსა და ამიერკავკასიის ადმინისტრაციული ერთეულის ჩამოყალიბება-სრულყოფის სფეროში 1801 წლიდან დღმდე ორი მეთოდი გამოიყენება. პირველი არის საერთო გარდამნების, ხოლო მეორე ცალკეული ცვლილება-შესწორებათა მეთოდია. პირველი ორგზის იქნა გამოყენებული: 1) 1801 წელს, როცა რუსეთთან ახლად მიერთებულ საქართველოში გაუქმდა ეროვნულ-ფეოდალური მართვა-გამგეობა და შეიქმნა რუსული მმართველობა; 2) 1840 წელს, როცა ამიერკავკასიაში გატარდა ადმინისტრაციული რეფორმა. ყველა სხვა შემთხვევაში შექმნილი სიტუაციების შესაბამისად ცალკეულ გარდაქმნათა მეთოდი გამოიყენებოდაო. მისი ნაკლი ნიკოლაის აზრით, ის იყო, რომ ადგილობრვი მოსახლეობის თვალში ვერ ამაღლებდა კანონისა და მის შესაბამის დაწესებულებათა ავტორიტეტს. ამიტომ კვლავ დადგა საერთო გარდაქმნათა გატარების დრო და ჩემი წინადადებები შემომაქვსო.

მეფის ნაცვალმა მოიწონა ნიკოლაის თვალსაზრისი, მისი თავმჯდომარეობით ჩამოაყალიბა სპეციალური კომისია. მან 2 წელი იმუშავა, დააზუსტა ჯერ კიდევ 1845 წელს შექმნილი მეფისნაცვლის ინსტიტუტის არსი, მის მოხელეთა უფლება-კომპეტენცია. შედგენილი პროექტი მ. რომანოვმა გადაუგზავნა იმპერატორს, რომელმაც დაამტკიცა იგი 1867 წლის 9 დეკემბერს.

ახალი კანონის, დებულების თანახმად მეფის ნაცვალი კვლავ გამოცხადდა კავკასიის უმაღლეს ხელისუფლად, რომლის მეშვეობითაც რუსეთის იმპერატორი და მისი მთავრობა ატარებდა თავის პოლიტიკას ამ მხარეში. მეფის ნაცვალი თავის საქმიანობაში ექვემდებარებოდა მხოლოდ იმპერატორს. კავკასიის ფარგლებში არსებული ყველა დაწესებულება, ყველა მოხელე ემორჩილებოდა მეფის ნაცვალს. მეფისნაცვლის უახლოესი თანაშემწე იყო მთავარსამმართველოს უფროსი. მეფის ნაცვალთან

შეიქმნა საბჭო, სათათბირო დაწესებულება, რომლის მოვალეობას შეადგენდა კანონით გათვალისწინებული და მეფისნაცვლის მიერ გადაცემული საკითხების განხილვა, სათანადო დადგენილების გამოტანა. საბჭოში შედიოდნენ: თბილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარე, დეპარტამენტებისა და სამმართველოთა უფროსები, აგრეთვე მეფისნაცვლის მიერ შერჩეული პირები. განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხთა განხილვის დროს საბჭოს სხდომებზე იწვევდნენ სახაზინო და საკონტროლო პალატების უფროსებს, აგრეთვე გარეშე პირებს, რომელთა ცოდნა-გამოცდილება, მეფისნაცვლის აზრით, გაადვილებდა განსახილველ საკითხებზე სათანადო დასკვნა-დადგენილების გამოტანას.

რუსეთის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაციის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია იყო გადასახადების განერა-აკრეფა, ამ გზით სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება. ახალი დებულების შესაბამისად ჩამოყალიბდა განსაკუთრებული კოლეგიალური ორგანო – საგადასახადო საკრებულო, რომელიც ატარებდა ჩვეულებრივ და საგანგებო სხდომებს. პირველზე განიხილებოდა მიმდინარე საკითხები. საგანგებო სხდომები მოიწვეოდა გადასახადთა მოსახლეობაზე განაწილებისა და ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენის დროს. მასში მონაწილეობისათვის მოიწვეოდნენ გუბერნატორები, სახაზინო პალატის მმართველი, ქართველ თავადაზნაურთა წინამძღოლები. ქალაქის თავები, ნოდებათა წარმომადგენლები.

დებულების თანახმად ამიერკავკასია გაიყო ხუთ გუბერნიად. თბილისის გუბერნიაში შევიდა ახალციხის, გორის, დუშეთის, თბილისის, თელავის და სიღნაღის მაზრები. ქუთაისის გუბერნიაში – ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, ოზურგეთის, ზუგდიდის, სენაკის და ლეჩხუმის მაზრები. ცალკე ერთეულად გამოიყო სოხუმის ოკრუგი, 1878 წელს ჩამოყალიბდა ბათუმის ოლქი. საგუბერნიო და სამაზრო სამმართველოებში ქართული წარმომავლობის მოხელეებიც შედიოდნენ.

1867 წლის ადმინისტრაციული რეფორმის კანონმდებლობათა მომზადებისა და დამტკიცების დროს ბატონყმობის გაუქმება, საგლეხო რეფორმის გატარება თითქმის დამთავრებული იყო, მაგრამ მას სჭირდებოდა პრაქტიკული რეალიზაცია, ამიტომ ამიერკავკასიის მთავარსამმართველოს დაწესებულებათა სისტემაში ჩამოყალიბდა გლეხთა საადგილმამულო მოწყობის კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ მთავარსამმართველოს უფროსი (თავმჯდომარე) და მისდამი დაქვემდებარებული მოხელეები. მის ფუნქციებში შედიოდა: საგლეხო რეფორმის კანონ-დე-

ბულების ცხოვრებაში გატარება, ახალი წესებისა და განაწესების პროექტთა შედგენა, გლეხთა საკითხებზე მიღებულ დადგენილებათა შესრულებაზე მეთვალყურეობა, მემამულეთა და დროებითვალდებულ გლეხთა შორის აღმოცენებული სადაო საკითხების გარჩევა. 1877 წელს ეს კომიტეტი გაუქმდა. მისი ფუნქციები გადაეცა მეფისნაცვლის საბჭოს.

საქართველოში მაზრის უფროსების უფლება-კომპეტენცია იგივე იყო, რაც ცენტრალურ რუსეთში. მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში ადგილობრივი (საერობო) თვითმმართველობა არ ყოფილა შემოღებული, აქაურ მაზრის უფროსებს დამატებით დაეკისრა საერობო საქმის წარმოება და სათანადო ანგარიშების შედგენა მოსახლეობის მიერ ფულადი საერობო გამოსაღების შეტანისა და ნატურალურ ვალდებულებათა მოხდის შესახებ. მაზრის უფროსები ამ საქმეში იყენებდნენ პოლიციის მოხელეებს და სასოფლო საზოგადოებათა მამასახლისებს.

1867 წლის რეფორმამდე პოლიცია საგამომძიებლო და სამოსაართლეო უფლებებითაც იყო აღჭურვილი. ახალმა კანონდებულებამ ფორმალურად გამიჯნა მთავრობის ადმინისტრაცია და სასამართლო ორგანოები. პოლიცია გაათავისუფლა სამოსამართლო ფუნქციისაგან. მაზრებში შეიქმნა ე. წ. მომრიგებელი სასამართლოები. დაკანონდა მოსამართლეთა დანიშვნა მთავრობისაგან. მომრიგებელ შუამავალთა განაჩენებზე აღძრული საჩივრების განხილვა დაევალა საოლქო (საგუბერნიო) სასამართლოს. საოლქო სასამართლოებს სისხლის სამართლის საქმეები უნდა გაერჩიათ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობის გარეშე. მთელი ამიერკავკასიისათვის შეიქმნა ერთი უმაღლესი სასამართლო ინსტანცია თბილისის სასამართლო პალატის სახით, რომელიც დაექვემდებარა საიმპერიო სენატის საკასაციო დეპარტამენტს.

XIX ს-ის 70-იან წლებში კავკასიის მართვა-გამგეობის დებულება შესწორდა და თითქოს დაიხვეწა. დასრულებული სახით კანონი 1875 წელს დამტკიცდა, 1876 წელს შეიტანეს რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულში. ეს კანონი ღაღადებს, რომ კავკასიის უმაღლესი ხელისუფალი არის რუსეთის მეფის ნაცვალი, რომელიც ხელმძღვანელობს მხარის სამოქალაქო მმართველობის მთელ აპარატს და იმავდროულად არის კავკასიაში მდგარი ჯარების მთავარსარდალი. ამდენად, რეფორმამ მთლიანად ვერ გამიჯნა-სამხედრო და სამოქალაქო მმართველობა, ბოლო არ მოუღო საოკუპაციო რეჟიმს.

მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფლება-კომპეტენციაში თითქმის არაფერი შეცვლილა. შედარებით მეტი

ცვლილება მოხდა კავკასიის უმაღლეს ხელისუფალთან არსებულ სათათბირო ორგანოში. მეფისნაცვლის საბჭოს სათავეში ჩაუდგა მეფისნაცვლის თანაშემწე. საბჭოს წევრები იყვნენ მთავარსამართველოს უფროსი, თბილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარე და მეფისნაცვლის მიერ შერჩეული სხვა რამდენიმე მოხელე. სხვადასხვა უწყებათა საქმეების განხილვის დროს სხდომებზე ხმის უფლებით მოიწვეოდნენ კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი, გუბერნატორები, სახაზინო და საკონტროლო პალატათა უფროსები. მეფისნაცვლის საბჭოში განიხილებოდა: 1) დანაშაულის ჩადენისათვის თანამდებობის პირთა პასუხისგებაში მიცემის საკითხები; 2) შემოსავალ-გასავლის ბიუჯეტის პროექტები; 3) მხარის ადმინისტრაციულ დაყოფაში შესატანი ცვლილების, დაბების ქალაქად გარდაქმნისა და სხვა საკითხები; 4) მეფისნაცვლის სახელით შექმნილ წესდება-დადგენილებათა პროექტები; 5) კავკასიაზე გასავრცელებელი საერთო საიმპერიო კანონ-დებულებები; 6) ყველა საკითხი, რომელთა შესწავლა-გადაწყვეტას მეფის ნაცვალი ამ სათათბირო ორგანოს დაავალებდა (62[ბ], 2-9).

ადმინისტრაციული და სასამართლო რეფორმების გატარების შემდეგ, როცა ადგილობრივი ფულადი შემოსავლები კავკასიის ცენტრალური მმართველობის უწყებაში გადავიდა, მეფის ნაცვალმა და მთავარსამმართველომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საგადასახადო სისტემის მოწესრიგება-გაუმჯობესებას, მხარის ბიუჯეტის გაზრდას. თუ 1863 წელს ყველა სახის გადასახადმა შეადგინა 3,1 მლნ მანეთი, 1870 წელს გაიზარდა 6,8 მლნ მანეთამდე. 1881 წელს საშემოსავლო ბიუჯეტმა მიაღწია 8,8 მლნ. მანეთს. ადგილობრივი შემოსავალი ფარავდა ამიერკავკასიის მართვა-გამგეობის და სხვა ხარჯებს. ადგილობრივი შემოსავლების დიდი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტში შედიოდა.

ამგვარად, 1845-1881 წლებში რუსეთის მართვა-გამგეობის სისტემაში კავკასიას ჰქონდა ადმინისტრაციული ავტონომია. რუსი მოხელეები ამას კავკასიელი ხალხებისადმი დათმობის, მათი ინტერესების დაცვის ფაქტად აცხადებდნენ. მაგრამ ადმინისტრაციულ ავტონომიას, რუსი მოხელეების უფლება-კომპეტენციის გაფართოებას პროგრესული მნიშვნელობა იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ ანგარიში გაეწეოდა ადგილობრივი ერების ზნე-ჩვეულებას, ტრადიციებს; არ შეზღუდავდნენ ადგილობრივი ენების გამოყენების არეალს, არ შეავიწროვებდნენ ეროვნულ კულტურებს, იზრუნებდნენ ხალხის უფლებრივი და ეკონომიკუ-

რი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. წინაალმდეგ შემთხვევაში, ავტონომიურ მმართველთა უკონტროლობა ხელსაყრელ პირობებს შექმნიდა ადგილობრივი რუსი მოხელეების თვითნებობისა და ბოროტ-მოქმედებისათვის.

კონკრეტული მასალის ანალიზი, მოვლენების შედარებითი მეთოდით შესწავლა ცხადყოფს, რომ რუსი მოხელის ადგილობრივი მოსახლეობისადმი დამოკიდებულება, რუსიფიკატორულ-კოლონიური პოლიტიკა, არსებითად არც აღნიშნულ პერიოდში შეცვლილა, მაგრამ უკეთესობა მაინც შეიმჩნეოდა. არამარტო რუსული ადმინისტრაციის ადგილობრივი მოხელეები (გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, ი. ბაგრატიონ-მუხრანსკი, მ. თუმანიშვილი, ავთანდილოვი და სხვ.), არამედ ქართველი საზოგადო მოღვაწეებიც (ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი, აკ. წერეთელი, გ. წერეთელი და სხვ.) მეფის ნაცვალობის ხანას ადრინდელ და მომდევნო პერიოდებზე წინ აყენებდნენ. მიაჩნდათ, რომ ადმინისტრაციული ავტონომიის არსებობის წლებში რამდენადმე იზღუდებოდა რუსული დამპყრობლური პოლიტიკის აშკარა გამოვლინებანი, შედარებით მეტი გასაქანი ეძლეოდა ქართველთა საზოგადოებრივ აზროვნებასა და მოღვაწეობას. გარკვეული პირობები მზადდებოდა ეროვნულ ავტონომიაზე მსჯელობისა და პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნის წამოყენებისათვის. პატრიოტები ვარაუდობდნენ, რომ თუ საოცნებო ეროვნული ავტონომია რეალობად გადაიქცეოდა, რუსეთის კავკასიურ არაპატში საქმიანობით ცოდნა-გამოცდილება მიღებული ქართველი მოხელეები დადებით როლს შესრულებდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინების საქმეში.

მაგრამ პოტენციური შესაძლებლობის რეალობად გადაქცევის წინაპირობა იყო ქართველთა ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოვება. მისი ახალი ფორმებით შევსება. ეს გახდიდა იძულებულს რუსეთის იმპერატორს, ან მის შემცვლელ დემოკრატიულ ხელისუფლებას წასულიყო კომპრომისზე, საქართველოსთვის მიენიჭებინა ავტონომიური სახელმწიფოს სტატუსი.

ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა 1861-1917 წლებში

ბაგრატიონთა დინასტიისათვის სამეფო ტახტის დაბრუნებისა და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიის აღდგენაზე მსჯელობაც კი დიდხანს ტაბუდადებული იყო. საზოგადოებრივ შეკრებებსა და პრესაში დასაშვები გახდა მხოლოდ ლაპარაკი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა დაარსების შესახებ.

ბუტონყმობის გაუქმების შემდეგ რუსულმა ხელისუფლებამ თითქოს გლეხობასაც მისცა თავის შინაგან საქმეთა თვითგამგებლობის უფლება. 1865 წლის 11 აპრილის დადგენილების თანახმად სასოფლო საზოგადოებაში უნდა გაერთიანებულიყო ყველა კატეგორიის გლეხობა (სახელმწიფო, დროებითვალდებული, ხიზანი). სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის განმკარგულებელ ორგანოდ ნავარაუდევი იყო გლეხურ კომლთა წარმომადგენლების ყრილობა. აღმასრულებელი ხელისუფლება ეძლეოდა ყრილობის მიერ არჩეულ მამასახლისს, ხოლო მართმსაჯულება – სოფლის სასამართლოს. სოფლის საზოგადოებრივი მმართველობა ჩამოყალიბდა როგორც გლეხთა წოდებრივი დაწესებულება. სოფლის მოსახლეობის პრივილეგიური ფენები ამ მმართველობაში არც მონაწილეობდნენ, არც მის იურისდიქციას ემორჩილებოდნენ. დებულების ამ ნაკლზე თვითონვე გაამახვილეს ყურადღება ი. ჭავჭავაძემ, ნ. ნიკოლაძემ და სხვა საზოგადო მოღვაწეებმა. მისი ნაწილობრივ მაინც გამოსწორება შეიძლებოდა ყველა წოდებისათვის საერთო საზოგადოებრივი მმათრველობის შემოღებით, რომელიც უფლებასაც და მოვალეობასაც თანაბრად გაანაწილებდა მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ ფენაზე, მაგრამ თვითმმართველობის ამგვარი რეორგანიზაცია არ შედიოდა მთავრობის გეგმებში.

1864 წელს რუსეთში გატარდა ე. წ. საერობო რეფორმა („ზემსკაია რეფორმა"), ჩამოყალიბდა არჩევნების საფუძველზე დამყარებული საგუბერნიო და სამაზრო თვითმმართველობები. რუსეთის მთავრობამ საქართველოს სოფლის მოსახლეობის ყველა ფენა მოუმზადებლად მიიჩნია თვითმმართველობისათვის. ჩვენს ქვეყანაზე არ გავრცელებულა საერობო რეფორმის დებულება. არ შექმნილა საერობო თვითმმართველობის ორგანოები.

საქართველოში შედარებით მეტი გასაქანი ჰქონდა ქალაქის მოსახლეობას. ჯერ კიდევ 1840 წელს თბილისის მოქალაქეთა ზედაფენას უფლება მიეცა შეექმნა საქალაქო სათათბირო ქალა-

ქის თავისა და ექვსი ხმოსნის შემადგენლობით. თბილისის საზოგადოებრივ მმართველობის დადგენილება-განკარგულებანი სისრულეში მოჰყავდა ვაჭრებისა და ხელოსნებისაგან არჩეულ მამასახლისებს და ამქრის უსტაბაშებს.

თბილისის საზოგადოებრივი მმართველობის ძირითადი ფუნქცია იყო ქალაქის მოსახლეობაზე გადასახადების გაწერა, მისი აკრეფა და თბილისში განლაგებული ჯარის ნაწილების ბინებით უზრუნველყოფა. ამდენად, თბილისის ცენზიანმა მოსახლეობამ მიიღო თითქმის მხოლოდ თვითდაბეგვრისა და გადასახადების აკრეფის უფლება. თუმცა ამასაც ჰქონდა დადებითი მნიშვნელობა. ქალაქები რამდენადმე განთავისუფლდნენ პოლიციის თვითნებობისაგან.

ოცი წლის განმავლობაში თბილისი გაიზარდა. ქალაქის საზოგადოებრივ მმართველობას ზოგი ახალი ფუნქცია გაუჩნდა და მისი ხარჯები გადიდდა. ამიტომ მთავრობის ნებართვით საზოგადოებრივმა მმათველობამ გაზარდა გადასახადები, რამაც წვრილი ვაჭარ-ხელოსნების უკმაყოფილება და აჯანყება გამოინვია (1865 წ.). მოძრაობაში ჩაება აგრეთვე საშუალო და მსხვილი ბურჟუაზია. რომელსაც არ აკმაყოფილებდა საზოგადოებრივი მმართველობის ვიწრო სფერო და ხმას იმაღლებდა თავადაზნაურთა წოდებრივი პრივილეგიების წინააღმდეგ. მთავრობამ შეიარაღებული ძალა გამოიყვანა. თბილისელთა აჯანყება, მინიატურული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ მას მთლად უშედეგოდ არ ჩაუვლია. რუსული ხელისუფლება გარკვეულ დათმობებზე წავიდა.

1866 წლის 11 აგვისტოს დებულებით თბილისის მოსახლეობის ზედაფენამ (ბურჟუაზიამ და ქალაქში მცხოვრებმა თავადაზნაურებმა) მიიღო შეზღუდული თვითმმართველობა. მას უფლება მიეცა აერჩია 100 ხმოსნიანი საქალაქო კრება, რომელიც თავის მხრივ აირჩევდა ქალაქის თავს და განმკარგულებელ სამართველოს 8 წევრის შემადგენლობით. პირველი არჩევნები 1866 წლის ბოლოს ჩატარდა, რომლის შედეგად ხმოსანის უფლებამოსილებით აღიჭურვნენ გრ. ორბელიანი, მ. ერისთავი, ე. გრუზინსკი, რ. ანდრონიკაშვილი, ივ. ზუბალაშვილი, ა. ოვანესიანი, ნ. მირიმანოვი, ზ. სარაჯიშვილი და სხვ. ქალაქის თავად აირჩიეს სამხედრო სამსახურიდან გადამდგარი გენერალ-მაიორი ე. არწრუნი. განმკარგულებელი სამმართველოს წევრებად – ნ. ზუბალაშვილი, ა. ონიკოვი, მ. შადინოვი და სხვები.

1869 წელს გაიმართა მეორე შემადგენლობის არჩევნები. ქალაქის თავის თანამდებობა იაზონ თუმანიშვილმა დაიკავა.

მნიშვნელოვანწილად განახლდა საკრებულოსა და განმკარგულებელი სამმართველოს შემადგენლობაც. მაგრამ ამას ბევრი არაფერი შეუცვლია. უფლებამოსილებით შეზღუდულმა თვითმმართველობამ ვერ მოახერხა კომუნალური მეურნეობის გაუმჯობესება. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ თბილისის თვითმმართველობის ბიუჯეტის (რამაც XIX ს-ის 70-იან წლებში 300 ათას მანეთს გადააჭარბა) ოთხი მეხუთედი, კანონის თანახმად ჯარსა და პოლიციაზე იხარჯებოდა. ადმინისტრაციის მკაცრ კონტროლს დაქვემდებარებული თბილისის საქალაქო თვითმმართველობა რუსეთის კავკასიური ადმინისტრაციის დანამატის როლში აღმოჩნდა. მას სახელმწიფოსა და მისი აპარატის საჭიროებათა დაფინანსებისათვის იყენებდნენ.

რუსეთისა და იმპერიის განაპირა მხარეების ეკონომიკურად მომძლავრებული ბურჟუაზია არ დაკმაყოფლდა რამდენიმე ქალაქში ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი მმართველობის ვიწრო ჩარჩოებით. მეფის მთავრობისაგან მეტს მოითხოვდა აგრეთვე ლიბერალური ინტელიგენცია. მთავრობა იძულებული გახდა ანგარიში გაეწია საზოგადოებრივი აზრისათვის.

1870 წლის 16 ივნისს ალექსანდრე მეორემ დაიმტკიცა ახალი საქალაქო დებულება და ბრძანა მთელს იმპერიაში საქალაქო რეფორმის ჩატარება. დიდი და საშუალო სიდიდის ქალაქებს, უფრო სწორად მათ ზედაფენებს მისცა თვითმმართველობა. ყველგან საქალაქო თვითმმართველობის განმკარუგლებელი ორგანოს სახით ჩამოყალიბდა ცენზიანი მოსახლეობისგან არჩეული სათათბირო, რომლის კომპეტენციაში შედიოდა: თანამდებობის პირთა არჩევა და მათი ხელფასების განსაზღვრა, ქალაქის ბიუჯეტის დამტკიცება, კრედიტების აღება. ყველა გადასაწყვეტი საკითხების განხილვა, ზოგიერთ პრობლემებზე მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღძვრა და სხვა. საქალაქო სათათბირო ირჩევდა მის წინაშე ანგარიშვალდებულ გამგეობას (ქალაქის თავის მეთაურობით), რომელსაც აღმასრულებელი ფუნქციები ეკისრებოდა.

საქალაქო თვითმმართველობის მთავარ ფუნქციას შეადგენდა კომუნალური მეურნეობის კეთილმოწყობა და გამგებლობა. მას ხელი უნდა შეეწყო ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის, გაეხსნა და დაეფინანსებინა საქალაქო სკოლები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, საავადმყოფოები საქველმოქმედო დაწესებულებები.

საქართველოში საქალაქო რეფორმების გატარება 1874 წელს დაიწყო. თვითმმართველ ქალაქთა რიგებში ჩადგა თბილი-

სი (1974 წ.), ქუთაისი (1875 წ.), გორი და ახალციხე (1876 წ.), ფოთი (1882 წ.), ბათუმი (1888 წ.). XIX ს-ის 90-იან წლებში გამარტივებული საქალაქო დებულების საფუძველზე შეზღუდული თვითმმართველობა მოიპოვა თელავის, სილნაღის, დუშეთის, ახალქალაქის, ოზურგეთისა და სოხუმის მოსახლეობის ზედაფენამ. ინტელიგენციას (მცირე გამონაკლისის გარდა), საკმარისი ქონებრივი ცენზი არ გააჩნდა, რის გამო ვერც არჩევნებში მონაწილეობდა და ვერც თვითმმართველობის პრაქტიკულ საქმიანობაში. უკვე 70-80-იანი წლების მიჯნაზე დაიწყო იდეურ-თეორიული ბრძოლა საარჩევნო კანონის შეცვლისა და საქალაქო თვითმმართველობის დემოკრატიზაციისათვის. მაგრამ არსებული ფორმითაც თვითმმართველობა დადებითი მოვლენა იყო და ინტელიგენცია იცავდა მას რეაქციონერთა შემოტევისაგან.

რუსეთის აბსოლუტურ მონარქიას აშინებდა საერთო დამოკრეტიული მოძრაობა. ცდილობდა გაემარადისებინა მოსახლეობის წოდებებად და კლასებად დაყოფა. ამიტომ იყო, რომ თავადაზნაურობასაც იზოლირებული წოდებრივი თვითმმართველობა უბოძა, გლეხობასაც და ბურჟუაზიასაც. გამონაკლისს შეადგენდა საეროები – საგუბერნიო და სამაზრო თვითმმართველობა, რომლის განმკარგულებელ და აღმასრულებელ ორგანოებში მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლები შედიოდნენ.

1864 წელს საერობო დაწესებულებები დაარსდა რუსეთის 33 გუბერნიაში. სამაზრო საკრებულოებში სულ არჩეულ იქნა 13024 ხმოსანი. აქედან თავადაზნაურობის წარმომადგენელი იყო 6204, გლეხობის – 5171 და ქალაქების მცხოვრებთა – 1649. კიდევ მეტი იყო თავადაზნაურთა წარმომადგენლები საგუბერნიო საკრებულოებში. რაც შეეხება საგუბერნიო და სამაზრო ერობათა გამგეობებს, მათში თითქმის მონოპოლიურად გაბატონდა თავადაზნაურობა.

მიუხედავად ამისა, რუს ისტორიკოსთა ერთი ნაწილი ერობას საერთო-სახალხო დაწესებულებად აცხადებდა, საერობო თვითმმართველობას უპირისპირებდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს და საერობო თვითმმართველობის უფლებაკომპეტენციის გაფართოებას უკეთესი მომავლის საწინდრად მიიჩნევდა. ერობის ასეთი შეფასება გაიზიარეს ქათველმა ლიბერალებმა და დაიწყეს ბრძოლა საერობო თითმმართველობის მოპოვებისათვის.

1871 წელს ჟურნალ კრებულში ნ. ნიკოლაძემ გამოაქვეყნა სტატია - „ერობა (ზემსტვო), მისი დანიშნულება და წესდება". ავტორი აღნიშნავს, რომ რუსეთში ამ ბოლო დრომდე მართვა-გამ-

გეობის ყველა ინსტანცია თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიულ არხზე იყო გამოჭრილი. მაზრისა და სოფლის მოსახლეობას არაევინ არაფერს ეკითხებოდა. ამ ბოლო დროს, ღვთის მადლით, მდგომარეობა შეიცვალა. ხელმწიფე იმპერატორმა საჭიროდ ჩათვალა გუბერნიებისა და მაზრების ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეთა მართვა-გამგეობის თვით მოსახლეობისაგან არჩეული პირებისათვის გადაეცა. 1864 წლის 1 იანვარს დებულების თანახმად მაზრების მართვა-გამგეობა მიენდო დეპუტატების საკრებულოებს. ნ. ნიკოლაძე იქვე წერს, რომ კანონმდებლობაში არის ერთი მუხლი, რომელიც რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს ავალებს გამოარკვიოს, თუ რა ფორმით შეიძლება საერობო დებულების გატარება იმპერიის განაპირა მხარეებში (პოლონეთი, ფინეთი, ციმბირი, კავკასია). მაშასადამე შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ადრე თუ გვიან ჩვენც გველირსება ეს ბედნიერება. ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ საზოგადოებას გავაცნოთ ერობის წესდება, ვაუწყოთ თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ქართველი ხალხისათვის საერობო თვითმმართველობას (43, 565-575).

ქართველი საზოგადოება მალე დარწმუნდა, რომ რუსეთის მთავრობისა და მისი კავკასიური ადმინისტრაციის იმედი არ უნდა ჰქონოდა. მოხელეები შეცდომად თვლიდნენ საერობო თვითმმართველობის მინიჭებას თვით რუსეთის მოსახლეობის ზედაფენისათვის და ადგენდნენ კონტრრეფორმის პროექტებს. რუსეთის პროგრესული მოღვაწეები წინააღმდეგობას უწევდნენ რეაქციონერებს. ცდილობდნენ არა მარტო 1864 წლის დებულების შენარჩუნებას, არამედ მოითხოვდნენ საერობო თვითმმართველობის უფლება-კომპეტენციის გაფართოვებას. ამ საკითხის გადაწყვეტაში ქართველი მოღვაწეებიც მონაწილეობდნენ, ბედავდნენ რეაქციონერთა კრიტიკას, თავგამოდებით იცავდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის იდეას.

რუსეთის ბიუროკრატიასა და საერობო მოღვაწეებს შორის ბრძოლამ კულმინაციურ წერტილს რომ მიაღწია, ილია ჭავჭავაძემ ასეთი აზრი გამოთქვა: „თუ ერობის საქმე ისეა მოწყობილი, რომ იგი მართლა ერობდეს, უკეთესი ნატვრა, ჯერ ამხანად მაინც, მეტის წადილი იქნება,... ერობა ორკეცი რამ არის: ერთით მოვალეობაა და მეორით უფლება. ერთით – ტვირთია, რადგან ხარჯი, გადასახადი მოსდევს. მეორეთი – ღონეა სიკეთისა, რადგანაც ერი თვითონ პატრონობს თავის თავს. რაღა თქმა უნდა, ერობაში სანუკვარი უფრო მეორეა; ადამიანი ტვირთს ადვილად იკისრებს, როცა საჭიროა ეგ თავისთავისავე საკეთილოდ. მაშა-

სადამე, აქ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული რა მოედენი ექნება შემოზღუდული ერობას, რა ფართო გზა მოქმედების დაენიშნება და უკეთესთა მოჭირნახულეთა არჩევანი დაბრკოლდება თუ არა" (40, 135-136).

ი. ჭავჭავაძის ამ სტატიამ საპროგრამო მნიშვნელობა შეძინა ერობის არსის განსაზღვრასა და მისდამი დამოკიდებულების გარკვევაში. იგი ცხადყოფს, რომ ილია ერობის ცნებაში გაცილებით ფართო შინაარსის სდებდა. მას არ მოსწონდა რუსეთის მთავრობის ბიუროკრატიული აპარატის დამატების სახით არსებული ერობა და იბრძოდა დემოკრატიული, ფართო უფლებაკომპეტენციით აღჭურვილი ადგილობრივი თვითმმართველობისათვის, რომელიც, მისი ღრმა რწმენით, ნიადაგს მოამზადებდა, ხელსაყრელ პირობებს შექმნიდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა-განვითარებისათვის.

საქართველოს საზოგადო მოღვაწეების საგრძნობი ნაწილი XIX ს-ის 60-70-იან წლებშიც უჭერდა მხარს რუსეთის წინააღმდეგ საყოველთაო აჯანყების მომზადების იდეას, შეიარაღებული ბრძოლა მიაჩნდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აუცილებელ წინაპირობად. მაგრამ უმრავლესობის აზრით, ანტირუსული აჯანყება უპერსპექტივო, თანაც მეტისმეტად სახიფათო საქმე იყო. ნ. ნიკოლაძე წერდა, რომ არსებულ პირობებში ნაციონალიზმის გაღრმავება, რუსეთის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების დაწყება, საქართველოს, ქართველ ხალხს მიიყვანდა იმ სასაფლაოზე, სადაც ამასწინათ (1863 წ.) ტყავი გააძრეს პოლონეთს და სადაც მთლად სისხლი გამოსწოვეს ჩერქეზეთს (42, 264-265). ნ. ნიკოლაძის აზრით, ქართველ ხალხს ხელი უნდა აეღო გადამეტებულ ეროვნულ მისწრაფებებზე, დროებით უარი ეთქვა სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე. საქართველო უნდა დასჯერებოდა რუსეთის იმპერიის შემადგელობაში ავტონომიური სახელმწიფოს სტატუსის მიღებას. ასევე მსჯელობდა თითქმის ყველა თერგდალეული.

ქართველი ინტელიგენცია ეწეოდა რუსეთის იმპერიის ფედერაციულ საწყისებზე გარდაქმნის, საქართველოს ავტონომიურ სახელმწიფოდ მოწყობის იდეის პროპაგანდას. ამ პროგრამას დამაჯერებლად ასაბუთებდა, კერძოდ, თერგდალეულთა ლიდერი ი. ჭავჭავაძე. 1881 წელს იგი წერდა: „რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, სადაც სხვადასხვა ტომისა და ფენის ერნი ცხოვრობენ..., ამიტომ ერთს უდიდეს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს სხვადასხვა რჯულის, თუ სხვაადსხვა ერის ტომნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითაოდ და მერე როგორ უნდა

მოთავსდნენ სახელმწიფოსთან..., ყველას წინასწარ უნდა სცოდნოდა, რომ დღესა თუ ხვალ რუსეთი იძულებული შეიქნებოდა დაენიშნა საზღვარი სახელმწიფოს მოქმედებისა საზოგადოდ, ეროვნებისა ცალკედ და ერთისა და მეორის მოედანი ცალკე შემოეფარგლა". ამას მოითხოვდა, ილიას აზრით, არა მარტო სამართლიანობის პრინციპის ისტორიული განვითარება, არამედ თვით რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესებიც. იმპერიის განაპირა მხარეების, არა რუსი ერების უკმაყოფილების მიზეზი „ძირითადად ის იყო, რომ მთელი მოედანი საზოგადოებრივი ცხოვრებისა მარტო სახელმწიფოს (რუსეთისას – ა. ბ.) ეჭირა და ეროვნება, რომელსაც თავის განსაკუთრებულ ცხოვრებაში, თავის საკუთარი ჭირი და ლხინი აქვს, გულხელდაკრეფილი იყო და ხმაამოუღებლივ სხვის მაყურებელი". რუსეთს, ილიას განცხადებით, არ ჰქონდა დადგენილი, თუ სად თავდებოდა რუსეთის სახელმწიფოს უფლება და სად იწყებოდა განაპირა ერებისა.

იმავე წერილში ილია თავს ესხმის რუსეთის სახელმწიფოს ბიუროკრატიულ აპარატს, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს რუს მოხელეებს, რომლებსაც სხვა ეროვნებათა დევნა-შევინროვება სახელმწიფოს წარმატების საფუძვლად მიაჩნიათ. მათი მოქმედების შედეგი, თერგდალეულთა ლიდერის აზრით, ის იყო რომ „რუსეთის სახელი შეაძულეს მათ, ვის საერთო სიყვარულზეც უნდა აგებულიყო სახელმწიფოს ძალლონე, კეთილდღეობა, წარმატება". ილია იმასაც აღნიშნავდა, რომ ეროვნული საკითხის სამართლიანად გადაჭრის იდეამ რუსეთის მოწინავე საზოგადოებაშიც გაიდგა ფესვი. ეს ცივილიზაციის ნაყოფიაო. ჩვენ მარტო ის გვიკვირს, რომ რუსეთის მმართველი წრე დღესაც ზედმეტად მიიჩნევს ეროვნულ ენების სწალებას და ეროვნულ თვითმმართველობას (41. 105-110).

ამგვარად, ი. ჭავჭავაძეს გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა მრავალეროვნული რუსეთის აბსოლუტურ-მონარქიული, უნიტარული სახელმწიფოს ფედერაციულ საფუძველზე რეორგანიზაცია. ამ ფედერაციაში საქართველო და სხვა განაპირა ქვეყნები უნდა შესულიყვნენ ავტორონმიური სახელმწიფოებრივი ერთეულების სახით. ასეთი სტრუქტურების შექმნით მოიპოვებდა რუსეთის მთავრობა და რუსი ხალხი სხვა ერების ნდობას და სიყვარულს. ასეთი წყობა გახდებოდა ამ მრავალეროვნული სახელმწიფოს შემდგომი განვითარება-გაძლიერების საფუძველი.

ხსენებულ წერილს ილია ასე ამთავრებს: „აქ უნდა შევწყვიტოთ ჩვენი ნებითვე სიტყვა, თორემ ძალით შემაწყვეტინებენ..., ამას კი ვიტყვით, ამ წერილს თირკმელები განგებ ამოვაგლიჯეთ

და შუა ნელი გამოვჭერით, რომ თავსა და ბოლოს მაინც ნება ჰქონოდა ქვეყანაში გამოსვლისა". ცხადია მკაცრი ცენზურის გამო ი. ჭავჭავაძემ ვერ მოახერხა საკითხების დაკონკრეტება, ვერაფერი თქვა ავტონომიური საქართველოს მართვა-გამგეობის ხასიათის შესახებ. ილია, მართალია, შეფარვით მიანიშნებდა აბსოლუტური მონარქიისა და ტოტალიტარული რეჟიმის ნაკლოვანებებზე, მაგრამ სულაც არ იყო წინააღმდეგი კონსტიტუციურ-მონარქიული წყობილებისა. მიზანშეწონილად მიაჩნდა ბაგრატიონებისათვის ტახტის დაბრუნება, ერთმეფობის აღდგენა, ფართო უფლება-კომპეტენციით აღჭურვილი პარლამენტის შექმნა. მაგრამ ამაზე ლაპარაკისაგან თავს იკავებს ორი მიზეზით. პირველი ის იყო, რომ რომანოვებმა ვერ აპატიეს ბაგრატიონებს ანტირუსული მოძრაობის მეთაურობა. მათი გვარის გაუქმებაც კი სცადეს: ერეკლე მეორის ჩამომავლები გრუზინსკებად გადანათლეს, დასავლურ შტოს წარმომადგენლებს იმერეტინსკები უწოდეს. ბაგრატიონ მუხრანელები მუხრანსკობას დააჯერეს. მეორე ის იყო, რომ რუსი აბსოლუტი მონარქები პარლამენტარიზმს ვერ იტანდნენ, თითქმის ბოლომდე იცავდნენ პეტრე პირველის მიერ შაქმნილ მონარქისტულ-ავტორიტალურ ხელისუფლებას.

ცენზურით მარტო გაზეთი ივერია როდი იყო შეზღუდული. ვერც სხვა ჟურნალ-გაზეთები ბედავდნენ ბაგრატიონების სამეფო გვარის ღვთიური უფლებების აღდგენაზე ლაპარაკს. აქცენტს აკეთებდნენ დემოკრატიულ მართვა-გამგეობაზე, რომელიც როდი გამორიცხავდა კონსტიტუციური მონარქიის არსებობას.

1882 ნელს გაუქმდა კავკასიის ადმინისტრაციული ავტონომია. მეფისნაცვლის ადგილი ისევ მთავარმმართველმა დაიკავა. იმავდროულად გამოიყო კომისია, რომელსაც უნდა შეედგინა მხარის ახლებური ადმინისტრაციული დაყოფისა და მართვა-გამგეობის ნაწილობრივი რეორგანიზაციის პროექტი. ი. ჭავჭავაძე მიესალმა ამ ფაქტს და იმედი გამოთქვა, რომ კომისია, უპირველეს ყოვლისა, იმუშავებდა სახელმწიფოსა და ერის უფლებრივი საზღვრების დადგენა-გამიჯვნის პრობლემებზე. თავის სტატიაში იგი წერდა, რომ სახელმწიფოს ინტერესი სრულიადაც არ მოითხოვს ეროვნებათა ბუნებრივი უფლებების შეზღუდვას. ცენტრალური მმართველობა და ადგილობრივი (ეროვნული) თვითმმართველობა ერთმანეთს კი არ ეწინააღმდეგებიან, არამედ ერთმანეთს ავსებენ და ამაგრებენ. კომისიამ ამაზე უნდა იმსჯელოს, სახელმწიფოსა და ეროვნების უფლებამოსილება უნდა გამიჯნოსო.

იმავე წერილის ბოლოს ილია აღნიშნავს, რომ აუცილებელია „ჩვენი გულისტკივილი და ჩვენი ნატვრის საგანი" მთავრობას ვაუწყოთ, დასაბუთებული შუამდგომლობა უნდა აღვძრათ, ქვეყანასა და ერს სამსახური გავუწიოთ. ი. ჭავჭავაძე სვამს კითხვას – პრაქტიკულად ვინ უნდა უთაოს ამ საქმეს, ვინ უნდა გაგზავნოს მთავრობაში შუამდგომლობა? სახელმწიფო სამსახურში დანინაურებულ დიდკაცებს ჭკუა-გონება შეიძლება არ აკლია, მაგრამ პატრიოტული გრძნობები დაჩლუნგებული აქვს, თავის დიდებასა და კეთილდღეობას ვერ დათმობენ, ერის თავისუფლებას ვერ შესწირავენ. მოხელე დიდკაცების ასეთი შეხურების შემდეგ, ილია თავადაზნაურთა წოდებრივ თვითმმართველობას, წინამძღოლებსა და დეპუტარებს მიმართავს, მათგან მოითხოვს მთავრობის წინაშე სათანადო შუამდგომლობის აღძვრას. თავადაზნაურთა ყრილობას და არჩეულ დეპუტატებს კანონი აძლევს საამისო უფლებას და მათ ეს უფლებები ქვეყნის და ერის საკეთილდღეოდ უნდა გამოიყენონო. „დიალ ბატონებო. ჩვენს ვინაობას გზა უნდა მიეცეს და ამაზედ თავადაზნაურთა კრებამ თავის ხმა უნდა ამოიღოს. ხმა კანონიერი, დინჯი, დარბაისელი და მშვიდობიანი. უამისოდ წარმატების გზა შეღობილია..., ერთ ტაფაში თავადიც იწვის, აზნაურიც, მღვდელიც და ერიც. თუ განზრახულ ცვილებამ ჩვენს ვინაობას არ მიხედა, თუ გვერდზე აუარა, ამის ბრალი ჩვენ დაგვედება და მაშინ ნურც მთავრობას დავემდურებით და ნურც ბედსა" (41, 195-198).

ილია ჭავჭავაძემ ქართველ თავადაზნაურთა წოდებრივ თვითმმართველობას წესდებით გათვალისწინებულზე გაცილებით მეტი უფლებამოსილება მიანიჭა. მას, მართალია, უფლება ჰქონდა თავის კერძო, წოდებრივი ინტერესები დაეცა, ამ ვიწრო საკითხებზე შუამდგომლობებიც აღეძრა, მაგრამ საერთო ეროვნული პრობლემების წინ წამოწევა, საქართველოსათვის ავტონომიის ბოძებაზე შუამდგომლობის აღძვრა კანონში არ თავსდებოდა და ამიტომ თავადაზნაურობამ თავი შეიკავა. მხოლოდ 23 წლის შემდეგ, 1905 წელს გაბედა რუსეთის უზენაესი მთავრობის წინაშე ასეთი შინაარსის შუამდგომლობის აღძვრა.

XIX ს-ის 80-90-იან წლებში კი ქართველი მოღვაწეები პერიოდული პრესიის ფურცლებზე დასავლეთის ქვეყნებში არსებული ავტონომიების შექმნა-საქმიანობის ისტორიას აშუქებდნენ, საქართველოს ავტონომიასა და დამოუკიდებლობაზე მსჯელობას მხოლოდ ფარული ორგანიზაციების სხდომებზე ახერხებდნენ. თერგდალეულთაგან საფუძველჩაყრილი გამათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია ფართოდ გავრცელდა ახალგაზრ-

დობაში. ამ იდეით განიმსჭვალნენ სტუდენტები და გიმნაზია-სემინარიების მოსწავლენი. 1889 წელს რუსეთის უმაღლეს სასწავლებელთა ქართველმა სტუდენტებმა ჩამოაყალიბეს ფარული საზოგადოება „საქართველოს თავისუფლების ლიგა". პეტერბურგის, მოსკოვის, ვარშავის, კიევის, ხარკოვის, ოდესისა და სხვა უნივერსიტეტთა ქართველი სტუდენტების წარმომადგენლებმა 1892 წლის 26-29 ივლისს ქუთაისში ჩაატარეს პირველი გაერთიანებული ყრილობა. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ მიხეილ ხელთუფლიშვილი, გიორგი გვაზავა, ივანე ელიაშვილი, ვახტანგ ღამბაშიძე, ნიკოლოზ ჯაყელი, იაკობ ფანცხავა და სხვები, სულ 20 კაცი.

ქუთაისის კრების მუშაობის ანგარიში დაიწერა, გამრავლდა და დაიგზავნა ყველა უმაღლეს სასწავლებელში, სადაც ქართველ სტუდენტთა სათვისტომოები არსებობდა. ამ ანგარიშიდან ჩანს, რომ ქართველ სტუდენტთა ორგანიზაციის მიზნად გამოცხადდა სამშობლოს სამსახური, რუსეთის ბატონობისაგან საქართველოს გათავისუფლება. ყრილობის დელეგატთა უმრავლესობამ მოითხოვა თვით საქართველოში ფარული ორგანიზაციის შექმნა, რომელიც გამაერთიანებელი ცენტრის როლს შეასრულებდა. სტუდენტებმა ამის შემდეგაც გააგრძელეს პატრიოტული საქმიანობა, შეადგინეს „საქართველოს თავისუფლების ლიგის" პროგრამა. იქ ნათქვამი იყო: საქართველო დაჩაგრულია. ქართველ ხალხს ემუქრება მშობლიური ენის, ზნე-ჩვეულებისა და მიწის დაკარგვის საფრთხე. ქართველი ხალხი თავის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ხშირად ყოფილა ასეთ მძიმე მდგომარეობაში, მაგრამ გამოსავალი მოუნახავს. მას არც ეხლა დაუკარგავს იმედი. „თავისუფლების ლიგა" მიზნად ისახავს საქართველო გამოიყვანოს სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ფართო გზაზე. იგი ეცდება ქართველ ხალხს აუხსნას ჩამორჩენილობის მიზეზი, შეაგნებინოს თავისი მძიმე მდგომარეობა, დარაზმოს თავისუფლებისათვის საბრძოლველად. „ლიგა" ეცდება სხვადასხვა საშუალებით შეუწყოს ხელი კავკასიის ხალხთა ძალების გაერთიანებას, საერთო მტრის წინააღმდეგ მის ამხედრებას, დამოუკიდებლობის მოპოვებას და მათ გაერთიანებას ფედერაციაში. რაც შეეხება სხვა ქვეყნებიდან ჩამოსახლებულთ, ჩვენ არც მათი ინტერესების უგულვებელყოფას ვაპირებთ. „ლიგას" იდეალია ისეთი სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელიც ყველა ეროვნებას მისცემს საშუალებას თავისუფლად განვითარდეს. მომავლის ამ საზოგადოებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ეროვნების, რელიგიისა და რწმენის შეეიწროე-

ბას. ამგვარად, „ლიგა" დარწმუნებულია, რომ იგი ემსახურება არა მარტო ეროვნებას, არამედ საერთო საკაცობრიო პრინციპებსაც.

შემდეგ პროგრამაში კონკრეტულად საქართველოს სამომავლო წესწყობილებაზეა ლაპარაკი. ჩანს, რომ „ლიგის" ლიდერთა იდეალი იყო დემოკრატია და თვითმმართველობა. ფართულ საზოგადოებას, საქართველოს რეგიონებში დაარსებულ განყოფილებებს ხალხი უნდა მოემზადებინა თვითმმართველობისათვის, რათა თავისუფლების მოპოვების შემდეგ უარეს მდგომარეობაში არ ჩავარდნილიყო. „თავისუფლების ლიგის" მესვეურთა აზრით, თუ ხალხი არ მომზადდებოდა თავისუფლების გამოყენებისათვის, ისე აზრიც არ ჰქონდა თავისუფლებისათვის ბრძოლას. პროგრამის დასკვნითი ნაწილიდან ჩანს, რომ ფარული საზოგადოების წევრები ოპტიმიზმით იყვნენ გამსჭვალულნი. მიაჩნდა, რომ ემსახურებოდნენ წმინდა საქმეს და იმედი ჰქონდათ საყოველთაო მხარდაჭერისა და გამარჯვებისა.

1894 წელს ჟანდარმერიას ხელში ჩაუვარდა „თავისუფლების ლიგის" პროგრამა და წესდება. მოკლე ხანში ფარული ორგანიზაციის თითქმის ყველა აქტიური წევრი დააპატიმრეს. გამოძიებისა და რეპრესიების ქვეშ მოექცენ: მიხეილ ხელთუფლიშვილი, ვარლამ ჭიჭინაძე, თედო სახოკია, შიო დედაბრიშვილი (არაგვისპირელი), გიორგი დეკანოზიშვილი, იოსებ ჩარექიშვილი, ილია ჯიშკარიანი, ანტონ გელიაზაროვი, გიორგი გვაზავა, ვახტანგ ღამბაშიძე, იაკობ ფანცხავა, დავით მდივანი, ივანე ელიაშვილი, ნიკოლოზ ჯაყელი, ნიკოლოზ ნაკაშიძე, დავით მიქელაძე, ფილიპე მახარაძე, ნოე ჟორდანია, ნიკოლოზ შენგელია, ივანე აბაშიძე, მიხეილ მირიანაშვილი, სიკო ლარაძე, არქიპო მუსხელიშვილი, მიხეილ მელიქიშვილი, ალექსანდრე მიქაბერიძე, ვაშაკიძე, ჩიქოვანი, მაჩაიძე და სხვები (20, 153-164).

„საქართველოს თავისუფლების ლიგა" იყო ეროვნულ-რევოლუციური პარტიის ჩანასახი, არ დასცალდა დახვენა და სრულყოფა. ამ ორგანიზაციის სოციალ-პოლიტიკური კრედო ბუნდოვანი და კომპრომისულია. მსოფლმხედველობრივი სხვადასხვაობა იყო იმის მიზეზი, რომ „ლიგა" ვერ გადაიქცა მონოლითურ ორგანიზაციად, ერთიან პარტიად. ეს ცხადი გახდა მოგვიანებით, როცა მისი ყოფილი წევრები აღმოჩნდნენ სხვადასხვა პარტიაში. უმრავლესობა სოციალ-ფედერალისტი და ეროვნულ დემოკრატი გახდა. უმცირესობა მარქსიზმის პოზიციაზე დადგა.

რუსეთის აბსოლუტურ-მონარქიული, დესპოტურ-უნიტარული სახელმწიფო XIX-XX საუკუნეების მიჯნაზეც შეურყევლად

იდგა და ეს ფაქტი გავლენას ახდენდა პოლიტიკური პარტიების პროგრამებზე, მათი საქმიანობის ხასიათზე. კვლავ გრძელდებოდა რუსეთის მრავალეროვნული იმპერიის ფედერაციულ სახელმწიფოდ გარდაქმნის იდეის პროპაგანდა. ამ მიმართულებით კვლავ ლიდერობდა ი. ჭავჭავაძის „ივერია", რომელიც განსაკუთრებით გააქტიურდა 1905-1907 წლების საერთო დემოკრატიული რევოლუციის დროს.

გაზეთ „ივერიის" პუბლიცისტებს სახელმწიფო მიაჩნდათ ზეკლასობრივ ორგანიზაციად, რომელიც ერის ძალას ემყარებოდა და მოვალე იყო ყველა კლასის ინტერესები დაეცვა. „ივერიელები" იწუნებდნენ ცენტრალიზებული მართვა-გამგეობის მოდელს. განსაკუთრებით მიუღებლად თვლიდნენ მას მრავალეროვნული სახელმწიფოებისათვის. მათ არც აბსოლუტი მონარქი აკმაყოფილებდათ და არც „ცენტრალიზმის საფუძველზე აგებული პარლამენტი". იგი რუსეთის ეროვნებათა შუღლსა და მტრობას ვერ აღმოფხვრისო. „ამ ეროვნული განხეთქილებისა და უნაყოფო ბრძოლის თავიდან ასაცილებლად – ნათქვამია გაზეთის ერთ-ერთ მოწინავე სტატიაში – ითხოვენ სხვადასხვა ერის წარმომადგენლები, რომ ახალი წყობილების შემოღების დროს მხედველობაში იქნეს მიღებული რუსეთის ხალხების სხვადასხვაობა და ამიტომ ხალხის წარმომადგენლობა იყოს აგებული დეცენტრალიზაციის პრინციპზე, ე. ი. ითხოვენ იმას, რომ ყოველ ეროვნებას მიენიჭოს ცალ-ცალკე არსებობის უფლება. თავის საკანონმდებლო პარლამენტი, თავის ავტონომია" (53, №44).

საქართველოს ევრონულ-ტერიტორიული ავტონომია ქართველ თავადაზნაურთა წოდებრივი დაწესებულების მსჯელობის საგანიც გახდა. წინამძღოლებმა და დეპუტატებმა მიიღეს დადგენილება – აღეძრათ შუამდგომლობა რუსეთის იმპერატორის წინაშე საქართველოსთვის პოლიტიკური ავტონომიის ბოძების შესახებ. ამასთან დაკავშირებით „ივერიის" კორესპონდენტი წერდა: „ჩვენ აღტაცებით ვეგებებით თავადაზნაურობის ასეთ გადაწყვეტილებას". „ივერიას" მიაჩნდა, რომ თავადაზნაურობა კონსერვატიულ პოზიციაზე იდგა, ეროვნული მონარქიზმის იდეას ვერ ელეოდა, წინა პლანზე თავის წოდებრივ ინტერესებს აყენებდა, მაგრამ მთავარიაო ავტონომიის დედააზრი. „ჩვენც სწორედ ამ დედააზრის გულისათვის ვეგებებით თანაგრძნობით თავადაზნაურთა გადაწყვეტილებას. თუ დედააზრი განხორციელდა, ჩვენს ქვეყანას თვითმმართველობა მიეცა, ქართველ ერს არ გაუჭირდებაო ავტონომიური მართვა-გამგეობის დემოკრატიულ საფუძველზე აშენება (54, №41).

„ივერიის" ჯგუფმა შეამჩნია, რომ მოსახლეობის თითქმის ყველა კლასი და ფენა ავტონომიის ცნებაში თავისთვის მისაღებ შინაარსს დებდა, ავტონომიური ხელისუფლების თავის ინტერესებისათვის გამოყენებას ვარაუდობდა. მაგრამ ეს გარემოება, მისი აზრით, არ გამორიცხავდა დაპირისპირებული კლასებისა და პარტიების კომპრომისულ შეთანხმებას საერთო დემოკრატიული და ეროვნული ამოცანების შესრულების მიზნით. „ივერიელთა" აზრით, საქართველოშიც შეიძლებოდა ისეთი საერთო პოლიტიკური მოთხოვნის დაფიქსირება, რომლის განხორციელება თავისუფალი განვითარების საშუალებას შეუქმნიდა როგორც ცალკეულ კლასებს, ისე მთელს საზოგადოებას, მთელ ერს. ეს უნდა ყოფილიყო ავტონომიის მოთხოვნა. ავტონომიის ხელისუფლება შესძლებდა კლასთა ურთიერთობის დარეგულირებას, საერთო ეროვნული ინტერესების დაცვას.

„ივერიელთა" ასეთი კონცეფციას მხარს უჭერდა სოციალ-ფედერალისტური პარტია და მისი მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია. ნიჰილიზმის სენით შეპყრობილი სოციალ-დემოკრატები კი ავტონომიის მოთხოვნას ეწინააღმდეგებოდნენ იმ მოტივით, რომ ეს ძირს გამოუთხრიდა რუსეთის პროლეტარიატის ინტერნაციონალურ ერთობას, რევოლუციის გამარჯვებას შეუშლიდა ხელს. ამ პარტიიდან მხოლოდ დარჩიაშვილის მცირე ჯგუფი შეუერთდა ავტონომიის იდეას, ეროვნული პარტიების ბლოკს.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის, მისი პროგრამის შემადგენელი ნაწილი გახდა ბრძოლა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის. უკვე აღინიშნა თუ როგორი პროტესტით ეხვდა ქართველი სამღვდელოება ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას. იგი ფარულ თუ აშკარა ოპოზიციურ საქმიანობას მთელი საუკუნე აგრძელებდა. როცა გერასიმე ქიქოძე, იგივე გაბრიელ ეპისკოპოსი ეპისკოპოსად აკურთხეს, სიტყვით მიმართა მრევლს დაფიცურადღება გაამახვილა მღვდელმთავრის მოვალეობაზე. აღნიშნა, რომ „ეპისკოპოსი, რომელიც სხვათა ასწავლის სიწმინდეს... თვით პირველი უნდა აძლევდეს მათ სახესა კეთილად ცხოვრებისასა, არა თუ მხოლოდ სიტყვითა, არამედ საქმითაცა... ნეტარ არს მღვდელმთავარი იგი, რომელსაც ძალუძს ჰპოვოს რაოდენიმე ღირსნი თანამწირველნი და შემწენი, რომელნიც მოინდომებენ გულმოდგინეთ აღასრულონ ვალი თვისი... გარნა ამას შინაერთი მხოლოდ არს ღონე – ქრისტიანული სიყვარული. შეეიძინოთ სიყვარული ურთიერთობრივი და შეეუდგეთ ამიერიდან წრფელსა

გზასა უფლისასა".

გერასიმე ქიქოძე ერისკაცობაშიც იმას ამტკიცებდა, რომ რწმენა და ცოდნა, რელიგია და მეცნიერება ერთმანეთს კი არ ეწინააღმდეგებოდა, არამედ ერთმანეთს ავსებდა. ამ კონცეფციის საფუძველზე საქმიანობდა იგი საეპისკოპოსო მოღვაწეობის 30 წლის სიგრძეზე. გაბრიელის დასაფლავების დღეს გელათის მონასტერში დიდმა ილიამ მიცვალებულს ასეთი სიტყვით მიმართა: „მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი, საერო თუ სამღვდელო, რომლის გულშიც ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოთ მეცნიერება და სარწმუნოება... მთელი მოძღვრება აწ განსვენებულის სახელოვანის მღვდელმთავრისა რომ აიღოთ, ძნელად იპოვით მაგალითს, რომ მეცნიერება გაეწიროს სარწმუნოებისათვის, ან სარწმუნოება მეცნიერებისათვის. პირიქით, იგი სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა... მთელი სიბრძნე მისი ამაშია გამოსახული". ილიამ ისიც თქვა, რომ ამის გარდა გაბრიელ ეპისკოპოსს ორი სიკეთე კიდევ ჰქონდა მომადლებული ღვთისგან. „ერთი ისაა, რომ იგი იყო შვილი, სისხლი და ხორცი ამა ერისა. და მაშასადამე იცოდა რა ტკივილით იმტკივნეულოს, რა სიხარულით ინუგეშოს და მეორე ისა, რომ მოციქულობდა ჩვენი სამშობლო ენითა". გაბრიელის კვალს მიჰყვებოდნენ კირიონი, ლეონიდე და ზოგი სხვა მღვდელმთავრები, რომელნიც განსაკუთრებით გააქტიურდნენ პირველი რევოლუციის წლებში.

1905 წლის თებერვალში იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების კრებამ რუსეთის მინისტრთა კომიტეტს გაუგზავნა ე. წ. „პეტიცია", რომელშიც ნათქვამი იყო: ახლახანს დაწყებული საზოგადოებრივი მოძრაობა ეკლესიის მსახურთა წინააღმდეგაც წარიმართა და ეს არცაა გასაკვირი, რადგან რუსეთის სინოდის ანტიქართული პოლიტიკის წყალობით ქართველ სამღვდელოებასაც სახელი გაუტყდა. მღვდლები მიაჩნიათ საიდუმლო პოლიციის აგენტებად, გადაცმულ ჟანდარმებად და იბრძვიან მათ წინააღმდეგ. ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც ეკლესია წმინდათა წმინდათ მიიჩნეოდა, რომელსაც 15 საუკუნის განმავლობაში ეყრდნობოდა ქართული სახელმწიფოებრიობა. რა მოხდა, ნუთუ ქართველები გადაუდგნენ ქრისტიანულ მოძღვრებას? არა, ქართველები აღშფოთებული არიან თანამედროვე საეკლესიო წყობით, ვერ ურიგდებიან მახინჯი წესების ხალხის ცხოვრებაში შემოტანას.

პეტიციის დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებული იყო იმერეთის სამღვდელოების ძირითადი მოთხოვნები: 1) აღდგეს სა-

ქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ქართული ეკლესიის მეთაურს – კათალიკოსს ირჩევდეს სამღვდელოება და ხალხის წარმომადგენლობა. 2) ჩატარდეს სასულიერო სკოლების ძირეული რეფორმა. 3) მიეცეს სამღვდელოებას სიტყვისა და შეკრების თავისუფლება. 4) გათავისუფლდეს სამღვდელოება მრევლის მატერიალური დამოკიდებულებისაგან, უზრუნველყოფილ იქნეს ნორმალური სახაზინო ხელფასით. ამ თხოვნას ხელს აწერდა 387 კაცი.

1905 წლის დამდეგიდან აღმოსავლეთ საქართველოს ეპარქიათა სამღვდელოებამ არაერთხელ მოითხოვა ყრილობის ჩატარების ნებართვა. მაგრამ ეგზარქოსი განგებ აჭიანურებდა ამ თხოვნის დაკმაყოფილებას. მოთმინებადაკარგული სამღვდელოება თვითნებურად შეიკრიბა თბილისში, სხდომა გამართა სასულიერო სემინარიის დარბაზში. მაგრამ პოლიციამ სხდომა დაარბია. დარბაზიდან დელეგატები ცემა-ტყეპით ქუჩაში გამოდევნა.

რამდენიმე დღის შემდეგ პოლიციის მიერ დარბეული ყრილობის თავმჯდომარე ეგზარქოსთან გამოცხადდა და სამღვდელოების მიერ შედგენილი „პეტიცია" გადასცა. ქართლ-კახეთის სამღვდელოება მოითხოვდა: 1) ივერიის ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნებას, მცხეთის საკათალიკოსოს ძველ საზღვრებში აღდგენას; 2) საეკლესიო თანამდებობათა დაკავებაში არჩევითობის პრინციპის დამკვიდრებას; 3) კათალიკოსის თავმჯდომარეობით საქართველოს ეკლესიის სინოდის შექმნას; 4) ივერიის ეკლესიისათვის ყველა იმ მამულების დაბრუნებას, რაც XIX საუკუნეში რუსეთის ხაზინამ დაისაკუთრა. პეტიციას ხელს აწერდა 472 სამღვდელო პირი.

რუსეთის მთავრობას ანალოგიური თხოვნა წარუდგინა გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოებამ. 1905 წ. 11 ოქტომბერს ქართველმა თავადაზნაურობამ, თბილისისა და ქუთაისის ქალაქის თავებმა, აგრეთვე საეგზარქოს ოთხივე ეპისკოპოსმა მთავრობას წარუდგინა საერთო მოთხოვნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ.

საქართველოს ეგზარქოსმა ნიკოლოზმა არ გაიზიარა ქართველ სასულიერო და საერო მოღვაწეთა არგუმენტაცია, მაგრამ რევოლუციით შექმნილ დაძაბულ სიტუაციაში მათ თხოვნაზე უარის თქმა შეუძლებლად სცნო. ზემდგომ ინსტანციებისათვის გაგზავნილ მოხსენებით ბარათში ეგზარქოსი წერდა: ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა სახელმწიფო წყობილების რეორგანიზაციისათვის. საჭიროდაა მიჩნეული სასულიერო მმართველობის დეცენტრალიზაციაც სამიტროპოლიტო ოლქების შექმნის მეშვეობით. ამიტომ არ გვაქვს საფუძველი უარი ვთქვათ ქართული

ეპარქიებისაგან ერთი განსაკუთრებული სამიტროპოლიტო ოლქის შექმნაზე. მაგრამ თუ ქართველები არ დაკმაყოფილდებიან სამიტროპოლიტო ავტონომიით და •დაჟინებით მოითხოვენ სრულ საეკლესიო გამოყოფას, ამაზე უარს ვერ ვიტყვითო.

მაგრამ რუსეთის სინოდს არ მოეწონა ეგზარქოსის მიერ დაკავებული პოზიცია. მინისტრთა კომიტეტსაც დაუშვებლად მიაჩნდა ხელიდან გაეშვა ქართველ სამღვდელოებაზე კონტროლის უფლება. მთავრობამ მაინც შექმნა საკითხის შესასწავლად სპეციალური კომისია. თუმცა მას მისცა ფარული მითითება საქმის გაჭიანურების შესახებ. ქართველ ავტოკეფალისტთა მოძრაობა კი გრძელდებოდა. მასში ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ ეპისკოპოსები – ლეონიდი, კირიონი, პეტრე და დავითი. მათ ჩამოაყალიბეს „ავტოკეფალისტთა საზოგადოება". მის ანტირუსულ საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ მღვდლები და არქიმანდრიტები – იოსებ ჩიჯავაძე, ამბროსი ხელაია, ამბროსი ფხალაძე, პოლიევქტ კარბელაშვილი და სხვები (21, 187-190).

საქართველოს ავტონომიის საკითხში „ივერიელები" და სოციალ-ფედერალისტები ერთ პოზიციაზე იდგნენ, დაუზარებლად განაგრძობდნენ ფედერაცია-ავტონომიის იდეათა პროპაგანდას, ცდილობდნენ მისაღები გაეხადათ იგი რუსეთის საზოგადოებრიობისათვის.

1905 წლის სექტემბერში ჩატარდა რუსეთის იმპერიის საერობო და მუნიციპალურ მოღვაწეთა კრება, რომლის საბოლოო დადგენილებაში შევიდა ასეთი მუხლები: 1) როცა დამყარდება სამოქალაქო თავისუფლება და შეიქმნება წესიერი სახალხო წარმომადგენლობითი დაწესებულება საკანონმდებლო უფლებით, იმპერიის ერებს უნდა მიეცეს ადგილობრივ ავტონომიათა ორგანიზების უფლება; 2) ავტონომიური ოლქების დაარსება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ახალი კანონის გამოცემით გაფორმდეს; 3) ადგილობრივ ავტონომიათა საკანონმდებლო კრება აირჩევა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით; 4) ყოველი ავტონომიური ოლქის შინაგანი წყობილების ხასიათს განსაზღვრავს ადგილობრივი საკანონმდებლო კრება, მაგრამ დაცული იქნება საერთო სარუსეთო ძირითადი კანონი და დებულება ავტონომიის უფლებამოსილების შესახებ.

ქართველი ავტონომისტები სიხარულით შეხვდნენ ამ დადგენილეას, იგი დეცენტრალიზაციის პრინციპის გამარჯვებად მიიჩნიეს. მაგრამ მათ ისიც იცოდნენ, რომ რუსეთის ფედერაციულ სახელმწიფოდ გარდაქმნის რეფორმა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქციას შეადგენდა და ამიტომ ქართველი სა-

ზოგადოების დიდი ნაწილი გარკვეული იმედით შეხვდა იმპერატორის საზეიმო დაპირებას, 17 ოქტომბრის მანიფესტს. „ცნობის ფურცლის" ერთ-ერთი კორესპონდენტი წერდა: „17 ოქტომბრის მანიფესტის წაკითხვა აღტაცების გარეშე არ შეიძლება, მაგრამ იგი ამავე დროს გვაფიქრებს და გვაეჭვებსო". ახლანდელ მთავრობას, მის ბიუროკრატიას არ შეუძლია ცხოვრებაში გაატაროს მანიფესტი. ახალი ხელისუფლების კონტურები კი არ ჩანს. დაპირებულ სათათბიროს ბიუროკრატიული დაწესებულების იერსახე აქვს. „მოქალაქეობრივი თავისუფლების განხორციელებისათვის საჭიროა ახალი ორგანო - „სახელი მისი დამფუძნებელი კრებაა", რომელიც მონვეულ უნდა იქნეს „რუსეთის კონსტიტუციის ძირითად დებულებათა შესამუშავებლად".

მაგრამ ნიკოლოზ II და მისი მთავრობა დემოკრატიული რეფორმის ჩატარებას არ აპირებდა, დამფუძნებელი კრების მოწვევაზე უარს ამბობდა. როგორც ეროვნული, ისე სოციალური პრობლემები გადაუჭრელი რჩებოდა. ამიტომ გასავალი ჰქონდა ბოლშევიკური პარტიის სააჯანყებო მოწოდებებს. სამოქალაქო ომის პირველი კერები საქართველოში გაჩნდა (1905 წლის ოქტომბერ-ნოემბერი). მოსკოვ-პეტერბურგში შეიარაღებული აჯანყების დაწყების (დეკემბერი) შემდეგაც საქართველოს მშრომელი მოსახლეობა სოციალური რევოლუციის ავანგარდში რჩებოდა. ხალხის უახლოესი მიზანი გახდა აბსოლუტური მონარქიის დამხობა, ბატონყმობის ნაშთების მოსპობა, მინის ფონდის სამართლიანი გადანაწილება და, რაც მთავარია, მართვა-გამგეობის დემოკრატიული სისტემის შექმნა. გამარჯვების წინაპირობა იყო დემოკრატიულ ძალთა გაერთიანება, რაც არ აღმოჩნდა ადვილი საქმე. ყოველი სოციალური ფენის წინაშე, საერთოდემოკრატიულ მიზანთან ერთად, იდგა ვიწრო კლასობრივი ამოცანა. მათი ინტერესის შეთანაწყობა და ერთობლივი ბრძოლა ყოველთვის როდი ხერხდებოდა. საერთო დემოკრატიულ ძალთა გათიშვაში ყველაზე მეტი „წვლილი" ბოლშევიკურმა პარტიამ შეიტანა.

ვ. ი. ლენინმა გადაჭარბებით შეაფასა პროლეტარიატის შესაძლებლობანი, მუშათა კლასი ბურჟუაზიული რევოლუციის ხელმძღვანელ ძალად გამოაცხადა და ხელში შეაჩეჩა მას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის თეორია. ბოლშევიკები, მუშურ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები აცხადებდნენ, რომ არ შეჩერდებოდნენ რევოლუციის პირველ ეტაპზე, ცარიზმის დამხობისთანავე დაიწყებდნენ ბრძოლას კაპიტალისტური ექსპლუატაციის მოსასპობად, სოციალისტური წყობილების დასამყარებლად. მრავალე-

როვნული რუსეთის იმპერიის ბურჟუაზია, ბუნებრივია, შეაშინა ლენინის მიერ შეთხზულმა პერმანენტული რევოლუციის თეორიამ. რეალობად აღიქვა ბოლშევიკური გადატრიალების საფრთხე და ჩამოსცილდა საერთო დემოკრატიულ რევოლუციას. რევოლუციას გაემიჯნა აგრეთვე ლიბერალური ინტელიგენცია, რომლის რიგებში თავადაზნაურთა წარმომადგენლებიც შედიოდნენ.

საერთო დემოკრატიიის გათიშვამ რუსეთის იმპერატორს და მის მთავრობას რევოლუციის სისხლში ჩახშობა გაუადვილა. რევოლუციის მონაპოვართაგან დარჩა მხოლოდ რეჟიმის რამდენადმე შერბილება და პარლამენტის მსგავსი დაწესებულება – სახელმწიფო სათათბირო, რომლის საქმიანობაში ქართული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

რევოლუციას რეაქცია მოჰყვა მთავრობის მოხელეები მოუწოდებდნენ ქართველ თავადაზნაურობას მონაწილეობა მიეღო ურჩი გლეხების დათრგუნვა-მოთვინიერებაში. ურჩევდნენ ბურჟუაზიას ლოკაუტი გამოეცხადებინა რევოლუციური მუშებისათვის. ზედაფენების მხოლოდ მიცრე ნაწილი დაადგა შურისძიების გზას. უმრავლესობამ მიზნად დაისახა კლასობრივ წინააღმდეგობათა აღმოფხვრა. სხვადასხვა ფენების ურთიერთობათა დარეგულირება სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების პირობებში თანდათან შეიცვალა ქართველ თავადაზნაურთა წოდებრივ-წარმომადგენლობითი თვითმმართველობის ბუნება და საქმიანობის ხასიათი. დ. ყიფიანისა და ი. ჭავჭავაძის დახმარებით მან მოახერხა საადგილმამულო ბანკების დაარსება თბილისსა და ქუთაისში. თავადაზნაურთა წარმომადგენლებმა და დეპუტატებმა თითქმის გაითავისეს ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ საადგილმამულო ბანკი უნდა ყოფილიყო ისეთი საზოგადოებრივი დაწესებულება, რომელიც, ერთი მხრივ, იაფი კრედიტით ხელს მოუმართავდა არა მარტო თავადაზნაურობას, არამედ საერთოდ გამრჯე და ყაირათიან ადამიანებს და ამით დააჩქარებდა ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას; მეორე მხრივ, შესაძლებელს გახდიდა ბანკის მოგების დიდი ნაწილი გამოყენებული ყოფილიყო მოსახლეობის საერთო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, უპირველესყოვლისა კი კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა დასაფინანსებლად. 1900 წელს თბილისის საადგილმამულო ბანკის წესდებაში ჩაინერა ახალი მუხლი, რომლის თანახმად ბანკის მოგების საფუძველზე შექმნილი საერთო საზოგადოებრივ საჭიროებათა დასაკმა-

ყოფილებელ კაპიტალის განკარვგის უფლება ჩამოერთვა ბანკის გამგეობას და გადაეცა თავადაზნაურთა წოდებრივ თვითმმართველობას, რამაც შესაძლებლობა მისცა მას თავის სამეურნეო და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მასშტაბი კიდეე უფრო გაეფართოებინა.

1902 წელს თავადაზნაურთა წოდებრივ-წარმომადგენლობითმა თვითმმართველობამ ქართულ გიმნაზიას გამოუყო სუბსიდია 82 ათასი მანეთის ოდენობით, სხვა სკოლებს გადაურიცხა 59 ათასი მანეთი, სტიპენდიების სახით გასცა 20 ათასი მანეთი. იგი თანდათან მეტ თანხებს გამოყოფდა საადგილმამულო ურთიერთობათა დარეგულირებისა და სოფლის მეურნეობის განკითარებისათვის.

1906 წლის 9 აგვისტოს შედგა აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა წინამძღოლებისა და დეპუტატების სხდომა, რომელზეც განიხილეს საადგილმამულო საკითხი. ძირითადი მოხსენება და დადგენილება ცხადყოფს, რომ თავადაზნაურობას აშინებდა აგრარულ ურთიერთობათა ძველი ფორმებისა და თავადაზნაურული მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია რევოლუციური მეთოდებით. მისი აზრით, საკუთრებით ფორმების შეცვლა უნდა მომხდარიყო თანდათანობით, მიწის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების გაფართოებისა და დარეგულირების გზით. თავადაზნაურთა ლიდერები ცდილობდნენ ისეთ ღონისძიებათა გატარებას, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ქართველი თავადაზნაურობის მიერ გაყიდული მიწის ქართველი გლეხობის ხელში გადასვლას. ისინი აგრეთვე მოითხოვდნენ, რომ თავისუფალ სახაზინო მიწებზე რუსი კოლონისტები კი არ ჩამოესახლებინათ, არამედ ასეთი ნაკვეთები გამოეყენებინათ უმიწყალო ქართველი გლეხებისათვის დასარიგებლად.

1907 წლის 20 თებერვალს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებამ დაადგინა საგანგებო კომისიის შექმნა. მის შემადგენლობაში შეიყვანა: კ. აფხაზი, ს. ვახვახიშვილი, ი. იოსელიანი, მ. მაჩაბელი, ლ. ჩერქეზიშვილი. ოთხი თვის შემდეგ თავადაზნაურთა კრებაზე მოხსენებით გამოვიდა ამ კომისიის წევრი მ. მაჩაბელი, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს მიწის ფონდი ადგილობრივ მოსახლეობასაც კი არ ყოფნის. ამიტომ აქ რუსი გლეხების გადმოსახლება არის ანტისახელმწიფოებრივი და მავნე წამოყენება. უნდა მოვითხოვოთ ჩვენი ქვეყნის რუსული ელემენტით კოლონიზაციის შეწყვეტა. მომხსენებელმა გადაუდებელ საქმედ მიიჩნია აგრეთვე დროებითვალდებულების ინსტიტუტის და ბატონყმობის სხვა ნაშთების მოსპობა, ყველა კატეგორიის

გლეხთა უფლებრივი გათანაბრება. მათი ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

1907 წლის ივნისში აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა წოდებრივმა თვითმმართველობამ შექმნა საადგილმამულო კომისია, რომელსაც დაეკისრა საშუამავლო ფუნქცია მემამულეებსა და გლეხებს შორის. აგრარული კომისიის საქმიანობამ დადებითი შედეგი გამოიღო. მისი შუამდგომლობითა და დახმარებით 1907-1913 წლებში აღმოსავლეთ საქართველოს 11 ათასამდე გლეხმა 2 მლნ მანეთად 47 ათასი ჰექტარი მიწა შეისყიდა. მაგრამ კომისიის საქმიანობის აღნიშნული მიმართულებით გაფართოებას დაბრკოლებას უქმნიდა რუსეთის სახელმწიფო საგლეხო ბანკი, რომელიც ქართველი თავადაზნაურებისაგან დიდი რაოდენობით ყიდულობდა მიწებს და შეღავათიან ფასებში რუს კოლონისტებზე ანაწილებდა. საქართველოს მიწის ფონდის საგრძნობ ნაწილს ეპატრონებოდნენ სომეხი ვაჭრები და სხვა ქვეყნებიდან მოსული კაპიტალისტები.

ქართული მიწების გაყიდვა-ყიდვის პროცესს შეშფოთებით ადევნებდნენ თვალს პატრიოტები. არჩილ ჯორჯაძე გულისწყრომით წერდა, რომ საზოგადოების ერთ ნაწილს ეს საკითხი არ ადარდებსო; სოციალ-დემოკრატიისათვის სულ ერთია თუ ვინ დაეპატრონება საქართველოს მიწა-წყალს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მათაც უნდა შეიგნონ, რომ დიდ შეცდომას უშვებდნენ. „მიუხედავად ჩვენი მემამულისა და გლეხის წინააღმდეგობისა, ქართველი ხალხის საერთო კეთილდღეობა მოითხოვს, რომ მამული ქართველს უნდა დარჩეს, გლეხია იგი თუ თავადი"; არ. ჯორჯაძემ მხარი დაუჭირა ეროვნული ბანკის დაარსების იდეას. ასეთი საკრედიტო დაწესებულება მოახერხებდა, მისი აზრით, მიწის ყიდვა-გაყიდვის პროცესის იმგვარად დარეგულირებას, რომ კონკურენციაში ქართველებს მოეპოვებინათ გამარჯვება; თუ ქართველი ბურჟუაზია ვერ შესძლებდა თავადაზნაურთაგან ბანკებში დაგირავებულ მსხვილი მამულების შესყიდვას, ეროვნული ბანკი შეიძენდა ამ მიწებს, წვრილ ნაკვეთებად დაყოფდა და გრძელვადიანი კრედიტის საშუალებით ქართველ გლეხებზე გაყიდიდა. არ. ჯორჯაძე იწონებდა თავადაზნაურთაგან შექმნილ, „აგრარული კომისიის" საქმიანობას და მთელ საზოგადოებას მოუწოდებდა მშობლიური მიწა არ დაეთმო ჩამოსახლებული სხვა ტომელებისა და გადამთიელებისათვის. უნდა შევიგნოთ, რომ ტერიტორიის ერთობა ერის მთავარი საფუძველია და მის გერეშე ქართულ სახელმწიფოებრიობას ვერ შევქმნითო.

პირველი რევოლუციის მარცხის შემდეგ, ერთხანს ეროვ-

ნული საკითხი პრაქტიკულიდან თეორიულ ასპექტში გადავიდა. კიდევ უფრო გამძაფრდა დებატები მომავალი ქართული სახელმწიფოს სტატუსიის შესახებ. ერთმანეთს მკვეთრად დაუპირისპირდნენ სოციალ-დემოკრატები და ეროვნული მიმართულების პარტიები.

1907 წელს ქართველ პატრიოტთა ერთმა ჯგუფმა მოიწადინა რუსეთის დიდმპყრობელური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში საერთაშორისო სამართლის გამოყენება. ქართველი ხალხის წარმომადგენლობამ ჰააგის საერთაშორისო კონფერენციას გადასცა „პეტიცია", რომელიც ვარლამ ჩერქეზიშვილის, მიხეილ წერეთლის, გიორგი გვაზავას მიერ იყო შედგენილი და საკმაოდ მრავალრიცხოვან მოღვაწეთა ხელმოწერით დადასტურებულა. ამ დოკუმენტში დაგმობილია რუსეთის დაპყრობითი პოლიტიკა, რაც თავდაპირველად 1783 წლის გიორგიევსკის ტრაქტატის დარღვევით და ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობით გამოიხატა, ხოლო შემდეგ რუსიფიკატორულ-კოლონიური ზეწოლით გაგრძელდა. პეტიციონერები სთხოვდნენ საერთაშორისო კონფერენციას (რომელიც მიზნად ისახავდა დიდი სახელმწიფოების აგრესიული პოლიტიკის შეზღუდვას) დახმარება გაეწიათ ქართველი ერისათვის 1783 წლის ტექსტის უფლებრივ ნორმათა საფუძველზე საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენაში. მაგრამ საქმე კონფერენციის დელეგატთა მხრიდან სოლიდარობის გამოხატვას არ გასცილებია.

აღნიშნულ პეტიციაში, მართალია, ნახსენებია 1783 წლის ტრაქტატი, მის იურიდიულ-უფლებრივ ნორმათა საფუძველზე მოითხოვდნენ პატრიოტები ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. მაგრამ არ ჩანს მონარქიის განახლებას ფიქრობდნენ, თუ რესპუბლიკური წყობილების დამყარებას. ქართველ ხალხს ერთის უფლებაც ჰქონდა და მეორისაც. იმპერატორმა პავლემ და ალექსანდრე პირველმა ბაგრატიონ მეფეთა ღვთიური უფლება დაარღვიეს, ქართული მონარქიული სახელმწიფო მოსპეს. თვითმპყრობელურ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში უფრო ადვილი უნდა ყოფილიყო ქართული მონარქიული ავტონომიური სახელმწიფოს აღდგენა. მაგრამ 1832 წლის შემდეგ ამის შესახებ ლაპარაკს ვერც ბაგრატიონები ბედავდნენ და ვერც მონარქიის მომხრე თავადაზნაურები. მათზე მეტი მამაცობა გამოიჩინა ბაგრატიონების რძალმა, გიორგი XII-ის უშუალო შთამომავლის ილია გრიგოლის ძე ბაგრატიონის მეუღლემ, წარმოშობით რუსმა ქალბატონმა ელისაბედმა. მან მოიწადინა მიებაძა რომანოვების რძლის პეტრე III-ის გერმანელი მეუღლის სოფიას მაგალითისათ-

ვის (რომელმაც ეკატერინე მეორის სახელით 1762 წელს დაიკავა რუსეთის საიმპერატორო ტახტი და ამ ვეებერთელა იმპერიას 30 წელზე მეტხანს განაგებდა) და საქართველოს სამეფო ტახტს დაუფლებოდა.

ელისაბედ ბაგრატიონის ამ მცდელობის შესახებ არსებობს რამდენიმე დოკუმენტი, რომელთა საფუძველზე მარინე გულეიშვილ-მურღულიამ და დიმიტრი შველიძემ მეცნიერული გამოკვლევებიც შექმნეს. ჩანს, რომ ილია გრიგოლის ძე ბაგრატიონი 1899 წელს გარდაიცვალა. მალე ამის შემდეგ ელისაბმედმა გააგრცელა ვერსია იმის შესახებ, რომ საქართველოს სამეფო სახლის პირდაპირმა შთამომავალმა ილია ბაგრატიონმა მას დაუთმო მემკვიდრეობითი უფლება საქართველოს სამეფო ტახტის მიმართ. ამ ქალბატონმა სცადა ამ თავის უფლების რეალიზაცია. მან 1907 წლის 7 მაისს „საქართველოს საკითხი" განსახილველად შეიტანა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, ხოლო იმავე წლის დეკემბერში ელისაბედმა მიაღწია იმას, რომ ნიკოლოზ მეორემ იგი საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრედ ოფიციალურად აღიარა. საიმპერატორო კარი ფიქრობდა, რომ ელისაბედ ბაგრატიონი მემკვიდრის ტიტულით დაკმაყოფილდებოდა. მაგრამ პატივმოყვარე ქალბატონი არ შეჩერებულა. გააგრძელა მშვიდობიანი ბრძოლა ქართული მონარქიის ფაქტიური აღდგენისათვის.

1909 წლის მიწურულს ელისაბედ ბაგრატიონმა გამოაქვეყნა პირველი მოწოდება საქართველოს სამეფოს აღდგენის შესახებ. 1910 წლის ივნისს იგი პეტერბურგიდან თბილისში ჩამოვიდა და სცადა საქართველოს რამდენიმე რეგიონში გაევრცელებინა მეორე მოწოდება - „საქართველოს სამეფოს აღდგენა". მაგრამ 24 ივნისს იგი დააკავეს და ჩამოართვეს აღნიშნული დოკუმენტის 3528 ეგზემპლარი. მოწოდებას ხელს აწერდა „მისი უგანათლებულესობა საქართველოს დედოფალი და მეფე ელისაბედ ბაგრატიონი." მოწოდების მოკლე შინაარსი ასეთია: გიორგი XII სამეფო ტახტიდან არ გადამდგარა. იგი რუსეთთან ახალი ხელშეკრულების გაფორმების მოლოდინში გარდაიცვალა. ალექსანდრე I თითქოს არ იყო დარწმუნებული საქართველოს სამეფოს გაუქმების კანონიერებასა და მიზანშეწონილობაში, მაგრამ 1801 წლის 12 სექტემბერს მაინც გამოსცა მანიფესტი საქართველოს ინკორპორაციის შესახებ. ქართველი ელჩები აქტიურად საქმიანობდნენ იმისათვის, რომ საქართველოს ტახტზე ეხილათ კანონიერი მეფე, მაგრამ ამაოდ. 1802 წლის ივლისში ქართველმა თავადაზნაურებმა თხოვნა გაუგზავნეს რუსეთის იმპერატორს, არწმუნებდ-

ნენ იმაში, რომ ფრანგული ყაიდის რესპუბლიკელობა არ დაუწყიათ, საკუთარ მეფეზე უარი არ უთქვამთ. ჩვენი სურვილია ერეკლე II-ის ანდერძი შესრულდეს, საქართველოს მეფედ რომელიმე ბაგრატიონი უფლისწული დამტკიცდესო. ქართველმა ხალხმა 1812 და 1832 წელსაც დაამტკიცა ბაგრატიონებისადმი ერთგულება. მომდევნო ხანაშიც ცოცხლობდა ქართველთა გულში სამეფო საგვარეულოს სიყვარული. როცა რუსეთის არმიის კავკასიური კორპუსის სარდალი ფელდმარშალი ბრიატინსკი გრიგოლ ილიას ძე ბატონიშვილის თანხლებით თბილისში ჩამოვიდა (1858 წ.), ქართველი საზოგადოება უფლისწულს სიყვარულით, ოვაციითა და მუხლმოდრეკით შეხვდა. გრიგოლ ბატონიშვილის ძე იყო ჩემი მეუღლე ილია ბაგრატიონი - „სამეფო სახლის უპირველესი მემკვიდრე და მეფობის პრეტენდენტი (30, 48-50).

დოკუმენტში საკმაო სიზუსტითაა გადმოცემული ისტორიული ფაქტები და ქართველი ხალხის განწყობილება. როგორც ჩანს ელისაბედს მოწოდების შედგენაში ეხმარებოდა მონარქიული რწმენის ქართველი პატრიოტი. ეს უკანასკნელი ალბათ ფიქრობდა, რომ რუს ქალბატონს რუსეთის მთავრობა მეტ ანგარიშს გაუწევდა და შესაძელებლი გახდებოდა მისი ხელით ქართული საქმის გაკეთება.

მოწოდების ბოლო ნაწილში ელისაბედი ქართველ საზოგადოებას განუმარტავს თუ როგორ დაუთმო მას ბაგრატიონმა მეუღლემ სამეფო ტახტის მემკვიდრეობა, როგორ დააკმაყოფილა ნიკოლოზ მეორემ მისი თხოვნა, როგორ საქმიანობდა რუსეთის მმართველ წრეებში ტრაქტატის პირობათა საფუძველზე საქართველოს სამეფოს აღდგენისათვის. ილია ბაგრატიონის ქვრივი ქართველ სამღვდელოებას, თავადაზნაურობასა და ხალხს არწმუნებდა, რომ იგი როგორც საქართველოს მეფე მოსახლეობის ყველა ფენის ინტერესებს დაიცავდა.

ელისაბედ ბაგრატიონის აქტიურმა პოლიტიკურმა საქმიანობამ რუსეთის მთავრობისა და კავკასიის ადმინისტრაციის დიდი შეშფოთება გამოიწვია. ივარაუდეს რომ იგი „მავნე" გავლენას მოახდენდა ქართველ საზოგადოებაზე და ამიტომ საჭიროდ მიიჩნიეს მეფობის პრეტენდენტის თბილისიდან პეტერბურგს „გასტუმრება". ელისაბედს სამედიცინო შემოწმება ჩაუტარეს და „ფსიქიურად არა ნორმალურ" ადამიანად გამოაცხადეს. მაგრამ პატივმოყვარე ქალბატონი ვერ მოათვინიერეს. ელისაბედმა საჩივარი შეიტანა სენატში, მეფის ნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი თბილისიდან მის ძალით გასახლებაში დაადანაშაულა. იმპერატორმა საქმის გამოძიება ბრძანა.

ელისაბედ ბაგრატიონი გამოძიების დამთავრებას არ დალოდებია. 1912 წლის ზაფხულს მან საქართველოში ახალი მოწოდება გაავრცელა. იქ აღნიშნულია, რომ საქართველოს ავტონომიური სახელმწიფოს აღდგენა საიმპერიო მნიშვნელობის საკითხია. მისი გადაჭრა 1783 წელს „საერთაშორისო ტრაქტატის" შესაბამისად უნდა მოხდეს. 1783 წელს საქართველოს მეფე ნებაყოფლობით რომ შედიოდა რუსეთის შემადგენლობაში, მიზნად ჰქონდა დასახული იმპერატორის დახმარებით ყველა ქართულ მიწებზე თავის იურისდიქციის აღდგენა, საქართველოს გამთლიანება. დღეს კი ზოგიერთ ქართველს სურს გერმანიისა და თურქეთის დახმარებით გააჩაღოს სეპარატისტული მოძრაობა. ეს კი ეწინააღმდეგება ტრაქტატის პირობებს. ქართული სახელმწიფო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში უნდა აღსდგეს. საქართველოს მეფე ფაქტიურად იქნება იმპერატორის მოადგილე, მეფის ნაცვალი. ასეთ პირობებში რუსეთის ჯარს საქართველოს ეროვნული არმიაც შეავსებს. თბილისში მოჭრილი მონეტის ერთ მხარეს ორთავიანი არწივი გამოისახება, მეორე მხარეს კი ქართველი მეფე. ქართველ ხალხს უარს ვერავინ ათქმევინებს მშობლიურ ენაზე, ზნე-ჩვეულებასა და ცხოვრების წესზე, თავისუფალ კულტურულ განვითარებაზე (30, 51-55).

ელისაბედ ბაგრატიონის ქართველ ეროვნულ მოღვაწეებთან ურთიერთობის შესახებ კონკრეტული მასალა თითქმის არ გაგვაჩნია, მაგრამ საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ელისაბედს გარკვეული კავშირი ჰქონდა ვარლამ გელოვანთან და სხვა ავტონომისტებთან. არსებული დოკუმენტების ანალიზი ცხადყოფს, რომ ელისაბედის საქმიანობა, როგორც თავისებური ეპიზოდი თავსდება ბაგრატიონებისა და ქართველი ხალხის ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის მატიანეში. ნიკოლოზ II-ის მიერ ელისაბედ ბაგრატიონის საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრედ აღიარება, დიპლომატიური ფარსი იყო, მაგრამ ესეც კი იმას ამტკიცებს, რომ საქართველოში კვლავ ინარჩუნებდა ძალას მონარქიული ლეგიტიმიზმის პრინციპები. უნდა ვიფიქროთ, რომ რუსეთის იმპერატორი ამ დიპლომატიურ ფარსს საერთაშორისო სამართლისათვის ანგარიშის გაწევის ფაქტად ასაღებდა.

ეროვნული მიმართულების საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოღვაწეებმა გარკვეული იმედი დაამყარეს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროზე. შეეცადნენ იქაც გაეხსნათ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის ფრონტი. 1912 წლის არჩევნების შედეგად მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში

საქართველოდან შევიდა სამი სოციალ-დემოკრატი და ერთი სოციალ-ფედერალისტი. იმავე წლის 5 დეკემბერს სათათბიროს სხდომაზე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ წაიკითხა მთავრობის დეკლარაცია, რომელშიც საქართველო-ამიერკავკასია და მისი პრობლემები არც იყო ნახსენები. კ. ჩხეიძემ თავის განცხადებაში აღნიშნა, რომ რუსეთის მთავრობა ხმას აღარ იღებს იმ რეფორმებზე, რომელთა გატარებას მეფის ნაცვალი ამიერკავკასიის ხალხებს ჯერ კიდევ პირველი რევოლუციის წლებში დაპირდაო. რამდენიმე დღის შემდეგ სოციალ-ფედერალისტთა დეპუტატმა ვარლამ გელოვანმა სახელმწიფო სათათბიროში წარმოსთქვა ცარიზმის რუსიფიკატორულ-კოლონიური პოლიტიკის მამხილებელი სიტყვა: „ბატონებო! თქვენ მხურვალე ტაშით შეხვდით პრემიერს, როცა მან სიყვარულით მოიხსენია ბალკანეთის სლავიანები... ცხადია, ჩემსასაც მიხვდებით; სრული ასი წელია საქართველო ბალკანეთის სლავიანთა მსგავსად დამცირებულია და შეურაცხყოფილი. ცარიზმის ბიუროკრატია ჩვენთვის იგივე იყო, რაც თურქეთი სლავებისათვის. დარწმუნებული ვარ, რაც არ მოისურვა, არ მოიმოქმედა ცარიზმის ბიუროკრატიამ, იმას რუსი ხალხი და მისი წარმომადგენლები იკისრებენ, საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიას მისცემენო (55. №75). მაგრამ ეს საკითხი სათათბიროს არც კი განუხილავს.

მალე ამის შემდეგ პირველი მსოფლიო ომი დაიწყო. მასში ჩაბმული აღმოჩნდა 33 სახელმწიფო. საომარი ოპერაციების ძირითადი მონაწილენი, ერთი მხრივ იყვნენ ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, იტალია, მეორე მხრიდან კი – გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, თურქეთი, ბულგარეთი. ომის ძირითადი ტვირთი და უბედურება ამ სახელმწიფოთა ხალხებს დაანვა კისრად. ისინი, ბუნებრივია, ხოცვა-ჟლეტის მომხრენი ვერ იქნებოდნენ. რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებს (რომელთაც კონკრეტული ამოცანა და მიზანი გააჩნდათ), მათი პოზიცია ომისადმი დამოკიდებულებაში ერთგვაროვანი არ ყოფილა.

რუსეთის ბოლშევიკურმა პარტიამ და მის კვალზე ქართველმა ბოლშევიკებმაც დაგმეს ომი. მოუწოდეს მსოფლიო პროლეტარიატს და ჯარისკაცის ფარაჯაგადაცმულ გლეხობას იარაღი საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ შეებრუნებინათ, იმპერიალისტური ომი სამოქალაქო ომად გადაექციათ. ქართველ სოციალ-ფედერალისტებმა მსოფლიო ომში რუსეთის დამარცხების პოზიცია დაიკავეს. მაგრამ მათი ასეთი განწყობილების მოტივი და მიზანი არსებითად განსხვავდებოდა ბოლშევიკურისაგან. თუ ბოლშევიკები ომს რევოლუციის კატალიზატორად მიიჩნევდნენ

და სოციალისტური წყობილების დამყარებაზე ოცნებობდნენ, სოციალ-ფედერალისტები და მათთან ბლოკში მყოფი ეროვნულ-დემოკრატები იმედოვნებდნენ, რომ დიდი სახელმწიფოების ჭიდილი წყალს დაასხამდა დაჩაგრული ერების წისქვილზე. რუსეთის დამარცხება გაადვილებდა მათ განთავისუფლებას, ეროვნული სახელმწიოებრიობის აღდგენას. ამიტომ მათ ორიენტაცია გერმნაიისა და მოს მოკავშირეებზე აიღეს.

რუსეთის ცარიზმის ჟანდარმერიისაგან დევნილმა პატრიოტებმა ემიგრაციაში ჩამოაყალიბეს „საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი", რომლის აქტიური წევრები – ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი, გიორგი მაჩაბელი, პეტრე სურგულაძე, ლეო კერესელიძე, გერონტი ქიქოძე და სხვები ომის დაწყებისთანავე ჟენევიდან ბერლინში ჩავიდნენ და მჭიდრო კონტაქტები დაამყარეს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. დამკომმა გერმანიის წარმომადგენლებთან გააფორმა ხელშეკრულება, რომელშიც დაფიქსირდა მუხლები იმის შესახებ, რომ თუ ქართველები ანტირუსულ აჯანყებას მოაწყობდნენ, გერმანია დაეხმარებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დაცვაში. ამის შემდეგ დამკომის წევრები სტამბულში ჩავიდნენ, იქ შეუერთდნენ პატრიოტთა ჯგუფს (მ. ქარცივაძე, ზ. აბაშიძე, შ. ვარდიძე და სხვ.), შეხვდნენ თურქეთის მთავრობის წარმომადგენლებს და მათთან გააფორმეს შეთანხმება „საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისა და მისი საზღვრების მოხაზულობის შესახებ". მასში ნათქვამი იყო: თურქეთის მთავრობა სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას მის ისტორიულ-რეალური ტერიტორიის ფარგლებში. ხელს შეუწყობს რუსეთის ჯარისაგან გაწმენდილ მიწაზე საქართველოს დროებითი მთავრობის შექმნას. როგორც კი ეს მთავრობა გამოაცხადებს დამოუკიდებლობას, თურქეთი მაშინვე იურიდიულად სცნობს ამ სახელმწიფოს და მიიღებს მის სრულუფლებიან წარმომადგენელს (ელჩს) სტამბულში. იქვე აღნიშნული იყო, რომ თურქეთი ხელს შეუწყობდა ქართველთა შეიარაღებული რაზმების შექმნას გერმანია-ავსტრიაში ტყვედ ჩავარდნილ ქართველი ოფიცრებისა და ჯარისკაცებისაგან, აგრეთვე ქრისტიანული და მუსლიმანური საქართველოდან გამოსული მოხალისეებისაგან. მართალია ქართული ლეგიონების მეთაურთა დანიშვნა საქართველოს მთავრობის კომპეტენციად ცხადდებოდა, მაგრამ თურქები გამოთქვამდნენ სურვილს, რომ ქართულ ჯარს ანტირუსული სამხედრო ოპერაციები თურქეთის არმიის გენერალურ შტაბთან შეთანხმებით გა-

ნეხორციელებინა. ხელშეკულებაში დაფიქსირდა მუხლი იმის შესახებ, რომ თურქეთის ჯარს უფლება ეძლეოდა გამოეყენებინა საქართველოს ტერიტორია სამხედრო ოპერაციების ჩასატარებლად, მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ იგი საქართველოდან უნდა გაეყვანათ (22, 15-16).

ერთი სიტყვით, გერმანია და თურქეთი ძირითადად თავის გავლენის სფეროთა გაფართოების, რუსეთისათვის დამატებითი სიძნელეების შექმნას ისახავდნენ მიზნად. ემიგრაციაში მყოფი ქართველები კი მათი ამ მისწრაფების საქარათველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის გამოყენებას ცდილობდნენ და ამ მიმართულებით მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწიეს.

საომარი მოქმედების დაწყების პირველ კვირეებში თურქეთის არმიამ დიდ გამარჯვებას მიაღწია, საკმაოდ ღრმად შემოიჭრა ბათუმ-ყარსის ოლქების ტერიტორიაზე. კავკასიის შეშინებულმა რუსულმა ადმინისტრაციამ ადგილობრივ მოსახლეობას მოუწოდა თავის ხელით დაენგრია გზები, ხიდები, სახლები, გაენადგურებინა ბაღ-ვენახები და ყანები, რათა გამარჯვებულ მტერს მხოლოდ შიშველი მიწა დახვედროდა. თითო-ოროლა რენეგატმა ქართველმა მხარი აუბა რუს მოხელეებს. გაცილებით მეტმა კი გაბედა მისი მოწოდების დაგმობა. რეზო გაბაშვილმა პატრიოტებს შეახსენა, რომ უკვე იყო გაფორმებული ხელშეკრულებები გერმანიასა და მის მოკავშირეებთან, რომელნიც ქართველ ხალხს, თუ იგი დაუმორჩილებლობის მოძრაობას გააჩაღებდა, რეალურ დახმარებას გაუწევდნენ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

მართლაც ხელსაყრელი მომენტი დგებოდა ანტირუსული აჯანყების „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" გეგმათა განხორციელებისათვის. მაგრამ რუსეთის ჟანდარმერიას და დაზვერვას არ ეძინა. გააავრცელეს ინფორმაცია, რომ აჭარლები ელოდებიან თურქთა ჯარების მიახლოვებას და სააჯანყებოდ ემზადებიან. ქრისტიანული საქართველოს აჯანყება კი გერმანელთა დესანტის გადმოსხმისთანავე დაიწყებაო. ქართული პრესის მუშაკთა თათბირმა დარხეული ხმები, რა თქმა უნდა, სიყალბედ გამოაცხადა და ამ „პროვოკაციული მონაჭორის" ოფიციალური უარყოფა მოითხოვა.

„ზოგიერთებს მიაჩნდათ, რომ სრული სეპარატიზმი ხიფათს უმზადებდა ქართველებს. სინამდვილისა და სასურველის შეთანაწყობა მხოლოდ კომპრომისის გზით, ავტონომიის იდეის საფუძველზე შეიძლებოდა. არაერთი ქართველი მოღვანის აზრით

გრანდიოზული ომით გამოწვეულ სიძნელეთა ვითარებაში რუსეთის ცარიზმი უფრო დამთმობი გახდებოდა, თუ ქართველები კატეგორიულად მოითხოვდნენ ეროვნულ-პოლიტიკურ ავტონომიას, მეფის მთავრობ დააფასებდა რუსეთის ინტერესებისათვის ფრონტებზე დაღუპულ ქართველთა ამაგს და საქართველოს ავტონომიას უბოძებდა. ზომიერებს ასეთი მსჯელობის გარკვეული საფუძველი გააჩნდათ; კავკასია-მცირე აზიის ფრონტზე თურქეთის ჯარის წარმატება ეპიზოდური აღმოჩნდა. რუსეთის არმია შეტევაზე გადავიდა და ტრაპიზონს მიუახლოვდა. ასეთ პირობებში ანტირუსული აჯანყების იდეამ მიმზიდველობა დაკარგა. ეროვნულმა პარტიებმა დროებით უარყვეს სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გეგმა. მათ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პრობლემა რუსეთში მოსალოდნელ პოლიტიკურ ცვლილებებს დაუკავშირეს და სათანადო მუშაობაც გააჩაღეს, რათა ხელსაყრელ მომენტს მომზადებული შეხვედროდნენ.

საქართველოს პირველი რესპუბლიკა და მისი სამართალმემკვიდრე

გაჭიანურებულმა ომმა რუსეთის ეკონომიკის დაცემა, ხალხის გაჭირვება და პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია. 1917 წლის თებერვლის ბოლოს პეტროგრადის მშრომელთა გაფიცვა-დემონსტრაციებმა საყოველთაო ხასიათი მიიღო. რევოლუციის მხარეს გადავიდა დედაქალაქის მთელი გარნიზონი 170 ათასი კაცი. ამით თავზარდაცემული იმპერატორი ნიკოლოზ მეორე ტახტიდან გადადგა, ხელისუფლება დროებითი დემოკრატიული მთავრობის ხელში გადავიდა. დიდი ძალაუფლება მოიპოვეს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებმაც (ორხელისუფლებიანობა).

რუსეთის ცარიზმის დამხობას, დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებას აღტაცებით შეხვდა საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა. თბილისში ჩამოყალიბდა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო (თავმჯდომარე ნ. ჟორდანია). მალე საქართველოსა და ამიერკავკასიაში შეიმქნა საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტები. რუსეთის დროებითმა მთავრობამ კი მხარის მართვა-გამგეობისთვის შექმნა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი. 1917 წლის 12 მარტს საქართველოს მღვდელმთავ-

რებმა გამოაცხადეს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა.

დროებითი მთავრობა არ ჩქარობდა ეროვნული საკითხის გადაწყვეტას. იგი რამოდენიმე თვეს კვლავ იცავდა „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის" დოქტრინას. ამიტომ განაპირა ქვეყნებში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა გაფართოდა. თითქმის ყველგან ჩამოყალიბდა ეროვნული საბჭოები, რომლებმაც გააჩაღეს ბრძოლა ეროვნული თვითგამორკვევისათვის.

მათ წარმატებას ობიექტურად ხელი შეუწყო 1917 წლის ოქტომბერში ბოლშევიკებისაგან განხორციელებულმა სახელმწიფო გადატრიალებამ, სამოქალაქო ომის ესკალაციამ. იმპერიის მომენტალურმა დაშლამ.

1917 წლის 11 ნოემბერს თბილისში ჩატარდა ამიერკავკასიის პოლიტიკურ პარტიების და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების თათბირი. მონაწილეებმა უარი თქვეს რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს ცნობაზე და მიიღეს გადაწყვეტილება ამიერკავკასიის დამოუკიდებელი საჯარო ხელისუფლების შექმნის შესახებ. 15 ნოემბერს ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის კომისარიატი (დროებითი მთავრობა), რომლის შემადგენლობაში შეიდნენ ე. გეგეჭკორი (თავმჯდომარე), აკ. ჩხენკელი, შ. მესხიშვილი, მ. ჯაფაროვი, ტერ-გაზარიანი და სხვები.

ამიერკავკასიის დროებით მთავრობას, მართალია, სოციალ-დემოკრატებთან ერთად მხარი დაუჭირეს ეროვნული მიმართულების პარტიებმაც. მაგრამ აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის ფორმაზე კამათის დროს. სოციალ-დემოკრატების დიდი უმრავლესობა ჯერ კიდევ უპირატესობას ანიჭებდა უნიტარულ სახელმწიფოს, ზედმეტად თვლიდა ცალკეული ერებისათვის ტერიტორული ავტონომიის სტატუსის მიცემას. სოციალისტ-ფედერალისტები მოითხოვდნენ სამხრეთ კავკასიის სამი ძირითადი ერის ავტონომიური სახელმწიფოების ჩამოყალიბებას და მათი ფედერაციული კავშირის შექმნას. ეროვნულ-დემოკრატები მხარს უჭერდნენ ამიერკავკასიის კონფედერაციას, იმედი ჰქონდათ, რომ იგი უფრო სწრაფად მოამზადებდა პირობებს საქართველოს სრული დამოუკიდებლობის, ეროვნული უნიტარული, სახელმწიფოს შექმნისათვის.

ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ რუსეთის დამფუძნებელი კრების გარკვევის შემდეგ სამხრეთ კავკასიის პოლიტიკოსების წინაშე დაისვა ადგილობრივი საკანონმდელო ორგანოს შექმნის საკითხი. ეროვნულ დემოკრატებმა წამოაყენეს „რუსეთის დამფუძნებელი კრების ფერფლზე საქართველოს დამფუძ-

ნებელი კრების" აღმოცენების ლოზუნგი. მაგრამ ყველაზე გავლენიანმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ამ იდეას მხარი არ დაუჭირა. იგი კოალიციაში დარჩა დაშნაკებთან და მუსავატელებთან, მათთან ერთად შესძლო ამიერკავკასიის სეიმის (პარლამენტის) მოწვევა. საბჭოთა რუსეთის ცნობაზე უარის თქმით და ამიერკავკასიის გამოყოფის პოზიციაზე დადგომით საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ სამხრეთ კავკასიის თითქმის ყველა პარტიის ნდობა დაიმსახურა და სეიმის ფრაქციებისაგან ახალი, პარლამენტის წინაშე პასუხსიმგებელი მთავრობის ჩამოყალიბების სანქცია მიიღო. ახალ მთავრობაში სამინისტროების უმრავლესობას ქართველი მენშევიკები (თავმჯდომარე აკ. ჩხენკელი) აზერბაიჯანელი მუსავატელები და სომეხი დაშნაკები დაეპატრონენ.

მსოფლიო ომი გრძელდებოდა. ბოლშევიკური პროპაგანდით გახრწნილმა რუსეთის ძველმა არმიამ ფრონტი დასტოვა. საბჭოთა მთავრობა იძულებული ნახდა გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან სეპარატული საზავო მოლაპარაკება დაეწყო. თურქეთის დელეგაციამ რუსეთისაგან მოითხოვა ბათუმისა და ყარსის ოლქის დათმობა. ბრესტის საზავო კონფერენციას ამიერკავკასიის მთავრობის წარმომადგენლობა არ დასწრებია, არანაირად არ უცდია თავისი ინტერესების დაცვა. არც საბჭოთა მთავრობას გამოუდვია თავი ძველი რუსეთის ამ სამფლობელოების (საქართველო-სომხეთის ამ ნაწილების) შენარჩუნებისათვის. დასაშვებად მიიჩნია, მისი გადაცემა თურქეთისათვის.

ბრესტის საზავო ხელშეკრულების სათანადო მუხლის თანახმად ბათუმისა და ყარსის ოლქების კუთვნილების საკითხი ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვის, რეფერენდუმის გზით უნდა გადაწყვეტილიყო. მაგრამ თურქეთის მთავრობა არ დალოდებია პლებისციტის ჩატარებას. მისმა ჯარებმა 1918 წლის მარტ-აპრილში შეტევითი ოპერაციები განახორციელეს. დაიკავეს ბათუმ-ყარსის ოლქები, აგრეთვე ახალციხე-ახალქალაქის მაზრების და ერევნის გუბერნიის ნაწილი. ქართულ-სომხური მოსახლეობა, მართალია, აღსდგა ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ მთავრობის მაორგანიზებელი როლი ნაკლებად ჩანდა.

სამხედრო მარცხმა ამიერკავკასიის მთავრობა დათმობის გზაზე დააყენა. მან უარი თქვა ადრინდელ წინადადებაზე (უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის დადება) და გააკეთა განცხადება, რომ სცნობდა ბრესტის ზავის პირობებს, თმობდა ბათუმ-ყარსის ოლქებს. ჩხენკელის მთავრობამ საზავო მოლაპარაკების გაგრ-

ძელების სურვილიც გამოთქვა. მაგრამ თურქეთმა ამის წინაპირობად მიიჩნია რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამოყოფის დაკანონება, ამ ახალი სახელმწიფოს ოფიციალური და დეკლარაციული გაფორმება. მონინაალმდეგის ასეთმა პოზიციამ მოვლენების განვითარება დააჩქარა. 1918 წლის 22 აპრილს სეიმმა თითქმის ერთხმად მიიღო დეკლარაცია ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის და დემოკრატიულ-ფედერაციულ რესპუბლიკად მისი გამოცხადების შესახებ.

ტრაპიზონში ადრე დაწყებული და ჩიხში შესული საზავო კონფერენცია 1918 წლის 11 მაისს ბათუმში განახლდა. ამიერკავკასიის დელეგაცია დარწმუნებული იყო, რომ ხელშეკრულებას საფუძვლად დაედებოდა ბრესტის ზავის პირობები. მაგრამ სამხედრო წარმატებებით გაამაყებულმა თურქებმა გაცილებით მეტი ტერიტორიები მოითხოვეს. ულტიმატუმში აღნიშნული იყო, რომ საზავო ხელშეკრულებაში უნდა დაფიქსირებულიყო ბათუმ-ყარსის ოლქებთან ერთად ერევნის გუბერნიის ორი მესამედის და თითქმის მთელი ახალციხე-ახალქალაქის მაზრების თურქებისათვის გადაცემა. ასეთ ზავზე მხოლოდ აზერბაიჯანის დელეგაციამ განაცხადა თანხმობა. სომეხი და ქართველი პოლიტიკოსები ერთხანს კვლავ აგრძელებდნენ დიპლომატიურ ბრძოლას.

ამ გადამწყვეტ მომენტში, ბუნებრივია, ყველა პოლიტიკური პარტიის წინაშე განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა საგარეო ორიენტაციის პრობლემა. თითქმის ყველამ აღიარა, რომ ამიერკავკასიის ფედერაციულ კავშირს ძირი გამოეთხარა. მის ნანგრევებზე სამი დამოუკიდებელი რესპუბლიკა უნდა შექმნილიყო. მაგრამ ამ დამოუკიდებლობისა და უშიშროების დაცვა საკუთარი ძალით შეუძლებელი ჩანდა. ასეთ სიტუაციაში აზერბაიჯანმა თურქული ორიენტაცია აირჩია, სომხეთმა – ინგლისური, ხოლო საქართველოს თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია (ბოლშევიკური ორგანიზაციის გამოკლებით) გერმანულ ორიენტაციაზე დადგა.

ეროვნულ-დემოკრატი ალექსანდრე ასათიანი წერდა: „თავისუფალი სახელმწიფოებრივი ცხოვრება მაშინ არის ერისათვის სასურველი, როდესაც ის უზრუნველყოფს მშვიდობიან განვითარებას, როდესაც დაცულია მოქალაქეობრივი თანასწორობა და თავისუფლება... ადამიანის ქონება და პიროვნული უშიშროება". საქართველოს, ქართველ ერს, აღნიშნავდა ალ. ასათიანი, აქვს ამის რაღაც ელემენტები, მაგრამ მარტო „ჩვენი საკუთარი ძალით ვერ შევქმნით სახელმწიფოებრიობას, რომელიც უზრუნველყოფს ერის ბუნებრივ განვითარებას". ფაქტი არისო, რომ

ჩვენზე დიდმა ერებმა გამოიყენეს ძლიერი სახელმწიფოების დახმარება. პოლონეთმა, ფინეთმა, ლიტვამ და ზოგმა სხვა სახელმწიფოებმა გერმანიის დახმარებით გადალახეს პირველი დაბრკოლებანი. ჩვენც გერმანიას უნდა ვთხოვოთ გამოგვიწოდოს დახმარების ხელი. იმ გერმანიას, რომელსაც რაიმე პოლიტიკური მიზანი კი არ ამოძრავებს, არამედ სურვილი აქვს ისარგებლოს ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრეებით. ეკვივალენტური გაცვლის გზით მიიღოს მარგანეცი, სპილენძი, ბამბა და სხვ., „ჩვენ უნდა შეგვწევდეს უცხო ძალის მონვევის გამბედაობა, როდესაც საკუთარი ძალებით არ შეგვიძლია საქართველოს ეროვნული არსებობის უზრუნველყოფა" (56).

1918 წლის 15 მაისს ა. ჩხენკელი ბათუმიდან საიდუმლოდ სწერდა ნ. ჟორდანიას. ამიერკავკასიის მთავრობის სახელით თურქეთთან საზავო მოლაპარაკება ჩიხში მოექცა. მაქვს რა გერმანიის დელეგაციის მხარდაჭერის იმედი, მე ვიწყებ დიპლომატიურ მოქმედებას საქართველოს სახელით. „საქართველოს დამოუკიდებლობა" – აი პირველი ნაბიჯი, როცა აქაური მოლაპარაკება შეწყდება... თქვენ ვალდებული ხართ ქართველ ერს უხელმძღვანელოთ... თქვენ უნდა ითამაშოთ რადიკალური ბურჟუაზიის როლი, სხვა არავინ არის თქვენსავით გავლენიანი... საჭიროა გამბედაობა. ნუ გადააქცევთ ერისა და სახელმწიფოს საქმეს პარტიის საქმედ. პარტია, ეროვნული გრძნობით გამსჭვალული, შესძლებს ერის ხსნას" (62ᵃ, 15-16).

რაკი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალთა უმეტესობა, ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა სრული დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდა, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამაც რადიკალურად შეცვალა თავისი პოზიცია, დათმო ცენტრალიზმისა და ფედერალიზმის იდეა, ხელში აიღო საქართველოს სრული სუვერენიტეტის დროშა.

1918 წლის მასის მეორე ნახევარი პოლიტიკური დაძაბულობით გამოირჩეოდა. დებატები მიმდინარეობდა როგორც ამიერკავკასიის სეიმში, ისე საქართველოს ეროვნულ საბჭოში. სეიმის ფრაქციებმა ვერ შეძლეს საერთო ენის გამონახვა. ჩიხში მომნყვდეულმა ამიერკავკასიის ამ პარლამენტმა 26 მაისს, დილის 11 საათზე დაამტკიცა თავის უკანასკნელი დეკრეტი ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისა და სეიმის თვითლიკვიდაციის შესახებ. იმავე დღეს 17 საათზე საქართველოს ეროვნული საბჭოს დავალებით ნ. ჟორდანიამ მთავრობის სასახლეში შეკრებილ მრავალრიცხოვან ქართველ საზოგადოებასა და უცხოელ სტუმრებს გააცნო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ არჩეული ეროვნული საბჭოს დეკლარაციაში ნათქვამი იყო: „1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა; 2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა; 3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო ნეიტრალური სახელმწიფოა; 4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყაროს; 5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანაბრად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის პოლიტიკურ და სხვა უფლებებს; 6. დამფუძნებელი კრების მოწვევამდე საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია ეროვნული საბჭოს წინაშე" (59, 3-4).

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ (პარლამენტმა) დაუყოვნებლივ დაიწყო საკანონმდებლო საქმიანობა. ჩამოყალიბდა პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი დროებითი კოალიციური მთავრობა. მის თავმჯდომარედ აირჩიეს გავლენიანი სოციალ-დემოკრატი ნოე რამიშვილი (ერთი თვის შემდეგ იგი შეცვალა ნოე ჟორდანიამ). შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა ნ. რამიშვილი. სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე, საგარეო საქმეთა – აკაკი ჩხენკელი, იუსტიციის – შალვა მესხიშვილი, ფინანსთა – გიორგი ჟურული, მიწათმოქმედების – ნოე ხომერიკი, გზათა – ივანე ლორთქიფანიძე, განათლების მინისტრი – გიორგი ლასხიშვილი. კოალიციურ მთავრობაში უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებს ეკუთვნოდა, მაგრამ სხვა პარტიათა წარმომადგენელი მინისტრები საკმარდ დიდ გავლენას ახდენდნენ საქართველოს რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაზე.

დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების პირველი აქტები იყო თურქეთთან და გერმანიასთან ხელშეკრულებების გაფორმება. თურქეთთან დადებული ზავი, მართალია, მეტისმეტად მძიმე იყო, მაგრამ გერმანიის დახმარებით საქართველომ თავიდან აიცილა ძირითადი ტერიტორიების თურქეთისაგან ოკუპაციის საფრთხე. თურქეთისათვის სამუსლიმანო საქართველოს დათმობა ქართველმა ხალხმა დროებით მოვლენად მიიჩნია, ხოლო მფარველ-მოკავშირის გერმანიის ჯარის საქართველოში შემოსვლა, შექმნილ სიტუაციაში, ქართველმა საზოგადოებამ დადებით მოვლენად აღიქვა. აღინიშნა, რომ კაიზერულმა გერმა-

ნიამ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა-განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

ისიც უნდა ითქვას, რომ იმ დროს გერმანიაში გაჩნდა ქართული მონარქიული სახელმწიფოს რესტავრაციის იდეა. საქართველოს სამეფო ტახტზე გერმანიის იმპერატორის ვაჟის დასმას ვარაუდობდნენ. საქართველოში ჯერ კიდევ იყვნენ მონარქისტები. მაგრამ მათ ვერ გაბედეს გერმანელი უფლისწულისათვის ბაგრატიონი უფლისწული დაეპირისპირებინათ. მემარცხენე პარტიების ბატონობის პირობებში მონარქიის აღდგენის იდეა საერთოდ გაუფერულდა. „ხმა ერისამ" (დემოკრატიამ) თითქმის მთლიანად დაჩრდილა „ხმა ღვთისა". მონარქიულ ლეგიტიმიზმზე რესპუბლიკურმა ლეგიტიმიზმმა გაიმარჯვა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ ეროვნულ ნიადაგზე დადგომით, მართალია, მაღალი კლასებისა და ინტელიგენციის ნდობა მოიპოვა. მაგრამ ბევრს შინ და გარეთაც კვლავ აშინებდა მისი სოციალისტური პროგრამა. არა ბუნებრივად მიაჩნდა ეროვნულ-ბურჟუაზიული სახელმწიფოს სათავეში (უმრავლესობის სახით) სოციალისტური მთავრობის ყოფნა. ასეთთა საყურადღებოდ ნ. ჟორდანია ამბობდა: დასავლეთ ევროპელ სოციალისტებს ბურჟუაზიული სახელმწიფოთა (გერმანია, საფრანგეთი, შვეიცარია, სკანდინავიის ქვეყნები და სხვ.) მართვა-გამგეობაში მონაწილეობის დიდი გამოცდილება აქვთ და ამ როლის შესრულება არც ჩვენ გაგვიჭირდებაო. ხოლო სოციალისტურ მიმდინარეობათა პროგრამების ავ-კაგში გაურკვეველ მუშებს იგივე ნ. ჟორდანია ასე მიმართავდა: თქვენ ფიქრობთ, რომ რაკი მთავრობა სოციალისტურია, მან უნდა განახორციელოს სოციალიზმი. მაგრამ ეს ბოლშევიკთა მცდარი თვალსაზრისია. სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) სხვაგვარი შეხედულებისა ვართ. მიგვაჩნია, რომ განვითარების კაპიტალისტურ სტადიას ვერ გადავახტებით. ბურჟუაზიულ სახელმწიფოს სათავეში მოქცეულ ჩვენს პარტიას ეკონომიკურად ჩამორჩენილ საქართველოში ევალება კერძო ინიციატივის წახალისება, საწარმოო ძალთა განვითარებისათვის ხელის შეწყობა, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება, სოციალური სამართლიანობის იდეის სამსახური.

საქართველოს პირველ რესპუბლიკაში სოციალ-დემოკრატიამ ბოლომდე შეინარჩუნა წამყვანი პოზიცია, მაგრამ ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ პრინციპული ბრძოლით დიდი გაელენა მოახდინა მმართველ პარტიაზე. სოციალ-დემოკრატიამ საგრძნობლად შეცვალა თავის სამოქმედო პროგრამა – უარი თქვა ვიწრო კლასობრივ და ვიწრო პარტიულ პოზიციაზე. გაატა-

რა დემოკრატიული ხასიათის რეფორმები, რამაც საგრძნობლად შეასუსტა სოციალური ანტაგონიზმი და კლასობრივი ბრძოლა. ხელი შეუწყო ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციას, ყველა კლასი და პარტია ჩააბა საერთო სახალხო, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობაში.

საქართველოს პარლამენტი და მთავრობა ცდილობდნენ საიმედო კადრებით დაეკომპლექტებინათ სამინისტროები, ადმინისტრაციული აპარატი და მილიცია. შეექმნათ ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტურად მომქედი ორგანოები.

თავდაპირველად პარლამენტის მიერ დამტკიცებული კანონის შესაბამისად განისაზღვრა საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო ადმინისტრაციის შტატები, დაინიშნენ საგუბერნიო, სამაზრო და სარაიონო კომისრები. ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ გააკრიტიკა ადმინისტრაციული კანონი, დაიწუნა მის საფუძველზე შექმნილი ბიუროკრატიული აპარატი, განსაკუთრებით მკაცრად დაგმო კომისართა ინსტიტუტი. ფრაქციამ ზედმეტად მიიჩნია საქართველოს დაყოფა გუბერნიებად. ჩვენი პატარა რესპუბლიკისათვის გუბერნატორთა მაგვარი სატრაპები შეუფერებელიაო. გუბერნიები უნდა გაუქმდეს, მთავრობას არ აგუჭირდებაო პირდაპირი კავშირის დამყარება სამაზრო და სარაიონო ხელისუფლებასთან. მანვე კრიტიკულად შეაფასა ადგილობრივი თვითმმართველობის კანონი (პროექტი) მოითხოვა მისი არსებითად გადამუშავება (57).

პარლამენტისა და მთავრობის უმრავლესობამ მიიღო სამართლიანი კრიტიკა. ძალიან მალე გაუქმდა ქვეყნის დაყოფა გუბერნიებად. მოისპო სამაზრო კომისართა ავტორიტარული ხასიათის თანამდებობებიც. გატარდა საერობო რეფორმა და თითქმის ყველა მაზრაში ჩამოყალიბდა ადგილობრივი თვიმმართველობის ორგანოები. 1918 წლის მეორე ნახევარში ჩატარდა სამაზრო საკრებულოთა არჩევნები, ხოლო საკრებულოს ხმოსნებმა (დეპუტატებმა) თვითონვე აირჩიეს გამგეობები და მათი თავმჯდომარეები (გამგებლები). ცალკე კანონ-დებულების შესაბამისად განხორციელდა საქალაქო თვითმმართველობათა დემოკრატიზაცია. ქალაქის ბურჟუაზიამ დაკარგა ადგილობრივი მართვა-გამგეობის მონოპოლია. საქალაქო სათათბიროებსა და გამგეობებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს ინტელიგენციისა და ხალხის ფართო ფენების წარმომადგენლებმა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლებას კარგად ესმოდა დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის შეიარაღებული ძალების დიდი მნიშვნელობა. სპეციალური კანონმდებ-

ლობის საფუძველზე ჩამოყალიბდა სახალხო გვარდია, რეგულარული 20-30 ათას კაციანი არმია, რომელიც ორი წლის განმავლობაში წარმატებით იცავდა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, გასაქანს არ აძლევდა ანტიქართულ სეპარატისტულ ძალებს.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობას, მართალია, ქართველები შეადგენდნენ, მაგრამ მის ტერიტორიაზე მეტ-ნაკლები რაოდენობით ცხოვრობდნენ აფხაზები, ოსები, სომხები, აზერბაიჯანლები, რუსები და სხვა ერთა წარმომადგენლები. საქართველოს ხელისუფლება, ბუნებრივია, ცდილობდა შიგაეროვნულ ურთიერთობათა დარეგულირებას, მის ნორმალურ ჩარჩოებში ჩაყენებას.

აფხაზმა სეპარატისტებმა თავისი ეროვნული საბჭო ჩამოაყალიბეს და პრეტენზია განაცხადეს საკუთარ სახელმწიფოებრიობის შექმნაზე (1918 წლის იანვარ-თებერვალი). საქართველოს ეროვნული საბჭოს ლიდერებმა, რა თქმა უნდა, მხარი არ დაუჭირეს აფხაზების სეპარატისტულ მისწრაფებას. მათი გეგმით, აფხაზეთის (სოხუმის ოლქი) მრავალეროვნულ მოსახლეობას საქართველოს ფარგლებში უნდა მისცემოდა ავტონომიური ერთეულის სტატუსი. ამ საკითხზე შეთანხმებაც კი გაფორმდა.

აფხაზეთში მომუშავე ბოლშევიკებმა ეს შეთანხმება ფაქტობრივად ჩაშალეს. მათ ხელი გაიწოდეს ბოლშევიკური რუსეთისაკენ და სოხუმში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. ბოლშევიკთა დასახმარებლად 2 ათასიანი რაზმიც ჩამოვიდა. ბოლშეეიკებისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ აფხაზი სეპარატისტები.

რაკი მშვიდობიანი მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა, აფხაზეთში წესრიგის დამყარების ფუნქცია დაეკისრა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს. ქართულმა ჯარმა დაიკავა სოხუმი, განავითარა შეტევა და ივნის-ივლისში აიღო ქალაქი გუდაუთა, გაგრა, სოჭი, ტუაფსე. ამის შემდეგ ნ. ჟორდანიამ გააკეთა კომპრომისული განცხადება, რომ ტერიტორიების შემომატება ჩვენს გეგმაში არ შედის, ჩვენი ჯარი ტუაფსემდე საქართველოს დაცვის, მისი მთლიანობის შენარჩუნების, ბოლშევიკებისაგან მომდინარე საფრთხის თავიდან აცილების საჭიროებამ მიიყვანაო.

საქართველოს ხელისუფლებამ დაშალა არაკანონიერად არჩეული აფხაზთა ეროვნული საბჭო. ჩაატარა ახალი არჩევნები, რომლის შედეგების საფუძველზე ჩამოყალიბდა აფხაზეთის მრავალეროვნული საბჭო. მან შეიმუშავა „აფხაზეთის ავტონომიის აქტი" იქ ნათქვამი იყო: 1. აფხაზეთი შედის საქართველოს რეს-

პუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიური ტერიტორიული ერთეულის სახით; 2. ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის შესადგენად, ცენტრსა და ავტონომიას შორის ურთიერთობის დარეგულირებისათვის იქმნება შერეული კომისია. მის მიერ შედგენილი კონსტიტუცია შევა საქართველოს კონსტიტუციაში, როგორც მისი ნაწილი.

1918 წლის გაზაფხულს მდ. ლიახვის ზემო ნაწილში აგრარული მოძრაობა დაიწყო, რომელსაც ბოლშევიკებმა პოლიტიკური მიმართულება მისცეს, საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ წარმართეს. ოსმა აჯანყებულებმა აიღეს ცხინვალი და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. მართალია, საქართველოს ჯარმა გაათავისუფლა ცხინვალი, ქვეყნის მთლიანობა შეინარჩუნა, მაგრამ ოსთა ანტიქართული მოძრაობა სხვადასხვა ფორმით კიდევ კარგა ხანს გრძელდებოდა. ამას ემატებოდა ბოლშევიკებისაგან პროვოცირებული ქართველ გლეხთა აჯანყებები. ასეთ ვითარებაში ქართული ეროვნული სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია გახდა შინაგანი მშვიდობის დამყარება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.

მაგრამ საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების, მისი შეიარაღებული ძალების მთავარი მოვალეობა იყო გარედან მომდინარე საფრთხის თავიდან აცილება. ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

1918 წლის ოქტომბერ-ნოემბერში სხვადასხვა ფრონტებზე დამარცხებულმა გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა კაპიტულაცია გამოაცხადეს. გამარჯვებული ანტანტის არმიებმა მსოფლიოს მთელ რიგ რეგიონებში დაიკავეს დამარცხებულთა ადგილი. საქართველოში ინგლისის ჯარი შემოვიდა.

გერმანიის მარცხი ჩვენმა მეზობელმა სახელმწიფოებმა საქართველოს რესპუბლიკის მარცხადაც აღიქვეს. მიიჩნიეს, რომ დადგა ხელსაყრელი მომენტი და ყველაფერს აკეთებდნენ საქართველოს ტერიტორიების მითვისებისათვის. სწორედ ამ მომენტს დაუკავშირა სომხეთის რესპუბლიკამ საქართველოსთან გამოუხადებელი ომის დაწყება, ამის შემდეგ გააძლიერა თეთრმა რუსეთმაც (დენიკინის რეჟიმი) საქართველოს წინააღმდეგ შემოტევა.

1918 წლის ნოემბერში, მუდროსის დროებითი ზავის თანახმად თურქეთმა დატოვა ამიერკავკასიაში ოკუპირებული ტერიტორიები. როგორც კი თურქთა ჯარის ნაწილი საქართველოს კუთვნილი ლორეს რაიონიდან გავიდა, იქ მყისვე შეიჭრნენ სომხეთის შეიარაღებული ძალები. საქართველოს მთავრობის სიტყ-

ვიერ პროტესტზე მეორე მხარეს რეაგირება არ მოუხდენია. ამიტომ კონფლიქტის ზონაში ქართული ჯარი გაიგზავნა. ომი გაჩაღდა. საქართველოს ჯარმა შეტევა განავითარა, აგრესიული მეზობლისაგან ოკუპირებული ტერიტორიების დიდი ნაწილი გაათავისუფლა.

სომხეთის ჯარი სრული მარცხისაგან დიდმა ბრიტანეთმა იხსნა. მან იკისრა არბიტრის როლი და კიდეც დაიზავა მხარეები. შეთანმხების თანახმად შეიქმნა ნეიტრალური ზონა (ლორეს რაიონი) მოხდა საქართველოსა და სომხეთის ჯარების დაშორიშორება.

ქართველი საზოგადოება მიესალმა ეროვნული ჯარის გამარჯვებას, მაგრამ დაგმო გაფორმებული ხელშეკრულება. პარლამენტის სხდომაზე მთავრობის მკვეთრი კრიტიკით გამოვიდა მემარჯვენე ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი სპირიდონ კედია. მან აღნიშნა, რომ სომხეთთან ომის დროს მთავრობამ ვერ გამოიჩინა ორგანიზებულობა და შეცდომა დაუშვა საზავო მოლაპარაკების დროს. ფაქტობრივად ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვა, მაგრამ შეთანხმების პირობებით დამარცხებული გამოვედითო. გაფორმებული საზავო ხელშეკრულება გვართმევს სუვერენულ უფლებას ტერიტორიის ერთ ნაწილზე და ამიტომ იგი მიუღებელია. პარლამენტმა არ უნდა მოახდინოსო საზავო ხელშეკრულების რატიფიკაცია (58).

რესპუბლიკის მთავრობაც კარგად ამჩნევდა, რომ სამმხრივი შეთანხმება ზიანს აყენებდა საქართველოს ინტერესებს, მაგრამ მან ვერ შეძლო წინაღდგომოდა ძლევამოსილ ანტანტას და მის წამყვან წევრს დიდ ბრიტანეთს. მთავრობის ზოგი გადაწყვეტილება იძულებითი იყო. 1918 წლის 24 დეკემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ინგლისის სამხედრო მისიას სწერდა: თქვენი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობა აუცილებელ საჭიროებად არ თვლის უცხო ჯარების ყოფნას თავის ტერიტორიაზე, მას თვითონვე შეუძლია წესრიგისა და მშვიდობის დაცვა. მაგრამ რაკი მოკავშირეების საერთო გეგმაში შედის თბილისში მათი ორი ბრიგადის დაბინავება, საქართველოს მთავრობა უარს ამბობს აღნიშნული რაოდენობის ჯარის თბილისში შემოყვანაზე. ფაქტია, რომ ინგლისის სამხედრო მისიამ რამდენადმე შეზღუდა საქართველოს ხელისუფალთა სუვერენული უფლებები და არც თუ იშვიათად მის მტრებს გარკვეულ დახმარებას უწევდა საქართველოს ინტერესების ხარჯზე.

26 მაისს დეკლარაცია ითვალისწინებდა უახლოეს მომა-

ეალში საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევას, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო საჭირო მუშაობის ჩატარება დაგვიანდა. თითქმის ყველა პოლიტიკურ პარტიას დამფუძნებელი კრების მოწვევა აუცილებლობად მიაჩნდა იმიტომ, რომ საქართველოს ეროვნული საბჭო, მართალია, ჩამოყალიბდა პარტიული პრინციპის საფუძველზე და პარლამენტში ყველა პარტიას ჰყავდა წარმომადგენლობა (ფრაქცია), მაგრამ ეს საკანონმდებლო ორგანო არ იყო შექმნილი საყოველთაო და თანასწორი არჩევნების გზით. ოპოზიციური პარტიების აზრით, მთავრობის არსებული შემადგენლობა ვერ ასახავდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა ფაქტობრივ ძალას, დამფუძნებელი კრების არჩევნებში უფრო რეალურად აისახებოდა ხალხის ნება, „ხმა ერისა", მისი სიმპათია-ანტიპათიები ცალკეულ პოლიტიკურ პარტიათა მიმართ.

1918 წლის 22 ნოემბერს პარლამენტმა დაამტკიცა „დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა". იგი ითვალისწინებდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემით დამფუძნებელი კრების 130 წევრის არჩევას. პროპორციულ-წარმომადგენლობითი წესით არჩევნების ჩატარება ევალებოდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, მისდამი დაქვემდებარებულ სამაზრო, საქალაქო და სასოფლო კომისიებს, რომლებშიც უნდა შესულიყვნენ ყველა იმ პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრები, რომლებიც წარადგენდნენ დეპუტატობის კანდიდატთა სიებს.

დამფუძნებეული კრების არჩევნები 1919 წლის 14, 15 და 16 თებერვალს ჩატარდა. ხმების აბსოლუტური უმრავლესობით გაიმარჯვა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელმაც დამფუძნებელ კრებაში გაიყვანა 109 დეპუტატი. ამ საკანონმდებლო ორგანოში სოციალისტ-ფედერალისტებს ჰყავდათ 9 დეპუტატი, ეროვნულ-დემოკრატებს – 8, სოციალისტ-რევლუციონერებს – 5. არჩევნების კანონიერება და შედეგები ეჭვ ქვეშ დააყენეს ეროვნულ-დემოკრატებმა, მაგრამ მათ ორგანოს – გაზეთ „საქართველოს" არ უარუყვია არჩევნების დიდი მნიშვნელობა. გამოცხადდა, რომ შეიქმნა ლეგიტიმური საკანონმდებლო ხელისუფლება, დაიწყო ახალი ხანა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. სხვა პარტიებიც მიესალმნენ იმ ფაქტს, რომ ქართველი ხალხი უზენაესი უფლებით შეიმოსა, საერთაშორისო სამართლის სუბიექტი გახდა.

დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა უხუცესმა დეპუტატმა ს. ჯიბლაძემ გახსნა 1919 წლის 1 მარტს. მეორე, 14 მარ-

ტის სხდომაზე დროებითი მთავრობის საქმიანობის ანგარიშით გამოვიდა ნ. ჟორდანია. მან მთავრობის სწორი გეზის დამადასტურებლად მიიჩნია ის, რომ საქართველო შეჩერდა რევოლუციის ბურჟუაზიულ ეტაპზე; საფუძველი ჩაეყარა დემოკრატიულ სახელმწიფოს, გატარადა აუცილებელი რეფორმები, ჩამოყალიბდა სახალხო გვარდია, იქმნება რეგულარული არმია. ნ. ჟორდანიამ თავის გამოსვლა ასე დაამთავრა: „რაც შეგვეძლო ვიმუშავეთ... ჩვენი სახელმწიფო გემი მშვიდობით მივიყვანეთ სანაპიროზე. ჩაიბარეთ ეს გემი, მიიღეთ სახელმწიფოს სადავე და გააკეთეთ ის, რაც ჩვენ ვერ შევძელით. პარლამენტის მთავრობა მიდის და ადგილს უთმობს დამფუძნებელი კრების მთავრობას (60).

იმავე სხდომაზე დაისვა ახალი მთავრობის შედგენის საკითხი. რ. არსენიძემ განაცხადა: უკვე არსებული პრეცედენტის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ავირჩიოთ თავმჯდომარე, რომელიც შეარჩევს მთავრობის წევრებს. ასეთი წესით შექმნილი მინისტრთა კაბინეტი უფრო შეთანხმებულად იმოქმედებს. თუმცა დამფუძნებელ კრებას იმის უფლებაც აქვს მთავრობის ყველა წევრი თვითონ აირჩიოს და პრეზიდენტის ინსტიტუტიც შექმნასო. უმრავლესობამ უარი თქვა საპრეზიდენტო მმართველობის შემოღებაზე და დაადგინა: „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შესადგენად დამფუძნებელი კრება ირჩევს ერთ კაცს, რომელიც ნიშნავს მინისტრებს: მთავრობის თავმჯდომარე იმავდროულად არის უმაღლესი წარმომადგენელი რესპუბლიკისა" (60).

დამფუძნებელი კრების უმრავლესობამ მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატად დაასახელა ნ. ჟორდანია და კიდეც მიაღწია მის არჩევას. ნ. ჟორდანიამ, თავის მხრივ, მინისტრთა კაბინეტი მთლიანად სოციალ-დემოკრატებით დააკომპლექტა. რაკი დამფუძნებელ კრებაში აბსოლუტურ უმრავლესობას ფლობდა, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ევროპაში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, უფლება ჰქონდა ერთპარტიული მთავრობა შეექმნა და ჩამოაყალიბა კიდეც, მაგრამ ფაქტია, რომ ამან გააძნელა პოლიტიკური პარტიების კონსენსუსი, ოპოზიციის კონსტრუქციული მუშაობა, გარკვეული სიძნელეები შექმნა საერთოდ ხელისუფლების საქმიანობაში.

1919 წლის 25 აპრილს დამტკიცდა დამფუძნებელი კრების რეგლამენტი. განისაზღვრა ამ უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს სტრუქტურა, მისი მუშაობის წესი. ამ რეგლამენტის საფუძველზე მოხდა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის და მუდმივი კომისიების არჩევნები.

ყველაზე რთული და ძნელი საქმე დაეკისრა საკონსტიტუ-

ციო კომიასიას. იგი ერთი წელი მუშაობდა ძირითადი კანონის პროექტის შედგენაზე და დიდხანს გაგრძელდა ამ პროექტის განხილვა. 1920 წლის 24 ნოემბერს დამფუძნებელი კრების წინაშე ვრცელი ანგარიშით წარსდგა საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პ. საყვარელიძე. თავის სიტყვის ბოლო ნაწილში მან აღნიშნა: დასავლურ დემოკრატიაში ხელისუფლების დაყოფა სამად (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო), მართალია, დაკანონებულია, მაგრამ მთელი სისრულით მისი დაცვა შეუძლებელი ხდება. საქართველოს დემოკრატია ისე ყალიბდებოდა, რომ ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ამ სამი ელემენტის ერთმანეთისაგან სრული დამოუკიდებლობა. ყველა დემოკრატიასა და კონსტიტუციას აქვს გარკვეული ნაკლი. ამიტომ წმინდა სახით ვერც ერთ დემოკრატიულ სისტემას ვერ გამოვიყენებთ. საქართველოს კონსტიტუცია უფრო სრულყოფილი უნდა გავხადოთ. მუდმივი არაფერია. მომავალ თაობას შეიძლება ჩვენი კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლი არ მოეწონოს, სავსებით ბუნებრივია მათი შესწორება და შეცვლაც. მაგრამ ის მუხლი, რომელიც აკანონებს საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას, შეუცვლელი უნდა იყოს. შეიძლება ახალი საზოგადოებრივი წყობილება დამყარდეს, ახალი კონსტიტუციაც შემუშავდეს, მაგრამ ეს მუხლი უცვლელად უნდა გადავიდეს ახალ კონსტიტუციაში. ჩვენი ძირითადი კანონი უნდა უზრუნველყოფდეს პოლიტიკური დემოკრატიის და სოციალური დემოკრატიის შერწყმას (61).

საბჭოთა რუსეთიდან აშკარა აგრესიის დაწყების შემდეგ საკანონმდებლო მუშაობა კიდევ უფრო დაჩქარდა. 1921 წლის 22 თებერვლის კონსტიტუციის პროექტი დამტკიცდა, საქართველოს პირველი რესპბულიკის ძირითად კანონად გადაიქცა.

ამ კონსტიტუციით საქართველო დაფუძნდა როგორც თავისუფალი, დამოუკიდებელი, განუყოფელი სახელმწიფო, მარადიული რესპუბლიკა. მე-8 მუხლი ღაღადებდა: „კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია, არ შეიძლება გამოქვეყნდეს კონკრეტული კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის... დედააზრის წინააღმდეგია. კონსტიტუციის შესრულება, მისი პრინციპების განხორციელება კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაში სახელმწიფოს ყოველი ხელისუფლების მოვალეობას შეადგენს".

1921 წლის კონსტიტუციაში დაფიქსირებულია დებულებები მოქალაქეთა უფლებების, წოდებრივ განსხვავებათა მოსპობის, კანონის წინაშე ყველას გათანასწორების შესახებ. გამოცხადებულია, რომ მოქალაქეს აქვს სინდისისა და რწმენის თავისუფ-

ლება, სიტყვის, შეკრების, კავშირების შექმნის, გაფიცვების უფლება. კანონის დარღვევისა და დანაშაულებრივი ქმედების შემთხვევაში პიროვნება პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

კონსტიტუციის მეოთხე თავში განსაზღვრულია რესპუბლიკის პარლამენტის უფლება-კომპეტენცია, მისი საქმიანობის, კანონების მიღება-გამოქვეყნების წესები. მეხუთე – მეცხრე თავებში ლაპარაკია აღმასრულებელ ხელისუფლების უფლება-მოვალეობის, მისი ორგანოების საქმიანობის წესებზე. მეათე თავში დაფიქსირებულია ადგილობრივი თვითმმართველობის უფლება-კომპეტენცია, მისი პასუხისმგებლობა სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე. მეთერთმეტე თავი კონკრეტულად ეხება აფხაზეთსა და სამუსლიმანო საქართველოს. კონსტიტუცია ითვალისწინებდა აფხაზეთის, ბათუმის ოლქისა და ზაქათალის ოკურგისათვის ავტონომიის მინიჭებას.

კონსტიტუციამ სახელმწიფოს მოვალეობად გამოაცხადა ზრუნვა მოქალაქეთა ღირსეული არსებობისათვის. უნდა შექმნილიყო შრომის ბირჟები, საშუამავლო კანტორები, სოციალური დაცვის დაწესებულებები. კონსტიტუციის ერთ-ერთი მუხლით მოქალაქისათვის საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა და ისიც საზღაურის გაცემით დაიშვებოდა გამონაკლის შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვდა სახელმწიფოსა და საზოგადოების საერთო ინტერესები. რესპუბლიკის ხელისუფლებას უფლება ეძლეოდა კანონმდებლობის გზით სახელმწიფოსა დამუნიციპალიტეტების საკუთრებად გამოეცხადებინა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომლებიც სახელმწიფო-საზოგადოებრივი სექტორის საფუძვლად გამოდგებოდა. სახელმწიფო თავის მოვალეობად აცხადებდა წვრილი მწარმოებლის – სოფლის მეურნის, ხელოსნის, შინამრეწველის ექსპლოატაციისაგან დაცვას.

კონსტიტუციის ანალიზს იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრება, მისი თითქმის ყველა ფრაქცია მონოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია იდგა იმდროინდელი დემოკრატიული მსოფლიოს სამართლებრივი მეცნიერების დონეზე. მაგრამ საბჭოთა რუსეთის აგრესიამ შეუძლებელი გახადა მისი ამოქმედება, ქვეყნისა და ხალხის სამსახურში კონსტიტუციის ჩაყენება.

საქართველოს პირველი რესპუბლიკა წარმოშობისთანავე დაუპირისპირდა როგორც წითელ, ისე თეთრ რუსეთს. თავდაპირველად მას შეტაკება მოუხდა დონსა და ჩრდილო კავკასიაში გაბატონებულ დენიკინის რეჟიმთან, რომელიც ანტანტას მფარ-

ველობაში იმყოფებოდა. დენიკინის ჯარმა, ე. წ. მოხალისეთა არმიამ დაიკავა ტუაფსე და სოჭი, რის შემდეგ საქართველოს საზღვრებში შემოიჭრა. ანტანტას არ აწყობდა საბჭოთა რუსეთისადმი დაპირისპირებულ ძალთა ურთიერთშორის ბრძოლა და ამიტომ დენიკინისა და საქართველოს კონფლიქტში ჩაერია, არბიტრის როლი იკისრა. ერთხანს ბრძოლა შეწყდა, მიუხედავად ამისა, დენიკინი უარს არ ამბობდა თავის აგრესიულ გეგმებზე. სხვა გამოსავალი არ იყო და საქართველოს შეიარაღებული ძალები კონტრშეტევაზე გადავიდნენ, მეხადირთან მომხდარ ბრძოლაში კიდეც დაამარცხეს მოხალისეთა არმიის ნაწილები. მაგრამ ინგლისის ჩარევამ ჩვენი ჯარის შეტევა შეაჩერა. მოხდა დაზავება, შეიქმნა სადემარკაციო ხაზი მდ. ბზიფზე.

იმის გამო, რომ წითელი და თეთრი იმპერიალიზმი, ლენინიცა და დენიკინიც სხვადასხვა ფორმით რუსეთის იმპერიის ადგენისათვის იბრძოდნენ, საფრთხეს უმქნიდნენ მის ნანგრევებზე შექმნილ ეროვნულ სახელმწიფოებს, საქართველოს რესპუბლიკას ორიენტაცია დემოკრატიულ, ცივილიზებულ დასავლეთზე უნდა აელო; მიეღწია დიდი სახელმწიფოების მიერ „დე-ფაქტო" და „დე-იურე" აღიარებისათვის, მათთვის ეთხოვა სამხედრო-პოლიტიკური დახმარება.

საქართველოს მთავრობამ დასავლეთის სახელმწიფოებში და ვერსალის საზავო კონფერენციაზე დიპლომატიური წარმომადგენლების სახით წარგზავნა ზ. ავალიშვილი, დ. ღაბაშიძე, კ. ჩხეიძე და ი. წერეთელი. მათ ნოტებით მიმართეს ინგლისს, საფრანგეთს, აშშ-ის მთავრობებს ცალცალკე; ანტანტას, გამარჯვებულ მოკავშირეებს საერთოდ. მოითხოვდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას, საელჩოების გაცვლას. მაგრამ კარგა ხანს თითქმის ყველა მათგანი უპასუხოდ რჩებოდა. საქართველოს დიპლომატიური მისიის საქმიანობა „უშედეგოდ მთავრდებოდა. ანტანტის სახელმწიფოები გარკვეული მოსაზრებით საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისაგან თავს იკავებდნენ. 1919 წელს გარმარჯვებულ მოკავშირეთა ძირითადი მიზანი რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, ბურჟუაზიული წყობილების აღდგენა იყო, რაშიც თითქმის მთელ იმედს კოლჩაკისა და დენიკინის არმიებზე ამყარებდნენ. ეს გენერლები კი „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის" რეანიმაციისათვის იბრძოდნენ. ისინი არ სცნობდნენ იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. სწორედ ამის გამო გამარჯვებული მოკავშირეებიც უარს ამბობდნენ ამ ეროვნული რესპუბლიკების ცნობაზე, მათი საკითხის განხილვას „საერთო რუ-

სული" პრობლემების გადაწყვეტას უკავშირებდნენ.

1919-1920 წლების მიჯნაზე საბჭოური რუსეთის არმიამ თითქმის მთლიანად გაანადგურა დენიკინის ჯარი და სამხრეთ კავკასიას მოადგა. მოხალისეთა არმიის ნაშთი უკვე აღარ შეიძლებოდა ყოფილიყო ანტანტის სახელმწიფოთა საიმედო საყრდენი. ასეთ სიტუაციაში მოკავშირეების დამოკიდებულება ამიერკავკასიის რესპუბლიკებისადმი საგრძნობლად შეიცვალა. დასავლეთის პოლიტიკოსთა ერთმა ნაწილმა შესაძლებლად მიიჩნია ორ ზღვას შუა გადაჭიმული მხარის გადაქცევა სანიტარულ კორდონად, მისი მეშვეობით სოციალიზმის სენისაგან ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების დაცვა. ასეთი განწყობილების გამოხატულება იყო ის, რომ 1920 წლის იანვარში დასავლეთის სახელმწიფოებმა საჭიროდ ჩათვალეს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის „დე-ფაქტო" ცნობა და ალაპარაკდნენ მათთვის სამხედრო დახმარების გაწევის საჭიროებაზე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, როგორც ჩანს, დიდ იმედს არ ამყარებდა დასავლეთიდან მომდინარე (სავარაუდო) დახმარებაზე და მას შემდეგ, რაც წითელი არმია მოადგა კავკასიის ქედს, გაცილებით მეტი ყურადღება მიაქცია საზღვრების დაცვას. ხელისუფლება და ხალხი შეემზადა ბოლშევიკურ რუსეთთან დიდი ომისათვის. მოვლენებიც სწრაფად განვითარდა. 1920 წლის აპრილის ბოლოს საბჭოთა რუსეთმა მოახდინა აზერბაიჯანის ძალდატანებითი გასაბჭოება. აზერბაიჯანის საბჭოურმა (მარიონეტულმა) მთავრობამ ჩამოყალიბებისთანავე, მოსკოვის კარნახით, ომი დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ. აზერბაიჯანს ზურგს ამოფარებულ რუსეთის მთავრობას უკვე მაშინვე მიზნად ჰქონდა დასახული თბილისის აღება, საქართველოს გასაჭბოება. მაგრამ სწორედ ამ მომენტში საბჭოთა რუსეთსა და პოლონეთს შორის ომი დაიწყო. ლენინის მთავრობამ გაუმართლებლად მიიჩნია დასავლეთისა და სამხრეთის ფრონტებზე ერთდროული ბრძოლა, საქართველოსთან ფაქტიურად უკვე დაწყებული და არცთუ წარმატებული ომი შეაჩერა და მასთან სამშვიდობო მოლაპარაკება გამართა.

1920 წლის 7 მაისს გამოფრმებული რუსეთ-საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულების ძირითადი მუხლები ასეთი იყო: 1) რუსეთის საბჭოთა-რესპუბლიკა სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და ნებაყოფლობით ამბობს უარს ქართველი ხალხის მიმართ რუსეთის ყველა სუვერენულ უფლებაზე; 2) რუსეთი უარს ამბობს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევაზე; 3) კავკასიონის უღელტეხილები 1922 წლის იანვრამდე

ცხადდება ნეიტრალურ ტერიტორიად; 4) რუსეთი საქართველოს ტერიტორიად სცნობს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებს, ბათუმის, სოხუმისა და ზაქათალის ოლქებს; 5) საქართველო ვალდებულებას კისრულობს არ დაუშვას თავის ტერიტორიიდან რუსეთის საწინააღმდეგო საომარი მოქმედება, განაიარაღოს რუსეთის სახელით მოქმედი ჯარის ნაწილები (დენიკინელები – ა. ბ.). მიიღოს ზომბეი, რათა საქართველოს ტერიტორიდან განდევნილ იქნენ ჯარის ყოველგვარი შენაერთები, რომლებიც არ შედიან საქართველოს შეიარაღებულ ძალებში (იგულისხმება ინგლისის ჯარი – ა. ბ.). არ შეუშვას საბჭოთა რუსეთისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები საქართველოს ტერიტორიაზე; 6) რუსეთი ვალდებულებას კისრულობს არ დაუშვას თავის ტერიტორიაზე ჯგუფები და ორგანიზაციები, რომელნიც პრეტენზიას აცხადებენ იყვნენ საქართველოს მთავრობა და იბრძვიან საქართველოში არსებული მთავრობის დამხობისათვის; 10) საქართველოს მთავრობა ვალდებულებას კისრულობს პატიმრობიდან გაათავისუფლოს საბჭოთა რუსეთისა და კომპარტიის სასარგებლო საქმიანობისათვის მსჯავრდებული პირები. საიდუმლო დამატებაში ნათქვამია, რომ საქართველოს მთავრობა აღიარებს მის ტერიტორიაზე შექმნილ კომუნისტური ორგანიზაციის თავისუფალი (ლეგალური) არსებობის უფლებას.

7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულებაში კარგად გამოიკვეთა მხარეების პოზიცია, მიზანდასახულობა. საქართველოს მთავრობა, მართალია, არ იყო დარწმუნებული, რომ საბჭოთა რუსეთი კეთილსინდისიერად დაიცავდა ხელშეკრულების პირობებს, მაგრამ იმ კონკრეტულ სიტუაციაში, არ შეეძლო უარი ეთქვა აგრესიულად განწყობილ მეზობელთან თუნდაც დროებით დაზავებაზე. მით უმეტეს, რომ ყოფილი მეტროპოლია იურიდიულად სცნობდა ყოფილ კოლონიის ახლად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას, რაც თავისთავად დიდად ამაღლებდა საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო პრესტიჟს. ხელშეკრულების მთავარ ღირსებად მიჩნეული იქნა ის, რომ იგი ხელს გაუხსნიდა დასავლეთის დიდ სახელმწიფოებს „დე-იურე" ეცნოთ საქართველოს რესპუბლიკა, დაემყარებინათ მასთან დიპლომატიური ურთიერთობა საელჩოთა დონეზე.

რუსეთ-პოლონეთის ომის დამთავრების შემდეგ დასავლეთის დიდმა სახელმწიფოებმა შეწყვიტეს კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა, დაიწყეს თავის შეიარაღებული ძალების გაყვანა რუსეთის გავლენის ზონიდან. ინგლისმა თავის ჯარის

ქვედანაყოფები გაიყვანა საქართველოდან. ამის დადებითი მნიშვნელობა ის იყო, რომ ბათუმის ოლქზე აღსდგა საქართველოს იურისდიქცია. მაგრამ მედალს მეორე მხარეც ჰქონდა; ინგლისის ჯარების საქართველოდან გაყვანა იმის მაუწყებელი იყო, რომ დიდმა ბრიტანეთმა და მისმა მოკავშირეებმა უარი თქვეს ამ რეგიონში კომუნისტურ რუსეთთან დაპირისპირებაზე, საქართველოსათვის სამხედრო-პოლიტიკური დახმარების გაწევაზე.

საქართველოს მთავრობამ ინგლისს სთხოვა დაეტოვებინა ჯარის მცირე ნაწილი მაინც საქართველოს ტერიტორიაზე, მზად ყოფნას გამოთქვამდა გაეფორმებინა მასთან ხელშეკრულება სამხედრო ბაზის გამოყოფის შესახებ. მაგრამ დიდმა ბრიტანეთმა და მისმა მოკავშირეებმა ეს წინადადება არ მიიღეს. სიტუაცია და დიდი სახელმწიფოების განწყობილება არც მის შემდეგ შეცვლილა, რაც მათ „დე-იურე" სცნეს საქართველოს რესპუბლიკა (1921 წ. იანვარი). დამოუკიდებელი, დასავლეთისაგან იურიდიულად აღიარებული, მაგრამ განმარტოებული საქართველო საბჭოთა რუსეთის აგრესიის მსხვერპლი ხდებოდა.

1920 წლის შემოდგომაზე საბჭოთა რუსეთი შეემზადა სომხეთის საოკუპაციოდ. ამ პატარა რესპუბლიკას ომი გამოუცხადა ქემალისტურმა თურქეთმაც და წაართვა ყარსის ოლქი. თურქეთი აშკარად აცხადებდა თავის პრეტენზიას სამუსლიმანო საქართველოს მიმართაც. ამ კრიტიკულ მომენტში, როცა საქართველოს ბედი წყდებოდა აუცილებელი იყო ჩამოყალიბება კოალიციური მთავრობისა, რომელიც თავის გარშემო შემოიკრებდა საზოგადოების ყველა ფენას, ყველა პოლიტიკურ პარტიას, მთელ ერს. სამწუხაროდ მმართველი პარტია ამის გაგებამდე ვერ ამაღლდა. სოციალ-დემოკრატიული მთავრობა არ გადამდგარა, მაგრამ პრემიერმა ანგარიში გაუწია საზოგადოებრივ აზრს და დაიწყო მთავრობის გადახალისება. ჩამოყალიბდა ე. წ. „საერკომენდაციო კომისია". მინისტრთა კომიტეტის ახალი წევრების შესარჩევად, მაგრამ საქმე ბოლომდე არ მიყვანილა.

საქართველოს მრავალპარტიულმა დემოკრატიამ კარგად შეამჩნია, რომ 7 მაისის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ კომუნისტური ორგანიზაციები საქართველოში სწრაფად გაიზარდნენ, საბჭოთა რუსეთის მძლავრ აგენტურად გადაიქცნენ. მათ აშკარად დაიწყეს საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის, საბჭოური ხელისუფლების დამყარების იდეის პროპაგანდა და ლენინის მთავრობას მოუწოდებდნენ „სოციალური დახმარება" გაეწია საქართველოს მშრომელი მასებისათვის. მართლაც, რუსეთის კომპარტიის ცკ-მა სათანადო დადგენი

ლება მიიღო, ხოლო სომხეთ-აზერბაიჯანში მდგარი წითელი არმიის ნაწილები საქართველოს დასაპყრობად შეემზადნენ.

საქართველოს დაზვერვამ ხელში ჩაიგდო რუსი გენერლების მიერ შედგენილი „საქართველოს ოკუპაციის გეგმა", რომლის გათვალისწინებით გარკვეული ცვლილებები მოხდა საქართველოს რესპუბლიკური ჯარისა და მოხალისეთა გვარდიის ნაწილების დისლოკაციაში. როცა მე-11 წითელი არმია თბილისს მოუახლოვდა, ფრონტის მარჯვენა ფრთას კოჯრის მიდამოებში გენერალი ანდრონიკაშვილი იცავდა. ცენტრალურ უბანზე განლაგებულ რაზმებს მეთაურობდა გენ. მაზნიაშვილი. მარცხენა ფრთაზე გენ. ჯიჯიხია. 18-22 თებერვალს გამართულ საბრძოლო ოპერაციებში გენ. მაზნიაშვილმა შესძლო მოწინააღმდეგის დიდად დაზარალება. ცხარე ბრძოლები სწარმოებდა კოჯრის მიდამოებშიც. გმირულად იბრძოდნენ იუნკრები, გვარდიელები, ჯარისკაცები, რომელნიც ზოგჯერ ხელჩართულზე გადადიოდნენ და უკან ახევინებდნენ მოწინააღმდეგეს. საერთოდ ერთკვირიან საბრძოლო ოპერაციებში უპირატესობა წარმატებაში გადაზრდილი საქართველოს შეიარაღებულ ძალთა მხარეს აღმოჩნდა. მათ გაანადგურეს და დაატყვევეს მოწინააღმდეგის რამდენიმე ათასი ჯარისკაცი. ქართველი მეომრების ფსიქოლოგიური განწყობა, მორალური სულისკვეთება იმდენად ამაღლებული იყო, რომ მათ შეეძლოთ მე-11 წითელი არმიის მთლიანად განადგურება, მაგრამ რუსეთის მოქმედ ჯარს ახალი დივიზიები ემატებოდა, თბილისის დამცველი ქართული ჯარის რეზერვები კი ამოიწურა. ასეთ ვითარებაში მთავარსარდალმა გენ. კვინიტაძემ და მთავრობამაც ბრძოლის გაგრძელება, როგორც ჩანს, ამაო მსხვერპლის გაღებად ჩათვალა. მთავარსარდლის ბრძანებით ქართულმა ჯარმა თბილისი დატოვა. 25 თებერვალს საქართველოს დედაქალაქში საბჭოთა ჯარები შემოვიდნენ. ერთი თვის განმავლობაში კი დაამთავრეს მთელი საქართველოს ოკუპაცია.

ამგვარად, კომუნისტურმა რუსეთმა დაარღვია 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება, განახორციელა პირდაპირი აგრესია, დაამხო ქართველი ხალხის მიერ არჩეული ლეგიტიმური ხელისუფლება, მოახდინა საქართველოს ფაქტობრივი ანექსია და ძალდატანებითი გასაბჭოება.

***

რუსეთის კომპარტია და მის კვალზე ქართველი კომუნისტები დემაგოგიურად აცხადებდნენ, რომ 1921 წლის 25 თებერვლის აქტის შედეგად საქართველოს დამოუკიდებლობა არ დაუ-

კარგავს. მოხდა მხოლოდ ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი წყობილების სოციალისტური სახელმწიფოებრივი წყობილებით შეცვლა. მაგრამ არა მარტო ქართველი ერი, არამედ მთელი მსოფლიო ხედავდა, რომ საბჭოური რუსეთის შეიარაღებულმა ინტერვენციამ, მის მომდევნო ხანში განხორციელებულმა ღონისძიებებმა საქართველოს ფაქტობრივი ანექსია დაამკვიდრა. ქართული საბჭოური ყაიდის რესპუბლიკა წმინდა ფორმალობას წარმოადგენდა, ფიქცია იყო. მისი მარიონეტული მთავრობა კრემლის კარნახით საქმიანობდა. იგი, რა თქმა უნდა, ვერ ჩაითვლებოდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრედ.

მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი ქართველი ერის მხარეს იყო. გმობდა საბჭოური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას. ამით გამხნევებული საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლება, რომელსაც საფრანგეთმა მიანიჭა ემიგრანტული მთავრობის სტატუსი, თავიდანვე აქტიურ ანტისაბჭოურ საქმიანობას შეუდგა; ცდილობდა ევროპის სახელმწფოებისაგან მიეღო რეალური სამხედრო-პოლიტიკური დახმარება, მათი შემწეობით აღედგინა საქართველოს სუვერენული სახელმწიფო. აქტიურობდნენ საქართველოში დარჩენილი პოლიტიკური პარტიებიც, შექმნეს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი", ჩამოაყალიბეს სამხედრო ცენტრი და დაიწყეს ანტიკომუნისტური აჯანყების მომზადება.

ანტირუსული აჯანყებები კიდეც მოხდა 1921, 1922, 1924 წლებში, მაგრამ მარცხით დამთავრდა. ილუზორული აღმოჩნდა დასავლეთისაგან დახმარებაზე და საბჭოური იმპერიის დაჩაგრულ ერთა მოძრაობაზე დამყარებული იმედი. 1924 წლის ტრაგედიის შემდეგ ქართველმა მეცნიერებმა, პედაგოგებმა, მწერლებმა ხალხს მოუწოდეს შექმნილ მძიმე სიტუაციაში ბრძოლის მშვიდობიანი მეთოდები გამოეყენებინათ ქართველი ერის არსებითი ინტერესების დასაცავად. საქართველოს დამოუკიდებლობის იდეამ კარგა ხნით ოცნების სფეროში გადაინაცვლა. ქართველმა ხალხმა აშკარა პროტესტის გარეშე გადაიტანა 1937 წელი. კოლექტივიზაცია-ინდუსტრიალიზაციის სიძნელეები. აქტიურად მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. თავის წვლილი შეიტანა ფაშიზმის განადგურებაში, ომით დანგრეული დაბა ქალაქებისა და მეურნეობის აღდგენაში, ახალი საწარმოო სიმძლავრეების შექმნაში.

„შიში შეიქმს სიყვარულსაო" – ღაღადებს ქართული ანდაზა. ტოტალურმა რეჟიმმა ნამდვილი სიყვარული, რა თქმა უნდა,

ვერ მოიპოვა, მაგრამ მან შესძლო ხალხისა და ინტელიგენციის საგრძნობი ნაწილის მოთვინიერება, დამორჩილება. ეროვნული და დემოკრატიული მიმართულება თვალს მიეფარა, მაგრამ მთლიანად არ გამქრალა. ბევრი მოღვაწე და პიროვნება ინარჩუნებდა შინაგან თავისუფლებას, რომელიც შეცვლილ სიტუაციაში ამოხეთქავდა და დადებით ნაყოფს მოიტანდა. შინაგანი თავისუფლებით გამსჭვალული ადამიანები ქმნიდნენ ჭეშმარიტად მეცნიერულ ნაშრომებს, პროზის, პოეზიისა და სახვითი ხელოვნების შედევრებს.

XX ს-ის 50-60-იანი წლების მიჯნაზე თითქოს დაიწყო საბჭოური საიმპერიო რეჟიმის ლიბერალიზაცია. მაგრამ რეჟიმის სოციალ-პოლიტიკურ სტრუქტურაში არაფერი შეცვლილა. სტალინური კანონების შერბილებამ კი მეტი თავისუფლება მისცა მმართველ ზედაფენას. ჩვეულებრივი მოვლენა გახდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დოვლათის მითვისება. პარტიულ და საბჭოურ აპარატში ჩამოყალიბდა კორუმპირებული ბიუროკრატია. გაჩნდა ახალი ტიპის გაბატონებული კლასი, რომელიც ხალხის სახელს ეფარებოდა, მაგრამ არსებითად ხალხს უპირისპირდებოდა. ფაქტი გახდა საბჭოური სახელმწიფოს ეკონომიკურ-სოციალური კრიზისი. კომპარტიის ლიდერებმაც კი შეიგნეს, რომ საჭირო იყო პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაცია, კერძო და საზოგადოებრივი ინიციატივისათვის გაცილებით ფართო ასპარეზის დათმობა. შემუშავდა გარდაქმნის სტრატეგია, დაიწყო ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარება.

1986 წელს მ. გორბაჩოვმა საბჭოური ფედერაციის სრულყოფის საკითხიც დააყენა. სსრ კავშირი ფაქტიურად უნიტარული სახელმწიფო იყო და ფორმალური ფედერაციის რეალურ ფედერაციად გადაქცევის პერსპექტივას სიხარულით შეხვდნენ იმპერიის დაჩაგრული ერები. ყველა საღად მოაზროვნე მოქალაქეს საჭიროდ მიაჩნდა ეროვნული თავისუფლებისა და თანასწორობის დამკვიდრება, მოკავშირე რესპუბლიკების უფლება-კომპეტენციის გაფართოება, შინამმართველობის ძირითადი ფუნქციების რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობისათვის გადაცემა. მაგრამ ბევრ რადიკალურად განწყობილ პატრიოტს ესეც არ აკმაყოფილებდა. საქართველოში საკმაოდ ხმამაღლა გაისმა საბჭოური იმპერიის კონფედერაციულ გაერთიანებად გარდაქმნის მოთხოვნა, რასაც მ. გორბაჩოვი და მისი გარემოცვა ხიშტებით შეხვდა. ამის შემდეგ ყველა საბჭოურ რესპუბლიკაში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა ახალ ფაზაში შევი-

და. საქართველო ამ მოძრაობის ავანგარდში აღმოჩნდა.

XX ს-ის 80-იანი წლების მეორე ნახევარში ქართველმა საზოგადოებამ თავის მიზნად გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. 1988 წლის 12 ნოემბერს თბილისში დაიწყო მასობრივი მიტინგი, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ შიმშილობაში გადაიზარდა. პროტესტის ეს უკიდურესი ფორმა გამოიწვია სსრკ კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების კრემლის მიერ შედგენილმა პროექტმა, რომელიც აუქმებდა რესპუბლიკების კავშირიდან გასვლის უფლებას (აქამდე რომ ფორმალურად არსებობდა) და აკანონებდა საბჭოური იმპერიის ყველაზე ცხელ წერტილებში საგანგებო წესების შემოღებას. ხალხმა მიაღწია იმას, რომ საკავშირო ხელისუფლებამ უარი თქვა კონსტიტუციაში დიდმპყრობლურ-შოვინისტური კორექტივების შეტანაზე.

საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმა იგრძნეს, რომ უკვე შესწევდათ კომუნისტური რეჟიმისათვის გადამწყვეტი ბრძოლის გამოცხადების უნარი. 1989 წლის 4 აპრილს გრანდიოზული მიტინგი – დემონსტრაცია გამართეს და მოითხოვეს საქართველოს სრული დამოუკიდებლობა და რესპუბლიკიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანა. ცენტრმა აღარ დათმო, საქართველოში სპეციალური დამსჯელი რაზმები შემოიყვანა. მათი თარეშის შედეგად დაიღუპა 19 ადამიანი, ქიმიური გაზებით მოწამლულთა რაოდენობამ 2 ათასს გადააჭარბა.

9 აპრილს თბილისში მომხდარმა ტრაგედიამ მსოფლიო საზოგადოების საყოველთაო პროტესტი გამოიწვია. საბჭოთა მთავრობამ თავის მოქმედების გამართლება ვერ შესძლო. მისი პრესტიჟი და გავლენა მინიმუმამდე დაეცა. ქართველთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა კულმინაციას მიუახლოვდა. საქართველოს კომპარტია და მთავრობა იძულებული გახდა მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნების თარიღი დაენიშნა (1990 წ. ოქტომბერი). რადიკალთა ნაწილმა ზვიად გამსახურდიას მეთაურობით გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო ახალი კანონის შესაბამისად განზრახულ ამ არჩევნებში, მეორე ნაწილმა უნდობლობა და ბოიკოტი გამოუცხადა მას. გ. ჭანტურიამ, ი. წერეთელმა და ეროვნული ფორუმის სხვა ლიდერებმა მოითხოვეს სახალხო კონგრესის არჩევნების ჩატარება. ივარაუდეს, რომ ეს ორგანო შესძლებდა მშვიდობიანი საშუალებებით საქართველოს დეოკუპაციასა და დეკოლონიზაციას.

ზვიად გამსახურდიას დასმა უფრო სწორად შეაფასა შექმ-

ნილი სიტუაცია. იგი ზომიერ პოზიციაზე დადგა, წინასაარჩევნო ბრძოლისათვის შეემზადა. ეროვნული ფორუმის ლიდერებმა, მართალია, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ზ. გამსახურდიას სტრატეგია და ტაქტიკა, მაგრამ მათმა სატელევიზიო გამოსვლებმა უკუ შედეგი გამოიღო. ქართველმა ხალხმა ზურგი შეაქცია არა მარტო კომუნისტურ ხელმძღვანელობას, არამედ დაუპირისპირდა ეროვნული ფორუმის პარტიებსაც. ხალხის თვალში ეროვნული გმირის შარავანდედით შეიმოსა ზვიად გამსახურდია, იგი გადაიქცა საქართველოს დამოუკიდებლობის, ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის სიმბოლოდ. ამომრჩეველთა უმრავლესობამ ხმა მისცა ზ. გამსახურდიას ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ „მრგვალი მაგიდის" ბლოკს, რომელმაც განახლებულ საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა 62% გაიყვანა. კომპარტიის წარმომადგენლობა არ აღემატებოდა 26 პროცენტს.

ინტელიგენციის საკმაო ნაწილმა ზ. გამსახურდიას ასეთი დიდი უპირატესობით გამარჯვება კომუნისტების უნიათობითა და ეროვნული ფორუმის ტაქტიკური შეცდომით ახსნა. მისი აზრით, ფორუმის პარტიებს არჩევნებში რომ მონაწილეობა მიეღოთ, უმაღლეს საბჭოში გაიყვანდნენ საკმაო რაოდენობის დეპუტატებს და შესძლებდნენ ძლიერი ოპოზიციის ჩამოყალიბებას, რომლის იგნორირებას მრგვალი მაგიდის ბლოკი ვერ შესძლებდა, დაეთანხმებოდა კოალიციური მთავრობის შექმნის იდეას.

დიდი წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ სახალხო კონგრესის არჩევნებიც ჩატარდა. შეიქმნა პარლამენტგარეშე ოპოზიცია. მხარეებმა, მართალია, სცადეს შეთანხმების მიღწევა, მაგრამ უშედეგოდ. ერის გამთლიანება ვერ მოხერხდა.

1991 წლის 31 მარტს ჩატარებულ რეფერენდუმზე საქართველოს მოსახლეობის 97%-მა ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას. ქართველი ერის ამ ნების საფუძველზე 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ გამოაქვეყნა საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რასაც მთელი ხალხი ზეიმით შეხვდა, ორიოდე კვირის შემდეგ უზენაესმა საბჭომ ზ. გამსახურდია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია. მაგრამ იგი არ დაკმაყოფილდა პარლამენტის ნდობით და 26 მაისისათვის პრეზიდენტის პირდაპირი და საყოველთაო არჩევნები დანიშნა.

პრეზიდენტის თანამდებობაზე ზ. გამსახურდიასთან ერთად სხვა პარტიების წარმომადგენლებმაც იყარეს კენჭი. წინასაარჩევნო კამპანიაში ზ. გამსახურდიას გაცილებით ძლიერი პოზიციები ჰქონდა. მას მხარს უჭერდა ოფიციალური პრესა, ტე-

ლევიზია, რადიო. მაგრამ არჩევნების შედეგებმა არსებითად მაინც რეალურად ასახა საქართველოს მოსახლეობის მაშინდელი განწყობილება. ამომრჩეველთა 93%-მა ზ. გამსახურდიას მისცა ხმა, მას მიანდო ეროვნული სახელმწიფოს მეთაურობა.

ასე წარმატებით დაიწყო ქართული სახელმწიფოებრიობის კვლავ აღდგენის, საქართველოს მესამე რესპუბლიკის ხელისუფლების ჩამოყალიბების პროცესი. პრეზიდენტს, მთავრობას, მმართველ ბლოკს საერთოდ და ოპოზიციასაც ევალებოდა გამოეყენებინათ პირველი რესპუბლიკის წარმატებისა და მარცხის გაკვეთილები, უარი ეთქვათ პირად და ვიწრო პარტიულ ინტერესებზე, მიეღწიათ ქართველი ერის გამთლიანებისათვის, გაემართლებინათ კონცეფცია იმის შესახებ, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე იყო არა მეორე მარიონეტული საბჭოური რესპუბლიკა, არამედ არის მესამე რესპუბლიკა, რომელიც ყალიბდებოდა თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს სახით.

მაგრამ პოლიტიკოსებმა ვერ გაამართლეს ხალხის ნდობა და იმედი. დაშვებული იქნა დიდი შეცდომები. მოწოდების სიმაღლეზე ვერც პირველი პრეზიდენტი აღმოჩნდა. მან ვერ მონახა საერთო ენა პარლამენტგარეშე ოპოზიციასთან. კიდევ მეტი, ვერ შესძლო „მრგვალი მაგიდის" პარტიათა ერთიანობის შენარჩუნება. მთავრობის თავმჯდომარის პოსტი დატოვა თენგიზ სიგუამ, განზე გადგა ეროვნული ვგარდიის სარდალი თენგიზ კიტოვანიც. შინაპოლიტიკური წინააღმდეგობანი თანდათან გაძლიერდა. მზადდებოდა პირობები სამოქალაქო ომისათვის. ასეთი სიტუაციაში გონიერმა მოღვაწეებმა მოითხოვეს კოალიციური, ეროვნული თანხმობის მთავრობის შექმნა. წამოაყენეს აგრეთვე 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენის და დამფუძნებელი კრების მოწვევის წინადადება. მაგრამ ამაოდ. ყველაფერი რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა".

შინა ომის თავიდან აცილება, ალბათ, შეიძლებოდა. პოლიტიკოსებს ანგარიში უნდა გაეწიათ ერის ნებისათვის, არ უნდა შეექმნათ შინაპოლიტიკურ ბრძოლაში იარაღის გამოყენების პრეცედენტი, რადგან იგი გამოიწვევდა სამოქალაქო ომს, მის ესკალაციას. მაგრამ დაპირისპირებულმა მხარეებმა საბედისწერო, დანაშაულის ტოლფასი შეცდომა მაინც დაუშვეს. 1991 წლის 22 დეკემბერს შინა ომი დაიწყო. მთავრობის სასახლეში გამაგრებულ პრეზიდენტს იცავდა ზუგდიდის ბატალიონი და მოხალისეთა რაზმი, მას მხარს უჭერდა „მრგვალი მაგიდის" პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა. მოპირდაპირე მხარეს იდგა ეროვნუ-

ლი გვარდია კიტოვანის მეთაურობით და მერაბ კოსტავას საზოგადოება. მოსახლეობის დიდი ნაწილი პასიური ნეიტრალიტეტის პოზიციაზე რჩებოდა. მას შემდეგ, რაც ბრძოლაში ჩაება ჯაბა იოსელიანი და მხედრიონი გამარჯვების სასწორი შეიარაღებული ოპოზიციის მხარეს გადაიხარა. 1992 წლის 6 იანვარს პრეზიდენტმა ზ. გამსახურდიამ დატოვა მთავრობის სასახლე და საქართველო, თავი ჩეჩნეთს შეაფარა. შეიარაღებულმა ოპოზიციამ კი შექმნა სამხედრო საბჭო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სამეული – თ. სიგუა, თ. კიტოვანი, ჯ. იოსელიანი.

ქართული „ტრიუმვირატის" მომხრეებმა ერთხანს სცადეს 1991-1992 წლების მიჯნაზე თბილისში დატრიალებული ტრაგედია გაესაღებინათ „სახალხო დემოკრატიულ რევოლუციად", მაგრამ ეს ვერსია თვით თ. კიტოვანმაც კი უარყო, აღიარა, რომ მისდამი დაქვემდებარებულმა გვარდიამ განახორციელა სამხედრო გადატრიალება. ამ ფაქტის პოლიტიკურ შეფასებაში ერთსულოვნება, ალბათ, გამორიცხულია. სამართლებრივი თვალსაზრისით კი ეს იყო ანტიკონსტიტუციური, თანაც მეტისმეტად საშიში აქტი. იარაღით დამხობილი ლეგიტიმიური ხელისუფლების წარმომადგენლებს უფლება ჰქონდათ (რაკი პრეცედენტი უკვე შექმნილი იყო) იარაღის გამოყენებით ებრძოლათ თავის ხელისუფლების რესტავრაციისათვის და ფაქტიურად ასეც მოხდა. სამოქალაქო ომი გაგრძელდა.

სამხედრო საბჭომ ვერ მოიპოვა ხალხის მხარდაჭერა. მას არც ავტორიტეტი ჰყოფნიდა და არც საკმარისი ძალა გააჩნდა ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად. მოკლე დროში თითქმის მთლიანად მოიშალა, ანარქიული გახდა საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრება. გაძლიერდა ბანდიტიზმი, მაფიოზური კლანების თარეში. დაძაბული იყო სიტუაცია ცხინვალის რაიონში, რთულდებოდა ვითარება აფხაზეთში. „სამხედრო ხუნტის" ერთ-ერთი ყველაზე სუსტი მხარე, „აქილევსის ქუსლი" იყო ის, რომ არ ჰქონდა საერთაშორისო აღიარება: ხელისუფლების სათავეში იარაღით მოსულ სამხედრო-პოლიტიკურ დაჯგუფებას ეჭვის თვალით უყურებდნენ დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოები, გაერო და სხვა საერთაშორისო გაერთიანებები.

თითქმის ყველასათვის ცხადი გახდა, რომ სამხედრო საბჭოს არ შეეძლო სიტუაციის ფლობა, ქვეყნის მართვა. უზურპატორებიც მიხვდნენ, რომ არალეგიტიმური, მხოლოდ ძალაზე დამყარებული ხელისუფლება დიდხანს ვერ იბოგინებდა. 1992 წლის 21 თებერვალს სამხედრო საბჭომ ხალხს აუწყა, რომ აღად-

გენდა 1921 წლის კონსტიტუციას და არაუგვიანეს 1992 წლის შემოდგომისა ჩაატარებდა ახალ დემოკრატიულ არჩევნებს.

მაგრამ მანამდე რა ელოდა ქვეყანას და ხალხს, ვის შეეძლო სახელმწიფოებრივი პრესტიჟის გადარჩენა, საქართველოში სტაბილურობის აღდგენა. ხალხის საგრძნობმა ნაწილმა, ინტელიგენციამ მიიჩნია, რომ ამ კრიტიკულ სიტუაციაში საქართველოს სჭირდებოდა ისეთი გამოცდილი სახელმწიფო მოღვაწე, იმ დროს დასავლეთში აღიარებული ავტორიტეტი, როგორიც იყო ე. შევარდნაძე. სამხედრო საბჭოს ორგანიზატორთა არჩევანიც მასზე შეჩერდა.

1992 წლის 7 მარტს ე. შევარდნაძე თბილისში ჩამოვიდა. სამხედრო საბჭო სახელმწიფო საბჭოდ გარდაისახა და ახალი წევრებით შეივსო. ტრაუმვირატი ერთხანს ახერხებდა ე. შევარდნაძის მორჩილებაში ყოფნას, მაგრამ თ. კიტოვანი და ჯ. იოსელიანი ვარაუდებში შეცდნენ. მალე ყველასათვის ცხადი გახდა, რომ მათ ვერ მოახერხეს ე. შევარდნაძის გადაქცევა „სააღლუმო გენერლად", თავის ჩანაფიქრთა უსიტყვოდ შემსრულებლად.

1992 წლის 11 აგვისტოს ჩატარდა საქართველოს პარლამენტის არჩევნები. შეიქმნა მრავალპარტიული პარლამენტი და მის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა. საქართველოს მესამე რესპუბლიკის ხელისუფლება კვლავ ლეგიტიმური გახდა, რამაც გააადვილა საქართველოს საერთაშორისო აღიარება, მისი „დეიურე" ცნობა. ზ. გამსახურდიას მიმდევრებმა 11 ოქტომბრის არჩევნები და ახალი ხელისუფლება უკანონოდ გამოაცხადეს, ბრძოლის ახალი გეგმა შეიმუშავეს, რომლის ამოქმედებას ხელი შეუწყო აფხაზეთში შექმნილმა რთულმა მდგომარეობამ.

აფხაზი სეპარატისტები საკუთარი ძალებით, თუნდაც ყველა აფხაზი მათ ამოდგომოდა გვერდით, თავის მიზანს ვერ მიაღწევდნენ. სეპარატისტებმა გარედან მიიღეს დახმარება. ვ. არძინბას მიერ მოწვეულ დაქირავებულ მკვლელთა რაზმებში რამოდენიმე ათასი რუსი, ჩეჩენი, ადიღელი და სხვა ეროვნების „ინტერნაციონალისტი" მეომარი (ბოევიკი) იყო გაერთიანებული. სწორედ ამ ძალის გამოყენებით და რუსეთის დახმარებით შესძლეს სეპარატისტებმა გამარჯვება, თითქმის მთელი აფხაზეთის დაუფლება.

ამ მოვლენებმა ზვიად გამსახურდიას წისქვილზე დაასხა წყალი. იგი ჩეჩნეთიდან საქართველოში დაბრუნდა ახალი ძალით გააჩაღა ბრძოლა „უკანონო" ხელისუფლების წინააღმდეგ, კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის. 1993 წლის ოქტომბრის პირველ ნახევარში ზვიადისტებმა აიღეს მთელი სამეგრელო,

ფოთი, სუფსა, ლანჩხუთი, ოზურგეთი. გამარჯვებაში დარწმუნებული ძველი მთავრობა აქტიურობდა. იმართებდა ადრინდელი შემადგენლობის უზენაესი საბჭოს სხდომებიც. მთავრობის თავმჯდომარე ბ. გუგუშვილმა დაიწყო ბრძანების გაცემა მთელი საქართველოს მასშტაბით. 17 ოქტომბერს ზვიადისტებმა შეტევის არეალი კიდევ უფრო გააფართოვეს, დაიკავეს სამტრედია ღა ხონი, გეზი აიღეს ქუთაისისაკენ. ასეთ პირობებში ე. შევარდნაძემ მოლაპარაკება აწარმოვა რუსეთის პრეზიდენტ ელცინთან, შესძლო რუსეთისაგან სამხედრო დახმარების მიღება. 20 ოქტომბერს ქუთაისში გამოჩნდნენ „დსთ"-ს ტანკები, სხვაგვარი საჯარისო დანაყოფები. საქართველოს მთავრობის და მის მოკავშირეთა შეიარაღებულმა ძალებმა განავითარეს საერთო შეტევა. ექსპრეზიდენტის ჯარში დაიწყო პანიკა, დემორალიზაცია. 25 ოქტომბერს გამოქვეყნდა ე. შევარდნაძის მოწოდება შინა ომის შეწყვეტისა და შერიგების შესახებ. სამოქალაქო ომი არსებითად დასრულდა. ზ. გამსახურდიას კვალი 27 ოქტომბერს გაქრა. მალე მან ტრაგიკულად დაასრულა თავისი სიცოცხლე.

სამოქალაქო ომი დამთავრდა, მაგრამ შინაპოლიტიკური კრიზისი სხვა ფორმით გრძელდებოდა. ქვეყანას დიდ საფრთხეს უქმნიდნენ ბანდიტურ-მაფიოზური კლანები. ხელისუფლებაშიც ბლომად იყვნენ მოკალათებული ადამიანები (კიდევ მეტი მიილტვოდა მისკენ), რომელნიც პირადი კეთილდღეობისათვის ითვისებდნენ და ანადგურებდნენ საქართველოს სიმდიდრეს და ყველაფერს იმას, რაც სახელმწიფოს ალორძინება-გაძლიერების საფუძველი უნდა გამხდარიყო. შეუძლებელი ხდებოდა სამთავრობო სტრუქტურების ნორმალური ფუნქციონირება, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.

საბჭოურ ცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემის დემონტაჟმა, კერძო ბიზნესზე ორიენტაციამ არსებითად შეცვალა სახელმწიფო ბიუჯეტის მექანიზმი. კერძო მესაკუთრეებისა და მეწარმეებზე შეწერილი გადასახადი გადაიქცა ბიუჯეტის შევსების ძირითად წყაროდ. ეს უკანასკნელნი კი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ და არც თუ უსაფუძვლოდ აცხადებდნენ, რომ მოგებაზე, დამატებით ღირებულებებზე დადებული გადასახადების ზრდა ზღუდავს ბიზნესმენთა ინიციატივას, აქტიურობას, წარმოების გაფართოების სტიმულს, აფერხებს საწარმოო ძალთა განვითარებას; ხელს უწყობს ქვეყნის გადაქცევას უცხოური კაპიტალის სანედლეულო ბაზად და გამსაღებელ ბაზად, განაპირობებს საგარეო ვაჭრობის ბალანსის პასიურობას, რაც ზარალს აყენებს არა მარტო ბიზნესმენებს, არამედ საქართველოს სა-

ხელმწიფო ბიუჯეტს და მოსახლეობის სამომავლო ინტერესებს.

1995 წლის პარლამენტმა შეადგინა და დაამტკიცა კონსტიტუციის ახალი პროექტი, იგი საქართველოს მესამე რესპუბლიკის ძირითადი კანონი გახდა. სამოქალაქო საზოგადოების არსებობის და სახელმწიფოებრივ სტრუქტურათა ფუნქციონირების საფუძვლად იქცა. სათანადო მუხლებით განისაზღვრა პარლამენტისა და პრეზიდენტის უფლებამოსილება, მათი ურთიერთდამოკიდებულების ნორმები. კონსტიტუციამ დააკანონა საპრეზიდენტო მმართველობა. პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში. დაწესდა, რომ საქართველოს ახლად არჩეული პრეზიდენტი წარმოთქვამს საპროგრამო სიტყვას და დადებს ფიცს: „მე, საქართველოს პრეზიდენტი ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობას და განუყოფლობას, ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის".

საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების სფეროში შედის: მოლაპარაკების წარმოება უცხო სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმება; პარლამენტის თანხმობით მთავრობის წევრების (მინისტრების) დანიშვნა-გადაყენება; პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის წარდგენა; საომარი მდგომარეობის გამოცხადება და ზავის დადება; პარლამენტის თანხმობით ავტონომიური ერთეულებისა და თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის შეჩერება (თუ ისინი საფრთხეს უქმნიან სახელმწიფოს სუვერენიტეტს და ქვეყნის მთლიანობას); კონსტიტუციის საფუძველზე დეკრეტებისა და ბრძანება-განკარგულებათა გამოცემა; დამსახურებული პირების დაჯილდოება და სხვა. პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. იგი ნიშნავს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს. პრეზიდენტის უფლება და მოვალეობაცაა წელიწადში ერთხელ სახელმწიფოს მდგომარეობის შესახებ მოხსენებით წარსდგეს პარლამენტის წინაშე. პარლამენტს კი უფლება აქვს პრეზიდენტი გადააყენოს, თუ მის მიერ კონსტიტუციის დარღვევა და ქვეყნის ღალატი საკონსტიტუციო და უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა. პრეზიდენტის როგორც სახელმწიფოს მეთაურის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია უნდა გახდეს უზრუნველყოს ხელისუფლების სამი შტოს დამოუკიდებელი საქმიანობა; პარლამენტის, მთავრობისა და სა-

სამართლოს ჰარმონიული თანაარსებობა; კონსტრუქციული საქმიანობა.

1995 წლის კონსტიტუციაში არ აისახა (ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე გადაიდო) საქართველოს სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული მოწყობის პრობლემა. საკანონმდებლო ბაზის გარეშე განხორციელდა ქვეყნის დაყოფა ახალ ტერიტორიულ ერთეულებად – მხარეებად. ფუნქციონირება გააგრძელეს პრეზიდენტის მიერ დანიშნულმა ე. წ. რწმუნებულებმა (გუბერნატორებმა) და რაიონის გამგებლებმა. პრესაში კრიტიკული წერილები გამოქვეყნდა, აღინიშნა, რომ გარდამავალი პერიოდისათვის შედგენილი დროებითი დებულება დიდხანს ვერ იმოქმედებდა. მის შესაცვლელად შემუშავდა „კონცეფცია საქართველოს სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული მოწყობის პრინციპების შესახებ". ამ დოკუმენტის ავტორებმა უარყვეს სახელმწიფოს უნიტარული და ფედერაციული მოდელები. მიზნად დაისახეს ე. შევარდნაძის მიერ საფუძველდადებული ადმინისტრაციული პოლიტიკისა და რეგიონალური დაყოფისათვის შეექმნათ საკანონმდებლო ბაზა. თავს იქებდნენ იმით, რომ კონცეფციით შემოთავაზებული მექანიზმი ყველაზე ოპტიმალური და დინამიურია. მაგრამ მათ მიერ დაპროექტებული მრავალსტატუსიანი რეგიონალური სისტემა, ე. წ. „ასიმეტრიული ფედერაცია" არარეალურია. იგი იმ პრობლემას ვერ გადაჭრის რისთვისაც შეთხზეს (საქართველოს მთლიანობის აღდგენა). სეპარატისტები სეპარატისტებად დარჩებიან. არც სეპარატიზმის ახალი კერების გაჩენაა გამორიცხული. სისტემის მთავარი ნაკლი ისაა, რომ იგი დააკანონებს ბიუროკრატიულ იერარქიას, ადმინისტრაციული აპარატის მოხელეთა რიცხვის გაორმაგებასა და გასამმაგებას, რომლის დაფინანსება მძიმე ტვირთად დააწვება ქვეყნის მწარმოებელ მოსახლეობას და სახელმწიფო ბიუჯეტს.

თანამედროვე კანონმდებლებმა წარსულშიც უნდა გადაიხედონ. მიზანშეწონილია წინამორბედთა ცოდნა-გამოცდილება გამოიყენონ. ცნობილია, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა, რომ სახელმწიფო დაწესებულებების, ადმინისტრაციული აპარატის შენახვა-დაფინანსება მძიმე ტვირთად არ დასწოლოდა ხალხს. ამიტომ გააუქმა რუსეთის იმპერიისაგან მემკვიდრეობით მიღებული საქართველოს დაყოფა გუბერნიებად და ოლქებად. მაზრების საფუძველზე ჩამოაყალიბა ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოები. შექმნა აგრეთვე საქალაქო თვითმმართველობები (მუნიციპალიტეტები). იმთავითვე დააკანონა

თვითმმართველობის ყველა ორგანოსა და მოხელის არჩევითობა. 1921 წლის კონსტიტუციის თანახმად ყალიბდებოდა მხოლოდ აფხაზეთისა და სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიური ერთეულები.

მიზანშეწონილია აღორძინება და გაგრძელება პირველი რესპუბლიკის ტრადიციისა იმ კორექტივით, რომ თვითმმართველობის უფლება, გაუქმებული მაზრების ნაცვლად მიენიჭოს ამჟამად არსებულ რაიონებს და რესპუბლიკური მნიშვნელობის ქალაქებს. თვითმართვის გარკვეული უფლება მიეცეს მცირე დაბა-ქალაქებს და სასოფლო თემებსაც. სარაიონო და საქალაქო თვითმმართველობა უნდა გავიზიაროთ სახელმწიფო მართვა-გამგეობის სისტემის განუყოფელ ნაწილად, რომელიც იმოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის და თვითმმართველობის დებულების საფუძველზე, შეასრულებს იმ ფუნქციებს, რასაც ცენტრალური ხელისუფლება დაუთმობს და დააკისრებს. რეგიონალური დაყოფა და გუბერნატორის თანამდებობა სავსებით ზედმეტია და უნდა გაუქმდეს. ეს დიდ შელავათს მისცემს ხალხს და სახელმწიფო ბიუჯეტს.

სახელმწიფოებრივი სტრუქტურების მართვა-გამგეობის მოდელის სრულყოფაზე მსჯელობა XX-XXI საუკუნეების მიჯნაზეც გრძელდება. ბევრი ქართველი ეჭვქვეშ აყენებს საპრეზიდენტო მმართველობის მიზანშეწონილობას. უპირატესობას ანიჭებს საპარლამენტო რესპუბლიკას. ტრადიციონალისტებს კი სულაც არ მიჩნიათ გამორიცხულად საქართველოს გადაქცევა კონსტიტუციურ-მონარქიულ სახელმწიფოდ. ამ ბოლო დროს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამაც თავის ყრილობაზე ოფიციალურად გამოაცხადა, რომ უნდა აღდგეს მეფის ინსტიტუტი, საქართველოს პირობებში მომავალი მართვა-გამგეობის კონსტიტუციურ-მონარქისტულ მოდელს ეკუთვნის.

საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ბაგრატიონებს, მართალია, მონარქიული ამბიციები არ გააჩნიათ, მაგრამ ისინი თანაგრძნობით შეხვდნენ ქართული საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი აზრის ამგვარ შემოტრიალებას. ესპანეთში დაბადებულ-აღზრდილმა და საქართველოში მობრუნებულმა გიორგი ბაგრატიონმა მანანა ხომერიკთან საუბრის დროს აღნიშნა: „თანამედროვე მონარქია დაფუძნებულია დემოკრატიაზე. კონსტიტუციური მონარქია დემოკრატიის საუკეთესო გარანტიაა. თანამედროვე მეფეები პოლიტიკოსები არ არიან. მათი მისია სხვადასხვა პარტიების თანაარსებობის უზრუნველყოფაში მდგომარეობს. თანამედროვე მეფეები არასოდეს იღებენ პოლიტიკურ

გადაწყვეტილებებს. ისინი მხოლოდ აწონასწორებენ პოლიტიკას". ასეთი ევროპის ბევრ ქვეყანაში, მაგრამ არ უბრძანებია, რომ ასევე უნდა იყოს საქართველოშიც.

ისტორია დიდი მასწავლებელია. ტრადიცია უკვდავია. კომუნისტური ათეიზმის თარეშის შემდეგ კვლავ აღორძინებული ქართული ეკლესიის მამები, ქართველი ხალხი ვერ დაივიწყებს იმ ეპოქას, როცა ქრისტიანობა და ქართველობა იდენტური ცნებები იყო, ბაგრატიონთა დინასტიის და მცხეთის კათალიკოსის თანადგომა, გარეშე მტრების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა ბუნებრივ მოვლენებს წარმოადგენდა. მართალია, დღეს სახელმწიფო და რელიგია გამიჯნულია, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებაა გამოცხადებული, მაგრამ კონსტიტუცია აღიარებს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ ისტორიულ როლს და უპირატესობას. ბუნებრივია, რომ საქართველოს ეკლესიის მეთაური, კათალიკოს-პატრიარქი ილია II ოცნებობს ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენაზე და საჭიროდ მიაჩნია ამ გვარის რომელიმე ღირსეული წარმომადგენელი მეფობისათვის მოემზადოს. კონსტიტუციური მონარქიის პირობებში უფრო ადვილად განხორციელდება ხელისუფლების სამი შტოს დამოუკიდებელი და ჰარმონიული ურთიერთობა. იგივე მოდელი უზრუნველყოფს პოლიტიკური პარტიების (როგორც მმართველი, ისე ოპოზიციური) თანაარსებობას და კონსტრუქციულ თანამშრომლობას.

თანამედროვე ქართველები მართვა-გამგეობის გაუმჯობესებაზე ფიქრობენ, მაგრამ მოსახლეობის დიდ უმრავლესობას უფრო მეტად ყოველდღიური საზრუნავი აწუხებს. სილატაკის ზღვარზე მისული ხალხი, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკურ-სოციალურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ოცნებობს. 1996-2000 წლები საზოგადოებამ თითქოს აღიქვა, როგორც საყოველთაო ქაოსისა და განუკითხაობის დამთავრების, სახელმწიფოს სტაბილურობის ფაზაში შესვლის წლებად. გამოჩნდა ეკონომიკის აღორძინების რაღაც ნიშნები. რამდენადმე გაიზარდა სახელმწიფო შემოსავალი, გარედან შემოსული დახმარება. ოდნავ მეტი თანხები გამოეყო ძალოვანი სტრუქტურების დაფინანსებისათვის. საგრძნობლად გაიზარდა პოლიციის კონტინგენტი, რომელიც კრიტიკის ქარცეცხლში მოქცეული ხელისუფლების უშიშროების გარანტად იყო მიჩნეული. რეალურ ძალად გადაქცევის სუსტი ტენდენცია გამოავლინა ეროვნულმა არმიამაც.

გარკვეული პერსპექტივა გამოიკვეთა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სფეროში. საქართველოს გეოპოლიტიკური

მდგომარეობა, მისი რკინიგზები, ნავსადგურები, დაპროექტებული ნავთობსადენები და გაზსადენები იმის კარგ საფუძველს ქმნის, რომ საქართველო გადაიქცეს საერთაშორისო-სატრანზიტო ვაჭრობის გზაჯვარედინად, ევრაზიის დამაკავშირებელ დერეფნად. რაც ახლო მომავალში უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტში მზარდი თანხების შემოსვლას, ხალხის გარკვეული ნაწილის დასაქმებას და კეთილდღეობის ამაღლებას.

სამწუხაროდ, ხელისუფლება ნაკლებად ზრუნავდა ქვეყნის შიგნით საწარმოო პოტენციალის ამაღლებაზე. თითქოს შეადგინეს განვითარების გეგმა-პროექტები, მაგრამ მათი რეალიზაცია ვერ მოხერხდა. კიდევ მეტი XX-XXI სს. მიჯნაზე ქვეყანასა და ხალხს ახალი უბედურება დაატყდა თავს; სახელმწიფო სტრუქტურებში მოკალათებულმა, კანონს ამოფარებულმა მოხელეებმა პოლიტიკა, დაკავებული თანამდებობა პრადი შემოსავლისა და გამდიდრების წყაროდ გადააქციეს. ელიტურმა და მასობრივმა კორუფციამ ფართო მასშტაბები მიიღო. თითქმის ჩვეულებრივი მოვლენა გახდა საგადასახადო, საბაჟო ობიექტებიდან ამოღებული თანხის მოხელეებისაგან მითვისება, ამის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის დაკნინება. უხელფასობითა და უპენსიობით შეწუხებულმა ხალხმა ისიც გაიგო, რომ არც ბიუჯეტში შემოსული მწირი თანხები იხარჯებოდა დანიშნულებისამებრ. სამინისტროები, უწყებები, იქ დასაქმებული მოხელეები სხვადასხვა ლონისძიებათა დასაფინანსებლად გამოყოფილ თანხებს ითვისებდნენ, პირადი კეთილდღეობის ამაღლებისათვის იყენებდნენ. შეუძლებელი გახდა იმის დადგენა, თუ რაზე დაიხარჯა, სად გაქრა უცხოეთიდან კრედიტებისა და დახმარების სახით მიღებული სამი მილიარდი დოლარი.

ასეთმა ფაქტებმა, ბუნებრივია, ფართო საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. პრეზიდენტი ე. შევარდნაძე იძულებული გახდა შეექმნა სპეციალური კომისია, რომელმაც შეიმუშავა - „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის ძირითადი მიმართულებანი". მისი რეალიზაციისათვის ჩამოყალიბდა ე. წ. თორმეტთა საბჭო, მაგრამ დადებითი შედეგი არ ჩანდა.

ყოველივე ამის გამო, ხალხის უკმაყოფილება საპროტესტო მოძრაობაში გადაიზარდა. ვარდების რევოლუციის შედეგი ის იყო, რომ პრეზიდენტი ე. შევარდნაძე გადადგა. მაფიოზური კლანების თარეშს ბოლო მოელო. ხალხმა სახელმწიფოს გადარჩენის, ქვეყნის აღმავალი განვითარების იმედი დაამყარა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე. ახალი მოწვევის პარლამენტსა და მის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობის საქმიანობაზე. მაგრამ

კადრების შერჩევაში, სამომავლო გეგმების დასახვაში კვლავ დიდი ნაკლოვანებებია. მოვლენების განვითარებას ხალხი გულხელდაკრეფილი ვერ დაელოდება. მრავალპარტიული დემოკრატია მოქმედებაშია, მის მოვალეობას შეადგენს მართვა-გამგეობის სისტემაში გამაუმჯობესებელი კორექტივების შეტანა.

დასკვნები

ადამიანის ასაკი დაახლოებით 2 მილიონი წელია. ძალიან დიდხანს ადამიანები მცირე ჯგუფებად გაერთიანებული პოულობდნენ საარსებო საშუალებებს ბუნებისაგან ნაბოძები პროდუქტებით იკვებებოდნენ. მოგვიანებით ადამიანთა გაერთიანებას საფუძვლად დაედო სისხლით ნათესაობა. ჩამოყალიბდა გვაროვნული ჩაბოგადოება, რომელმაც განვითარების შედარებით მაღალ დონეს მიაღწია შემგროვებლობიდან წარმოებაზე გადასვლის შემდეგ.

თანასწორთა საზოგადოება მრავალი ათასი წელი არსებობდა. თვით გვარებში გაერთიანებული ადამიანები, მათგან არსეული მეთაურები იყვნენ მართვის სუბიექტები. განვითარების გარკვეულ ეტაპზე ჩამოყალიბდა ტომები და გვაროვნულ-თემური არისტოკრატია, რომელიც მოექცა ე. წ. სამხედრო დემოკრატიის სათავეში. გვაროვნული საზოგადოების ეს ზედა ფენა შეიარაღებულ რაზმებზე დაყრდნობით ახერხებდა თანდათან გაეზარდა როგორც ეკონომიკური შეძლება, ისე უფლებამოსილება. მოსახლეობის ქონებრივ-სოციალური დიფერენციაცია მჭიდროდ გადაენასკვა სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესს. ხალხისა და უხუცესთა საბჭოსაგან არჩეული ბელადის ღვთისაგან გამორჩეულ მეფედ გადაქცევის პროცესში თანდათან გაიზარდა მოსახლეობისაგან გამოყოფილ მოხელეთა კონტინგენტი.

ველურობა-ბარბაროსობიდან ცივილიზაციაზე გადასვლა, მონარქის კულტის დამკვიდრება და სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბება ყველაზე ადრე დაიწყო ეგვიპტესა და მესოპოტამიაში. ქართველი ტომები შუამდინარეთის ახლოს იყვნენ გაბსახლებულნი და ბუნებრივია, მათ კონტაქტები ჰქონდათ იქ არსებულ სახელმწფიოებთან. ასურეთისა და ურარტუს მეფეთა ლურსმული წარწერები ცხადყოფს, რომ ძვ. წ. XII-VIII საუკუნეებში უკვე მიმდინარეობდა დაიენის (დიაოხის) და კოლხას (კოლხეთის) სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა ჩამოყალიბების პროცესი. ისიც ცნობილია, რომ კოლხეთის სახელმწიფოში უკვე ძვ. წ. VI საუკუნიდან მონეტა იჭრებოდა, „კოლხური თეთრი" შინა და საგარეო ვაჭრობის საშუალებას წარმოადგენდა. იბერიის (ქართლის) სამეფოს კი ფარნავაზის დროს (ძვ. წ. IV ს.) უკვე ჰქონდა სახელმწიფოს ყველა ნიშან-თვისება: მეფის ხელისუფლება მემკვიდრეობითია, ქვეყანა დაყოფილია ადმინისტრაციულ ერთეულებად, არსებობს მოხელეთა ფენა, იკრიბება სახელმწიფო გადასახადები. ხელისუფლების მთავარი ფუნქცია გახდა

შინაგანი მშვიდობიანობის დაცვა და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ ღვთისგან ამაღლებულმა ფარნავაზმა და მისმა მემკვიდრეებმა ერთბაშად როდი მოსპეს გვაროვნულ-ტომური ორგანიზაციის ყველა ელემენტები.

წარმართული ღვთაებანი ხუთი საუკუნე წარმოადგენდნენ ქართველთა მეფის ხელისუფლების ლეგიტიმურობის, მისი სიმტკიცის საფუძველს. ახალი წელთაღრიცხვის I-III საუკუნეებში იბერიის მოსახლეობის ეკონომიკურ-სოციალური განვითარება წარიმართა წოდებრივ-კლასობრივი დიფერენციაციის გაღრმავების გზით. ამ პროცესზე დიდი გავლენა მოახდინა პოლითეიზმიდან მონოთეიზმზე გადასვლამ, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ.

ქრისტიანობა საქართველოს მოევლინა როგორც განმანათლებლური, წიგნიერი რელიგია. მან მარტო მონარქიის ოფიციალური კულტი როდი განამტკიცა. ახალი სარწმუნოება ტვირთმძიმეთა და დამაშვრალთა ნუგეშად იქცა. ქრისტიანობამ აღმოფხვრა ადამიანის დამონების პირობები, ხელი შეუწყო შედარებით ჰუმანური ფეოდალური ურთიერთობის დამკვიდრებას. ქრისტიანული რწმენის განმტკიცებამ დააჩქარა ქართველი ხალხის კონსოლიდაცია. ქრისტიანობა და ქართველობა თანდათან იდენტურ ცნებებად გადაიქცა. მის საფუძველზე ჩამოყალიბდა ქართველი ერის ცნობიერება. ქართული ავტოკეფალური ეკლესია მეფის ხელისუფლების გვერდით დადგა. მასთან ერთად ებრძოდა გარეშე მტერს, ხელს უწყობდა ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას.

VI ს-ის ბოლოს ფარნავაზიანთა დინასტია ბაგრატიონთა დინასტიამ შეცვალა. ბაგრატიონთა გვარიშვილები ერთხანს იძულებული იყვნენ ქართლის ერისთავთა-მთავრის ტიტულს დასჯერებოდნენ. მაგრამ IX ს-ის პირველ მეოთხედში მოლვაწე აშოტ ბაგრატიონი საისტორიო წყაროებში მოხსენიებულია, როგორც სუვერენული მმართველი. „ქრისტეს მიერ დამკვიდრებული ხელმწიფე": სწორედ აშოტის ზეობაში ჩამოყალიბდა კონცეფცია – ბაგრატიონთა გვარის ბიბლიური დავით წინასწარმეტყველისაგან წარმომავალობისა და ქრისტეს მიწიერ ოჯახთან ნათესური კავშირის შესახებ. აშოტის შვილიშვილმა ადარნასემ 888 წელს თავი ქართველთა მეფედ გამოაცხადა. ეს იყო არა მარტო ერთმეფობაზე პრეტენზია, არამედ საქართველოს სრული დამოუკიდებლობის დეკლარაცია. ერთი საუკუნის შემდეგ კი მონარქიული ლეგიტიმიზმის, ტახტის მემკვიდრეობის წესის საფუძველზე გაერთიანებულ საქართველოს მეფედ ეკურთხა ბაგრატ III, რო-

მელიც თვითმპყრობელობისაკენ მიისწრაფოდა. მისი დაწყებული საქმე მეტი წარმატებით გააგრძელა დავით აღმაშენებელმა. ძლევამოსილ არმიაზე დაყრდნობით ამ მეფე-მთავარსარდალმა თითქმის მთელი კავკასია თავის ხელისუფლებას დაუქვემდებარა, თვითმპყრობელი მონარქი გახდა, მაგრამ აღმოსავლური ყაიდის დესპოტად არ გადაქცეულა.

აღმოსავლური დესპოტიის ძირითადი საფუძველი მიწაზე უზენაესი, მონოპოლიური საკუთრება იყო. ქართველი მეფე, მართალია, მიწა-წყლის მსხვილი მესაკუთრე იყო, მაგრამ მიწის მფლობელ-მესაკუთრეებად გადაიქცნენ ფეოდალებიც. საკუთრება ქმნის უფლებას და საქართველოში მოქმედებდა ორი დევიზი - „ხმა ღვთისა", რომელსაც მეფე აჟღერებდა და „ხმა ერისა", რომელსაც ფეოდალიზმის პირობებში გამოხატავდნენ საზოგადოების ზედა ფენათა წარმოადგენლები. ჯერ კიდეთ VI-VIII საუკუნეებში შექმნილი ფეოდალთა კორპორაცია თანდათან გარდაისახა წოდებათა წარმომადგენლების სათათბიროდ. საქართველოს გაერთიანების შემდეგ მეფეებმა გააბატონეს „ხმა ღვთისა", მაგრამ უსმენდნენ ერის ხმასაც. ქართველმა მონარქებმა დააკანონეს სათათბირო ორგანო „დარბაზის" არსებობა-საქმიანობა და მასში გარკვეული ადგილი მისცეს ვაჭარ-ხელოსანთა კორპორაციის წარმომადგენლებსაც.

„დარბაზის" ერთ ერთი მთავარი ფუნქცია გახდა მეფის კურთხევა და მონარქის ლეგიტიმურ უფლებამოსილების დაცვა. თამარის ზეობაში ამ ორგანოს უფლება-კომპეტენცია რამდენადმე გაფართოვდა. „დარბაზის ერი" მონაწილეობდა სახელმწიფო გადასახადების დაწესება-აკრეფაში, ჯარის მობილიზებაში. მეფე დარბაისლებთან დათათბირებით ნიშნავდა მოხელეებს, სჯიდა დამნაშავეებს და მოღალატეებს, წყვეტდა ომთან და დაზავებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ქართული „დარბაზის" ანალოგი ინგლისში იყო ფეოდალური პარლამენტი, საფრანგეთში – გენერალური შტატები, პოლონეთში – სეიმი, რუსეთში – საერობო კრება.

დარბაზის თანადგომა-თანხმობით მიღებულ დადგენილება-გადაწვეტილებებს საქათველოს მეფე ახორციელებდა ვაზირთა მეშვეობით. აღმასრულებელი ხელისუფლების ვაზირთა საბჭოს თავმჯდომარე იყო მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, მას ექვემდებარებოდნენ: ამირსპასალარი (სამხედრო მინისტრი), მანდატურთუხუცესი (პოლიციის ანუ შინაგან საქმეთა მინისტრი), მეჭურჭლეთუხუცესი (ფინანსთა მინისტრი), მსახურთუხუცესი და ათაბაგი. სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ერთეულთა

მართვის ფუნქციებს ასრულებდნენ ერისთავები, ხევისა და ციხისთავები. სახელმწიფოს აუცილებელი ატრიბუტი იყო მუდმივი არმია და ომის დროს მობილიზებული ლაშქარი. ქართული სამხედრო ხელოვნების ყველა დადებითი მხარე გამოვლინდა ერწუხის, დიდგორის, შამქორის, ბასიანის და სხვა ბრძოლებში.

საქართველოს მეფის კარმა საქართველოს პოლიტიკურ საზღვრებში მოქცეულ სხვატომელებისა და სხვა სარწმუნოების მიმდევართა მიმართ ტოლერანტული, შემწყნაერბლური „კურსი" შეიმუშავა. არაქართული ტერიტორიების მმართველებმა შეინარჩუნეს შინაგანი ავტონომია. თამარი უზენაესი ხელმწიფე, მეფეთა მეფე იყო. საქართველოს ლეგიტიმურ მონარქს ექვემდებარებოდნენ ასევე ლეგიტიმური მეფე-მთავრები (ყმადნაფიცები). გაერთიანებული საქართველოს მეფენი სახელმწიფოს მართვა-გამგეობისათვის იყენებდნენ „დარბაზს", ვაზირთა საბჭოს და ერისთავებს, მაგრამ მათი უფლებამოსილება კანონით არ იყო შეზღუდული და ხორციელდებოდა „ნებითა ხვთისათა". საქართველოს სამეფო ტახტზე იშვიათად როდი იჯდა ისეთი მონარქი, რომელიც სახელმწიფოს მართავდა ზნეობრივ-მორალური პრინციპების საფუძველზე. ამ მხრივ ყველა მონარქი დაჩრდილა მეფე თამარმა. იგი ყველაზე მეტად ცდილობდა გაეუმჯობესებინა დაბალი მასის მდგომარეობა. რამდენადმე შეესუსტებინა პრივილეგია – სიმდიდრით აღზევებულთა და უუფლებო ღატაკთა წინააღმდეგობა. ამიტომ იყო, რომ ქართველმა ხალხმა XII საუკუნე, და კერძოდ თამარის ზეობის წლები აღიქვა როგორც ოქროს ხანა.

საქართველოს აღმავალი განვითარება შეაჩერა მონღოლთა შემოსევამ და ასწლიანმა ბატონობამ. სამეფო დარბაზმა, მართალია აღკვეთა მონღოლთაგან აღზევებული ერთ-ერთი ქართველი დიდებულის (ერგასლან ბაკურციხელი) გახელმწიფების მცდელობა, სამეფო ტახტზე ბაგრატიონთა დინასტია შეინარჩუნა, მაგრამ ხელი ვერ შეუშალა მონღოლთა ყაენის მიერ საქართველოს სამეფოს სუვერენიტეტის შეზღუდვას და ქვეყნის მთლიანობის დარღვევას. გიორგი V ბრწყინვალემ შესძლო ქვეყნის განთავისუფლება-გაერთიანება. მან შეადგინა კანონთა წიგნი - „ხელმწიფის კარის გარიგება", არსებითად შესძლო ოქროს ხანის დროინდელი მართვა-გამგეობის სისტემის რესტავრაცია. XIV ს-ის 30-40-იანი წლების საქართველოში კვლავ მოქმედებდა სავაზირო. ფუნქციონირებდა წოდებათა წარმომადგენლების სათათბირო, რომელიც თავის უფლება-კომპეტენციის დონით არაფრით ჩამოუვარდებოდა დასავლეთ ევროპის ანალოგიურ დანე-

სებულებას. ქართული „დარბაზი" ამზადებდა პირობებს კონსტიტუციურ მონარქიაზე გადასვლისათვის, მაგრამ საგარეო მდგომარეობის კვლავ გართულების, პერმანენტული ომებისა და ქვეყნის პოლიტიკური დაშლის გამო წინსვლა შეფერხდა, ქვეყანა დაიჩიხა. XV-XVIII საუკუნეებში საქართველო მკვეთრად ჩამორჩა განახლების გზაზე მტკიცედ მდგარ ევროპას.

საქართველოს ეკონომიკურ-სოციალური და პოლიტიკური აღორძინების ნიშნები XVIII საუკუნეში გამომჟღავნდა. პირველ ნათელ წერტილად გამოიკვეთა ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა (1703-1723 წწ.), გაძლიერდა ქვეყნის გამთლიანების ტენდენცია. 1762 წელს ერეკლე მეორის სკიპტრის ქვეშ ქართლი და კახეთი გაერთიანდა. 1790 წელს დასავლეთ საქართველოს პოლიტიკოსებმა ერეკლე მეორეს მისცეს ამერეთ-იმერეთის გაერთიანების წინადადება. ქართლ-კახეთის სამეფო დარბაზის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ერთმეფობის აღდგენას, მაგრამ გაიმარჯვეს დანაწევრებული მონარქიის მომხრეებმა. მხოლოდ ის მოხერხდა, რომ სოლომონ ლიონიძის ინიციატივით გაფორმდა საქართველოს მეფე-მთავართა სამოკავშირეო ხელშეკრულება. ტრაქტატის ხელმომწერებმა ერთმანეთს მისცეს მეგობრობის, თანადგომისა და გარეშე მტრების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის პირობა. ფაქტია, რომ „საქართველოების" ერთიანობის შეგნება, ეროვნული ცნობიერება განმტკიცდა, მაგრამ ქვეყნის შინგაგან ძალთა თანადგომა არც ირან-ოსმალეთს ანყობდა და არც რუსეთს. სამივე საქართველოს დამპყრობლის თვალით უყურებდა.

ერეკლე მეორემ რუსეთზე აიღო ორიენტაცია, რუსეთის იმპერატორის უზენაესი ხელისუფლება აღიარა. მასთან გააფორმა მფარველობით – სამოკავშირეო ხელშეკრულება, მაგრამ რუსეთმა ცალმხრივად დაარღვია როგორც 1783 ნლის ტრაქტატი, ისე მისი შეცვლილი ვარიანტი – 1800 წლის „სათხოვარი პუნქტები". ისინი რუსეთთან საქართველოს შეერთების მანიფესტით შეცვალა (1801 წ.). რუსეთის დაპყრობით პოლიტიკას ქართველმა ხალხმა პროტესტით უპასუხა. ანექსიონისტური მანიფესტის გამოქვეყნებისთანავე დაიწყო ანტირუსული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ბაგრატიონი უფლისწულები. იგი ერთხანს (1802 წ.) მშვიდობიან ხასიათს ატარებდა, უფლისწულები, თავადაზნაურობა, სამღვდელოება, გლეხთა წარმომადგენლობა მონარქიული ლეგიტიმიზმის პრინციპებს ეყრდნობოდნენ, ქართლ-კახეთის სამეფოს ავტონომიური ფორმით აღდგენას მოითხოვდნენ. ამას ნორმალურ

მოვლენად, ღვთის ნების გამოხატულებად მიიჩნევდნენ. საერთაშორისო სამართალიც მათ მხარეს იყო. მაგრამ რუსულმა ხელისუფლებამ ეს მშვიდობიანი და სამართლიანი მოძრაობა უდიდეს დანაშაულად გამოაცხადა და მის მონაწილეთა წინააღმდეგ რეპრესიები გამოიყენა.

სხვა გამოსავალი არ ჩანდა და ქართველმა ხალხმა იარაღს მოჰკიდა ხელი. რუსეთის დაპყრობითი პოლიტიკის წინააღმდეგ ოთხი დიდმასშტაბიანი აჯანყება მოაწყო (1804-1820 წწ.) ყველა ამ აჯანყებათა მონაწილენი ბაგრატიონთა საგვარეულოს გაიზიარებდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლოდ, სამართლიანი მოძრაობის დროშად, მეთაურად და საქართველოს მონარქიული სახელმწიფოს აღდგენისათვის იბრძოდნენ. ასეთივე მიზანი ჰქონდა პატრიოტ შეთქმულთა ფარულ საზოგადოებას, რომელიც რუსულმა ხელისუფლებამ 1832 წელს დაარბია.

XIX ს-ის 50-60-იან წლებში დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი პერიოდი, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ თერგდალეულები. მისი შემადგენელი ნაწილი გახდა ბრძოლა ბატონყომბის გაუქმებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შექმნისათვის. ილია ჭავჭავაძე რუსული „ზემასტვოსა" და მის ქართულ შესატყვის „ერობაში" ფართო შინაარსს სდებდა. თერგდალეულთა ლიდერს და მის თანამებრძოლებს არ მოსწონდათ რუსეთის მთავრობის ბიუროკრატიული აპარატის დამატების სახით შექმნილი საგუბერნიო და სამაზრო ერობები, ქალაქების სათათბირო-გამგეობები, მოითხოვდნენ ფართო უფლება-კომპეტენციით აღჭურვილ ადგილობრივ თვითმმართველობას, რომელიც მათი ღრმა რწმენით ნიადაგს მოამზადებდა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. 70-80-იან წლებში თერგდალეულები ეწეოდნენ მრავალეროვნული რუსეთის იმპერიის ფედერაციულ საწყისებზე გარდაქმნის იდეის პროპაგანდაც. ერთხანს მათი პროგრამა-მინიმუმი იყო საქართველოს ავტონომიური სახელმწიფოს აღდგენა.

მაგრამ რუსეთის თავითმპყრობელობა დათმობაზე წასვლას არ აპირებდა. გადაუჭრელი რჩებოდა როგორც სოციალური, ისე ეროვნული საკითხი. ამის შედეგი იყო 1905-1907 წლების დემოკრატიული რევოლუცია. ქართველი ხალხი გამათავისუფლებელი მოძრაობის წინა რიგებში აღმოჩნდა. ამ რევოლუციის შემდეგ, 1907 წელს ქართველ პატრიოტთა ჯგუფმა ერის სახელით ჰაგის საერთაშორისო კონფერენციას სთხოვა დახმარება გიორგიევსკის ტრაქტატის უფლებრივ ნორმათა საფუძველზე საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენაში. 1912 წელს კი

ეროვნული მიმართულების პარტიებმა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წინაშე დასვეს საქართველოსთვის პოლიტიკური ავტონომიის მინიჭების საკითხი. ამგვარ აქტივობას კარგა ხანს დედებითი შედეგი არ მოჰყოლია.

პირველი მსოფლიო ომის დროს ეროვნულმა პარტიებმა ორიენტაცია გერმანიასა და მის მოკავშირეებზე აიღეს. მათ წარმატებას დაუკავშირეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, როცა გამარჯვების სასწორი ანტანტისაკენ ვადაიხარა, ქართველმა პატრიოტებმა იმედი დაამყარეს რუსეთში მოსალოდნელ პოლიტიკურ ცვლილებებზე.

1917 წლის თებერვალ-მარტის დემოკრატიულ რევოლუციას მალე ბოლშევიკური გადატრიალება და სამოქალაქო ომის ესკალაცია მოჰყვა. ეს მომენტი კარგად გამოიყენეს რუსეთის იმპერიის დაჩაგრულმა ერებმა, მათ შორის კავკასიელებმა. შეიქმნა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკა, რომელიც მალე დაიშალა. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დამოუკიდებლობის დეკლარაცია გამოაქვეყნა და ორიენტაცია გერმანიაზე აიღო. იმ დროს გერმანიაში გაჩნდა ქართული მონარქიული სახელმწფიოს აღორძინების იდეა. საქართველოს სამეფო ტახტზე გერმანიის იმპერატორის ვაჟის დასმას ვარაუდობდნენ. საქართველოში ჯერ კიდევ იყვნენ მონარქისტები, მაგრამ მათ ვერ გაბედეს გერმანელი უფლისწულისათვის ბაგრატიონი უფლისწული დაეპისრიპირებინათ. მემარცხენე პარტიების დომინირების პირობებში მონარქიულ ლეგიტიმიზმზე რესპუბლიკურმა ლეგიტიმიზმმა გაიმარჯვა, თითქმის არავის წამოსცდენია, რომ კონსტიტუციური მონარქია უმტკივნეულოდ ითავსებდა მეფეს, პარლამენტსა და მათ წინაშე პასუხისმეგებელ მთავრობას.

საქართველოს პირველ რესპუბლიკას 10 თვის განმავლობაში დროებითი პარლამენტი და დროებითი კოალიციური მთავრობა განაგებდა. მომდევნო ორ წელს დამფუძნებელი კრება და მის წინაშე პასუხისმგებელი სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულად საქმიანობდა. გატარდა ადმინისტრაციული ადგილობრივი თვითმმართველობის, აგრარული და სხვა რეფორმები, ხელისუფლება ახერხებდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვას. რესპუბლიკამ კონსტიტუციაც შეადგინა, საერთაშორისო აღიარებაც მოიპოვა. მაგრამ დასავლეთის დემოკრატიისაგან რეალურ დახმარებას მოკლებულმა მცირე სახელმწიფომ ვერ მოიგერია კომუნისტური რუსეთის ავრესია. საქართველომ კვლავ დაკარგა დამოუკიდებლობა.

საქართველოს საბჭოური რესპუბლიკა წმინდა ფორმალობას წარმოადგენდა, ფიქცია იყო. მეორე რესპუბლიკის მარიონეტული ხელისუფლება მოსკოვის კარნახით საქმაინობდა. იგი, რა თქმა უნდა, არ იყო პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე. ქართველი ხალხი ვერ ურიგდებოდა ტოტალურ-კომუნისტურ რეჟიმს, იბრძოდა მის წინააღმდეგ, მაგრამ ანტისაბჭოური აჯანყებები სისხლში ჩაახშვეს.

XX ს-ის 60-იან წლებიდან თითქოს დაიწყო საბჭოური საიმპერიო რეჟიმის ლიბერალიზაცია. 80-იან წლების მეორე ნახევარში კი გორბაჩოვმა საბჭოური მოჩვენებითი ფედერალიზმის სრულყოფის საკითხიც დააყენა. მაგრამ დაჩაგრულ ერებს ეს უკვე აღარ აკმაყოფილებდათ. ქართველმა ხალხმა მოითხოვა მისი ქვეყნიდან საოკუპაციო ჯარის გაყვანა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება, რასაც საბჭოეთის ლიდერებმა სისხლიანი რეპრესიებით უპასუხეს. 1989 წ. 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ გამათავისუფლებელი მოძრაობა ზენიტს მიუახლოვდა. მრავალპარტიულ არჩევნებში ეროვნულმა ძალებმა გაიმარჯვა. 1991 წლის 9 აპრილს გამოქვეყნდა საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია. დაიბადა საქართველოს მესამე რესპუბლიკა. იგი პირველი რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) სამართალმემკვიდრე გახდა.

მაგრამ საქართველოს დემოკრატიულმა პარტიებმა ვერ გაამართლეს ხალხის იმედი, შინაპოლიტიკური ომის გააჩაღეს. 1992 წლის დამდეგს შეიარაღებულმა ოპოზიციამ დაამხო არჩეული ხელისუფლება – პრეზიდენტი ზ. გამსახურდია, პარლამენტი და მთავრობა. ეს იყო ანტიკონსტიტუციური და ძალიან საშიში აქტი. მას მოჰყვა სამოქალაქო ომის ექსკალაცია. ანარქიული გახდა საქართველოს ეკონომიკურ-სოციალური და პოლიტიკური ცხოვრება. გაძლიერდა ბანდიტიზმი, მაფიოზური კლანების თარეში. ახალმა ხელისუფლებამ დაძაბული სიტუაცია ვერ განმუხტა.

საქართველოს პარლამენტმა 1995 წელს შეადგინა და დაამტკიცა ახალი კონსტიტუცია, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების და სახელმწიფოებრივ სტრუქტურათა ფუნქციონირების საფუძველი გახდა. მან დააკანონა საპრეზიდენტო მმართველობა, განსაზღვრა სახელმწიფოს მეთაურის, პარლამენტის და მთავრობის უფლებამოსილება. მათი ურთიერთდამოკიდებულების ფორმები. სამწუხაროდ ამ კონსტიტუციის საფუძველზე შექმნილმა პარლამენტმა, პრეზიდენტად ორგზის არჩეულმა ე. შევარდნაძემ არსებითად ვერ შეასრულა მოვალეო-

ბა. დადებული ფიცი და დაპირება. კონსტიტუციურმა ხელისუფლებამ ვერ აღადგინა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა. ხელი ვერ შეუწყო ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას. ვერ მოსპო კორუფცია, რითაც მოსახლეობის უკმაყოფილება და რისხვა დაიმსახურა. ვარდების რევოლუციის შემდეგ ხელისუფლება შეიცვალა. ხალხი ოპტიმიზმით განიმსჭვალა. იმედი აქვს, რომ პრეზიდენტი მ. სააკაშვილი შეასრულებს ღვთისა და ერის ნინაშე დადებულ ფიცს. მოახერხებს ქვეყნის გამთლიანებას, სახელმწფიოს გაძლიერებას, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის არსებითად გაუმჯობესებას.

მაგრამ ქართველი ხალხის საგრძნობი ნაწილი, უწმინდესი და უნეტარესი – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, სხვა მღვდელმთავრები ოცნებობენ იმაზე, რომ ბაგრატიონთა გვარის რომელიმე ღირსეული წარმომადგენელი ღვთის შეწევნით მოემზადოს მეფობისათვის და საქართველო ჩადგეს კონსტიქტუციურ-მონარქიულ სახელმწიფოთა რიგებში.

Alexander Bendianishvili

STAGES OF DEVELOPMENT OF GEORGIAN NATIONAL COUNTRY

SUMMARY

Human's existence dates back approximately 2 million years ago. For a long time people divided in small combined groups searched for survival means and they used natural products for food. Later the basis for human's alliance became relationship by blood. Societies based on their name and origins were established, which achieved higher level of development after starting manufacturing instead of gathering goods.

Society based on equality existed throughout thousands of years. The persons unified directly in groups were chosen as leaders. On certain stage of development tribal system and pre-historic aristocracy was established, which was in the head of military democracy. This upper level of society with the support of armed forces managed to improve economic conditions gradually as well as to gain authority. Social differentiation of population was tightly linked with the process of state development. In the process of recognizing the leader, chosen by people and committee of seniors, as a king distinguished by God, the number of people set apart from population was increasing.

Transformation from wild-barbarian conditions to civilization, establishment of monarchy and government structures started first in Egypt and Mesopotamia. Group of Georgian people lived near Mesopotamia and undoubtedly they had contact with local government and state. Cuneiform scripts of Kings of Urartu and Asureti give evidence, that in XII-VIII centuries B.C. the process of establishing Daieni (Diaokhi) and Kolkha (Kolkheti) as state unions was already in progress. It is also well known, that in state of Kolkheti in VI century B.C. they used to cut the coins. "Kolkhetian Tetri" represented the means of local and overseas trade. During the reign of King Parnavaz (IV century B.C) Kingdom of Iberia (Kartli) had all conditions and factors required for proper government: reign of kings was hereditary, country was divided in administrative units, class of officers existed and state taxes were gathered. Main function of government was se-

curing local peace-tranquility and struggling against foreign enemies. However King Parnavaz and his heirs could not eliminate at once all elements of tribal system.

The basis of Georgian king's power and authenticity of Georgian government were pre-Christian divinities throughout five years. Economic-social development of Iberian population advanced in terms of expanding class differentiation in I-III centuries A.D. Transformation from Polytheism to Monotheism had a big impact on this process and announcing Christianity as state religion.

Christianity was brought in Georgia as enlightening and literate religion. It not only strengthened the official idol of Monarchy, it also became the hope and inspiration for poor and deprived people. Christianity eradicated the conditions of slavery, assisted establishment more or less human feudal relationships. Strengthening Christian belief accelerated consolidation of Georgian people. Notion of Georgian nationality was developing based on this religion. Christianity and Georgian nationality carried identical concepts. Georgian autocephalic church stood by side of Georgian government, supported country's political development and they struggled against external foes together.

By the end of VI century dynasty of Parnavaz was changed to dynasty of Bagrationi.

Dynasty of Bagrationi at certain point had to accept the rank of Kartli nobles. But Ashot Bagrationi, who lived in the first quarter of IX century, is mentioned as sovereign ruler – "Ruler assigned by Christ" in historical sources. The concept of originating name of Bagrationi from Biblical David Foreteller and its relationship with secular family of Jesus Christ was born precisely during the reign of Ashot. Grandson of Ashot, Adarnase announced himself as a king in the year of 888. This action raised claim for not only being a single King, but also declaration of Georgia's absolute independence. After one century, based on legitimacy of Monarch and rule of inheritance, Bagrat III was benedicted as the King of united Georgia, who craved for autocracy. His mission was successfully continued by David the Builder. With the aid of strong and armed forces this King and military leader placed almost entire Caucasus under his power, became the autocratic monarch and did not turn into the Eastern type despot.

The main basis for Eastern tyranny was complete and monopolistic proprietorship of the land. It is true that Georgian King was absolute proprietor of the land, but feudal lords also become land owners. Proprietorship creates rights and there existed two kind of mottos in Georgia, "Sound of the God", which was expressed by the King and "Sound of the Nation", which was expressed by representatives of upper class society during the conditions of feudalism. Corporations founded by feudal lords in VI-VIII centuries gradually turned into consulting place for representatives of nobles. After unification of Georgia the Kings fortified "Sound of God", but at the same time took note of "Sound of Nation". Georgian monarchs endorsed consulting chamber called "Darbazi" and granted certain places there to representatives of those corporations owned by merchants and craftsman.

One of the major functions of "Darbazi" was benediction of King and protection of legitimate authority of the monarch. The competences of this institution somehow broadened during the reign of King Tamar. Members of "Darbazi" were involved in taxation issues and mobilisation of army. King assigned state officers, punished culprits and traitors, solved issues related with the war and peace conclusion after consulting with the members of "Darbazi". The analogous to Georgian "Darbazi" was Feudal Parliament in England, General Headquarters in France, Seim in Poland and National Board of Meeting in Russia.

King with the assistance and in conformity with "Darbazi" reached decisions and drafted decrees, which were put into force by ministers called Vazirs. Head of executive government was Mtsignobartukhutsesi-Chkondideli (Prime Minister). His subordinates were Amerispasalari – Military Minister, Mandatuckutsesi – Minister of Police or Internal Affairs, Metchurtchletukhutsesi – Minister of Finance, Msakhurtukhutsesi – Head of Servants and Atabagi – Mentor of Royal Successor. Administrative units of the country were ruled by Eristavi, Khevistavi and Tsikhistavi. Compulsory attribute of the country was permanent army and mobilized troop during the war. One of the most positive sides of Georgian military art was demonstrated during the battles of Ertsukhi, Didgori, Shamkori, Basiani, etc.

Georgian kingdom elaborated tolerant and understanding policy towards the followers of those kings and religions existed within the

borders of political Georgia. Rulers of non-Georgian territories maintained internal autonomy. Tamar was the highest king of the kings. Legitimate king-nobles were also dependent on Georgia's legitimate monarch. Kings of united Georgia used "Darbazi", Committee of "Vazirs" and Eristavs for controlling and ruling the country, but their authority was not limited by the statute and was implemented by "God's Will". It was not atypical that Georgia was ruled by a monarch, who reigned the country taking into account moral principles. In this regard Tamar surpassed all monarchs. She was the one who most of all attempted to improve conditions of low class and poor people and to weaken the rights of privileged rich people. That is why Georgian people recognized XII century and particularly years of Tamar sovereignty as Golden Era.

The progressive development of Georgia was hindered by assails of Mongols and their domination for hundred years. It is true that Georgian "Darbazi" opposed the attempt of one of Georgian nobles (Egarsdan Bakurtsikheli) to become the King, who was assisted by Mongols, and preserved the title of King for Bagrationi dynasty, but could not resist the restriction of Georgian sovereignty and violation of country's union by Mongolian Kaen. George V the Splendid managed to free and unify the country. He composed the Book of Statutes called "Royal Treaty" and was successful to restore the governing system exercised during the Golden Era. In 30-40-ies of XIV century the group of Vazirs and convention hall of nobles was still functioning, which were identical and equal in terms of rights and competences to similar institutions existed in Western Europe. Georgian "Darbazi" was preparing grounds and conditions for constitutional monarchy, but the progress was delayed due to complications in external and international conditions, permanent wars and political decomposition of country. In XV-XVII centuries Georgia significantly fell behind compared to Europe, which was strongly standing on route of revitalization.

Signs of Georgia's Economic-Social and Political revival were noticed in XVIII century. The first bright moment was the reign of Vaktang VI (1703-1723). The tendency of unifying the country became strong. In 1762 under the government of Erekle the Second Kartl-Kakheti united. In 1790 politicians of Western Georgia proposed Erekle the Second to merge Ameret-Imereti. The majority of

King's court supported the restoration of sovereignty by a single King, but followers of divided monarchy succeeded. The only thing that could be done was signing Alliance Agreement between King and Nobles with the initiative of Solomon Lionidze. The parties of this Agreement promised each other to be collaborative and to struggle against external enemies mutually. It is a fact, that Georgia's unification, reinforcing concept of Nationality and partnership of country's internal forces was not acceptable to Iran, Turkey and Russia as well. All three countries wished to conquer Georgia.

Erekle the Second took orientation on Russia and admitted the supremacy of Emperor of Russia. He signed Alliance-Protection Agreement with Emperor, but Russia breached both the Treaty of 1783 and its substitution version "Enquiry Articles" of 1800. Russia replaced them with manifest of annexing Georgia to Russia (1801). Georgian nation disapproved and claimed with protest Russia's totalitarian politics. As soon as annexation manifest was announced anti-Russian national movements started initiated by heirs of Bagrationi dynasty. Movements were peaceful at one point (1802). Royal inheritors, nobles, churchmen, peasants believed in legitimate principles of monarchy and were requesting to restore autonomy of Kingdom of Kartl-Kakheti. They considered this as a normal event, expression by God's will. International law foresaw the same. However government of Russia declared this peaceful and legitimate action as a greater fault and started repressions towards the participants of this movement.

There was no other solution and Georgian people took weapons in hand and organized four big scaled strikes (1804-1820) against Russia's totalitarian strategy. Participants of all these strikes considered dynasty of Bagrationi as symbol of Georgian nationality and flag of legitimate movement and struggled for replenishment of Georgian monarchy. Society organized by Georgian patriots had the same purpose, which was harassed by government of Russia in 1831.

The new period of national movement guided by "Tergdaleulebi" started in 50-60-ies of XIX century. One of the intentions of these movements was struggling for serfdom abolition and establishing local self-governing institutions. Ilia Chavchavadze put broad concept in Russian "Zemstvo" and its Georgian analogy "Eroba". Leader of "Tergdaleulebi" generation and his collaborators did not like

governing bodies and provinces established as additions by bureaucratic units of government of Russia and requested local self-governing institutions, which would be granted with broad rights and competences. They believed that above mentioned institutions could prepare the basis for restoration of Georgian nationality. In 70-80-ies "Tergdaleulebi" propagated the idea of transforming multi-national Empire of Russia into federal system. At one point their program-minimum was restoration of Georgia's state autonomy.

However government of Russia was not intending to compromise. Social and national issues remained unsolved. Result of such situation was democratic revolution of 1905-1907. Georgian people were in front lines of this movement. After failure of this revolution, in 1907 group of Georgian patriots on behalf of the nation requested from International Conference of Hague to assist the restoration of Georgian independence based on rights and norms of Georgievsk Treaty. In 1912 parties concentrated on national directions applied in government of Russia for granting political autonomy to Georgia. Such actions were not followed by any positive results for a long time.

National parties oriented on Germany and its coalitions during the First World War and correlated restoration of Georgia's independence with their success. When scale of victory inclined towards Antanta Georgian patriots counted on expected political changes in Russia.

Democratic revolution which took place in February-March of 1917 was followed by Bolshevik turnover and escalation of civil war. Different nations including Caucasians, violated by Empire of Russian, used mentioned situation very well. Independent Federal Republic of Amier-Caucasia was established, which soon was dissolved. On May 26, 1918 National Committee of Georgia announced Independence Declaration and oriented on Germany. At this time the idea of reviving Georgian monarchy was born in Germany. They pondered to give Georgian royal thrown to son of Emperor of Germany. Monarchists still existed in Georgia, but they were not courageous enough to initiate hostility between German royal successors and Bagrationi royal successors. In terms of left-sided parties domination Republican Legitimism won over Monarchical Legitimism. Almost nobody exclaimed that Constitutional Monarchy combined King, Parliament and Government smoothly without any complications.

First Republic of Georgia was ruled by provisional Parliament and temporarily allied government during 10 months. Throughout subsequent two years founder committee and social-democratic government functioned and passed bourgeoisie-democratic type measures. Administrative, local self-governing, agrarian and other reforms were passed. The republic even composed the Constitution, which was internationally recognized. Nevertheless country, which lacked assistance from Western democratic countries, could not struggle against communist violence. Georgia lost its independence once again.

Soviet Republic of Georgia represented pure formality and was fiction. Marionette government of Second Republic ruled with dictations from Moscow. It certainly was not legal successor of the First Republic. Georgian people could not cope with totalitarian-communist regime, struggled against it, but anti-soviet strikes were suppressed in blood.

Liberalization of Soviet Empire regime started from sixties of XX century. In second half of eighties Gorbachov attempted to refine Soviet Federalism, but oppressed people were not satisfied only with this. Georgian people requested withdrawal of occupational army from their territory and recognition of Georgian independence. Soviet leaders responded violently and with bloody repressions to such requirements. After the tragedy of April 9, 1989 national movement reached its peak. Declaration of Independence of Georgia was published on April 9, 1991. Third Republic of Georgia was born. It became legal successor of the first Republic (1918-1921) of Georgia.

However democratic parties of Georgia could not meet expectations of Georgian people and started off internal war. In the beginning of 1992 armed opposition defeated government selected by people, comprised by President Zviad Gamsakhurdia, Parliament and Cabinet of Ministers. This was anti-constitutional and dangerous action, which was followed by escalation of civil war. Anarchy dominated economic-social and political life of Georgia. Brigandage strengthened and Mafiosi clans dominated everything. New government could not improve the tensed situation.

In 1995 Parliament of Georgia drew up and approved new constitution, which became basis of establishing civil society and functioning the state structures. It legalized Presidential adminis-

tration, determined authority of State Governor, Parliament, Board of Ministers and their interrelationship forms. Unfortunately Parliament established based on this Constitution could not carry out its responsibility and given promise. Constitutional Government was not able to restore country's territorial unity, could not assist country's economic development and improvement of life conditions. It also could not annihilate corruption, which resulted in people's angry and unsatisfied reaction. Following to Rose Revolution government changed. People were full of optimism again. They hope that President M. Saakashvili will complete the given promise to God and nation, will manage to unify Georgia, strengthen the country, will significantly improve material well-being.

But majority of Georgian people, His Holiness and Beatitude Ilia II Archbishop of Mskheta-Tbilisi, Catholics-Patriarch of all Georgia, other priests dream and hope, that one day one of the successors of Bagrationi dynasty with God's wish will be prepared to take king's throne and that Georgia will become constitutional-monarchical country.

ლიტერატურა და წყაროები

1. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I.
2. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II.
3. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი VII.
4. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი 2, ნაკ. 2, 1929.

4ᵃ. გ. ყორანაშვილი, საქართველოს ძველი ისტორიის პრობლემები, თბ., 2002.

5. Т. Гамкрелидзе, В. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, т. 1, 2, 1984.

5ᵃ. რ. გორდეზიანი, ბერძნული ცივილიზაცია, ტ. 1, 1988.

6. ფ. ლომაშვილი, ისტორია ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1, 2003.

6ᵃ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I.

7. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II.
8. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III.
9. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV.

9ᵃ. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, რედ. გ. მელიქიშვილი, 1988.

10. ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში, 1993.

10ᵃ. სახელმწიფოებრივი კათეხიზმო, 1999.

11. ჰეგელი, გონის ფილოსოფია, თარგმანი ნ. ნათაძის, 1984.

11ᵃ. ვ. გოილაძე, ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, 1991.

12. რ. მეტრეველი, მეფე თამარი, 1991.
13. ი. ანთელავა, XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, 1980.
14. ე. მამისთვალოვი, ქართველები და ბიბლიური სამყარო, 1998.
15. ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორა, 1955.
16. შ. მესხია, თეიმურაზ ბატონიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა), 1982.
17. ე. თაყაიშვილი, ხელმწიფის კარის გარიგება, თბ., 1920.
18. პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, თბ., 1936.
19. ე. ორჯონიკიძე, ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ, ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები, 1999.
20. ალ. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში, 1980.
21. ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს ისტორია (1801-1921 წ.), 1999.
22. ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა, 2001.

23. მ. გონიკიშვილი, იმერეთის სამეფოს გაუქმება, 1978.
24. Н. Махаразе, Востание в имеретии 1819-1820 гг., 1942.
25. ალ. ფრონელი, მთიულეთი 1804 წელს, 1896.
26. Н. Дубровин, Георгии XII, 1887.
27. ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, 1941.
28. დავით ბატონიშვილი, სამართალი, გამოსცა დავით ფურცელაძემ, 1960.
28'. Две записки Царевича Давида «О лучшем устройстве Грузии», იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942, ნაკ. 1,
29. დავით ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმცოდნეობის მიმოხილვა, გამოსცა აპ. როგრავამ 1959.
29'. იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. 1, 1948.
29'. იოანე ბაგრატიონი, სჯულდება, ტექსტი გამოცა ივ. სურგულაძემ, 1957.
30. დ. შველიძე, ელისაბედ ბაგრატიონი – საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრე, იხ. „საისტორიო ვერტიკალები", 2002, №2.
31. მ. ცაცანაშვილი, სახელმწიფო და რელიგია, 2001.
31'. ელდარ ბუბულაშვილი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე, 2002.
32. დ. ჭუმბურიძე, ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა XX საუკუნის დასაწყისში, 2003.
33. მ. ხომერიკი, სახეები, 2005.
34. ქართლის ცხოვრება, რედაქტორ-გამომცემელი ს. ყაუხჩიშვილი, ტ. 1.
35. ქართლის ცხოვრება, ტ. 2.
36. მოქცევაჲ ქართლისაჲ, იხ. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, 1963.
37. ქართული მწერლობა, ტ. 1, 1987.
38. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. 3, 1936.
39. Ермолов, Записки, ч. 2, 1868.
40. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 5, 1955.
41. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 6, 1956.
42. ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 1, 1962.
43. ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 2, 1962.
44. А. Цагарели, Грамоты и другие исторические документы, XVIII столетия, т. II, вып. 1, 1891.
45. А. Цагарели, Грамоты, т. II, вып. 2, 1902.
45'. გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, 1935.
46. Акты Собранные кавказской археографической комиссией, ред.

А. Берже, т. 1.
47. Акты, т. 2.
48. Акты, т. 3.
49. Акты, т. 4.
50. Акты, т. 5.
51. Акты, т. 6. ч. 1.
52. ე. „ცისკარი", 1858, №1.
53. გაზ. „ივერია", 1905, №42.
54. „ივერია", 1905, №44.
55. გაზ. „იმერეთი", 1912, №75.
56. გაზ. „საქართველო", 1918, 2 აპრილის ნომერი.
57. „საქართველო", 1918, 31 აგვისტოს ნომერი.
58. „საქართველო, 1919, 12 იანვრის ნომერი.
59. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1990.
60. საქართველოს დამფუძნებელი კრება, მეორე სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი.
61. საქართველოს დამფუძნებელი კრება, მეორე სესიის 59-ე სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი.
62. საქართველოს სახელმწიფო საისტორიო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 2, ანაწერი 1, საქ. 472.
62ᵃ საქართველოს სცსა, ფ. 219, საქ. 4.
62ᵇ. საქართველოს სცსა, ფ. 1836, ანაწ. 1, საქ. 132.
63. რუსეთის სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი სანკტპეტერბურგში, ფ. 1268, ანაწერი, 1, საქ. 838.
64. რუსეთის სცსა, ფ. 1286, ანაწ. 4, საქ. 556.
65. რუსეთის სცსა, ფ. 1268, ანაწ. 8, საქ. 81.
66. რუსეთის სცსა, ფ. 1149, ანაწ. 2, საქ. 83.
67. რუსეთის სცსა, ფ. 1268, ანაწ. 1, საქ. 247.
68. რუსეთის სცსა, ფ. 1268, ანაწ. 2, საქ. 55.
69. რუსეთის სცსა, ფ. 1268, ანაწ. 6, საქ. 336.
70. რუსეთის სცსა, ფ. 1268, ანაწ. 12, საქ. 107.

ს ა რ ჩ ე ვ ი

რედაქტორისაგან.....3

შესავალი.....6

ნაწილი პირველი.....26

ქართლისა და ეგრისის მონარქიული
სახელმწიფოები ჩამოყალიბებიდან
XI საუკუნემდე.....26

საქართველოს ცენტრალიზებული მონარქია.....65

საქართველო XIII-XV საუკუნეებში.....98

პოლიტიკურად დაშლილი საქართველოს
მონარქები გარეშე ფტრების წინააღმდეგ
ბრძოლაში (XVI-XVIII სს.).....115

ნაწილი მეორე.....162

ქართველი უფლისწულებისა და ხალხის ბრძოლა
მონარქული სახელმწიფოს აღდგენისათვის
XIX ს-ის პირველ მესამედში.....162

ქართველები რუსული მართვა-გამგეობის
სისტემაში.....266

ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი
მოძრაობა 1861-1917 წლებში.....289

საქართველოს პირველი რესპუბლიკა და
მისი სამართალმემკვიდრე.....316

დასკვნები.....350

STAGES OF DEVELOPMENT OF GEORGIAN NATIONAL
COUNTRY 359

ლიტერატურა და წყაროები.....367